მიხეილ მჭედლიშვილი

საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში

საქართველო ბოროტების იმპერიის
500-წლოვან მარწუხებში

წიგნი პირველი

გამომცემლობა შპს
„ეროვნული მწერლობა“

მიხეილ მჭედლიშვილი

წიგნი „საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში“ ისტორიულ-პუბლიცისტური ხასიათის ნაწარმოებია. ნაშრომში უაღრესად პრინციპული პოზიციებიდანაა განხილული დღემდე ნაირფერებით ნაქარგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია. ამასთან, წიგნში მხილებულია არა მარტო რუსეთის ვერაგული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, არამედ კრიტიკული პოზიციებიდანაა შეფასებული თვით ქართველი მეფეების ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული დიპლომატიაც, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა და სამი ათასწლოვანი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის რუსეთის პროვინციად გადაქცევა.

ამასთან დაკავშირებით, წიგნში გაბათილებულია ირან-ოსმალეთის მხრივ საქართველოს გარდუვალი შთანთქმისა და რუსეთის მიერ მისი დაცვისა და გადარჩენის ყოვლად უსაფუძვლო შეხედულება, რაც რუსული კოლონიალიზმის გამართლებას ემსახურებოდა.

რედაქტორი მანანა ასათიანი

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

ავტორისაგან

საქართველო ჩემი სალოცავი ხატია. არ მასვენებს ფიქრი უბოროტესი მტრის ხელში ჩავარდნილი ჩემი ერის საარსებო მომავალზე. ჩემი გონება დღენიადაგ მხოლოდ ერთ კითხვას დასტრიალებს: გადაურჩება თუ არა საქართველო ჩრდილოეთის ურჩხულს?

ბოროტ ადამიანზე არანაკლებ უნიათო და უთავბოლო ადამიანი მძულს. მითუმეტეს, თუ განგებას ასეთი ადამიანი ქვეყნის სათავეში მოუქცევია და ისიც, უზენაესი უფლების წყალობით, ერის ბედს ისე ათამაშებს, როგორც კამათელს.

ოხ, რა სწორი იყო წინასწარმეტყველის ალღოთი დაჯილდოებული ქართველი ერის დიდი ჭირისუფალი სოლომონ ლეონიძე, ამ სიტყვებით რომ ამუნათებდა (პოეტის თქმით) სახელოვან სარდალს, მაგრამ ამასთან, გულუბრყვილო პოლიტიკოსს, ერეკლე მეორეს. ამიტომ არ შემიძლია, არ გამოვხატო ჩემი ღრმა უკმაყოფილება არა მარტო ერეკლეს მიმართ, არამედ ყველა იმ მეფისადმი, ვინც ჯერ სათავე დაუდო, ხოლო შემდეგ ბავშვური მიამიტობით მიჰყვა ერთმორწმუნეობის პოლიტიკას, რომლის ბოლო შედეგი ის იყო, რომ ქართველი ერი გამოეთხოვა არა მარტო ეროვნულ თავისუფლებას, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თვით ერის არსებობაც. და ეს მაშინ, როცა სინამდვილეში აღარავითარი მოსპობის საფრთხე არ ემუქრებოდა საქართველოს აღარც ირანისაგან და არც თურქეთისაგან, როგორც ამას შთააგონებენ ქართველ ხალხს დამპყრობელთა სამსახურში მყოფი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები.

პირიქით, ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს შაჰ-აბასიდან დაწყებული, აღა-მაჰმად-ხანით დამთავრებული, გამოწვეული იყო რუსეთის ვერაგული პოლიტიკით, რომელიც მტრად ევლინებოდა თანაბრად, როგორც ირანსა და თურქეთს, ასევე, ამ ქვეყნების წინააღმდეგ ბრმა იარაღად გამოყენებულ, საქართველოსაც. დიახ, ჯერ სისხლისაგან დაგვცალა მოყვრის ნიღბით მოვლენილმა ამ უბოროტესმა მტერმა სპარს-ოსმალებთან მრავალჯერ დაპირისპირებითა და ასევე მრავალჯერ ზურგშექცევით, ხოლო შემდეგ სამარადისო მონობის უღელი დაგვადგა არაქათგამოცლილებს.

ვერ მომინელებია ჩვენი მეფეების მიამიტობა რუსეთის თვალთმაქცი მონარქების წინაშე, როგორც საბავშვო ბაღის ბავშვებს, ისე რომ ატყუებდნენ მთელი 300 წლის მანძილზე. ამიტომ დროა, მოვეშვათ უსუსურ თავის მართლებას, როცა ჩვენს დაღუპვას მხოლოდ მტერს ვაბრალებთ. სინამდვილეში ჩვენი დაცემა ჩვენივე ბედოვლათობის ბრალია. მტერი ასჯერ რომ მოგატყუებს და მაინც მას მიენდობი, უნდა აღიარო, რომ ბეცი ხარ. და რა სასაცილოდ ჟღერს ამ ფონზე ზოგიერთი ყოყლოჩინა ქართველის სრულიად დაუსაბუთებელი გამონათქვამი, რომ „რუსებს ქვეყნის მართვა არ შეუძლიათო“. მე კი ვიტყოდი, რომ რუსეთის ცბიერ პოლიტიკას ვერც ერთი ქვეყნის პოლიტიკა ვერ შეედრება ვერც წარსულში

და ვერც ამჟამად.

განსაკუთრებით გულს მიღარავს ის ფაქტი, რომ თუ საქართველო დაიღუპება, ამაში თვით ქართველებს ედებათ უმთავრესი ბრალი ჯერ რუსეთისადმი განუსაზღვრელ ნდობაზე დამყარებული პოლიტიკით, რაც 1801 წლის ტრაგედიით დამთავრდა, ხოლო შემდეგ 1921 წლის აშკარა გამყიდველობით.

ყოველ ჯალათზე უფრო მეტად შესაზარია მტერს შეკავშირებული მედროვე მწერალი და ისტორიკოსი, რადგან ჯალათმა შეიძლება ერთი ან ორი კაცი დახვრიტოს და ისიც სხვის მიერ გამოტანილი განაჩენით. ჩვენი დროის ზოგი ისტორიკოსი და მწერალი კი (ერთეულების გამოკლებით) მთელ ერს სწამლავს ისტორიული ფაქტების დამახინჯებითა და მტრის მოყვრად გასაღებით, რათა ამ გზით მტრისაგან მადლობა დაიმსახუროს და უზრუნველი ცხოვრება მოიპოვოს.

წინაპართაგან ვეთაყვანები ყველას, ვინც ხმლით და გუთნით, კალმითა და ლოცვა-კურთხევით დღემდე მოიყვანა საქართველო თავისი ენით, კულტურითა და ზნე-ჩვეულებით. თანაბრად პატივს ვცემ ერისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ მამულიშვილებს: მეფეებსაც და გლეხებსაც, მთავარსარდლებსაც და რიგით მეომრებსაც, ეროვნული ინტერესების დამცველ ჩვენს სახელოვან მწერლებსაც და სასულიერო პირებსაც, — ერთ ხელში ჯვარი რომ ეჭირათ და მეორე ხელში ხმალი, ერის ზნეობისა და სამშობლო მიწის დასაცავად.

ვინ დათვლის, რამდენი სახელოვანი მამულიშვილი ჰყოლია მუდამ გოლგოთას გზაზე მავალ ჯვარცმულ საქართველოს, მაგრამ ეროვნულ გმირთა და სულიერ მასწავლებელთა ამ დიდი გალერეიდან ყველაზე მეტად მაინც სამ მამულიშვილს ვადიდებ: დავით აღმაშენებელს, შოთა რუსთაველსა და ილია ჭავჭავაძეს. ჩემი აზრით, თუ ქართველ ერს არ სურს აღიგავოს პირისაგან მიწისა, ეს „სამება“ უნდა ჰყავდეს მთავარ სალოცავ ხატად, როგორც ოლიმპოს მწვერვალზე მდგომი ღმერთები, და მათი საქმეებითა და იდეური მრწამსით უნდა სულდგმულებდეს.

და ბოლოს, ჩემი ნატვრაა: არ მოვკვდე ისე, რომ არ ვნახო ბოროტების იმპერია დანგრეული, ერის ინტერესებით მოვაჭრე ყოველი დროიძე საფლავიდან ამოთხრილი და ქაჯთა ტყვეობიდან თავდახსნილი საქართველო. ხოლო, თუ ჩემს ნატვრას არ უწერია აღსრულება ჩემს სიცოცხლეში და ქართველი ერის განთავისუფლების საკითხი მომავლის საქმეა, მაშინ იმ იმედით მაინც მინდა წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ჩემს საფლავზე მოვლენ ჩემი თანამოაზრენი და ჩამომძახებენ: გიხაროდეს, ქრისტე აღსდგა, განთავისუფლდა შენი სათაყვანებელი საქართველო — ამინ!

„აწ რომ ავი არ ვაძაგო
კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს რომ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?“

დავით გურამიშვილი

შესავალი

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრად ითვლება და მას განგებამ ისეთივე წამება არგუნა, რაც თვით იესო ქრისტეს. საქართველოს ისტორია ტანჯვა-წამების იგივე გზაა, რაც იესო ქრისტემ გაიარა გოლგოთამდე. იესო ქრისტე სიკეთეს თესდა ქვეყნად და იგი აწამეს ამ სიკეთისათვის. საქართველო — ყველა გადამთიელის თავშესაფარი, ხოლო ქართველი — უზადო რაინდი და გულწრფელი მასპინძელი ყოველი უცხო ტომის ხალხისა, ლამისაა თვით დაიღუპოს ამ უცხოთა მიმართ ჩადენილი კეთილშობილებისა და სიკეთისათვის. უმადური შემოხიზნული — ქართველი ერის მესაფლავე ხდება. საქართველომ ზღვა სისხლი დაღვარა მაჰმადიანურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში და დაიცვა ქრისტიანობა. ბოლოს კი ვინ დათვლის, რამდენჯერ დადგა ამ 200 წლის მანძილზე აშკარა დაღუპვის საფრთხის წინაშე თვით ქრისტიანული სახელმწიფოს მზაკვრული ოინებით.

საქართველოს მძიმე ისტორიული გზა, რამაც ერის ჩრდილოეთის ურჩხულთან მიიყვანა, არ არის განპირობებული არც მარტოოდენ განგების ამოუხსნელი ძალებით და არც მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა აგრესიული მისწრაფებებით. უამრავი უბედურების მიზეზი, რაც საქართველოს დაატყდა თავს საუკუნეების მანძილზე, და განსაკუთრებით, ის უაღრესად საშიში სიტუაცია, რომლის წინაშეც ახლა იმყოფება საქართველო, ერის მესვეურთა არაგონივრული პოლიტიკის შედეგიც არის.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი ხანა იყო, როცა თურქ-სელჯუკთა უთვალავი ურდოები მთელს წინა აზიას მოედვნენ და საქართველოს დაღუპვის რეალური საფრთხე შეუქმნეს. მაგრამ ამ განსაცდელის ჟამს ჩვენმა ბრძენმა პოლიტიკურმა მოღვაწემ დავით აღმაშენებელმა არა თუ იხსნა თითქმის უკვე სასიკვდილოდ განწირული ერი დაღუპვისაგან, არამედ შეძლო თურქთაგან შევიწროებული მთელი ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება. მაგრამ დავით აღმაშენებელი თავის პოლიტიკაში ერთმორწმუნეობის დოგმით როდი ხელმძღვანელობდა. ბიზანტია ერთმორწმუნე ქვეყანა იყო, მაგრამ იგი ხშირ შემთხვევაში დაუნდობელ მტრად ევლინებოდა საქართველოს. დავით აღმაშენებელს სარწმუნოება პოლიტიკურ სახელმძღვანელოდ არ გადაუქცევია. როცა საჭირო გახდა, მან პირადი ბედნიერებაც სამშობლოს ინტერესებს

ანაცვალა და თურქებთან საბრძოლველად ერთმორწმუნე ქვეყნის ნაცვლად „ურწმუნო“ ყივჩაღებს დაუკავშირდა და ჩრდილოელ თურქთა ძალებით ამიერკავკასიაში გაბატონებული თურქები დაამარცხა.

აი, ესაა პოლიტიკა და არა სარწმუნოების ფანატიკურ გრძნობებზე დამყარებული სიბეცე. მაგრამ, იმის გამო, რომ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა არაფრით უკავშირდება რუსეთს და არ გამოხატავს მის ინტერესებს, იგი დღეს ჩრდილშია მოქცეული. მეფე ერეკლე კი ქებით ცამდეა აყვანილი რუსული ორიენტაციის გამო. ხალხიც ისეა დეზორიენტირებული რუსეთის საამებლად შედგენილი საქართველოს ისტორიითა და ერეკლესადმი მიმართული ქება-დიდებით, რომ უმეტესობამ წესიერად არც კი იცის, ვინ იყო დავით აღმაშენებელი და რა დამსახურება მიუძღვის მას საქართველოს წინაშე. მეფე ერეკლეს სახელი კი ყველას პირზე აკერია და დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი სახელოვანი და ნიჭიერი მეფე იშვიათად თუ ჰყოლია საქართველოს. მაგალითად, ვინმეს რომ ჰკითხოთ — რაში მდგომარეობს ერეკლეს დამსახურებაო, ჯერ განცვიფრებით შემოგხედავს, როგორ თუ ეს არ იცისო, და ბოლოს „აგიხსნის“, „ერეკლე გენიოსი მეფე იყო, რადგან საქართველო რუსეთს შეუერთაო“. კი მაგრამ, რა გენიოსობაა საჭირო იმისათვის, შენი ქვეყანა დამპყრობელს რომ გადასცე? ანდა საქართველოს ნამდვილი ისტორიის რომელი მცოდნე იტყვის იმას, რომ რუსეთი უფრო ნაკლებ საშიში მტერია, ვიდრე სპარსეთი იყო?

ფაქტია, რომ საქართველო, ასე თუ ისე, მაინც უმკლავდებოდა სპარსეთს, ხოლო გონივრული პოლიტიკით სავსებით შესაძლებელი იყო მასთან მშვიდობიანი თანაარსებობაც. რუსეთი კი, ეს ისეთი ვეშაპია, რომლის წინაშეც თითიც ვეღარ გაუქანებია საქართველოს და იძულებულია ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით ეგებებოდეს საკუთარი თავის მოსპობას. აი, ერეკლეს პოლიტიკის ნაყოფი.

უნდა ითქვას, რომ გიორგი ბრწყინვალის შემდეგ მეფეთა სახით საქართველოს თითქმის აღარ ჰყოლია ნიჭიერი და მოხერხებული პოლიტიკოსი. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ როსტომ მეფე, რომელმაც შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ, ირანსა და საქართველოს შორის უაღრესად გამძაფრებულ ვითარებაში, შესანიშნავად გაართვა თავი შინაურ და გარეშე შემოტევებს და მაჰმადიანობის ნიღბის ქვეშ მრავალი ეროვნული საქმე აკეთა.

უკანასკნელი საუკუნეები, განსაკუთრებით კი ის ხანა, როცა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ერთმორწმუნეობა დაედო, უთავბოლო მართვა-გამგეობის ხანად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში. ამ პერიოდში ერი კვლავ ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანია, მაგრამ იგი მოკლებულია სწორ ხელმძღვანელობას, და ამიტომ არაგონივრულ ბრძოლებში სისხლისაგან იწრიტება. ერის ხელმძღვანელთა მცდარი პოლიტიკით იყო გამოწვეული, შაჰ-აბასის შემოსევები და, კერძოდ კი, კრწანისის ბრძოლა. კრწანისში დაღვრილი სისხლი უაზრობად გვეჩვენება, რამდენადაც ქვეყნის მეთაურს ერეკლეს, სულერთია, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველო რუსეთისათვის ჩაებარებინა. ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა რუსებს ებრძოლათ სპარსელების წინააღმდეგ და არა ქართველებს, რამდენადაც კრწანისის ბრძოლა რუსეთის ინტერესებს უფრო ემსახურებოდა. რაც შეეხება ქართველებს, სულ ერთი იყო, რომელი მგლის ხახაში მოექცეოდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ერი გულხელდაკრეფილი შეხვდა ამ ბრძოლას და აღა-მაჰმად ხანს თითებზე ჩამოსათვლელი მეომრების პატარა ჯგუფი დახვდა წინააღმდეგობის გასაწევად. ერეკლეს მიერ აღა-მაჰმად-ხანის არცთუ მძიმე პირობების მიუღებლობა და ჯიუტად ბრძოლის გამართვა, რუსეთის მთავრობისადმი ერთგულების დადასტურების დემონსტრაცია იყო მხოლოდ. ყოვლად ცბიერი და ვერაგი რუსეთის ერთგულებას შესწირა ერეკლემ მთელი თბილისი თავისი მოსახლეობით, ნაგებობებითა და 30 000 ტყვე ქართველით, რომელიც აღა-მაჰმად-ხანმა ირანში გარეკა.

მე-17, მე-18 საუკუნეების მეფე-მთავართა მთელი პლეადისა და, უწინარეს ყოვლისა კი, მეფე ერეკლეს მცდარი პოლიტიკის შედეგი იყო 1801 წლის დიდი ეროვნული ტრაგედია. ამ საუკუნეების ისტორიის გულდასმითი ანალიზი უცილობლად ადასტურებს, რომ არა თუ მოსპობის რაიმე საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს ირანისა და თურქეთის მხრიდან, არამედ, განსაკუთრებით მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის არსებითად შეცვლილ სიტუაციაში, საქართველოს ჰქონდა გაერთიანებისა და დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნების სრული შესაძლებლობა. უკანასკნელ საუკუნეებში ამ ქვეყნებთან მდგომარეობის გართულება რუსეთის ორიენტაციის შედეგი იყო. ხოლო რუსეთს არასდროს, არავითარი დახმარება არ გაუწევია ირანთან და ოსმალეთთან მის მიერვე საკუთარი ინტერესებისათვის დაპირისპირებული საქართველოსათვის. პირიქით, რუსეთის მთავრობამ ფეხქვეშ გათელა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი და 1801 წლიდან, მფარველის ნაცვლად, დაუძლურებულ საქართველოს, ყველაზე დაუნდობელ აგრესორად თვითონვე მოევლინა.

იმისათვის, რომ გაექარწყლებინა რუსეთის მთავრობას თავისი ვერაგული მოქმედება საქართველოს მიმართ, რუსეთის იმპერატორმა — ჯერ პავლე I-მა, ხოლო შემდეგ ალექსანდრე I-მა თავიანთ მანიფესტებში ამ ძალადურ მოქმედებას „ნებაყოფლობითი შეერთება“ უწოდეს. შემდეგში ეს ყალბი ფრაზა რუსეთის მთავრობამ თვითონვე დაამკვიდრა პოლიტიკურ ლიტერატურაში, და დღეს უკვე დოგმად ქცეულ ამ ფრაზას, ბრმად იმეორებს სწავლულიც და უსწავლელიც. ჩვენი დროის გაყალბებული ისტორიის სახელმძღვანელოებშიც რუსი ხალხი წარმოდგენილია, როგორც საქართველოს დამხმარე და მფარველი, ხოლო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და მისი რუსეთის პროვინციად გადაქცევა გასაღებულია როგორც პროგრესული მოვლენა. ამიტომაც დღევანდელი „დერჟიმორდა“ რუსის შოვინისტი, რაღაც ამპარტავნული თავმომწონეობით იფხორება ქართველი კაცის წინაშე იმ შეგნებით, რომ „მე შენ გიშველე, გადაგარჩინე და მაშასადამე ჩემი მადლიერი უნდა იყოო“. თავისი ნამდვილი ისტორიის არმცოდნე ქართველიც მოწიწებით თავს ხრის

დამპყრობლის წინაშე და ვერ მიმხვდარა, რომ სხვისი ჩექმის ქვეშ მოქცეული მისი ქვეყნისათვის სულ ერთი იქნებოდა გათათრებით მოეღებოდა ბოლო თუ — გარუსებით. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს იმ დროისათვის სრულებითაც არ დამუქრებია გათათრების საფრთხე. გარუსების საფრთხე კი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დღიდანვე არსებობდა და არსებობს განსაკუთრებით დღეს, რუსული კომუნისტური იმპერიის სინამდვილეში. პატარა ერების რუსიფიკაციის ახლანდელი პოლიტიკა, რომელსაც ოფიციალურად „ერების დაახლოება“ ეწოდება, თუ კვლავაც ამ მასშტაბით გაგრძელდა, შეიძლება ფერეიდანში გადასახლებულმა ქართველობამ უფრო შეინარჩუნოს თავისი ეროვნული სახე, ენა და ზნე-ჩვეულებები, საქართველო კი ორი-სამი ათეული წლის შემდეგ ველიკორუსული სახელმწიფოს განყოფელ ნაწილად გადაიქცეს, რუსებად გარდაქმნილი მოსახლეობით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაზე მრავალი ნაშრომია დაწერილი. მათ შორის უნიკალურია ივანე ჯავახიშვილის მცირე ფორმატის, მაგრამ ფუნდამენტური ნაშრომი — „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში“. ამ, და მთელ რიგ სხვა ხელმისაწვდომ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილულია არა მარტო მე-18 საუკუნის ეპოქა, არამედ მთელი ის ხანა, რომელიც მოიცავს საქართველოსა და რუსეთს შორის პირველი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან (1491 წ.), ვიდრე დღევანდლამდე. თანაც, ამ ნაშრომში ნაჩვენებია არა მარტო რუსეთის ვერაგული პოლიტიკა საქართველოსთან დამოკიდებულებაში, არამედ დასაბუთებულია აგრეთვე, თვით ჩვენი ქვეყნის მესვეურთა მიერ ერთმორწმუნეობაზე დამყარებული პოლიტიკის უარყოფითი შედეგი. ნაშრომის ძირითადი მიზანია, მკითხველს დაუმტკიცოს, ამჟამად გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ, რომ მე-18 საუკუნისათვის საქართველოს არავითარი გათათრების საფრთხე არ მოელოდა, და მაშასადამე, მცდარი და დამღუპველი იყო რუსული ორიენტაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსი დამპყრობლების „კეთილ ძმად“ წარმოდგენის საქმეში დიდი და მავნე როლი მიუძღვით ჩვენს რუსეთუმე ისტორიკოსებს. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ერთ-ერთი ცნობილი ისტორიკოსის ლევან სანიკიძის სიტყვები, რომელიც მას მიძღვნილი აქვს თავის პოპულისტურ წიგნში — „უქარქაშო ხმლები“, რუსი დამპყრობლების საამებლად. იმ დროს, როცა რუსებმა მოგვისპეს ეროვნული სახელმწიფო, აღმოფხვრეს ქართული ენა ცხოვრების ყველა სფეროდან, — როცა რუსის გამსუნაგებული ჯარისკაცი უკანასკნელ ლუკმას ართმევდა ქართველ გლეხობას და ოჯახს უბილწავდა, ლევან სანიკიძე 1801 წლის დიდ ეროვნულ ტრაგედიას წარმოგვიდგენს, როგორც „დიდ ჩრდილოურ ნათებას“, — იმ ოცნებათა აღსრულებას, რაზედაც, მისი სიტყვით, დღენიადაგ ოცნებობდნენ ვახტანგ VI და ერეკლე II-ო. ეს არის გაუგონარი მკრეხელობა, ანუ ისტორიული სინამდვილის გაუკუღმართება, რამეთუ ეს მეფეები რუსეთს იმას კი არ თხოვდნენ, დაიპყარი ჩვენი ქვეყანა და როგორც

სახელმწიფო, სავსებით გაგვიუქმეო, არამედ — დაიცავი ჩვენი სამეფო გარეშე მტრებისგანო.

შემდეგ, ლევან სანიკიძე აი, ასე წარმოგვიდგენს რუსეთის როლს საქართველოს წინაშე: „ამიერიდან საქართველოს ვეღარ შეაწუხებდა ვერავითარი „ალია და ოსმანა“, ვერავითარი „ყიზილბაშობა“, „ოსმალობა“ და „ლეკიანობა“-ო. კი მაგრამ, რაც ზემოთ ითქვა რუსობის შესახებ, ის აბა რა იყო, თუ არა შეწუხება? თუ რა დღეში ჩააგდეს რუსებმა ქართველი ხალხი, ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ მოვუთხრობთ მკითხველს. ახლა კი, ბოლომდე მივყვეთ ქართველი ისტორიკოსის მკრეხელობას. აი, როგორი პანეგირიკობით ამკობს იგი ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო ვერაგ დამპყრობლებს: „მოვიდნენ შეურცხვენელნი — მცველნი, მხსნელნი და ნიშანსვეტნი: ქართული კერისა, ქართული გუთნისა, ქართული შემოქმედებისა, ქართული სიქველისა, ქართული რწმენისა, ქართული მიწა-წყლისა, ქართული სინდისისა“. ისე აუშენდა ოჯახი ამ სიტყვების მთქმელს, რომ მასში თუნდაც მისხალი იყოს სიმართლისა!

ჩემი აღნიშნული ნაშრომით დაინტერესებულ მკითხველს მოეხსენება, რომ მისი პირველი და მეორე ნაწილი გამოიცა 1991 წელს. იგი მოიცავს პერიოდს — მე-15 საუკუნიდან 1832 წლის შეთქმულების ჩათვლით. მესამე და მეოთხე ნაწილი კი, რომელსაც ახლა ვთავაზობთ მკითხველს, მოიცავს მთელ შემდგომ პერიოდს დღევანდელი დღის ჩათვლით, როცა საქართველო ყოფნა-არყოფნის მეტად მძიმე წუთებს განიცდის.

საქმეს მარტო ის კი არ ართულებს, რომ უამრავი მტერი გვიტევს გარედანაც და შიგნიდანაც, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სავალალოა თვით ქართველი ერის ინერტულობა და დაბნეულობა — მტერ-მოყვრის განურჩევლობა.

ამ წიგნის მიზანია, ისტორიული ფაქტების ჩვენებითა და თვით ჩვენს თვალწინ მიმდინარე მოვლენების ღრმა ანალიზით, დაანახოს მკითხველს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მტრები — გარეშენიც და შინაგამცემლებიც, რომ ერთიანი ძალით წინ აღუდგეს თავისი ქვეყნის დამანგრეველ ძალებს.

ვფიქრობ, თუ ქართველი ერი გამოერკვევა საღათას ძილისაგან, შეიცნობს თავისი ქვეყნის რეალურ მტრებს და წინ აღუდგება მის წამლეკავ გავლენას, დარწმუნებული ვარ, საქართველო გადარჩება.

თუ რამდენად პასუხობს ეს ნაშრომი ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას, თავად ობიექტური მკითხველი განსჯის.

რუსეთის ორიენტაციის წარმოშობისა და საქართველოს წინაშე რუსეთის როლის არასწორ შეხედულებათა დამკვიდრების მიზეზები

რუსული ორიენტაციის დამწყებად კახთა მეფე ალექსანდრე გიორგის-ძე (1476-1511) ითვლება. პირველმა მან აიღო გეზი ერთმორწმუნე რუსეთისაკენ. ალექსანდრეს კურსს მტკიცედ გაჰყვნენ იმ დროს დაქუცმაცებული საქართველოს ყველა მომდევნო მეფე-მთავრები. მიუხედავად ამ ორიენტაციით გამოწვეული დამღუპველი შედეგებისა, საქართველოს მესვეურები 1491 წლიდან 1801 წლამდე, ე. ი. 300 წელზე მეტი ხნის მანძილზე ბრმად მიჰყვებოდნენ ერთხელ აღებულ გეზს, ვიდრე 1801 წელს საქართველო არ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე.

მართალია, რთული იყო მაშინ საქართველოს მდგომარეობა ისეთი აგრესორების ხელში, როგორიც ირანი და თურქეთი იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსეთთან დაკავშირებამ კი არ გააუმჯობესა საქართველოს მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გააუარესა. რამდენადაც რუსეთის დამკვიდრება საქართველოში უდიდესი საშიშროების წინაშე აყენებდა ირანს, თურქეთს და მთელი კავკასიის მაჰმადიანებს, აღნიშნულმა აქტმა წარმოუდგენელი რეაქცია გამოიწვია ამ უკანასკნელთა მხრიდან. ისინი კოალიციურად აღდგნენ საქართველოს წინააღმდეგ და მიზნად დაისახეს ქართველი ერის მთლიანად აღმოფხვრა, რათა მოესპოთ რუსეთისათვის კავკასიაში დამკვიდრების შესაძლებლობა. ხოლო რუსეთს, არა თუ რაიმე დახმარება გაუწევია საქართველოსათვის, პირიქით, იგი თვითონვე აბამდა ხოლმე საქართველოს თავის ავანტიურისტულ ქსელში და ბრმა იარაღად იყენებდა მას თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ საკუთარი ინტერესებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა შემოსევა, რომელიც საქართველომ განიცადა XVI-XVII საუკუნეებში, გამოწვეული იყო საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით.

დღეს ისე ხელისგულივით ჩანს რუსეთის მზაკვრული როლი საქართველოს წინაშე, აგრეთვე რუსეთთან დაკავშირებით გამოწვეული საბედისწერო შედეგები, რომ რუსეთის ორიენტაციის მცდარობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

როგორც ცნობილია, ძმობა-მეგობრობის დემაგოგიურ ლოზუნგებს ამოფარებულმა საბჭოთა რუსეთმა უკვე შთანთქა ათეულობით პატარა ერი, აგრეთვე, იმ დროს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საქართველოს არსებობის საკითხიც. ყოველივე ამის მიუხედავად, ზოგიერთი გულუბრყვილო ქართველი, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნამდვილ ისტორიას, ხოლო მიმდინარე რთულ ამბებს უყურებს მტრის მიერ ჩაგონებული მატყუარა ლოზუნგების მიხედვით, თავდაჯერებულია იმ შეგნებით, რომ ჩვენ მხოლოდ რუსეთმა გადაგვარჩინა, იგი ახლაც გვიცავს და, მაშასადამე, სწორი იყო რუსეთის ორიენტაციაო.

დღევანდელი ქართველი რომ ასეთი თვალით უყურებს, როგორც

მიმდინარე მოვლენებს, ისე განსაკუთრებით წარსულ ისტორიას და ჯერაც ვერ გარკვეულა სანამდე მიიყვანა საქართველო ჩვენი წინაპრების დაუფიქრებელმა ნაბიჯმა, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ფანატიკოსი მიმდევარი ეყოლებოდა რუსული ორიენტაციის ჩვენს მეფეებს, როცა თვით ამ ორიენტაციის ბედი წყდებოდა. მითუმეტეს, რომ მაშინ ჩვენი წინაპრებისათვის სავსებით უცნობი იყო რუსის ერი თავის ბუნებითა და მისწრაფებებით.

მაგრამ, რელიგიური დოგმებით შეზღუდულ ხელმძღვანელთა შორის მაშინაც ყოფილან საღად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც დამღუპველად თვლიდნენ ამ ნაბიჯს.

აი, რას სწერს ამის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე ფრონელი: „თითო-ოროლანი მაშინაც იყვნენ, რომელნიც წინასწარმეტყველურის შორს გამჭვრეტელობით ჰქუხდნენ და ჰღაღადებდნენ, რომ საპოლიტიკო არსებობის მოსპობა კი არ აღაყვავებს სარწმუნოებას, პირიქით, დასთრგუნავს და დაამხობსო. მაგრამ ასეთი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მსოფლიო ისტორიაში ხშირია ისეთი მომენტები, როცა ერს, ქვეყანას გაიტაცებს რომელიმე აზრი, იდეა და ჰგონებს, თუ ეს აზრი, იდეა არ განვახორციელე, თავი ცოცხალი აღარ მინდაო და გამწარებული, ზოგჯერ ძლიერის სულისკვეთებით, იბრძვის და ეტანება თვისის იდეალის განხორციელებას. სწორედ ასეთი დრო და მომენტი დაუდგა საქართველოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. ქვეყანას სჯეროდა, რომ დაღუპვისაგან მხოლოდ მართლმადიდებელი რუსეთი დაგვიხსნის და სხვა არავინაო. უმრავლესობა ერისა ბედისწერას აჰყვა და გულხელდაკრეფილი დაემორჩილა ღვთის განგებას“ (ალ. ფრონელი, მთიულეთი, 1804 წ., გვ. 206).

თავის დროზე, რუსეთის ორიენტაციას არ ეთანხმებოდნენ ისეთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: გიორგი სააკაძე, როსტომ მეფე, ბაქარი და პაატა ბატონიშვილები, სოლომონ ლეონიძე, ჭაბუა ორბელიანი, ასპინძის გმირი დავით სარდალი, იმერეთის მეფე სოლომონ II, ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვები.

რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა საერთოდ უარყოფდა საქართველოს შესვლას რომელიმე სახელმწიფოს მფარველობაში, ხოლო უარეს შემთხვევაში ისინი მაინც ირანისაკენ იხრებოდნენ.

მე-18 საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოაზროვნე სოლომონ ლეონიძე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამი საუკუნის გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მცდარი და დამღუპველი იყო რუსული ორიენტაცია. ის კარგად ხედავდა, რომ რუსეთთან დაახლოება საქართველოს ირან-ოსმალეთთან უფუჭებდა დამოკიდებულებას, ხოლო რუსეთი არავითარ დახმარებას არ უწევდა საქართველოს მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან დაპირისპირების შემთხვევაში.

ამიტომ, სოლომონ ლეონიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ქართველი ერის გადასარჩენად, საჭიროდ მიიჩნევდა

კავშირის გაწყვეტას რუსეთთან, საქართველოს გაერთიანებას და გონივრული პოლიტიკის წარმოებით კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ირან-ოსმალეთთან.

როგორც ისტორიული ფაქტები გვიდასტურებენ, ეს სავსებით შესაძლებელი იყო, მაგრამ, მაშინ იმდენად ძლიერი იყო ჩვენში რწმენა ერთიანი რელიგიის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, იმდენ სიკეთესა და ბედნიერებას მოელოდნენ რუსეთიდან, რომ ბოლოს და ბოლოს, მაინც რუსულმა მიმართულებამ გაიმარჯვა.

მართალია, რუსული ორიენტაციის თავდადებული მომხრეები სულ მალე მიხვდნენ საბედისწერო შეცდომას და დაიწყეს თითზე კბენანი, მაგრამ რაღა დროს. ეს მწუხარება ნათლადაა გამოხატული იოანე ბაგრატიონის ერთ ცნობილ ლექსში:

„სკვითთ წაგვართვეს მთლად ქვეყანა,
არც კი მოგვცეს კაცი ერთი,
ქართლ-კახეთსა არ დასჯერდნენ,
ზედ დაიდვეს იმერეთი.
მწირობაში დავგლახავდით,
შემწე არ გვყავს არცა ერთი,
შევთხოვთ ზენას სამართალსა,
ვნახოთ, ვითა განსჯის ღმერთი“.

ამგვარად, რუსეთის მიერ 1783 წლის ტრაქტატის ფეხქვეშ გათელვისა, ხოლო საბოლოოდ, საქართველოს ანექსიისა და ქართველთა წინაშე არაერთი ბარბაროსული აქტის ჩადენის შემდეგ, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება მოთხრობილი დაწვრილებით, — აგრეთვე, კომუნისტურ ხანაში რუსეთის მიერ საქართველოს შთანთქმის საშიშროების ზრდასთან დაკავშირებით, რუსეთის ორიენტაციის მომხრეთა რიცხვი თანდათანობით შემცირდა. მაგრამ, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღესაც ამართლებს ერეკლეს და მის წინამორბედებს აღნიშნული პოლიტიკური კურსისათვის იმ მოტივით, რომ „სხვა გამოსავალი არ არსებობდაო“ და ის კი ავიწყდებათ, რომ რუსეთთან დაკავშირებამ საქართველო არათუ გამოიყვანა იმ „გამოუვალი“ მდგომარეობიდან, რომელიც რუსეთუმეებმა თვითონვე შექმნეს თავიანთი ბეცი პოლიტიკით, არამედ იგი კიდევ უფრო უარეს ჩიხში მოამწყვდია.

რუსული ორიენტაციის თაყვანისმცემლები იმაში ცდებიან, რომ ისინი უკრიტიკოდ იზიარებენ თითქმის უკვე დოგმადქცეულ, ზემოდან თავსმოხვეულ ვერსიას „ირანის ან თურქეთისაგან საქართველოს დაპყრობისა და მოსპობის აუცილებლობის“ შესახებ.

მათ, ამ დებულების განუსჯელად მიღების საფუძველზე, გამოჰყავთ მცდარი დასკვნა: „თუ საქართველოს ირანის, ან ოსმალეთისაგან მართლაც მოსპობა მოელოდა, მაშინ ცხადია, რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმება და მისი რუსეთთან შეერთება პროგრესული მოვლენა იყოო“.

კი მაგრამ, რატომ არ კითხულობენ, საიდან მომდინარეობს ეს ვერსია და რა მიზანს ისახავს იგი? ნუთუ დიდი დაფიქრება სჭირდება იმის ამოხსნას, რომ ეს დებულება ჩვენი ბატონ-მბრძანებლების შემუშავებულია და მიზნად იმას ისახავს, რომ „ირან-ოსმალეთის მიერ საქართველოს მოსპობის დაშინებით გაამართლოს თვით რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და რუსეთის პროვინციად გადაქცევა. აბა, დაფიქრდით და თვითონვე განსაჯეთ: საქართველო ამჟამად ირანის ხელში რომ იყოს, ანდა დამოუკიდებელი, მაშინაც ასეთი შეფასება მიეცემოდა რუსეთის მოქმედებას საქართველოს წინაშე? ცხადია, არა.

საქართველოსთვის, წარსულ მტრებთან შედარებით, რუსეთი რომ გაცილებით უარესი მტერია, მარტო იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ აზიის თითქმის ყველა დამპყრობლის — თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თემურ ლენგისა და სხვათა ხელში, საქართველო ძირითადად ინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრიობას, ქართულ ეროვნულ მთავრობას, ქართულ ენას, ქართულ კანონმდებლობას და მათ შორის სარწმუნოებასაც.

რუსეთმა კი დაიპყრო თუ არა საქართველო 1801 წელს, იმ დღიდანვე მოსპო ყველა აღნიშნული ეროვნული ნიშანი და აკრძალა ოფიციალურ დოკუმენტებში თვით საქართველოს ხსენება. ქართულ სკოლებში, სასამართლო ორგანოებში, წარმოება-დაწესებულებებში და ეკლესია-მონასტრებში გააბატონა რუსული ენა.

იმისათვის, რომ სავსებით აღმოეფხვრათ ქართული ეროვნული სული ჩვენს ეკლესია-მონასტრებში, რუსის ვანდალისტ-შოვინისტებმა, რემონტის საბაბით, თეთრი საღებავით შეღებეს და მოსპეს ძვირფასი ეროვნული მხატვრობა.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართველობის გარკვეული ნაწილი, წარსულშიც და ამჟამადაც, მადლიერი იყო და არის რუსეთისა? საიდან ჩაუჯდა თავში ქართველ კაცს ის აზრი, რომ თითქოს ირან-ოსმალეთის შემოსევების დროს რუსეთი ეხმარებოდა საქართველოს და მანვე იხსნა საქართველო დაღუპვისაგანო?

როგორც ითქვა, რუსეთის როლის ასეთი არასწორი გაგება ძირითადად გამოწვეულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაყალბებული ისტორიით. საქართველოს ისტორიის ახლანდელი სახელმძღვანელო აშკარად გაყალბებულია და შელამაზებული სახით ისწავლება ქართულ სკოლებში. რუსეთის სახით მტერს მოყვრად ასაღებს არა მარტო ეს ეგრეთწოდებული „საქართველოს ისტორია“, არამედ მასობრივი აგიტაციის ისეთი საშუალებანი, როგორიცაა პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და თეატრი, რომლებიც სახელმწიფოს სამსახურში არიან ჩაყენებული. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ქართველ კაცს გაუკუღმართებულად ესმის რუსეთის როლი საქართველოს მიმართ და ამიტომაა, რომ იგი რუსის დამპყრობელს თავის მეგობრად და დამხმარედ თვლის.

ეს რაც შეეხება დღეს. მაგრამ ისტორიულად ქართველი ერის ასეთ დეზორგანიზაციას ხელი შეუწყო მთელმა რიგმა სხვა გარემოებებმაც: პირველი, რამაც რუსეთისადმი განუსაზღვრელი ნდობა გამოიწვია

ქართველობაში, ეს იყო მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან საქართველოს დაპირისპირების გამო იმ ყალბი აზრის გაბატონება, რომ თითქოს ირან-ოსმალეთის შემოსევები გამოწვეული ყოფილიყოს განსხვავებული სარწმუნოებით. ამ ნიადაგზე ქართველმა ხალხმა იწამა, რომ სამაგიეროდ რუსეთი, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანა, ჩვენი დამხმარე და გულშემატკივარი იქნებაო.

ამრიგად, იმ კრიტიკულ ხანაში მოვლენებისადმი საღი პოლიტიკური მიდგომის ნაცვლად, ჩვენში დამკვიდრდა რელიგიური ფანატიზმი, რამაც ქართველი ხალხის მესვეურთ დაავიწყა ბიზანტია-საქართველოს შორის წარმოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები და ამ ნიადაგზე პრაქტიკულად უკვე შემოწმებული ერთმორწმუნეობის სრული უსაფუძვლობა პოლიტიკაში.

მაგრამ, წარსული ისტორიული გამოცდილების უგულებელყოფას ვინ ჩივის, საქართველოს მაშინდელი მესვეურები ანალიზს ვერ უკეთებდნენ თვით მათს თვალწინ მიმდინარე მოვლენებს, როცა ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები ერთის მხრივ, და მაჰმადიანური სახელმწიფოები (ირან-თურქეთი) მეორე მხრივ, სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდნენ ერთიმეორის გასანადგურებლად. სად იყო აქ გადამწყვეტი ფაქტორი ერეკლეს მიერ ქებული ერთმორწმუნეობისა?

პირიქით, ერების ურთიერთშეჯახების დროს, როცა პატარა ერი იძულებულია თავი დაიცვას დამპყრობელი ერის წამლეკავი ზემოქმედებისაგან, განსხვავებული რელიგია და ზნე-ჩვეულებანი უფრო დადებითი ფაქტორია, ვიდრე რელიგიისა და ზნე-ჩვეულების ერთობა.

მაგალითად, ირან-ოსმალეთის სახით ჩვენი მტრების განსხვავებული რჯული იყო სწორედ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ისინი ქართველების მხრიდან და ვერა და ვერ შეძლეს მათ მაჰმადიანურ ერებთან ქართველი ერის ასიმილაცია. ერთმორწმუნეობის ნიღბით შემოპარულმა ქრისტიანულმა რუსეთმა კი გასაოცარი ძალით შეაჩერა ქართველთა წინააღმდეგობა და შედარებით უმტკივნეულოდ ახდენდა იგი რუსის ერთან ქართველი ერის შერწყმას.

რელიგიური ფანატიზმისა და პოლიტიკური გულუბრყვილობის გარდა, მაშინდელი ჩვენი მეფეები ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე ვერც ორგანიზატორული ნიჭით და ვერც ნებისყოფის სიმტკიცით. ისინი თავგზააბნეულები მოქმედებდნენ არა მარტო საგარეო ურთიერთობის სფეროში, არამედ სახელმწიფოს შიგნითაც. ჩვენს სახელოვან მეფეებს — დავით კუროპალატს, ბაგრატ მესამეს, დავით აღმაშენებელს, გიორგი ბრწყინვალეს და სხვებს კარგად ესმოდათ, რომ მტრისაგან საქართველოს როგორც თავდასაცავად, ასევე თავდასახსნელად ყველაზე უკეთესი გზა ქვეყნის გაერთიანება იყო. უკანასკნელი პერიოდის ზოგიერთი უნიათო მეფე კი მტკიცე ნებისყოფის უქონლობის გამო, არა თუ თანმიმდევრულად იბრძოდა ფეოდალური პარტიკულარიზმის დათრგუნვისა და საქართველოს გაერთიანებისათვის, არამედ ცოლ-შვილის კარნახით თვითონვე

აქუცმაცებდა გაერთიანებულ სამეფოს შვილებსა და შვილიშვილებს შორის.

რუსეთის როლის შესახებ არასწორი შეხედულების დამკვიდრების მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთი დიამეტრალურად განსხვავდებოდა ქართველი ხალხის სხვა დანარჩენი მტრებისაგან თავისი ფარისევლური პოლიტიკით. ყველა მტერს, რომელიც საქართველოში შემოდიოდა, ხმალი ჰქონდა მომარჯვებული ქართველების წინააღმდეგ და აშკარად აცხადებდა საქართველოს დაპყრობის, ქართველი ხალხის გაძარცვისა და მასზე გაბატონების სურვილს. ისინი ამ მხრივ რაიმე მაქინაციებს არ მიმართავდნენ. პირიქით, მათი ტონი უაღრესად სასტიკი და აგრესიული იყო. ასეთ მტერს კი ქართველი ხალხი მომზადებული ხვდებოდა.

მაგალითად, როცა არაბთა მხედრობა საქართველოს საზღვრებს მოადგა პირველად, მისმა სარდლობამ ასე შემოუთვალა ქართველებს: „ან დაგვმორჩილდით, მოდით და გვემსახურეთ, ან დასტოვეთ თქვენი ქვეყანა და სხვაგან წადითო“.

ამ უაღრესად მკაცრი განცხადების მიუხედავად, აი, რითი განისაზღვრა მათი ბატონობის პირობები საქართველოში, რასაც „დაცვის სიგელი“ ეწოდა: 1. არაბები ქართველებს უვნებლობას და სარწმუნოების ხელუხლებლობას აღუთქვამენ. 2. ქართველები მორჩილებას უცხადებენ არაბებს და იხდიან ხარკს — ჯიზიათს თითო კომლზე თითო დინარს (დაახლოებით 5 მანეთი ოქროთი). 3. ქართველებს უფლება არა აქვთ რამდენიმე კომლი ერთ კომლად შეაერთონ და ამ გზით ხარკი შეამცირონ. 4. არც არაბებს აქვთ უფლება ერთი კომლი რამდენიმე კომლად გაჰყონ, და ამრიგად, ხარკი გაადიდონ. 5. ქართველები ვალდებულნი არიან დაეხმარონ არაბებს სამხედრო ძალით. 6. თუ ქართველები მაჰმადიანობას მიიღებენ, მაშინ ისინი თავისუფლდებიან ჯიზიათის გადახდისაგან, მაგრამ მაჰმადიანობაში ერთხელ გადასული, თუ ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდება, ის დაისჯება“.

არაბთა მიერ წამოყენებული ეს პირობები ძირითადად ძალაში დარჩა. მაგალითად, კახეთს არაბთა ბატონობა თითქმის არც უგრძვნია. რაც შეეხება ბუღა თურქისა და მურვან ყრუს შემოსევებს — პირველი გამოწვეული იყო თბილისის ამირას განდგომით, ხოლო მურვან ყრუს ამაოხრებელი შემოსევა — ქართველთა უპერსპექტივო და გაუმართლებელი აჯანყებით. იმ დროისათვის არაბთა ხალიფატი თავისი ძლიერების ზენიტში იყო და, ამდენად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გამარჯვება არ ეწერა.

შევადაროთ ახლა ერთის მხრივ არაბთა აღნიშნული განცხადება თავისი სისასტიკით და ფაქტიურად წამოყენებული პირობებით ქართველების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის თვალთმაქცური განცხადება საქართველოს მიმართ და ამ ყალბი განცხადების შემდეგ საქართველოს ფაქტიური მდგომარეობა რუსეთის ხელში.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I საზეიმოდ აცხადებდა: „არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთვისა, არა განვრცელებისათვის საზღვართა და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყნისა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართებულებისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა, მსმენმან ვნებულთა ვედრებისა, განსადევნელად შეჭირვებათა მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაცა ეძლოს-ცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითეულისა დაცვა ჰსჯული... მიეცა საყდროსანსა ქალაქსა მოსკოვს, სეკტემბრის დღესა ჩყა წელსა“.

ამ გულჩვილი განცხადების საფარქვეშ რუსეთმა საქართველოში დაამყარა ჯერ არნახული სისასტიკე. გარდა იმისა, რომ მან მოსპო საქართველოში ყველაფერი ეროვნული და ერთი ხელის მოსმით მოინდომა ქართველი ხალხის გარუსება, საშინელი ეკონომიური განსაცდელისა და მორალური დამცირების პირობებში ჩააყენა მთელი მოსახლეობა. რუსის სახით ქართველ ხალხს მოევლინა ფლიდი, მექრთამე, ქურდი, ლოთი და გარყვნილი არსებანი. თვითონ ყოველმხრივ ზნედაცემულნი, ისე უყურებდნენ ქართველ ხალხს, როგორც პირუტყვებს. ისინი გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებდნენ ქართველ ოჯახებს, ქმრების თვალწინ ქალების საჯარო გაუპატიურების ჩათვლით. გარდა ამისა, ქართველ გლეხკაცობას უკანასკნელ სარჩო-საბადებელს ართმევდნენ და მათი შენიშვნის პასუხად — რიღათ გამოვკვებოთ ცოლ-შვილიო, — მიწაზე მიუთითებდნენ და ეუბნებოდნენ, „თქვენ ბალახი სძოვეთო“ (ალ. ფრონელი, „ამაოება კახეთისა“, გვ. 139).

აი, როგორ პარალელს ავლებს ჩვენი ერის დიდი მოჭირნახულე და მოაზროვნე იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ძველ მტრებსა და ახალ მტერს — რუსეთს შორის:

„მართალია, საქართველო იშვიათად არ იყო გარეგან დამოკიდებულების ქვეშა, მაგრამ ეს დამოკიდებულება განისაზღვრებოდა ცოტაოდენი ყოველწლიური ხარკით, რომელიც უსიამოვნო საგანს შეადგენდა მხოლოდ მეფის თავმოყვარეობისთვის. შინაგან მმართველობას იგი თითქმის არ ეხებოდა, ერი მის გავლენას სრულიად არა ჰგრძნობდა და ყოველ შემთხვევაში დამჩაგვრელ თვისებას მოკლებული იყო. კაცსა, ერსა სჩაგრავს სისტემატური უსამართლობა, შინაგანი ბრიყვობა, ყოველდღიური უღელი, რომელიც კისერში აწევს ხალხსა და ქედს ძირს ახრევინებს, ქარიშხალივით დაცემა მტრისა, რომელიც დამარცხდება, თუ გაიმარჯვებს, ორივე შემთხვევაში სტოვებს ქვეყანასა და ბრუნდება თავის სამშობლოში — მხოლოდ დროებით ხიფათს, წამის უბედურებას შეადგენს, რომლის კვალი მალე სრულიად ჰქრება ხალხის ცხოვრებაში... სპარსეთი იშვიათად არ იყო გულ-წრფელი და გულითადი ჩვენი კეთილისმყოფელი. ბევრი ცუდი ნაკლოვანება ჰქონდათ სპარსელებს, მაგრამ პოლიტიკურს

იეზუიტობას, სიკეთის დაუნახაობასა და უმაგალითო უმადლობას კი მათში ვერ ჰპოვებდით. ისინი ავ-კარგიანები იყვნენ. თუ მტრობას გვიხდიდნენ მხეცურის დაუნდობლობით და შეუბრალებლობით, სამაგიეროდ სიკეთისათვის იცოდნენ უხვი მოყვრობა და თავდაუზოგველი მეგობრობა“ (ი. გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ? გვ. 29-30).

იაკობ გოგებაშვილამდე ათეული საუკუნეებით უფრო ადრე იგივე აზრს გამოთქვამდა სპარსელთა შესახებ მე-6 საუკუნის სახელგანთქმული ორატორი აიეტი. იგი აცხადებდა, რომ სპარსელებმა „თუ ვინმე გაიხადეს თავიდან მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული, ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამდე, სანამ ის მტრად რჩება“ (გ. გოზალიშვილი, ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მე-6 საუკუნეში, გვ. 41). ხოლო რუსი დამპყრობლების მოქმედებათა შესახებ აი, რას ვკითხულობთ ალ. ფრონელის 1812 წლის კახეთის ამბოხებაში: „ნეტა რა მოთმინება და შეძლება ჰქონია ერსა, რომ კვერცხივით ზედ არ შეასკდა ზნედაცემულს ჯარისკაცსა და მსუნაგსა და გაწუწკებულს მოხელეს! უსამართლობა, ცემა-ტყეპა, დარბევა-დაწიოკება სოფლისა, ქურდობა, განზრახ დავიდარაბის ატეხა, უზნეობა-გარყვნილების შეტანა, ქალწულთა და დედაკაცთა გაჯოხვა, — ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია, ისეთი ველურობა, რომლის მსგავსი თვით თემურ-ლენგის დროსაც არ იქნებოდა. აკი სჩივიან ბოდბისხეველნი და პრასიანელნი, რაც რუსობამ მოგვაყენა, მაგგვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა ჟამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლიაო!“ (ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, გვ. 33).

აზიის დამპყრობლებთან შედარებით, რუსების მიერ საქართველოში ჩადენილი ამ საშინელი საქციელის გარდა, რაც თითქმის მხეცური მოქმედების ნორმებსაც კი აჭარბებს, საგულისხმოა აგრეთვე ი. გოგებაშვილის მიერ ზემოთ გავლებული პარალელი იმ ეკონომიკური ჩაგვრის შესახებ, რასაც საქართველო განიცდიდა ერთის მხრივ ადრეულ მტერთა ბატონობის დროს და მეორე მხრივ რუსთა ბატონობის პირობებში. როგორც აღნიშნული იყო, ადრინდელი დამპყრობლებისადმი ქართველების დამოკიდებულება განისაზღვრებოდა მხოლოდ ცოტაოდენი ყოველწლიური ხარკით. შინაგან მმართველობას იგი თითქმის არ ეხებოდა. რუსთა ბატონობის დროს კი მოსახლეობა სრულ ტოტალურ ძარცვას განიცდიდა. ხოლო შიმშილისაგან სასომიხდილ ადამიანებს, როგორც აღვნიშნეთ, ურჩევდნენ ბალახი ეძოვათ.

ერთმორწმუნეობის ნიღბით მოვლენილ რუს დამპყრობლებთან შედარებით, რომლებმაც საქართველოში გაბატონებისთანავე მოსახლეობის ულმობელი ძარცვა-რბევის გარდა, თავიანთ სრულ გამგებლობაში მოაქციეს მთელი ეროვნული სიმდიდრე და საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ ყაჩაღურ ექსპლოატაციას უწევდნენ მას, პირდაპირ სიცილს იწვევს მსოფლიოს ყველაზე საშინელ დამპყრობლებად ცნობილი მონღოლების მიერ ცალკეული კომლებისადმი ყოველწლიური ხარკის სახით წამოყენებული რაღაც ბავშვური მოთხოვნილებანი: 100 ლიტრი ხორბალი, 50 ლიტრი ღვინო, 2 ლიტრი ბრინჯი, 3 ტომარა, 2 თოკი და 1

ნალი, და მაინც, ქართველ კაცს არაბი, მონღოლი და სპარსი ყველაზე დიდ მტრად მიაჩნია, ხოლო რუსის მიმართ აზრადაც არ გაივლებს, რომ იგია ყველაზე დიდი მძარცველი ყველა წარსულ მძარცველებთან შედარებით.

ამ გაურკვევლობის მიზეზი ისაა, რომ არაბების, მონღოლებისა და სხვა დანარჩენი დამპყრობლებისაგან განსხვავებით, რუსეთი იმთავითვე მოყვრის ნიღბით მოევლინა საქართველოს და იგი ფარისევლურად ყოველთვის „დამხმარისა“ და „მფარველის“ როლში გამოდიოდა.

აი, რას სწერს ამგვარი შენიღბული მტრის შესახებ შ. რუსთაველი:

„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა — მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს...“

ძველ მტრებთან შედარებით რუსეთი რომ გაცილებით უფრო ვერაგი მტერია, ეს აზრი შესანიშნავად აქვს გამოთქმული აკაკი წერეთელს ერთ თავის ლექსში, რომლის სათაურია „ჩაფიქრება“. იგი დაწერილია რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის 100 წლისთავთან დაკავშირებით. მოგვყავს ამ ლექსის შემოკლებული ტექსტი:

ჩაფიქრება

„მეც მივდივარ, შენც მიდიხარ, გეთხოვები, საქართველო! —
მეც ვჭკნები და შენცა ჭკნები, როგორც ზამთრის პირად მდელო.
თვით ბუნების კანონია, მე რომ დავჭკნე ვით ფოთოლი,
სამერმისოდ სხვა გამოვა ჩემი სწორი, ჩემი ტოლი!
მაგრამ შენ, ხევ ცხოვრებისა და აკვანო მთელი ერის,
მომავალი შავ-ბედითი სიკვდილის ზარს რად გიმღერის?!
რაც-კი გქონდა სისხლად, ხორცად, შენაძენი ათას წლობით, —
მთლად მოგიკლა ასმა წელმა თვალთმაქცურის საძაგლობით.
მოგიხიბლა თვალი, გული, გიქარგავდა ზედაპირსა,
მაგრამ მითი იმავე დროს, როგორც ჩრჩილი, ხრწნიდა ძირსა!
და აღარ ხარ, რაც იყავი: ჰხმები, სჭკნები ნელა-ნელა,
ათასის წლის ჭირნახული ასმა წელმა მოგინელა.
რაც რომ მტრობამ ვერ დაგაკლო, ის მოყვრობამ აგისრულა
სულ ხელის-სმით და „ნანინით“ შენი ძირი გამოხრულა.
შენს წაქცევას და დამხობას „ასი წელი“ შემოჰყურებს,
შენ წახვალ და სხვა შემოვა, შენს ნადგომზე ისადგურებს...“
(აკაკი, შვიდტომეული, ტ. I, გვ.774).

ამგვარად, მოყვრის ნიღბით მოსულმა რუსეთმა არა თუ დაიპყრო საქართველო, იგი სრულიად გააუქმა როგორც პოლიტიკური ერთეული და რუსეთის შემადგენელ ნაწილად აქცია.

რუსეთის ვერაგულ მოქმედებასა და საქართველოს საშინელ ხვედრში გაურკვეველი ქართველობის ერთი ნაწილი კი კმაყოფილებით გაიძახოდა: — „რუსეთთან რომ არ ვყოფილიყავით შეერთებული, სპარსელები დაგვიპყრობდნენო“. უფლებააყრილ, დაბეჩავებულ და გაძარცულ ასეთ ქართველს „დაპყრობა“ სხვა რაღაცა ჰგონია.

უბედური საქართველო! განა შეიძლება ერის ამაზე უფრო მეტი

დაბეჩავება? შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერი თავის ნაციონალური ხვედრის გაგების საკითხში არასოდეს ისე არ დაბეჩავებულა, როგორც დაკნინდა და დაბეჩავდა რუსთა ბატონობის პერიოდში.

აღნიშნული მცდარი წარმოდგენის მესამე მიზეზია 170 წლის მანძილზე მტრის უღელქვეშ ყოფნა, მონობისადმი მიჩვევა და შეგუება. ხოლო მონობას მიჩვეულ ადამიანს, როგორც ცნობილია, აღარ ამძიმებს მონობის უღელი. უფრო სწორად, ვეღარ გრძნობს იგი ამ უღელს.

ეს შეჩვევა იმდენად ბუნებრივი ხდება, რომ ერთი მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მონობას მიჩვეული ადამიანი უარს იტყვის განთავისუფლებაზე“.

ქართველი კაციც ისე შეეთვისა რუსეთის ბატონობას და ისე მშვიდად გრძნობს თავს ამჟამადაც მის უღელქვეშ, რომ ვერც კი წარმოუდგენია უბატონოდ არსებობა. ერის დამოუკიდებელი არსებობის ურწმუნოების დამღუპველი გამოხატულებაა ის, რომ ერების განთავისუფლების დღევანდელ ეპოქაშიც კი ზოგიერთი ქართველი ბავშვური გულუბრყვილობით კითხულობს: „რუსეთს რომ ჩამოვცილდეთ, მერე ვის ხელში უნდა ვიყოთო?“

რომელიმე ბატონის ხელში ყოფნის ეს მავნე შეხედულება, ცხადია, იმ გარემოებითაც იყო გამოწვეული, რომ ქართველ ხალხს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ინსტინქტური შიში ირან-ოსმალეთისა. ამას კი დიდათ უწყობს ხელს რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველებისადმი დამაშინებელი ანტისპარსული და ანტიოსმალური პროპაგანდა. ქართველის შეგნებაში იმდენად ავადმყოფური ხასიათი ჰქონდა მიღებული თურქეთისა და ირანის მხრივ დაპყრობის საშიშროებას, რომ იგი ვეღარ ამჩნევდა ეპოქის ცვალებადობას. ბევრი მათგანი კვლავ 300 და უფრო მეტი ხნის წინათ არსებული მდგომარეობის მიხედვით მსჯელობს დღესაც და ვეღარ ხედავს, რომ არაბი, მონღოლი, თურქი და სპარსი დამპყრობელნი 1801 წლიდან უფრო მოქნილმა და უფრო საშიშმა რუსის დამპყრობელმა შეცვალა. ისინი შურისძიების გრძნობით უყურებდნენ ათა-პაპის დროინდელ მტრებს, რომელთა შორის ბევრი მათგანი (მაგალითად, დაღესტანი) საქართველოზე უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება დღესაც და ვერ ხედავდნენ რუსეთის სახით ამჟამად არსებულ მტერს, რომელიც ჩანთქმით ემუქრებოდა და ემუქრება დღესაც დაღესტანსაც და საქართველოსაც.

ერთ დროს გრიგოლ ორბელიანიც, ამგვარი მცდარი თვალსაზრისის გამო, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მთიელთა წინააღმდეგ: „იგი თავისი ხმლით საქართველოს დამპყრობლებს ეხმარებოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ეგონა, რომ სამშობლოს მტრებს ებრძოდა. მისი სიტყვით, იგი „ლეკებთან ბრძოლაში „კახეთის სისხლს იღებდა“, მაგრამ ამ პროცესში იგი ეხმარებოდა იმ ძალას, რომლის წინააღმდეგაც თვითვე იყო რამდენიმე წლით ადრე აღმართული. იგი შურს იძიებდა იმაზე, რაც იყო ოდესღაც, და მკაცრ სინამდვილეს კი ვეღარა ჰხედავდა, სადაც იყო საჭირო ნამდვილი პატრიოტული ბრძოლა და შურის

ძიებაც. მთა თავისუფლებას არ სთმობდა. რუსეთის დამპყრობელი პოლიტიკა კი ამ თავისუფლებას ვერ ითმენდა. ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო პატრიოტ გრიგოლ ორბელიანის სიმპათიები? რასაკვირველია, მთიელების მხარეზე“ (ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. I, გვ. 7).

საქართველოს არაგონივრული პოლიტიკის შედეგად რუსეთი რომ ერთიან წამლეკავ ძალად მოევლინა საქართველოსაც და კავკასიის სხვა ტომებსაც, აი, რა საყურადღებო დეტალს გვაუწყებს ამის შესახებ ცნობილი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი, შესანიშნავი მემუარების ავტორი, გიორგი ლასხიშვილი ერთი მეტად ღირსეული ყაბარდოელის პირით: „ორიოდე სადგურის შემდეგ საპატიმრო ვაგონში შემოიყვანეს კიდევ ორი ტუსაღი. ერთ-ერთმა მათგანმა მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება: მაღალი, მშვენიერი ტანი, ჩვენებურად გამოწყობილი მოხუცი, იმერელ თავადად მივიღეთ. სალდათებმა იგი ჩვენთან დასვეს. აღმოჩნდა, რომ ახოვანი მოხუცი ყაბარდოელი იყო. მე პირველად ვხედავდი ჩრდილოკავკასიელს და ცნობისმოყვარეობით გამოვესაუბრე. რუსულად მშვენივრად ლაპარაკობდა, თითქმის უაქცენტოდ, და არცთუ მაინც და მაინც უსწავლელი იყო... მე გადაკვრით დავუწყე ლაპარაკი კავკასიის მდგომარეობაზე...

როგორღაც უხალისოდ მაძლევდა პასუხს და მეც თავი დავანებე. მერე ჩვენ გამოგვკითხა ვინაობა. როცა გაიგო, ქართველები ვიყავით, სიამოვნება გამოაცხადა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ღრმად ამოიოხრა და სთქვა:

— როცა კავკასიის მზე ჩაესვენა, მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა. მე ვიფიქრე — შამილს გულისხმობს მეთქი და ამიტომ რაღაც იმის შესახებ ვკითხე.

— არა, ყმაწვილო, — მიპასუხა მოხუცმა, მე შამილზე როდი მითქვამს. კავკასიის მზე — საქართველო იყო. საქართველომ თავი დაიღუპა და კავკასიაც თან გაიყოლია...“

საღი და სრულყოფილი ეროვნული აზრის დამკვიდრება ჩვენში პირველად ილია ჭავჭავაძემ და მისმა დასმა წამოიწყო. მაგრამ, ვიდრე ეროვნული გრძნობა და გაგება დამკვიდრებას მოასწრებდა ქართველობაში, თითქმის პარალელურადვე ჩნდება მარქსიზმის რუსული დიდმპყრობელური მიმართულება, რომელთა წარმომადგენლებმა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ ხაზს, დაუპირისპირეს ინტერნაციონალიზმის ყალბი ლოზუნგები. ამან მთლად დააბნია თავისი ბუნებით სხვა ერების პატივისმცემელი ქართველი. მარქსიზმის ბრმა მიმდევრებმა რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებანი ინტერნაციონალიზმად მონათლეს, ხოლო პატარა ერების სურვილი — თავიანთი ენისა და ეროვნული თავისთავადობის დაცვისა, — ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად გამოაცხადეს. გულუბრყვილო ქართველთა ერთმა ჯგუფმა რუსეთის იმპერიალისტურ მისწრაფებათა შესანიღბავად გადმოსროლილი „ინტერნაციონალიზმის“ ეს დემაგოგიური ლოზუნგი უმალვე აიტაცა ხელში

და იგი მტერზე არანაკლები თავგამოდებით იბრძოდა თავისი ნაციონალური მეობის, „როგორც კომუნიზმისათვის მავნე და საშიში გამოვლინების“ მოსასპობად, საქართველოში უცხო ტომის ხალხთა ჩამოსასახლებლად, ქართული ენის ნაცვლად „ინტერნაციონალური“ რუსული ენის დასამკვიდრებლად და ისტორიული ქართული მიწა-წყლის მეზობელი ერებისათვის გადასაცემად (რამდენადაც, კომუნიზმის დროს სულ ერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო). ანტიპატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი.

ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე თავს იმით იცავდა, რომ წარსული ეპოქა ვაჟკაცური შემართების ხანა იყო. ხმალდახმალ ბრძოლაში კი ქართველს თითქმის ბადალი არ ჰყავდა. მაგრამ, როცა ხმალი მელურმა დიპლომატიამ შეცვალა, იგი დაიბნა და ვეღარ გაერკვა მტრის თაღლითურ ფანდებში. რა ლოზუნგებს იყენებს საბჭოთა რუსეთი ქართველი ერისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა ასიმილაციისათვის?

ეს ლოზუნგია — „ინტერნაციონალიზმი“ და ამ ტერმინოლოგიის დემაგოგიურ გაშუქებასთან დაკავშირებით სსრ კავშირში შემავალი „ერების დაახლოება“ და „ერთიანი ძმური ოჯახის შექმნა“. რა მოჰყვებოდა, მაგალითად, ამ ლოზუნგის პრაქტიკულ განხორციელებას? ყველა პატარა ერის რუსულ ქვაბში გადახარშვა და სსრ კავშირის გარდაქმნა ველიკორუსულ სახელმწიფოდ. აი, იმპერიალიზმის ახალი ნიმუში, რომელიც დღემდე არ დასიზმრებია არცერთი წეს-წყობილების არცერთ აგრესორ სახელმწიფოს.

ახლა განვმარტოთ, რას ნიშნავს სინამდვილეში ინტერნაციონალიზმი და განვიხილოთ თვით „ძმური ოჯახის“ იაფფასიანი ფრაზა, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ცხოვრებისეულ სინამდვილესთან.

პირველ რიგში, ჯერ სადავოა საკითხი, გამოხატავს თუ არა ინტერნაცინალიზმი შეგნებული კაცობრიობის მისწრაფებებს, მით უმეტეს, როგორც იგი ესმით დღესაც რუსის დიდმპყრობელ-შოვინისტებს. ამის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან ხშირ შემთხვეევაში რომელიმე იდეოლოგიური მიმართულება ჯერ თვითონ შექმნის ხოლმე რაღაც მოსაზრებას და მის გამომხატველ ტერმინს, შემდეგ კი მთელ კაცობრიობას ახვევს თავს როგორც სავალდებულოს.

ინტერნაციონალიზმი კომუნისტური მოძღვრების განუყოფელი ნაწილია. ხოლო ეს მოძღვრება სასარგებლო და მისაღებია თუ არა მთელი კაცობრიობისათვის, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მაგრამ უამისოდაც, ინტერნაციონალიზმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება — „საერთაშორისო“ — მიგვანიშნებს არა კაცობრიობის გაერთიანებაზე, არამედ ერების არსებობაზე, ერთა შორის განწყობილებასა და ინტერესთა შეთანხმებაზე. რუსი ასიმილიატორები კი ინტერნაციონალიზმის ველიკორუსულ ვარიანტს გვთავაზობენ.

ამ ვარიანტის მიხედვით, კომუნიზმი ისე ვერ აშენდება, თუ არარუსმა ხალხმა თავისი ენა და ეროვნული თავისებურება შეინარჩუნა. ამიტომ, მათი გაგებით, თანდათანობით უნდა განიდევნოს ცხოვრებიდან ნაციონალურ უმცირესობათა ენები და ზნე-ჩვეულებანი და მათ ნაცვლად დამკვიდრდეს რუსული.

რა არის ეს, ინტერნაციონალიზმი თუ იმპერიალიზმი? ცხადია, იმპერიალიზმი.

ახლა განვიხილოთ გამოთქმა — „ძმური ოჯახი“. ცხადია, ეს ლოზუნგიც ერების რუსულ ქვაბში თავმოყრას და მათს რუსულად გადახარშვას ითვალისწინებს. თანაც, ეს გამოთქმა ხელოვნურად არის შექმნილი და მას არავითარი საფუძველი არ გააჩნია პრაქტიკულ ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი დაიშალა და დამოუკიდებელი ოჯახები შეიქმნა, განსაკუთრებით ცივილიზაციის დღევანდელ ხანაში, ძმები არათუ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, პირიქით, დამოუკიდებელ ოჯახებს ქმნიან, რადგან სისხლხორცეული ერთობის გარდა მათ მთელი რიგი განმასხვავებელი თვისებები და პიროვნული ინტერესები გააჩნიათ. მაგრამ, თუ გარემოებამ ძმებს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არგუნა, ისინი ამ ბუნებრივი მდგომარეობის გამო ერთიმეორის მოძულენი ხდებიან. და თუ ღვიძლი ძმებიც ვერ უთავსებენ ერთიმეორეს აზრებს, ხასიათებს და მისწრაფებებს, რანაირად შეიძლება სხვადასხვა ტომის ხალხის ინტერესთა შეთანხმება, თუ არა ყველა სხვა ტომელთა დამთრგუნველი რუსული ჩექმა?

ამგვარად, ეგრეთწოდებული „ძმური ოჯახი“ წმინდა წყლის დემაგოგიაა და მას არაფერი არა აქვს საერთო არც ცხოვრებისეულ სინამდვილესთან და არც ერების თანაწევრობასთან. პატარა ერებისათვის, რუსული „ძმური ოჯახი“, ეს იგივე პროკრუსტეს ბუნაგია, სადაც თითოეულ ერს გარდაუვალი სიკვდილი ელის.

აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ მარქსისტული მოძრაობის გარიჟრაჟზე ამოიცნო მარქსიზმის დროშას ამოფარებული რუსი „სოციალისტების“ იმპერიალისტური მისწრაფებები. ამიტომ, იგი საქვეყნოდ ამხელდა მათ ბოროტულ ჩანაფიქრს, რაც არარუს ეროვნებათა უარყოფასა და საკუთარი ერების გაბატონებას ითვალისწინებდა.

აი, რუსი „მარქსისტებისადმი“ მიმართული აკაკის კრიტიკული შენიშვნები, რაც დღეს ფაქტად იქცა:

„მტერი იძახის: „ვინ გაიგონა ახლანდელ დროში ეროვნებაო?
მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“, გულს დაიბეჭდეთ
„მარქსის მცნებაო!“
ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის სულ სხვანაირად გაიყურება:
სცდილობს კისერი მოგვატეხიოს!.. და მით თავის
ერს ემსახურება.
ჩვენს ქართველებს-კი „მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა“ ჰგონიათ
და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად, რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ.
სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა, სხვა უძევთ გულში
მათ დაფარული!
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

(აკაკის შვიდტომეული, ტ. I, გვ. 789; ლექსი — „ჩემი ჭმუნვა“).

ქართველი ერის ისტორიულ უბედურებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერნაციონალისტური ბუნება, იმ დამახინჯებული გაგებით, როგორადაც იგი ეპყრობოდა და ეპყრობა ყველა ჯურის გადამთიელს. სხვა ერებისადმი დამოკიდებულების საკითხში ჩვენმა ზომაგადასულმა სათნოებამ, თვით საქართველოს მტრებისადმიც კი გულთბილმა მოპყრობამ და მათთვის ეროვნულიკ არის ფართოდ გაღებამ, — სტუმართმოყვარეობის ამ დამახინჯებულმა გაგებამ, — უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა გვძულდეს სხვა ერები იმ შემთხვევაში, თუ ისინი არაფერს გვიშავებენ. აკაკის თქმისა არ იყოს, „დეე სუყველამ იბედნიეროს თავის სამშობლოში, თავის მხარეში“, მაგრამ სისულელეა გიყვარდეს შენს მოსასპობად მოსულ დამპყრობელთა ნაშიერები, მიუხედავად იმისა, თუ რა ნიღბით მოგევლინებიან — „უფროსი ძმისა“ თუ „ტყუპის ცალის“ სახით.

ქართველი კაცი კი ისეა დაშინებული ამ ეგრეთწოდებული ნაციონალიზმით, რომ თავისი დამპყრობელისადმი სიძულვილიც მას დანაშაულად მიაჩნია. სინამდვილეში „მონისა სიყვარულია საზიზღარი და არა სიძულვილი ძლიერი, მკაცრი სიძულვილი ბატონისადმი მას სულიერად თავისუფლადა ჰხდის, იგი სრულიად კანონიერი, ღირსეული და დიდი გრძნობაა, რომელიც დიდ საქმეებს ჩაადენინებს მონასა — ნამდვილს, ეროვნულ თავისუფლებას მიანიჭებს. ვინც არ დაიშლის და მასაც შოვინიზმს უწოდებს, — ჩვენ არც სიტყვის გვეშინია, — ვიტყვით მხოლოდ: მონათა შოვინიზმი ბატონთადმი — კეთილი ყოფილა და არა ბოროტი გრძნობა. გაბატონებული ერნი სცდილობენ ტერიტორია წაართვან დამონებულთა და თავისი ელემენტით დაასახლონ, რომ ან გადააგვარონ ეროვნულად, ან განფანტონ იგინი და მოუსპონ თვით სახსენებელი სამშობლოსი. აი ეს არის ნამდვილი შოვინიზმი, და არა ის, რომ მონას თავისი ბატონი სძულდეს და სცდილობდეს მის კლანჭებს თავი და თავის სამშობლო გამოსტაცოს“ (მ. წერეთელი, ერი და ცხოვრება, გვ. 139).

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რაც დღევანდელი საქართველოს არსებობას უფრო მეტი საშიშროების წინაშე აყენებს, ვიდრე ეს იყო წარსულში. მართალია, საქართველო ხშირად ექცეოდა წინათ მტრის კლანჭებში, მაგრამ მაშინ საქმეს ის აიოლებდა, რომ ერს საშობლოსადმი თავდადებული თავისი საკუთარი მთავრობა და ხელმძღვანელობა ჰყავდა. და ისინი არა მარტო სათავეში ედგნენ სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლებს, არამედ პირველ რიგში თვითონ ეწირებოდნენ ერის ინტერესებს.

სამშობლოსადმი თავდადებულთა ამ პლეადის შესანიშნავი წარმომადგენლები იყვნენ ვახტანგ გორგასალი, ნერსე ერისთავი, დავით და კონსტანტინე მხეიძეები, დიმიტრი თავდადებული, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და სხვა მრავალნი.

დღეს კი ჩვენი ერის მართვის საქმე მტრის მსახურთა ხელშია, რომლებიც

კარიერაზე ყიდიან თავისი ერის ინტერესებს. ამის გამო დღეს არავითარი საერთო არ არსებობს ქართველ ხალხსა და მის ლიდერებს შორის. ხალხის მისწრაფება ეროვნული თვითმყოფადობის დაცვაა. ხელმძღვანელი კასტა კი პირიქით ახშობს პატრიოტულ გამოვლინებებს, რასაც „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“ უწოდებს და დამპყრობლის გაბატონებას უწყობს ხელს საქართველოში ინტერნაციონალიზმის ყალბი ლოზუნგებით.

ასე რომ, ახლანდელი „ქართული მთავრობა“ სინამდვილეში მტრის მე-5 კოლონაა, რომელზე დაყრდნობითაც დამპყრობელი გაცილებით უფრო მეტს აკეთებს ქართულ მიწაზე ქართული სიტყვის მოსასპობად, ვიდრე იგი შეძლებდა არაქართული მთავრობით. რატომ? „ქართული მთავრობა“ ერში ქმნის მოჩვენებითი თავისუფლების ილუზიას და ამცირებს წინააღმდეგობის გაწევის ძალას ამ მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკის მიმართ. რუსული მმართველობა კი ერს თავისთავად გამოაფხიზლებდა საღათას ძილისაგან და წინ აღუდგებოდა იგი რუსეთის წამლეკავ გავლენას. აი, რატომ აწყობდა დამპყრობელს საბჭოთა იმპერიაში შემავალი ერების გასარუსებლად ნაციონალურ უმცირესობათა ანტიეროვნულ კადრებზე დაყრდნობა.

რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობისა და მისი შედეგების მოკლე ისტორიული მიმოხილვა (1491-1783 წლები)

მას შემდეგ, რაც საქართველოს დასავლეთიდან კულტურული ბიზანტიის ნაცვლად ველური თურქეთის სახელმწიფო გაუმეზობლდა, საქართველო უდიდესი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ერთის მხრივ თურქეთი, და მეორეს მხრივ ირანი სიკვდილის აჩრდილებივით აღიმართნენ საქართველოს წინააღმდეგ. საქართველო კი ორი მხრით მოზღვავებულ მტერს დაშლილი და გათიშული დახვდა.

მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ერთის მხრივ გაერთიანებული საქართველოს დაშლა რამდენიმე სამეფო-სამთავროდ, ხოლო მეორეს მხრივ თურქეთის, ირანისა და რუსეთის ჩამოყალიბება მძლავრ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად.

1480 წელს რუსეთმა გაინთავისუფლა რა თავი მონღოლთა ბატონობისაგან, იგი თვით გადაიქცა უდიდეს აგრესორად. რუსეთის სახელმწიფომ მიზნად დაისახა მსოფლიო იმპერიის დაარსება მოსკოვის მეთაურობით. რუსთა მსოფლიო იმპერიის შექმნის იდეა პირველად ბერმა ფილიფეიმ წამოაყენა. იგი ვასილ III-ისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „მოსკოვი, დიდი მსოფლიო ქალაქების — ძველი რომისა და მეორე რომის — კონსტანტინოპოლის მემკვიდრეა, — მოსკოვი მესამე რომია, მეოთხე რომი კი არ იქნება“.

თათართა დამარცხებამ და ქრისტესმოყვარე რუსეთის გაძლიერებამ დიდი სიხარული გამოიწვია საქართველოში. მას შემდეგ, რაც ჩაიშალა რომის პაპის ცდა თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის მოწყობისა, საქართველოს მეფე-მთავრებმა თვალი რუსეთს მიაპყრეს. ისინი რუსეთისაგან, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანებისაგან, უანგარო დახმარებას მოელოდნენ.

ყველაზე ადრე რუსეთთან ურთიერთობა კახეთის სამეფომ დაამყარა, რამდენადაც იგი უფრო ახლო იყო იმ გზებთან, რომლითაც მაშინ საქართველო ჩრდილოეთს უკავშირდებოდა.

1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრემ ელჩები გააგზავნა მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-სთან მოსალაპარაკებლად. ეს იყო რუსეთ-საქართველოს პირველი დიპლომატიური ურთიერთობა... ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა როგორც კახეთის, ასევე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების დაახლოება რუსეთთან. რუსეთი კი თანდათანობით ძლიერდებოდა დაპყრობილ ხალხთა ხარჯზე და ნელა, მაგრამ მტკიცედ მოიწევდა სამხრეთისაკენ.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურთაგან პირველი ყველაზე დიდი დამპყრობელი ივანე მრისხანე იყო. იგი აგრესიულ ომებს ეწეოდა ერთის მხრივ ბალტიისპირეთის, ხოლო მეორეს მხრივ ვოლგისპირეთისა და დასავლეთ ციმბირის ხელში ჩასაგდებად. როცა მან ყაზანისა და ასტრახანის სახანოები დაიმორჩილა და ამრიგად ვოლგა-ასტრახანის

გზაზე გაბატონდა, ამის შემდეგ იგი კავკასიას მოადგა.

რუსეთის მეფემ, კავკასიის ხელში ადვილად ჩაგდების მიზნით, გადაწყვიტა გამოეყენებინა იქ მცხოვრები ქრისტიანები. ამ მიზნით, იგი კახეთის მეფე ლევანს დაუკავშირდა და „მფარველობა“ შესთავაზა. ლევანმა სიამოვნებით მიიღო იგი. ივანე მრისხანემ 1564 წელს მდ. თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე-სიმაგრე ააგო და შიგ ჯარი ჩააყენა. მე-16 საუკუნისათვის რუსეთმა უკვე თავის ბატონობას დაუმორჩილა ყაზანელი და ასტრახანელი თათრები, — აგრეთვე ბაშკირები, ჩუვაშები, მორდოველები, მარელები, უდმურტები და დასავლეთ ციმბირის ხალხები.

ირანი და თურქეთი შიშით ადევნებდნენ თვალს რუსეთის გაძლიერებას და მის აგრესიულ სვლას სამხრეთისაკენ. ცხადია, ისინი კარგად ხედავდნენ იმ დიპლომატიურ ძაფებსაც, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის იბმებოდა.

1501 წელს ირანის შაჰი ისმაილი პირობით შეეკრა თურქეთის სულთანს, რომ საშიშროების თავიდან ასაცილებლად გაეწყვიტათ მთელი საქართველო. „შაჰ ისმაილი აფრთხილებდა სელიმს, რომ საქრისტიანო საქართველოსაგან ცუდი ბოლო მოელის სამაჰმადიანო ოსმალეთსაც და სპარსეთსაცო“ (ს. ფურცელაძე, გ. სააკაძე და მისი დრო, გვ. 53).

კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებით შეშფოთებულმა თურქეთმა გადამწყვეტ ღონისძიებას მიმართა. მან ომის მუქარით აიძულა რუსეთი გაეყვანა ჯარები თერგის ციხიდან.

ამრიგად, საქართველო სამი მხრიდან, სამი ძლიერი აგრესორის პირისპირ აღმოჩნდა. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ საქართველოს მაშინდელი და შემდეგდროინდელი მესვეურებიც, მათგან მხოლოდ ორს ხედავდნენ. მესამე კი, ყველაზე ულმობელი აგრესორი ძმად და მფარველად ეჩვენებოდათ. მათ სრულიადაც ვერ წარმოედგინათ, რომ სწორედ მესამე, მოყვრის ნიღბით მოვლენილი მტერი მოინელებდა საქართველოს. სამეფო-სამთავროთა შორის ატეხილი ბრძოლით და გარეშე მტერთა შემოსევის შედეგად დაუძლურებული საქართველო ხსნას რუსეთთან კავშირში ხედავდა. რუსეთს კი, როგორც ვთქვით, დასახული ჰქონდა მიზნად კავკასიის ხელში ჩაგდება. იგი თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ადგილობრივი ელემენტების გამოყენებით ცდილობდა. ამ შემთხვევაში მისთვის საუკეთესო დასაყრდენს საქართველო წარმოადგენდა.

რუსეთის ცბიერი პოლიტიკა თავიდანვე აგებული იყო ქართველთა გულუბრყვილობაზე, მათს მხურვალე სარწმუნოებრივ გრძნობაზე. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა იცოდნენ რა საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა, ისე წარმოუდგინეს ქართველებს საქმის ვითარება, რომ თითქოს რუსეთის ერთადერთი მიზანი ქრისტიანი ქართველების შველა ყოფილიყოს. ამ მოჩვენებითი თანაგრძნობით, 1585 წელს რუსეთის მთავრობამ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს „მფარველობა“ შესთავაზა.

ცხადია, ალექსანდრემ სიამოვნებით მიიღო „ღვთით მოვლენილი

მფარველის“ წინდადება. 1587 წელს მეფე ალექსანდრემ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. 1589 წელს კი რუსეთის მეფემ ალექსანდრეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა. კახეთის მაგალითით რუსეთს დაუკავშირდა აგრეთვე ქართლის მეფე გიორგი X.

„რუსეთთან დაახლოების გამო კახეთის მეფე განსაკუთრებულ რთულ მდგომარეობაში მოექცა: ერთი მხრით, მას მოსკოვთან კავშირისა და ოსმალეთის „ორგულობისათვის“ სულტანი ემუქრებოდა. მეორე მხრით, ირანის შაჰიც „მოღალატედ“ სთვლიდა ალექსანდრე მეფეს. ამავე დროს ხელშესახები რამ სანუგეშო კახეთისათვის მოსკოვის მეფესთან კავშირს არ მოჰყოლია“ (საქ. ისტ. 1948 წ., გვ. 326).

სწორედ ამ ხანებში ირანში შაჰის ტახტი დაიკავა აბას მირზამ (შაჰ-აბასმა), კიროსის შემდეგ ირანის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ. ამ კაცის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიასთან, ვინაიდან რუსული ორიენტაციით გამოწვეული პირველი და ყველაზე ტრაგიკული შედეგი სწორედ შაჰ-აბასის შემოსევა იყო.

ტახტზე ასვლისთანავე შაჰ-აბასმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუსეთ-საქართველოს შორის გაჩაღებულ დიპლომატიურ ურთიერთობას. მან სწორად შეაფასა სპარსეთისათვის მოსალოდნელი საფრთხე, თუ რუსეთი კავკასიაში დამკვიდრდებოდა. ამიტომ შაჰ-აბასმა პირველ ხანებში საფრთხის თავიდან ასაცილებლად სცადა მოესპო ის პირები, რომელთა მეშვეობითაც საქართველო რუსეთს უკავშირდებოდა. საკუთარი შვილის ხელით მან 1605 წელს სიცოცხლეს გამოასალმა რუსული ორიენტაციის მომხრე, კახთა მეფე ალექსანდრე II. ნელმოქმედი საწამლავით მოუღო ბოლო აგრეთვე რუსეთის მოტრფიალე ქართლის მეფე გიორგი X-ს. მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. ალექსანდრეს შემდეგ ტახტს იკავებს მისი შვილიშვილი თეიმურაზ I, ხოლო ქართლში გამეფდება ლუარსაბ II, რომლებიც კვლავ რუსულ ორიენტაციას მიჰყვებიან.

შაჰ-აბასმა კიდევ ერთი ღონისძიება იხმარა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოსაშორებლად. მან ქართლ-კახეთის მეფეებთან ნათესაური კავშირის დამყარებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება. ამ მიზნით, ის ცოლად ირთავს ჯერ ლუარსაბ მეფის დას ლელას, შემდეგ კი — თეიმურაზ I-ის დას. ხოლო თვით თეიმურაზს აიძულებს ცოლად შეირთოს ლუარსაბის და ხორეშანი. მაგრამ ვერც ამ ღონისძიებით აღწევს შედეგს.

მაშინ შაჰ-აბასი გადაწყვეტს მუხანათური გზით მოუღოს ბოლო რუსთმოყვარე მეფეებს. ამ მიზნით იგი წერილს სწერს ყაზახის ხანს, რომ მოკლას ქართლის მეფე ლუარსაბი, იმავდროულად, მსგავსი შინაარსის წერილს უგზავნის ლუარსაბსაც. მაგრამ ლუარსაბი დაასწრებს ყაზახის ხანს და მოჰკლავს მას.

რაკი ლუარსაბი გადარჩა, შაჰ-აბასი ახლა საიდუმლო წერილს უგზავნის თეიმურაზს და ატყობინებს, რომ ლუარსაბს გადაწყვეტილი აქვს შენი სიკვდილი და ამ გზით შენი სამეფოს დაჭერაო, — ამიტომო, სწერს იგი

თეიმურაზს, დაასწარი და შენ მოჰკალი ლუარსაბი და მის სამეფოს შენ მოგცემო. ასეთივე შინაარსის წერილი მან ლუარსაბსაც გაუგზავნა. შაჰ-აბასი მასაც აფრთხილებს, რომ თეიმურაზს შენი სიკვდილი უნდა და ურჩევს, რომ შენ დაასწარი მას, მოკალ იგი და კახეთს შენ მოგცემო. მაგრამ ისინი არ წამოეგნენ შაჰ-აბასის დაგებულ ანკესს. კარისკაცთა რჩევით მათ წერილების შინაარსი ურთიერთს გააცნეს, რითაც გამომჟღავნდა შაჰ-აბასის მზაკვრობა.

შაჰ-აბასის ამ განზრახვის ჩაშლის შემდეგ ყველა გზა უკვე ამოწურული იყო რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილებისა. პირიქით, რაც დრო გადის, ქართლ-კახეთის მეფეები (განსაკუთრებით თეიმურაზ I) კიდევ უფრო მეტად უახლოვდებიან რუსეთს. „ამის უკან, რის მომლოდინე უნდა ყოფილიყო ყოველი გონივრული ხელმწიფე სპარსეთისა საქართველოსაგან?! რა ღონისძიებაღა დარჩენილიყო, რომ სპარსეთი ასცდენოდა იმ საშინელს მომავალს, რომელიც მოელოდა ამგვარი მძლავრი სახელმწიფოს დამეზობლებით? ერთადერთი ღონე იყო... ან მოსპობა ქართველთ სახელისა, ან გაწირვა სპარსთა საბოლოოსი. რაღა თქმა უნდა, როდესაც სხვა მეცადინეობა არ გაუვიდა, აბასმა არჩია, თავის სახელმწიფოს დაღუპვას, ბოლოს მოღება საქართველოსი. ამას არა ჰხედავდნენ დღევანდლამდისაც ჩვენი მემატიანე და მწერალნი, რომელთაც ყველა უბედურებაში ხელი ჩამოაწმინდეს სააკაძეს“ (ს. ფურცელაძე, სააკაძე და მისი დრო, გვ. 56-57).

უნდა ითქვას, რომ „იმ გზას, რომელსაც დაადგნენ მეფენი კახთა მეფის ალექსანდრე მეორიდან დაწყობილი, ვიდრემ თეიმურაზისა და ლუარსაბამდის, სააკაძე არა ჰხედავდა საქართველოსათვის საკეთილოდ“ (იქვე, გვ. 92).

ჩვენ აღარ შევუდგებით იმ უბედურებათა აღწერას, რაც კახეთს დააწია შაჰ-აბასმა რუსეთთან დაკავშირების გულისათვის. ეს თითქმის ყველასათვის ცნობილია.

რაც შეეხება რუსეთის „დახმარებას“ საქართველოს მიმართ, იმაში გამოიხატა, რომ მოციქულები გააგზავნეს ირანში შაჰ-აბასთან თხოვნით — ლუარსაბ მეფის, თეიმურაზის დედისა და შვილების ტყვეობიდან გასანთავისუფლებლად. შაჰ-აბასი ისედაც შეშფოთებული იყო საქართველოში რუსეთის დამკვიდრების საშიშროებით, და, ახლა რუსთა მოციქულების აშკარა გამოსვლამ ქართველთა „მფარველის“ როლში, მთლად გააცოფა იგი: „ეს ფაქტი გახდა ერთ-ერთი მიზეზი შაჰ-აბასის მიერ ლუარსაბისა და ქეთევანის მოკვლისა“ (იქვე, გვ. 66).

განა ცხადი არ არის, რომ, თუ მაშინ საქართველო არ დაუკავშირდებოდა რუსეთს, რომელსაც მხოლოდ საკუთარი მიზნები ამოძრავებდა, აუცილებლად ასცდებოდა იგი შაჰ-აბასის გამანადგურებელ შემოსევებს? ამ პირობებში საჭირო იყო არა უაზრო ხელის პოტინი რუსეთისაკენ, არამედ როგორც თურქეთთან, ისე ირანთან ფრთხილი პოლიტიკის წარმოება, — თუნდაც დარჩენა გარკვეულ მომენტამდე იმ ვასალურ მდგომარეობაში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მომენტი. ქართველი მეფეები უმეტეს შემთხვევაში ისე სთხოვდნენ საჯაროდ დახმარებას რუსეთს და შედიოდნენ მის ეგრეთწოდებულ „მფარველობაში“, რითაც უაღერსად აღიზიანებდნენ ირან-ოსმალეთს და ამხედრებდნენ საქართველოს წინააღმდეგ, რომ სრულებითაც არ სწავლობდნენ თვით რუსეთის შესაძლებლობასა და მისწრაფებას ქართველთა დასახმარებლად.

მაგალითად, თეიმურაზ I რუსეთს დაუკავშირდა ირანის წინააღმდეგ და დახმარებას სთხოვდა, როცა თვით რუსეთი წელში იყო გაწყვეტილი პოლონელი ინტერვენტებისა და მათ წარმომადგენელ ცრუ დიმიტრებთან ბრძოლაში. რა დახმარება შეეძლო ასეთ პირობებში რუსეთს, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა ამისთვის? აი, რას სწერს ამის შესახებ ჩვენი სახელგანთქმული ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: „როგორც გამოირკვა, საქართველოს რუსეთის სამეფოსა და რუსი ხელმწიფის შესახებ მაშინ ნამდვილი წარმოდგენა არ ჰქონია. ამ ქვეყნისა და მისი მბრძანებლის შესახებ საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ცნობის მიმწოდებლები თავიდან შემთხვევითი პირები იყვნენ, რომელთაც სხვათაგან გაგონილის მოთხრობა შეეძლოდ მხოლოდ. ამ ზეპირი, ზერელე ნაამბობით საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებმა მაშინდელი რუსეთი საქართველოსთან ტერიტორიულად უკვე მოახლოვებულ ქვეყნად და მისი ხელმწიფე უძლეველ და უქრისტიანეს მეფედ წარმოიდგინეს, რომელსაც მარტო მაჰმადიანთა დამარცხება და აღმოსავლეთის დაჯაბნულ ქრისტიანების დახმარებით უღვივოდა გული“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ. ტ. V, გვ. 55).

სხვათა შორის, იგივე მიზეზით უნდა აიხსნას ქართველი ერისათვის უაღრესად ჩირქის მომცხები ის ფაქტი, რომ საქართველოსა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ხატად ქცეულ ულამაზეს და უდარბაისლეს ქალს — მეფე თამარს ქმრად მოჰგვარეს ყივჩაღეთში შეხიზნული მაწანწალა, ყოვლად ზნედაცემული გიორგი რუსი.

რამდენადაც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება საქართველოს თაოსნობით ხდებოდა, ამიტომ შაჰ-აბასმა თავდაპირველად გადაწყვიტა საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის სავსებით აღმოფხვრა და იქ სპარსელთა დასახლება. მაგრამ ქართველთა გმირულმა წინააღმდეგობამ შაჰ-აბასს ხელი ააღებინა ამ გეგმაზე. ირანი ბოლოს იმით დაკმაყოფილდა, რომ საქართველოს მეფედ გამაჰმადიანებული როსტომი დანიშნა.

თუ რა დამღუპველი იყო საქართველოსათვის რუსული ორიენტაცია და იმ პირობებში შედარებით სასარგებლო სპარსეთისადმი მოჩვენებითი ერთგულება, კარგად ჩანს ერთის მხრივ იმ საშინელი შედეგებით, რაც საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამ მოუტანა, ხოლო მეორეს მხრივ იმ ხელსაყრელი პირობებით, რაც საქართველოს შეექმნა სპარსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებით, როსტომის მეფობის ხანაში და მას შემდეგაც, ვიდრე ვახტანგ VI-მ კვლავ არ გადაიკიდა სპარსეთი და ოსმალეთი ისევ რუსეთთან დაკავშირების მეოხებით.

შემცდარია, ვინც როსტომს ანტიპატრიოტად თვლის და უარყოფით შეფასებას აძლევს მისი მეფობის ხანას. როსტომი იყო საქართველოს დიდი მოჭირნახულე, კარგი ორგანიზატორი და ნიჭიერი პოლიტიკოსი. თანაც, საუკეთესოდ შერჩეული კანდიდატი საქართველოსა და სპარსეთს შორის იმ დაძაბული ურთიერთობის ხანაში.

მდგომარეობა თეიმურაზ I-მა და ლუარსაბ II-მ გაამწვავეს თავიანთი უგუნური პოლიტიკით, რაც საქართველოს ზღვა სისხლის ფასად დაუჯდა. ხოლო როსტომმა ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკის წყალობით დააშოშმინა გამძვინვარებული ირანი და გრანდიოზული მუშაობა ჩაატარა დანგრეული საქართველოს აღსადგენად.

როსტომის დროს შეწყდა სპარს-ოსმალთა თარეში. მშვიდობიანობა და წესრიგი დამყარდა ქვეყანაში. დაიწყო დანგრეული ქალაქებისა და სოფლების ხელახლა გაშენება. ძველი ქალაქების აღდგენასთან ერთად როსტომის თაოსნობით აშენდა ახალი ქალაქიც (დღევანდელი წითელქალაქი). დიდი ყურადღება ექცეოდა სავაჭრო გზების დაცვასა და მოვლას, გაშენდა ქარვასლები, ხიდები, ციხე-გალავნები და სხვ. როსტომის დროს აშენდა მდ. ხრამზე „გატეხილი ხიდი“.

საქალაქო ცხოვრებასთან ერთად კვლავ აღორძინდა სოფლის მეურნეობაც. აღდგენილ იქნა არა მარტო ძველი სარწყავი სისტემა, არამედ ბევრი ახალი არხიც გაიყვანეს, მათ შორის ძევერისა, ტყიურეთისა, კარალეთისა, გარეჯვრისა და თორტიზისა.

ქვეყნის აღმშენებლობასთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა წარმოებდა კულტურის სფეროშიც. როსტომის სახელოვანი მეუღლის მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება“. ფარსადან გორგიჯანიძემ შეადგინა „საქართველოს ისტორია“. მე-17 საუკუნეში შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ხელნაწერები.

შემოქმედებითი მუშაობა ლიტერატურაში, ისტორიაში და სხვა დარგებში კიდევ უფრო გაიზარდა მომდევნო ხანაში, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს. განათლებისა და კულტურის მთელ საქმიანობას უშუალოდ მეფე ვახტანგ VI ხელმძღვანელობდა. ვახტანგის ინიციატივით და ანთიმ ივერიელის დახმარებით საქართველოში 1709 წელს მოეწყო პირველი ქართული სტამბა. მანვე შეადგინა ქართული სამართლის კრებული. ვახტანგ VI-ის დროს შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა კულტურის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები.

ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგა. საქართველოს ოდინდელი ძლიერების აღსადგენად საჭირო იყო მხოლოდ გარეშე ხელშემწყობი პირობები და თანდათანობით საქართველოს გაერთიანება. ეს კი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ საქართველოს მესვეურები რამდენად წინდახედულ პოლიტიკას აწარმოებდნენ მეზობელ ქვეყნებთან. სწორი საგარეო პოლიტიკა ხომ ყველაზე აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს არსებობა-განვითარებისათვის, ვინაიდან ერთ არასწორ პოლიტიკურ ნაბიჯს შეუძლია რამდენიმე საათში დაანგრიოს

ათასწლობით ნაგები ქვეყანა.

საუბედუროდ, ვახტანგ VI რამდენადაც ძლიერი იყო კულტურული მოღვაწეობის სფეროში, იმდენადვე იგი სუსტი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. „ვახტანგ VI იყო კულტურის გატაცებული მოტრფიალე, მწიგნობარი, მაგრამ არ იყო არც ჯარის სარდალი და არც ისეთი მმართველი, როგორიც სჭირდებოდა მაშინ დანგრეულ საქართველოს. მას არ ჰქონდა ფოლადის სული, არც მას და არც თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს“ (არტურ ლაისტი, საქართველოს გული, წიგნი II, გვ. 74). ვახტანგ VI-მ თავისი პოლიტიკური წინდაუხედაობით საშინელ განსაცდელში ჩააგდო საქართველო, ამ შემთხვევაშიც საქართველოს დაღუპვის მიზეზი „ერთმორწმუნე“ რუსეთი შეიქნა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სამეფო ტახტზე ავიდა პეტრე I, რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო. პეტრე I-მა დაიწყო ბრძოლა ჯერ თურქეთთან, ყირიმის ხელში ჩასაგდებად, ხოლო შემდეგ შვედებთან — ბალტიისპირეთის დასაპყრობად. შვედებთან ბრძოლა მან წარმატებით დაამთავრა. რუსეთმა ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა.

დაპყრობითი ომების გარდა, პეტრე I-მა დიდი ყურადღება მიაქცია რუსეთში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. რუსეთის ვაჭრობის გაფართოების მიზნით მან გადაწყვიტა, ხელში ჩაეგდო ჯერ სპარსეთის ბაზარი, ხოლო იქიდან ინდოეთში შეჭრილიყო. იმისათვის, რომ ეკონომიურად ხელში ჩაეჭირა სპარსეთი და იქ თავისი გავლენა განემტკიცებინა, საჭირო იყო ჯერ კავკასიაში დამკვიდრებულიყო. პეტრე I-მა გადაწყვიტა კავკასიაში მცხოვრები ქრისტიანები გამოეყენებინა როგორც დამხმარე ძალა თავისი გეგმის განსახორციელებლად.

ამ მიზნით 1720 წელს მან ვახტანგ VI-ს თავისი წარმომადგენლის პირით ირანის წინააღმდეგ გამოსვლა მოსთხოვა. პეტრე I-ის ელჩმა ისე თვალთმაქცურად წარმოუდგინა საქმე ვახტანგ VI-ს, რომ ვითომც პეტრე I-ს გაეგოს, რომ ერთმორწმუნე ქართველებს მაჰმადიანები ავიწროებდნენ და ამის გამო გაბრაზებულს გადაეწყვიტოს ირანის წინააღმდეგ გალაშქრება.

ვახტანგ VI-მ ეს თაღლითური ტრიუკი სინამდვილედ მიიჩნია. პეტრე I-ის შემოთავაზებული წინადადება ქართველებისადმი „უანგარო დახმარებისა“, როგორც თვით ელჩიც უმტკიცებდა, ვახტანგ მეფემ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივ გრძნობებს მიაწერა. გულუბრყვილო ვახტანგ VI-მ, ალბათ, გონებით თვალით წარმოიდგინა კიდეც საქართველოს „დასახმარებლად“ ასტრახანის გზით მომავალი მართლმადიდებელი რუსეთის ჯარი: „ჯარს წინ მოუძღვის ღვთისმშობლის ხატით შუბლშეჭმუხვნილი პეტრე I. აღშფოთებულია!.. ალბათ, მაჰმადიანთა თავხედობით. თმა გასთეთრებია და შუბლი დაღარვია ერთმორწმუნე ქართველებზე ფიქრით. ჯარს აჩქარებს, სურს მალე მიეშველოს გაჭირვებულ ქართველებს...“

დარბაზის წევრთა შორის ზოგიერთი უფრო წინდახედული აღმოჩნდა. ისინი ვახტანგ VI-ს უმტკიცებდნენ, რომ სახიფათოა საქართველოსათვის ამ ომში ჩარევაო, მაგრამ ვახტანგ VI ისე იყო დარწმუნებული რუსების

კეთილშობილურ მისიაში, რომ მან ყურიც არ ათხოვა საღ რჩევას. პეტრე I-ის მოწოდების თანახმად, ვახტანგ VI-მ საჩქაროდ მოაგროვა 40 ათასი ჯარისკაცი და განჯისაკენ გაილაშქრა. თანახმად პაემანისა, ვახტანგი და პეტრე ერთმანეთს შამქორში უნდა შეხვედროდნენ, ამიტომ ვახტანგმაც აქ დაიბანაკა თავისი ჯარით და დაუწყო ლოდინი რუსთა ლაშქარს. 1723 წლის 6 სექტემბერს ვახტანგ მეფის სამხედრო მოქმედების შესახებ უკვე აცნობეს პეტრეს დარუბანდში. პეტრე კი მეორე დღეს აიყარა თავისი ჯარით და ასტრახანში დაბრუნდა.

იმის გამო, რომ სპარსეთის ვაჭრობის ხელში ჩაგდება პრაქტიკულად უფრო რთულ აღმოჩნდა, ვიდრე თეორიულად ეხატებოდა პეტრე I-ს, მან ამ გეგმაზე ხელი აიღო. რაც შეეხება მის მიერ ომში ჩათრეულ და მტრის პირისპირ მიტოვებულ საქართველოს, მართალია, სამხედრო დახმარება ვერ გაუწია, მაგრამ, სამაგიეროდ, ვახტანგ მეფეს იმისთანა „ჭკუაზე დარიგება“ შემოუთვალა, რომ სამხედრო დახმარებას „ნამდვილად სჯობდა“. „ბრძოლა განაგრძეო“, — ურჩევდა იგი მეფეს თავისი ელჩის პირით, და „თუ გაიმარჯვებ, მაშინ დიდად მოიგებ იმიტომ, რომ ურწმუნოთა ბატონობისაგან განთავისუფლდებიო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 64).

„ვაშა და დიდება მართლმადიდებელ რუსეთს! ამაზე უკეთესი რაღა გინდა? ქართველი ხალხი ორიათასი წელი ებრძოდა დამპყრობლებს, მაგრამ, თუ გამარჯვებით „დიდად მოიგებდა და მტრის ბატონობისაგან განთავისუფლდებოდა, ეს კი აღარ იცოდა“. და „პირველად ქართველებმა ეს უტყუარი ჭეშმარიტება ერთმორწმუნე რუსთა მეშვეობით გაიგეს“. „აი ამის შემდეგ ზოგი ვინმე კიდევ გამოვა და იტყვის — „რუსეთს საქართველოსათვის დახმარება არ გაუწევიაო“. „რა უმადურობაა! მოდი და კიდევ ჰქენი სიკეთე“.

საშინელ განსაცდელში ჩავარდა საქართველო — სპარსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა და რუსეთის მხარეზე დგომა — მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. რუსეთ-სპარსეთის ომამდე საქართველო მშვიდობიან ურთიერთობაში იმყოფებოდა როგორც სპარსეთთან, ისე ოსმალეთთან. „მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მიმხრობოდა, ოსმალეთისაგან მაინც საქართველოს განსაცდელი არ მოელოდა. პირიქით, სანამ პეტრე I ვახტანგ მეფეს საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმევინებდა, ოსმალეთი არზრუმის ფაშის პირით ვახტანგ VI-ს მფარველობას ჰპირდებოდა. მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ ერევნიდან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგაც...

მაგრამ საქმე მარტო ამით არ დამთავრებულა. როდესაც პეტრე I-მა დაინახა, რომ ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებდა, 12-ივნისს 1724 წელს ოსმალეთთან სწრაფად შეჰკრა ზავი, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 65-66).

სპარსეთი ხომ კიდევ უფრო უარესად იყო აღშფოთებული საქართველოს მოქმედებით. საქართველოს რუსეთთან მიმხრობამ და სპარსეთის წინააღმდეგ გამოსვლამ „შესამჩნევად გაამწვავა სპარსეთის მძულვარება, და მისი გაშმაგებული მტრობა საქართველოსადმი მთელ მე-18 საუკუნის განმავლობაში აიხსნება უმთავრესად რუსეთისა და საქართველოს დაახლოებით. ამ გარემოებამ აუცილებლივ დააჩქარა საქართველოს პოლიტიკური ნგრევა...“ (არტურ ლაისტი, საქართველოს გული, წიგნი II, გვ. 78).

საქართველოში ოსმალებისა და სპარსელების (ხოლო ამ უკანასკნელთა წაქეზებითა და მხარდაჭერით, აგრეთვე ლეკების) თარეშის შედეგად იმდენად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ ვახტანგ VI-მ მიატოვა მისივე პოლიტიკით გაუბედურებული ქვეყანა და რუსეთში გადასახლდა. მან თან გაიყოლია საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მთელი ნაღები ერისა, სულ 1200 კაცი. ეს ციფრი ძალზე დიდია იმ დროის საქართველოსათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა მათგანი იყო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი მეცნიერი და კულტურის მუშაკი.

საქართველოს ისტორიაში ის აზრია დამკვიდრებული, რომ, თითქოს, ვახტანგ მეფე რუსეთში თავისი არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვანი დასით მყუდრო ცხოვრების მოსაპოვებლად კი არ წავიდა, არამედ იგი დახმარების მისაღებად გაემგზავრა და ამ დახმარების ლოდინში ჩარჩა იქაო. ჯერ ერთი, არავითარი გამართლება არა აქვს იმ მძიმე ჟამს მეფის მიერ ქვეყნის მიტოვებას და დახმარების მისაღებად პირადად მის წასვლას რუსეთში. ამისათვის მას შეეძლო თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა. თუ რუსეთის მთავრობას დახმარების გაწევა სურდა, იგი ამ შემთხვევაშიც დაეხმარებოდა. მეორეც, თუ ვახტანგ VI მხოლოდ დახმარების მისაღებად მიდიოდა და მალე უკან დაბრუნებას აპირებდა, რა საჭირო იყო თან რომ გაიყოლია 1200 კაცი?!.

მთავრობის მიერ ხალხის ასე ღვთის ანაბარად მიტოვების შემდეგ რუსეთში გახიზვნა, როგორც სენი, ისე მოედო ქვეყანას. მეფის მიბაძვით ყველა რუსეთში გარბოდა მშვიდი ცხოვრების საძიებლად. საქართველოს მიწა-წყალზე კი ბაში-ბუზუყები მკვიდრდებოდნენ. ვახტანგ VI-ის აღნიშნული მოქმედება ერის ღალატია. ისტორია ვალდებულია, სათანადო მსჯავრი დასდოს მის დანაშაულებრივ საქციელს.

მაგრამ, ეს მხოლოდ ვახტანგ VI-ზე ითქმის? აიღეთ, თუნდაც თეიმურაზ I. როგორც ვახტანგ VI, ისე თეიმურაზ I-ც, თავის ქვეყანაში მეფობდა მანამდე, სანამ სიმშვიდე იყო და ხელს არავინ უშლიდა ლექსების წერაში. მაგრამ, რაწამს ერს განსაცდელი დაადგებოდა, მისივე მცდარი პოლიტიკის წყალობით, იმ წუთშივე მიატოვებდა ხალხს უმწეოდ და იმერეთში გარბოდა მყუდრო თავშესაფრის საძებნელად. ქვეყანას მაშინ უნდა პატრონობა, როცა თავზე გასაჭირი ადგას, თორემ გაშლილ სუფრაზე ყველა

მოახერხებს თამადობას. შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად კახეთი ცეცხლში იწვოდა. „თეიმურაზ I კი შტვირის გუდით იმერეთში კარი-კარზე დაწანწალებდა და „შაიფარვანიას“ ლათაიობდა“-ო — წერდა აკაკი წერეთელი (აკაკის კრებული, XI, 1897, გვ. 27). მართლაც და, ქვეყნისთვის ისეთ შავბნელსა და ქარტეხილებით აღსავსე ხანაში, როგორიც შაჰ-აბასის ეპოქაა, ნუთუ სახელმწიფოს მმართველს მეტი საქმე არა ჰქონდა, რომ ლექსების საწერად მხართეძოზე წამოწოლილს მუზებზე ეფიქრა?

საქართველოს ისტორიაში არცთუ ცუდი რეპუტაციით სარგებლობს თეიმურაზ I-ის პაპა, რუსეთის მოტრფიალე ალექსანდრე II. ამ კაცის სახით თუ როგორი პატრონი ჰყავდა ქვეყანას, ნათლად ჩანს მისივე „საპროგრამო“ სიტყვიდან: „რამე თუ ესრეთ შენ (გაშენებული) იყო კახეთი, ვითარ ძნიად (ძნელად) სადმე იპოვებოდა სანადირონი, და ალექსანდრე (კახთ მეფე) ფრიად მოყვარე იყო ნადირობისა, რამეთუ იტყოდაცა: „ახ ნეტარძი (ნეტავი) ოხერ მექმნეს (გამიოხრდეს) კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლად“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 110).

აი, ასეთ მეფეებს საპატიო ადგილი უჭირავთ საქართველოს ისტორიაში, მეტწილად რუსული ორიენტაციის გამო, და დიდი მოწიწებით იხსენიებენ, მიუხედავად მათი უნიათობისა, ქვეყნის წინაშე გულგრილობისა და დანაშაულებრივი მოქმედებისაც კი. სწორად შენიშნავდა კონსტანტინე გამსახურდია, რომ „ხელახლა შეფასებას მოითხოვენ საქართველოს ისტორიის გმირები“.

ირან-ოსმალთა ბატონობა 20 წელიწადს გაგრძელდა. ისინი რიგრიგობით ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. ლეკთა ყაჩაღური ბანდების თარეშის შედეგად ხომ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თავის გამოყოფა არ შეიძლებოდა გარეთ. ქართველ ხალხს შაჰ-აბასის დროსაც კი არ უნახავს ასეთი საშინელი ხანა, ამიტომაც, საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია როგორც ძნელბედობის ხანა.

აი, რა დღეში ჩავარდა „ერთმორწმუნე“ რუსეთის გადამკიდე ჩვენი ქვეყანა. თვითონ მათ, ვისი მიზეზითაც დაღუპვის პირამდე მივიდა საქართველო, თავს უშველეს. შემოსეულ მტერს კი შეძლებისდაგვარად ისევ ხალხი უმკლავდებოდა.

თითქოს კატასტროფა გარდაუვალი იყო. მაგრამ ქართველი ხალხის დაუცხრომელმა ენერგიამ აქაც გაუძლო თავს დატეხილ განსაცდელს. თავგანწირული ბრძოლით უკუგდებულ იქნა ჯერ ოსმალობა, ხოლო შემდეგ — ყიზილბაშობა. საქართველო აღდგა! ირანის შაჰმა გააუქმა ის ძველი წესი, რომლის მიხედვითაც ქართველი მეფეები მოვალენი იყვნენ მაჰმადიანობა მიეღოთ და 1744 წელს თეიმურაზ II — ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ერეკლე II კახეთის მეფედ დანიშნა.

თეიმურაზმა და ერეკლემ პირველ ხანებში დიდი ენერგია გამოიჩინეს სახელმწიფოს აღდგენისა და მტრისაგან თავდაცვის საქმეში. ქართველმა ხალხმა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ფართო კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობა გააჩაღა. 1749 წელს კვლავ ამუშავდა გაუმჯობესებული სახით თბილისის სტამბა. გაიხსნა ფილოსოფიის

სემინარია თბილისში (1755 წ.). საფუძველი ჩაეყარა სამთამადნო წარმოებას. გაჩაღდა ვაჭრობა-მრეწველობა და სხვ. მხოლოდ საგარეო უშიშროების უზრუნველყოფაღა იყო საჭირო ქვეყნის კიდევ უფრო თვალსაჩინო აღორძინებისათვის. მტრისაგან თავდაცვის სრული უზრუნველყოფისა და წარსული ძლიერების აღსადგენად კი აუცილებელი იყო ქვეყნის გაერთიანება.

ამ მხრივაც თვალსაჩინო ნაბიჯი გადაიდგა ერეკლეს მოღვაწეობის პირველ პერიოდში. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ არაგვის, ხოლო შემდეგ ქსნის საერისთაოები გააუქმეს და უშუალოდ მეფის ძალაუფლებას დაუმორჩილეს. 1762 წელს კი, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების უმალ, ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა, რითაც ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ერეკლეს ძალაუფლებას დაემორჩილნენ აგრეთვე განჯის, ყარაბაღის, ნახჭევანისა და ერევნის სახანოები.

ქვეყნის კონსოლიდაციის პროცესში დასავლეთ საქართველომაც გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ამ დროს იმერეთში სოლომონ I მეფობდა. სოლომონმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლით. ორივე ეს საკითხი მან დადებითად გადაჭრა. დიდი წარმატებები მოიპოვა მან აგრეთვე ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1757 წელს სოლომონ მეფემ ხრესილის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარი და თურქეთმაც ქვეყნის საბოლოო დაპყრობაზე ხელი აიღო.

სოლომონის გამეფებამდე ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული იმერეთის მეფესთან ძალაუფლებისათვის არა მარტო დადიანსა და გურიელს, არამედ რაჭისა და არაგვის ერისთავებსაც. სოლომონმა დაამარცხა ერისთავები და საერისთაოები უშუალოდ მეფის ძალაუფლებას დაუმორჩილა. მან შემოირიგა აგრეთვე დადიანი და გურიელი. ასე რომ, 1759 წელს, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრებაზე, რომლის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა, სოლომონ I უკვე „მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა, ხოლო მთავრები (დადიანი, გურიელი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანებისა აღმასრულებელნი“ იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დიდი გამარჯვება იყო“ (საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 392).

ერთი სიტყვით, ძირითადად უკვე გაერთიანდა, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო. ამის შემდეგ საჭირო იყო საქართველოს ორივე ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანება, ეს კი ყველაზე უკეთესი გარანტია იქნებოდა იმისათვის, რომ ქართველ ხალხს წარმატებით მოეგერიებინა მტერი და შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა. არა უშედეგო და დამღუპველი ხელის პოტინი ცბიერი რუსეთისაკენ, არამედ საქართველოს გაერთიანება და ირან-ოსმალეთთან მოქნილი დიპლომატიის წყალობით მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება — აი, სად იყო საქართველოს ხსნა. ირან-ოსმალეთისა და კავკასიის

წინააღმდეგ რუსეთის მზარდი ზეწოლის პირობებში, ამ ქვეყნების საღი დიპლომატია მოითხოვდა არა ურთიერთდაპირისპირებას, არამედ მჭიდრო შეკავშირებას ჩრდილოეთის ურჩხულის შესაჩერებლად.

ირან-ოსმალეთი ამას დროზე მიხვდა და ხვეწნა-მუდარით იკლებდა ქართველ მეფეებს, ოღონდაც თავი დაენებებიათ რუსეთისათვის და ხელს არ ახლებდნენ საქართველოს. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს მესვეურები იმდენ სიკეთესა და ბედნიერებას მოელოდნენ „ერთმორწმუნე რუსეთისაგან“, რომ ყურსაც არ ათხოვებდნენ ამ საღ რჩევასა და თხოვნას.

ამგვარად, ქართველი ერის შემაკავშირებელი პროცესი შესამჩნევი წარმატებებით ვითარდებოდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. უკვე შეიქმნა კიდეც ხელსაყრელი მომენტი საქართველოს გასაერთიანებლად. საქართველოს გაერთიანების საკითხი თვით ხალხშივე მომწიფდა. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს პროგრესული საზოგადოების წარმომადგენლები, უდიდესი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ამ ისტორიულ საქმეს. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ერეკლემ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და ეს დიდებული წამოწყება ჩაიშალა.

ჩვენ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. ამჯერად კი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ერეკლეს საგარეო პოლიტიკას და ამ პოლიტიკით გამოწვეულ შედეგებს.

ერეკლეც, თავის საგარეო პოლიტიკაში, ისევე როგორც მისი წინამორბედი მეფეები ალექსანდრე I-ის შემდეგ, ხელმძღვანელობდა რელიგიის ერთობის აბსურდული მოტივებით. იგი ერთმორწმუნეობის გაცვეთილ დოგმებს აჰყვა და ამის შედეგად აღმავალი გზით მიმავალი ქვეყანა უფსკრულისაკენ დააქანა, და ბოლოს, გადაჩეხა კიდეც. რუსული ორიენტაციით გამოწვეულმა წარსულის მწარე გამოცდილებამ საქართველოს მესვეურებს ჭკუა ვერ ასწავლა. „საქართველოს მეფენი, თითო-ოროლას გარდა, თითქო სხვა საქმე აღარა ჰქონდათ-რა, მარტო ამ პროტექტორატისათვისა ზრუნავდნენ“ (ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ., გვ. 218).

ჯერ კიდევ თეიმურაზ II-მ 1752 წელს რუსეთის მეფე ელისაბედს ელჩები გაუგზავნა და მაჰმადიან მეზობლებისაგან მფარველობა სთხოვა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამ თხოვნაზე უარით უპასუხა. „რუსეთს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, რომ საქართველოს გულისათვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა. მშვიდობიანობა იყო და საქართველო მაშინ რუსეთს არ ესაჭიროებოდა.

მაგრამ თექვსმეტი წლის შემდგ, 1768 წელს, როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიედ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო, რასაკვირველია, ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 68).

იმისათვის, რომ უფრო წარმატებით ეწარმოებინა ომი თურქეთთან, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, თურქეთის წინააღმდეგ თავის

სასარგებლოდ ომში ჩაეთრია თურქეთის მეზობელი ქრისტიანი ერები (ბერძნები, სლავები, ქართველები). მაგრამ ქართველების გარდა, სხვამ ყველამ სათანადო წინდახედულება გამოიჩინა და რუსეთის მთავრობის მიერ დაგებულ მახეში არ გაებნენ.

სოლომონი და ერეკლე დაეთანხმნენ რუსეთის მთავრობის წინადადებას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე იმ პირობით, რომ რუსეთს საკმაო რაოდენობის ჯარი გამოეგზავნა საქართველოში.

სწორედ ამ დროს, როცა რუსეთის მთავრობის ელჩი ერეკლესთან თბილისში ჩამოვიდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი დაეყოლიებინა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად, თბილისშივე, მეფე ერეკლესთან მოვიდნენ თურქეთის წარმომადგენლები თხოვნით, რომ ოღონდაც საქართველო არ ჩარეულიყო რუსეთ-თურქეთის ომში და თურქეთი არ დაარღვევდა მშვიდობიან ურთიერთობას საქართველოსთან. მაგრამ ერეკლე დემონსტრაციულად მიემხრო „ერთმორწმუნე რუსეთს“.

რუსეთის მთავრობამ საიდუმლო დავალებითა და ჯარით საქართველოში გამოაგზავნა გენერალი ტოტლებენი. როგორც შემდეგში, რუსეთის მთავრობის მიერ, ტოტლებენის ხელით განხორციელებულმა ავანტიურამ დაადასტურა, რასაც ზედ ემატება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის გრაფ პანინის საიდუმლო წერილი ტოტლებენისადმი, ხოლო შემდეგ ეკატერინე II-ის საიდუმლო წერილი სუხოტინისადმი, რუსეთის მთავრობის გეგმა საქართველოს მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ერთის მხრივ, საქართველო, როგორც ბრმა იარაღი, რუსეთს გამოეყენებინა თავისი ინტერესებისათვის თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ბრძოლაში მუხანათური გზით მოესპო ქართველთა ჯარი თავის მეფიანად და შემდეგ დაპატრონებოდა უმწეოდ დარჩენილ ქვეყანას.

ერეკლესა და სოლომონს ოდნავადაც არ შეპარვიათ ეჭვი ქართველთა მიმართ რუსების უანგარობასა და კეთილგანწყობილებაში. მათ ეგონათ, რომ ახლა კი ვეღირსეთ რუსეთისაგან ნანატრ მფარველობასო. „ქართველთა საშველად“ მოვლენილი ტოტლებენი „რუსი ჯვაროსნებით“ აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდა 1769 წელს, ხოლო 1770 წელს ერეკლემ და ტოტლებენმა ახალციხის საფაშოზე გაილაშქრეს. ისინი აწყურის ციხეს მიადგნენ და იქ გამაგრებულ ოსმალებს შეუტიეს. მაგრამ, სწორედ იმ დროს, როცა ბრძოლა გაჩაღდა, ტოტლებენმა გამცემლურად მიატოვა ქართველი ჯარი მტრის პირისპირ და უკან გამობრუნდა.

თავზარდამცემი იყო ქართველი მეფისა და მხედრობისათვის ტოტლებენის მოღალატური საქციელი. „რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისათვის ოსმალეთთან ომში ჩათრეული აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდ-მარტო იყო დატოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრეს განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელ განადგურებისაგან“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 69).

როგორც ცნობილია, ერეკლემ, ბრწყინვალე სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით, სასტიკად დაამარცხა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივად და ბოლოს ასპინძასთან.

რაც შეეხება გენერალ ტოტლებენს, როგორც ითქვა, რუსეთის მთავრობის გეგმისამებრ, „მეფის ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს დაპყრობა დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა“ (საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 394). ამიტომ, უკუიქცა თუ არა აწყურიდან, იმ იმედით, რომ ერეკლე თავისი ჯარით აუცილებლად განადგურდებოდა თურქებთან ბრძოლაში, „მან ქართლის დაპყრობის საკითხი რუსთა კორპუსის სამხედრო საბჭოში დასვა და დასტურიც მიიღო. ამ საქმეში ტოტლებენის ერთგული მოკავშირეები იყვნენ ქართლის რეაქციონერი თავადებიც. გენერალმა საქმე დაიწყო: ციხე-ქალაქების დაჭერასა და ხალხის რუსი ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა. მაგრამ ერეკლეს ენერგიულმა მოქმედებამ ტოტლებენი შეაშინა და მას განზრახვაზე ხელი ააღებინა“ (იქვე, გვ. 394).

ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი, კერძოდ კი, 1957 წელს გამოცემული წიგნის — „ასპინძის ბრძოლის“ ავტორი კ. მაჭარაძე, იმისათვის, რომ ჩამორეცხოს ლაქა რუსეთის მთავრობას საქართველოს წინაშე ჩადენილი მუხანათობისათვის, ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, რომ, თითქოს, ტოტლებენს წინასწარი დავალება კი არ ჰქონოდეს იმ მოქმედებათა შესახებ, რომელიც მან საქართველოში ჩაიდინა, არამედ ყველაფერი გამოწვეული ყოფილიყოს ტოტლებენის ავანტიურისტული ბუნებით, მისი პირადი თვითნებობით.

სინამდვილეში ტოტლებენი რომ მთავრობის მიერ მიცემული ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა და მის მოქმედებაში არავითარ თვითნებობას არ ჰქონია ადგილი, ამას ადასტურებს მთელი რიგი ფაქტები:

1. „1770 წლის 12 მაისს ტოტლებენი საქართველოდან პეტერბურგში წერილს აგზავნის, რომ ტომსკის პოლკის შეერთებისთანავე, განზრახული აქვს დაუყოვნებლივ თბილისზე დაიძრას — მთელი საქართველო რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილოს; ერეკლეს, ამას წინათ მიღებული ანდრიას ორდენი ჩამოართვას და გაგზავნოს პეტერბურგში ან შავი ზღვისაკენ განდევნოს“. ამას ადასტურებს პ. ბუტკოვი, ასევე, სოლოვიოვი (იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, 1949, გვ. 364).

ეს წერილი ცხადად მეტყველებს, რომ ტოტლებენი არათუ თვითნებურად არ მოქმედებდა, პირიქით, თავისი მოქმედების ყოველ დეტალს ხელისუფლებას უთანხმებდა.

2. რუსეთის პირველი მინისტრი, გრაფი პანინი საქართველოში წარმოგზავნილ ტოტლებენს სწერდა: „უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ. თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს. ერთი

სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური (ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართულიო“. „მაშასადამე, რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 90-91).

3. როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობამ უკან გაიწვია ტოტლებენი, რადგან მან ვერ შეასრულა მიცემული დავალება და მის მაგივრად გენერალი სუხოტინი გამოგზავნა. ტოტლებენის მიერ ქართლის დაპყრობის ცდა რომ პირადი თვითნებობა კი არა, მთავრობის დავალება იყო, ეს ნათლად ჩანს ეკატერინე II-ის სუხოტინისადმი მიწერილ წერილში. იგი სუხოტინს წერდა: „ტოტლებენის დაწყებული საქმე, ქართველების რუსეთის ერთგულებაზე ძალით დაფიცება — თუ ქართველების ომში მონაწილეობას ხელს შეუწყობს, შეგიძლიათ გააგრძელოთ“ (გ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 115).

როგორც იტყვიან, აქ უკვე ზედმეტია კომენტარები.

რუსეთის მთავრობის მუხანათური საქციელი საქართველოს მიმართ კიდევ უფრო ცხადად დაამტკიცა შემდგომი დროის მოვლენებმა. წარმოუდგენელია, სადამდე მიდიოდა რუსეთის მთავრობის უსინდისობა, როცა ქართველი ჯარის მტრის პირისპირ ასე ვერაგულად მიტოვებისა და ქართლის დაპყრობის ცდის შემდეგ ისინი ერეკლე მეფეს კვლავ ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად აქეზებდნენ.

მაგრამ გგონიათ, რომ ერეკლემ უარყო ამ გამცემთა წინადადება? რუსეთის თვალთმაქცი დიპლომატები ერეკლეს, სოლომონსა და მათ მსგავს ერთმორწმუნეობის დოგმებს აყოლილ ქართველ მეფე-მთავრებს მონუსხულებივით ამოქმედებდნენ თავიანთ ნება-სურვილზე. რუსეთის წარმომადგენლის ლვოვის რჩევით, 1771 წელს ერეკლე კვლავ ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე აიღო, სადაც თავისი ჯარი ჩააყენა, მაგრამ ამავე ლვოვის წინადადებით, ერეკლემ უკანვე გამოიყვანა ჯარი.

ხელმეორედ, 1772 წელს ლვოვმა კიდევ იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე კვლავ დაიყოლია ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე. ერეკლემ და სოლომონმა შეერთებული ჯარით დაარბიეს ახალციხის, ჯავახეთის და არტაანის მხარეები და შინ დაბრუნდნენ.

„ორივე შემთხვევა სრულებით ცხადჰყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავისი მთავრობის გეგმისამებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა ამის გამო იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 70).

ვინაიდან ტოტლებენმა და სუხოტინმა ვერ შეასრულეს მთავრობის დავალება საქართველოს ანექსიის შესახებ, ხოლო თურქეთთან უკვე საზავო მოლაპარაკება დაიწყო, რუსეთის სახელმწიფოსათვის აღარა ჰქონდა აზრი, რომ საქართველოში ჯარი ჰყოლოდა. ამიტომ, ეკატერინე II-მ

აღნიშნული ჯარი უკან გაიწვია. „ერთმორწმუნე“ რუსეთის მთავრობა ოდნავადაც არ დაფიქრებია იმ ფაქტს, თუ რა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებოდა რუსეთის მიერ თურქეთთან ომში ჩაბმული საქართველო, როცა მისმა ჯარმა საქართველო ასე ღვთისანაბარად მიატოვა.

მკითხველი, ალბათ, თვითონვე მიხვდება, თუ როგორი ვითარება შეიქმნებოდა ოსმალეთსა და საქართველოს შორის იმ მოქმედებების შედეგად, რომელიც სოლომონმა და ერკლემ განახორციელეს თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის გულისთვის. შურისძიებით აბობოქრებული თურქები მოსვენებას არ აძლევდნენ ქვეყანას. მეტი ვნების მისაყენებლად მათ ლეკებიც აამხედრეს და საქართველოს შემოუსიეს.

ცხადია, სპარსეთიც ქართველების უკმაყოფილო იყო. სპარსეთი, როგორც ზემოთ ვთქვით, შიშით შესცქეროდა რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში. ამიტომ, როგორც კი გაიგო ქერიმ-ხანმა, რომ რუსეთ-თურქეთის ომში საქართველო რუსეთს მიემხროო, თავისი ჯარებით დაუყოვნებლივ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა.

„აი რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავისი სამხედრო გამარჯვების გულისათვის“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 71).

უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილი ერეკლე წერილს სწერს გრაფ პანინს. წერილში აღნიშნავს, თუ როგორი კეთილსინდისიერად შეასრულა სიტყვა და დაეხმარა რუსეთს ჯარით ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მოქმედებით კი საუკუნოდ გადაიმტერა ოსმალეთი, სპარსეთი და დაღესტანი. ბოლოს, იგი შველას და დახმარებას სთხოვს რუსეთის იმპერატორს: „თურქები, როგორც შხამიანი გველები, გვეხვევიან ირგვლივ. სპარსელნი გვიცქერენ, როგორც ბრაზიანი ლომები, ლეკები კი ილესავენ კბილებს ჩვენს წინააღმდეგ, როგორც მშიერი მგლები. ყველანი ერთად ბორგვენ შურისძიებით, რადგან ჩვენ, ქართველებმა დავარღვიეთ ზავი მათ მიმართ, და, თუ ისინი მოგვსპობენ მე და მთელ საქართველოს, მაშინ ვინ აგებს პასუხს ღვთის წინაშე, ან რა სარგებლობა ექნება ამით რუსეთის იმპერიას? მოიღეთ მოწყალება ჩვენს მართლმადიდებელ ხალხზე, მე და სრულიად ჩემი ქვეყანა ვსასოებთ ღმერთზე და ყოვლად მოწყალე რუსეთის იმპერატორზე“, — ამ სიტყვებით ამთავრებს თავის წერილს მეფე ერეკლე“ (ს. ქვარიანი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 22).

მაგრამ ერეკლეს ამ თხოვნას არავითარი შედეგი არ გამოუღია. „რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირები მფარველობის გაწევა თითქოს დაავიწყდა კიდეც“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, გვ. 71).

ერეკლე და სოლომონი იძულებული გახდნენ თავიანთი წინდაუხედაობით გაფუჭებული საქმე თავისი ქვეყნის ძალებით გამოესწორებინათ. ერეკლემ, როგორც იყო, სპარსეთის მბრძანებელი ქათინაურებით დააშოშმინა. თურქეთის წინააღმდეგ კი, როგორც ერეკლე, ასევე სოლომონი, იძულებული იყვნენ სისხლისმღვრელი ბრძოლები

ეწარმოებინათ და ამგვარად დაეცვათ თავი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერეკლემ როგორც იყო აღადგინა მშვიდობიანი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის ოსმალეთთანაც. საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მან განამტკიცა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა: ქართლ-კახეთის სამეფოს მორჩილებაში წინანდებურადვე შედიოდნენ: განჯის, ყარაბაღის, ნახჭევანისა და ერევნის სახანოები.

წიგნი მეორე

ქართული ქეიფი და დროსტარება
რუსთაგან საქართველოს დასამარების ჟამს

როგორც უკვე ითქვა ამ წიგნის დასაწყისში, ქართველ კაცს ცხოვრება უხდება ისეთ რეგიონში, სადაც მას, არც გარეთ — მეზობელი ქვეყნების სახით, და, არც შიგნით — შემოხიზნულთა სახით, მეგობარი არა ჰყავს. ყოველი ჩვენი მეზობელი ქვეყანა მოშურნეა ჩვენი და აგრესიული, დამპყრობლის თვალით შეჰყურებს ჩვენს მიწა-წყალს. ყოველ მათგანს, ჩვენივე გარეწარი თანამემამულეების წყალობით მიტაცებული აქვს ჩვენი კუთვნილი ისტორიული მიწა-წყალი: თურქეთს — ტაო-კლარჯეთი, რუსეთს — სოჭის ოლქი, აზერბაიჯანს — საინგილო, სომხეთს — ლორეს ოლქი, მაგრამ ისინი ამასაც არ კმარობენ და კვლავაც აქეთ იმზირებიან, რათა კვლავაც ჩამოგლიჯონ საქართველოს და მიისაკუთრონ — რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო, სომხეთმა — ჯავახეთი, აზერბაიჯანმა — ისტორიული საბარათიანო და ა. შ. ასევე, ჩვენი ქვეყნის შიგნით შემოხიზნული ყოველი უცხო ტომელი, აღნიშნული მეზობელი ქვეყნების მე-5 კოლონაა, რომელთაც აშკარად სძულთ ქართველი ხალხი (არ სწავლობენ ქართულ სახელმწიფო ენას), მარადჟამს მის გადაშენებაზე ოცნებობენ, რომ ქართველთა ნაფუძნარზე თვითონ გაპარპაშდნენ, რისთვისაც ყოველ კრიზისულ მომენტში გარეშე მტრის მხარეზე დგებიან და ზურგში მახვილს გვცემენ.

ასე მოდის მთელი ჩვენი ისტორია დასაბამიდან დღემდე. თითქოს უახლოესი მტრული გარემოცვა არ კმაროდა, საიდანღა არ გვესეოდა ათასი ჯურის ვანდალისტი ჩვენს ჩასანთქმელად: აპენინიდან რომაელები, ჩვენი ქვეყნის სამხრეთიდან სპარსელები, არაბეთიდან ბედუინები, ჩრდილო კავკასიიდან ოსები და ხაზარები, შუა აზიიდან თურქ-სელჩუკები, ცენტრალური აზიიდან მონღოლები, შუა აზიიდან ხვარაზმელები, მცირე აზიიდან იგივე თურქები, და ბოლოს, ჩრდილოეთის ყინულეთში მობინადრე, მეცხრე საუკუნიდან რუსებად წოდებული სკვითურ-სლავურ-პაჭანიგურ-ვარანგული მოდგმის ნახევრად ველური ტომები, რომლებიც სხვათა მიწების დაპყრობა-გათავისების ბოროტული მეთოდებით მკვეთრად განირჩევიან ყოველი წინამორბედი დამპყრობლებისაგან, რადგან ისინი მოდიოდნენ, გვძარცვადნენ და შემდეგ უკანვე ბრუნდებოდნენ თავის სამშობლოში. რუსი კი, სხვის ქვეყანაში რომ შედის, იქვე რჩება და უკან აღარ გადის, მას სამარადჟამოდ ითავისებს.

ამ პერმანენტულ ბრძოლებში, რომელიც ერთ მტერთან რომ მთავრდებოდა, მეორესათან იწყებოდა, საომარ ხელოვნებაში გამობრძმედილი ქართველი თავად-აზნაურობა მუდამ წინამძღოლისა და უპირველესი დამრტყმელი ძალის როლს ასრულებდა. ომი მისთვის სახელისა და დიდების მომპოვებელი ასპარეზი იყო. სამშობლოს დაცვის ფუნქცია — აი, ეს იყო ამ წოდების უპირველესი საქმე. ომი მათთვის პროფესია იყო.

1801 წლიდან კი, როცა რუსეთმა მოშალა ჩვენში ყოველივე ქართული და

ბოლო მოუღო სახელდახელო გაწვევის პრინციპზე აგებულ ქართულ ეროვნულ ჯარსაც, ამ ჯარის მეთაური — ქართველი თავად-აზნაურობა უფუნქციოდ დარჩა. მითუმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა უძლიერესი მტრის მიერ უკვე დაპყრობილი იყო და სხვა აბა, რომელი მტრის წინააღმდეგღა უნდა ებრძოლათ?! მართალია, ისინი უბრძოლველად არ დანებებულან მელურად შემოპარულ მტერს — საქართველოში რუსთა გაბატონებიდან უკვე წლისთავზე (1802 წელს) მათ დიდი ბრძოლა გაუმართეს კახეთში, ხოლო შემდეგ 1812 წელს დიდი ეროვნული გმირის — ალექსანდრე ბატონიშვილის დროშის ქვეშ იმავე კახეთში დიდი სახალხო-განმათავისუფლებელი აჯანყებაც მოაწყვეს, მაგრამ უზომოდ დიდ ურჩხულთან ვერაფერს გახდნენ. მიუხედავად ამისა, თავად-აზნაურობას ფარ-ხმალი არ დაუყრია და 1832 წელსაც შესანიშნავად მომზადებული შეთქმულების გზით ისევ ამ წოდებამ ითავა მამულის გამოხსნის პატრიოტული მისია, მაგრამ შინაგამცემლობის შედეგად, რამაც ეს დიდებული წამოწყება ჩაშალა, მათ ხელი ჩაიქნიეს და შეეგუენ მოძალადეს. ამათგან უმრავლესობამ ფუქსავატურ ცხოვრებას მიჰყო ხელი და ქეიფსა და დროსტარებაში იკლავდა ბოღმას.

დაბოლოს, ეს წოდება თანდათანობით სრულიად გადაგვარდა. ხმალი მისი კედელზე უქმად ჩამოკიდებული საოჯახო რელიქვიად იქცა, ზოგი თავადიშვილი კი რუსულ არმიაში შევიდა სამხედრო კარიერის მოსაპოვებლად და, თავად დამონებული ქვეყნის შვილი, რუსის დამპყრობლებს შველოდა კავკასიის მთიელი ტომების დამონებაში. თანაც სჯეროდა, რომ ამ ბრძოლით ქართულ პატრიოტულ საქმეს ემსახურებოდა, რამეთუ ჩეჩენ-ინგუშთა და ლეკთა განადგურებით მათი ოდინდელი მტრობისათვის ჯავრს ახლა იყრიდა.

სამწუხაროდ, ასეთი მცდარი პოზიცია ეკავათ, თვით ისეთი მაღალი დონის ინტელექტუალებს, როგორებიც იყვნენ ცნობილი პოეტები — გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. გრიგოლ ორბელიანის ცრუპატრიოტულ ბრძოლაზე ჩრდილო კავკასიელი ტომების წინააღმდეგ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ წიგნის დასაწყისში.

სამწუხაროდ, იგივეს იმეორებს ნ. ბარათაშვილიც, რომელიც აგრეთვე სულით-ხორცამდე იყო შეძრული სამხედრო კარიერით. იგი გვიქებს კახეთის აჯანყების ჩამხშობ ჯალათს დიმიტრი ორბელიანს, ვინც 80 წლის მონაზონი ქალი შიგ ტაძარში ხიშტზე ააგო, თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის სისხლის გუბეები დააყენა, ხოლო ახლა ფეოდალთა ლაშქრით, რუსის მხედრობასთან თანადგომით მთიელთა გასანადგურებლად მიემართებოდა. აი, რას წერს იგი თავის ვრცელ ლექსში, საიდანაც ნიმუშის სახით მოგვაქვს მხოლოდ რამდენიმე სტროფი:

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს
დღე შენი აღსასრულისა,
შეთქმულან შენზედ ერთპირად
ძენი ქართლისა სრულისა,
აღებად შენგან სისხლისა,
უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ
შენს შორის ბოროტ სულისა!
ქართლითგან მოვალს მარადის
მამულის მონა ლაშქარი,
წინ ერისთავი მოუძღვის
მიწასა გააქვს ზანზარი!..

უფრო ქვემოთ ჩეჩნებს მიმართავს მუქარით:

კავკასო, ძრწოდე! შეირყა
ჩეჩენიც დასამხობელი!
ვის არა აღეტაცების
სული ამ ამბის მცნობელი?..

კითხულობ ამ სტრიქონებს და განცვიფრებული რჩები, ნუთუ არ ესმოდა ჩვენს ბრძენ პოეტს, რომ საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობაზე დამშეულ მთიელთა ჯგუფური თავდასხმები, სარჩოს მოსაპოვებლად რომ ხდებოდა ერთ დროს, უკვე გარდასული ისტორია იყო ისევე, როგორც არაბთა, მონღოლთა და სხვათა შემოსევები, და ამიტომ, როგორც ახლა იქნებოდა სისულელე მონღოლებისათვის დაგვეწყო ბრძოლა იმისათვის, რომ მე-13 საუკუნეში რატომ შემოგვესიეთო, ასევე უგუნურებად უნდა ჩაითვალოს მე-19 საუკუნეში რუსი დამპყრობლების გვერდში ქართველთა დგომა მთიელთა წინააღმდეგ, როცა ლეკსაც, ჩეჩენსაც და ქართველსაც ყოვლისშემმუსვრელი ერთი საერთო მტერი გასჩენოდათ. ასეთ შემთხვევაში გონიერი მეზობლები ძველ ანგარიშებს კი არ დაუწყებდნენ ქექვას — ოდესღაც შენ ჩემთვის ესა და ეს დაგიშავებიაო, არამედ გვერდში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს საერთო მტრის თავიდან მოსაცილებლად.

მთა თავისუფლებას არ თმობდა, საქართველო კი უკვე რუსის ჩექმის ქვეშ გმინავდა. ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო პატრიოტი ქართველობა? ცხადია, მთიელების მხარეზე. ეს არ ესმოდა არა მარტო რუსთაგან დამონებულ ქართულ ფეოდალურ ლაშქარს, რომელიც ახლა რუსთათვის სხვათა დასამონებლად უტევდა კავკასიას და ეგონა კი, რომ ამ ბრძოლით ძმათა სისხლს იღებდა, არ ესმოდათ ეს ჩვენს სახელოვან პოეტებსაც. სამწუხაროდ, ამ მხრივ ვერ ამაღლდნენ ეპოქის დონემდე ვერც გრ. ორბელიანი და ვერც ნიკოლოზ ბარათაშვილი.

მაგრამ ამ პოეტის შემოქმედება (ვგულისმობთ ნ. ბარათაშვილს) არც სხვა მხრივაა სწორხაზოვანი. ერთის მხრივ, მთელი მისი შემოქმედება, მათ შორის პოემა „ბედი ქართლისა“ (სადაც პოემის გასაღები უნდა ვეძიოთ სოფიოს ანტირუსული პოზიციით აღფრთოვანებული პოეტის მიერ ძველი დედების ქებათა-ქებაში ეროვნულ პოზიციებზე დგომისათვის) აშკარად გამოხატული პროტესტია რუსეთის მიმართ, რომელმაც მის სამშობლოს

თავისუფლება მოუსპო.

კითხულობ მის პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსებს და აღფრთოვანებას ვერ ფარავ, ისე შესანიშნავადაა გადმოცემული თავისუფლებაწართმეული საქართველოს სავალალო ხვედრი რუსი მოძალადის ხელში. მაგრამ ამის წამკითხველი სახტად რჩები, როცა უკვე ეცნობი მის პანეგირიკულ ლექსს — „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც სრულ კონტრასტშია მთელს მის პოეზიასთან. შეიძლება ითქვას, რომ მწერლობის ისტორიამ არ იცის მაგალითი პოეტის ასეთი მკვეთრი გაორებისა. თუ ერთ შემთხვევაში, მისი ძირითადი მიმართულებით ნ. ბარათაშვილი გვევლინება სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ მგლოვიარე ჭირისუფლად, ამ ლექსით იგი უკვე საზეიმო განწყობილებაშია, იგი სრულიად უსაგნო სიხარულს შეუპყრია, რადგან ადრე, ჩვენს სახელოვან პოეტს რომ ეგონა, ერეკლემ, თავისი მცდარი პოლიტიკით ამოუვალ უფსკრულში გადაჩეხა საქართველო, თურმე, პირიქით ყოფილა, თავისი ჯიუტი პრორუსული პოლიტიკით დიდი სიკეთე და ბედნიერება მოუტანია ქართველი ხალხისთვის.

ვინც კარგად ერკვევა იმ დროის რეალურ ვითარებაში, არ შეიძლება არ აღაშფოთოს ილუზიაში მყოფი პოეტის ასეთმა ყოვლად უსაგნო მლიქვნელურმა მიმართვამ ერეკლესადმი, რადგან ეს ლექსი ერთი მისხალითაც არ ასახავს ჩვენი ქვეყნის იმ დროის რეალურ ვითარებას. პირიქით, მაშინ რომ იყო საქართველო დღეში, ასეთ შავბნელ ხანას იგი არასდროს მოსწრებია. ყველაზე დიდი უბედურება ის გახლდათ, რომ იმ დროს საქართველო, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობდა. აღგვილი იყო ცხოვრების ყველა სფეროდან — ეკლესიიდან, სკოლიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან და ყველა სახის წარმოება-დაწესებულებებიდან ქართული ენა და მისი ადგილი ყველგან რუსულ ენას ეკავა. ეკონომიურ ჩაგვარასა და ზნეობრივ შეურაცხყოფაზე ხომ ნუღარ იტყვით. ეგზეკუციები და ამ გზით ისედაც დამშეული გლეხობის ძარცვა-რბევა და პატივის აყრა გამსუნაგებული, ველური ჯარისკაცებისაგან ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ერთ დროს ქვეყნის მოწინავე ძალად წოდებული თავად-აზნაურობა (ამჟამად ფუნქციადაკარგული) მთლად გაფუქსავატებულიყო, მამულს სომეხ ვაჭრებზე ჰყიდდა და ამ ფულით ქეიფსა და დროსტარებას მისცემოდა. საზოგადოების დანარჩენი ნაწილიც, უსასოობაში მყოფი, ნებით თუ ძალით, უკვე შეგუებული იყო რუსთა ბატონობას, ეროვნული სახის დაკარგვას. ერთი სიტყვით, ერი აშკარა დაღუპვის პირას იდგა.

აი, რას წერს იმ ხანის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, თანამედროვეობის მონათხრობზე დაყრდნობით, ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე: „იმ დროის ქართველები მისდევდნენ მარტო ქეიფს, სმას, ჭამას, კრივს, თამაშს, ჭიდაობას, ყომარბაზობას, ლოთობას... მაშინ იქებოდა და იდიდებოდა ის ქართველი ახალგაზრდა, ვინც სუფრაზედ კაი თამადობა იცოდა და ბევრს დალევდა“. „მეფის რუსეთის ბოროტი პოლიტიკის შედეგად ქართველი კაცის გონებიდან დაიფანტა ყოველივე

გონიერების მისწრაფება, ქართველი გახდა უმეცრების და ქარაფშუტობის მიმდევარი, სხვა ყოველივე მოისპო იმ დროის ქართველობაში, ჭამა-სმისა, ქეიფისა და თამაშობის მეტი სხვა აღარაფერზე ფიქრობდნენ“.

უბედურება სწორედ ის იყო, განაგრძობს ზ. ჭიჭინაძე, რომ ამ თამაშობაში, რაც კი ებადათ, ყოველივეს აგებდნენ, რის შესახებაც შესანიშნავი, ხატოვანი სიტყვებით გადმოგვცემს პოეტი ვახტანგ ორბელიანი:

„ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცხრაში წააგეს,
და თავისი ცოლ-შვილი მშიერ-წყურვალ დააგდეს“.

„პოეტმა გადმომცა ერთხელ, ასე, — მოგვითხრობს ზ. ჭიჭინაძე: „ნეტავი თქვენ, რომ არ მოესწარით იმ უბედურ და საძაგელ დღეებს, როცა ქართველნი თავიანთ თავს, ცოლ-შვილს და მამაპაპეულს მამულებსაც კი ღუპავდნენ და კარტშიაც კი აგებდნენ-ო“.

„ასეთ დროს დაიბადა ნ. ბარათაშვილი. იგი გაიზარდა ამ უდარდელობისა და ქეიფის სკოლაში. ასეთ წრეს მასზე უფრო დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე „კეთილშობილთა სკოლას“, სადაც იგი მიაბარეს მშობლებმა. მეორე მხრით არც ამ სასწავლებელში და არც სემინარიაში ქართული ენა ჭაჭანებად არ ისმოდა, ორთავეს მიზანი იყო ქართველი ახალგაზრდობის გადაგვარება, მოშხამვა და სულიერი მოკვლა. აქ შესული მოწაფეები ისე იწვრთნებოდნენ, რომ საბოლოოდ მათ ქართველისა აღარაფერი არა ეცხოთრა...“ (იხ. ზ. ჭიჭინაძის „ნ. ბარათაშვილის პოეზიის აღორძინება ქართულ მწერლობაში“).

ერთი სიტყვით, ნ. ბარათაშვილის ხანა ის პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როცა საქართველო სრული გადაგვარება-გადაშენების გზაზე იდგა. თვით ბარათაშვილის გვარი ბარათოვად იყო გარდაქმნილი სხვა ქართულ გვარებთან ერთად. ჰოდა, გასაოცარიც არის და აღმაშფოთებელიც, როცა ამის მომსწრე ნ. ბარათაშვილი ქების ლექსს უძღვნის ამ შავბნელი დღის მომტან მეფე ერეკლეს.

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ,
გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს საფლავზე,
მეფევ ხმოვანო!
ახ რად არ ძალუძს განცოცხლება
წმიდას აჩრდილსა
რომ გადმოხედო ახალ ქართლსა,
შენს პირმშო შვილსა!
თაყვანსვსცემ შენსა ნაანდერძებს,
წინასწარად თქმულს!
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ
ქართლს დაობლებულს?

აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა
ან შენნი ძენი...

ისმის კითხვა: მაინც რა ნაყოფს სჭამდა საქართველო ნ. ბარათაშვილის აზრით, თანაც „ესრეთ ტკბილსა“, როცა სინამდვილეში, ჩაქოლილი იყო ყოველივე ეროვნული და ქართველის გასაგისი აშკარა გაქრობის საფრთხის წინაშე იმყოფებოდა? ერთმა ახლო მეგობარმა ხუმრობაგარევით, ნ. ბარათაშვილის მიერ ამ ლექსის დაწერა პოეტის ოჯახური გარემოთი ახსნა. აი, მისი სიტყვები:

„ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილის მამა — მელიტონი განთქმული მეპურმარილე იყო მთელ თბილისში. ამ ოჯახში, როგორც იტყვიან, სუფრა დღენიადაგ გაშლილი იყო ყველა ჯურის სტუმრისათვის. სუფრას არ აკლდა შემწვარი და მოხრაკული. გადმოგვცემენ, რომ ქალები პურის ცხობას ვერ აუდიოდნენო. სუფრას რომ არაფერი ჰკლებოდა, მელიტონს ორი კაცი მარტო მტკვარზე ჰყავდა მიჩენილი თევზეულით სუფრის მოსამარაგებლად. ბუნებრივია, თუ სხვა ქეიფობდა მელიტონის სახლში, შორიდან მაყურებელი არც მისი შვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი იქნებოდა. ისიც ჭამდა, სვამდა და ზოგჯერ ალბათ შეთვრებოდა კიდეც. აკი სწერს ზ. ჭიჭინაძე — ნ. ბარათაშვილი „გაიზარდა ქეიფის სკოლაშიო“. ამიტომ ვფიქრობ, ერთხელაც, კარგად შეზარხოშებულმა რომ გადახედა უხვი პურმარილით გადატენილ სუფრას, მთელი საქართველოც ამ სახით წარმოიდგინაო და ამან ათქმევინა პოეტს ეს ყოვლად შეუფერებელი ქების სიტყვები ერეკლეს მიმართო“.

ვინ იცის, ეგებ იყოს ამაში სიმართლის მარცვალი. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ნ. ბარათაშვილს, ეგებ დედის მხრივ ნათესაური კავშირი ამოძრავებდა, როცა იგი ამ ლექსს უძღვნიდა თავის დიდ პაპასო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ნ. ბარათაშვილის აღნიშნული ლექსი უკიდურეს კონტრასტშია მთელ მის პოეზიასთან და მასში მოცემული შეხედულებები არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება იმ დროის საქართველოს სინამდვილეს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე 1842 წელს დაწერილ მომდევნო ლექსში „სუმბული და მწირი“, იგი უკვე საღი გონებით სჭვრეტს სავალალო აწმყოს რუსი დამპყრობლების ხელში. ამ ლექსში პოეტი უკვე ვერ ურიგდება ერეკლეს პოლიტიკით (თუმცა მას არ ახსენებს) გამოწვეულ თავისი ქვეყნის თავისუფლების დაკარგვას, რომლის სანაცვლო არაფერია ამ ქვეყნად. აქ უკვე აღარაფერია ნათქვამი ილუზორულად წამოსროლილი „რუსთაგან მოტანილი ტკბილი ნაყოფის ჭამაზე“, ერეკლესადმი მიძღვნილ პანეგირიკულ ლექსში რომ ეჩვენებოდა პოეტს. პირიქით, „სუმბული და მწირი“ სრული რეალობით აღქმული გლოვაა სამშობლო ქვეყნის ტრაგიზმით გამოწვეული, რითაც ერთგვარად სწორდება ერეკლესადმი მიძღვნილი ლექსით გაორჭოფებული მკითხველის შთაბეჭდილება.

ამგვარად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეპოქა, რომელშიც

ცხოვრება უხდებოდა საქართველოს, დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდან, ისტორიის ასპარეზზე თერგდალეულთა გამოჩენამდე, უნდა ჩაითვალოს ქართველი ერის დეგრადაციის ხანად. მდგომარეობის ასე დარჩენის შემთხვევაში ქართველი ერის გადაშენება გარდაუვალი იქნებოდა.

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ორჭოფულ პოეზიას, როცა ხან საქართველოს დაღუპვას მისტიროდნენ და ხან კი, მათ შორის ერთი (გრ. ორბელიანი), ევროპის ჟანდარმად წოდებულ რუსის იმპერატორს — ნიკოლოზ I-ს გვიქებდა და მისგან მოელოდა საქართველოს ძველი დიდების აღდგენას, ხოლო მეორე (ნ. ბარათაშვილი) იმ მეფის წინაშე იყრიდა მუხლს, ვინც საჭირო პოლიტიკური ხედვის უქონლობის გამო, ამოუვალ რუსულ მორევში გადაჩეხა საქართველო — რეალურ სინამდვილეს მოკლებული ეს ლექსები აბნევდა და დღესაც აბნევს ქართველ მკითხველს.

აბა, სხვა რა დასკვნა შეიძლება გააკეთო კაცმა, ჯერ გრ. ორბელიანის ისეთი ეროვნულ-პატრიოტული გრძნობით აღსავსე ლექსებს რომ წაიკითხავ, როგორიც გახლავთ „ნალივაიკოს აღსარება“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“; ხოლო შემდეგ ისეთ სიმახინჯეს რომ გადააწყდები პოემა „სადღეგრძელოში“, სადაც რუსის პირწავარდნილი იმპერიალისტი ნიკოლოზ I — უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამხშობი და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონების მოსურნე კაცი საქართველოს მოსიყვარულე მამად და მისი ძველი დიდების აღმდგენლად რომაა გამოყვანილი.

მოგვყავს ფრაგმენტი პოემიდან, სადაც პოეტი გრ. ორბელიანი დიდის პათოსით აღსავსე სადღეგრძელოთი მიმართავს თვით რუსეთში უკიდურესი დესპოტიზმით ცნობილ იმპერატორს:

ხელმწიფევ ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
მხედარნი შენნი,
ერთგულნი, მხნენი,
ვსვამთ შენს სადღეგრძოს მოწიწებითა!
.....
თამარის დღენი,
დიდების დღენი,
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..
ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰფინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად,
მეფე გვიცოცხლე, მრავალ-ჟამიერ!..

იგივე ითქმის თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი მთიელი ტომების განადგურების მომწოდებელ მათ ლექსებშიც, რომელიც რუსი იმპერიალისტების დამპყრობლურ საქმეს ემსახურებოდა და თვით საქართველოს ორმაგ რკალში აქცევდა. ჩვენს გულუბრყვილო პოეტებს კი ეგონათ, რომ აგრესორის გვერდში დგომითა და მთიელთა განადგურებით ქართველი მოლაშქრენი და თვით ამ ომის აქტიური მონაწილე გრ. ორბელიანი დიდ ეროვნულ მისიას ასრულებდნენ „ძმათა სისხლის აღების“ აბსურდული მოტივით.

ქართველი ერის კვდომა აღნიშნულ ეპოქაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა ქართველთა მოდგმაში ეროვნული მისიის დაკარგვაში, როცა სიცოცხლის დანიშნულებად იქცა მარტოოდენ ხორციელი სიამოვნება — კერძოდ, ქეიფი, გართობა, დროსტარება, — ყომარისა და კარტის თამაში, ჭიდაობა და ლახტის თამაში (ლაპარაკია შეძლებულ ფენებზე, თუარა, ორმაგი ჩაგვრით გაფცქვნილ გლეხს რა გააჩნდა). ქეიფის ამ სკოლაში იწვრთნებოდნენ ჩვენი ცნობილი პოეტებიც და პირვანდელი მათი პოეზიაც ამ იდეით იყო დატვირთული. აი, კერძოდ, როგორ შეხედულებას უყალიბებს ახალგაზრდობას გრ. ორბელიანი თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში:

„ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე,
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულობს გული ვიდრე“.

აქ, ამ ლექსში, სხვა უამრავ ლექსთა შორის, სიტყვაც არაა თქმული მაღალ ეროვნულ იდეალებზე, მითუმეტეს, როცა დასამარების პირას მდგომი საქართველო, სწორედ ახლა საჭიროებდა ერის გადარჩენისათვის უკომპრომისო ბრძოლას.

იგივე ითქმის ნ. ბარათაშვილის პოეზიის პირველ ეტაპზე. აი, რას გადმოგვცემს ზ. ჭიჭინაძე ამის თაობაზე: „ნ. ბარათაშვილის ნაამხანაგარმა, სკოლის სკამზედ ერთად მყოფმა, ლუკა ისარლოვმა (ისარლიშვილი), ადრინდელი ქართული ენის ცენზორმა მიამბო, რომ 1830-იან წლებში, მე არშიყულ ლექსებს მიტომ ვწერდი, ვინაიდგან მაშინ ასეთი ლექსები იქებოდა და იწერებოდაო. პატრიოტობა მერე შემოვიდა ჩვენშიო, ჩვენი დროის პატრიოტობა ქეიფობა იყო და არშიყობაო... ასე ყოფილა მაშინ და თვით ნ. ბარათაშვილსაც არშიყული ლექსებით დაუწყია მწერლობა, ამის ნიმუში არის მისი ლექსები: „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“ და სხვანი“ (იქვე, გვ. 8).

ქეიფის, დროსტარებისა და საარშიყო შინაარსის ლექსებით, იმ დროის დამყაყებული ცხოვრების ყველაზე უფრო კლასიკურ ნიმუშს იძლევა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძის პირადი ცხოვრება და პოეტური შემოქმედება. აი, როგორ გვიხასიათებს მას ქართველი ერისა და პირადად ილია ჭავჭავაძის

დიდი მეგობარი, გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი: „დაიბადა რუსეთსა და იქვე სცხოვრობდა 15-წლის ასაკამდე. რუსეთის დედაქალაქში მიიღო რუსულ-ფრანგული აღზრდა. ამავე დროს (სამშობლოში დაბრუნების შემდეგ) კარგად შეისწავლა დედა-ენა... გარკვეული ხასიათი და შეხედულება ცხოვრებაზე არა ჰქონია ამ სიცოცხლიან ფეოდალსა. ღვინო, ქალები და სიყვარული შეადგენენ მის ლექსთა დედა-აზრსა...

ახალგაზრდობისას, უშედეგო შეთქმულების შემდგომ, იგი მთელ თავის სიცოცხლეში ერთგული მსახური შეიქნა მეფის მთავრობისა და არაფერში ღალატობდა თავის ფეოდალურ პრინციპებს. საარაკო კახეთში, წინანდალში, სადაც კაშკაშა მზე აბნევს სხივებს უხვ ვენახებს, ნექტარ საამო ღვინოს რომ იძლევიან, გაატარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ უზრუნველი მრავალნი დღენი და სტკბებოდა ფუფუნებასა და განცხრომაში“... იგი განაგრძობს: „ყველასათვის, ვინც არ მსახურობდა სამხედრო სამსახურში, ანუ მთავრობის მოხელედ, დაიწყო უქმი ცხოვრება და გამრავლდნენ ლუარსაბნი და დარეჯანნი. ასეთს წრეში სცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, მასთანა სტკბებოდა და მისთვის სწერდა თავის ლექსთ“ (არტურ ლეისტი, „საქართველოს გული“, წიგნი მე-2, გვ. 19-20).

ერთი სიტყვით, ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი პოეტური შემოქმედებით იმავე დამყაყებული მასის სულის გამომხატველი იყო, რომელშიაც იგი ცხოვრობდა — ღვინო, დუდუკი და ქალები იყო ორივე მხარის სიცოცხლის შინაარსი. ასეთ შემთხვევაში პოეტიცა და მისი მრევლიც ადვილად უგებენ ერთიმეორეს, ორივე მხარე ბედნიერად გრძნობს თავს საერთო ჭაობში. მაგრამ, თუ პოეტი სულით ამაღლებულია და საზოგადოება კი დეგრადირებული, მაშინ ასეთი პოეტი უბედურია, რადგან გამგონე არავინ ჰყავს, მასა ყრუ და გაუგებარია, დეგრადირებულია. ასეთ გარემოცვაში აღმოჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც. მოქეიფე-მოლაზღანდარო წრისათვის სრულიად უცხო იყო ერის ბედზე მოტირალი ბარათაშვილის სევდიანი ლექსები. ეს გარემოება ჰბადებდა მასში სულით ობლობას. ვითარებას, რომელშიც მოღვაწეობა უხდებოდა ნ. ბარათაშვილს, ასე გვიხასიათებს მწერალი არტურ ლეისტი: „როგორც პოლონეთში მისი განყოფის შემდგომ, ისე საქართველოშიც მისი რუსეთთან შეერთების შემდგომ, დაიწყო თავაშვებული ცხოვრება. გრძნობის ხასიათისა, და გაგულქვავებულ მასაში ბარათაშვილის კაეშნიანი ჰაზრნი და ნაზნი გრძნობანი ვერა ჰპოვებდნენ გამოძახილს. მოქეიფე თანამედროვეთათვის მისი ლექსები ჰგავდნენ საპანაშვიდო გალობასა“ (იქვე, გვ. 22).

ქართველი ერის ზნეობრივ გადაგვარებაში დიდ როლს ასრულებდნენ აქ ჩამოთესლებული რუსობაც. კერძოდ, სამხედრო პირნი და მოხელენი. ამ ფაქტის შესახებ არტურ ლეისტი გვისახელებს გერმანელი პოეტის ფრიდრიჰ ბოდენშტეტის მონათხრობს, რომელიც თბილისში ცხოვრობდა 1840-დან 1843 წლამდე. იგი სწერს: „ქართველთა და სომეხთა გარდა აქ ცხოვრობდნენ რუსნი მოხელენი და სამხედრო პირნი, რომელნიც საკმაოდ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ასე რომ გონებრივ საზრდოზე ლაპარაკიც-კი მეტი იყო“ (იქვე. გვ. 21).

ამ ბნელეთში პირველი მანათობელი შუქურა სოლომონ დოდაშვილი გმოჩნდა. კეთილშობილთა სასწავლებლისა და სასულიერო სემინარიის მოწაფეთაგან მან შექმნა პატრიოტული წრე, რომელშიც მოხვდა ნ. ბარათაშვილი და რომლის შემდგომ ეროვნულ შემოქმედებაზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა კიდეც. დოდაშვილი ამხელდა რა რუსთა ბატონობის ჟამს გაჩენილი ქართველი ერის გამათახსირებელ მანკიერებებს, იგი მათ მოუწოდებდა: „ქართველებო, გაახილეთ თვალები, ქართველებო, ნუ გძინავთ, ნუ ლოთობთ, მამულებს ნუ ფლანგავთ, იზრუნეთ მომავლის ცხოვრებისათვის, თორემ მომავალში ჩვენ ყველანი გასაკიცხნი გავხდებით და ჩვენი შთამომავლობა არ გვაპატიებს, კიცხვით მოგვიხსენიებენ, ვიზრუნოთ საქართველოს შესახებ, თორემ დავიღუპებით... ახალგაზრდებო, დაანებეთ თავი არშიყული ლექსებისა და ბაიათების წერას, ლექსები სწერეთ საქართველოს შესახებ, ქართველი ერის დიდებულ წარსულზედ, რომ ქართველმა ოდესმე კიდევ დაიბრუნოს დანაკლისი“ (ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული წიგნი, გვ. 11).

სოლომონ დოდაშვილის როლი საკმაოდ დიდია სიბინძურის ჭაობიდან ქართველი ერის გამოყვანისა და თვით მოძალადე-დამპყრობელის უღლისაგან მამულის გამოხსნის მცდელობაში, მაგრამ როგორც ვიცით, ეს მცდელობა ჩაიშალა და ს. დოდაშვილი გადასახლებაში დაიღუპა. რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის პატრიოტულ პოეზიას, არათუ არავინ იკისრა თანამედროვეთაგან მისი დაბეჭდვა და მოსახლეობაში გავრცელება, სულაც შეიძლება დაკარგულიყო, რომ ილია ჭავჭავაძეს არ აღმოეჩინა იგი ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში. ქართული ეროვნული სულის გამოღვიძება და აღორძინება წილად ხვდა ილია ჭავჭავაძეს და მის გარშემო შემოკრებილ, მრავალრიცხოვან ეროვნულ-პატრიოტულ დასს, რომელიც ისტორიაში ცნობილია „თერგდალეულთა“, ანუ იგვიე I-ლი დასის სახელწოდებით.

რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა საქართველოში

ის, რაც ითქვა რუსეთის ბოროტ როლზე ქართველი ერის მიმართ, უკვე წარსულს ჩაბარდა, დღეს კი სულ სხვა ვითარებაა, იტყვის ალბათ რუსი მკითხველი და რა გგონიათ, მას დაუდასტურებენ არა მარტო ჩვენი რუსოფილი (ეროვნულად გადაგვარებული) მწერალ-ისტორიკოსები, არამედ საქართველოს ტრაგედიაში გაუცნობიერებელი არაერთი მიამიტი ქართველიც. მაშ, მოდით, ერთხელ კიდევ გავიცნობიეროთ ჯერ ორასწლოვანი ბატონობის მანძილზე რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი ანტიქართული ქმედებანი, რაც სადღეისოდ მომაკვდინებლად მოქმედებს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებზე, ხოლო შემდეგ ისიც ვნახოთ, რუსეთმა შეცვალა თუ არა დღეს თავისი იმპერიული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

ჯერ, წარსულში ჩადენილი ბოროტების შესახებ: მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც ისე იყოს აჭრელებული უცხო თესლით, როგორც დღეს საქართველოა. ეს სიჭრელე არღვევს ჩვენი ერის მონოლითურობას, მათ შორის ტერიტორიულ მთლიანობას, თქვეფს ქართველ ერს სხვა ხალხებში და საბოლოო ანგარიშით საქართველოს ეროვნული სიკვდილისაკენ მიაქანებს. ვინ შექმნა ეს ეროვნული სიჭრელე? ვინ ჩამოათესლა ჩვენს ქვეყანაში ამოდენა უცხო ხალხი ქართველობის ასათქვეფად? ვინ გვებრძვის დღესაც ქართული მიწიდან ქართველთა აღმოსაფხვრელად? ვინ გამოდევნა ქართველობა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან? ვინ ჩამოაცილა საქართველოს ეს ძირძველი ისტორიული მიწა-წყალი?

ყველა აქ ჩამოთვლილ ბოროტებათა ჩამდენი წარსულშიც და ამჟამადაც იყო და არის რუსეთი. რა იყო და რას ისახავს რუსეთი კვლავაც მიზნად საქართველოს მიმართ? ქართული გენის აღმოფხვრას ქართული მიწიდან და ამ ქვეყნის გარდაქმნას რუსულ ოლქად. ამიტომ, თუ საქართველო არ განთავისუფლდა რუსეთის მფლობელობისაგან, მისი გაქრობა დედამიწის პირიდან გარდუვალია.

როგორია ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობად წოდებული, რუსოფილ ხელისუფალთა და რუსულ-საბჭოურ-კოსმოპოლიტურ ქვაბში ნაწრთობი ქართული „წითელი ინტელიგენციის“ აზრი ერის ამ მომაკვდინებელი საფრთხის მიმართ? აშკარად მოღალატური, აშკარად გამყიდველური, გამომდინარე პირადი კეთილდღეობის იდეოლოგიიდან. როგორც რუსეთის აგენტურული ხელისუფლება, ასევე ამ ხელისუფლების ნასუფრალზე ნაკვები ინტელიგენცია, ვისაც რუსის გარეშე საქართველოს არსებობა ვერ წარმოუდგენია, 70 წლის მანძილზე გვიმტკიცებდა და დღესაც გვიმტკიცებს, რუსული ასიმილიატორული პოლიტიკის ბრალეულობის აცილების მიზნით, რომ საქართველო დასაბამითვე მრავალეროვნული ქვეყანა იყოო და თანაც ამ სიჭრელეს, დღეს რომ გვაქვს, რუსეთის მიზანმიმართული, ასიმილიატორული პოლიტიკისა და ჩვენივე ინდიფერენტული დაუდევრობით, ეროვნულ უბედურებად კი არ მიიჩნევენ,

არამედ მას კანონზომიერ ისტორიულ მოვლენად სახავენ და აბსურდული მოტივით — „უცხო, შემოხიზნულ ერებთან დამოკიდებულებაში ჩვენმა სიკეთემ გადაგვარჩინაო“, სიბრძნედაც კი უთვლიან ჩვენს წინაპრებს, ქართველებისადმი იმთავითვე მტრულად განწყობილი უცხო ტომების საქართველოში ჩამოთესლების ხელშეწყობისათვის, ბრიყვულად გაგებული საკაცობრიო ჰუმანურობისა და სტუმართმოყვარული მოპყრობისათვის.

ამით ისინი არა მარტო კანონიერების სტატუსით მოსავენ, ფაქტიურად, უკანასკნელ ორ საუკუნეში ძალადური გზით შემოთესლებული მტრული ტომების გამაგრებასა და მომრავლებას ჩვენს ქვეყანაში, არამედ უარესი შეცდომებისაკენ გვიბიძგებენ, როცა ჩვენს ნაკლოვან თვისებებს უცხო, მტრული თესლისადმი დამოკიდებულების საკითხში, ყალბად გაგებული კაცთმოყვარეობის პათოსით რომ მოსავენ და ამდენად, სანაქებო თვისებადაც რომ გვითვლიან, როცა სინამდვილეში, ამ უგუნური მოქმედებებით ჩვენ თვითონვე ვჭრიდით ყელს ჩვენს საკუთარ სამშობლოს, რამდენადაც ყოველი უცხო ტომელი სიკეთის სიკეთით გადახდის ნაცვლად, ყოველ კრიზისულ მომენტში ზურგში მახვილს გვცემდა წარსულშიც და ახლაც, საარსებოდ მიცემული მიწა-წყლის საქართველოდან ჩამოგლეჯისა და იქ საკუთარი სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. აქედან გამომდინარე, სიკეთემ როგორ გადაგვარჩინა, როცა მხოლოდ ბოროტებით გვიხდიდა და გვიხდის ახლაც ზოგიერთი შემოხიზნული, ჩვენს მიერ გაწეული სიკეთისათვის?

ეგებ გვითხრას რუსის მკითხველმა: რუსეთიც მრავალეროვანი ქვეყანაა, ჩვენთანაც არიან შემოხიზნულები სხვადასხვა ტომის ხალხებიო, მაგრამ ასეთი შედარება უნიადაგოა, რადგან რუსეთი უკიდეგანო ასმილიონიანი სახელმწიფოა, და ამდენად, იგი პირიქით, თვითონ ნთქავს თავის წიაღში იქ შეხიზნულ ინოროდცებს, — საქართველოს კი, როგორც პაწაწინა ქვეყანას, ერთი მუჭა ქართველებით, თავად შემოხიზნულები ნთქავენ ერთის მხრივ, ეროვნული სიჭრელის შეტანით, ხოლო მეორეს მხრივ იმით, რომ ეცილებიან ჩვენს ქვეყანას ძირძველ ისტორიულ მიწა-წყალს.

მთავარი კი აი, რაა ჩვენი შინაური მტრების საპასუხოდ: როგორ შეიძლება „ისტორიულად მრავალეროვნული“ ქვეყანა ეწოდოს იმ სახელმწიფოს, სადაც ფარნავაზ მეფიდან დაწყებული, მე-18 საუკუნის ბოლომდე, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში რუსი იმპერიალისტები გაგვიბატონდებოდნენ, აქ, რომაელთა, სპარსთა, არაბთა, თურქ-სელჩუკთა, მონღოლთა და სხვათა განდევნის შემდეგ, ან სულ არავინ რჩებოდა, ანდა სულ ბევრი, რამოდენიმე ასეული კაცი, და ისიც ქართველობაში რომ ითქვიფებოდა?! თვით სახელოვანი დიდი დავით მეფის მიერ ჩამოსახლებულმა მრავალრიცხოვანმა ყივჩაღებმაც კი, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ფეოდალური პარტიკულარიზმის პირობებში მეფის ძალაუფლების განმტკიცებისა და თურქ-სელჩუკთა წალეკვისაგან საქართველოს ხსნის საკითხში, ვერავითარი ეროვნული სიჭრელე ვერ შემოიტანეს ჩვენში, ვიდრე 1801 წლიდან რუსეთმა თავისი მსახვრალი ხელი

არ დაადო ჩვენს ქვეყანას.

დიახ, ჩვენი ქვეყანა მრავალეროვნულ სახელმწიფოდ იქცა მხოლოდ იმ დღიდან, როცა აქ „უფროს ძმად“ წოდებულმა რუსეთმა ქართული ეთნოსის სხვა ხალხებში აღრევისა და დედამიწის პირიდან მისი გაქრობის მიზნით, ასეულ-ათასობით რუსი და სხვა ეროვნების ხალხები ჩამოგვისახლა საქართველოში. მე აქ არაფერს ვამბობ უძველესი დროიდან ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელობაზე, რომლებსაც არც ეროვნული სიჭრელე შემოუტანიათ ჩვენში და არც რაიმე ვნება მოუყენებიათ ჩვენთვის, რამდენადაც ისინი მუდამ ქართველებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ, ქართული ეროვნული სულით ცხოვრობდნენ, ქართულად მეტყველებდნენ, ქართულად აზროვნებდნენ და ქართველებისადმი ყოველთვის კეთილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ახლა კი გავეცნოთ კონკრეტული ფაქტებით რუსეთის ასიმილიატორულ პოლიტიკას საქართველოში.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში თავიდანვე მეტად უცნაური დამოკიდებულება შეიქმნა. ცნობილია, რომ რუსერთი ამიერკავკასიაში საქართველოს მეშვეობით დამკვიდრდა. საქართველომ გაუღო რუსეთს დარიალის კარი, გულწრფელად მიანდო მას თავისი სვე-ბედი და რუსეთის სამხედრო სამსახურში შესული ქართველი თავად-აზნაურობა გულწრფელადვე ღვრიდა სისხლს რუსის მხედრობის მხარდამხარ, ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის თავისუფალი თემების რუსეთისათვის დაუფლებაში.

სამაგიეროდ კი, რუსეთის მხრივ ვხედავთ, არათუ სრულ უმადურობას გაწეული სამსახურისათვის, არამედ აშკარა სიძულვილსა და მტრობას ქართველი ხალხის მიმართ. ეს მტრობა თავს იჩენს 1783 წლის ტრაქტატის დადების დღიდანვე, რაც გამოიხატა ერთი მხრივ ამ ტრაქტატის მეშვეობით ირანთან და ოსმალეთთან დაპირისპირებული საქართველოსათვის დახმარების გაწევის ცრუ დაპირებებში, და ფაქტიურად კი, საქართველოს წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, ირანის აგრესიული ზრახვების წამქეზებლობაში.

როგორც ცნობილია, ამ ცრუ დაპირებებმა განსაზღვრეს ერეკლეს მოუმზადებლობა კრწანისის ომში, ამაზე უკვე ვილაპარაკერთ და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მეორეს მხრივ კი, ეს მტრობა ვლინდება, როცა რუსეთის ხელისუფლება იმავე 1783 წლიდან ქართველ მეფეებზე ზეწოლის გზით იწყებს აქ სომეხთა ჩამოსახლებას, რომელთაც, ივ. ჯავახიშვილის თქმით, საქართველოში რუსთა გასაბატონებლად ერთგვარი „წინამავალი რაზმის“ როლი უნდა შეესრულებინათ.

აი, რა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ამის შესახებ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“: „პეტერბურგი საიდუმლო ინსტრუქციებს აძლევდა თავის აგენტებს, რათა შეესწავლათ და გამოერკვიათ ამიერ-კავკასიის მთავრობების სამხედრო ვითარება, ძლიერი და სუსტი მხარეები, არ დარიდებოდნენ მოსყიდვას და

მოქრთამვას, დასმენასა და გადამტერებას, რათა მოემზადებინათ ნიადაგი ანექსიისათვის“ (გვ. 374). იგი აქვე განაგრძობს: „ცარიზმის დაზვერვა და დიპლომატია სულ იმის ცდაში იყო, რომ შეექმნა აქ დასაყრდენი ძალები თავისი ანექსიური ზრახვების განსახორციელებლად. ერთ-ერთ ასეთ ძალად ცარიზმს, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოში სომხობის გაძლიერება, რაც სხვათაშორის უნდა მომხდარიყო კოლონიზაციის გზითაც. ამ მხრივ ცარიზმს ხელს უბორკავდა 1783 წლის ტრაქტატი, რომლის თანახმადაც, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანი გამგებლობის საქმეებში.

რუსეთის ასეთი მტრული პოლიტიკა საქართველოს მიმართ თავიდანაც და შემდეგშიც, მიუხედავად თვით ქართველთა განუსაზღვრელი ნდობისა და ერთგულებისა, გამოწვეული იყო რუსეთის იმ ბოროტი განზრახვით, რომ ჯერ საქართველო, ხოლო შემდეგ მთელი კავკასია რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია მკვიდრი მოსახლეობის გადაგვარება-გადაშენებითა და აქ რუსული კოლონიების მოწყობით, რაშიც მას საქართველო მთავარ ხელისშემშლელ ძალად ესახებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველო თავისი გეოფიზიკური მდგომარეობითა და ეთნიკური ძალისხმევით იყო, არის და იქნება ის ძალა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა და კვლავაც შეასრულებს, მისი სიცოცხლისუნარიანობის შემთხვევაში, კავკასიელი ხალხების თვითარსებობის საქმეში. ვიდრე საქართველო იარსებებს, იარსებებენ კავკასიის ყველა დანარჩენი ერებიც, ხოლო თუ აღიგვება საქართველო, აღიგვებიან სხვებიც.

გავიხსენოთ ამის შესახებ ყაბარდოელი მოხუცის სიტყვები: „კავკასიის მზე მაშინ ჩაესვენა, როცა საქართველო დაიღუპა!“ კავკასიის ათვისების საქმეში საქართველოს დამაბრკოლებელი ძალის მნიშვნელობა შესანიშნავად ესმოდა და ესმის იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ ყოველ რუსულ ხელისუფლებას — მეფისასაც, კომუნისტებისასაც და ამჟამინდელ „გადემოკრატებულ“ ხელისუფალთაც. ამიტომაც იყო, რომ კავკასიაში გაბატონების მოსურნე რუსეთი თავისი მიზნის მისაღწევად ჯერ ყველაზე მძლავრ ეთნიკურ ერთეულს — ქართველ ერს დაუპირისპირდა, რომ შემდეგ უფრო მცირენი ადვილად მოეხრჩო. თანაც, დაუპირისპირდა არა მარტო თვითონ, არამედ დააპირისპირა სხვებიც, რომელთაც შემდგომისათვის უპირებდა შთანთქმას.

სომეხი მოსახლეობის პირველი პარტია, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა შემოიხიზნა და გორში დაასახლა, როცა მან სომხეთი თურქთა ბატონობისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ შემდეგ, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „თვით ინანოდა, ოდეს იხილა გარყვნილი თესლი“. უფრო გვიან კი, მეფე ერეკლემ საქართველოში, ვაჭრობის განვითარების მიზნით, რასაც თან ახლდა სომეხთა თხოვნაც, ერთი ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სომეხნი „გოდრებით გადმოიყვანა“ და თბილისში, თელავში, სიღნაღში და ველისციხეში დაასახლა. მისივე ინიციატივით ანატოლიიდან ქვემო ქართლის მიწა-წყალზე ჩამოსახლებულ იქნენ

სამთამადნო საქმის ბერძენი სპეციალისტები. ეს იყო და ეს. დანარჩენი სომხობა, მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთში და სხვა ადგილებში, ამჟამად მცხოვრები სომეხთა წინაპრების შემოსახლება და დამკვიდრება მოხდა ძირითადად 1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის ბოროტგანზრახული პოლიტიკის წყალობით. ამასთან, თუ წინათ (ე. ი. ტრაქტატის დადებამდე) სომხები ქართველ მეფეებს თხოვდნენ საქართველოში შემოსახლების ნებართვას და მათი მავედრებელნი იყვნენ, ამიერიდან, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ისინი უკვე გარეშე ძალის (რუსეთის ხელისუფლების) მფარველობას ეძებდნენ და მათი დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმის გაკეთებას.

ერთის მხრივ, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში — „საქართველოს საზღვრები“, ხოლო მეორეს მხრივ, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი თავის ნაშრომში „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია 1801-1920 წლებში“, სომეხთა ასეთი მოქმედების საილუსტრაციოდ ამგვარ ფაქტს გვაუწყებენ: „ჯერ კიდევ 1783 წელს, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის ტრაქტატის დადების გარშემო ამ ორი ქვეყნის დიპლომატები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, ამ მოვლენით ამოძრავებულმა ყარაბაღელმა და ყარადაღელმა სომეხმა მელიქებმა, — შესაძლებელია ცარიზმის აგენტებისაგან ჩაგონებით — საიდუმლო თხოვნით მიმართეს პეტერბურგს, რომ რუსეთის იმპერატორმა ისინი თავის ქვეშევრდომებად მიიღოს და ამ საფუძველზე (ე. ი. როგორც რუსეთის ქვეშევრდომები) საქართველოში დაასახლონ.

უეჭველია, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი ეს საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს...

მართლაც, რუსეთმა ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და თუმცა ეს დადებული ხელშეკრულების დარღვევა იყო, მაინც რუსთ ხელმწიფეს მათთვის სხვის სახელმწიფოში დასახლების ნებართვა მიუცია“ (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 29; პ. გუგუშვილი, გვ. 375).

წარმოიდგინეთ, იმისდა მიუხედავად, რომ ქართველი მეფეები ყოველთვის გულმოწყალედ ეკიდებოდნენ მუსლიმანთაგან ლტოლვილ სომეხ მოსახლეობას და საქართველოში დაუბრკოლებლად აძლევდნენ თავშესაფარს, მაინც ღალატობდნენ მათ, საქართველოში თავშეფარებულნი ისევ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ მოქმედებდნენ.

აი, რას ვკითხულობთ ერთი ასეთი ფაქტის შესახებ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში: „მელიქ აბოვი, რომელმაც

ერეკლესაგან ესოდენ დიდი მოწყალება მიიღო (იგი ბოლნისში დაასახლა ყარაბაღიდან გადმოყვანილი თავისი 400 კომლი სომეხით), როგორც ჩანს, მაინც ღალატობდა საქართველოს მეფეს და რუსეთის აგენტურას ემსახურებოდა. ამ ნიადაგზე გიორგი მეფეს იგი დაუპატიმრებია, მაგრამ საქართველოს მეფის კარზე მოვლინებულ რუსეთის რეზიდენტს კოვალენსკის გაუნთავისუფლებია აბოვი და ამიერიდან თავის მფარველობაში აუყვანია.

აბოვი კოვალენსკის ამის შემდეგაც „მთელი თავისი საქმით უმტკიცებდა“ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულებას. აბოვმა ამ სახით მოპოვებული მფარველობის მეოხებით თავის ქვეშევრდომთა რიცხვს კიდევ მოუმატა 300 ოჯახზე მეტი — ირან-თურქეთიდან შემოყვანილი სომხები. ასე რომ, მხოლოდ ამ ყარაბაღელი მელიქების ქვეშევრდომთა სახით კოვალენსკი საქართველოში 1000 მეომარს ანგარიშობდა, რომელთა „იმპერატორის სასარგებლოდ გამოყენება“ შეიძლებოდა აქ პოლიტიკური გართულების დროს...

ამგვარად, როგორც ვხედავთ, გარეშე მტერთაგან „მფარველობისა“ და შინაგან საქმეებში „ჩაურევლობის“ ტრაქტატი ცარიზმის დიპლომატიამ გადააქცია ისეთ იარაღად, რომლის მეოხებითაც ქართლ-კახეთის სამეფოს შიგნით უნდა გაემრავლებინა — და გაამრავლა კიდეც — დასაყრდენი ძალა ამ ქვეყნის ანექსიისათვის“ (პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 377).

მკითხველი უკვე გაცნობილია, თუ რა როლი შეასრულა ამ მხრივ საქართველოში შემოხიზნულმა სომხობამ. ამიტომ, როცა ამ ორთა ძალისხმევით ბოლო მოეღო საქართველოს სამეფოს და ამის მეოხებით აღარავითარი ხელშემშლელი ძალა საქართველოს მხრიდან უკვე აღარ არსებობდა, მადლიერმა რუსეთის ხელისუფლებამ ეს ამაგი იმით გადაუხადა თავის ერთგულ მოკავშირეს, რომ ირანიდან და თურქეთიდან იწყო მათი მასიური გადმოყვანა და დასახლება საქართველოს მიწა-წყალზე. ასე რომ, თუ ადრე, საქართველოს დაპყრობამდე, რუსეთის ხელისუფლება სომეხთა შემოსახლებას საქართველოში ქართველი მეფეებისადმი თხოვნის საფარქვეშ ახორციელებდა, ახლა უკვე აშკარა დემოგრაფიული ექსპანსიის სახე მიიღო ამ პროცესმა.

პირველი, ვისაც წილად ხვდა რუსეთის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი საქართველოს დენაციონალიზაცია და ამ მიზნით საქართველოში უცხო ტომის ხალხთა მასიური შემოთესლება, გახლდათ პავლე ციციანოვი — თავისი გვარ-ტომის უკიდურესი მოძულე და რუსის პირწავარდნილი შოვინისტ-იმპერიალისტი. 1804 წელს ერევნის სახანოზე ლაშქრობის დროს მან აქედან თბილისში გადმოასახლა 2000-ზე მეტი საქართველოში დასახლების მოსურნე სომეხი.

როგორც ზემოთ ითქვა, რუსთა მიერ საქართველოში განხორციელებული კოლონიზაციის ირგვლივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“, სადაც მას სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი ამ თემაზე

სათაურით — „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია 1801-1920 წლებში“. მოვუსმინოთ მას:

„მოკლე ხანში, უკვე მას შემდეგ, რაც სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი რუსეთის იმპერატორის ვასალად იქცა, რუსეთის საგარეო მინისტრის მოადგილე ადამ ჩარტორიისკი 1805 წელს გენერალ ციციანოვს სწერდა: „რუსეთის მიერ ახლად შეძენილი შავი ზღვის სანაპიროებში საფუძვლიანად გაბატონებისათვის არავითარი ღონისძიება არ იქნება ისე რეალური, როგორც რუსთა კოლონიის დასახლება სამეგრელოშიო... მთავრობას ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა აქ გადმოესახლებინა შავი ზღვის სანაპიროებშივე მცხოვრები კაზაკები. მაგრამ პ. ციციანოვის აზრით, ეს გამოიწვევდა ძლივს უკვე ჩაწყნარებული სამეგრელოს აღშფოთებას ანუ „ჩასაქრობ ცეცხლზე ნავთის დასხმასო“, რის გამოც, კაზაკთა გადმოსახლება სამეგრელოს ტერიტორიაზე შეფერხდა.

1810 წელს მთავარმართებელმა მარკიზ პაულიჩმა საქართველოს ტერიტორიაზე მოაწყო ბერძენთა და სომეხ-კათოლიკეთა რამდენიმე ათეული ოჯახი, რომლებიც ოსმალეთის პროვინციებიდან გადმოსახლდნენ“ (გვ. 465).

1814 წელს რატიშჩევმა იმპერატორს წარუდგინა „სრულიად საქართველოს გენერალური რუკა, რომელსაც თან დაურთო რჩევა, რომ „უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ საქართველოს ტიალ ადგილებზე დავასახლებდით უცხოელებსო“ (გვ. 465). თავის აზრს, აი როგორ ასაბუთებს იგი: უცხოელები კეთილ ზეგავლენას მოახდენენ აქაურ ადგილობრივ მცხოვრებლებზე, „რომელთაც თავის პირველ მოვალეობად მიაჩნიათ აწარმოონ ძარცვა-გლეჯა და წაართვან ერთიმეორეს ყველაფერი, რაც კი შეიძლება, ხოლო შრომაზე და პატიოსნებაზე სულაც არ ფიქრობენო“ (გვ. 466).

აი, ასეთ ცილისმწამებლურ ჭორებს ავრცელებდა რუსის მთავრობა ამიერკავკასიისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის ხალხთა მიმართ და ამიტომ იყო, რომ ამ ყალბ ცნობებზე დაყრდნობით ენგელსი წერდა: რუსეთი პროგრესულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთის ხალხთა წინაშეო..., რაც ქართველი კოლაბორაციონისტი ისტორიკოსებისათვის ხელჩასაჭიდ ციტატად იქცა საქართველოში რუსეთის ბატონობის გასამართლებლად.

ამიერკავკასიისა, და კერძოდ, საქართველოს კოლონიზაცია-ასიმილაციის საქმე უფრო გაცხოველებულ ხასიათს იღებს გენერალ ერმოლოვის მთავარმართებლობის წლებში. აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სომხის ერი და მისი მიწა-წყალი (მაშინდელი ერევნის სახანო, ხოლო შემდეგ ერევნის გუბერნია), როგორც რუსეთის ერთგული დასაყრდენი ძალა კავკასიაში რუსთა გაბატონების საქმეში, არათუ ასიმილაციის გეგმის გარეშე რჩებოდა იმპერიული მმართველობის მხრივ, პირიქით, მისი ზრუნვის საგანი იყო, რათა უკეთ დამკვიდრებულიყვნენ და მოშენებულიყვნენ არა მარტო თავის საკუთარ მიწა-წყალზე, სხვაგანაც. ამიტომაც, იქ უცხო ტომის ჩასახლებას ადგილი არ ჰქონია.

უფრო მეტიც, საქართველოს მიწაზე, სადაც მათ ასახლებდნენ, რუსის მმართველებისაგან მოითხოვდნენ, რომ მათ გვერდით სხვა ტომის ხალხი არ დაესახლებინათ და ისინიც უსრულებდნენ. ასე შეიქმნა სომხების კომპაქტური დასახლება ჯავახეთში. სომხები ამ მიწა-წყალზე ახლაც მტკიცედ იცავენ აღნიშნულ პრინციპს.

ახლა კონკრეტულად შევეხოთ გენერალ ერმოლოვის ღვაწლს საქართველოში უცხოთა ჩამოსახლების საქმეში. აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ასეთ ცნობებს გვაწვდის: „ერმოლოვმა პირველ ხანებში შეძლო უცხოეთიდან 300 ოჯახის ჩამოსახლება, რომელთაგან 120 ოჯახი ბერძნებისა წალკაში დაასახლა. შემდეგ მისივე ხელშეწყობით ჩამოსახლებულნი იქნენ გერმანელები. ეს ასე მოხდა: 1816 წელს შტუტგარდში გზად გავლისას იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის გერმანელ სექტანტებს კავკასიაში დასახლების ნებართვა უთხოვიათ. ნებართვის მიღებისთანავე, უკვე 1817 წლიდან დაიწყო მათი ჩამოყვანა, რომელთა დასახლებებს, უმეტესწილად, გადაერქვა უწინდელი სახელები და გერმანული დაერქვათ.

გერმანელებს, გარდა იმისა, რომ მთავრობა თვითონ უშენებდა საცხოვრებელ სახლს და არანაკლებ 35-დესეტინა სახნავ მიწას აძლევდა თითოეულ ოჯახს, განუწყვეტლივ ცდილობდა, რომ მათთვის მიწის ახალი დამატებითი ფართობები მიეცა. და ეს მაშინ, როცა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას 10-ჯერ ნაკლები მიწის ფართობი ჰქონდათ და მათ თხოვნას, მოემატებინათ იგი, აინუნშიც არავინ აგდებდა. ასე რომ, როცა ვლაპარაკობთ „წარსულში ხშირი შემოსევების შედეგად გაუკაცრიელებული მიწების არსებობაზე“, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო მიწის ფართობებით, ხოლო ამ გაერანებულ მიწებზე ეხვეწებოდნენ მათ დასახლებას და ისინი კი კუდაბზიკობდნენ. სრულებითაც არა! — რუსის ხელისუფლება ქართველთა სისხლით გაპოხიერებულ ამ მიწებზე ახლოსაც არ აკარებდა ქართველს, რადგან იგი უცხოელი კოლონისტების დასასახლებლად სჭირდებოდა. პირიქით, რუსის ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროებდა ქართველებს ეკონომიურად, სარწმუნოებრივად (მუსულმან ქართველებს), რათა გასცლოდნენ აქაურობას, რომ მათ ადგილზე უცხო მოდგმის ხალხი ჩამოესახლებინათ (იხ. გვ. 514).

ირანთან და ოსმალეთთან წარმოებული ბრძოლების შემდეგ, როცა რუსეთმა 1828 წელს დადებული თურქმანჩაის ხელშეკრულებით ერევნის, ნახჭევანისა და ტალიშის სახანოები შემოიმტკიცა, ხოლო 1830 წელს თურქეთთან დადებული ადრიანოპოლის ზავით ახალციხის საფაშო, საქართველოს ამ ქვეყნებიდან აწყდება მანამდე არნახული სომეხი კოლონისტების ახალი ტალღა.

ჯერ კიდევ თურქმანჩაის ხელშეკრულების დადებამდე თავრიზში მყოფ გენერალ პასკევიჩთან „იწყეს მოსვლა ამ ოლქში მცხოვრები სომხებისა და სხვა ქრისტიანთა დეპუტატებმა (არ ჩანს, ვინ იგულისხმებიან სხვა ქრისტიან დეპუტატებში), რათა მიეღოთ ნებართვა ამიერკავკასიის

პროვინციებში გადასახლებისა.

სომხებთან პასკევიჩის შეხვედრას მეტად სენტიმენტალურ ვითარებაში ჩაუვლია. ამ შეხვედრის შესახებ გენერალი პასკევიჩი გრაფ დიბიჩს სწერდა: „გავითვალისწინე რა სარგებლობა, რომლის მიღებაც ჩვენ შეგვიძლია მორჩილებას მიჩვეული და ჩვენდამი ერთგული ამ ხალხისაგან, მე მივუალერსე და დავაიმედე ისინი იმპერატორის მფარველობაში და გავისტუმრე თავიანთ სახლებში იმ მიზნით, რათა მომზადებულიყვნენ გასამგზავრებლადო“ (გვ. 515) სომხების „მორჩილება და ჩვენდამი ერთგულება“ კი, რასაც ხაზს უსვამს პასკევიჩი, თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ იქაც, იქაურ სომხებს, ისევე როგორც ჩვენებურ სომხებს, რომლებიც ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს რუსის მთავრობას ედგნენ მხარში ჩვენს საწინააღმდეგოდ, რუსეთ-სპარსეთის ომის დროსაც სპარსელთა წინააღმდეგ ჯაშუშებისა და მეგზურის სამარცხვინო როლი უსრულებიათ რუსების წინაშე. ამიტომ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ თურქმანჩაის ხელშეკრულებით რუსის ჯარს უნდა დაეტოვებინა ირანის აზერბაიჯანი, სომხები უკვე მასისურად აცხადებდნენ კავკასიაში გადმოსახლების სურვილს, „რადგან რუსის ჯარის გზის მაჩვენებელ და დამხმარე სომხობას, რუსის ჯარის მიერ ამ ტერიტორიის დატოვების შემდეგ იქ აღარ დაედგომებოდა“ (გვ. 521).

გადმოსახლების პროცესი დაიწყო 1828 წლის მარტს და 4-5 თვეში დამთავრდა. გადმოსახლდა 8249 ოჯახი. ამჯერად მათი უმეტესობა ერევნისა და ნახჭევანის გუბერნიებში დასახლდნენ, რადგან თვით ეს — მათი ძირითადი სამშობლო უმეტესწილად მუსლიმანებს ჰქონდათ დაკავებული. ისინი შემდეგ რუსის ხელისუფლებამ აიძულა, რომ ირანში გადასახლებულიყვნენ, რის შედეგადაც სომხეთი წმინდა სომხურ დასახლებად იქცა. რაც შეეხება საქართველოს, იგი უმეტესად თურქეთიდან გადმოსახლებული სომხებითა და ბერძნებით გაავსეს იგივე პასკევიჩის თაოსნობით.

ერთი სიტყვით, რუსის მთავრობა მზად იყო ვინც გინდა გადმოესახლებინა და დაესახლებინა საქართველოში ყველანაირი ხელშეწყობით (სესხის მიცემთი, ჯარისკაცთა მიერ ბინების აგებით და სხვ.), გარდა ქართველებისა. ამგვარად რუსის მთავრობა და მისი მოხელეები თითქმის ყველა ტომის ხალხს ფიანდაზად ეგებოდნენ. ადგილობრივსაც და გარეშესაც, სძულდათ მხოლოდ ქართველობა, ვისი მეშვეობითაც ისინი კავკასიაში დამკვიდრდნენ.

ეს ფაქტი კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსის მთავრობის მიერ ირანიდან და თურქეთიდან სომეხთა მასიური გადმოსახლების პარალელურად, ადგილი ჰქონდა საქართველოდან (კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან) ქართველი მაჰმადიანების (მათ შორის აფხაზი მაჰმადიანების) ასევე მასიურ განდევნას ირანსა და ოსმალეთში სარწმუნოებრივი შევიწროებისა და უზომოდ გაზრდილი ბეგარა-გადასახადების გზით. რუსის ხელისუფლების

მიერ განხორციელებული ეს ვანდალიზმი მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში.

თურქეთიდან სომეხთა გადმოსახლება დაიწყო 1829 წელს. მათ აქ გადმოსახლებას პროპაგანდას უწევდა არქიეპისკოპოსი კარაპეტი. საქართველოში სომეხთა გადმოსახლებას, როგორც აღვნიშნეთ, წინ უსწრებდა და თან სდევდა კიდევ უფრო მასიური განდევნა ქართველი მაჰმადიანებისა მესხეთ-ჯავახეთიდან და აჭარიდან მათთვის გაუსაძლისი პირობების შექმნის გზით. მაგალითად, ქალაქ ახალციხეში, სადაც 2300-ზე მეტი სომეხთა და ბერძენთა ოჯახი გადმოსახლდა თურქეთიდან, პირდაპირ შეასახლეს აქედან გადასახლებული მუსულმან ქართველთა დაცარიელებულ ბინებში.

აი, როგორი სურათი შეიქმნა ამის შედეგად საკუთრივ ახალციხის მთელ რეგიონში. კერძოდ, 1832 წლის აღწერით, მთელ ახალციხის ყოფილ საფაშოში აღმოჩნდა 50000 კაცამდე მცხოვრები მაშინ, როდესაც ხუთიოდე წლის წინათ დაახლოებით ამდენს მარტო ქ. ახალციხეში ანგარიშობდნენ, თანაც ამ ოლქში მოსახლეობის უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ. საგულისხმოა, რომ საქართველოში გადმოსახლებული კოლონისტები — სომხები, რუსები, გერმანელები, ისევე როგორც ადრე სპარს-ოსმალები, უგულებელყოფდნენ ქართულ ტოპონიმებს და ძირითადად იმ სოფლების სახელებს არქმევდნენ, საიდანაც ისინი საქართველოში მოვიდნენ.

სომხეთში კი აი, რა მდგომარეობა იყო 1830-1832 წლების წინ და როგორი მდგომარეობა შეიქმნა ამის შემდეგ. აკადემიკოსი პ. გუგუშვილი წერს: „1832 წელს სომხეთის ოლქში ადგილობრივ მკვიდრ სომეხთა რაოდენობა აღწევდა 25.151 კაცს, ხოლოლ საერთოდ მუსულმანთა — 82.073 კაცს. ამგვარად, მთელს მკვიდრ მოსახლეობაში (107.224) სომხები შეადგენდნენ მხოლოდ 23.4 პროცენტს, ხოლო მუსლიმანები — 78.6 პროცენტს. მას შემდეგ კი, რაც აქედან 1828-1830 წლებში მუსულმანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ირან-თურქეთში გადასახლდა, ხოლო აქ სომხები ჩამოსახლდნენ, 1832 წელს საერთოდ სომხები უკვე (ახლადგადმოსახლებულნი და ადგილობრივნი) შეადგენდნენ 82.377 სულს; ხოლო მთელი მოსახლეობა უდრიდა 164.450 კაცს.

ამგვარად, ირან-ოსმალეთიდან სომეხთა მასიური გადმოსახლების შედეგად სომხეთის ოლქი შეიქნა მართლაც სომხების ოლქად, სადაც სომხები უკვე შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 50.3 პროცენტს, ე. ი. ნახევარზე მეტს, მაშინ როდესაც ოთხი წლის წინათ ისინი აქ არ აღემატებოდნენ მთელი მოსახლეობის 15-18 პროცენტს (იხ. პ. გუგუშვილის აღნიშნული წიგნი, გვ. 599).

მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით კი, მისივე გამოკვლევით, აი, როგორია ეს სურათი: 1826 წლისათვის, ე. ი. ირან-ოსმალეთის სამფლობელოებიდან სომხების მასობრივ გადმოსახლებამდე, მათი საერთო რაოდენობა ამიერკავკასიაში უდრიდა, დაახლოებით, 110 000 კაცს, ხოლო გადმოსახლების შემდეგ 100 ათასიდან 270 ათასს მიაღწია 1832 წლისათვის.

თურქეთიდან სომეხთა გადმოსახლება ამიერკავკასიაში, და კერძოდ, საქართველოში, არც შემდეგ შეწყვეტილა. სახელდობრ, ჩერქეზ-აბხაზთა მასობრივად თურქეთში გადასახლების შემდეგ, პოკლოვნიკ მურავიოვის თავმჯდომარეობით შექმნილმა მთავრობის სპეციალურმა კომისიამ შავი ზღვის სანაპიროებზე დასასახლებლად გამოიწვია კოლონისტები, როგორც გერმანიიდან, აგრეთვე თურქეთიდანაც (ბერძნები და სომხები). 1865-1867 წლებში კიდევაც წარმოიქმნა შავი ზღვის სანაპიროებზე სომეხთა რამდენიმე სოფელი (პ. გუგუშვილი, გვ. 709).

ამის შემდეგ სომეხთა გადმოსახლების საქმეს თვით სომეხი სამღვდელო პირები ჩაუდგნენ სათავეში. კერძოდ, 1896-1897 წლებში მათი თავკაცობით თურქეთიდან ამიერკავკასიაში (ძირითადად საქართველოში) შემოსახლდა 70 ათასამდე სომეხი (იქვე, გვ. 710).

სომეხთა შემოსახლება საქართველოში თურქეთიდან და ასევე სომხეთიდან, როგორც ორგანიზებულად, ასევე თვითდინებით, შემდეგაც გრძელდებოდა და იგი არასოდეს შეწყვეტილა. რაც შეეხება რუსული დასახლებების შექმნას, სხვადასხვა მიზეზების გამო გვიან დაიწყო, მაგრამ შემდეგ სწრაფად წარიმართა.

პირველი რუსული კოლონიები, რომელიც მოეწყო საქართველოში, წარმოადგენდა სამხედრო დასახლებებს. 1835 წელს იმპერატორი ნიკოლოზ I ბარონ როზენის მიმართ სცემს ბრძანებას, რათა შედგენილ იქნას პროექტი კავკასიის სამხედრო კოლონიზაციისა, სადაც დასახლებულ იქნან ცოლიანი რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც მოიხადეს 15-წლიანი სამსახურის ვადა, რათა შეიარაღებული რუსი მოსახლეობის დაბინავებით უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ბატონობა კავკასიაში“.

ბოლოს ნიკოლოზ I-ის საგანგებო ბრძანების საფუძველზე 1837 წლიდან სამხედრო დასახლებები მოეწყო ძირითადად სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებში — თბილისის ახლოს, მანგლისში, წალკაში, კოჯორში, გომბორში, თეთრ წყაროზე, წითელ წყაროზე, ახალციხის მახლობლად, განჯაში და სხვა. შემდეგ ამას მოჰყვა რასკოლნიკებისა და სექტანტების მასიური გადმოსახლება. 1830 წელს მიღებული გადაწყვეტილებით დაიწყო შიგა რუსეთიდან ერეტიკოს-რასკოლნიკებისა და სექტანტების — დუხობორების, მოლოკნების, სკოპცებისა და სხვათა გადმოსახლება. მათი რუსეთიდან გადმოსახლება „სამხრეთის ახალ ციმბირად“ წოდებულ კავკასიაში დასჯის მიზნით ხდებოდა. 1839 წელს ტავრიდის გუბერნიიდან გადმოასახლეს დუხობორები და მოლოკნები. ისინი დაასახლეს ახალციხის მაზრაში. 1842 წელს დუხობორების კიდევ ერთი ჯგუფი გადმოასახლეს მელიტოპოლიდან. მათგან აქ წარმოიქმნა შემდეგი სოფლები: ორლოვკა, ეფრემოვკა, როდიონოვკა, დუბოვკა, ბოგდანოვკა, ტროიცკი და სხვ. ქართლ-კახეთის რაიონებში გადმოსახლდნენ რასკოლნიკები. 1844-45 წლებში დაიწყო დუხობორების მასიური გადმოსოახლება. მათი ერთი ნაწილი ახალციხის მაზრაში დაასახლეს, მეორე კი — ახალქალაქის მაზრაში. აქ დუხობორების 8 სოფელი წარმოიქმნა. 1852 წელს „მალოროსიიდან“ გადმოსახლებული კაზაკთა 200 ოჯახი ბორჯომის

სახაზინო მამულებში დაასახლეს.

აი, რას წერდა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მეფე ნიკოლოზ მეორეს 1907 წელს, იმ ანტიქართული პოლიტიკის შედეგებზე, რომელსაც ცენტრის კარნახით ახორციელებდა საქართველოში ადგილობრივი რუსული ხელისუფლება: „სინამდვილეში ჩვენ საკმაოდ ვიშრომეთ გერმანელი კოლონისტებით, ანატოლიელი ბერძნებით, თურქი სომხებით და რუსი სექტანტებით ქართული პროვინციების უფრო მჭიდრო კოლონიზაციისათვის, მაგრამ მიწასთან დაკავშირებით ამ ადგილების მკვიდრი მოსახლეობისათვის არათუ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია, არამედ ისე ავრი-დავრიეთ ეს საქმე მათი მიწათსარგებლობიდან სხვადასხვა ჩამოჭრებით, რომ მიწათმოწყობის დაწყებისას ზოგიერთი სოფლების მოსახლეობა ახალი ჩამოჭრების დაწყების შიშით უარს ამბობდნენ მასზედ!

როგორც ამ დოკუმენტიდან ვხედავთ, რუსის ხელისუფლება მიზანდასახულად ახორციელებდა დემოგრაფიულ აგრესიას საქართელოს წინააღმდეგ და აძლევდა ეკონომიკურ პრივილეგიას კოლონისტებს, შევიწროებულ და უმიწაწყლოდ დარჩენილი მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ხარჯზე.

კოლონიზაციის საქმე გრძელდებოდა სულ მუდამ, რუსთა ბატონობის პერიოდში. კერძოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა ახლადაღორძინებულ ლაგოდეხის რაიონში შემდეგი რუსული სოფლები: ალექსეევკა, სლაბოდკა, მიხაილოვკა, გრაფოვკა, დაშკოვა და ა. შ.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, თუ რა პოზიციას იკავებდნენ ქართველი ერის დამანგრეველ ამ უაღრესად საჭირბოროტო საქმეში ჩვენი მაშინდელი „ნაღები“ საზოგადოება. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ აკადემიკოს პ. გუგუშვილის ხსენებულ გამოკვლევაში: „ყმების გამრავლების მიზნით თვით მოითხოვეს სექტანტების გადმოსახლება თავიანთ მამულებში ალექსანდრე ჭავჭავაძემ და სამეგრელოს მთავარმა დადიანმა. დადიანმა სამეგრელოში დაასახლა მოლოკნები, რასკოლნიკები, სკოპცები. სკოპცები დასახლდნენ სოფ. ორპირში. 1846-1847 წლებში რასკოლნიკები დაასახლეს ბორჩალოს მაზრაში ორბელიანების მიწებზე.

რუსეთის ხელისუფლებამ არანაკლები ბოროტება დაატეხა თავს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიელ ხალხს და თვით ჩვენს მტერ-მოყვარე აფხაზებს. კერძოდ, 1864 წელს რუსეთმა დაამთავრა რა დასავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა, ამას მოჰყვა მთიელთა განადგურება. აჯანყებათა ჩახშობის შემდეგ დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა თურქეთში გადაიხვეწა. მარტო 1858-1865 წლებში აქედან გადასახლდა 418 000 მთიელი (ჩერქეზები, აფხაზები, უბიხები, შაფსუღები და სხვ.), ოფიციალური ცნობით 1865 წლის დასაწყისში, მაგალითად წებელდის საბოქაულოში ითვლებოდა 10 433 მცხოვრები, ხოლო აჯანყებისა და მას მოყოლებული მოსახლეობის თურქეთში გადასახლების შემდეგ, აქ სულ 87 კაციღა დარჩენილა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროსაც დიდძალი ხალხი გადაიხვეწა

თურქეთში შავი ზღვის გუბერნიიდან. გადასახლებულთა ადგილზე რუსეთის ხელისუფლებამ სოხუმის ოლქში შექმნა რუს კოლონისტთა 32 სოფელი (პ. გუგუშვილის აღნიშნული ნაშრომი, გვ. 728-734).

რუსეთის ხელისუფლებას ასიმილაციის პროცესიდან არც თბილისი გამორჩენია. ამიტომ აქ სომეხთა ჩამოსახლება იმის პარალელურად მიმდინარეობდა, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს საქართველოში. ასე რომ, ქ. თბილისში სომეხთა მასიურ შემოსახლებას, ციციანოვის მიერ განხორციელებული ღონისძიების ჩათვლით, დასაბამი მიეცა XIX საუკუნის დასაწყისიდან და იგი ხორციელდებოდა თურქეთიდან და ერევნის გუბერნიიდან.

ამ ფაქტის შესახებ იგივე შეხედულებას გამოთქვამს ისტორიკოსი ანზორ თოთაძე გაზეთ „თბილისში“ (12.VI.89 წ.) დაბეჭდილ თავის ვრცელ წერილში „თბილისის მოსახლეობა“, სადაც იგი თავის მხრივ ეყრდნობა 1820-იან წლებში საქართველოში მოღვაწე ფრანგი კონსულის გამბას შემდეგ ცნობას: „თბილისის მოსახლეობა დღითიდღე იზრდება მოზღვავებული სომხებით, რომლებიც აქ ეძებენ თავშესაფარს ოსმალთა ძალადობისა და სპარსთა შევიწროებისაგან“. საკვირველია, იმ დროს, როცა 1876 წელს, თბილისის მოსახლეობა ერთდღიანი აღწერის მიხედვით უდრიდა 104 ათას კაცს, ხოლო ერევნის მოსახლეობა 1865 წელს მხოლოდ 14070 კაცს შეადგენდა, თურქეთიდან აყრილი სომხობა თავისი ქვეყნის დედაქალაქში კი არ მიდიოდა საცხოვრებლად, როცა მას უკვე რუსეთის მეშვეობით აქ აღარავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, არამედ თვით ერევნის გუბერნიიდანაც აქეთ, თბილისში და საქართველოს სხვა ადგილებისაკენ მოისწრაფოდა დასასახლებლად ცნობილი მზაკვრული ჩანაფიქრით — „რაც ჩვენია, ხომ ჩვენია, რაც სხვისია, ისიც ჩვენი იყოსო“.

აღნიშნულ სტატიაში ა. თოთაძე სომხური ეთნოსის განფენილობის შესახებ ასეთ ცნობებს გვაწვდის: პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე სომხები უმთავრესად ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ოთხი მილიონი სომხიდან დაახლოებით 1,5 მილიონი რუსეთის იმპერიაში, ხოლო დანარჩენი აღმოსავლეთ თურქეთში ცხოვრობდა. 1915-1916 წლებში 1,5 მილიონი სომეხი თურქეთის მთავრობის მიერ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციას შეეწირა, ხოლო 600 ათასზე მეტი სომეხი, იგივე მიზეზით, მესოპოტამიის მწირ და უნაყოფო რაიონებში გადაასახლეს. შემდეგ ამ ადგილებიდან სომხები გადასახლდნენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 300 ათასზე მეტმა ლტოლვილმა კი ამიერკავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში ჰპოვა თავშესაფარი. აქედან, 150 ათასი სომეხი საქართველოში შემოსახლდა. ამ გზით 1926 წლის აღწერის მიხედვით, ქ. თბილისში სომეხთა რიცხვმა უკვე 87 ათასი შეადგინა.

ასე რომ, XIX საუკუნის დასაწყისიდან, 60-იანი წლების ჩათვლით, ქ. თბილისი რუს ხელისუფალთა ანტიქართული პოლიტიკის წყალობით უკვე სომხურ ქალაქად გვევლინება. მითუმეტეს, როცა მათ ხელში ჩაიგდეს

ეკონომიკური ბერკეტები და ფართო ხასიათის მშენებლობები გააჩაღეს, აქვე, ქართველი ხალხის კისრიდან ამონაგები ფულებით, რაც ამ ქალაქის ეკონომიკური დაპყრობისა და გათავისების ბოროტ წადილს ემსახურებოდა. დიახ, ეს ასე იყო, რადგან თვით მათი ეროვნული ცენტრი — სომხეთის დედაქალაქი ერევანი ამ დროს ალიზის ქოხმახების გროვა იყო და სხვა არაფერი. ამდენად, თუ შენება იყო, იქ უნდა აეშენებინათ თავიანთი დედაქალაქი და არა იქ, სადაც არაფერი ესაქმებოდათ, მათ რომ სხვისი ქალაქის ხელში ჩაგდების ავი ზრახვები არ ჰქონოდათ გულში. როგორც ცნობილია, ერევნის ინტენსიური განაშენიანება და თანამედროვე ქალაქად გადაქცევა ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა საკავშირო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დიდძალი თანხებით.

ქ. თბილისში ასე მომძლავრების შემდეგ სომხებმა უკვე ამ ქალაქის ბატონ-პატრონად ჩათვალეს თავი და სერიოზულ დავაზეც გადავიდნენ მისი კუთვნილების შესახებ. განსაკუთრებით უპირისპირდებოდნენ ისინი, როგორც კონკურენტ-შემცილებლებს, დასავლეთის ქართველობას და „ტუნელს იქიდან გამოსულების“ მოტივით, მათ იქითვე წასვლას უკიჟინებდნენ, საიდანაც მოვიდნენ. დაივიწყეს, რომ თვითონ იყვნენ ისინი არათუ ტუნელს იქიდან, არამედ სრულიად უცხო ქვეყნიდა მოსულები, და თუ წასვლაზე მიდგებოდა საკითხი, პირველ რიგში თვითონ უნდა წასულიყვნენ აგერ, ყურისძირში მდებარე თავიანთ სამშობლოში.

რაც შეეხება ქ. თბილისს, იგი როგორც საქართველოს დედაქალაქი, ისევე, როგორც საქართველოს ყოველი ქალაქი და სოფელი — ერთნაირად ეკუთვნის როგორც აღმოსავლელ, ისევე დასავლელ ქართველობას. სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ითქვას, რომ თუ დღეს ქ. თბილისი კვლავ ქართულ ქალაქად გვევლინება, ამაში უდიდესი დამსახურება სწორედ დასავლეთის ქართველობას მიუძღვის აქ მასიური ჩამოსახლებითა და დამკვიდრებით, რაც სწორედ იმ დროს განხორციელდა, როცა ჩვენს დედაქალაქს სრული გაუცხოება ემუქრებოდა.

ნუ ვიქნებით მიამიტნი და ნუ ვიტყვით, რომ უცხოელთა ჩამოთესლება ჩვენს მიწა-წყალზე, რასაც თან სდევდა ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ ერთეულებად დანაწილება, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და მისი დაკარგვაც, მარტო გარეშე ძალის წყალობით ხდებოდა და ჩვენ კი ამ შემთხვევაში უცოდველნი და უანგარონი ვიყავითო. სრულებითაც არა. ის ფაქტი, რომ ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი დღეს ჩვენი მეზობლების კუთვნილებაა და ზოგჯერ საექსკურსიოდაც აღარ გვაკარებენ ახლოს, განა ამაში ჩვენ თვითონ ნაკლები ბრალი მიგვიძღვის? ანდა, იმ ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომელიც რუკაზეღა შემოგვრჩა და ფაქტობრივად აღარც ისაა ჩვენი, იმ მიწა-წყალზე ქართული სულის არარსებობის გამო, რაო, მარტო სხვისი ბრალია? ინდიფერენტულობა, დაუდევრობა, ახლომხედველობა ანუ მარტო დღევანდელი დღით ცხოვრება, გაუმაძღრობა, პირადი კეთილდღეობიდან გამომდინარე ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა, დაბოლოს — აშკარა ღალატი სამშობლო მიწა-წყლის გამცემლობით — აი, ის უდიდესი მანკიერებანი,

რამაც ამ დღემდე მოგვიყვანა. აი, რა გზით ჩაეყარა საფუძველი, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ისეთი მხარეების დაკარგვას, ან თუნდაც დაკარგვის საფრთხის წინაშე დაყენებას, როგორიც საინგილო და სამაჩაბლოა.

აი, რას წერს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი საინგილოს შესახებ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით: „მეფე ლევანმა აქ თურმე ლეკები დაასახლა და ყოველდღიურ გადასახადად მხოლოდ ის მოვალეობა დააკისრა, „რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“, გვ. 12). ამას მოჰყვა შემდეგ დაღესტნიდან ლეკთა მოზღვავება და საინგილოში დასახლება, რის შედეგადაც მკვიდრი ინგილო-ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. უფრო გვიან კი, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა, ბოლშევიკი ქართველების დახმარებით, 1921 წელს საქართველო კვლავ იმპერიის შემადგენლობაში მოაქცია, საფუძვლად გამოიყენა რა, რომ აქ ქართულ მოსახლეობას მუსულმანობა სჭარბობდა, ქართველმა ბოლშევიკებმა — სტალინმა და ორჯონიკიძემ ეს მხარე სავსებით ჩამოაცილეს საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკას დაუქვემდებარეს.

დაახლოებით იგივე ითქმის სამაჩაბლოზე. მართალია, ჩრდილო კავკასიიდან ოსების მოძალებას ყოველთვის ჰქონდა ადგილი, როგორც კი საქართველოს ძნელბედობის ჟამი დაუდგებოდა, მაგრამ ქართველი მეფეები (ვახტანგ გორგასალი, გიორგი ბრწყინვალე) მათ კვლავ კავკასიონის მთებს იქით გადარეკავდნენ ხოლმე, ვიდრე გულმოწყალე სვიმონ მეფემ (XVI ს.) იაფი მუშახელის შოვნით დაინტერესებული ქსნისა და არაგვის ერისთავებისა და ამ მხარის თავადების — მაჩაბლების, ფალავანდიშვილების, ფურცელაძეების მოხსენების საფუძველზე, რომელსაც ისინი მოტივად ოსთა მძიმე გასაჭირსაც უდებდნენ საფუძვლად, ნება არ დართო მათ ხიზნების სახით შეეკედლებინათ თავიანთ მამულებში იმ დროს კარდაკარ სამათხოვროდ მოწანწალე, მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი ოსები (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში).

მართალია, საქართველოში ბოლშევიკთა დამკვიდრების დროისათვის, ოსები სამაჩაბლოში ჯერ კიდევ უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შედარებით, მაგრამ ეს მაინც საფუძველი შეიქნა სამშობლოს უარმყოფელი სტალინისა და ორჯონიკიძისათვის, რომ სამაჩაბლო ოსებისათვის ავტონომიურ კუთვნილებაში გადაეცათ.

ახლა ავიღოთ ქვემო ქართლისა (ძველი საბარათიანო) და აფხაზეთის მაგალითი. ამ რეგიონებშიც ქართველი პარტოკრატების პირადი კეთილდღეობა დაედო საფუძვლად უცხო თესლის მომრავლებას. მართალია, ქვემო ქართლში თურქული მოდგმის ტომებს (კერძოდ, ბორჩალუს ტომს) ირანის შაჰებმა დაუდეს სათავე, მაგრამ მათი რაოდენობა აქ ერთობ მცირე იყო. თურქთა ეს მოდგმა შეივსო ძირითადად აზერბაიჯანელებით საბჭოთა პერიოდში. მათი აქ მომრავლების თაოსნები იყვნენ გამდიდრების წყურვილით მადააშლილი ქართველი პარტოკრატები, რომლებიც ბითუმად და საცალოდ ჰყიდიდნენ ქართულ ისტორიულ მიწა-

წყალს.

რაც ვთქვით სამაჩაბლოზე, დაახლოებით, იგივე ითქმის აფხაზეთზე. მართალია, ძნელბედობის ჟამს, დაახლოებით, მე-17 საუკუნეში, როცა საქართველო ანარქიით იყო მოცული და მტრისა და მოყვრისათვს პასუხის გამცემი აღარავინ იყო, ჩრდილო კავკასიიდან აქ თვითნებურად ჩამოსახლდნენ ადიღეური მოდგმის აფსუები, რომლებმაც ადგილობრივი ქართული ტომების — აფხაზების სახელი მიიკერეს, ე. ი. აფხაზს შინაარსი შეუცვალეს და აფსუა და აფხაზი ერთმანეთში გააიგივეს. მაგრამ 1867 წელს აქ მომხდარი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როცა რუსის ხელისუფლებამ დიდი ნაწილი აფსუებისა გაანადგურა, ხოლო გადარჩენილთა უმეტესობა თურქეთში გადაიხვეწა, აქ ისინი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აბსოლუტურ უმცირესობად იქცნენ. და თუ ისინი დღეს მომრავლებულად გვეჩვენებიან, ეს მათი ბუნებრივი მატების შედეგი როდი გახლავთ. მატება მოხდა ძირითადად პრივილეგიების მაძიებელი გააფსუებული ქართველების ხარჯზე. მომრავლდნენ სომხობაც, იგივე გადაგვარებული ქართველების თაოსნობით, რომლებმაც გააფსუების შედეგად მიაღწიეს რა მაღალ თანამდებობებს, ჩალის ფასად ასყიდვინებდნენ ოქროსავით ქართულ მიწა-წყალს შავ ზღვაზე ფეხის მოკიდების მსურველ სომხობას.

მეფის რუსეთის ასიმილატორულმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ კიდევ უფრო აქტიური და მიზანმიმართული ხასიათი მიიღო საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მართალია, ამ დროს, კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ერების შერწყმის პროცესი, ანუ ფაქტობრივად, არარუსი ხალხის რუსიფიკაციის პოლიტიკა, მთელი იმპერიის მასშტაბით ხორციელდებოდა, მაგრამ საქართველოს მიმართ, თუნდაც ჩვენი მეზობლების — სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, იგი კვლავაც განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა.

სამწუხაროდ, ამ უკიდურესად ბოროტი როლის შემსრულებლად რუსად გარდაქმნილი სტალინი მოგვევლინა. საქართველოს ხელისუფლებაზე მისი აშკარა ზემოქმედებით ფართოდ გაიღო საქართველოს საზღვრები უცხოთა ჩამოსათესლებლად. ჯერ კიდევ ე. წ. „სტალინური ხუთწლედების“ პერიოდში, ჩვენს რესპუბლიკაში, სანედლეულო ბაზების არარსებობის პირობებში, ყოვლად გაუმართლებელი ფაბრიკა-ქარხნების (მათ შორის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის), სამშენებლო ობიექტებისა, ხოლო შემდეგ, უკვე აგებული საწარმოების მუშა-ხელით უზრუნველყოფის მოტივით ათეულ ათასობით რუსი და სხვა უცხოტომელი ჩამოგვისახლეს საქართველოში.

თუ რამდენად იყო დაინტერესებული სტალინი ქართველი ერის სხვა ხალხებში გათქვეფითა და მისი ეროვნული სახის წაშლით, სხვათათვის შეღავათის მიცემის ხარჯზე, მოვიყვანთ ერთ ასეთ ფაქტს: როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლებამ არათუ ვერ შეუსრულა ხალხს თავისი დაპირება — აქ, სააქაოში, მიწიერი სამოთხის დამკვიდრების შესახებ, არამედ კომუნისტური სისტემის შობის დღიდანვე მთელს საბჭოთა

რუსეთში მასიურმა შიმშილობამ იფეთქა. ჩრდილო კავკასიიდან დამშეული სომხობა აიყარა და თავის ძირეულ სამშობლოს — სომხეთის საზღვრებს მიადგა შემწეობის მისაღებად. მაგრამ სომხეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავის სისხლ-ხორცეულ ძმებს საზღვარი გადაუკეტა და ისინი სომხეთში არ შეუშვა. მაშინ, ლტოლვილი სომხები საქართველოსკენ შემობრუნდნენ, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასახლების თხოვნით.

ბუნებრივია, თუკი სომხეთის ხელისუფლებამ ზურგი აქცია საკუთარ გვარ-ტომსა და ჯილაგს, არანაკლებ გაჭირვებაში მყოფმა საქართველოს მთავრობამაც თავი შეიკავა უცხო გვარ-ტომის საქართველოში შემოსახლებაზე. საქმეში მაშინვე ჩაერია სტალინი და თან აიძულა საქართველოს მთავრობა, რომ სომეხი ლტოლვილები საქართველოს ტერიტორიაზე დაესახლებინა — თანაც, სასტიკად გაკიცხა ისინი აღნიშნულ საკითხში „ნაციონალისტური“ პოზიციის დაკევებისათვის. თავად სომხეთის მთავრობას კი საყვედურიც არ აკადრა, თითქოს საკუთარი ხალხის მიმართ, მათი მოპყრობა, რომელიც თავისი გულქვაობით ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, ინტერნაციონალისტური მიდგომა ყოფილიყოს.

მაგრამ ქართველი ერის ასიმილაცია კომუნისტების დროს მარტო უცხო, გადამთიელთა შემოსახლებით როდი ხდებოდა. ეს პროცესი ქართველი ახალგაზრდობის საკუთარი წიაღიდან მოწყვეტითა და რუსეთის უკიდეგანო იმპერიის ტერიტორიაზე იძულებით განსახლებითაც ხორციელდებოდა.

ამას საფუძვლად ედო, ე. წ. ინტერნაციონალისტური აღზ-რდის პრინციპებიდან გამომდინარე, ახალგაზრდა კადრების ურთიერთგაცვლის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ქართველი უმაღლესდამთავრებულები სამუშაოდ იგზავნებოდნენ რუსეთში, ხოლო რუსი უმაღლესდამთავრებულები — საქართველოში.

ამ მზაკვრული პოლიტიკით ორმაგ ბოროტებას ეყრებოდა საფუძველი ქართველი ერის (ისევე, როგორც სხვა, არარუსი ერების) საზიანოდ. ქართველი ახალგაზრდობა, რომელსაც ერის უწყვეტი გამრავლების მისია ეკისრებოდა, საქართველოს ხელიდან ეცლებოდა და უცხო წიაღში ინთქმებოდა. ამას კი, საბოლოო ანგარიშით, ქართველი ერის დაკნინება, დაბერება და გადაშენება მოსდევდა.

საქართველოში გამოგზავნილი რუსული კადრი, იმ მოტივით, რომ მათ ქართული ენისა არაფერი გაეგებოდათ, ქართული წარმოება-დაწესებულებების რუსულ ენაზე გარდაქმნას მოითხოვდნენ და ადვილადაც აღწევდნენ რუსის ლაქია ხელისუფლებისა და თვით წარმოების უპრინციპო ხელმძღვანელებისაგან. წარმოიდგინეთ, ხუთი კაციც რომ ყოფილიყო რუსი 5000-იან ქართულ კოლექტივში, კრებები და ლექცია-მოხსენებები, მათ შორის საქმიანი დოკუმენტების წარმოება, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ასე, თანდათანობით იდევნებოდა ქართული ენა ცხოვრების ყველა სფეროდან და მის ადგილს რუსული ენა იკავებდა. ქართული ენა კი საოჯახო ენის ფუნქციასღა ასრულებდა უკვე სტალინის

პრორუსული პოლიტიკის აქტიური გამგრძელებლის — შევარდნაძის ცეკას მდივნობის წლებში.

ილია ჭავჭავაძისა და მის გარშემო შემოკრებილი თერგდალეულთა დასის მამულიშვილური ბრძოლა ქართული ეროვნული მეობის გადასარჩენად

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია იმაზე უფრო დიდი და მრავალმხრივი ეროვნული მოღვაწე, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე. დავით აღმაშენებელი ისეთ დროს მოევლინა საქართველოს, როცა იგი თურქ-სელჩუკთაგან სრული წალეკვის საფრთხის წინაშე იდგა. მან თავისი ტიტანური ენერგიითა და გენიოსურად წარმართული პოლიტიკით, არათუ იხსნა საქართველო, არამედ ძლიერების არნახულ მწვერვალზეც აიყვანა — მისი საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გასწია. დავითის მიერ საძირკველჩაყრილმა საქართველომ ერთი საუკუნე იარა თავისუფლებისა და დიდების გზით. თვით თამარის ოქროს საუკუნეს მან მისცა დასაბამი.

სამწუხაროდ, მე-15 საუკუნის ბოლო წლებიდან (1491 წ.) საქართველოს, ცრუმეგობრის სახით, კიდევ უფრო ვერაგი, სკვითურ-სლავური მოდგმის მტერი მოევლინა, რომელმაც ჯერ მთელი სამი საუკუნე სპარს-ოსმალებთან მრავალჯერ დაპირისპირებითა და გადამწყვეტ მომენტებში ზურგშექცევით სისხლისგან დაგვცალა, ხოლო შემდეგ, როცა ასე არაქათგამოცლილები, იგივე ვერაგობით, 1801 წლიდან თავისი ჩექმის ქვეშ მოგვაქცია, ახლა უკვე მიზნად დაისახა ქართული მიწიდან ქართული გენის აღმოფხვრა და მისი რუსად გადაგვარება.

რუსის ხელისუფლებამ ამ ვანდალურ მიზანს ნაწილობრივ მიაღწია კიდეც, როცა საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყნის მმართველობიდან, სასამართლო ორგანოებიდან, სკოლებიდან და თვით ეკლესია-მონასტრებიდანაც კი, სავსებით გამოდევნა ქართული ენა და მის ადგილზე რუსული ენა გააბატონა. თვით ქართულ გვარებს კი მოკვეცა „შვილი“ და „ძე“ და მათ რუსული დაბოლოებები დაანათლა. ქართველთა ზედაფენაც უკვე ისე შეეთვისა ამ გადარუსებას, რომ ერცხვინებოდა კიდეც ქართულად ლაპარაკი.

და აი, გარუსების ამ უდიდესი საფრთხის ჟამს, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის თერგდალეულთა სახელოვანი დასი ილიას მეთაურობით, რომელმაც არა მარტო გადაარჩინა ქართველი ერი რუსიფიკაციის საფრთხეს, არამედ მათვე ჩამოაყალიბეს თავიანთი სამწერლობო შემოქმედებებში მეცნიერულ, პედაგოგიურ და მაღალზნეობრივ პრინციპებზე, საკაცობრიო იდეალებთან შეთანხმებული — მრავალეროვნული და მრავალფეროვნული ეროვნულ-პატრიოტული მოძღვრება, რომელიც ყოველთვის გადაარჩენს საქართველოს შესაძლო კატაკლიზმებისაგან, თუკი ქართველი ერი ამ მოძღვრებით იმოქმედებს და არ აჰყვება სტალინ-ორჯონიკიძე-შევარდნაძის ანტიეროვნულ, კოსმოპოლიტურ-მასონისტურ იდეებს.

დღეს უკვე აღიარებულია, რომ 1089 წელს საქართველოს რომ არ მოვლენოდა დავით აღმაშენებელი, მისი შთანთქმა თურქ-სელჩუკთაგან გარდუვალი იყო. იგივე ითქმის რუსთა ბატონობის ქვეშ მყოფ

საქართველოზე — მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, საქართველოს რომ არ მოვლენოდა ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი თერგდალეულთა დასით, საქართველოს შთანთქმა რუსთაგან გარდუვალი იქნებოდა.

თუ რამდენად რეალური იყო საქართველოს გათქვეფა რუსულ უკიდეგანო მორევში და ხუთიათასწლოვანი ერის სრული აღგვა მიწისაგან პირისა, — თუ რამდენად დაკარგული ჰქონდა უკვე ქართველს ეროვნულ-პატრიოტული გრძნობა და მხოლოდ ხორციელი არსებობა მიაჩნდა მას სიცოცხლის მიზნად, ამ დასს რომ არ შეენჯღრია თავით-ფეხებამდე მიძინებულ-მიმკვდარუნებული ერი, მოვუსმინოთ თვით ილიას:

„დრო მე-40 და 50 წელთა იყო, დრო ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიძინებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამგვარის მიმძინარებულის ხასიათისა გახლდათ... მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ, — მაგის გარდა კიდევაო? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. — რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო...“

ახლა თავად განსაჯოს მკითხველმა — განა სწორი არ იყო ილიას დიდი თანამებრძოლი აკაკი, როცა ასე გაპირუტყვებულს, ეროვნულგრძნობადაკარგულს, მონობას შეგუებულს და მარტო მუცელზე მაფიქრალ საქართველოს „ფურთხის ღირსი“ რომ უწოდა?!

ისევ მოვუსმინოთ ილიას, იმ დროის დაცემულ საქართველოზე, რომელიც მან თავის შესანიშნავ პოემა — „აჩრდილში“ გამოხატა:

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთივ მოუცია მარტო მამული“.

შემდეგ ილია ამ პოემაში უფრო დეტალურად ასე აგვიწერს ქართველთა მხრივ დაკარგულ ეროვნულ-მამულიშვილურ გრძნობას, მის გულცივობას საკუთარი სამშობლოს მიმართ, როცა იგი ეხება საქართველოს ძველ დედაქალაქს — მცხეთას:

„აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა“.

შემდეგ ილია თბილისს აგვიწერს, სადაც იგივე სასოწარმკვეთი მდგომარეობაა:

„აგერ ტფილისიც... ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მათ ა ზრში ა ზრსა მე ვერ ვპოვებდი.
.....
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ —
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას“.

ყველაზე სამწუხარო კი, აი რაა ილიას სიტყვით:

„და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული“.

კითხულობ ამ სტრიქონებს და იგივე დღევანდელი დღე დაგიდგება თვალწინ — უყურებ მეტროს სადგურების წინ გადატენილ (უსაქმურ) ახალგაზრდობას, უშნოდ რომ იპურჭყებიან და საუბრობენ მხოლოდ იმაზე — რა დალიეს, რა შეჭამეს, რა იანგლეს — არც ერთი სიტყვა ეროვნულ პრობლემებზე... აიღეთ თუნდაც საკუთარი სახლ-კარიდან გამოდევნილი ლტოლვილი ქართველები, ისევ იმ სატანური ძალებისაგან რომ ელიან შველას, ვინც ისინი მშობლიური მიწა-წყლიდან გამორეკა. რა უნდა დავასკვნათ ყოველივე აქედან? ერი რომ ასე დაეცემა ზნეობრივად და გონებრივად, იგი დასაღუპავადაა განწირული.

ილიას „აჩრდილი“ ხომ დიდებული ნაწარმოებია, მაგრამ მას თავის არცერთ შემოქმედებაში ასე მკვეთრად, სხარტად და მართებულად არ უმხილებია ქართველ ხალხში, ბოლო საუკუნეებში (ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის დღიდან) დამკვიდრებული ავი ზნენი, როგორადაც მხილებულია მის ორ ლექსში — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და „ბედნიერი ერი“.

პირველში, ჩვენი უგუნურებისა და ბედოვლათობის ისტორიაა გადმოცემული, როგორც საკუთარი სამშობლოს წინაშე, ასევე რუსის უბოროტეს მტრებთან მიმართებაში.

მეორეში კი ზედმიწევნით დახატულია იმ ეპოქისათვის

დამახასიათებელი მანკიერებანი. ილიას ლექსი — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, ეს, თითქმის გაგრძელებაა იმ კრიტიკული პოეზიისა, რომელიც დავივთ გურამიშვილს აქვს ჩამოყალიბებული თავის შესანიშნავ პოემაში — ქართლის ჭირი“.

ილია ამ ლექსში ამხელს ქართველი კაცის იმ დროისათვის დამახასიათებელ უგუნურებასა და ბედოვლათობას, თუ პოლიტიკური დაშლილობის იმ ჟამს, როგორ „ვწეწდით და ვიწეწებოდით ურთიერთბრძოლით, როგორ ვღალატობდით ურთიერთს, — როგორ მოვარყიეთ ამ გზით ქართლის ბჭენი და შემდეგ უღონოდ ქმნილნი როგორ გავრბოდით და გამოვრბოდით ქრისტიანობის ნიღბით მოვლენილი ცრუმეგობრის წინაშე სახვეწნელად, ხოლო, როცა ამ მზაკვარმა მტერმა „ხელთა გვიგდო, წაგვიჭირა თოკი ყელში და ქართვლის ბედი ბურთსავითა სათამაშოდ წინ გაიგდო — ჩვენც ყაბახზედ ვაჟკაცურად როგორ ვჯირითობდით და ვბურთაობდით“. და ამგვარად, როცა ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, „ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ როგორ ვისხედით და ხელს ვითბობდით“.

ილია თავის პუბლიცისტურ წერილებშიც დიდ როლს ანიჭებდა წინაპართა შეცდომების მხილებას. იგი წერდა: ისტორია იმითია დიდი, რომ გვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვას, როგორ უნდა მოვიქცეთ... თუ წინსვლა და გამარჯვება გვინდა, ნაკლისა და ხარვეზის მხილებას არ უნდა მოვერიდოთ... ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოყვარე და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება ნახევარი გასწორებაა...

ჩვენი ეროვნული და ზნეობრივი დაცემის საილუსტრაციოდ კიდევ უფრო საგულისხმოა ილიას „ბედნიერი ერი“. აი, მის მიერ არაჩვეულებრივი რეალობით დახატული ქართველი ერი მთელი თავისი მანკიერებით, რაც ილიამ წარმოაჩინა ქართველის ჭკუის სასწავლებლად.

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი.
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;

ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლეტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უ ზღუდონი,
გ ზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი:
მტრის არ-მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ-რის მქონე,
არ-რის მცოდნე,
უ ზრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!

ილიას ეს სიტყვები, ანუ ერის მანკიერი თვისებების მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადი ამოცანის — ერის განთავისუფლების — ნაწილი იყო. იგივე შინაარსი იყო ჩადებული ილიას დიდი თანამებრძოლის აკაკის ლექსშიც — „ვედრება“, სადაც იგი „ფურთხის ღირსს“ უწოდებს მონობას შეგუებულ საქართველოს.

კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის შესანიშნავი გამოთქმით „ზნესრულობას მუდმივი და უწყვეტელი კავშირი აქვს თავისუფლებასთან. ილიას აღწერილი სურათიც ამ კავშირის დაძლევის ნაყოფია“.

ერს აარსებებს პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული.

პატრიოტიზმი კი პატიოსნებისა და ზნესრულობის უმაღლესი გამოვლინებაა. სამშობლოს პატრიოტი ვერასოდეს ვერ იქნება — ქურდი, უქმი, მექრთამე, მეძავი, მაფიოზი და კოსმოპოლიტი. ასეთ ხალხს სამშობლო არ გააჩნია. მათი სამშობლო იქაა, სადაც ფულს იშოვნიან, კარიერას გაიკეთებენ და ხორციელ სიამოვნებას მიიღებენ. ხოლო, როცა ერი მანკიერების ასეთ ჭაობში ჩაიძირება, იგი სასიკვდილოდაა განწირული.

აი, ასეთი მანკიერი და სიკვდილს შეგუებული („ფურთხის ღირსი") საქართველო ჩაიბარა ილიამ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

პეტერბურგში სწავლამიღებულმა და სამშობლოში მომავალმა ილიამ გზაშივე ჩამოაყალიბა ის ეროვნული მრწამსი, რომელიც ქვაკუთხედად დაედო მთელ მის მოღვაწეობას. ეს იყო ოთხ სიტყვაში ჩამოყალიბებული უდიდესი შინაარსის ფრაზა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"-ო, რითაც ის აზრი გამოახატა, რომ თუ საქართველომ დამოუკიდებელი არსებობა არ დაიბრუნა, იგი აუცილებლად შთაინთქმება უკიდეგანო რუსულ მორევშიო.

მუდამ მტრის თანამდევ საქართველოს ერთი დადებითი მომენტი ახლდა ხოლმე ყოველთვის. როგორც კი დადგებოდა მისი ყოფნა-არყოფნის ჟამი, თითქოს რაღაც ღვთიური ძალა მსხნელად მოუვლენდა ხოლმე ზებუნებრივი ნიჭითა და ფენომენალური ენერგიით დაჯილდოებულ ზეკაცს — ხან ფარნავაზს, ხან გორგასალს, ხან დავით კუროპალატს, ხან აღმაშენებელს, ხან გიორგი ბრწყინვალეს და მათ შორის ერისა და სარწმუნოების გადარჩენისათვის მებრძოლ წამებულებს — აბოს და გობრონს, დავითს და კონსტანტინეს, ცოტნეს და დემეტერეს, თევდორეს და ქეთევანს, ბიძინას, შალვას და ელიზბარს...

ამჯერად კი ღმერთმა, ვითარცა ეგვიპტის მონობიდან ებრაელთა გამომხსნელი მოსე წინასწარმეტყველი, ქართველებს რუსი ასიმილატორებისაგან მსხნელად ილია წინასწარმეტყველი მოუვლინა. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ვერ განმეორდა ჩვენში ებრაელთა მსგავსი ის სასწაული, რომელიც გაწმენდდა საქართველოს მონობას შეგუებული ქართველებისაგან. ილია მოკლა სწორედ იმ ქართველობამ, ვინც რუსთა მონობაში დაიბადა და ვინც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ილიას მიერ რუსთა ტყვეობიდან საქართველოს გამოყვანას. ესენი იყვნენ ტვინთხელა, რუსული ყაიდის მარქსისტები.

ილია იყო ენციკლოპედიური ჭკუითა და ცოდნით დაჯილდოებული პიროვნება — არა მარტო დიდი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, არამედ დიდი ენათმეცნიერიც, ჩინებული ეკონომისტი და ფინანსისტიც, იურისტიც და ისტორიკოსიც, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი დიდაქტიკოსიც, სოციოლოგიც და კრიტიკული აზროვნების ბრწყინვალე ოსტატიც, უბადლო ჟურნალისტი, ღრმად მოაზროვნე პოლიტიკოსი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე — ზუსტად ისეთი, როგორიც იმ დროს წყალწაღებულ საქართველოს სჭირდებოდა.

ილიას დამსახურება ქართველი ერის წინაშე ჯეროვნად რომ შევაფასოთ, უპირველესად უნდა გავიცნობიეროთ ქართველი ერის ის ყოფა (თუ მას ერიღა ეთქმოდა), რა სახითაც იგი დახვდა ილიას და მის დასს, მათი

ასპარეზზე გამოსვლისას. მართალია, ეს უკვე ითქვა წინა თავში — „ქართული ქეიფი და დროსტარება რუსთაგან საქართველოს დასამარების ჟამს", მაგრამ არ იქნება, ალბათ, ზედმეტი, თუ კვლავ მოვისმენთ დამატებით ცნობებს იმ ვითარების შესახებ, რაც ილიას მოღვაწეობამდე და თვით მისი მოღვაწეობის დროს სუფევდა საქართველოში. ეს საჭიროა არა მარტო ილიას და მისი დასის დამსახურების წარმოსაჩენად, არამედ იმ ფანატიკოს ქართველთა გადასარწმუნებლადაც, ვისაც არ სჯერა, რომ რუსეთი იყო და არის არა ჩვენი დამხმარე და მოსიყვარულე სახელმწიფო, არამედ უბოროტესი მტერი ყველა წინა დამპყრობლებთან შედარებით.

მრავალჯერ ითქვა და კიდევ ვიმეორებთ — მართალია, ისევე, როგორც რუსი მოხელენი და ოფიცერ-სალდათები, წინა დროის დამპყრობლებიც გვარბევდნენ და გვძარცვავდნენ, მაგრამ, გნებავთ თვით მონღოლები, ერის მაარსებელ ბურჯებს არ ეხებოდნენ — ქვეყანას კვლავ ქართველი მეფე მართავდა ეროვნული ადათ-წესებითა და კანონმდებლობით, მონღოლებს ჩვენთვის არ გააუქმებიათ ქართული სკოლები და არც ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აუკრძალავთ. რუსებმა კი ეს ყველაფერი მოგვისპეს, თვით საქართველოს სახსენებელი ამოშანთეს ოფიციალური დოკუმენტაციიდან და ბაგრატიონთა მთელი დინასტია რუსეთში გადაასახლეს, რომ მათი მეთაურობით კვლავ არ აღვედგინა ჩვენი ქართული სამეფო. ერთი სიტყვით, მოგვსპეს, როგორც ქვეყანა. დამისახელეთ აბა, რომელ დამპყრობელს ჩაუდენია ჩვენი ქვეყნისათვის ამხელა ბოროტება?!

აი, როგორ ფაქტებს გვაუწყებს 1928 წელს გამოცემული ერთი უაღრესად საინტერესო წიგნის ავტორი გრ. გიორგაძე, რომლის სათაურია „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წლებში": „1899 წელს ქუთაისის გუბერნატორი შუამდგომლობს ხელმწიფის წინაშე, რომ მას საჭიროდ მიაჩნია დაუნიშნოს თავად-აზნაურების შვილებს სტიპენდიები კადეტის კორპუსებში და არავითარ შემთხვევაში სამოქალაქო გიმნაზიებში; კადეტის კორპუსებში აღზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივ მცხოვრებლების გათქვეფას რუსულ მოსახლეობაშიო".

ახალი თაობის ამ მიმართულებით აღსაზრდელად თვითმპყრობელობა არაფერს ზოგავდა: „არც თვალთმაქცობას, არც დაჯილდოებას, არც სიმკაცრეს და არც, ვითომცდა მცირე ერების ინტერესების დაცვას. სწორედ რუსიფიკაციის ცხოვრებაში გასატარებლად თვითმპყრობელობა გამოდიოდა ვითომ მეგრელების, აფხაზებისა და სვანების ეროვნულ-კულტურული ინტერესების დამცველად, როდესაც მათთვის თხზავდა, ვითომ ახალს, იგივე რუსულ ანბანს ქართული მწერლობისა და ანბანის წინააღმდეგ". აქვე ვკითხულობთ: „ცხოვრების პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ ბევრი ქართველი აშკარა რუსიფიკაციის გზაზე შეაყენა; ყველა ხედავდა, რომ ცხოვრებაში მისი შვილი არათუ წარჩინებული და დაწინაურებული არ იქნებოდა, ლუკმა პურსაც ვერ იშოვიდა, თუ რუსულ ენაში კარგად გაწაფული არ იქნებოდა. ამიტომ, შექმნილი მდგომარეობის გამო, ქართველობა ბევრ შემთხვევაში თვითონვე თხოულობდა: ჩემს შვილს ქართულ ენას ნუ ასწავლითო" (გვ. 228-229).

ამის გამო „საქართველოში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ინტელიგენციამ თავის სამშობლო ენა არ იცოდა, თავის წარსულის, ისტორიის უვიცი იყო. თავად-აზნაურობის ყრილობებზე, ბანკის კრებებზე, საერთოდ, ყოველგვარ ყრილობაზე მოქალაქეობა მოპოვებული ჰქონდა რუსულ ენას, რუსულად სწარმოებდა სჯა და ბაასი. ქართველი ინტელიგენტები ბოდიშს იხდიდნენ კრებებზე — ქართული არ გვეხერხება, რუსულად უნდა ვილაპარაკოთო. საერთოდ, მაღალ სფეროებში სამარცხვინო, ცუდი ტონის ნიშანი იყო ქართულ ენაზე ბაასი და მსჯელობა“ (იქვე, გვ.229).

იმის ნათელსაყოფად, თუ რუსებს რამდენად სძულდათ ქართველობა, რამდენად ზიზღით იყვნენ განწყობილი ქართველი ერისა და ყოველივე ქართულის მიმართ, აღნიშნული წიგნის ავტორს მოაქვს ერთი ასეთი ცნობა: „ინგლისელმა მოხელეებმა, რომლებიც ფოთ-თბილისის რკინიგზას აშენებდნენ, 5-6 თვის განმავლობაში შეისწავლეს ქართული ენა, რუსები კი, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი საქართველოში არიან, არ იციან არც ერთი ქართული სიტყვა“ (იქვე, გვ. 238).

შორს რად მივდივართ, ავიღოთ დღევანდელობა, როცა რუსი უკვე 200 წელი ბატონობს საქართველოში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან და იაპონიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან იაპონლები (თანაც აქ ცხოვრებით კი არა, იაპონიაში) იმდენად დაინტერესდნენ ქართული კულტურით, რომ ქართველებივით დაეუფლნენ, სულ 2-3 თვეში, ისეთ რთულ სიმღერებს, როგორიც კახური „ჩაკრულო“ და გურული „კრიმანჭულია“, — აბა ერთი რუსი თუ დაინტერესებულა დღემდე ქართული ხელოვნების (სიმღერები, ცეკვები) შესწავლით.

რა არის ეს, თუ არა ზიზღი იმ ხალხის მიმართ, რომლებზედაც ისინი ბატონობენ — ქართველი იქნება ის, თუ შუააზიელი თათარი?! აბა, შეადარეთ თქვენ ერთის მხრივ მენშევიკების დროს ქართველი ხალხის მიმართ გერმანელთა დამოკიდებულება — როგორ ზრუნავდნენ ისინი საქართველოს მომძლავრებისა და ოსმალთაგან საქართველოს მიწა-წყლის დასაცველად, და მეორეს მხრივ კი, რუსთა საუკუნოვანი ბოროტული დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ — როგორ იბრძოდნენ ქართველთა გადასაჯიშებლად, ქართული სახელმწიფოს მოსასპობად და რუსეთის ორგანულ ნაწილად გადასაქცევად.

აი, როგორ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ თვით სახელოვანი თერგდალეულები, რუსი ასიმილატორების წინაშე, იმ ხანად ნებადართული ქართული დაწყებითი სკოლებისათვის ქართული სახელმძღვანელოების დამტკიცება-გამოცემის საქმეში. ზემოთ ხსენებული წიგნის ავტორი სწერს: „80-იანი წლებიდან სხვადასხვა პირები იწყებენ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების და დამხმარე წიგნების შედგენას. მაგრამ მთავრობა სასტიკ ცენზურას უწევდა ამ სახელმძღვანელოებს. მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

1885 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტს განუხილავს წიგნი „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“, რომელიც თავისებურად შეუსწორებია. სიტყვა „საქართველო“, სადაც კი ნახმარია, ყველგან ამოშლილია და მის მაგიერ წაწერილია „ტფილისის და ქუთაისის გუბერნია“. მთავრობისათვის მიუღებელი იყო სიტყვა „საქართველოს“ ხმარება სახელმძღვანელოში, რადგან მისი პოლიტიკით, ახალგაზრდობას, ახალთაობას უნდა დაევიწყებია სიტყვა „საქართველო“, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის მომაგონებელი იყო, და მის მაგიერ უნდა შეეთვისებია, რომ არსებობს არა საქართველო, არამედ რუსეთის იმპერიის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

ერთი სიტყვით, სკოლაში და საზოგადოებაში ყველაფერი მიმართული იყო იქით, რომ ქართველ ხალხს დაევიწყა საქართველოს არსებობა, დაევიწყა თავისი ისტორია, ქართული ენა და შთამომავლობით ქართველი გამხდარიყო არსებითად, სულიერი განწყობილებით — რუსი.

მეორე მაგალითი: 1890 წელს ზაქარია გულისაშვილმა შეადგინა „წიგნი სახალხო საკითხავათ საქართველოს მეფეებზე“, რომელიც წარუდგინა მთავრობას და ითხოვა, ნება დაერთოთ მისი გამოცემა სახალხო სკოლებისათვის... რეცენზენტი აღნიშნავს, რომ წიგნში მოთხრობილია ისტორიული ამბები საქართველოს მეფეებზე, სხვათა შორის, ერეკლე II-ზე. „ჩემი აზრითო, — სწერს რეცენზენტი, — საშიში და მიზანშეუწონელია გაეცნოს ხალხი ამ წიგნს, რადგან ის იწვევს ეროვნულ გრძნობებსო...“ (იქვე, გვ. 253-255).

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ რუსები, მთელს ამიერკავკასიაში განსაკუთრებული მძულვარებით ძირითადად საქართველოს ეპყრობოდა, როგორც უფრო მძლავრ ეთნიკურ ერთეულს და რუსულ ქვაბში ძნელად გადასახარშავს. სომხეთს კი, რომელსაც საქართველოსთან დასაპირისპირებლად იყენებდა, შვილივით ეპყრობოდა.

აი, რას ვკითხულობთ იგივე წიგნში: „საინტერესოა, რომ სომხეთის ეკლესიის მეთაური კათალიკოსი და მასთან არსებული სინოდი მთავრობასთან აწარმოებდა მიწერ-მოწერას სომხურ ენაზე. სინოდი ვალდებული იყო ყოველწლივ წარედგინა მთავარმართებლისათვის ანგარიში თავის მოღვაწეობის შესახებ. ამ ანგარიშს სინოდი უგზავნიდა მთავარმართებელს სომხურ ენაზე შედგენილს“.

ამგვარად, დაასკვნის წიგნის ავტორი: „რუსის ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა საქართველოში მიმართული იყო იქით, რომ მოეხდინა ქართველების ასიმილაცია, მისი რუსობაში გათქვეფა. ამ პოლიტიკისათვის ის იყენებდა ძირითადად სკოლას, სადაც სწავლა-განათლება მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებდა, ხოლო სამშობლო ენა, ისტორია, გეოგრაფია და სხვა, რაც ახალთაობას შეაგნებინებდა თავის ეროვნებას, სკოლიდან განდევნილი იყო. მაგრამ ეს კიდევ რა, თვით ერთ ეროვნებაშიც, კერძოდ ქართველებში, იწვევდა განხეთქილებას და ცდილობდა ქართველი ერისათვის ჩამოეშორებინა მისი ორგანული ნაწილები: მეგრელები, მუსლიმანი ქართველები, სვანები, აფხაზები“ (იქვე, გვ. 276-277).

თუ რა ვანდალისტურ მეთოდებს მიმართავდა რუსის ხელისუფლება ამ მიმართულებით, მოვუსმინოთ თვით ი. გოგებაშვილს: „მთავრობამ დაუწყო გაფაციცებით თვალ-ყურის დევნა, რომ ქართული წიგნები არ ჩავარდნოდათ, არც მეგრელებს და არც სვანებს, სულერთია, ქალი იქნებოდა, თუ კაცი. აი ამისი დამამტკიცებელი ერთი საოცარი ამბავი. ამას წინად თვით უფროსი სწავლა-განათლების საქმისა ბრძანდებოდა ერთს მეგრულ სკოლაში, სახელდობრ ახალ-სენაკისაში, საცა ქალები სწავლობენ. როცა სწავლება გათავდა, უფროსმა კეთილ-ინება და ბრძანა, გაშინჯეთ შეგირდები, ქართული წიგნები ხომ არა აქვთო. აღმოჩნდა დამნაშავეც. ერთს შეგირდს — ქალს უპოვეს ქართული წიგნი და დიდი შეშფოთებით მიართვეს დიდს ბატონს. უფროსმა ისეთის მრისხანებით გადახედა მთელს კლასს, რომ შეგირდებსაცა და მასწავლებელ ქალსაც ლამის გული წაუვიდათ და ზოგს ქვითინი წასკდათ. როცა მასწავლებელი ქალი ეახლა საღამოზედ ძლევამოსილს პედაგოგს, რათა შენდობა ეთხოვნა, საკმაო სიფხიზლით ვერ ვადევნე თვალ-ყური, ქართულის წიგნების კონტრაბანდა შემომეპარა და მაპატივეთო, დიდმა ბატონმა არც-კი მიიღო“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 109).

ი. გოგებაშვილი იმავე წერილში, რომლის სათაურია — „შევიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“ — გადმოგვცემს ასეთ სენსაციურ ამბავს: „კავკასიის სამოსწავლო მთავრობა ამასაც არა სჯერდებოდა. ყოველი ღონით ჰზრუნავდა, რომ თვით სახელწოდებაც კი გაეუქმებინა ქართველებისა. აი ამისი ნამდვილი და ახალ-ახალი საბუთი. ზემოხსენებულმა ობერ-რევიზორმა თვისი მგზავრობა დასავლეთ საქართველოში ასეთის ღვაწლმოსილობით დაამთავრა. ინახულა ბათუმის სასწავლებელი და მიჰმართა ერთს რვა წლის ბავშვს — შენ ვინა ხარ? — ქართველი, — სთქვა პასუხად ბავშვმა. — ქართველი კი არა, რუსი ხარ, — სთქვი, რუსი ვარ-თქო. ბავშვი გაშტერდა და სდუმდა. რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალულიო, გაწყრა, გაგულისდა, წაავლო ხელი ბავშვს, ანჯღრევდა და გაჯავრებით გაიძახოდა თავისას. შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წამოილუღლუღა: რუ...სი... ვარ. ხმამაღლა სთქვი, რომ რუსი ხარ, — გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა ბავშვმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება. ბოლოს მოიკრიბა ძალ-ღონე და შეჰყვირა: რუსი ვარო, და თან ქვითინი წასკდა“ (იქვე, გვ. 114-115).

ეს ფაქტი ხომ ამაზრზენია რუსეთის იმ ბოროტული დამოკიდებულების საილუსტრაციოდ, რასაც ის სჩადიოდა ქართველების წინაშე, — შორს წაგვიყვანს, აგრეთვე იმ ფაქტების ჩამოთვლა, რასაც ი. გოგებაშვილი მოგვითხრობს ზემოაღნიშნულ წერილში იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ დისკრიმინაციას ეწეოდა რუსის ხელისუფლება ქართველების მიმართ სასწავლო-საგანმანათლებლო დარგში, კავკასიის სხვა ხალხებისაგან გამორჩევით, მაგრამ ეს ხანა მაინც ერთგვარ შეღავათად უნდა ჩაითვალოს საქართველოსათვის წარსულთან შედარებით, რადგან ამ დროს სახელოვანი თერგდალეულების ძალისხმევით, რუსის ხელისუფლებამ ინება და გახსნა საქართველოში დაწყებითი სასწავლებლები ქართველი ბავშვებისათვის, სადაც რუსულთან ერთად ქართულიც შეისწავლებოდა უკიდურესად დამთრგუნველი ზეწოლის პირობებში.

ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ იმ საწყის ხანას, როცა ილია ჭავჭავაძე, თერგდალეულთა დასით, შეუდგა იმ დიდ და ძნელ ბრძოლას ვერაგ მტერთან, რასაც საქართველოს გადარჩენა ჰქვია. ილიამ თავისი ეროვნული მრწამსი, ანუ უბოროტესი მტრისაგან საქართველოს ხსნის პროგრამა ასე ჩამოაყალიბა: ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენა... ამ იდეის განსახორციელებლად ილიამ, უპირველეს ყოვლისა, პრესა აამოქმედა. ფრთხილი, არაფრის მაქნისი და კონსერვატიული ჟურნალის — „ცისკრის“ საპირისპიროდ მან ეროვნული იდეალებისათვის უკომპრომისო მებრძოლი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დააარსა 1863 წელს, რომელიც 1877 წლიდან ჯერ ყოველკვირეულ, ხოლო შემდეგ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა „ივერიის“ სახელწოდებით. ამ გაზეთმა, უფრო გვიან დაარსებულ გაზეთ „დროებასთან“ ერთად, რომელსაც ილიას თანამებრძოლები — ჯერ სარგეი მესხი, ხოლო შემდეგ ივ. მაჩაბელი რედაქტორობდნენ, უდიდესი როლი შეასრულეს თითქმის უკვე გადაგვარებული ქართული ეროვნული სულის აღორძინებაში. ეს გაზეთები, უპირველეს ყოვლისა კი „ივერია“, წლების მანძილზე ფარად ედგნენ ქართულ ენას, ქართულ სკოლას, ქართულ თეატრს და სრულიად საქართველოს, უკიდურესი რეაქციის ხანაში.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, სულ სხვა ვითარებაში აღზრდილი, დღევანდელი მკითხველის გასაგონად, რომ ეს გაზეთები — „ივერია“ და „დროება“, ჯერ როგორის წვითა და დაგვით არსებობდნენ და მეორე — რა ბრძოლის ფასად ახერხებდნენ თავიანთ მამულიშვილურ მოვალეობას — დაეცვათ, მტრის მრავალმხრივი შემოტევების პირობებში, ქართველი ერი აშკარა გადაშენებისაგან. და იცით ვინ იყვნენ სამშობლოსათვის თავგანწირული ასეთი მოღვაწენი იმ დროს, როცა მუშასა და გლეხობას, ბარისა და ნიჩბის იქით არაფერი გაეგებოდათ და თითქმის, როგორც ყოველთვის, არც ესოდათ, თუ როგორ იღუპებოდა მათი ქვეყანა და არც შეეძლოთ ეშველათ რაიმეთი თავიანთი უცოდინარობის გამო? — ტვინთხელა და გარეწარი ქართველი კომუნისტების მიერ ყბადაღებული „მემამულე-თავადები“ — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვანო მაჩაბელი, სერგი მესხი და სხვები. როგორც ვიცით, ამ მხრივ განსაკუთრებით ედავებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, როგორც გადამწყვეტ ფიგურას, მარქსისტების მიერ უკუგდებული ეროვნული იდეალების დაცვის გამო და საბაბად კი მის „მემამულეობას“ იყენებდნენ და ამის გამო რა ცილს აღარ სწამებდნენ.

თუ რისთვის იყენებდნენ ჩვენი ეს ეგრეთწოდებული „მემამულე“ მწერლები თავიანთი მამულებიდან მიღებულ შემოსავალს, მოგიყვანთ ერთ ასეთ მაგალითს: გაზეთ „დროების“ გამომცემელმა სერგი მესხმა, რომელმაც მთელი თავისი ქონება და ენერგია ამ გაზეთს შესწირა და ბოლოს ვალებში ჩაფლულმა და ჭლექით დაავადებულმა დატოვა ეს

გაზეთი. 400 თუმანი ილიამ დადო იმისათვის, რომ ამ გაზეთს არსებობა არ შეეწყვიტა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ილია ამ დროს ჩვენი ქვეყნის არაოფიციალური მეთაური იყო და ქართველთა საკეთილოდ ყოველი მომსვლელ-წამსვლელის დახვედრა-გამასპინძლება მის კისერზე გადადიოდა.

მეორე, უპირველესი საკითხი, დაცემული ვინაობის აღსადგენად იყო ქართული სკოლების დაარსება. ამას კი ფულადი სახსრები სჭირდებოდა, რაც არ გააჩნდათ ქართველებს უსასტიკეს კოლონიურ პირობებში. იმპერიის ხელისუფლება კი სახსრებს მხოლოდ რუსულ სკოლებს ახმარდა. ამ პირობებში ქართველ მამულიშვილებს საკუთარი ფულის შოვნაზე უნდა ეზრუნათ.

და აი, მოწინავე ქართველ საზოგადოებაში ჩაისახა აზრი, რომ საკუთარი ეროვნული ფინანსების შესაქმნელად დაარსებულიყო საადგილ-მამულო ბანკი, რომელიც თავიდან აზრად მოუვიდა დიმიტრი ყიფიანს, და რომელიც, თავდაპირველი ჩანაფიქრით, თავადაზნაურთა მამულების შენარჩუნების საქმეს უნდა მომსახურებოდა. ამ ფაქტის შესახებ შემდგომში ნიკო ნიკოლაძე წერდა: თუ ადრე იგი თავადაზნურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული, თერგდალეულთა ხელში ეროვნული ცხოვრების განახლების იარაღად გადაიქცა. ქართველთა სულიერი და მატერიალური საქმიანობის ფუძე გახდაო.

მაგრამ ასეთი ბანკის დაარსება, არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მისია თავის თავზე არ აიღო ილია ჭავჭავაძემ, თუმცა ისიც არნახულ წინააღმდეგობას წააწყდა რუსულ ბიუროკრატიისაგან, ბანკის წესდების დამტკიცების საკითხში. ამის გამო აღშფოთებული ილია აი, რას სწერდა რუსი მოხელეების მისამართით საქართველოში თავის მეუღლეს: „მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავს... რას უზამ ამისთანა ხალხს, რომლებისთვისაც ღმერთს არც მოტვლეპილს კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს სულში გრძნობა. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია, ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი“. ილიას ასეთ ხალხთან წელიწადნახევრიანი ბძროლა დასჭირდა, მაინც არ მოეშვა და თავისი უდრეკი ხასიათის წყალობით მიზანს მიაღწია. 1871 წლის 28 მაისს ბანკის წესდება დაუმტკიცეს, ხოლო 1875 წლის დასაწყისში თბილისის საადგილმამულო ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო.

ეს იყო იმ დროის პირობებში დიდი ეროვნული საქმე, რამდენადაც ამ დღიდან საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული კრედიტის არსებობას და მით ქართული კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეს. და როგორ ცდებიან ილიას ის ზოგიერთი (კერძოდ, ცნობილი მემუარისტი იაკობ მანსვეტიშვილი), ვინც ამ ბანკში მოღვაწეობას შეცდომად უთვლიან ილია ჭავჭავაძეს იმ მოტივით, რომ, რაც მან ეს ბანკი დააარსა, თავად უკვე ხელი უნდა დაებანა საკუთარი ნაღვაწიდან და ამ საქმეს სხვა (თუნდაც ივანე მაჩაბელი) ჩადგომოდა სათავეში, ხოლო ილიას კი თავისი დიდებული ნიჭი კვლავ მწერლობისათვის მოეხმარებიანაო, „აჩრდილისა“ და „განდეგილის“ მსგავსი ნაწარმოებები ეწერაო.

ამ დარგის მოღვაწეებს არ ესმით, რომ მაშინ საქართველო და ქართველი ერი სრული დაღუპვის საფრთხის წინაშე იდგა, — რომ მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსასპობად აშკარად და დაუფარავად გვიტევდა რუსეთი და სომხეთი მომძლავრებული კაპიტალით, — რომ თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, უკვე სომხურ ქალაქად იყო გადაქცეული, — რომ სომეხი კაპიტალისტების მხრივ მიმდინარეობდა საქართველოს ეკონომიკური დაპყრობის პოლიტიკა.

კერძოდ, როცა სომხეთის დედაქალაქი ერევანი ალიზის ქოხმახების გროვა იყო, სომეხი კაპიტალისტები ქართველთა კისრიდან აღებულ კაპიტალს ერევნის აშენებაზე კი არ ხარჯავდნენ, არამედ თბილისში აბანდებდნენ უზარმაზარ მშენებლობებზე, კაპიტალისტურ საწარმოებზე, თბილისის დაუფლების მიზნით. და თუ თბილისი სომხურ ქალაქდ გადაიქცეოდა და მთელი დანარჩენი საქართველო კი რუსულ ვოლოსტებად, ვიღას რათ უნდოდა (აქ მოსახლე რუსებს, სომხებს, ოსებს...) მაშინ შენი „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“ და „განდეგილი“?! ვინღა იქნებოდა აქ ამ ნაწარმოებთა წამკითხველი?!

ამაზე, აი, როგორ შესანიშნავ პასუხს გვაძლევს მწერალი და კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე: „დღეს ხშირად გაიგონებთ წუწუნს, რომ ნიჭიერმა მწერალმა საბანკო საქმიანობას შესწირა მისი დაუშრეტელი ენერგიის დიდი ნაწილი. ამის გამო ვალალებენ და ვიშვიშებენ. ავიწყდებათ კი უმთავრესი. თუ არ იქნებოდა თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები, შესაძლებელია აღარ ყოფილიყვნენ ისინიც, ვისაც ქართულად დაწერილი ლექსები თუ მოთხრობები სჭირდება. ქართულ მიწა-წყალს ისეთი ენერგიით უტევდა უცხო კაპიტალი (უმთავრესად სომხური) და ისეთი ხელგაშლილობით იყიდებოდა ყველაფერი, რომ ძნელად წარმოსადგენია, რა გადარჩებოდა. ფულის დამარცხება არც ხმლით შეიძლება და არც პოეზიით. ფულის დამარცხება მხოლოდ ფულით შეიძლება. არსებობს ცხოვრების ერთი ურყევი კანონი: ჭკუას ჭკუით უნდა ებრძოლო, ენერგიას — ენერგიით, ფულს — ფულით, ხმალსა და თოფს — ხმლითა და თოფით, ცოდნას — ცოდნით, პოლიტიკას — პოლიტიკით, არმიას — არმიით. სხვანაირად მტერს ვერ მოერევი. ვინც ეს არ იცის, იგი მუდამ დამარცხებულია. სწორედ ეს გაითვალისწინეს ილიამ და მისმა თანამოსაგრეებმა და უცხო კაპიტალს ქართული საადგილმამულო ბანკი დაუპირისპირეს. გაიმარჯვეს კიდეც. ამიტომ ილიას საბანკო თუ ფინანსური მოღვწეობა ისეთივე დიდია, როგორც მისი „ოთარაანთ ქვრივი“ თუ „განდეგილი“ (აკ. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 133).

რაც შეეხება საკითხს, რომ ბანკს ივ. მაჩაბელიც გაუძღვებოდაო, არც ესაა სწორი. ამაზეც შესანიშნავ პასუხს გვაძლევს ილიასადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ბატონი აკაკი ბაქრაძე: „ილია მტკიცე ბუნების კაცი იყო... ივ. მაჩაბელს კი უფრო რბილი, დამყოლი ბუნება ჰქონდა. მძიმე, ძნელი და რთული საქმიანობაა ბანკირობა. ფულსა და ლმობიერებას ერთმანეთი არ უყვართ. თუ გინდა, ფული შეინარჩუნო და მოიგო კიდეც, მაშინ ქვის გული

უნდა ჩაიდგა, თორემ ლმობიერების გზას თუ დაადექი, ფული მყისვე გაიპარება და ხახამშრალს დაგტოვებს“. ამიტომ ბანკს სწორედ ილიასთანა მტკიცე ხასიათის მქონე კაცი სჭირდებოდა და არა ვანო მაჩაბლისთანა დამყოლი და ლმობიერი კაცი. ერთი სიტყვით, საქმე ისე უნდა წარმართულიყო, რომ ივ. მაჩაბელს, როგორც ბანკის დირექტორს, შემოსავალ-გასავლის საქმე ეწარმოებინა, ილიას კი გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ეროვნულ საადგილმამულო ბანკში.

მაშ, რამ დაარღვია ორ დიდ მამულიშვილს შორის ეს ბუნებრივი ურთიერთობა? არა მარტო ხასიათთა სხვაობამ, უპირველეს ყოვლისა, უმოქმედოთ, ჭამა-სმას გადაყოლილმა, ფუქსავატმა თავად-აზნაურობამ!

აი, რას გვეუბნება ამ დაპირისპირების ირგვლივ კვლავ ბატონი აკ. ბაქრაძე: „საადგილმამულო ბანკში დაგირავებულია მამული. სესხი აღებულია. გარკვეული ვადის გასვლის მერე დამგირავებელმა ვალის ნაწილი უნდა გადაიხადოს. თუ ვერ გადაიხდის, შესაბამისი ღირებულების მამული გაიყიდება. ქართველი თავად-აზნაურების უმრავლესობა უზრუნველი ხალხია. მამულს დააგირავებენ, ფულს აიღებენ, ვალის გადახდას აღარ ფიქრობენ. ილია არავის აძლევს შეღავათს. არ გადაიხადეს ვალი, მაშასადამე მამული უნდა გაიყიდოს. გარბიან ვანოსთან. ემუდარებიან — ცოტა კიდევ გვადროვეთ, უახლოეს ხანში უსიკვდილოდ გადავიხდითო. იცის ივანე მაჩაბელმა, რომ ეს დაპირება ტყუილია, მაგრამ გული სიბრალულით ევსება და ვალის გადახდის ვადა გადააქვს.

იწყება ჩურჩული, მიწერ-მოწერა — რა დიდებული კაცია ივანე მაჩაბელი, გულისხმიერი, გამგები, ხელშემწყობი, მზრუნველი. კი არ გახრჩობს, გეხმარება, თანაგიგრძნობს, გიმსუბუქებს მდგომარეობას. აბა, ილია ჭავჭავაძეა კაცი? ურჯუკი, დაუნდობელი, სულის მოთქმას არ გაცდის, სულთამხუთავივით გადგას თავზე, რომ ან ფული წაგგლიჯოს, ან მამული გაგიყიდოს. თუ ილიას გავაგდებთ და ვანოს დავტოვებთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

იწყება ჯგუფების შედგენა, ოპოზიციის შეკოწიწება. იმას არავინ ფიქრობს, თუ ვალი არ გადაიხადე ან მამული არ გაიყიდა, ბანკი თვალის დახამხამებაში გაკოტრდება და დაიქცევა. ბანკთან ერთად დაიღუპება ის, რაც ბანკით არსებობს. დაიღუპება ყველა ქართული საქმე. ამიტომ ილია ვალდებულია, შეუბრალებელი იყოს. გულის ხმას ყური არ უგდოს და მხოლოდ ცივი გონებით იხელმძღვანელოს. ამიტომ ივ. მაჩაბლის ლმობიერი და დამყოლი ხასიათი არავითარ შემთხვევაში არ გამოადგებოდა ეროვნულ პოზიციებზე მდგომ ქართულ საადგილმამულო ბანკს. სწორედ ილიასთანა მტკიცე ნებისყოფის კაცი სჭირდებოდა მას, იმისათვის, რომ ამ ბანკის მეშვეობით საქართველოს გადარჩენის ეროვნული საქმე ეკეთებინა.

ამ პირობებში თავად-აზნაურთა ინტრიგანული წრე ილიას წინააღმდეგ საჩივარს სწერს პეტერბურგის მთავრობას იმის შესახებ, თითქოსდა თბილისის საადგილმამულო ბანკში რაღაც დიდი დარღვევებია. ჩამოდის სარევიზიო კომისია პეტერბურგიდან ვინმე დობეცკის ხელმძღვანელობით. ეს კომისია ვერავითარ სერიოზულ დარღვევას ვერ პოულობს ბანკში და

ამიტომ კეთილი მისიით, პირადად ბ-ნი დობეცკი ურჩევს ქართველ საზოგადოებას, რომ ეს ორი ეროვნული მოღვაწე შეარიგონ ურთიერთს. ამ რჩევით მიმართავს პირადად ვანო მაჩაბელს ბ-ნი დობეცკი მის საპატივსაცემოდ გამართულ სუფრაზე.

ამ წინადადებას თითქმის თანხმდება კიდეც ვანო მაჩაბელი, მაგრამ აქ მას წინ აღუდგება უკვე მებრძოლ პარტიად ჩამოყალიბებული — უსაქმური და უზრუნველი ქართლის თავადაზნაურობა, ვისთვისაც ქართლ-კახეთის საზოგადოების გამთიშველი ეს ორთაბრძოლა ერთგვარი გართობა, თეატრალური სანახაობა იყო, — რას ჰქვია უკან დახევა, როცა გამარჯვება თითქმის უკვე ჩვენს ხელთაა და ვანო მაჩაბელიც, თავისი პარტიის მოთხოვნით, კიდევ უფრო მძაფრ ბრძოლაში ებმება ილიას წინააღმდეგ. კერძოდ, მის მიერ იწერება ილიას გამკილავი ბროშურა — „თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“, რამაც საბოლოოდ ჩატეხა ხიდი ამ ორი მამულიშვილის შერიგების გზაზე და რაც საბედისწერო აღმოჩნდა თვით მაჩაბლისათვის.

რაც შეეხება ილიას მიმართ წაყენებულ იმ ბრალდებას, რომ იგი ამ ორთაბრძოლაში ნამეტანი დაუნდობლობით მოეპყრო ვანო მაჩაბელსო, არც ამაში არიან მართალი ილიას ოპონენტები. ცეცხლი, ილიასა და მაჩაბელს შორის, უქნარა თავად-აზნაურობამ დაანთო, ვინც ბანკიდან აღებულ სესხს საკუთარი მამულის აღდგენა-განვითარების საქმეს კი არ ახმარდა, არამედ დუქნებში ქეიფებსა და ყომარბაზობაში ფლანგავდა. ბანკი მათთვის საწველი ფური იყო, ხოლო ეგრეთწოდებული „ბანკობია“ ანუ ილიასა და მაჩაბელს შორის საბანკო დავა — თეატრალური გართობა. ვანო მაჩაბელი ამ ფუქსავატი თავადაზნაურობის წამქეზებლობის მსხვერპლი შეიქნა.

რაც შეეხება დაუნდობლობას, ეს თვით ბრძოლის კანონია. ჯერ საჭიდაო ხალიჩაზე არ უნდა გაიწვიო შენი თაყვანისმცემელი კაცი, თანაც ერის აღიარებული ლიდერი. და, თუ გაიწვევ ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ქიშპისა და ამბიციურობის ნიადაგზე — შენ კი არა, მე ვარ რაცა ვარო! — ანუ, „უჩემოდ ვინ იმღერეთაო!“ — იქ დანდობა უკვე შეუძლებელია, — ან ერთი უნდა წაიქცეს, ან მეორე. საჭიდაო ხალიჩაზე გაწვეული ილია მაჩაბლის ხათრით ვერ დამარცხდებოდა!

ბანკის დაარსებამ ბიძგი მისცა, რომ ახლა უკვე ქართული ეროვნული კულტურისა და განათლების საქმეზე ეზრუნათ. და აი უკვე, 1879 წლის 15 მაისს საფუძველი ჩაეყარა მეორე დიდ ეროვნულ დაწესებულებას. ეს იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ილიას ქვისლმა — გენერალმა სტაროსელსკიმ (კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწემ), ილიას ნათესაობის გამო.

საზოგადოების თავმჯდომარედ გრიგოლ ორბელიანის წინადადებით არჩეულ იქნა ამ საქმის დიდი მოჭირნახულე — დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ კი — ილია ჭავჭავაძე. საზოგადოებას საბოლოოდ, 1885 წლიდან, სათავეში ჩაუდგა ილია და იგი უცვლელად ედგა მას

სიკვდილამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოების დაარსებით მოპოვებულ იქნა უფლება — ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენაზე მიეღოთ დაწყებითი განათლება (ცხადია, რუსულთან ერთად), წინააღმდეგობა მაინც ძალზე დიდი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის იმგვარ „მზრუნველთა“ მხრიდან, როგორიც იყო იანოვსკი და სხვა მისთანა რუსიფიკატორები. თუმცა, ეს ცალკეულ მოხელეთა თვითნებობა როდი იყო. ყველაფერ ამას ხელმღვანელობდა მზაკვარი ხელისუფლება, ერთი ხელით რომ ამ უფლებას აკანონებდა, მეორე მხრივ, საიდუმლო ინსტრუქციებით მის ცხოვრებაში გატარებას სასტიკად ახშობდა.

და მაინც, არაჩვეულებრივად დიდია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი რუსიფიკაციისაგან საქართველოს გადარჩენის საქმეში — უპირველეს ყოვლისა, დაწყებითი ქართული სკოლების გახსნით და იმ ბრძოლით, რასაც ის ეწეოდა იმისათვის, რომ შენარჩუნებულიყო იქ მშობლიურ ენაზე სწავლება.

მაგრამ საქმე მარტო ქართული სკოლების გახსნით როდი მთავრდებოდა. საჭირო იყო სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა ისეთის სულისკვეთებით, რომელიც ეროვნულ გრძნობებს გაუღვივებდა ქართველ მოზარდებს. ამ მხრივ ფასდაუდებელი შრომა გასწია იაკობ გოგებაშვილმა „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შედგენით. ეს სახელმძღვანელოები, დღესაც რომ ქვაკუთხედად უდევს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს, არა მარტო იმითაა გამორჩეული, რომ მოზარდის გონების გასახსნელად შესანიშნავადაა შერჩეული და დალაგებული გარემომცველ ბუნებასთან (ფლორა, ფაუნა) და ცხოვრებისეულ სინამდვილესთან დაკავშირებული თემები, რომელიც დიდ სიყვარულსა და სითბოს აღუძრავს ბავშვს საკუთარი სამშობლოს მიმართ, არამედ თავისი ენციკლოპედიურობითაც. აიღეთ კერძოდ „ბუნების კარი“, რომელიც ოთხი საგნის ცოდნას აძლევს ერთბაშად ბავშვს — ბუნების, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ისტორიისაც. თანაც დაუკვირდით, რა მარტივი ენითა და რა ღრმა შინაარსითაა ყოველივე ეს გადმოცემული.

ხომ დიდი იყო გოგებაშვილის როლი, რუსული რეაქციის შემოტევის ჟამს, ქართული ენისა და ქართული სკოლის დაცვისა და განვითარების საქმეში, მაგრამ როცა დადგებოდა უმწვავესი პრობლემა, ამ მხრივ, ისიც სხვებთან ერთად, ილიას მიაკითხავდა ხოლმე მძლავრი და საკადრისი პასუხის გასაცემად. ასე იყო, როცა რუსის პირწავარდნილმა შოვინისტმა კატკოვმა ქართული დროშა შეგვიგინა ახლადაღორძინებულ ქართულ თეატრში, დავით ერისთავის პიესის — „სამშობლოს“ წარმოდგენისას, და ასე იყო მაშინაც, როცა მეორე შოვინისტმა იანოვსკიმ შემოგვიტია ქართული სკოლებიდან ქართული ენის ამოსაძირკვავად.

აი, როგორის ხატოვნებით გადმოგვცემს ამ ფაქტს ცნობილი მემუარისტი, გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი ი. მანსვეტაშვილი: „თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაუღალავი გუშაგი ქართული ენის ხელშეუხებლობისა, ი. გოგებაშვილი,

რომელსაც ჭკუაც მოსდევდა და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო“, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდგან გვგლეჯამენ, შენ უნდა გვიხსნა ამ განსაცდელისაგან, შენ უნდა ამოიღო შენი ძალუმი ხმაო. ილია დინჯად მოუსმენდა ყველას, მასალას შეაგროვებდა, შეისწავლიდა, თავის გამჭრიახ გონების ცხრილში გაატარებდა... საგანს ისე გააშუქებდა ყოველ მხრივ, პედაგოგიკის ისეთს ღრმა ცოდნას გამოიჩენდა, რომ თვით სპეციალისტებს უკვირდათ, ესე ზედმიწევნით როგორ შეუთვისებია ჩვენი მეცნიერებაო. ასეთი საგზლით შეუდგებოდა გზას და ბრძოლის ველიდან ძლეული არ დაბრუნდებოდა“.

როგორც ითქვა, ქართული მიწა-წყლისა და ეროვნული ვინაობის დასაცავად თერგდალეულებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ, აგრეთვე სომეხ ნაციონალისტებთან. სომხები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქართველთა საპირისპიროდ რუს ხელისუფალთა კეთილი განწყობილება სომეხთა მიმართ და მათი მხარდაჭერით არა მარტო დამკვიდრებულიყვნენ საქართველოს მიწა-წყალზე, არამედ გაეთავისებინათ კიდეც მთელი აღმოსავლეთ საქართველო, თბილისის ჩათვლით, ერთის მხრივ ეკონომიკური დაპყრობის გზით (გაფუქსავატებული ქართველი თავადაზნაურებისაგან ვეებერთელა მამულების ჩალის ფასად შესყიდვითა და სავაჭრო და სამრეწველო ბერკეტების დაუფლებით), ხოლო მეორე მხრივ, ამ ტერიტორიების ისტორიული კუთვნილების „მეცნიერული“ დასაბუთებით. მათი „მეცნიერული დასაბუთება“ კი ხდებოდა არნახული ოინბაზობით. მაგალითად, გამოთლიდნენ საფლავის ქვებს, უძველესი დროის აღმნიშვნელი სომხური წარწერებით, და ჩაფლავდნენ სადავო ტერიტორიაზე — რომელიმე ტაძრის, ან ციხე-კოშკის მიდამოებში, ხოლო თვით ამ ტაძრებსა და ციხე-კოშკებს გამოაცლიდნენ ქართულწარწერიან ქვებს და სამაგიეროდ ჩასვამდნენ სომხურწარწერიანს.

ამის შემდეგ სომეხი ისტორიკოსები გამოაცხობდნენ სტატიას, რომ ეს ტერიტორია უძველესი დროიდან სომეხთა კუთვნილებას შეადგენდაო და თანაც დაატანდნენ — აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები კიდევ უფრო ნათელს გახდიან ჩვენს „მეცნიერულ“ დასკვნებსო. და მართლაც დაიწყებოდა, ეგრეთწოდებული, „არქეოლოგიური ძიება“, „აღმოაჩენდნენ“ მათ მიერვე ჩაფლულ საფლავის ქვებს და საკითხიც უკვე დადასტურებულად ითვლებოდა „სომხურ-მეცნიერული“ მეთოდოლოგიით.

სომეხთა ამ შემოტევებს მტკიცე კედლად აღუდგა ქართული ეროვნული მწერლობა (მაშინ, ჩვენდა საბედნიეროდ, არც მწერლობა იყო გადაგვარებული პრორუსულ „წითელ ინტელიგენციად“ და, არც სამღვდელოება). ამ საქმეში, როგორც ყოველთვის, ყველაზე აქტიურად ილია და აკაკი გაისარჯნენ.

ილიამ ამ საკითხს უძღვნა დიდი მეცნიერული ცოდნით დასაბუთებული ვრცელი წერილი — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, რომელიც ყოველთვის დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც კრიტიკული

სიტყვის შედეგრი. ამ წერილში ილია ამხელს რა ცრუმეცნიერ სომეხთა — პატკანოვების, ეზოვების, ხუდაბაშოვების, ერეცოვებისა და სხვათა ოინბაზობას, რომლებიც უმტკიცებდნენ უცხოელებს, რომ დიდცხვირიანები სულ ქართველები არიანო, ხოლო ლამაზები და ტანკენარები სომხებიო, — ასევე, ჭკვიანები და საზრიანები მხოლოდ სომხებიო, რომლებსაც აქვთ ამ ჭკუის დამახასიათებელი ანდაზაც — „რად ჰკითხულობ, ვისი გამომცხვარია ეს პური? გინდ ურიისა იყოს, თუ გემრიელია, სჭამეო“, — ანუ „სადაც ჰნახო პური, იქ დაბინავდიო“, — ხოლო ქართველებმა მეურმეობის მეტი არაფერი იციანო და ეს მიწა-წყალიც, კავკასია რომ ჰქვია, უხსოვარი დროიდან ყოველთვის სულ სომხებს სჭერიათო, ხოლო ეს ვიღაც „ვრაცები“ რომ ჰყრიან, ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი უჭირავთ მხოლოდ და აქაც გადაშენების გზას ადგიანო, — ერთ-ერთ შენიშვნაში, თუ როგორ იმტკიცებდნენ ამ ტერიტორიებს თავისთვის — ილია სწერს: „გადასხვაფერება, სხვისა თავისად დაჩემება, აფხეკა და ჩაფხეკა საბუთებისა, გაბათილება სხვისა, და სხვის ადგილას თავიანთ თავის გამოჭიმვა, მონასტრებისათვის ძველის ქვების გამოცლა, ქართული წარწერის ამოფხეკა და ზედ სომხური ასოების გამოყვანა, ან თვითონ ასეთი ქვის მოპარვა და სადღაც გადაკარგვა — ასეთი ოსტატობა და ოინბაზობა, სომეხთა ძველად-ძველი თვისება და ჩვეულება ყოფილაო“ (იხ. ილიას ხუთტომეულიდან, ტ. II, გვ. 465 და გვ. 473).

საინტერესოა მოვისმინოთ ახლა აკაკის სარკასტული ლექსი სომეხთა მიმართ იგივე თემაზე, მიძღვნილს ზემოთხსენებული სომეხი ისტორიკოსის — ეზოვისადმი.

ახირებული სტუმრობა

სასწორ-საზომით მოარულს,
უმადურს, გაუტანელსა,
რა უნდა უთხრას ქართველმა
შემოხიზნულსა ვანელსა?!
ერთ დროს რომ კარზე მოადგა,
მშიერ-მწყურვალი, შიშველი,
და საწყლად, ქრისტეს სახელით
გამოუშვირა მას ხელი,
ევედრებოდა: „დავკარგე
სამშობლო, სახლი-კარიო!..
გზა აღარა მაქვს შენს იქით...
აღარც თავშესაფარიო.
„ამხანაგობას ვერ გკადრებ...
ვერც გაგიბედავ ძმობასო!..
შენ მიპატრონე! მეც ნაცვლად
გაგიწევ ნამდვილ ყმობასო!“
პასუხად ესმის: „ეჰ, ძმაო,
გულს მიკლავს შენი კვნესაო!
ყმობა-მონობა ქრისტეს სძულს!
მან ძმობა დაგვიწესაო!
„ვინც სტუმრად მოდის, არ არის
თვით ქრისტეს მოციქულიო?
და ქრისტეს ტახტი-ტაძარი —
მასპინძლის წმინდა გულიო?!
„ჰა, ძმაო, სახლი და კარი,
შემოდი მზაზე წევრადო!..
შენი სტუმრობა და ძმობა
არ დამიჯდება ბევრადო“.
შედის სტუმარი მადლობით,
მასპინძელს ჩაესახლკარა,
მაგრამ რომ სული მოიდგა,
სტუმრობა აღარ იკმარა;
ჩაჰკიდა ხელი ყოვლიფერს...
ეს ჩემი იყო ყველაო!
მათხოვრად როდის მოვსულვარ?
ან როდის გთხოვე შველაო?
ადრეც ვყოფილვარ!.. ახლაც ვარ!
შენ ვერც-კი გიცნობ: ვინ ხარო!
არც წარსული გაქვს, არც აწმყო,
რომ მომავალით იხარო!
ამისი მოწმეც ბევრი მყავს
შენივე ქვეყნის შვილიო!..
ჩემს ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი...
ჩემგანვე გაჭედილიო!!
ოქრო და ვერცხლი ბევრი მაქვს,
აქცია... ასიგნაციო!
შენ ღერიბი ხარ!.. მომშორდი!
არ გესმის? „ასიგნაციო!“

დიდია აკაკის როლი ქართველთა გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და მის ნასუფრალზე ნასაზრდოები ქართველი ისტორიკოსები და მწერლები დღემდე ისე წარმოუდგენდნენ საქმეს ქართველ ხალხს, თითქოს ილია, აკაკი და თერგდალეულთა მთელი თაობა მიესალმებოდა საქართველოში რუსთა გაბატონებას და პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდნენ მათ მიერ თვით ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას იმ საბაბით, რომ ისინი ზოგჯერ მაამებლურ სიტყვას იტყოდნენ რუსი მოძალადეების მისამართით, მათი ანტიქართული განწყობილების შესარბილებლად.

ამგვარ რუსოფილებს ავიწყდებათ, ან განგებ ჩქმალავენ, რომ მეფის დროის რუსეთი ისეთივე დესპოტური და ისეთივე სხვა ერების მოძულე

იმპერია იყო, და ისევე იდევნებოდა მაშინაც თავისუფალი სიტყვა — მითუმეტეს ეროვნული, როგორც ხდებოდა ეს, უფრო უარესი კომუნისტური რეჟიმის დროს. ამიტომ, იმ დროის ქართველი ეროვნული მოღვაწენიც იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ არსებული სინამდვილისათვის და დამპყრობელთა გულის მოსაგებად ზოგჯერ გუნდრუკიც ეკმიათ, რათა ამ მოძალადეთა გარეგნული „სიყვარულის“ საფარქვეშ თავიანთი ეროვნული საქმე ეკეთებინათ. ამიტომ მათი პოზიციები უნდა განვსაჯოთ არა, მაგალითად, აკაკისათვის პეტერბურგში გამართული წვეულების დროს, აკაკის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოთი, ანდა ილიას მიერ რუსთა მპყრობელობის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიით, არამედ მათი შემოქმედების ძირითადი მიმართულებით. ხოლო ამ მხრივ აკაკის (ისევე, როგორც ილიას) მთელი პოეზია რომ ანტირუსულია, ამაში ვფიქრობ არ შეეპარება ეჭვი, არც ერთ გონიერ მკითხველს.

და მაინც, არ იქნება ზედმეტი, თუ მკითხველს სანიმუშოდ წარვუდგენთ მისი ეროვნულ-პატრიოტული პოეზიიდან რამდენიმე ღირსსახსოვარ ლექსს. საინტერესოა, მაგალითად, აკაკის აზრი იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულეს საქართველოს მიმართ სპარსეთმა, თურქეთმა და რუსეთმა. აი, როგორა აქვს ეს აზრი გამოხატული ლექსის სახით, რომლის სათაურია — „გამოცანა“:

თავშეხვეულს გავექეცი,
თავწითელამ დამიჭირა,
შემბოჭა და სასიკვდილოდ
დანა ყელში დამაჭირა...
უცხო, ქერა მომეშველა,
მოძალადე ამაცალა,
ხორცი იხსნა, სული მოკლა,
ვაი-უით შემიცვალა.
ვინც რომ ამას გამოიცნობს,
ერთი გუდა ხიზილალა!

თავშეხვეული — თურქია, თავწითელა — სპარსი, ხოლო ქერა — მოყვასის ნიღბით მოვლენილი რუსი — ყველაზე უფრო მზაკვარი, ცბიერი და ულმობელი დამპყრობელი.

დიდად საინტერესოა, აგრეთვე, აკაკის ერთ-ერთი ლექსი — „ჩაფიქრება“, რომელიც ეხება რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ასი წლისთავს, და სადაც მოცემულია, აგრეთვე, სამშობლოს გარეწარი — ქართველი მარქსისტების კრიტიკა:

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ:
გეთხოვები, საქართველო! —
მეც ვსჭკნები და შენცა სჭკნები,

როგორც ზამთრის პირად მდელო.
თვით ბუნების კანონია,
მე რომ დავსჭკნე ვით ფოთოლი,
სამერმისოდ სხვა გამოვა
ჩემი სწორი, ჩემი ტოლი!
მაგრამ შენ, ხევ ცხოვრებისა
და აკვანო მთელი ერის,
მომავალი შავ-ბედითი
სიკვდილის ზარს რად გიმღერის?!
რაც-კი გქონდა სისხლად, ხორცად,
შენაძენი ათას წლობით, —
მთლად მოგიკლა ასმა წელმა
თვალთმაქცურის საძაგლობით.
მოგიხიბლა თვალი, გული,
გიქარგავდა ზედაპირსა,
მაგრამ მითი იმავე დროს,
როგორც ჩრჩილი, ხრწნიდა ძირსა!
და აღარ ხარ, რაც იყავი:
ჰხმები, სჭკნები ნელა-ნელა.
ათასის წლის ჭირნახული
ასმა წელმა მოგინელა.
რაც რომ მტრობამ ვერ დაგაკლო,
ის მოყვრობამ აგისრულა:
სულ ხელის-სმით და „ნანინით“
შენი ძირი გამოხრულა.
შენს წაქცევას და დამხობას
„ასი წელი“ შემოჰყურებს,
შენ წახვალ და სხვა შემოვა,
შენს ნადგომზე ისადგურებს.
მე ის მტანჯავს, ის მაწუხებს
და ის მიხეთქს ასე გულსა,
რომ აღარვინ არ გიყურებს,
მოსარჩენსა ვით სნეულსა!
და, პირიქით, ხელს უწყობენ
მაგ შენს მალე წამოქცევას,
ჰგმობენ წარსულს და ერთპირად
უგ ზავნიან კრულვა-წყევას.
ამნაირად ჩაიდენენ
მხოლოდ მტრების ხელსაყრელსა,
თავი მოაქვთ მშრომელ მუშად,
სამშობლოს რომ სჭრიან ყელსა!
რაღა გვეთქმის? რომ კიდეც ვსთქვათ,
სადღა არის, ვინ, გამგონე?

ბრძოლა! ბრძოლა! მაგრამ ვაი!
მიხდილი მაქვს დამჭკნარს ღონე.
და მიტომაც გეთხოვები,
შავ-ბედითო საქართველო!
მაგრამ შენი მაინც სინჯე,
ეგებ მითი თავს უშველო!
გაახილე თვალი! ნუ გწამს
გარეშემო ვარდი... ია!
სანამ გულში უჩინარად
ჩამჯდომია ჩრჩილი... ჭია!

ეს ლექსი თავისი შინაარსით ეპოქალური მნიშვნელობისაა. მასში შესანიშნავადაა გაცხადებული რუსეთის უბოროტესი როლი საქართველოს წინაშე, რომელმაც „ათასი წლის ჭირნახული საქართველო ას წელიწადში მოინელა თვალთმაქცური საძაგლობით“. აქვეა ნაჩვენები ერისა და სამშობლოს უარმყოფელი ქართველი მარქსისტების ანტიპატრიოტული დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მიმართ, რომლებსაც იმის ნაცვლად, რომ რუსეთის მიერ „დასნეულებულ საქართველოს მორჩენაზე“ ეზრუნათ, „პირიქით ხელს უწყობდნენ მის მალე წამოქცევას“, და თანაც, თავიანთი უგუნურების გამო, ყალბი ინტერნაციონალიზმის იდეებს აყოლილებს, „თავი მოჰქონდათ მშრომელ მუშებად, სამშობლოს რომ სჭრიდნენ ყელს“.

თუ როგორი მომხრე იყო აკაკი რუსთა მპყრობელობისა, მკითხველს სანიმუშოდ წარმოვუდგენთ, მისი საკმაოდ ვრცელი ანტირუსული პოეზიიდან, კიდევ ერთ ლექსს, რომლის სათაურია:

ნაძალადეგ საქმროს

დამეხსენი, ჩრდილოელო!..
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლელო,
როგორ გინდა მომიარო?..
ბუნებისგან დაჩაგრული
განა შესძლებ მეგობრობას?!
მოშხამული, ცივი გული
სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას?!
წლიდან წლამდე უცნაურად
გეყინება ტვინი თავში!..
უნდა ძალაუნებურად
ეხვეოდე დათვის ტყავში!..
არაფრად ჰგავს შენს ხმელ სოროს
მხარე ჩემი ეს მდიდარი!..
არა, ღმერთმა ამაშოროს
შენისთანა ბრანძი ქმარი!..

ვერ მომხიბლავ, ცრუ მოყვარე,
ვერც ენით, ვერც თვალადობით...
შეგიპყრივარ, როგორც მთვარე
გველეშაპსა, ძალადობით...
შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს
ანუგეშებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დალეწავს ჩემი ბედი!
დამხსნის შენსა მონებასა,
ცბიერებას გაგიწბილებს,
გამიმტკიცებს გონებასა,
თავის უფლად მაქორწილებს!..
დამეხსენი ჩრდილოელო!
რა მაქვს შენთან საზიარო?
ნუ, ნუ ჰფიქრობ, ჩემო მწველო,
რომ მფლობელად აღგიარო!..

ანდა აიღეთ, თუნდაც, საყოველთაოდ ცნობილი მისი ლექსი — „სატრფოს“: რუსეთის კოლონიურ უღელში გაბმულ საქართველოს რომ მიმართავს:

მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე...

მკითხველმა ახლა თავად განსაჯოს — განა, შეიძლება ამ სიტყვების მთქმელი პოეტი რუსთა მიერ საქართველოს დამონების მომხრე ყოფილიყო, მითუმეტეს, როცა ეს „თვით ოხერი და მოუვლელი“ მოძალადე დამპყრობლები ტალახში სვრიდნენ და უარყოფდნენ მთელ ჩვენს წარსულ ცივილიზაციას, ველურებად გვნათლავდნენ — თავად ველურები, და იმის ღირსადაც არ გვთვლიდნენ, რომ ჩვენშიაც გაეტარებინათ ის რეფორმები, რაც რუსეთში ხორციელდებოდა?!

აი, რას წერს ამის შესახებ ზემოთ აღნიშნული წიგნის ავტორი გრ. გიორგაძე: „1899 წელს გუბერნატორი თავის საიდუმლო მოხსენებაში ხელმწიფის სახელზე უარყოფს საქართველოში ერობის და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას და ამ უარყოფით დამოკიდებულებას ასაბუთებს იმით, რომ ქართველ ხალხს არა აქვს ზნეობრივი საფუძვლები და მან არ იცის, რა არის კანონიერებისადმი პატივისცემაო.

იგივე მომხსენებელი ეხება რა ქართველი თავად-აზნაურობის ზნეობრივ მდგომარეობას, საშინელი ცილისმწამებლობით ახასიათებს მას — უწოდებს „ზნედაცემულს, ცრუს, მატყუარას, მძარცველს, ყალბი საბუთების გამკეთებელს, უვიცს და აქედან გამოჰყავს დასკვნა, რომ თუ

ასეთია უპირველესი წოდება, რაღა იქნება საერთოდ ხალხიო“.

წიგნის ავტორი განაგრძობს: — „ასეთივე დამამცირებელი წერილები იწერება იმ დროის პრესაშიც. მაგალითად, გაზეთ „კავკაზში“ იწერება — „ქართველები ყაჩაღებია, ამიტომ ჯერ უნდა მოისპოს საქართველოში ყაჩაღობა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი რეფორმების შესახებო“ (გვ. 214-216).

ერთი სიტყვით, რუსობა, ყოვლად უნამუსოდ, ჩვენ გვიკიჟინებდა ისეთ მანკიერებებზე, რაც ფაქტობრივად მათში ბუდობდა და ჩვენში მხოლოდ მათი მეშვეობით იკიდებდა ფეხს. ქართველი თავად-აზნაურობის ამ ცილისმწამებლურ დახასიათებაში ჩვენ ვხედავთ, აგრეთვე, ჩვეულ რუსულ უმადურობას, რამეთუ ქარსაა გატანებული ის სიკეთე, რასაც ეს წოდება იჩენდა რუსეთის მიმართ კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლაში.

აი, ამ დროს, როცა ქართველი ხალხის მიმართ უკიდურესი მტრობითა და სიძულვილით განწყობილი ყოველი რუსი — მეფეც, მოხელეც, მღვდელიც, ჯარისკაციც, მწერალიც და ჟურნალისტიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გვიტევდა, ხოლო ილია თავისი დასით, არათუ წარმატებით უმკლავდებოდა მართლმორწმუნეობის ნიღაბქვეშ შემალულ უბოროტეს მტერს, არამედ ქართველ ხალხს ამზადებდა კიდეც ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის, თვით საკუთარ სამშობლოში გამოუჩნდნენ ერისა და სამშობლოს უარმყოფელი ქართველები, რომლებიც თავიდანვე მოექცნენ რუსი სოციალისტ-იმპერიალისტების გავლენის ქვეშ და იმ დროს, როცა ეს რუსობა ცდილობდა, ერების შერწყმისა და კაცობრიობის გაერთიანების მარქსისტული თეორია თავისი იმპერიულ-ასიმილატორული მიზნებისათვის გამოეყენებინა, ქართველ ანტიპატრიოტთა ეს წრე ბრმად ამოუდგა მხარში მარქსისტებად მონათლულ რუსის შოვინისტებს და მტერზე უფრო მეტის აქტივობით დაიწყო ბრძოლა ქართველი ერის რუსულ იმპერიაში გასათქვეფად, რომ რუსეთს „დემოკრატიასთან“ ერთად აეშენებინა „მარქსისტული სამოთხე“.

ამათ შორის პირველი, ვინც შეებრძოლა ილიას მისი ეროვნული მრწამსის გამო, ეს გახლდათ ჩანჩურეთელი მარქსისტი — ნოე ჟორდანია. ილიასთან კამათში იგი აცხადებდა: „არცერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური საკითხი, როგორც ქართველ ხალხსო“ — ამიტომაო, ილიას „ამდენი ხნის მუშაობამ მუქთად ჩაიარა, მისი ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა“-ო.

ჯერ ერთი, ილიასა და მისი დასის მუშაობა მიმართული იყო იქით, რომ ეხსნათ საქართველო გარუსებისაგან. მათ ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულეს როგორც საადგილმამულო ბანკის შექმნით, რაც იყო ეროვნული საქმის ფინანსური დასაყრდენი, ასევე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებით, დაწყებითი ქართული სასწავლებლების გახსნით, ქართული ეროვნული პრესის შექმნით და მთელი რიგი სხვა ღონისძიებებით მათ ნამდვილად იხსნეს საქართველო გადაგვარებისაგან. ასე რომ, ილიას მუშაობას, ამ მხრივ, ფუჭად არ

ჩაუვლია.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ დროშას, ესეც ააფრიალა არა ქართველმა ხალხმა, არამედ ჟორდანიასთანა ქარაფშუტა თეორეტიკოსებმა. ამ მხრივ მათ მხოლოდ გულუბრყვილოთა მცირერიცხოვანი მასა მიიმხრეს დემაგოგიური დაპირებით, რომ სოციალიზმის დროს მუქთა ჭამა-სმა გექნებათო! აი, ეს მასა იყო — კერძოდ, გაზეთ „კვალის“ თანამშრომლები, რომელთაც ასეთი განცხადება გააკეთეს ჟორდანიასა და ილიას შორის კამათთან დაკავშირებით: „ახალმოსულმა“ (ილიას ფსევდონიმი იყო) დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნ. ჟორდანიასთან პაექრობა. საერთოდ, რა უფლებით ბედავს იგი ეკამათოს ისეთ სასახელო მოღვაწეს, როგორიც არის ნ. ჟორდანია. ბატონი ნ. ჟორდანია შრომობს მისდა სასახელოდ და ჩვენდა სანუგეშებლადო“. თუმცა, ისინიც მალე დარწმუნდნენ ამ კაცის ოჩოპინტრობაში, როცა შემთხვევის წყალობით გახელისუფლებულმა ჟორდანიამ თავისი ყოვლად უმაქნისი პოლიტიკით საქართველოც დაღუპა და თავადაც ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა.

ბუნებრივია, ილია თავისი ერუდიციის წყალობით, მათ შორის მიმდინარე პოლემიკაში ჯობდა ნოე ჟორდანიას. ეს უკანასკნელი კი ცდილობდა, მარქსისტისათვის დამახასიათებელი დემაგოგიით გაემტყუნებინა ილია.

მოგიყვანთ ერთ ასეთ ფაქტს: ჟორდანიამ რომ ვერაფერი გააწყო ლოგიკით ილიასთან კამათში, ასი მომხრის გვარები ჩამოწერა საგაზეთო წერილში და კითხვა დაუსვა ილიას: ახლა მაინც არ ჩათვლი თავს გამტყუნებულად, როცა მე ასი კაცი მიჭერს მხარს და შენ კი ერთი ილია ხარო?! ამაზე ილიამ უპასუხა: ციფრებს რა მნიშვნელობა აქვს, ასჯერ ნული, მაინც ნულიაო! ახლა ამაზე აუტეხეს დავა ჟორდანიამ და მისმა მარქსისტმა ძმაკაცებმა, კვლავ მარქსისტული დემაგოგიით — ილიამ მშრომელ ხალხს ნულები უწოდაო.

დიახ, მარქსისტთაგან, ჟორდანიამ პირველმა დაიწყო ბრძოლა ილიას წინააღმდეგ მისი ეროვნულ-პატრიოტული პოზიციის გამო, იმის მტკიცებით, რომ — რის ეროვნება, რა ეროვნება, — რის ტერიტორია, რა ტერიტორია, — რისი ენა, რისი მამული, ანდა რისი სარწმუნოება — „კაცი სადაც კუჭს გაიძღებს, იქ ექნება მას სამშობლო“-ო (იხ. მარქსისტი-დასელებისადმი მიმართული აკაკის ლექსიდან — „გარეწრები“).

მაგრამ ჟორდანიას ამგვარი კამათი რაღაც ჩარჩოში მაინც იყო ჩამჯდარი და ერთგვარად თავშეკავებულიც იმ ხულიგნურ და ყოვლად უნამუსო ცილისმწამებლურ გამოხდომებთან შედარებით, რომელსაც შემდგომ მიმართა მესამე დასელთა უმცირესობამ ფილიპე მახარაძის თაოსნობით.

ილიას იდეალი, უპირველეს ყოვლისა, იყო საქართველოს განთავისუფლება უცხოთა ბატონობისაგან და დამოუკიდებლობის აღდგენა. მას ეს პროცესი ორ ეტაპად ჰქონდა გათვალისწინებული: „პირველ ეტაპს საფუძვლად უნდა დასდებოდა „გეორგიევსკის ტრაქტატი“.

ამ ეტაპის მთავარი ამოცანა იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მიღწევა. მეორე ეტაპი საქართველოს სრული განთავისუფლებით და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით უნდა დაგვირგვინებულიყო“ (იხ. ფარნაოზ ლომაშვილის საქართველოს ისტორიის X კლასის სახელმძღვანელო, გვ. 149).

ილია ეტრფოდა არა, როგორც მას სწამებდნენ მარქსისტები, ბატონყმურ საქართველოს, არამედ ტერიტორიულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად და სახელმწიფოებრივად შეკავშირებულ და აღზევებულ საქართველოს, რომელიც დამყარებული იქნებოდა „ძმობა-ერთობა-თავისუფლების“ ცნობილ პრინციპებზე. მას, ამ იდეალების განსახორციელებლად საჭიროდ მიაჩნდა მთელი ერის შეკავშირება ერთ მუშტად, განურჩევლად წოდებისა და პარტიული მრწამსისა, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე მთელი წარსული ისტორიის მანძილზე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისას.

რაც შეეხება შიდა პრობლემებს — ადამიანთა შორის წოდებრივ-უფლებრივი, სოციალური და სხვა სახის გადასაწყვეტ პრობლემებს — განა ილია, პირველი არ აყენებდა „შრომის ახსნის“ საკითხს, როცა მისივე თქმით, „უქმ სიტყვად აღარ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლებაო?!“

დიახ, ილიას ეს საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიაჩნდა, ოღონდ მას შემდეგ, როცა ერი ჯერ უცხოთა უღელს გადაიგდებდა კისრიდან. ილია ასე მსჯელობდა: რისი კლასი, რა კლასი — რისი ბატონი, რის ყმა, როცა უცხო მოძალადე სრულ აღგვას გიპირებს პირისაგან მიწისა ბატონსაც და ყმასაცაო?! ჯერ შევერთდეთ ამ უბოროტესი მტრის დასამხობად და მერე ვიფიქროთ ურთიერთ სადაო საკითხებზეო.

ახლა უყურეთ, რა შესანიშნავად მსჯელობს იგივე საკითხზე მეორე დიდი ქართველი — აკაკი წერეთელი თავის ერთ-ერთ ლექსში, რომლის სათაურია — „საგულისხმოდ“.

ამბობენ: მეცხვარის ძაღლებს
როცა მოუვათ ჩხუბიო,
ვერ გაა ზავებთ ვერაფრით,
გინდა აძგეროთ შუბიო!
ღრენენ და ჰყეფენ! ხორხოზში
აღარ აქვთ ყურთა სმენაო!..
ვეღარც არჩევენ ერთმანეთს,
კბენა!.. კბენა და კბენაო!..
მაგრამ მეცხვარე რომ ხედავს,
არ არის სხვა საშველიო,
განგებ იძახის: „ჰკა, მაგას!
ქსი! ქსი! მოვიდა მგელიო!“
ეს ხმა აფხიზლებს მოჩხუბრებს,
თავდება ყოვლიფერიო!

და ერთად ჰყეფენ, გარეშე
რომ მოიგერონ მტერიო.
ეს რომ უამბეს მგოსანსაც,
სიხარბე შემოეპარა,
და ქართველთ საველრებელად
ლოცვა დასწერა პატარა:
„რადგანაც ქართველობაზე
ჩვენში დღეს ყველა სტყუაო,
ღმერთო, მიეცი ქართველ კაცს
ძაღლის გრძნობა და ჭკუაო“.

განა საქართველო მართლაც არ მოისპობოდა ჯერ კიდევ ათასეული წლების წინ, რომ ქართველებს — ერსაც და ბერსაც, ბატონსაც და ყმასაც ერთად შეკავშირებულს კი არ ებრძოლა არაბთა, სპარსთა, თურქთა, მონღოლთა და სხვათა ბატონობის დასამხობად, არამედ კლასობრივი დაყოფის საფუძველზე მარტო თავად-აზნაურობას ებრძოლა და უმთავრესი მებრძოლი ძალა — გლეხობა კი განზე გამდგარიყო?

ერთი სიტყვით, ილიასათვის უპირველესი საკითხი იყო ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და მხოლოდ ამის შემდეგ შიდაპრობლემების მოგვარება. ქართველი ურა-მარქსისტებისათვის კი (მსოფლიოს ყველა ეროვნებისაგან განსხვავებით), ეროვნული საკითხი არათუ არ არსებობდა, იმპერიიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის თვალსაზრისით, არამედ დამღუპველადაც კი თვლიდნენ ქართველთაგან ამგვარ მისწრაფებას, რადგან, ჯერ ერთი, მათი იდეოლოგიით „პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნიათო“, და მეორეც, იმპერიიდან საქართველოს გამოყოფა დაასუსტებს რუსეთის პროლეტარიატსო და ასე გათიშულები ვეღარ შეძლებენ კლასობრივი მტრის დამარცხებას და ნანატრი — კომუნისტური წყობის დამყარებას, რომლის დროსაც იმდენი ქონება დაგროვდება, ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობისაგან წართმეული პროდუქციისა და ახლადშექმნილის სახით, რომ ჩაგრულთა ახლანდელ კლასს, რაც ესურვება და რამდენიც ესურვება, იმას მიიღებს — როცა უნდა მწვადსა და როცა უნდა ჩახოხბილ-ჩაქაფაულსაო. თანაც, უქადაგებდნენ: თქვენს ამ ბედნიერ ცხოვრებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან ილია ჭავჭავაძე და სხვა მისთანა თავადებიო, რისთვისაც მათი მოსპობაა საჭიროო!

აი, ასეთი ყალბი დაპირებებით ისე გადარიეს მარქსისტებმა უწიგნური მასა, ისე წაასისიანეს თავად-აზნაურთა წოდების წინააღმდეგ, რომ უხვი და ნაირ-ნაირი ჭამა-სმის მოლოდინით მადაშლილებს, ერთი სული ჰქონდათ, რაც შეიძლება ჩქარა ამოეჟლიტათ თავა-აზნაურობა, რომ მალე ღირსებოდნენ „აღთქმულ ქვეყანაში“ შესვლას. ამ მიზნით, გლეხები მარქსისტთა წაქეზებითა და თაოსნობით ქმნიდნენ ყაჩაღურ-ტერორისტულ ბანდებს — „წითელი რაზმელებისა“ და „ტყის ძმების“ სახელწოდებებით, რომელთა მოქმედებაში შედიოდა: თავად-აზნაურთა

მამულების გაჩეხვა, სახლ-კარის გადაბუგვა და მათი ფიზიკური განადგურება. ამ გზით მათ უამრავი, სრულიად უდანაშაულო ოჯახი ააწიოკეს და მოსპეს ქართლში, კახეთში და საქართველოს სხვა მხარეებში.

ჯერი ახლა ილია ჭავჭავაძეზე მიდგა. იმის გამო, რომ ილიას ძალზე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი ქართველ ხალხში, მარქსისტებმა გადაწყვიტეს, ცილისმწამებლური ბრალდებებით შეელახათ მისი სახელი მთელი ერის თვალში და ამ გზითვე გაემართლებინათ შემდგომ მისი მკვლელობაც.

ჯერ კიდევ ადრე, როცა მთელი ქართველობა დიდის ამბით ემზადებოდა, რომ 60-წლისთავის იუბილეს გადახდით ღირსეულად დაეფასებინათ ილიას დიდი ღვაწლი ქართულ მწერლობაში და მის საეროვნო მოღვაწეობაში, ქართველმა მარქსისტებმა ღვარძლით სავსე პროპაგანდა გააჩაღეს ამ იუბილეს ჩასაშლელად და ჩაშალეს კიდეც იმ მოტივით, რომ საქართველოში რამდენ სხვასაც (ჭიპაძეს, ჯღამაძეს, ნაბიჭვრიშვილს — მუშათა კლასიდან) შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი და განა მათ კი არ ეკუთვნით იუბილეს გადახდაო?!

მაგრამ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა ქართველი მარქსისტების უსინდისობამ, როცა ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „მოგზაურში“ (№13, 1905 წ.) დაიბეჭდა „ვ. ნ“-ს ინიციალებით ასეთი სათაურის საბრალდებო წერილი — „საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება“. რა ბრალდებას უყენებდა ორ ასოს ამოფარებული ეს გარეწარი ილია ჭავჭავაძეს?

ამ წერილში მოყვანილი ფაქტების სიცრუე შესანიშნავად აქვს მხილებული მწერალ-კრიტიკოსს აკაკი ბაქრაძეს თავის მონოგრაფიაში — „ილია ჭავჭავაძე“ და ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ამ კრიტიკულ ამონაწერს. პირველი: „ერთ-ერთ ახალსოფლელ გლეხს უთქვამს (ინფორმაციის ავტორი ამ გლეხის გვარს არ ასახელებს): „გასულ ზაფხულში, როცა სანადელო ყანა მოვმკე, ვეახელ ბატონს და მოვახსენე, რომ მოურავი გამოეგზავნა და ძნა გაგვეყო. ველოდები ერთი დღე, მაგრამ არ გამოჩნდა; მეორე დღეს ნაშუადღევს ჩამოვიდა მოურავი, კაცი გულქვა და შეუბრალებელი, გავიყავით ყანა, დაუდე ჩემს ურემზე და ამასობაში კიდეც დაღამდა. „ახლავე წამოიღე ურემიო“, მომაძახა მოურავმა და თითონ კი ცხენი გაქუსლა. რადგან ღამე ბნელი იყო და გზა ცუდი ილია ჭავჭავაძის კალომდე, შემეშინდა ურმის გადაბრუნება და იმ ღამის მაგიერ მეორე დღეს წავიღე ურემი. ვიდრე მოურავი და ილია ჭავჭავაძე გამოიღვიძებდნენ, მე ურემი კალოზე მივიტანე, მაგრამ მაინც ვერ გადავურჩი მოურავის რისხვას და ლანძღვას. არ მიიღო ძნა, ბატონი აბრძანდება და ის მიიღებსო.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აბრძანდა ბატონი ილია ჭავჭავაძეც, გამობრძანდა ბალკონზე, დამჭყივლა და დამჭყივლა. მერე დამიწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა. „ახლავე ეგ ძნა დააბრუნე და იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლათ გამოითვლის და გაყოფსო“. ბევრი ვემუდარე, ვეხვეწე, ეხლა დავთვალოთ, თუ ერთი თავთავი აკლდეს, თავი მომჭერი-მეთქი, თუ ადამიანს არ იბრალებ, ეს უენო

საქონელი მაინც შეიბრალე-მეთქი, მაგრამ ამაოთ. ძნა ისევ იქ ჩავიტანე, დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე, მესამე, მაგრამ არ არის მოურავი, იქ ველოდე მანამ, ძნა საქონელმა არ დაშალა და გააოხრა“.

ამაზე ბატონი აკ. ბაქრაძე წერს: „განგებ ამოვწერე ეს ცილისწამება თავიდან ბოლომდე, რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს, რაოდენ უაზროა იგი. თავი დავანებოთ პროპაგანდისტულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული მოდელის გამოყენებას — ბატონი გვიან იღვიძებს, ბალკონზე გამობრძანდება და გლეხს უჭყივლებს და უშვერი სიტყვებით გალანძღავს. დავაკვირდეთ ნაამბობს.

გლეხი ამბობს, რომ მოურავის თანდასწრებით გაყო ძნა და ილიას წილი ურემზე დადო. ოღონდ რაკი დაღამდა, ღამით არ წაიღო და დილით მიუტანა. თუ ასე იყო, ილია რატომღა მოითხოვდა — ძნა უკან წაიღე, რომ მოურავმა ისევ დათვალოსო? მოურავი ხომ იქვე იდგა და ეტყოდა „გულქვა“ ილიას — უკვე დათვლილი მაქვსო და ხელახალი გაანგარიშება საჭირო არ არისო? თუ მოურავს ეხალისებოდა ერთისა და იმავე საქმის ხელმეორედ გაკეთება? გამოდის, რომ მოურავი თავისთავს სჯიდა.

ძნა, რომელიც გლეხმა მოიტანა, ილიას წილი იყო. ილიამ ეს ძნა უკან გააბრუნა, რომ მერე იგი საქონელს გაენადგურებინა. რა აწუხებს გლეხს? იმდენად უჭკუო ყოფილა ილია ჭავჭავაძე, რომ საკუთარი ქონება გაუნიავებია. გლეხის წილს არაფერი დაკლებია. თუ მშრომელ გლეხს გული დასწვა იმან, რომ ნაშრომ-ნაამაგარი ასე უზრუნველად გაიფანტა? თუ ასე იყო, რატომ დაანება პირუტყვს ძნების გაოხრება? იქვე არ იყო თვითონ, საქონლის გარეკვას რა უნდოდა?

ილიას მტრები ჯერ ამტკიცებდნენ — იმდენად ძუნწია, კაპიკს ვერ გააგდებინებო ხელიდან, ახლა კი იმდენად უგუნური აღმოჩნდა, რომ საკუთარი მთელი ურემი ძნა საქონელს გააოხრებინა. ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

მაგრამ უმთავრესი ის გახლავთ, რომ ილიას არავითარი მამული ახალსოფელში არ ჰქონია და იქაურ გლეხს არაფერი ემართა მისი. ამიტომ, ცხადია, არც არაფერს მიუტანდა ილიას. „ახალსოფელში კი არც ერთი მტკაველი მიწა არ გაგვაჩნია. იგი სოფელი მთლიანად ეკუთვნის თ-დ ზაალ გურამიშვილს, რომლის მამულ-დედულს აპეკა განაგებს, რადგანაც პატრონი სნეულია, და იქ ერთი ნაყმევიც არამცთუ ჩვენ, თვით მამულის პატრონსაც არა ჰყავს“ — წერდა თვითონ ილია „მოგზაურის“ პასუხად.

მეორე: გურამიანთკარელ გლეხს მოუყოლია: „ამ ზამთარსა დიდი ყინვებისაგან წყალი, რომლითაც მთელი ოთხი თუ ხუთი სოფელი ვსარგებლობდით, გაიყინა. გაიყინა ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩით. სოფლის ზევით სამ ვერსზედ ტყეში და მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში, გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება. დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობა; დაგვასია თავადმა მოურავები, ბიჭები და აგვიკრძალა წყლით სარგებლობა. თანაც გვითხრეს, ვისაც წყალი უნდა, იმან სულ თითო საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეშიო, და სასმელ წყალს მუქთათ დაუთმობთო.

იძულებული ვიყავით, დავთანხმებოდით; მთელი ზამთარი ვაძლიეთ ასე უცნაური ხარკი. ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე ღატაკი კაცი, ისე რომ ჩვენ — ღარიბებს გვყავდა ზურგზედ აკიდებული თავისი ცოლ-შვილით. ერთ დღეს ამ კაცს აემსო ორი კოკა, გადაეკიდა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი. ჭავჭავაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. გლეხმა მიუგო: „თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ და მე კი კატაც არა მყავსო; ან ათი შაური ვინ მომცა, ეს ორი კვირაა, რაც ავღანღალდი ლოგინიდან, ხომ იცი სულ ავათა ვარ, ნათქვამია „წყალი მდევსა და გველეშაპს არ დაუჭერიათ“ და თქვენ ხომ ქრისტიანები ხართო. შენთან ბევრი ლაპარაკი არ ღირსო, ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივ სავსე კოკა ზედ გადაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხს.

ამ ამბავს ილია ჭავჭავაძე ბალკონიდან უყურებდა 400-მანეთიან ქურქში გახვეული, გულიანად იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: „ყოჩაღ, მემარნიშვილო, ყოჩაღ, ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდნენო“. უბედური გლეხი ვიდრე სახლში მივიდოდა, დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაცივებული დახვდა უშეშობის გამო. გახდა ხელახლათ ავათ და ერთ კვირაზედ გაათავა მრავალ ტანჯული და წამებული სიცოცხლე“.

აქაც თავი დავანებოთ გაცვეთილი მოდელის გამოყენებას — მხეცი მოურავი, ღატაკი გლეხი, რომელსაც შეშაც არ აქვს სახლში და 400-მანეთიან ქურქში გამოწყობილი თავადი ბალკონზე — და ყური მივაპყროთ ილიას. იგი წერდა:

„გურამიანთკარში ჩამოდის მდინარე თეზამი. ამას გარდა, სოფელში არის წყარო, რომელიც გამოიყვანეს სტაროსელსკებმა, როგორც თავისთვის, ისე სოფლისათვის. მართალია თეზამი, როგორც ხევის წყალი, ხანდახან იყინება, მაგრამ წყარო თავისდღეში არ გაყინულა, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, წყაროს წყალი არ გაიყინება და ამდენად სოფელი უწყლოდ ვერ დარჩებოდა.

გურამიანთკარს, აგრეთვე ჩამოუდის არაგვი, „რომელიც, როგორც დიდი და ჩქარი წყალი, ჩვენში არა-დროს არ იყინება მთელ სიგანეზე ისე, რომ საქონლისათვის წყლის სასმელი არა რჩებოდეს ან მთლად გაუყინავი, ან ისე თხლად გაყინული, რომ ყინული ადვილად ჩასამტვრევი არ იყოს“.

არაგვსა და სოფელ გურამიანთკარს შუა დიდი ფშა მოედინება, იგი წიქვილს აბრუნებს და აგრეთვე არასოდეს იყინება.

როცა სოფელში ამდენი წყალია, რატომ დაიწყებდა გლეხობა ტყეში სამ ვერსზე სიარულს? მით უმეტეს, რომ ასეთი წყარო საერთოდ არ არსებობს და ილია სხვისი მამულიდან მილებით თავის ეზოში გამოყვანილ წყალს ხმარობდა?

ილია სთხოვდა ინფორმაციის ავტორს: „მობრძანდეს, ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოცთუმნიანი კი არა, თუნდა ასთუმნიანი ქურქი წამოისხას, იქიდან გაიხედ-გამოიხედოს და თუ ჩემის ბალკონიდან ტყიდან გზად მიმავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი“-ო.

ვინ დაიჯერებს იმას, რომ ნაავადმყოფარი კაცი, რომელიც ლოგინიდან ძლივს წამოდგა, შიშველ-ტიტველი, სამ ვერსზე ტყეში წავიდა ორი კოკა წყლის მოსატანად. მეზობელი მაინც არ ჰყავდა, რომ ცოცხალ-მკვდარი კაცისათვის წყალი მიეწოდებინა? თუ მეზობელი გლეხებიც გულქვანი იყვნენ? სნეულებით დასუსტებული კაცი ორ კოკას როგორ ზიდავდა? ტყეში რა მიარბენინებდა, როცა კარწინ, შუა სოფელში, წყარო მოჩუხჩუხებდა? და რაც მთავარია, იმ ზამთარს გურამიანთკარში არ გარდაცვლილა არცერთი მამაკაცი გლეხი, როგორც ეს საეკლესიო დოკუმენტებით დადასტურდა.

მესამე ბრალდებას იმას უყენებდა ილიას ანონიმური წერილის ავტორი, რომ „არც ილია ჭავჭავაძე და არც სტაროსელსკი, გლეხებს ნებას არ აძლევენ ზეზე სადგომის აგებასო“. ეს მაშინ, როცა საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილების არც ერთი მტკაველი არ ეკუთვნოდა არც ილია ჭავჭავაძეს და არც ოლღა გურამიშვილს. ეს ადგილები მთლიანად სამეურვეოს კუთვნილება იყო. ჰოდა, აბა, სხვის მამულში ილია გლეხებს როგორ აუკრძალავდა ან ნებას მისცემდა სახლების დადგენისას? ილია, საპასუხო წერილში ეპატიჟებოდა „მოგზაურს“ — მობრძანდით და ნახეთ თქვენი თვალით, დარწმუნდებითო რომ არავინ უშლისო გლეხებს სამეურვეო მამულში სადგომების აგებასო.

„კომუნისტი ამხანაგი“ ვ. ნ. მეოთხე ბრალდებად იმას უყენებდა ილიას, რომ „ილია ჭავჭავაძემ და სტაროსელსკიმ მთავრობას ჯარი სთხოვეს „ბუნტის“ ჩასაქრობად“-ო. ესეც მტკნარი სიცრუე იყო.

ილია, პირიქით, დაბეჯითებით აფრთხილებდა მოურავ მოსე მემარნიშვილს — „თუ ვინიცობაა, მანდ, საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ არ გააფუჭონ“. ილია მოსე მემარნიშვილს მოთმინებასა და თავდაერას ურჩევდა: „გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუჭებინებ-კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქოს არა ვხედავთ“. ასე რომ, საგურამოში ილიას ჯარი არ მიუწვევია.

და ბოლოს ვ. ნ-ს ერთი ასეთი ცნობაც, კვლავ ყალბი, მაგრამ მისთვისვე საწინააღმდეგო. „ჭავჭავაძეს ყავდა ახალსოფლიდან ერთი დედაბერი მექათმეო. ამის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, რატომ დედაშენი არ ანებებს თავს ბატონებთან სამსახურსო და კაცი იძულებული გახდა ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედაბერი“-ო. ჯერ ერთი, ამ წერილის ავტორი იმას გვიმტკიცებს, რომ ქვეყანაში მართლაც ტერორიზმი ყოფილა გამეფებული მარქსისტების თაოსნობით, რომელსაც ახდენდნენ ზემონახსენები „წითელი რაზმელები“, „ტყის ძმები“ და სხვები, — და ამიტომაც ჯარის ჩაყენება საჭირო ყოფილა ტერორისაგან თავის

დასაცავად. ამის გარდა, ეს ცნობა იმას გვიდასტურებს ილიას სასარგებლოდ, რომ მის სამსახურში გლეხობა ძალზე კარგად გრძნობდა თავს და სწორედ ამიტომ არ ტოვებდა ილიას კარ-მიდამოს ნახსენები დედაბერიც. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ცნობაც ისეთივე მოგონილი და შეთითხნილი იყო, როგორადაც მთელი მისი წერილი.

მაინც, ვინ იყო ეს ვ. ნ., რომელსაც ასე ფართოდ გაუღო კარი ჟურნალმა „მოგზაურმა“? დადასტურდა, რომ იგი იყო „მესამე დასელთა“, და კერძოდ, ფ. მახარაძის ჯაშუში — ვასილ ნაცვლიშვილი. მალე ისიც დადასტურდა, რომ იგი სულაც არ ყოფილა საგურამოში და ილიას წინააღმდეგ მთელი ეს ცრუ ბრალდებები აქვე — თბილისში შეთითხნა.

მაგრამ რა, უნამუსო ვირზე იჯდა, ფეხებს ატლაყუნებდაო! ვასილ ნაცვლიშვილს, შემდეგაც, არათუ არ სცხვენოდა ილიას წინააღმდეგ მიმართული, სიცრუეზე დამყარებული წერილის ავტორობა, ამაყობდა კიდეც ამ პასკვილით. როგორც ბატონი აკ. ბაქრაძე გადმოგვცემს — 1927 წელს იგი შესულა ცენტრარქივში მომუშავე რაჟდენ კალაძესთან, რომელიც მესამე დასის ისტორიის დაწერას აპირებდა და მისთვის უთქვამს — მეც მომიხსენიე ამ ისტორიაში, რადგან მე ვარ ის ვ. ნ., რომელმაც ილიას საბრალდებო წერილი დაუწერაო. კალაძეს იგი კაბინეტიდან გამოუგდია.

მაგრამ რა გინდა, წერილმა თავის მიზანს მაინც მიაღწია. ბრიყვ მასას მაინც სჯერა დღესაც მისი და მაინც იმეორებს წერილში გამოთქმულ სიცრუეს — ილია, თურმე სასტიკად ექცეოდა ყმა-გლეხებს, წყალი რა არის, წყალსაც კი არ აძლევდა სასმელად გლეხებს თავისი წყაროდანო. ერთმა არაკაცმა, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს ილიას მწერლურ შემოქმედებაზე, ასე მითხრა მენტორული ტონით: ილია, მართალია, კარგი მწერალი იყო, მაგრამ ყმა-გლეხებს სახრეს ურტყამდა, თურმეო.

ბრიყვთა ეს მასა, მიუხედაად თავისი უვიცობისა, არ შეიძლება ვერ მიმხვდარიყო, რომ ილიას წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები მთლად მართალი არ იქნებოდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს მასა (ყოველ შემთხვევაში მისი გარკვეული ნაწილი) მაინც კმაყოფილი დარჩა ილიას ასე გაბიაბრუებით. რატომ? სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ამაზე ნათელ პასუხს გვაძლევს ჩვენი დიდებული მგოსანი ვაჟა-ფშაველა თავის შესანიშნავ ლექსში — გიორგი სააკაძის სურათზე. აი ეს ლექსიც?

გიორგი სააკაძის სურათზე

ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება
შენის ქვეყნისა — საქართველოსი.
რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება:
თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება?

ცრემლები მაღრჩობს, ველარას ვამბობ,
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ველარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!..

დიახ, ამ განსაზღვრებაში ვაჟა-ფშაველა სავსებით მართალია! სააკაძის კრიტიკოსები — კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე და სხვები ერთხმად იმას აბრალებენ გიორგი სააკაძეს, რომ 1714-1616 წლების სპარსელთა შემოსევისას იგი თან ახლდა შაჰ-აბასსო. ჯერ ერთი, შაჰ-აბასის შემოსევა, როგორც ეს ნათქვამია ჩემს პირველ წიგნში, განპირობებული იყო არა გიორგი სააკაძის შაჰ-აბასისადმი წამქეზებლობით, როგორც ამაში ბრალს სდებს „ქართლის ცხოვრება“ გიორგი სააკაძეს, არამედ თეიმურაზ I-ის ყოვლად უპერსპექტივო პრორუსული პოლიტიკით.

მაგრამ მთავარი აი, რა არის: ვინ და რატომ აურია გზა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გიორგი სააკაძეს? იმისთანა დიდებულ სარდალსა და თავისი ქვეყნის პატრიოტს, როგორიც სააკაძე იყო — მეფე, ერი და ბერი რომ ხელს ჰკრავს პარტიკულარისტი ფეოდალების ენების ამყოლი მეფის გამოუძიებელი გადაწყვეტილების ნიადაგზე, განა შეიძლება ამ ბოროტების რითიმე გამართლება? მაშ, რა ხდება? ხდება ის, რომ, როგორც თავად ბატონი კონსტანტინე ბრძანებდა — ვერ ვიტანთ დიდ პიროვნებას და უმალ მისი დაღუპვის სურვილი გვეუფლება. მაგალითები გნებავთ? უამრავიდან, თუნდაც რამოდენიმეს დაგისახელებთ საგულისხმოდ. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც ტაძრის საკურთხეველზე ცხვარივით დავკალით არაბთა წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი მეფე — აშოტ კუროპალატი, — ვინც, ქართველი ერის გადამრჩენელსა და ძლიერების მწვერვალზე ამყვან დავით აღმაშენებელს სამი შეთქმულება მოვუწყვეთ მოსაკლავად, — ვინც უსპეტაკეს მეფე თამარს (ოქროს ეპოქის შემომქმედს) დიდი ომი გავუმართეთ იმისათვის, რომ იგი ტახტიდან ჩამოგვეგდო და მის ადგილზე დაგვესვა ზნედაცემული რუსი.

მაგრამ თავი დავანებოთ შორეულ ამბებს — ილიასთანა მოღვაწეს ჯერ ცილისწამების მორევში რომ ამოსვრის და მერე თოფს რომ ესვრის, იმ ერს ერი ეთქმის? აკი სწერდა კიდეც იმ დღეებში ვაჟა-ფშაველა: „საშინელი, მეტის-მეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა...“

დიახ, ეს საზარელი მკვლელობა არ იყო მარტოოდენ მის ორგანიზატორთა და უშუალო შემსრულებელთა ბოროტგანზრახული აქტი. ჯერ ილიას ცრუ ბრალდებებს, ხოლო შემდეგ მის მკვლელობას მხარს უჭერდა მარქსისტების მიერ გაბრიყვებული ადამიანების ერთი ნაწილიც.

ბრიყვთა სწორედ ეს ნაწილი იყო გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელთა სახით, რომლებიც წინ აღუდგნენ ჟურნალ „მოგზაურის“ ცილისმწამებლურ ბრალდებაზე ილიას საპასუხო წერილის დაბეჭდვას. ისინი აცხადებდნენ: „თუ ილიას პასუხი დაიბეჭდება გაზეთში, მაშინვე გაფიცვას მოვაწყობთო“.

ხედავთ, ბოროტება სადამდეა ასული? ილიას, საპასუხო წერილის დაბეჭდვაზე უარს ეუბნება ის გაზეთი, რომლის დაარსებასაც მან უდიდესი ღვაწლი დასდო და რომელიც მისივე რედაქტორობით ფარად ედგა მთელ საქართველოს რუსული რეაქციის შემოტევისას. უფრო საწყენი ისაა, რომ ილის წინ აღუდგა მარქსისტების მიერ წაქეზებული, გულუბრყვილო ადამიანთა ის ნაწილიც, ვის ინტერესებსაც იგი იცავდა კალმითაც და საქმითაც (გავიხსენოთ თუნდაც ბატონ-ყმობის გაუქმების ჟამს ილიას თავგამოდება — ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო).

როგორც გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელთა პოზიციიდან ჩანს, ისინი, არც ისე გულუბრყვილონი ყოფილან, რომ არ სცოდნოდათ, სწორი იყო თუ არა ილიას მიმართ წაყენებული ბრალდებები. გამოდის, რომ იცოდნენ, მაგრამ აწყობდათ ილიას გალანძღვა, რადგან მარქსისტების ჩაგონებით, ილია როგორც თავადი, ხომ წინააღმდეგდი იყო იმ „სამოთხისა“, რომელიც სოციალისტებს უნდა აეშენებინათ მშრომელებისათვის. დიახ, ეს ასეა, თორემ რატომ უნდა განეცხადებინათ პროტესტი გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლებს ილიას პასუხის დაბეჭდვაზე? დაე, გარკვეულიყო მტყუანი და მართალი! — რა იყო ამაში ცუდი? ბოლოს, ამ წინააღმდეგობის გამო, ილია იძულებული გახდა თავისი პასუხი — „ნუთუ?“, თავისი ხარჯით დაესტამბა და როგორც „ივერიის“ დამატება, ისე გაევრცელებინა. იგი ჟურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენტის ბრალდებაზე და ამ წერილის მიმართ გამოხმაურებულ „ივერიის“ რედაქციის მიერ დასმულ კითხვაზე: ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან?.. იმედი ვიქონიოთ, რომ თითონ ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენტის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო — ილია ასე პასუხობდა: „თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდვითვეო, ეს ადვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელი ასასრულებლად. მაგალითებრ, განა არ შემიძლიან დავწერო და დასაბეჭდად წავიღო, რომ ერთმა გლეხმა მიამბო, ვითმოც რედაქტორი „მოგზაურისა“ ერთს ვიღაცის სახლში შესულა, ერთი მანეთი მოუპარავს და გაპარულა. ნუთუ ის ყოვლად უსაბუთო, ყოვლად უგეშო ბრალდება უნდა დაბეჭდოს ან გაზეთმა, ან ჟურნალმა იმ იმედით, რომ თუ ეს ამბავი ტყუილია, ბრალდებული ამ ტყუილს დაამტკიცებსო?“

მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა — მთავარი ის იყო, რომ ილიას წინააღმდეგ მარქსისტებს ხალხის თვალში ილიასათვის სახელი გაეტეხათ ამ ყალთაბანდური ბრალდებებით, რომ შემდეგ მისი მკვლელობაც გაემართლებინათ.

ამიტომაც, ილიას საპასუხო წერილის გამოქვეყნებისთანავე, ჟურნალმა „მოგზაურმა“ არნახული განგაში ატეხა ენაბილწი წერილებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო ფ. მახარაძის წერილი — „თავის მართლებაც ასეთი

უნდა“. იმისათვის, რომ სახელი გაეტეხათ, შეეძულებინათ ხალხისათვის და სასიკვდილოდ გაეწირათ ქართველი ერის ეს სულიერი მოჭირნახულე — ილია ჭავჭავაძე, რას არ კადრულობდნენ, რას არ უგონებდნენ და რას არ უწოდებდნენ ამ დიდებულ კაცს: ილია ოინბაზი, კინტო, მსოფლიო მნიშვნელობის ჯაშუში, კაცთმოძულე, მონარქისტი, კონტრრევოლუციონერი, რეაქციონერი, ილია გლეხების მკვლელი, ილია მუშების მტერი, ილია მებატონე და სხვა.

საჭიროა აღინიშნოს ბრიყვი მასის გასაგონად, რომლებიც ახლაც იმეორებენ მახარაძელთა ცილისმწამებლურ ბრალდებებს, რომ იმ დროს, როცა ეს პასკვილები იწერებოდა, ილიას არც ერთი ყმა აღარ ჰყავდა. მან ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე (1864 წ.) ბევრად ადრე გაანთავისუფლა თავისი ყმები და დაიტოვა მხოლოდ ნებაყოფლობითი მომსახურე პერსონალი, რომლებიც ილიასთან გაცილებით უკეთესად გრძნობდნენ თავს (თუნდ იმ მექათმე დედაბერის სახით), ვიდრე თავიანთ კარ-მიდამოში.

ილიასადმი ფილიპე მახარაძის ცილისმწამებლობა მარტო მის გლეხებთან დამოკიდებულებაში როდი გამოიხატებოდა. წარმოიდგინეთ სადამდე მიდიოდა მისი უვიცობა და თავხედობა, როცა იგი უარყოფდა არა მარტო ილიას მწერლურ შემოქმედებას და ჟურნალისტურ საქმიანობას, არამედ მთელს ქართულ მწერლობას და უგულებელყოფდა თვით შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანს“, როცა იგი მასზე უფრო მაღლა აყენებდა დანიელ ჭონქაძეს და მის შემოქმედებას „სურამის ციხეს!“

აი, ზოგიერთი ამონაწერი ამხანაგ ფილიპეს ნაშრომ-ნაცოდვილარიდან, რომელთა შორის ერთი მათგანის სათაურია — „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ (1929 წ.), ხოლო მეორესი — „ეგნატე ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმედება“ (1930 წ.). იგი შოთა რუსთაველსა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერს: „მართალია, ჩვენს ძველ მწერლობაში არის ერთადერთი გამოჩენილი პირი — შოთა რუსთაველი თავის „ვეფხიტყაოსნით“ (ერთადერთიო! სხვა დანარჩენები — ი. ცურტაველი, ი. საბანისძე, ი. ზოსიმე, გ. მერჩულე, მ. ხონელი, შავთელი, ჩახრუხაძე — სახსენებლებიც არ არიან, თურმე!), მაგრამ რუსთაველი არ გადმოგვცემს თავის ნაწარმოებში ხალხის სულისკვეთებას და მის მისწრაფებათ; „ვეფხისტყაოსანში“ თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას; ის ზღაპრული პოემაა აღმოსავლეთის კილოზე, სადაც გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვარული, მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება. ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელათ ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს, მაგრამ იგი არასოდეს არ შეიძლება გახდეს რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან მოვლენის სათავეო“.

აქ ფილიპეს მხედველობაში აქვს რევოლუცია, ხალხის ერთმანეთისადმი მისევა და მასიური კაცთაკვლა. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ კი ამას ვერ ვხედავთო, ბრძანებს ამხანაგი ფილიპე.

რუსთაველისადმი ფილიპესეული კრიტიკა სხვა მხრივაცაა განსასჯელი. კომუნისტი ფილიპე თამარ მეფის ხანას „მონურს“ უწოდებს, რომელსაც რუსთაველი „გვიქებსო“. მაგრამ მას ავიწყდება ის ბარბაროსობა და ის მონობა, რომელიც მათ თავად დაუმკვიდრეს ხალხს ჯერ მასიური ხოცვა-ჟლეტით, არნახული დიქტატურით და მერე შრომის მონური ანაზღაურებით. არც ერთი ფეოდალი არასდროს იმას არ იკადრებდა, რომ მის მამულში მომუშავე ყმა-გლეხი არ დაეპურებინა — საუზმე, სადილი, ვახშამი მათთვის არ ყოფილიყოს. კომუნისტები კი საკონცენტრაციო ბანაკებს მიმსგავსებულ კოლმეურნეობებში ძალით შეყრილ ხალხს შრომადღეზე ზოგჯერ 200 გრამ ხორბალსაც არ აძლევდნენ, რომელიც საარსებოდ 5-სულიან ოჯახს კი არა, ბეღურა ჩიტსაც არ ეყოფოდა. აი, რა იყო ნამდვილი მონობა, რომელიც ფილიპე მახარაძემ და მისთანა კომუნისტებმა დაუმკვიდრეს ხალხს.

ამხანაგი ფილიპე, როგორც ითქვა, სავსებით უარყოფდა ძველ ქართულ მწერლობას და მათ შორის შოთა რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს“. მისი აზრით, მწერლები ეთქმით მხოლოდ ჩვენი დროის ორ მწერალს — დანიელ ჭონქაძეს და ეგნატე ნინოშვილსო. იგი ასეთ პარალელს ავლებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“ შორის: „ჩვენში რომ ვისმეს ჰკითხოთ: რომელი წიგნია ხალხში უფრო გავრცელებულიო? — უეჭველია პასუხს მიიღებთ, რომ „ვეფხისტყაოსანიო“... მაგრამ ამჟამად „მშრომელი ხალხი მას ნაკლებად ეტანება, და რაც დრო გადის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს. „ვეფხისტყაოსანს“ უფრო ეტანება და გასავალი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაჩვეულია უსაქმურობას და რომელსაც მოსწონს აღმოსავლეთის რაინდული ცხოვრება. თუ ოდესმე ხსენებული პოემა, როგორც ზღაპრული პოემა იპყრობდა ხალხის ყურადღებას, დღეს ეს სრულებით აღარ ითქმის... იქ გამოხატული და დასურათებული გმირები დღევანდელი მკვითხველისათვის სრულებით გაუგებარი და უსარგებლოაო“. სულ სხვა ითქმის დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეზეო“. „თანამედროვე ქართულ მწერლობაში არ მოიპოვება მეორე მოთხრობა (ე. ი. არც „ოთარაანთ ქვრივი“, არც „გლახის ნაამბობი“ და არც პოემა „კაკო ყაჩაღი“!), რომელიც „სურამის ციხესავით“ იყოს გავრცელებული ხალხში, რადგან ხალხმა „სურამის ციხეში“ დაინახა თავისი მწარე ხვედრი და თავგადასავალიო“...

შენ კაცის ბოროტული აკვიატება მითხარი, თორემ — განა ილიას აღნიშნულ ნაწარმოებებში უფრო მკვეთრად არაა გამოხატული ბატონ-ყმობის ეპოქაში მშრომელი კაცის ეს მწარე ხვედრი? რით სჯობს „სურამის ციხე“ გინდ „ოთარაანთ ქვრივს“ და გინდ „გლახის ნაამბობს“?

მარქსიზმით გონებადაბინდული ფილიპე, როგორც კომუნისტი-კოსმოპოლიტი და თავისი ქვეყნის კულტურულ მიღწევათა უარმყოფელი ნიჰილისტი, სავსებით უგულებელჰყოფს არა მარტო ორიათასწლოვან ქართულ მწერლობას, გარდა დანიელ ჭონქაძისა და ეგნატე ნინოშვილისა, არამედ ქართველი ერის სამიათასწლოვან ისტორიასაც თავისი გმირული

წარსულით.

აი, რას წერს იგი თავის უბადრუკ ნაშრომებში ჯერ ჩვენი მწერლობის შესახებ დასავლეთ ევროპის მწერლობასთან პარალელის გავლებით: „მწერლობა ჩვენშიც, როგორც ყველგან, დიდი ხანიდან არსებობდა, მაგრამ იგი უფრო ძალით გადმონერგილი მცენარე იყო, ვიდრე ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული. ამიტომ იგი დაბადებიდანვე მკვდარი იყოო“. აი, ასე ათახსირებს ამხ. ფილიპე ჩვენს ეროვნულ მწერლობას და იცით რა მოტივით? რა მწერლობაა ის მწერლობა, რომელსაც თავისი ნაწარმოებებით რევოლუციური მოძრაობა არ გამოუწვევიაო! ამ თვალსაზრისით ამხანაგი ფილიპე გვიქებს დასავლეთ ევროპის მწერლებს და ხელოვნების მოღვაწეებს: შექსპირს, ბაირონს, გოეთეს, შილერს, ბეთჰოვენს, დანტეს, რაფაელს და მიქელანჯელოს, რომელთა ნააზრევის მიხედვით, მათმა ხალხმა რევოლუციები მოახდინესო, ხოლო რუსთაველი მათთან სახსენებელიც არ არის, რადგან ფილიპეს ჭკუით, რუსთაველის პოემამ „ვეფხისტყაოსანმა“ საქართველოში ვერც ბურჟუაზიული და ვერც სოციალისტური რევოლუცია ვერ გამოიწვია. ერთი სიტყვით, ფილიპეს ჭკუით, კაპიკადაც არ ღირს ერის სულიერი ცხოვრება, თუ რევოლუციები არ მოუხდენია და საზოგადოების ერთ ნაწილს მეორე ნაწილი არ უჟლეტია.

ამ თვალსაზრისით, ამხანაგი ფილიპე „საბრალო“ ხალხს გვიწოდებს, რადგან მისივე სიტყვით, „წარსულ ცხოვრებას არ აცისკროვნებს და არ აბრწყინებს არც ერთი შესანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები ამაღლებდეს გრძნობა-გონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსვლისადმი. შესაძლებელია, ასეთ ხალხს მრავალი განსაცდელი გამოეაროს, მაგრამ ისტორია მას ხსენების ღირსად არ ჩათვლის, ვინაიდან მის ცხოვრებაში არ მომხდარა ისეთი რამ, რაც მას ამის ღირსად ჩათვლის“.

ფილიპე ამ სიტყვებში კვლავ რევოლუციას გულისხმობს, ხოლო ურევოლუციოდ, მისი ჭკუით, ერის ცხოვრება, ცხოვრებად არ ჩაითვლება, თურმე! ბოლოს იგი ასკვნის: „ვინც ჩვენს ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ სწორედ ასეთი ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულშიო“.

ამის გარდა ამხანაგი ფილიპე იმასაც გვიკიჟინებს, რომ „ქართულ ისტორიას ჯერ არა ჰყავს გამოჩენიილი ისტორიკოსიო“. ივანე ჯავახიშვილს ისტორიკოსად არ თვლის. აგდებით მას „ვაჟბატონს“ უწოდებს. მაგალითად, იგი წერს: „ბევრი ჩვენი წარსული ცხოვრების მადიდებელი ვაჟბატონი, რომელსაც ამ ისტორიისა არაფერი გაეგება, უეჭველად დაგვძრახავს და იტყვის — როგორ თუ არ გვყოლია დიდებული პირებიო — დაგვეკითხებიან გაოცებით და გვიპასუხებენ — „განა დიდებული პირები არ არიან ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვანიო? განა ბრწყინვალე ხანათ არ ჩაითვლება თამარ მეფის დროო?“ ამის შემდეგ ამხანაგი ფილიპე კითხვას უსვამს „ვაჟბატონ“ ისტორიკოსს: განა პიროვნება, გამოჩენილი რომ იყოს, „ამისათვის საკმარისია მხოლოდ სისხლისღვრა, შეუწყვეტელი ომები და ადამიანთა ჟლეტაო?“

ხედავთ, სადამდე მიდის მისი თავხედობა?! თურმე, „სისხლისღვრა, შეუწყვეტელი ომები და ადამიანთა ჟლეტა“, რასაც მტრები გვახვევდნენ თავს და მათი გამოისობით ხდებოდა, ჩვენი მეფეების ბრალი ყოფილა და არა სხვისი. თანაც, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, რითაც ყოველი ქვეყანა ამაყობს — არაფერიც არ ყოფილა!

ჰო, მაგრამ, რატომ, ამ თვალსაზრისით, ამხანაგი ფილიპე რუსეთის ისტორიასაც არ აკრიტიკებს? რუსებს ხომ ცამდე აჰყავთ ქებით ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი თავიანთი მთავრები, მეფეები და ფეოდალი სარდლები — ალექსანდრე ნეველი, დიმიტრი დონელი, მინინი, პოჟარსკი, პეტრე პირველი და კუტუზოვი?! რაო, მათ ნაკლები სისხლი ღვარეს სამშობლოს დასაცავად? განა თვით კომუნისტები — ლენინი, სტალინი ქებით არ იხსენებდნენ რუსეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ ამ პირებს? არა, ჩვენ გვედავებიან მხოლოდ, ფილიპესნაირი, სამშობლო ისტორიის უარმყოფელი პირები.

ამხანაგი ფილიპე 60-იანი წლების ჩვენს დიდებულ პრესასაც უარყოფდა, რამეთუ იგი ემსახურებოდა არა წოდებათა წასისიანებას, კომუნისტების მსგავსად, არამედ საერთო ძალისხმევით ჯერ რუსიფიკაციისაგან საქართველოს გადარჩენას, ხოლო ამის პარალელურად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. კომუნისტ-კოსმოპოლიტ ფილიპეს კი ეს პრობლემა სულაც არ აწუხებდა, რადგან მარქსის მოძღვრების თანახმად, „პროლეტარებს სამშობლო არა აქვთ, ისინი სადაც კუჭს გაიძღობენ, სამშობლოც იქ ექნებათო“.

ერთი სიტყვით, კომუნისტებისათვის მთავარ იყო „კუჭი და ტუალეტი“ — სამშობლო და ერი მათთვის უარყოფითი მოვლენა იყო და ამიტომაც ესწრაფვოდნენ ყოველი ერის (უპირველესად ქართველი ერის) ეროვნულ თავისებურებათა წაშლას და კაცობრიობის გაერთნაირებას ერთიანი ენით, ერთნაირი მისწრაფებებით, ერთნაირი გემოვნებით და ერთნაირი ზნე-ხასიათით. ჰოდა, ასეთი მახინჯი აზროვნების ფილიპესნაირ ადამიანებს, აბა, რაში ეპიტნავებოდათ ილია და მისი ეროვნულ-პატრიოტული მოძღვრება, გაზეთ „ივერიის“ მეშვეობით რომ უქადაგებდა ქართველ ხალხს. ამხანაგი ფილიპე „ივერიის“ ფურცლებზე გამოხატულ ამ პატრიოტულ იდეებს „გამათახსირებელს“ უწოდებდა.

აი, რას წერდა იგი კონკრეტულად ქართული ეროვნული პრესის მისამართით, კერძოდ კი, ილიასეული გაზეთის — „ივერიის“ შესახებ — იმ „ივერიისა“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული მეობის შენარჩუნება და უდიდესი როლიც შეასრულა ამ მიმართულებით: „1877 წლიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით იწყებს გამოსვლას „ივერია“ ჯერ ჟურნალის და შემდეგ გაზეთის სახით. მის მთავარ მიზანს შეადგენდა თავადაზნაურობის, როგორც მიწათმფლობელთა კლასის, ინტერესების დაცვა, და ამ მიზანს ის ემსახურებოდა განუწყვეტლივ და სისტემატურად“.

...„სავალალო მხოლოდ ის იყო, რომ „ივერიამ“ შეძლო ამავე გზაზე (თავა-აზნაურული იდეოლოგიის დაცვა — პატრიარქალურ-ფეოდალური წყობილების დაცვა) დაეყენებინა ახალგაზრდობის ერთი, უფრო

რადიკალურად განწყობილი ჯგუფი, რომელიც ერთ დროს რევოლუციონურად და სოციალისტურადაც იყო განწყობილი რუსეთის ნაროდნიკების ზეგავლენით (ალ. ნანეიშვილი, გ. ლასხიშვილი, სტ. ჭრელაშვილი და სხვა). ახალგაზრდობის ეს ჯგუფი მოექცა „ივერიის“ გამათახსირებელი გავლენის ქვეშ“.

ეს იყო უსირცხვილო ბრალდება, რამეთუ არც ილია ჭავჭავაძე, და მითუმეტეს, აქ ნახსენები სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი სულაც არ ყოფილან „პატრიარქალურ-ფეოდალური“ წყობილების დამცველები. ერთიც და მეორეც იბრძოდნენ თავისუფალი, დამოუკიდებელი და განახლებული საქართველოსათვის.

რადგან გიორგი ლასხიშვილზე ჩამოვარდა საუბარი, მეტად საყურადღებოა ის ცნობები, რომლებსაც ლასხიშვილი გადმოგვცემს ილიას აზრს რუსეთის მოახლოებულ რევოლუციაზე თავის შესანიშნავ მემუარებში. იგი წერს:

„მახსოვს, ...ილიას შევეკითხე საერთოდ რუსეთის რევოლუციაზე. ილია იმ აზრის იყო, რომ რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალა — აგრარული საკითხია. ქვეყნის უმრავლესობა გლეხობა არის, სთქვა ილიამ, ამაზეა დაყრდნობილი სახელმწიფოს კეთილდღეობა, და სწორედ ეს წოდებაა ცუდ ყოფაში ჩაყენებული. რუსეთში დიდია გლეხთა მიწათმფლობელობის კრიზისი და აი, ამ მხარეს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. რუსეთი თავისებური ისტორიისა და კულტურის მქონეა. არ ვფიქრობ, რომ ის წავიდეს დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი გზით. მისი განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიძლება საშინელ სტიქიურ „ბუნტად“ გადაიქცეს და გლეხთა ამოძრავებულმა ძალამ ქვა-ქვაზედაც არ დასტოვოს. ამ ცეცხლს მორიდება უნდა. პარტიებმაც, მთავრობამაც ანგარიში უნდა გაუწიონ ამას და რევოლუციის გაღრმავების მაგიერ დაუყოვნებლივ შეუდგნენ აგრარულ პრობლემის მშვიდობიანის გზით მოწესრიგებასო.

საზოგადოდ, ილია, პესიმისტურად იყო განწყობილი და არაფერ კარგს არ მოელოდა რუსეთის რევოლუციისაგან.

ხედავთ? — ნაცვლად ქარაფშუტა მარქსისტებისა, რომლებიც რუსეთის რევოლუციისგან ზეციური სამოთხის დამყარებას მოელოდნენ ქვეყნად და ამითვე იმხრობდნენ ხალხს, რა საღად უყურებდა ილია ამ რევოლუციისგან მოსალოდნელ შედეგს? ხედავთ? — როგორის სიზუსტით აღსრულდა ილიას წინასწარხედვა, როცა რუსეთის რევოლუციას მართლაც მოჰყვა ჯოჯოხეთური ცეცხლი, რომელმაც მთლად წალეკა ქვეყნიერება, ადამიანთა ის ელემენტარული უფლებებიც კი, რომელიც მეფის ხელისუფლების დროს ჰქონდა და მილიონიან მასებს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას ზღვა სისხლი აღვრევინა?!

ჟურნალი „მოგზაური“ ილიას მთავარ ბრალდებად მემამულეობას უყენებდა. ილია მემამულეო, ილია ფეოდალიო და ა. შ., როცა სინამდვილეში საგურამოს მამული ცოლის მზითევი იყო და რომლის შემოსავალსაც, ფაქტობრივად, ეროვნულ საქმეს ახმარდა.

დიახ, ილია, როგორც არაოფიციალური მეთაური ქვეყნისა, ამ მამულიდან მიღებული შემოსავალით უმასპინძლდებოდა ქართველი ერის კეთილმოსურნე სტუმრებს — არტურ ლეისტს, მარჯორი უორდროპს და მრავალ მიმსვლელ-მომსვლელს. გარდა ამისა, შენ ქართველი კაცის ავი ბუნება მითხარი — მეტოქისადმი ქიშპი და ცილისწამება, თორემ, ილიას მამული ხომ ერთ პატარა, ბაღჩადაც კი არ გამოჩნდებოდა ლევ ტოლსტოის მამულთან შედარებით, სადაც ნახევარი საქართველო ჩაეტეოდა! მერედა, გაგიგონიათ რომელიმე რუსისაგან, გინდ მათი მარქსისტებისაგან აუგი ტოლსტოიზე, „მემამულეობის“ ბრალდებით? არა, რა თქმა უნდა! მარტო ქართველი მარქსისტები იყვნენ ასეთი ბედოვლათები!

ერთი სიტყვით, მარქსისტებმა, ფილიპე მახარაძის თაოსნობით, ყველანაირი ბინძური პროპაგანდა გააჩაღეს იმისათვის, რომ ილიას მკვლელობა გაემართლებინათ საზოგადოების თვალში. ილია რომ უნდა მოეკლათ, ეს წინასწარვე იცოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა.

აი, ამისი ორი თვალსაჩინო ფაქტი: ზაქარია ჭიჭინაძეს, როგორც გამოჩენილ მწიგნობარსა და ჩვენი წარსული ისტორიის მკვლევარს, მთელი წიგნიერი საქართველო იცნობდა და პატივს სცემდა მაშინაც და ახლაც. 1907 წელს ბატონი ზაქარია პურის საჭმელად წასულა საბაშვილის კუთვნილ ღვინის სარდაფში. საბაშვილს ღვინო, ყველი და პური მიურთმევია მისთვის. ზაქარიას მაგიდის სიახლოვეს სოციალ-დემოკრატი ახალგაზრდები მსხდარან. იშტაზე მოსულ ზაქარიას ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელო დაულევია და მათთვისაც შეუთავაზებია. მათ კი, აი, რა უპასუხიათ: შავრაზმელ ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს ჩვენ როგორ შევსვამთ. ამ დღეებში მის მოკვლას ვაპირებთ და, თუ ძალიან გინდა, შესანდობარს დაგილევთო. თანაც, ამ სიტყვებს მოაყოლეს თურმე ილიას ყოვლად უწმაწური სიტყვებით გინება.

ზაქარიას ეს ვეღარ მოუთმენია და უთქვამს მათთვის: თქვენ ყველანი ძაღლის თესლიდამა ხართ გამოსულნი. თქვენ სოციალ-დემოკრატები კი არა, ნამდვილი უზრდელი კინტოები ხართო. აბათუ ეგრეაო და წაავლეს ხელი თურმე ზაქარიას, წაიგდეს ფეხქვეშ და წიხლები დაუშინეს. მერე უკიდურესად ნაცემი, ცოცხალ-მკვდარი ზაქარია სარდაფიდან გაათრიეს და ქუჩაში დააგდეს. აი, სადამდეა მისული ილიასადმი ბრიყვი მასის დამოკიდებულება.

ერთი სიტყვით, ილია გაიწირა. მისმა პატიოსანმა, ლოგიკურმა კრიტიკამ ოპონენტების მიმართ შედეგი ვერ გამოიღო, რამდენადაც მის წინ იყვნენ უსირცხვილო კინტოები, რომლებიც „ჩვენი შენ გითხარიო“, ამ ანდაზის მიხედვით, თვით ილიას ნათლავდნენ ამ სიტყვებით. უბედურება ის იყო, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში, როცა ერთ ილიას მარქსისტების მიერ მოწამლული მასის ვეებერთელა ხროვა დაუპირისპირდა, მას ქომაგი არავინ გამოუჩნდა, რამეთუ ილიას თაყვანისმცემლები თავადაც ტერორის ქვეშ აღმოჩნდნენ მარქსისტულ-ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან.

აი, რას წერს ბატონი ვ. გურგენიძე თავის მონოგრაფიაში — „ჯვარს

ვაცვით ილია“, ფართო მასის იმ განწყობილების შესახებ, რომელიც შეიქმნა ილიას მიმართ მთელს საქართველოში მახარაძელთა ბილწი ცილისმწამებლობის შედეგად: „ილიასადმი საძულველი პროპაგანდის წყალობით ისე გადარიეს ხალხი, რომ ყველგან ანადგურებდნენ და სპობდნენ ილიას ნაწერებს. როგორც სილოვან ხუნდაძე წერდა 1907 წელს ქუთაისში დაბეჭდილ ბროშურაში „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“, „უპატიოსნო და სინდისზე ხელაღებულნი იქამდისაც მივიდნენ, რომ მის თხზულებებს საჯაროდ სწვავდნენ, მის სურათებს გლეჯდნენ, სთხრეშდნენ ყოველგან, სადაც კი თავიანთი ბინძური ხელი მიუწვდებოდათ...“

და, მაინც, ილიას მოკვლის თანხმობა ვერ მიიღეს მახარაძელებმა, ვერც დუშეთის და, ვერც მცხეთის ორგანიზაციებში. ამიტომ მ„ესამე დასელმა“ მარქსისტებმა ილია ჭავჭავაძის მოკვლის გადაწყვეტილება მიიღეს გურიაში — ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვის ორგანიზაციაში. ამ კრებას „მესამე დასის“ ყველა გამოჩენილი მარქსისტი ესწრებოდა და ყველამ საკუთარი ხელმოწერით დაადასტურა თანხმობა ილიას მოკვლაზე.

სოციალ-დემოკრატიული (იგივე „მესამე დასის“ უმცირესობის) პარტიის დავალებით მკვლელობა შეასრულეს: თედო ლაბაურმა, გიორგი ხიზანიშვილმა, ივანე ინაშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და ვიღაც იმერელმა, რომლის ფსევდონიმის უკან დღემდე იმალებოდა სერგო ორჯონიკიძე. ამათგან, მეფის სასამართლომ თედო ლაბაური, გიორგი ხიზანიშვილი და ივანე ინაშვილი — ჩამოახრჩო, პავლე ფშავლიშვილი კი სხვა ყაჩაღებთან ერთად მოკლეს 1908 წელს. გადარჩნენ მხოლოდ — გიგლა ბერბიჭაშვილი და სერგო ორჯონიკიძე — მათ სპარსეთში გაქცევით უშველეს თავს. თავდამსხმელებმა გაძარცვეს ილია და მისი გონდაკარგული მეუღლე იმ აზრის შესაქმნელად, ვითომდა მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე კი არ არის ჩადენილი, არამედ მძარცველობის საფუძველზეო.

მეფის მთავრობის გამოძიებამ საკმაოდ სწრაფად და ოპერატიულად დაადგინა მკვლელობის თაოსანი ორგანიზაციაც, შემსრულებლებიც და მკვლელობის გამომწვევი მიზეზებიც. 1907 წელს თბილისის გუბერნატორი პეტერბურგში იუსტიციის მინისტრს ატყობინებდა: „30 აგვისტოს, დაახლოებით ნაშუადღევის პირველ საათზე, საგურამოდან 4-ვერსის დაშორებით, დუშეთის მაზრაში, სამხედრო ფორაში გადაცმულმა ბოროტგანმზრახველებმა ტყვიით მოკლეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოსამსახურე. დაჭრილია კნეინა, რომელიც კონდახებით სცემეს თავში. ყველანი გაძარცულნი არიან. მიღებულია სასწრაფო ზომები. არის მოსაზრება, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით. გაძარცვა სიმულაციის მიზნით არის მომხდარი“.

თვით სოციალ-დემოკრატები, ვინც მართლაც ამ საუკუნო დანაშაულს უთავა, თავს ასე იმართლებდნენ თავიანთ გაზეთში — „ჩვენი გზა“, 1907 წლის 9 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილში: „ვთქვათ, სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა,

მერე ამისათვის განა შეიძლება დაგმოთ თვით ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივაო?“

ჯერ ერთი, რა „ბედნიერებაც“ მოუტანეს ხალხს მარქსისტებმა თავიანთი რევოლუციით, ეს ჰკითხონ მათ მიერ მილიონობით დახვრეტილთა და ციმბრში დასამარებულთა სულებს.

მეორეც, სწორედ ამ ბნელი საქმეების ჩადენისათვის თვით იქცნენ ისინი ნაფოტებად, რამეთუ ილიას მკვლელობის თაოსნები, დღეს, ყველანი ერთად, ისტორიის სანაგვეზე არიან მოსროლილები, ხოლო ილიას სახელი, როგორც დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა, მარად უკვდავი იქნება არა მარტო საქართველოს ისტორიაში, მის აწმყოსა და მომავალში, არამედ მთელი კაცობრიობის თვალშიც. მაგრამ იმ ფაქტს როგორ ამოშლი ისტორიიდან, როცა ეს დიდებული კაცი თვით ქართველთაგან გაიწირა?!

აი, რას წერს ამის შესახებ ბატონი ვ. გურგენიძე თავის მონოგრაფიაში — „ჯვარს ვაცვით ილია“: „ილია მოკლეს არც სომხებმა (იყო ცდა გადაგვებრალებინა „ქვათა ღაღადის“ გამო მათთვის) და არც „სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა რუსებმა — მეფის ჟანდარმერიის წარმომადგენლებმა“. ილია მოვკალით ჩვენ და ამ მკვლელობაში ბრალი მიუძღვის მთელ ქართველ ხალხს, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ყველა წევრს!“ (გვ. 8).

უნდა ითქვას, რომ თვით აკაკი წერეთელიც ამ აზრის იყო. ილიას მკვლელობაში იგი ბრალს სდებდა არა მხოლოდ ქართველ მარქსისტთა მცირე ჯგუფს, არამედ ამ დემაგოგთა ამყოლ მთელ ქართველ მასასაც. აი, თუნდაც ერთი შესანიშნავი ეპიზოდი აკაკის ბოლოდროინდელი ცხოვრებიდან, რომელიც მოთხრობილია პოეტ კოლაუ ნადირაძის მიერ, 1991 წლის 14 ოქტომბრის გაზეთ „თბილისში“ შალვა მარკოზაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ წერილში — „არ ცდებოდა აკაკი“:

როგორც ცნობილია, აკაკი ვერ დაესწრო მთაწმინდაზე ილიას დაკრძალვას ავადმყოფობის გამო. იგი ილიას ცხედარს გამოეთხოვა სასტუმრო „კავკაზის“ აივნიდან ხელიხელთ გამოყვანილი, მეტად ღირსსახსოვარი, ისტორიული სიტყვით. სასტუმროში შებრუნებულს, უკიდურესად გამწარებულს უთქვამს: „ამას რას მოვესწარი — კაცი, რომელმაც სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა თავისი სიცოცხლე, სიკვდილის ღირსი იყო? მერე ვინ მოკლა იგი? ქართველებმა! ნუთუ , ისე უნდა დაეცეს ერი, რომ მადლობის ნაცვლად გული გაუგმიროს თავის მოამაგეს? ვაი, რა დრო დადგა, ვაი, ჩვენს ცხოვრებას!..“

შემდეგში, როცა აკაკი ცოტა მომჯობინებულა, უთხოვია — მთაწმინდაზე ამიყვანეთ, ილიას საფლავზეო. ეტლი შეუთავაზებიათ, მაგრამ უარი უთქვამს — ფეხით მინდა ავიდეო. ხელჩაკიდებული, სვენებ-სვენებით აუყვანიათ იგი კოლაუ ნადირაძესა და სერგო კლდიაშვილს. ილიას საფლავთან მისულს დაუჩოქია და აცრემლებულა. ასე ყოფილა ერთხანს. მერე თანმხლები პირების დახმარებით ფეხზე წამომდგარა, ცრემლი მოუწმენდია, ხელი დედაქალაქისაკენ გაუშვერია და უთქვამს: — მიმიფურთხებია შენთვის საქართველო!“ (ცხადია, ილიას მოკვლისათვის).

დიახ, ილია ჭავჭავაძე თვით ქართველი ერის უარმყოფელი ქართველი მარქსისტების მოკლულია, რასაც თანაუგრძნობდა ბრიყვი მასაც. მოკლეს ის კაცი, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს ცხოვრების ყველა სფეროში — უპირველესად კი გარუსებისაგან მის გადარჩენაში, და ვისი ეროვნული მოძღვრებაც ყოველთვის იქნება მისი არსებობის უმთავრესი წყარო! მაშ, რატომ მოვექეცით ასე ილიას? იმიტომ, რომ ასეთი ყოფილა თურმე ქართველი კაცის ბუნება ოდითგან — დიდ პიროვნებას ვერ ვიტანთ, უმალ მისი დაღუპვა გვენატრება. მაშ, კვლავ გავიხსენოთ ვაჟას სიტყვები და ილიას თემაც ამით დავამთავროთ:

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?“

მესამე ნაწილის დასასრული

თბილისი, 1999 წელი

ოჩოპინტრე მენშევიკები ხელისუფლების სათავეში

ნაწილი IV

მაშ ასე, ფაქტია, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ილია დაიღუპა თვით ქართველი მარქსისტების თაოსნობით. ოღონდ, როგორც უკვე დასაბუთდა ჩვენს მიერ, ილია გაიწირა არა მხოლოდ ერთი მუჭა მარქსისტების მიერ, არამედ ამ დემაგოგებს აყოლილი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერაც. ამიტომ არ ცდებოდა აკაკი, რომელმაც მთაწმინდიდან მთელ საქართველოს მიაფურთხა.

1907 წელი დიდი უბედურების მაუწყებელი ის ნიშანსვეტია, საიდანაც დაიწყო საქართველოს კვლა, რაც ასეთის წინასწარმეტყველებით დაასკვნა ვაჟა-ფშაველამ ილიას საფლავზე წარმოთქმული სიტყვით. საქართველოს მკვლელობაში ბრალი იქიდან დღემდე მიუძღვით ქართველ მარქსისტებს: ჯერ მენშევიკებს — დაწყებული ილიას ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით და მერეც — მმართველობის კოსმოპოლიტური კურსით, როცა სრულიად შემთხვევით ისინი სათავეში მოექცნენ ჩვენს ქვეყანას — ხოლო შემდეგ, კიდევ უფრო უარეს — ბოლშევიკებს, აშკარად გამოხატული ანტიქართული პოლიტიკით, რაც დღესაც გრძელდება მასონებად გარდაქმნილი ქართველი კომუნისტების მიერ.

დიახ, ილიას მიერ ნაქადაგევი — ენა, მამული, სარწმუნოება, — არც მენშევიკებს სწამდათ და, მითუმეტეს — არც ბოლშევიკებს. ამასთან, ერთნიც და მეორენიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის იმპერიიდან საქართველოს ჩამოცილებას და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენას.

უნდა ითქვას, რომ ილიამ თერგდალეულთა ეროვნული დასით, მართალია, დიდი მუშაობა გასწია გარუსებისაგან ერის გადასარჩენად, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს საზოგადოებაში რუსიციზმის ბოლომდე აღმოფხვრა, რადგან, ბოლოხანს ეროვნული მოძრაობის პარალელურად, გაჩნდა იგივე პრორუსული, მარქსისტულ-კოსმოპოლიტური მოძღვრება, რამაც თავისი დემაგოგიური (მოჩვენებითი ბედნიერების მაუწყებელი) ლოზუნგებით მთლად გადარია გულუბრყვილო ადამიანთა მასა და იგი ილიას ეროვნულ-პატრიოტულ იდეასთან დააპირისპირა. არც თავად-აზნაურობის გარკვეული ნაწილი იყო განთავისუფლებული რუსოფილური სულისკვეთებისაგან. უარესიც, ზოგი გადაგვარებული თავადი თავის უპირველეს სამშობლოდ რუსეთის იმპერიას მიიჩნევდა და აზრადაც არ მოსდიოდა რუსეთის კოლონიური იმპერიიდან საქართველოს ჩამოცილება. პირიქით, თუკი საჭირო შეიქნებოდა, არც იმაზე იტყოდნენ უარს, რომ თავიანთი პატარა სამშობლო — საქართველო, უფრო „დიდი სამშობლოსათვის“ (რუსეთისათვის) შეეწირათ. აი, თუნდაც ერთი დეგრადირებული ქართველი თავადის მაგალითი, რომელზედაც გადმოგვცემს თავის მემუარებში რევაზ გაბაშვილი.

„ყველას ახსოვს ალბათ 1915 წლის „პანიკა თბილისში“ და მთელ კავკასიაში, როცა ოსმალები შემოიჭრნენ სარიყამიშში და რუსის ჯარის უფროსი მიშლაევსკი გამოიქცა ფრონტიდან. თბილისის ევაკუაცია იყო დაწყებული, სასახლიდან, „ხრამ სლავიდან“, ბანკებიდან უკვე გაჰქონდათ ყველაფერი რუსეთში, ჯარიც გაქცევაზე იყო, რომ... ამ უტიფარმა „სარდალმა“ წინადადება მისცა საქართველოს თავად-აზნაურობას და ხალხს: „რუსის ჯარი სტოვებს კავკასიას, ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს ხიდები, სახლები, გადაწვას ბაღ-ვენახები და ყანები და დაიხიოს რუსის ჯართან ერთად, რომ შემოსულ მტერს დახვდეს მხოლოდ უდაბნო, საცა ვერც სანოვაგე, ვერც ბალახი, ვერც ცხენი და ურემ-საქონელი და არც ადამიანი დარჩება — გამოსაყენებლად“-ო.

და, როგორ გგონიათ, საჩქაროდ შეკრებილ „საკრებულოში“ ეს საკითხი დაისვა გასარჩევად. მიშლაევსკი, ამასთან, გვპირდებოდა: „თბილისსა და სხვა ქალაქებს ისე ავაფეთქებთ ჩვენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზედაც არ დარჩეს... ოსმალების თავშესაფარავად“-ო!

კოტე აფხაზმა, ხმაჩახლეჩილი ხმით ეს რომ წაგვიკითხა, „კრებულს“ ჩოჩქოლი შეუდგა და პირველი სიტყვა მოითხოვა ბრწყინვალე თავადიშვილმა, განათლებულმა, მიუნხენის სამხატვრო სკოლა-დამთავრებულმა — დავით გურამიშვილმა და რუსულად, რასაკვირველია, წარმოთქვა ორატორული ნიჭის მხრივ, შეუდარებელი „რეჩი“, მაგრამ სხვანაირად დავატრიალეთ საქმე.

„ბატონებო, — ამბობდა გურამიშვილი — რუსის ჯარი, რომელიც იცავდა საქართველოს 115-წლის განმავლობაში თათართა ურდოებისაგან, სტოვებს კავკასიას. აი ახლა, დღესა თუ ხვალ, მთავარსარდალი ააფეთქებს მხცოვან თბილისს; ჩვენი მოქალაქეობრივი წმინდა ვალია ზედმიწევნით შევასრულოთ მისი ბრძანება, დავანგრიოთ, გადავწვათ ყველაფერი, რომ ვერაგ მტერს არ დარჩეს არაფერი... უნდა ხელში ავიღოთ ყველამ მაჟარა, თუ სხვა იარაღი არ გვექნება და გავყვეთ რუსის ჯარს... გავწყდეთ ყველანი და... თუ ერთი ქართველიც არ დარჩა, ისტორიაში მაინც დარჩება სახელი, რომ რუსის იმპარეტორსა და ხალხს ისეთი ერთგული ხალხი ჰყავდა, როგორიც არის რაინდი ქართველი ერი, რომელმაც არაფერი დაზოგა და თავიც დასდო, — პატარა სამშობლო, დიდი მამულის სამსხვერპლოზედ მისატანად“-ო. კიდევ კარგი, მიშლაევსკი რუსის მთავრობამ გადააყენა, ხოლო გურამიშვილი და ზოგი მისი მხარდამჭერები დარბაზიდან გააძევეს, თორემ კაცმა არ იცის, ეს ქარიხვეტიები რას დააწევდნენ ჩვენს ქვეყანას და ხალხს — მითუმეტეს თბილისს.

საქართველოში კერძოდ, და ასევე მთელს ამიერ-კავკასიაში მენშევიკებს გაცილებით უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხში, ვიდრე ბოლშევიკებს. ამიტომ, როგორც კი რუსეთში თებერვლის რევოლუციის შედეგად მეფის ხელისუფლება დაემხო და იქ ბოლოს მენშევიკური ხელისუფლება დამყარდა კერენსკის მეთაურობით, მასთან შეთანხმებით, კვლავ რუსეთის ორიენტაციის მქონე „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ („ოზაკომი“) შეიქმნა ამ მხარის სამართავად, რომელსაც მცირე ხანს

სათავეში ედგა ჯერ სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, ხოლო შემდეგ მენშევიკი აკაკი ჩხენკელი.

ოსმალეთის ჯარის შემოჭრასთან დაკავშირებით საქართველოს, ისევე როგორც კავკასიის, ინტერესების დასაცავად ტრაპიზონში გაიგზავნა საზავო დელეგაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი ჩხენკელი, მაგრამ მისი ვოიაჟი ტრაპიზონში უშედეგოდ დამთავრდა.

„ოზაკომი“ (ჩხენკელის მეთაურობით) ერთგულად ასრულებდა რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ადგილობრივი ორგანოს მოვალეობას... „ოზაკომი“ ამიერკავკასიის ხალხებს მოუწოდებდა, მორჩილებით დაეცადათ დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც რევოლუციის ძირითად საკითხებს გადაწყვეტდა.

მაგრამ „ოზაკომი“ იძულებული გახდა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგზარქატის გაუქმებას და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის აღდგენას (1917 წ. მარტი)“ (იხ. საქართველოს ისტორია (1801-1918), ფრ. ლომაშვილი, გვ. 216).

ასე რომ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ისევე როგორც შემდეგში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, მოხდა არა მენშევიკ-მარქსისტთა „პატრიოტული ნებით“, არამედ იძულებით ნიადაგზე, რამდენადაც მარქსისტ-კოსმოპოლიტებს, არც ერი ეპიტნავებოდათ და, არც ეკლესია. გარდა ამისა, ისინი რუსეთთან საქართველოს განუყოფლობას ქადაგებდნენ და რატომ მოისურვებდნენ რუსეთისაგან საქართველოს ეკლესიურად ჩამოცილებას?

1917 წ. 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. 16 მარტს თბილისში შედგა სასულიერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონი — უმწიკვლო სასულიერო მოღვაწე და ერის დიდი პატრიოტი.

ყოვლად უსუსურმა „ოზაკომმა“ მცირე ხანს იარსება. 1917 წლის 15 ნოემბერს იგი შეცვალა იმგვარადვე უსუსურმა ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მენშევიკი — ევგენი გეგეჭკორი. ვისაც სურს წარმოდგენა იქონიოს, თუ რა პოლიტიკური გაქანებისა და როგორი ეროვნული სულის კაცი იყო ბატონი ევგენი, მან ჯერ წაიკითხოს აკაკი წერეთლის გასარჟებული ლექსი „ვაშა დეპუტატს!“, ხოლო შემდეგ გაეცნოს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციისადმი გაგზავნილ მის კრეტინულ დეპეშას, რომელიც მან აახლა იმის პასუხად, რომ „ჩამოდით და მიიღეთ მონაწილეობა კონფერენციაში თქვენი მხარის ინტერესების დასაცველადო“. ბატონმა გეგეჭკორმა კი მის იქ მიმწვევებს ასე უპასუხა: „რადგან კავკასია (და საქართველოც) შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეადგენსო“ (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები სათანადო დოკუმენტაციის დართვით, გვ. 160).

ჰოდა, რადგან კავკასიისა და საქართველოს ინტერესების დამცველად

ბრესტ-ლიტოვსკში არავინ აღმოჩნდა კავკასიიდან, ხოლო რუსეთის სახით იქ წარმოდგენილი იყო ბოლშევიკური მთავრობა — ამასთან, რაკი გეგეჭკორიც რუსეთს ანდობდა კავკასიისა და საქართველოს ბედს, საბჭოთა რუსეთის დელეგაციასაც რა ენაღვლებოდა და ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები იქვე მყოფ ოსმალებს გადასცეს, რის სამაგიეროდაც თავიანთვის ამ ქვეყნის მხარდაჭერა მოიპოვეს. მაშინ კი ატეხეს ჩოჩქოლი და მთავრობის სახელით ჩხეიძემ და გეგეჭკორმა პროტესტი განაცხადეს საქვეყნოდ, რომ არ სცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას, მაგრამ რაღა დროს!

რა იყო გეგეჭკორის ასეთი ტრაგიკომიკური მოქმედების მიზეზი? იგი რუსების კომპეტენციაში გულისხმობდა რუსულ მენშევიკურ ხელისუფლებას, ვისთანაც ძმურად იყვნენ ჩახუტებულები და არავითარ შემთხვევაში არ ფიქრობდნენ იმ რუსეთის ქვეშევრდომობიდან საქართველოს გამოყვანას.

სამწუხაროდ, მათ არ გაეგებოდათ, რომ რუსეთი — მენშევიკური თუ ბოლშევიკური, — რუსეთი — წითელი, ყვითელი თუ ალისფერი, — რუსეთი — მონარქისტული, დიქტატორული თუ დემოკრატიული, ყველთვის იყო და იქნება საქართველოს შთანთქმის მსურველი და არა თანასწორუფლებიანი მეზობელი და პარტნიორი. ჰოდა, იმის გამო, რომ ბრესტის ზავის საკითხი მენშევიკური რუსეთის მთავრობამ კი არა, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ამიტომ განაცხადეს პროტესტი, თორემ, რაც ლენინის რუსეთმა გააკეთა, ეს რომ კერენსკის რუსეთს გაეკეთებინა, ალბათ დიდსულოვნად შეუნდობდნენ, რადგან ერი და სამშობლო მიწა-წყალი არც მენშევიკ-ქართველებს ანაღვლებდათ და, მითუმეტეს, არც ბოლშევიკ-ქართველებს. ერთნიც და მეორენიც ეროვნული სულისაგან დაცლილი, რუსთმოყვარე „ინტერნაციონალისტები“ იყვნენ. შემთხვევით კი არ შეადარა კახელმა გლეხმა მენშევიკები და ბოლშევიკები ურმის თვალგადავლილ ნეხვს — ერთ მხარეზე რომ ცოტა მეტია და მეორეზე ნაკლები. აი, თუნდაც ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი მენშევიკთა და მათივე თანამოაზრე სხვა სოციალისტური პარტიელის ქმედებიდან, რომელსაც გადმოგვცემს რევაზ გაბაშვილი:

„1912 წელს მოხდა საშინელი ჩვენი (ე. ი. საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივობის) მორალური მარცხი... უდიდესი მასშტაბით: კიევში მომხდარ „რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა კონფერენციაზე“, რომელიც ხდებოდა საიდუმლოდ, — „კოოპერაციის კონფერენციის“ კამუფლაჟით, — საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა: სოციალ-დემოკრატმა ნ. რამიშვილმა და ს. ჯიბლაძემ და სოციალისტ-ფედერალისტმა — ოსიკო ბარათაშვილმა და სამსონ ფირცხალავამ თავიანთი პარტიების სახელით, ბოროტება ჩაიდინეს: მომავალ — ტერიტორიალურ-ეროვნულ განსაზღვრებაში, — საინგილო მორალურად მიაკუთვნეს აზერბაიჯანს, აფხაზეთი — ჩრიდო-კავკასიას და ახალციხე-ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრა ნავთლუხამდის — სომხებს; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპების მიხედვით:

„რეალური მოსახლეობისა“.

ეს თეორიულ-მორალური გაცემა სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთელი პროვინციებისა, — რაც ასე კარგად უდგებოდა საერთოდ რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ... დადასტურებული იყო ჩვენი ზემოაღნიშნული „სოციალისტების“ არა მარტო ხელის მოწერით, არამედ კიევიდან ჩამოტანილ რუკაზედაც აღნიშნული“ (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები). ასე რომ, სტალინმა და ორჯონიკიძემ აქ აღნიშნული ტერიტორიები რომ გასცეს 1921 წელს, ამისათვის საჭირო თეორიული საფუძვლები გაცილებით ადრე მენშევიკებმა შეამზადეს.

ახლა მე მინდა დროებით გადავუხვიო ძირითად თემას და ჩემეული თვალსაზრისი წარმოვუდგინო მკითხველს ქართველ მარქსისტთა სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ამ სენის მიმართ სხვათაგან გამორჩევით. ოჯახის, საკუთრების, ეროვნებისა და ღმერთის უარმყოფელი მარქსიზმი რომ საკაცობრიო ბოროტებაა, ეს მაშინაც კარგად ესმოდა ცივილიზებულ ხალხს, როცა ამ მოძღვრებამ თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა.

მართალია, მარქსის დემაგოგიური მოძღვრებით ბევრი მოიხიბლა, მაგრამ ყოველი ქვეყნის შვილს ისიც კარგად ესმოდა, რომ ჯერ ერი და სამშობლოა უპირველესი ფენომენი და მერე ესა თუ ის იდეოლოგია. მაგალითად, ამ მოძღვრების მიმდევარი პოლონელი, გერმანელი, ფრანგი ასე მსჯელობდა: მე ჯერ პოლონელი ვარ, მე ჯერ გერმანელი ვარ, მე ჯერ ფრანგი ვარ და მერე ვარ მარქსისტიო.

შორს რად მივდივართ — განა სხვა ხალხებზე გაბატონების რუსულ-იმპერიალისტურ პოზიციებზე არ იდგა თვით უპირველესი მარქსისტი ლენინიც, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა რუსეთის იმპერია, ხოლო შემდეგ განა ისევე „ძმობა-მეგობრობისა“ და „ერთიანი ძმური ოჯახის შექმნის“ დემაგოგიური ლოზუნგით არ ფიქრობდა რუსულ ქვაბში არარუსი ერების გადახარშვას? მხოლოდ ქართველი იყო (გინდ მენშევიკ-მარქსისტი და გინდ ბოლშევიკ-მარქსისტი) მსოფლიოს (და იგივე საბჭოთა კავშირის) ხალხთაგან გამონაკლისი, რომელიც ჩაიდებდა თუ არა ჯიბეში გინდ მენშევიკის და გინდ ბოლშევიკის მანდატს, რუსული მოდის ინტერნაციონალისტი და თავისი სამშობლოს უარმყოფელი გარეწარი ხდებოდა! ასე დაგვებადნენ ჯერ ჩხეიძე, წერეთელი, ჟორდანია, გეგეჭკორი, ჩხენკელები — მენშევიკ-მარქსისტთა სახით, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო უარესი — სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე... და ბოლოს — შევარდნაძე — ბოლშევიკ-მარქსისტთა სახით, რომლებსაც კიტრადაც არ უღირდათ და არ უღირთ სამშობლო და მისი მიწა-წყალი.

აი, თუნდაც ერთი საგულისხმო მაგალითი აქ ჩამოთვლილ კოსმოპოლიტთა შორის ნოე ჟორდანიას ეროვნულ ინდიფერენტიზმზე, რასაც გადმოგვცემს ბატონი რევაზ გაბაშვილი: „1917 წელს ნოე ჟორდანიამ იმავე დარბაზში, საცა ბრწყინვალე თავად-აზნაურობის „საუკეთესო“ წარმომადგენელმა დ. გურამიშვილმა წარმოთქვა ზემოაღნიშნული რუსულ-პატრიოტული „რეჩი“, ორმოციოდე პოლიტიკური და საზოგადოებრივი

წარმომადგენლის წინაშე გააკეთა მოხსენება, სადაც მთელი საათის განმავლობაში გვიმტკიცებდა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია — ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერა“ — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსო“ (გვ. 103).

ზემოთ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ მარქსისტულ-კოსმოპოლიტური სენი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, მაგრამ არსად არ მიუღია მას ისეთი მახინჯი ფორმა, როგორიც მიიღო ქართველ მარქსისტთა შორის. ჰოდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ისინი მოექცნენ შემდეგში სრულიად შემთხვევით განთავისუფლებული ჩვენი ქვეყნის სათავეში, სავსებით ცხადი გახდება, თუ როგორ უპატრონებდნენ მას ჩხენკელისთანა, გეგეჭკორისთანა და ჟორდანიასთანა ეროვნული სულისაგან დაცლილი ოჩოპინტრეები.

და მაინც, არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუნდაც ერთი დადებითი მომენტი კავკასიის კომისარიატისა, როცა მას ე. გეგეჭკორი მეთაურობდა. მოგეხსენებათ, ლენინმა სავსებით მოშალა გერმანიასთან და თურქეთთან მებრძოლი ფრონტი, იმ დროის თვალსაზრისით სამშობლოსადმი მოღალატური ლოზუნგით — ძირს ომიო! ამის შედეგად თურქეთთან მებრძოლი კავკასიის ფრონტიც მოიშალა და ეს ამოდენა არმია სამშობლოსაკენ დაიძრა, თანაც, ეს იყო გარევოლუციერებულ-გაბოლშევიკებული არმია. ფრონტიდან წამოსულებს, მათ უნდა გამოევლოთ თბილისი, რაც წალეკვით ემუქრებოდა არსებულ ხელისუფლებასაც და თბილისსაც. დიახ, ეს ასე იყო, რადგან იმ დროს რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტში წარმოიშვა აზრი, რომ არმიის ეს ნაწილები თბილისზე გაეტარებინათ და აქ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გამოეყენებინათ ისინი.

აზერბაიჯანულმა და ქართულმა ეროვნულმა ძალებმა სადგურ შამქორთან ჯარის ამ ნაწილებს თბილისისაკენ მიმავალი გზა გადაუღობეს, ლიანდაგი აყარეს, მიმართულება შეუცვალეს და ეს ჯარი თბილისს აცდინეს. შეტაკების დროს მრავალი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დანაშაულად ჩაეთვალოს ე. გეგჭკორის ხელისუფლებას.

პირიქით, სწორედ ამგვარი სიმტკიცით უნდა ევლოთ ჩვენს იმდროინდელ ხელისუფლებას თავის შემდგომ პოლიტიკაშიც. მაგრამ არა, იმ ქარაფშუტული რწმენით, რომ სოციალისტური რევოლუცია და მის საფუძველზე დამყარებული დემოკრატია დამპყრობელ ქვეყანას სხვათა მიწების დაპყრობაზე ხელს ააღებინებდა და თვით ვეფხვებსა და მგლებს ბატკნებივით მოათვინიერებდა (გაიხსენეთ ფურიეს მოძღვრება, რომლისგანაც დიდათ არ განსხვავდებოდნენ ქართველი მარქსისტები), ქართველი მენშევიკები ვერ ასცდნენ ამ ქარაფშუტულ აზროვნებას, რითაც თავიც დაიღუპეს და საქართველოც დაღუპეს.

აი, თუნდაც ერთი, მათ მიერ გატარებული ღონისძიება ოსმალების შემოსევის ჟამს. როგორც უკვე გავეცანით, გეგეჭკორის უთავობის გამო ბრესტის კონფერენციამ ყარსი, არდაგანი და ბათუმის ოლქი ოსმალეთს გადასცა. ახლა ოსმალები ამ უფლების ძალით წამოვიდნენ გადაცემული მიწა-წყლის დასაკავებლად. ჯარები გადმოსხეს თვით ბათუმის ოლქშიც. ამ ფაქტთან დაკავშირებით გეგეჭკორმა მოიწვია „ეროვნული საბჭო“ იმის გასარკვევად, თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

კრებაზე სიტყვით პირველი გამოვიდა იმ დროს ცნობილი გენერალი ვასო გაბაშვილი. მან კრებას განუცხადა: „მე ვიცნობ ბათუმის ციხეს, როგორც ჩემ ხუთ თითს. მომეცით 3000 ჯარისკაცი და სიტყვას გაძლევთ, ოსმალებს კი არა, ჩიტს არ გადმოვაფრენ აქეთკენო“. აი, რა უპასუხა გეგეჭკორმა გენერლის მხედრულ სიტყვას: „რას ბრძანებთ, ბატონო გენერალო — ჯერ ერთი, სადა გვყავს ჯარი?! მეორეც, ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი; იქ საპროტესტო მიტინგები უნდა გავმართოთ, და როცა ოსმალები დაინახავენ, რომ მთელი ქართველი დემოკრატია წინააღმდეგია მათი, — დღეს დემოკრატიის ხანაა და ოსმალეთის დემოკრატიაც ჩვენი ძმები არიან, — ისინი ვერასოდეს ვერ გაბედავენ ბათუმში შესვლას“. ბატონმა გეგეჭკორმა, როგორც გადმოგვცემენ, ბათუმში მართლაც ჩაიყვანა 40 ათასი კაცი. მიტინგებიც გამართა და პროტესტებიც აუარებელი იყო, მაგრამ ოსმალების 5-ათასიანმა ჯარმა, წარმოიდგინეთ, — „ჩვენმა ძმებმა... — დემოკრატიულ დღევანდელ ხანაში...“ — ბათუმი რამდენიმე დღეში აიღეს, თითქმის უბრძოლველად, 5-ათასი ტყვეც ჩაიგდეს და დანარჩენები კი ცხვრებივით იფრინეს“ (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები, გვ. 176-177). რა ვუწოდოთ ასეთ რეგვენ მთავრობას, თუ არა ოჩოპინტრეები?

ერთი სიტყვით, ოსმალეთმა რუსეთის ხელით მიიღო ამიერკავკასიიდან სამი ვეებერთელა ოლქი. ამასთან დაკავშირებით, თურქეთმა თან ჯარების გადმოსხმა დაიწყო ნაჩუქარი მიწების დასაკავებლად, თანაც ამიერკავკასიის ხელისუფლებასთან საზავო მოლაპარაკებას შეუდგა იმ განზრახვით, რომ „ეს შენაძენი ამიერკავკასიის ბეჭდითაც დაედასტურებინა“ (ზ. ავალიშვილი).

მოლაპარაკება დაიწყო ქ. ტრაპიზონში. თურქეთი ბრესტის ზავით ნაჩუქარი ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების გადაცემას მოითხოვდა ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან. ამიერ-კავკასიის დელეგაციის გეგმა კი ითვალისწინებდა შეთანხმებას 1914 წლის სასაზღვრო ფარგლებში. თურქეთის დელეგაცია ზავზე ხელისმოწერის პირობად ასევე „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა, რამეთუ იმპერიიდან ჩამოცილებული კავკასიის დაპყრობა უფრო ადვილი იქნებოდა.

მაგრამ გეგეჭკორს, არა ამ პოლიტიკური ჭვრეტის, არამედ ვიწრო — მენშევიკურ-პარტიული თვალსაზრისით, სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა რუსეთიდან ამიერკავკასიის ჩამოცილებაზე. იგი რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას უცდიდა და იმედოვნებდა, რომ დამფუძნებელი კრება

აღკვეთავდა ძალადობრივ საბჭოთა ხელისუფლებას, აღადგენდა რუსეთის დემოკრატიას და ამიერკავკასიაც მისი მეშვეობით აიცილებდა თურქეთის აგრესიას.

მაგრამ გეგეჭკორი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა. პირიქით, დამფუძნებელი კრება თვით დაამხეს კომუნისტებმა და გეგეჭკორს ეს იმედები მოეშალა. ამ პირობებში ტრაპიზონის კონფერენცია ჩაიშალა, ხოლო თურქეთმა შეტევა განაახლა.

სხვა რა გზა იყო, კომისარიატი გადადგა და გზა დაუთმო დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიის დეპუტატებისაგან შექმნილ პარლამენტს, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმი ეწოდა. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკაკი ჩხენკელი. რამდენადაც თურქეთი მოლაპარაკების წინაპირობად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას აყენებდა, სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რის საფუძველზედაც თურქეთთან მოლაპარაკება განახლდა, ამჯერად უკვე ბათუმში.

ტრაპიზონის მოლაპარაკების ჩაშლიდან ბათუმის კონფერენციამდე ერთი თვე გავიდა. ამ პერიოდში თურქეთი შეუჩერებლივ ახორციელებდა სამხედრო მოქმედებას სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის მისატაცებლად. თურქებმა ხელთ იგდეს არა მარტო ბრესტის ზავით გათვალისწინებული ოლქები, არამედ სხვა ტერიტორიებიც. მათ ჯერ თავიანთი აგენტების მეშვეობით, სამასი წლის წინათ მესხეთში დამკვიდრებული თურქები ააჯანყეს, რომლებმაც მოითხოვეს ავტონომიის უფლებით მესხეთის შეერთება თურქეთთან, მერე კი უკვე, აშკარა აგრესიის გზით, დაიკავეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, აიღეს ქ. ოზურგეთი, აბასთუმანი და ბორჯომის გზით თბილისისაკენ გამოემართნენ.

საქართველო არნახულ კრიზისში მოექცა სხვა მხრივაც. ცენტრის კარნახით სწორედ ამ დროს გააქტიურდნენ ეროვნულ გრძნობადაკარგული ქართველი ბოლშევიკები. არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მათ მოაწყვეს გამოსვლები საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. ცხინვალელმა ოსებმა იარაღი საბჭოთა რუსეთიდან მიიღეს, ხოლო სოხუმში აფხაზ აჯანყებულთა, რომელთა შორის ქართველი ბოლშევიკებიც იყვნენ, დასახმარებლად სოჭისა და არმავირის წითელგვარდიელთა შეიარაღებული რაზმელებიც კი ჩამოვიდნენ.

ბათუმში წარგზავნილი დელეგაცია იძულებული გახდა ბრესტის საზავო პირობები ეცნო, მაგრამ ნახა რა თურქეთმა უხერხემლო სეიმის სისუსტე, ამით აღარ დაკმაყოფილდა. იგი ახალ-ახალ პრეტენზიებს აყენებდა, რასაც მთელი საქართველოს ოკუპაცია უნდა მოჰყოლოდა.

ასეთ მძიმე ჟამს საქართველოს მოვლა-პატრონობის თაოსნობა ხელში აიღო ეროვნულმა საბჭომ, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა პირველ ეროვნულ ყრილობაზე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების დაახლოებისა და ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის საფუძველზე. მენშევიკებთან ერთად ეროვნულ საბჭოში დიდ როლს

ასრულებდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამხმარისა და მისი დამოუკიდებლობის გარანტად მიიჩნია იმ დროს მძლავრი გერმანია, რომელმაც ვეებერთელა რუსეთი დააჩოქა და ბრესტის დამამცირებელ ზავზეც ხელი მოაწერინა.

ეროვნული საბჭოს სახელით ა. ჩხენკელმა მოლაპარაკება გამართა გერმანიის დელეგაციასთან, რომელიც ბათუმში ჩამოვიდა შუამავლის დანიშნულებით. 19 მაისს ჩხენკელმა ოფიციალურად მიმართა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს ფონ ლოსოვს, ჩარეულიყო ამიერკავკასია-ოსმალეთის დავაში, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. საქართველოს გერმანიასთან ურთიერთობას მყარი საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა.

შესანიშნავი ისტორიკოსი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამ პროცესს ასე გადმოგცვემს თავის წიგნში — საქართველოს დამოუკიდებლობა: „აი, დამოუკიდებლობამ კარებზე მოაკაკუნა, და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გაუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა! ნუთუ ეს ხალხი დაბადებულია მხოლოდ მონობისთვის, მორჩილებისთვის და იგი უნდა გადაიქცეს „ეთნოგრაფიულ მასალათ“, რომლიდანაც პირობების მიხედვით გამოდიან ხან სპარსელები, ხან ოსმალოები, ხან რუსები! არა, მას ახსოვს, მას სურს წამოდგეს და იქმნეს თავის-თავადი...“

რამდენადაც გერმანია დათანხმდა საქართველოს სასარგებლოდ ჩარეულიყო ოსმალეთთან დავაში, ბათუმში მყოფი საქართველოს დელეგაციის მრჩეველი ზ. ავალიშვილი სასწრაფოდ ადგენს თბილისში გასაგზავნი დეპეშის ტექსტს და ა. ჩხენკელის ხელმოწერით უგზავნის გენერალ კვინიტაძეს:

„გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთად ერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დაუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარის დამჭერათ ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლათ საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქმნეს ცნობილი... გამზადებულია ხელმოსაწერათ დროებითი შეთანხმება გერმანიასთან... უცდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას“. თბილისიდან გაიგზავნა საპასუხო დეპეშა: „დამოუკიდებლობა გამოცხადებული იქნება ხვალ, 26 მაისს...“

პარალელურად, ისევ გერმანელთა (გრაფ შულენბურგის) რჩევით ოსმალოთა შესაჩერებლად შეიქმნა ბორჩალოელ გერმანელთაგან ათასკაციანი ბატალიონი ორი გერმანელი ოფიცრით და გაიგზავნა ნატანებისაკენ გერმანული დროშით ხელში. ერთის მხრივ, ეს ბატალიონი, ხოლო მეორეს მხრივ, ვ. გოგვაძის ჯავშნიანი მატარებელი შეიჭრა ოსმალთა

რიგებში, მარჯვნივ და მარცხნივ მიჰყარეს ოსმალები და კარგა დიდი ზარალით გააქციეს. საცა წამოიწიეს ოსმალებმა, — წინ გერმანელი ჯარი დახვდათ... და ჩერდებოდნენ მოკავშირეთა წინაშე — მუხლი ეკეცებოდათ“ — წერს რ. გაბაშვილი. რაც აქ მოხდა, „ნაღდი მაჩვენებელია, თუ რისი მიღწევა შეგვეძლო, საქართველოს სათავეში, უთავო „რუსეთის სოც-დემ. მუშათა პარტიის“ მეთაურობა კი არა გვყოლოდა, არამედ ნამდვილი ეროვნული სულით გაჟღენთილი; ან თუნდ ნოე ჟორდანიას უხერხემლობის მაგიერ ნოე რამიშვილის ნებისყოფას გაემარჯვნა“ (იქვე, გვ. 179).

1918 წლის 26 მაისს თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა — 72 საათის განმავლობაში შეესრულებინათ ახალი საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარების და სამხრეთ კავკასიაში რეფერენდუმის თაობაზე თანხმობის საკითხი. ამასთანავე, ოსმალებმა ეხლა მოისურვეს ნახჭევანის მაზრაც, ე. ი. მთელი რკინიგზა — ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფა. მაგრამ უფრო ადრე, დღის ხუთ საათზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, რომელზე დაყრდნობითაც თურქეთის მთავრობას ასეთი პასუხი გაეგზავნა: „თქვენი ულტიმატუმი ამიერ-კავკასიის მთავრობისადმი მიმართული, შეუძლებელია კუთვნილებისამებრ ჩაბარებული იქნეს, ამიერ-კავკასიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების გამო“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სულაც არ შედიოდა ქართველი მენშევიკების პროგრამაში. როგორც ზემოთ ითქვა, მათთვის ეროვნული საკითხი არ არსებობდა. წუთითაც არ ფიქრობდნენ ისინი რუსეთიდან საქართველოს ჩამოცილებას, თუკი იქ მენშევიკური მთავრობა იბატონებდა. მაგრამ, ჯერ იმის გამო, რომ იქ ბოლშევიკები მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, ხოლო, უფრო კი იმის გამო, რომ ოსმალეთის აგრესიამ საქართველო აშკარა ოკუპაციის საფრთხის წინაშე დააყენა, იძულებულნი გახდნენ მიეღოთ გერმანიის რჩევა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. „ეს აღიბეჭდა კიდეც მენშევიკურ „დამოუკიდებლობის აქტში“, საცა, აღფრთოვანების მაგიერ, ტირილი და ბოდიშებია... რუსეთის წინაშე“ (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები, გვ. 189).

აი, კერძოდ, რას მოგვითხრობს რ. გაბაშვილი თავის მემუარებში ცნობილი მენშევიკის კაკი წერეთლის შესახებ, როცა 25 მაისის ეროვნული საბჭოს კრებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი წყდებოდა: „კაკი წერეთელი გულშეწუხებული ჩავარდა სავარძელში და გაჰკიოდა ისტერიულად: „რას შვრებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიასაო!“ (გვ. 189).

ასე და ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ. 26 მაისი) აქტი მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში, მენშევიკური უმრავლესობის მიერ აღინიშნა ნამდვილ სამგლოვიარო ატმოსფეროში, რუსეთიდან საქართველოს ძალაუნებური ჩამოცილების გამო. გაიხარა მხოლოდ ხალხმა. როცა მთავრობის სახლის აივნიდან ეს აქტი

გამოუცხადეს იქ შეკრებილ მრავალათასიან საზოგადოებას, ისინი ტაშის გრიალითა და სიხარულის ცრემლებით შეხვდნენ ამ ისტორიულ აქტს.

რაც შეეხება ნ. ჟორდანიას სიტყვას, რომელიც ამ აქტთან დაკავშირებით წარმოითქვა, ეს იყო ნაღველგარეული განაცხადი, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი, იმის გამო, რომ დაიშალა ხელოვნურად შეკოწიწებული ამიერკავკასიის კონფედერაციული სახელმწიფო, თუმცა აქვეა გამოთქმული იმედი იმისა, რომ კვლავ აღდგებაო იგი, რომელსაც ცხადია, რუსეთუმე ჟორდანია მოიაზრებდა რუსეთთან განუყოფელ კავშირში, რაც მოხდებოდა იმის აზრით, ბოლშევიკების გადაშენების შემდეგ.

აი, ის სიტყვა, რომლითაც ბატონმა ჟორდანიამ მიმართა დარბაზში შეკრებილ ელიტას: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაღიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა. საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღსდგება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილიდან დაიფაროს თავისთავი, და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში... ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან... ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლება მოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა — ქართველობა. ეს ერნი, შეერთებულნი ერთი დროშის ქვეშ შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშე იმყოფებიან და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაღუპულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი“.

ამავე დღესვე, საქართველოს ეროვნული საბჭო, ფაქტიურად, საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი მენშევიკი — კარლო ჩხეიძე, თანაშემწეებად — სანდრო ლომთათიძე და სოსიკო მდივანი. შედგა მთავრობაც. მთავრობის თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ნოე რამიშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა აკაკი ჩხენკელი, სამხედრო მინისტრი — გრიგოლ გიორგაძე (ფაქტიურად, უჯარო გენერალი), ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — გიორგი ჟურული, განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი, მიწათმოქმედების მინისტრი — ნოე ხომერიკი, იუსტიციის მინისტრი — შალვა მესხიშვილი, გზათა მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე. სამწუხაროდ, ნოე რამიშვილმა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე მცირე ხანს დაჰყო. 1918 წლის 24 ივნისიდან იგი შეცვალა ნოე ჟორდანიამ. სამწუხაროდ ვამბობთ, რადგან

ყოვლად უსუსურ მენშევიკურ მთავრობაში, ვისაც ცოტაოდენი სიმტკიცე მაინც გააჩნდა, ეს იყო ნოე რამიშვილი.

ერთი სიტყვით, აღდგა სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ცივილიზაციის მქონე საქართველო თავის ისტორიულ უფლებებში. მისი არსებობის კანონიერება სცნო მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ. მაგრამ საკითხავი აი რა არის: როგორ მოხდა, რომ იმპერიიდან გამოყოფილმა პოლონეთმა და ფინეთმა ბოლომდე გაუძლეს ან უკვე ბოლშევიკური იმპერიის ზეწოლას, — ასევე ბალტიისპირა ერთიციცქნა ქვეყნებმა 20 წელი მაინც შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა და საქართველომ კი სამი წელიც ძლივს გასძლო?

პირველი, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ლენინმა აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობაში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ვერ ნახა დასაყრდენი ძალა სამშობლოს მოღალატეთა სახით. ჩვენში კი ასეთი ძალები საკმაოდ მოიძებნა რუსოფილ-მენშევიკთა სახით. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, სტალინი და ორჯონიკიძე იქით ეხვეწებოდნენ ლენინს — დაგვრთეთ ნება, რომ რუსი წითელარმიელებით დავიპყროთ ჩვენი ქვეყანაო! ისიც ცნობილია, რომ საქართველოში შემოსეულ რუსის ჯარს ასევე წინ მოუძღოდნენ ქართველი ბოლშევიკები.

მაგრამ სააქრთველოს ასე უცებ დაცემაში უპირველესი როლი შეასრულა თვით მენშევიკურმა ხელისუფლებამ თავისი უსუსურობით, უპირველესად, ანტიეროვნულ პოზიციებზე დგომით, ანარქიამდე დაყვანილი დემოკრატიით, ქვეყნის მართვის წესების სრული იგნორირებით.

დავიწყოთ იმით, რომ ახლად ფეხადგმული ქვეყნის დასაცავად უპირველესი როლი ენიჭება ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს: 1. შინაგან სიმტკიცეს და 2. სამამულო არმიის შექმნას თავდაცვის განსამტკიცებლად. დავსვათ ახლა კითხვა: ბატონ ჟორდანიას ტვინი ამოტენილი რომ არ ჰქონოდა მარქსის კოსმოპოლიტური ხლამით, რომელზე დაყრდნობითაც გვიმტკიცებდა, რომ „თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ნეიტრალური ქალაქიაო“, ვის უნდა დაყრდნობოდა ქვეყნის მართვის საქმეში, დემაგოგ მარქსს, თუ ჩვენი დიდი მამულიშვილების — ფარნავაზის, გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის დიდებულ ორგანიზატორულ გამოცდილებას?

ავიღოთ, უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებლის მაგალითი. საქართველოს ისტორიაში ყველაზე უფრო მძიმე განსაცდელის ჟამს აი, რითი დაიწყო თავისი მოღვაწეობა ამ დიდებულმა მეფემ: მან, პირველ რიგში, აუცილებლად საჭირო სიმკაცრით, აღგავა სამშობლოს ორგული ფეოდალები და ზნეობრივად წარყვნილი უმაღლესი სამღვდელოება, ხოლო მათ ადგილზე, გვარიშვილობის მიუხედავად, დააწინაურა ჭეშმარიტი მამულიშვილები. მაშასადამე, მან, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყანა შინაგანად განამტკიცა.

ახლა ვნახოთ, როგორი იყო ნოე ჩანჩურეთელის მარქსისტული დემოკრატია საქართველოს მოღალატეთა მიმართ. ფილიპე მახარაძის

ძირსგამომთხრელი მოქმედების გამო, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ბრძანებას იძლევა მისი დაპატიმრების შესახებ. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია კი აცნობს და აფრთხილებს გარეწარ ფილიპეს — ნოე რამიშვილმა თქვენი დაპატიმრების ბრძანება გასცა და ჰარიქა, თავს უშველეო! (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები, გვ. 281).

ახლა, რაც შეეხება არმიის შექმნის საკითხს, რომელსაც უნდა დაეცვა ჩვენი ქვეყანა უცხო ძალის აგრესიისაგან. ჟორდანიამ კი ეროვნული ჯარის შექმნის ნაცვლად შექმნა პარტიული გვარდია, რომლის ძირითადი მოვალეობა იყო დაეცვა ხელისუფლება შინაგანი შემოტევებისაგან. ჯარის შეუქმნელობის მიზეზის შესახებ კი, აი, რით იმართლებს თავს ჟორდანია, რასაც თავის მემუარებში, გადმოგვცემს ბატონი რ. გაბაშვილი: „იარაღი არა გვქონდა და ჯარი როგორ უნდა შეგვექმნა, ან რითი შეგვეიარაღებინაო?“ (გვ. 184).

მაგრამ თვით ბატონი რ. გაბაშვილი აი, როგორის არგუმენტებით აბათილებს ჟორდანიას სიცრუეს: „სად დაიმალება ისეთი მაგალითები, როგორც ტრაპიზონისა და საერთოდ დიდი ომის, რუს-ოსმალოს ფრონტიდან ნაძარცვი აურაცხელი ქონება (სამხედრო და სხვაც), რომელიც საქართველოს „ბიუჯეტად“ ეყოფოდა და მე თუ „ძარცვას“ ვეძახი, სწორედ იმიტომ, რომ სოციალისტურმა პარტიებმა და კერძო პირებმა დაირიგეს, და არა — სახელმწიფოს გადასცეს. მათი „კოოპერატივები“ და კერძო ვაჭრები ჰყიდიდნენ და მდიდრდებოდნენ, ჩამოტანილი შაქრით, ფქვილით, რძის კონსერვებით და ათასი სხვა რამ სანოვაგითა და საქონლით.

აქ თუ ახდილი ძარცვა-ყაჩაღობა ხდებოდა, ეგრეთ-წოდებული „ზემ-გორის“ უთვალავი ქონება, — კარავ-უნაგირ-ლურსმნიდან დაწყებული, ფართლეულ-ფქვილ-კონსერვებით გათავებული, — ისე საიდუმლოდ ჰქრებოდა — ზურგით, ცხენით, ურმით, ვაგონებით წაღებული, რომ ორიოდე თვის შემდეგ, სადგურიდან მუშთაითამდე მთებად დაყენებული მდიდარი საწყობები, — უდაბნოს მოგაგონებდათ, თბილისის სამხედრო საწყობები — დაუშრეტელი (რადგან ნახევარ-მილიონზე მეტი ჯარის ცენტრალური ამუნიციისა იყო) — ისე დაცარიელდა, რომ შემთხვევით გადარჩენილიდან — 1921 წლის ომის შემდეგაც, — ბოლშევიკებს დარჩათ 1700 ახალი თოფი და მათ შორის ქუთაისში 300 ხელუხლებელი ტყვიის-მფრქვეველი...“ (რ. გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, გვ. 183-184).

სხვათაშორის, მე პირადათ, იგივე მსმენია იმ დროს მომსწრე ჩემი სოფლის გლეხობისაგან: წითელწყაროს (დედოფლის წყარო) სამხედრო საწყობები სავსე იყო იარაღით, ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, ცხენოსანი ჯარის აღკაზმულობითა და სურსათით, მაგრამ სულ განიავდა მენშევიკური ხელისუფლების უყურადღებობითო.

ჯარისადმი ჟორდანიას უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ფრონტიდან დაბრუნებული ენთუზიასტი გენერლები და ოფიცრები მაინც ქმნიდნენ ქართულ საჯარისო შენაერთებს უკიდურესად მძიმე პირობებში. ერთ-ერთი ასეთი გენერალი გახლდათ შესანიშნავი სარდალი და მამულიშვილი გიორგი მაზნიაშვილი.

აი ისიც, მსგავსად რ. გაბაშვილისა, როგორის დასაბუთებით აბათილებს არა მარტო ჟორდანიას სიცრუეს — „იარაღი არა გვქონდა და ჯარი რითი უნდა შეგვეიარაღებინაო“, არამედ მის მტრულ დამოკიდებულებასაც ჯარისამდი: „კავკასიის არმიის უზარმაზარი საწყობები, რომლებიც სავსე იყო მრავალ მილიონიან ქონებით, თითქმის უდარაჯოთ იყო დატოვებული. ცხენები მრავლად იხოცებოდა შიმშილით, რადგან საკვებს, რომელსაც იძლეოდა საინტენდანტო სამმართველო, ჯარისკაცები ჰყიდდნენ ბაზარზე“ (იხ. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 4-5).

იგი კვლავ აგრძელებს ხელისუფლების უნიათობის დამამტკიცებელი ფაქტების ჩვენებას კიდევ უფრო მეტის დაკონკრეტებით: „იარაღი, მოკაზმულობა და მთავარ სურსათის მარაგი საწყობებში იმდენი იყო, რომ შესაძლებელი იყო ქართული ლაშქრის თუნდა 50 ათასი კაცის შეიარაღება, მოკაზმვა და გამოკვება ათი წლის განმავლობაბში. საჭირო იყო მხოლოდ ჯარისკაცები, რომელთა შედგენა და გამოწვრთნა შესაძლებელი იყო ორი-სამი თვის განმავლობაში, თუ მთავრობა ამ საქმეს გულით მოეკიდებოდა და საჭირო დახმარებას გაუწევდა.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მენშევიკური მთავრობა, ქართული არმიის შედგენას გულგრილად უყურებდა და ჯარისკენ მხოლოდ მაშინ მოიხედავდა, როდესაც გაჭირვება დაადგებოდა, დანარჩენ დროს კი მიგდებული და მინებებული იყო თავის ბედსა და ნებაზე.

ვიტყვი მეტსაც: მენშევიკები თავის საკუთარ ჯარს შეჰყურებდნენ უნდობლად და მასში ჰხედავდნენ თავის საფრთხეს მომავალში, როცა იქნება, ჯარი ჩვენს წინააღმდეგ წამოვა და დაგვამხობსო. თუ არა ამით, სხვა რითი აიხსნება ერთსა და იმავე დროს სახალხო გვარდიისა და ჯარის არსებობა?

რას წარმოადგენდა სახალხო გვარდია სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით?

იგი შესდგებოდა დეზერტირ ჯარისკაცებიდან, რომლებიც მსახურობდნენ დღეს ერთ ლეგიონში, ხვალ მეორეში, ზეგ კიდევ მესამეში; სამ-ოთხ ლეგიონიდან გატაცებული ჰქონდათ სამხედრო ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი, და თავი რომ გადაერჩინათ სასჯელისაგან, ეწერებოდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (ეს ხომ მეტად ადვილი საქმე იყო!) და შემდეგ გადადიოდნენ სახალხო გვარდიაში...

რისთვის და ვისთვის იყო საჭირო ეს გვარდია, რაკი ის ვერ გამოდგებოდა გარეშე მტერთან ბრძოლაში? ვფიქრობ, რომ მენშევიკებს ამოქმედებდა ამ საკითხში ერთგვარი აზრი: ჯარი საჭიროა გარეშე მტერთან ბრძოლისათვის, ხოლო ჯართან საბრძოლველად (ვინ იცის, რა შემთხვევა იყვეს!), საჭიროა სახალხო გვარდია... ამიტომ სახალხო გვარდიის გულის მოსაგებად მენშევიკები არაფერს ზოგავდნენ. რაც შესაძლებელი და საუკეთესო იყო, მიჰქონდათ გვარდიაში: საუკეთესო იარაღი, საუკეთესო მოკაზმულობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ცხენები, სურსათი და ბლომად ფული. და ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც ჯარის ნაწილების უფროსები დარბოდნენ ქალაქის ქუჩებში და სესხულობდნენ

ფულს კერძო პირებისაგან ჯარის უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად... აი, ამგვარ ტანჯვაში იმყოფებოდა ქართული ჯარი! არც ნდობა, არც ყურადღება, არც საღსარი. და თუ იგი მაინც კიდევ არსებობდა, ეს უნდა მიეწეროს სამშობლოსადმი და საქმისადმი სიყვარულით გამსჭვალულ ოფიცრებისა და უფრო შეგნებულ და პატიოსან ჯარისკაცების საქმიანობას...“ (იქვე, გვ. 6-9).

ნათქვამია, მტყუანს ტყუილის კარამდე უნდა მისდიოო! ვთქვათ და ჟორდანიას მართლაც არ ჰქონდა შესაძლებლობა ჯარის შეიარაღებისა — მაგრამ, როცა ამას უანგაროდ სთავაზობდნენ ჯერ გერმანია და მერე ინგლისი, რატომღა უარყო ჟორდანიამ მათი წინადადება?

აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ რ. გაბაშვილი: „1918 წელს გერმანელებმა შემოგვთავაზეს: „ჩვენ მოგცემთ ფულს, იარაღს, ინსტრუქტორებს, — შეჰქმენით თქვენი საკუთარი ორი რკინის დივიზია, რაც საკმარისია საქართველოსათვის მშვიდობიანობის დროს, და, ომის დროს შეგიძლიათ 300 000-მდეც აიყვანოთ“-ო. — ჩვენმა მთავრობამ უარი უთხრა ასეთ კეთილშობილ დახმარებაზე, როგორც უკუსაგდები კავშირი (?) „იმპერიალისტებთან“ (იქვე. გვ. 203). ასევე, ჟორდანიამ უარი უთხრა ინგლისელებსაც იგივე წინადადებაზე (იქვე, გვ. 204).

ზოგის თქმით კი, ჟორდანიას ასე განუცხადებია ორივესთვის: ჩვენ ნეიტრალური ქვეყანა ვართ, არავის ვეომებით და ჯარი რათ გვინდაო? რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს აქედან? ან ის, რომ ჩანჩურეთელ ჟორდანიას არ ესმოდა ის უბრალო აქსიომა, რომ „შენ არ ეომები, მაგრამ სხვა შეიძლება გეომოს!“ ანდა, როგორც გენერალი მაზნიაშვილი გვეუბნება — ჟორდანია, იმის შიშით — ვაი თუ ეს ჯარი ჩვენს ხელისუფლებას აქეთ დაუპირისპირდესო, საერთოდ არ სურდა ჯარის ყოლა.

ასეა თუ ისე, სულ მალე სომხებმა ფეხებზე დაიკიდეს ჟორდანიას მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტი და ვერაგულად (ომის გამოუცხადებლად), წინასწარ საგულდაგულოდ მომზადებული ჯარით 1918 წლის 7 დეკემბერს თავს დაესხა აქა-იქ გაფანტულ, ზოგს ნასვამს და ზოგს ნამძინარევ ჩვენს მესაზღვრეებს — ზოგი ამოხოცეს და ზოგიც ტყვედ ჩაიგდეს, და მხოლოდ ამის შემდეგ სომხეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების დაცლის შესახებ.

მართალია, სომეხთა მხრივ ეს იყო ვერაგული თავდასხმა, მაგრამ სომხეთის მთავრობა ომს რომ ამზადებდა საქართველოს წინააღმდეგ, ჟორდანიას ხელისუფლებამ არაფერი იცოდაო, აბსოლუტური სიცრუეა. აი, რას გვიყვება ამის შესახებ ბატონი რ. გაბაშვილი თავის მემუარებში: „ომი რომ მზადდებოდა სომხეთის მხრიდან და რუსის „თეთრი არმიის“ ოფიცრებიც ჰყავდათ ხელმძღვანელებად, ჩვენმა მთავრობამ იცოდა, სომხეთში დანიშნული ელჩის, ბატონ სოსიკო მდივნისა და მისი თანაშემწის, მიხეილ ყანჩელის ოფიციალური პატაკებიდან“ (იხ. გვ. 206).

ახლა მოდით მოვუსმინოთ გენერალ მაზნიაშვილს იმ უთაობის შესახებ, რაც ამ ომში გამოიჩინა ჟორდანიას ხელისუფლებამ: „სომხებმა საომარი

მოქმედება დაიწყეს სოფ. ვორონცოვკასთან, კამენკასთან და პრივოლნოესთან..., ჩვენში კი არამც თუ არ გამოაცხადეს მობილიზაცია და ჯარის არც ერთი ნაწილი არ გაგზავნეს ბრძოლის ველზე, პირიქით, სოფ. ვორონცოვკიდან გენერალ ციციშვილის მცირერიცხოვან ჯარიდან საჩქაროდ გამოიწვიეს თბილისში გვარდიის დივიზიონის 150 გვარდიელი, სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად.

გენერალ ციციშვილის ვერც თხოვნამ და ვერც მუდარამ ვერა გააწყო რა, 11 დეკემბერს ესკადრონი წამოვიდა თბილისისაკენ. ციციშვილს დარჩა საგუბერნიო ათასეულის ერთი ასეული და სანაპირო რაზმი, სულ 200 კაცი, 4 ტყვიის მფრქვეველით, და ამით უნდა შებრძოლებოდა იგი სომხების ჯარებს“ (იხ. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1917-1925, გვ. 119).

აი ასე — ქვეყანას ცეცხლი უკიდია, ერთი ბეწო მესაზღვრენი უთანასწორო ბრძოლაში იღუპებიან, მტერი მოიწევს ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის წასართმევად და ქვეყნის მეთაურს კი, იმის ნაცვლად, რომ ჯარი მიაშველოს, პირიქით, ის მცირე ნაწილიც გამოჰყავს ფრონტიდან თბილისში სადღესასწაულო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად! საინტერესოა, რა დღესასწაული ჰქონდა, ანდა რა ედღესასწაულებოდა ამ მართლაცდა ოჩოპინტრე ჟორდანიას?!

ახლა კვლავ ჟორდანიას უპირველეს კრიტიკოსს — ბატონ რ. გაბაშვილს მოვუსმინოთ იგივე თემაზე: „სომხების ჯარმა ზარბაზნები წაართვეს გვარდიას, გარს შემოერტყნენ ჯუღელის რაზმებს ეკატერინენფელდში და მთლად დაატყვევებდნენ, ორ-სამ დღეში შეიძლება თბილისშიც შემოცვენილიყვნენ, რომ საჩქარო ზომები არ მიგვეღო... სარდლად დაინიშნა გიორგი მაზნიაშვილი; მოხალისედ გავიდა და შტაბის უფროსად გახდა გენერალი კვინიტაძე; დავით ვაჩნაძემ, კახეთიდან ჩამოიყვანა 500 ჯარისკაცი და სხვა ადგილებშიაც შეკრებილი დანარჩენი 4.500, — გაჰგზავნა ფრონტზე, თუმცა დ. ვაჩნაძეს არავითარი „პოსტი“ არ ეჭირა და ისიც მოხალისე იყო; აი რამ, არა მარტო იხსნა მდგომარეობა, არამედ დაამარცხა სომხები, აიღო მათგან აღებული შულავერი, სირცხვილს გადაარჩინა გვარდია და სომხები მთლად განდევნა საქართველოს საზღვრებიდან“ (იხ. მისი მემუარები, გვ. 207).

ეხლა მოდით ვიკითხოთ: სომხური დაშნაკური ხელისუფლება იყო თუ არა მთლად მტყუანი, ომი რომ აუტეხა მენეშევიკური ხელისუფლების ქვეშ მყოფ საქართველოს? რ. გაბაშვილის დასკვნით, მათ ჰქონდათ საფუძველი ამ ომისათვის! ჯერ 1912 წელს სოციალისტური პარტიების კიევის კონფერენციაზე მენშევიკებმა სხვა სოციალისტურ პარტიებთან ერთად ხომ განაცხადეს — „რეალური მოსახლეობის“ მოტივით — ახალციხე, ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა ნავთლუხამდე სომხეთს ეკუთვნისო. ხოლო შემდეგ — 1917 წელსაც ხომ ამტკიცებდა ჟორდანია — თბილისის მესამედი — სომხებისა არისო.

ჰოდა, რადგანაც მენშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაივიწყეს ეს დანაპირები, სომხეთის იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნულ სხდომებს ესწრებოდნენ და ახლა კი სომხეთის

მთავრობას შეადგენდნენ, ძალისმიერი გზით შეეცადნენ ადრე ნაჩუქარი ტერიტორიების დაკავებას, მორჩა და გათავდა! მაგრამ ნაცარქექია მენშევიკების გარდა, საქართველოს ხომ ჰყავდა პატრიოტი-მამულიშვილებიც. აი, ვინ იხსნა მაშინ საქართველო სირცხვილისაგან.

ახლა, არ შემიძლია მკითხველს არ შევთავაზო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იმის დასამტკიცებლად, თუ ბატონი ნოე რა შორს იდგა იმ შეგნებიდან, რომელსაც თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვა, პატრიოტობა და მამულიშვილობა ჰქვია, — თუ რა უბადრუკი კაცუნა იყო იგი, როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.

მოგეხსენებათ, ჩვენდა სავალალოდ, ჩვენი საიმედო მოკავშირე, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ასევე ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში — გერმანია, დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში, რის გამოც იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ჩვენი ქვეყანა. მის ნაცვლად, მსგავსი მეურვის სახით, მოგვევლინა ინგლისი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გერმანიის მსგავსად, ინგლისმაც შემოგვთავაზა შეგვექმნა ორი რკინის დივიზია, რომლებსაც თავად შეიარაღებდა და დააფინანსებდა. მაგრამ ჟორდანიამ მასაც ისეთივე უარი სტკიცა, როგორც გერმანიას.

და აი, ახლა უკვე მეორე შესანიშნავი წინადადებით წარუდგა ბატონ ნოეს ინგლისელი გენერალი. იგი თავაზიანად მიმართავს ჟორდანიას: „ამჟამად ინგლისის სამხედრო ძალებს კავკასიაში დიდი მოვალეობა გვაწევს, რათა ხელი შევუწყოთ ამ მხარეში მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებას, ყარსის ციხე და მთლად ყარსის ოლქიც მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მოვედი თქვენთან, რათა გთხოვოთ შეიყვანოთ თქვენი ჯარი ამ ოლქებში და დაადგინოთ თქვენი მთავრობა“.

აი, რა უპასუხა ინგლისელ გენერალს „დიდმა ნოემ“ (მოგეხსენებათ, მაშინ მენშევიკებს ხელისუფლებაში 4 ნოე ჰყავდათ — ერთი, დიდი ნოე — ჟორდანია და სამი — პატარა ნოე — ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და ნოე .....): „გენერალო, — ჩვენ, ქართველები, ავანტიურისტები არა ვართ, ჩვენი სურვილია საქართველოს სახელმწიფოება (?) გავამაგროთ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ჩვენსას არავის დავუთმობთ, მაგრამ არც სხვისას მივითვისებთ — ამიტომ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთ“. „— მაშ, თქვენის აზრით, ვის უნდა მიეცეს ის ოლქი?“ — შეეკითხა გენერალი. „საქართველოს მთავრობას, ცხადია (?); ამაზე არ გვიმსჯელია, მაგრამ რაკი თქვენ მოითხოვთ ჩემს აზრს, გეტყვით, რომ ამ ოლქს სომხებმა უნდა უპატრონოს (?)“ — პასუხობს ნოე ჩანჩურეთელი (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები, გვ. 161-163).

მიუხედავად მენშევიკური ხელისუფლების მიმართ აქ წარმოდგენილი უსუსურობის ფაქტებისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი მთლად გულხელდაკრეფილნი შეჰყურებდნენ მოვლენების იმ რთულ ატმოსფეროს, რომელშიც მაშინ საქართველო მოექცა ნაწილობრივ ხელისუფალთა უთავობისა და მეორე მხრივ კი ობიექტურად შექმნილი საერთაშორისო ვითარების გამო.

კერძოდ, პატრიოტულად განწყობილი გენერალიტეტი, თავისი მცირერიცხოვანი, ხელისუფლებისაგან ათვალწუნებული საჯარისო ნაწილებით, წარმატებით იგერიებდა ირგვლივ მოჯარულ მტრებს. მოგეხსენებათ, პეტერბურგში ავანტიურისტული გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა. მაგრამ რუსეთის განაპირა მხარეებში კომუნისტების წინააღმდეგ მებრძოლი თეთრი გენერლები მბრძანებლობდნენ. კერძოდ, იმპერიის მთელი აღმოსავლეთი მხარე კოლჩაკს ეკავა, ხოლო საქართველოს მეზობელ ყუბანის ოლქში დენიკინი გამგებლობდა. მართალია, ერთიც და მეორეც კი ებრძოდა ლენინის ხელისუფლებას, მაგრამ ორივენი მტკიცედ იცავდნენ ასევე იდეას იმპერიის ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ. აქედან გამომდინარე, დენიკინი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამზადებდა ძალებს საქართველოს საოკუპაციოდ.

ასევე, მართალია, თურქეთმა 1918 წლის დასასრულს, მუდროსის ზავის თანახმად, თავისი ჯარები გაიყვანა მესხეთ-ჯავახეთიდან და აჭარიდან, მაგრამ შემდეგში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში, ადგილობრივ მუსულმანურ მოსახლეობაზე დაყრდნდობით, მათი აჯანყების გზით შეეცადა აღედგინა ამ მხარეში თავისი გავლენა. ამ გეგმას თაოსანიც გამოუჩნდა. ეს გახლდათ სერვერ ბეგ ათაბაგი, რომელმაც ჯერ ყარსში დააარსა მუსლიმანების ცალკე რესპუბლიკა, ხოლო შემდეგ შეეცადა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან ქართული ადმინისტრაციისა და ჯარების განდევნას და აქ პროთურქული მთავრობის ჩამოყალიბებას. ერთდროულად მესხეთ-ჯავახეთის საქართველოდან ჩამოცილებასა და რუსეთთან მიერთებისათვის იბრძოდა დენიკინიც, რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისის კავკასიის სარდლობა.

მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ეს ჩანაფიქრი არ გაუმართლდათ. ქართულმა მხედრობამ, გენერალ კვინიტაძის სარდლობით, სერვერ ბეგ ათაბაგის ისლამური არმია ამ მხარიდან განდევნა. ასევე, ბათუმის ოლქიც დედა-სამშობლოს დაუბრუნდა ადგილობრივი მცხოვრებლების მტკიცე გადაწყვეტილებით, რაშიც დიდი როლი შეასრულა მეჰმედ-ბეგ აბაშიძემ.

არ ცხრებოდა დენიკინი. მან სოჭის მხრიდან შემოუტია საქართველოს. მისი ჯარები გაგრაში შემოიჭრნენ და მიზნად დაისახეს აფხაზეთის დაუფლება. მაგრამ, საბედნიეროდ, გენერალ მაზნიაშვილის მხედრობამ ჯერ 1918 წელს ბოლშევიკები გადარეკა სოჭის იქით, ხოლო ახლა, 1919 წელს, დენიკინსაც დააცლევინა გაგრა და ისიც განდევნა აფხაზეთიდან.

ახლა აქ, მე მცირე ხნით მინდა გადავუხვიო თემის ძირითად შინაარსს და მკითხველს მოვუთხრო ჟორდანიას ხელისუფლების ერთ უცნაურ ქმედებაზე, რომელსაც იგი იჩენდა სამშობლოსადმი მუდამ პატრიოტულად განწყობილი საჯარისო ნაწილების წინააღმდეგ.

ზემოთაც ითქვა და ახლაც მინდა გავიმეორო ჟორდანიას ოპონენტების — რ. გაბაშვილის და გ. მაზნიაშვილის ის კრიტიკული შენიშვნები, რომელსაც სამართლიანად უყენებენ მენშევიკურ ხელისუფლებას. როგორც კი ქვეყანას გასაჭირი დაადგებოდა გარეშე მტრების მხრივ,

მთავრობა საშველად ჯარს მოუხმობდა. ხოლო, როგორც კი მის მიერ აღიკვეთებოდა ეს საშიშროება, იმ წუთსვე შლიდა ჯარს და მხოლოდ გვარდია ჰყავდა დაუშლელად და მუდმივ მზადყოფნაში. ამას, ბატონები — გაბაშვილი და მაზნიაშვილი იმით ხსნიან, რომ მთავრობა მუდამ შიშით შესცქეროდა ჯარს, ვაითუ გარეშე მტერზე გამარჯვების შემდეგ ჩვენს დასამხობად გამოილაშქროსო. აი, რისთვის ევლებოდა თავს ბატონი ნოე გვარდიას და გერივით რატომ ეპყრობოდა ჯარს.

როგორც კრემლის ბოლშევიკური ხელისუფლება, ასევე, ადგილობრივი ქართველი ბოლშევიკები სასტიკად ილაშქრებდნენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ, მის კვლავ, ამჯერად უკვე საბჭოურად გარდაქმნილ იმპერიის წიაღში დაბრუნებას, მარქსის მიერ მოწოდებულ ლოზუნგზე დაყრდნობით — კლასობრივი მტრის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის მიზნით, ყველა ქვეყნის პროლეტარების ერთიან ძალად გაერთიანების შესახებ, რაც სინამდვილეში საქართველოს კვლავ რუსეთის ასიმილატორულ ქვაბში აქცევდა უფრო უმტკივნეულოდ მის გასარუსებლად ინტერნაციონალიზმის ყალბი ლოზუნგების საფარქვეშ.

რუსეთის ნეოიმპერიალისტების ბრმა იარაღად გადაქცეული ქართველი ბოლშევიკები — მახარაძე, ორჯონიკიძე, ს. გეგეჭკორი და სხვები ძალას არ იშურებდნენ ქართველი გლეხების ასაჯანყებლად, ლამაზ-ლამაზი დაპირებებით ზღაპრული ცხოვრების შექმნის შესახებ, თუკი ისინი დაამხობდნენ საკუთარი ქვეყნის მთავრობას და რუსულ საბჭოთა ქვეყანას მიუერთებდნენ საქართველოს. ამ შემთხვევაში თქვენ გადმოგეცემათ თავადებისათვის წართმეული სახლ-კარი და ქონება, ასევე მიწები, ფაბრიკა-ქარხნები, სურსათით გატენილი საწყობები, სასადილო-რესტორნები, დაჯექით და მოულხინეთო!

თანაცო, უმატებდნენ, — კომუნისტური პრინციპის მიხედვით, რამდენიც მოგესურვებათ, იმდენს იმუშავებთო, ხოლო რაც გინდათ და რამდენიც გინდათ, იმდენ საჭმელ-სასმელს მიიღებთო — გნებავთ მწვადსა და გნებავთ ჩაქაფულსო. აქ თქვენ ჭადიც რომ არ გაქვთ მაძღრისად, რუსეთში სწორედ საბჭოთა წყობილების გამოისობით ცხოვრება დუღს და გადადუღსო, როცა სინამდვილეში, ჯერ მსოფლიო ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომების შედეგად გაპარტახებული ეკონომიკის პირობებში, რუსი მოსახლეობა ძაღლისა და კატის ხორცსაც სიამოვნებით მიირთმევდა. საყოველთაოდ ცნობილია ამ გაუსაძლისი სიდუხჭირის გამო ვოლგისპირეთისა და რუსეთის სხვა მხარეების გლეხთა მასიური გამოსვლები ლენინის მატყუარა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც სისხლში ჩაახშვეს კომუნისტებმა.

აი ასე, ქართველი ბოლშევიკების მიერ წაქეზებულმა და მადააშლილმა გლეხობამ მრავალ ადგილას მოაწყო აჯანყებები: დუშეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში და სხვა, რომელიც ჩაქრობილ იქნა. ამ მხრივ უფრო მაღალი შეგნების დონეზე აღმოჩნდა ქალაქის მოსახლეობა. მიუხედავად მძიმე სოციალური მდგომარეობისა, აქ არსად არ ჰქონია ადგილი მუშათა

გაფიცვებს, ანდა, მითუმეტეს, აჯანყებებს. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ითმენდნენ ყოველივეს და მტკიცედ უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას.

ქვეყნისათვის უფრო საშიში ხასიათი მიიღო სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელიც ძირითადად კრემლის წაქეზებითა და მხარდაჭერით ხდებოდა. თუმცა, ამ ბოროტულ ქმედებებში თავისი წვლილი შეჰქონდათ ქართველ ბოლშევიკებსაც.

1918 წლის 11 მარტს აფხაზეთში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. აჯანყებულთა დასახმარებლად სოჭიდან და არმავირიდან შემოიჭრნენ რუსული წითელი არმიის ნაწილები. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ამიერკავკასიის სეიმმა ეს აჯანყება ჩაახშო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კვლავ სცადეს აღედგინათ საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში, მაგრამ ამ დროს საკმაოდ მომძლავრდნენ აქ საქართველოსთან ერთიანობის მომხრე ძალები, რის შედეგადაც აფხაზეთი შენარჩუნებული იქნა მისთვის ავტონომიის მინიჭებით.

გაცილებით უფრო დაუძლეველი აღმოჩნდა ოსური სეპარატიზმი. ჩრდილოეთ ოსეთიდან სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შემოხიზნულ კომპაქტურად დასახლებულ ოსებს სავსებით კანონზომიერად კულტურული ავტონომია ჰქონდათ მინიჭებული. ლენინის რუსეთი კი, საქართველოსთან მათი დაპირისპირების მიზნით, პოლიტიკურ-ტერიტორიულ ავტონომიას ჰპირდებოდა, თუ ისინი საქართველოს მთავრობას აუჯანყდებოდნენ.

ამ მიზნით, საბჭოთა რუსეთი უხვად ამარაგებდა ოსებს საბრძოლო იარაღით. აქ ფართო წამქეზებლურ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი კომუნისტები — ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ს. გეგეჭკორი. „სამხრეთ ოსეთის“ ეგრეწოდებული „ეროვნული საბჭო“ ავტონომიის ძალდატანებით განხორციელებას შეუდგა. მათი პროექტით ოსურ ავტონომიაში, გარდა სამაჩაბლოსი, უნდა გაერთიანებულიყო რაჭის, გორისა და დუშეთის მაზრების ის ნაწილი, სადაც ოსები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი. აჯანყება დაიწყო ოსმა აჯანყებულებმა, საკუთარი სოფლებიდან განდევნეს ქართველები. მათ საშინელი ამბები დაატრიალეს ცხინვალში. წამებით ამოხოცეს ადმინისტრაციის ქართველი წარმომადგენლები. ამიერკავკასიის კომისარიატი იძულებული გახდა, ოსთა შეიარაღებული გამოსვლა ქართველთა წინააღმდეგ, იარაღითვე ჩაეხშო.

ოსებმა მაინც არ მოისვენეს. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ბრძოლა კვლავ განაახლეს. ახლა ისინი არა მარტო ოსური ავტონომიის შექმნას, არამედ ამ მიწა-წყლის საბჭოთა რუსეთთან შეერთებასაც მოითხოვდნენ. ამ შემთხვევაში აჯანყებას სრულილად აშკარად წარმართავდა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი. მისი მითითებით, 1920 წლის 23 მარტს შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტი (მთავრობა), რომელმაც საქართველოს ეს ისტორიული მიწა-წყალი რუსეთის „განუყოფელ ნაწილად“ გამოაცხადა.

ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: „ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე... მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს... ეცნობოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება“.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა თავისი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად სამაჩაბლოში გაეგზავნა სახალხო გვარდია. გვარდიელებმა ჯუღელის მეთაურობით ოსთა აჯანყება ისეთივე სისასტიკით ჩაახშეს, როგორადაც აჯანყების დროს ისინი აქ მცხოვრებ ქართველებს უსწორდებოდნენ.

მართალია, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები წარმომადგენლობდნენ თავიანთი კოსმოპოლიტური იდეებით, მაგრამ ვერც ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფდნენ, კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში, რადგან ამ მხრივ დიდ ზეწოლას ახდენდნენ მათზე პარლამენტში შემავალი ეროვნული სულისკვეთების მქონე პარტიების დელეგატები.

ამიტომ იყო, რომ მენშევიკებმა „დაივიწყეს“ ტერიტორიების გაჩუქების ადრინდელი დანაპირები, რომელსაც საფუძვლად ედო „რეალური მოსახლეობის“ პრინციპი და ახლა უკვე ისტორიული კუთვნილების მიხედვით იცავდნენ ეროვნულ მიწა-წყალს.

ამ მხრივ დიდებული იყო მიდგომა საინგილოსა და აჭარის მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ ტერიტორიული მოწყობის საქმეში. მთავრობამ საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ სწორ გზად მიიჩნია, როგორც აჭარის, ასევე საინგილოსათვის ტერიტორიულ-ავტონომიური თვითმმართველობის მინიჭება და საქართველოს კონსტიტუციაშიც ასე ჩაიწერა. ერთი სიტყვით, გარდა აფხაზეთის ავტონომიისა, იქმნებოდა აჭარისა და საინგილოს ავტონომიური ერთეულები.

გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა ხელისუფალთა საქმიანობა საერთაშორისო სარბიელზე. ამ მხრივ უმთავრესი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა უცხო სახელმწიფოების მიერ და უშიშროების გარანტიის მოპოვება ისეთი საერთაშორისო ორგანოს მხრიდან, როგორც იყო 1-ლი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 1920 წელს შექმნილი ერთა ლიგა. ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად საკმაოდ პრესტიჟული დელაგაცია გაემგზავრა პარიზში, სადაც 1919 წლის იანვარში ომში გამარჯვებული ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ს ლიდერებმა (ლოიდ ჯორჯი, კლემანსო, ვილსონი) მოიწვიეს კონფერენცია მთელს მსოფლიოში ახალი წესრიგისა და სამართლიანობის დასამყარებლად. დელეგაციაში შედიოდნენ — კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, პირველ რიგში, თავად სცნეს ერთმანეთის დამოუკიდებლობა მათი ჩამოყალიბების დღიდანვე. შემდეგ კი, 1918 წლის 28 მაისის „დროებითი შეთანხმებით“ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს ფაქტობრივად გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა — ავსტრია-უნგრეთმა, თურქეთმა და

ბულგარეთმა. მაგრამ ომში ამ ქვეყნების დამარცხების შემდეგ საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, უპირველეს ყოვლისა, გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ და ეს აღიარება დაემტკიცებინა უაღრესად პრესტიჟულ პარიზის კონფერენციას.

დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი (მოხსენება), რომელშიც დასაბუთებული იყო საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის კანონზომიერება მისი ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი არსებობით, რომელიც 1801 წლიდან ძალადობის გზით შეუწყვიტა რუსეთმა, — ხოლო ახლა, დამოუკიდებლობის აღდეგნის შემდეგ იგი არის ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაში, რისთვისაც კონფერენციის მონაწილეთაგან მოითხოვდა მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას, ანდა, უარეს შემთხვევაში, ევროპის რომელიმე ძლიერი სახელმწიფოსაგან „მანდატის“ ანუ მფარველობის მოპოვებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს დელეგაცია აქ დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ევროპის ქვეყნებს საქართველოზე უფრო რუსეთის საკითხი აინტერესებდათ, სადაც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა ლენინის კომუნისტურ ხელისუფლებასა და თეთრგვარდიელ გენერლებს შორის. როგორც ერთნი, ისე მეორენი ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის პრინციპებს იცავდნენ, რის გამოც საქართველო მათ მიერ საშინაო საკითხად წარმოიდგინებოდა. ამასთან, ევროპის დიდ ქვეყნებს მიაჩნდათ, რომ რუსეთი ვეებერთელა ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობის ქვეყანა იყო და ამის გამოც არ სურდათ მასთან ურთიერთობის გაფუჭება პატარა საქართველოს გამო. ამას გარდა, მისგან მილიარდიანი ვალების გადახდასაც ელოდნენ და სხვ.

ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიერ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ ერთეულთა ცნობას ისიც ართულებდა, რომ ეს ქვეყნები ვერა და ვერ შეთანხმდნენ სასაზღვრო დავაში. სომხეთის დელეგაცია პარიზში წარსდგა საქართველოს მიმართ არნახული ტერიტორიული პრეტენზიებით. ისინი მოითხოვდნენ სომხეთისათვის გადაეცათ სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი და ასევე მიეცათ მისთვის კვლავ საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე შავ ზღვაზე გასასვლელი საკუთარი ნავსადგურით. მათ აქვე დაბეჭდეს და კონფერენციას წარუდგინეს სომხეთის სახელმწიფოს რუკა, სადაც მის საზღვრებში იყო მოქცეული მტკვრის მთელი მარცხენა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით. სწორედ ამ ურთიერთ გაუშველებლობის გამო, ვერც სომხეთმა და ვერც საქართველომ, ვერ მიიღეს მფარველობის მანდატები ევროპის ვერც ერთი ქვეყნიდან.

ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნათელი გახდა რუსეთში თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა მარცხი და შეიქმნა პირობები კომუნისტური რეჟიმის გაძლიერება-განმტკიცებისა, რაც ხელს არ აძლევდათ ევროპასა და ამერიკას. ამის

შემდეგ დაიწყო უკვე საქართველოს სერიული ცნობა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების მიერ.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა არგენტინამ. 1919 წლის 15 სექტემბერს მან სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. შემდეგ უკვე მას მიჰყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და მთელი რიგი სხვა ქვეყნები. 1921 წლის დასაწყისისათვის, იმ დროს მსოფლიოში არსებული 40 სახელმწიფოდან, უკვე 25-მა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

იმ ურთულეს ვითარებაში, როცა ახლად ფეხადგმულ საქართველოს უამრავი მტერი უპირისპირდებოდა შიგნიდანაც და გარედანაც, საჭირო იყო ქვეყნის უშიშროებისათვის დასაყრდენი ბერკეტების ძიება. როგორც ვიცით, ჩვენმა უხერხემლო ხელისუფლებამ გასაოცარი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, როცა არ მიიღო ჯერ გერმანიის, ხოლო შემდეგ ინგლისის შეთავაზება — შეექმნათ, თვით მათი დაფინანსებით, მძლავრი არმია. ამიტომ ახლა, პარიზში წარგზავნილმა დელეგაციამ იმედის თვალი მიაპყრო იმ დროისათვის ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციას — ერთალიგას, რომელსაც შეეძლო, მათი აზრით, კრემლის ბოლშევიკური აგრესიისაგან საქართველოს დაცვა.

დელეგაციამ ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ასაბუთებდა მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის სამართლიანობას და მოითხოვდა მათგან დახმარებას აგრესიის შემთხვევაში.

ქართველთა ამ მისწრაფებას წინ აღუდგა იმ დროისათვის ყველაზე მძლავრი ინგლისი. მისი ფორმალური არგუმენტი ის იყო, რომ ერთალიგას არ ჰქონდა ქმედითი შესაძლებლობა დაეცვა საქართველო ისეთი დიდი სახელმწიფოს აგრესიისაგან, როგორც იყო რუსეთი. ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი ამ დროს ეკონომიკურ კავშირებს აბავდა საბჭოთა რუსეთთან და არ უნდოდა მისი განაწყენება პატარა საქართველოს გულისთვის.

აი, რას წერს ამ ფაქტის ირგვლივ, ისევე, როგორც ლენინის ველური ხელისუფლების ცნობის შესახებ, რაზედაც ყოვლად აბსურდულ განმარტებას იძლეოდა ლოიდ ჯორჯი, ცნობილი ემიგრანტი და პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე ცომაია: „განა ჩვენ კანიბალებთან არ ვვაჭრობთ? რატომაც არ ვივაჭროთ მოსკოვთან?“ — ასეთი იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის სიტყვები მაშინ“.

რამდენადაც იმ პერიოდში ინგლისი ლიდერობდა ევროპაში, მას მიჰყვნენ ევროპის დანარჩენი ქვეყნებიც, რის შედეგადაც პოლიტიკურმა ინტერესებმა გზა დაუთმო კომერციულ ინტერესებს. ლენინის მთავრობა მიიღეს როგორც კანონიერი მთავრობა, „ფული მიედინებოდა საბჭოთა კავშირში სესხების სახით. ევროპული კაპიტალი და ევროპელი ინჟინრები ქმნიდნენ საბჭოთა სამხედრო ინდუსტრიას. ევროპამ ააღორძინა, შეიარაღა და გააძლიერა მოსკოვის კომუნისტური რეჟიმი“, რომელიც შემდეგ უდიდეს ზნეობრივ, მორალურ და სისხლის ფასად დაუჯდა თვით ევროპას.

როგორც ცნობილია, 1919 წლის 19 იანვრიდან ინგლისის ჯარი იდგა

ბათუმში, რაც ერთგვარად ამუხრუჭებდა საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიას. და აი უცებ, 1920 წლის მაისში, ყველასათვის მოულოდნელად ინგლისის ჯარმა დატოვა ბათუმი, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის საიდუმლო შეთანხმებით. ინგლისის მთავრობამ ამ აქტით, ისევე როგორც ერთალიგაში მისაღები კარის გადაკეტვით, საბოლოოდ გაწირა საქართველო სარუსეთოდ. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთს დაპყრობილი ჰყავდა უკვე აზერბაიჯანი 1920 წლის აპრილიდან, საიდანაც შემდეგ განხორციელდა წითელარმიელთა თავდასხმა საქართველოში, უკვე გასაგები ხდება, თუ ყოველმხრივ გზამოჭრილმა საქართველოს ხელისუფლებამ რატომ აიღო გეზი ისევ ლენინის რუსეთზე, რათა მისგან მიეღო საქართველოზე თავდაუსხმელობის გარანტია.

1920 წლის 7 მაისს დაიდო რუსეთ-საქართველოს შორის სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულება. ლენინი ამ სამშვიდობო მისიას „სრული გაგებით“ შეხვდა. თუ საქართველოს მთავრობის მიზანი ის იყო, რომ ამ ხელშეკრულებით რუსეთის აგრესია აეცილებინა თავიდან, ლენინის მიზანი იყო ის, რომ აგრესიისათვის საჭირო ყველა დეტალი გულდასმით შეემზადებინა, რომ საქართველო რაც შეიძლება იოლად მოენელებინა.

ეს ხელშეკრულება, თავისი შინაარსითა და მზაკვრობით, დიდათ ჩამოგავს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს. როგორც მაშინ, რუსეთი ახლაც სცნობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებას და ორივე შემთხვევაში პირობას სდებდა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში. სინამდვილეში რუსეთი მაშინაც და ახლაც აშკარად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. კერძოდ, ხელშეკრულების იმ ნაწილით, რომელიც „საიდუმლო დამატების“ სახით ერთვოდა ხელშეკრულებას, საქართველო ვალდებულებას კისრულობდა უზრუნველყო კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობა, რაც რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ამ ორგანიზაციების სახით შეექმნა საქართველოში თავისი „მეხუთე კოლონა“, მისი დაპყრობის მოსამზადებლად.

და ბოლოს, ორივე ეს ხელშეკრულებები, უპირველესად, იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ რუსეთმა მაშინაც და ახლაც ვერაგულად დაარღვია თავისივე დანაპირები და აშკარა აგრესიის გზით დაიპყრო საქართველო. ვიმეორებთ, ლენინს რომ ეს ხელშეკრულება საქართველოს შინაგანი მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლისა და დაპყრობის მოსამზადებლად სჭირდებოდა (ასევე, ყურადღების მოსადუნებლად), ცხადად გამოჩნდა იმითაც, რომ საქართველოს რუსული საელჩო დააკომპლექტა 400 თანამშრომლით, რაც ყოვლად უჩვეულო იყო სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში. ისინი მოედვნენ მთელ საქართველოს და ღიად ეწეოდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდას, რაშიც უმთავრეს როლს ასრულებდა მათ მიერ დაარსებული გაზეთი „კომუნისტი“.

ახლა ვნახოთ, როგორი მზადებით ხვდებოდა ჟორდანიას ხელისუფლება მოახლოებულ საშიშროებას. თქვენც არ მომიკვდეთ, რისი საშიშროება, რა საშიშროება! პირიქით, ბატონი ნოე სანეტარო ილუზიებით იყო ამ დროს

შეპყრობილი, მითუმეტეს, რომ ლენინმა მას სამშვიდობო ხელშეკრულება დაუდო. მას სჯეროდა, რომ „პარტიული პოზიციით ახლო მდგომი საბჭოთა რუსეთი არ განირავდა საქართველოს დასაპყრობად“. ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ასეთი სიტყვებით ამშვიდებდა დამფუძნებელ კრებას: „ჩვენ არ ვართ მარტო, მთელი ევროპა, განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა, ჩვენთან არისო“.

ამიტომაც, რომ იტყვიან, ჟორდანიას მხართეძოზე წამოწოლილს მშვიდი ძილით ეძინა, როცა ლენინი და, უპირველეს ყოვლისა კი, მის გვერდში მყოფი ქართველი გარეწრები, თავსაც რომ აბეზრებდნენ ლენინს — ჩქარა დაერთო ნება, შესეოდნენ საკუთარ სამშობლოს რუსული არმიებით, საქართველოს ანექსიისთვის ემზადებოდნენ.

აი, რას მოგვითხრობს გენერალი მაზნიაშვილი ჟორდანიას ხელისუფლების არნახულ უპასუხისმგებლობაზე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიმართ, რაც სამშობლოს ღალატად შეიძლება ჩაეთვალოს მას. დიახ, როცა ეცნობი გენერალ მაზნიაშვილის მიერ მოწოდებულ მასალებში ჟორდანიას, არათუ მხოლოდ უმოქმედობის, არამედ მის მიერ აშკარად ჩადენილ მავნებლურ ქმედებას, აუცილებლად გებადება კითხვა: ხომ არ იყო ჟორდანია ფარულად შეთანხმებული მარქსისტული იდეოლოგიით ახლოსმდგომ ლენინთან — საქართველო განიარაღებული დაეხვედრებინა თავდამსხმელ მხარესთან ბრძოლაში?! მაშ, მოვუსმინოთ სამშობლოსათვის თავდადებულ ცნობილ გენერალს.

გენერალი მაზნიაშვილი: „1920 წლის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმები, რომ ომი ბოლშევიკებთან აუცილებელია. უკვე ენკენისთვეში სამხედრო მინისტრის კანცელარიამ შეადგინა ვრცელი მოხსენება, რომელიც წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს. ეს მოხსენება ამბობდა, რომ ბაქოში სდგება ცალკე მე-11 არმია, რომელსაც სათავეში უდგას გეკერი, და ამ არმიის მიზანი და დანიშნულება არის საქართველოსკენ წამოსვლა (მოხსენება ეკუთვნოდა სამხედრო მინისტრის ამხანაგს).

მე-11 არმია რომ სდგებოდა ბაქოში, ამას აცნობებდა აზერბაიჯანის მთავრობასთან დანიშნული ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებისა და ბაქოში ჩვენი წარმომადგენლის განცხადებების შემდეგ, მთავრობას უნდა მიეღო საჭირო ზომები თავდასაცავად და უნდა ებრძანებინა სათანადო ორგანოებისათვის, მზად ყოფილიყვნენ ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მთავრობამ არ მიიღო არავითარი ზომები...

ნოემბრის დასაწყისში საინჟენერო ჯარების უფროსმა, გენერალმა თაყაიშვილმა, ჩემი თხოვნით დაათვალიერა თბილისის აღმოსავლეთის საზღვრები და შეადგინა გეგმა თბილისის მიდამოებში დროებითი სიმაგრეების მოსაწყობად, სახელდობრ: საგარეჯოსთან, ფოილოს ხიდის რაიონში და სამხრეთ-აღმოსავლეთით იაღლუჯის მაღლობებზე. ეს გეგმა წარედგინა ჯერ სამხედრო მინისტრს, ხოლო მისგან მთავრობას. მაგრამ საამისოდ ფულის გაღებაზე მთავრობამ უარი განაცხადა. ხიფათი კი

თანდათან აშკარავდებოდა.

ცხადი იყო, რომ მთავრობა ეყრდნობოდა რაღაც სხვას, რადგან თუ ამით არა, სხვა არაფრით აიხსნება მთავრობის უარი დროებითი სიმაგრეების მოწყობაზე და სხვა სათანადო ზომების მიუღებლობაზე. და ამ „რაღაცა სხვას“ მთავრობა ჩვენ, ჯარის უფროსებს გვიფარავდა და არ გვიხსნიდა.

ავიაციის საქმეც მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. მთავრობამ, მართალია, შეიძინა იტალიაში რამდენიმე აეროპლანი, მაგრამ ავიაციის უფროსის მოხსენებიდან სჩანს, რომ მას არ ჰქონდა ამ აეროპლანებისთვის საკმაოდ ბენზინი, და შიშობდა, რომ თუ ხიფათი თავს დაგვატყდებოდა, მას არ ეყოფოდა ბენზინი და ზეთი. ავიაციის უფროსმა რამდენჯერმე მიმართა თითქმის ყველას, ვინც კი მთავრობაში იყო და დაჟინებით მიუთითებდა ბენზინისა და ზეთის მარაგის საჭიროებაზე, მაგრამ ყური არავინ ათხოვა...“

ყველაფრის ჩამოთვლა აქ შეუძლებელიაო, ამბობს გენერალი მაზნიაშვილი და აცხადებს — „მარტო ამით რომ თავდებოდეს ამ ხნის ყველა უბედურებანი, შესაძლებელია ხიფათისათვის თავი დაგვეხწია. მაგრამ მთავარი უბედურება ჯერ კიდევ არ ვიცოდით...

დამფუძნებელ კრებასთან არსებობდა სამხედრო კომისია, რომლის ფუნქციებში შედიოდა სამხედრო სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტების გადასინჯვა, რომლებიც დამფუძნებელ კრებას უნდა დაემტკიცებინა.

დეკემბერში, თუ იანვრის დასაწყისში (როცა მთავრობა დღე-დღეზე ელოდა წითელ არმიელთა თავდასხმას) ამ კომისიამ სხდომაზე მოიწვია გენერლები, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრი, სადაც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, რომელიც სამხედრო კომისიის თავმჯდომარეც იყო, კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნილება, რომ „დათხოვნილ იქნას უვადო შვებულებაში ყველა ჯარისკაცი, რომელმაც იმსახურა ჯარში ორი წელიწადი და მეტი... გენერალმა ოდიშელიძემ და მის შემდეგ გენერალმა გედევანიშვილმა მოახსენეს კრებას, რომ თუ ეს ჯარისკაცნი დათხოვნილ იქნებიან, ჯარი დარჩება უუნტერ-ოფიცრებოდ, რაც ძალიან დასწევს ჯარის ბრძოლის უნარს, და რადგანაც ომი მოსალოდნელი იყო, ამიტომ სამხედრო მინისტრის ორივე ამხანაგმა უარჰყვეს გვარდიის წინადადება. მაგრამ მთავრობამ, პირადათ ნ. რამიშვილმა, მხარი დაუჭირა გვარდიის მთავარი შტაბის წინადადებას და ამგვარად, გამოცხადდა ბრძანება ძველი გამოცდილი, მცოდნე ჯარისკაცთა დათხოვნის შესახებ“.

მაგრამ არც ეს კმარა. 1921 წლის იანვრის დასაწყისში ბაქოდან ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი გაბო ხუნდაძე, რომელმაც მთავრობას მოხსენება წარუდგინა და დაადასტურა, რომ ბაქოში დამთავრდა მე-11 არმიის შედგენა, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ ოპერაციების დაწყება. მაგრამ არც ამ განცხადებამ იქონია გავლენა მთავრობაზე“ (იხ. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 150-154). ოჩოპინტრე მენშევიკური

ხელისუფლების უთავობისა თუ ამ შეგნებული ბოროტმოქმედების შესახებ იგივეს ადასტურებს რევაზ გაბაშვილიც:

„როცა უკვე ვიცოდით შავი და კასპიის ზღვაზედ რუსის ჯარის მოგროვება, დარიალის ყელთანაც, სომხეთშიც; ჰეკერის პლანიც, — 1920 წლის ქრისტეშობის თვეში, მომზადებისა და ქუდზე კაცის დაძახების მაგიერ — ჩვენ მოვახდინეთ „დემობილიზაცია ჯარის კადრებისა!“

ეს მაშინვე გასაშტერებელი უტვინობა, შემდეგ, პარიზში, ბ-ნმა დავით შარაშიძემ თავის წიგნში არა მარტო დაადასტურა, ახსნაც გამოუნახა: „უნდა გვეჩვენებინა ბოლშევიკებისათვის, რომ ომი არა გვწადიანო“-ო. ტუტუცი ცხვარის ანგარიში, — მგლის მადის... ვითომ გასანელებლად“ (იხ. რ. გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, გვ. 284-285).

ერთი სიტყვით, მენშევიკურმა ხელისუფლებამ ნოე ჩანჩურეთელის მეთაურობით, როგორც ზემოთ ითქვა, შეუგნებლად თუ ღალატით, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველო უბოროტეს მტერს განიარაღებული დახვედროდა.

ახლა ვნახოთ, რა ხერხეს მიმართა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ იმისათვის, რომ საქართველოს დაპყრობა გაემართლებინა და იგი ნაკლებ საგანგაშო გაეხადა გარე სამყაროს თვალში. მოვუსმინოთ ისტორიკოს აკაკი სურგულაძეს:

„საქართველოში შეჭრას უნდა მისცემოდა გამართლება საერთაშორისო ასპარეზზე იმით, რომ საქართველოს მთავრობამ თითქოს დაარღვია ხელშეკრულების პირობები. გასაბჭოების სცენარი ითვალისწინებდა საქართველოში სოციალისტურ გადატრიალებას შინაგანი ძალებით. საბჭოთა რუსეთის როლი კი უნდა გამართლებულიყო კლასობრივ თანამოძმეთადმი „ძმური დახმარებით“....

1921 წლის თებერვალში კრემლისათვის ხელსაყრელი დრო დადგა: წითელმა არმიამ დასავლეთით მოიგერია პოლონეთის შეტევა, სამხრეთში დაამარცხა ვრანგელის არმია. ამასთან, მომზადდა სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან. პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა საქართველოს საკითხი აღიარა საბჭოთა რუსეთის საშინაო საქმედ, რითაც წააქეზა კიდევ რუსეთის აგრესია საქართველოში“. უფრო ადრე, 1920 წლის ნოემბერში რუსეთმა მოახდინა სომხეთის ოკუპაციაც, რის შედეგადაც საქართველო ორმხრივ რკალში მოექცა.

მოვუსმინოთ ისევ აკ. სურგულაძეს: „აჯანყების ინსცენირება დაიწყო 11 თებერვალს ლორეს რაიონში ე. წ. „ნეიტრალურ ზონაში“. სინამდვილეში ეს იყო არა აჯანყება, არამედ სომხეთში განლაგებული წითელი არმიის ნაწილების თავდასხმა საქართველოზე. და აი, უკვე 15 თებერვლის თარიღით სტალინმა ბაქოში მყოფ ორჯონიკიძეს გაუგზავნა ქართულად დაშიფრული დეპეშა: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი“... ამავე დღეს აზერბაიჯანიდან საზღვრები გადმოლახა მე-11 არმიამ, რომელიც კავალერიის ორი დივიზიით იყო გაძლიერებული. ასევე, შედარებით უმნიშვნელო ძალებით, უფრო საპანიკოდ, საქართველოს საზღვრებში შემოჭრა განხორციელდა სოჭის მხრიდან, მამისონის უღელტეხილით და

დარიალის ხეობით.

და აი, 16 თებერვალს მოსკოვში შედგა „საქართველოს დროებითი მთავრობა“ ასეთი შემადგენლობით: ფ. მახარაძე (რევკომის თავმჯდომარე), მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ბ. კვირკველია, ან. ნაზარეტიანი და სხვ. საგულისხმოა, რომ ლორეს რაიონში, სადაც ეს „აჯანყების“ სცენარი გათამაშდა, ეგრეთწოდებული „რევოლუციური კომიტეტის“ წევრთაგან იქ, ადგილზე არც ერთი მათგანი არ ყოფილა. თვით რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე შულავერში, სადაც ეს მთავრობა დაფუძნდა, ჩავიდა იმ დროს, როცა უკვე ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა თბილისის შემოგარენში საქართველოს ეროვნულ ძალებსა და შემოსეულ რუსულ არმიას შორის. და აი, ამ დროს, 16 თებერვლის თარიღით დეპეშას უგზავნის ლენინს „აჯანყებული გლეხობის“ სახელით, სადაც იგი ითხოვს წითელარმიელთა დახმარებას. როგორც იტყვიან, ცინიზმი ამაზე შორს ვეღარ წავა.

რუსეთის მე-11 არმიის ძირითადი, დამრტყმელი ძალა წითელ ხიდზე გადმოვიდა და იქიდან შემოუტია თბილისს. მეორე, მცირე ნაწილი კი ზაქათალის მხრიდან გადმოვიდა და კახეთში შემოიჭრა. აქ მას რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ დახვედრია. გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა კოჯორთან, ტაბახმელასთან და სოღანლუღის მიდამოებში. თავიდან საქართველოს ჯარს სათავეში ედგა გენერალი ოდიშელიძე, შემდეგ კი გენერალი კვინიტაძე. სოღანლუღთან გამართულ ბრძოლებს უშუალოდ წარმართავდა გენერალი მაზნიაშვილი.

ახლა, მოვუსმინოთ რ. გაბაშვილს იმის შესახებ, თუ რა პირობებში და რა შესაძლებლობებით უხვდებოდა მტერთან ბრძოლა ჩვენს ჯარებს:

„ავედი ტაბახმელაზე, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა. ბრტყელ ბექობზე იდგა 4 პატარა, სამთო ზარბაზანი. ოფიცერი ჩრდილელი მბრძანებლობდა ამ „ბატარეას“. სამი ზარბაზანი ისროდა და მეოთხე პირდაღებული იდგა ჩუმად. აქვე მყოფ ჩემს ყოფილ მასწავლებელს („გიმნასტიკისა“) ა. ჩხეიძეს ამის მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: ამ სამი ზარბაზნისათვისაც ძლივს გვყოფნის ყუმბარებიო. წამოსვლისას მითხრა: ხომ ხედავთ რა მდგომარეობაა და უთხარით თბილისში, ყუმბარები მოგვაწოდონ, რამდენი ხანია ვეხვეწებით, გვპირდებიან და არსადა სჩანს; მესამე დღეა, ახალგაზრდებს, ამ სიცივეში, არც ცხელი საჭმელი უნახავთო.

იმ საღამოსვე წერილობითი „პატაკი“ წავიღე თბილისის შტაბში, საცა მხოლოდ თევზაძე დამხვდა. სიტყვიერადაც ავუხსენი მდგომარეობა და მხრები აიწია: რა ვქნათ, ხალხი არა გვყავს, მაგრამ ხვალვე ვეცდები ერთი კამიონი ყუმბარა და ერთი კამიონი საჭმელი გაუგზავნო მაინცაო.

მეორე დღეს, როცა ტაბახმელაზე უკვე სამნი ავედით, — მე, გიორგი ამირეჯიბი და საშა ჩხეიძე, გზაზე ერთმა დახურულმა კამიონმა გაგვიარა და გულში გავიფიქრე: „ყოჩაღ თევზაძე, მაინც მოუხერხებია რაღაც!“ მაგრამ შტაბში რომ მივედი, შემომჩივლეს — ყუმბარებისა და საჭმლის მაგიერ, შეცდომით (?) ერთი კამიონი ძველი შინებით მოგვივიდაო“, და საწყალი გაყინული იუნკრებიც, ისევ ცივი ჭადით ილოღნებოდნენ“ (იქვე,

გვ. 303-305).

„24 თებერვალს, განთიადისას, მე, ლელი ჯაფარიძე და გრიგოლ ვეშაპელი, ავტომობილით გავემგზავრეთ სოღანლუღის ფრონტზე, გამარჯვებულ მაზნიაშვილთან, რომელმაც წინა დღეებში სასტიკი მარცხი მიაყენა რუსებს და 1600 ტყვე გამოგზავნა თბილისში. სწორედ 18-ს და, შეიძლება ამიტომ (?) გასცა ბრძანება ჟორდანიამ — ევაკუაციისა... ვაი, თუ ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვოსო?!..

„სოღანლუღის ფრონტზე“ უცნაურობანი ვნახე. ჯერ ერთი, „შტაბში“, — რკინის გზის (?), თუ რაღაც მინაგვარ შენობაში, „მეისრეებისათვის“ რომ აშენებენ, ყუმბარა ჩამოვარდნილა, რის გამოც შეშინებული ჯარისკაცები აქეთ გამორბოდნენ. აი, თქვე ლაჩრებო, მაშ ფრონტზე ვაშლებს ხომ არ ჩამოყრიდნენ-მეთქი და გავემართე მაზნიაშვილის შტაბისაკენ. დავინახე გენერალი მაზნიაშვილი, აჩქარებით გამოსული, რაღაც დაკეცილი ქაღალდის ქნევით ჰაერში: აბა ჩქარა, ერთი ცხენი მიშოვეთ, შიკრიკი უნდა გაიგზავნოს შავნაბადაზე!“

შეიქნა რაღაც ჩოჩქოლი... სადა გვყავს ცხენები? — აგერ ცხენები... ეგ გვარდიისაა, ჯარს არ ეკუთვნის და სხვა... ჩემი თვალით ვხედავდი ათიოდე მშვენიერ ცხენს, დაბმულს შორიახლოს ფარდულში, ფრუტუნით ქერსა და თივას რომ სჭამდნენ, მაგრამ, — მტკვრის გაღმა და გამოღმა რამდენიმე ვერსის ფრონტის სარდალს, გენ. მაზნიაშვილს, არა მარტო შიკრიკისათვის, თავისთვისაც არა ჰყავდა ცხენი... რომ „ეკუნკულნა“ ფრონტებს შორის.

გაიმართა ხვეწნა-ჭიდილი-ვაჭრობა ფრონტის უფროსსა და გვარდიის „წარმომადგენელს“ შუა, და, რის ვაი-ვაგლახით „კომპრომისით“ გათავდა: გვარდიელის ცხენზე შესხდნენ ორნი, — ერთი გვარდიელი და ერთი ჯარისკაცი, შიკრიკი მაზნიაშვილისა საჩქარო ქაღალდით და წავიდნენ“ (იქვე, გვ. 306-307).

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის კამათიც, რომელიც გაიმართა ჯარის სარდალსა და რიგით გვარდიელს შორის: სარდალი ეფიცება გვარდიელს — „ცხენს ერთ საათში დაგიბრუნებთ! — არა, ეს გვარდიის ცხენებია, თქვენ საკუთარი უნდა გყავდეთ! — კაცო, რა დროს მაგაზე დავაა, საჩქარო საქმეა! — გვარდიის შტაბი ნებას არ იძლევა ჩვენი „ინვენტარისა და იარაღის თხოვებაზე“... და ასე გაუთავებლად (იქვე, გვ. 307)...

ახლა კვლავ მაზნიაშვილს მოვუსმინოთ იმ უპასუხისმგებლობის შესახებ, რასაც მთავრობა და თბილისში მყოფი შტაბი იჩენდა ფრონტებზე მებრძოლი ჯარისა და მისი მეთაურების წინაშე, და საერთოდ, იმ ფაქტის შესახებ, თუ ხელისუფლების უთაობითა, თუ აშკარა მავნებლობით როგორ იყო მოშლილი ყველაფერი: „ომის დაწყების პირველ დღეებიდან თბილისის დაცლამდე, მებრძოლ რაიონებს მოწინააღმდეგის შესახებ შტაბი არავითარ ცნობებს არ აწვდიდა... ჩემს განკარგულებაში არ იყო კავალერიის არცერთი ნაწილი, რომ შეძლება მქონოდა გამეგზავნა მტრის ბანაკის დასაზვერად“ (გვ. 11). „ჩემს განკარგულებაში არ იყო არცერთი ცხენოსანი კაცი, რომელიც შემეძლო გამეგზავნა მოხსენებით შტაბში, თუ ვინიცობაა ტელეფონის ქსელი გაფუჭდებოდა, ამ დროს კი შტაბში გარდა ცხენოსან ორდინარცებისა იდგა რამდენიმე ავტომობილი“ (გვ. 174). „ლაშქრის შტაბმა, არ ვიცი რა მიზეზით, საჭიროდ არ ჩათვალა გამოეგზავნა ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი მაინც, ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს სოფელ ლილოსთან სრულიად უსაქმოდ“ (გვ. 166). „მაშინ, როდესაც დ. ჭავჭავაძე რეკვიზიციის სახით ჰკრებდა დანჯღრეულ უნაგირებს ქუთაისში და სამტრედიაში, ნავთლუღის საწყობებში იყო თურმე რამდენიმე ათასი საკავალერიო ახალი უნაგირი და ცხენის სხვა მრავალი მოწყობილობა.

შემდეგში საპატიმროში, პირადათ გოგუას და მთავრობის ზოგიერთ დარჩენილ წევრთ ხშირად ვეკითხებოდი: როგორ მოხდა, რომ საწყობებში დაგროვილი იყო აუარება ქონება, მთარობას კი პოზიციებზე გამოჰყავდა ცუდად ჩაცმული ჯარისკაცები, ხოლო სამობილიზაციო პუნქტებს ხშირად უარს ეუბნებოდნენ საჭირო საგნების გაცემაზე?

მთავრობის წევრნი, ჩემს შეკითხვაზე მომეტებულ შემთხვევაში სდუმდნენ, ხანდახან კი იტყოდნენ: შემდეგში, როდესაც ისევ ხელისუფლებას დავიბრუნებთ, ამგვარი რამ აღარ განმეორდებაო“. ასეთივე დურაქულ პასუხს იძლეოდა თურმე კალისტრატე გოგუა: „ვცდილობდით ეს ქონება შეგვენახა, რომ დიდხანს გვყოფნოდაო“ (გვ. 169-170).

რა უნდა უწოდო ასეთ ხელისუფლებას? — შეურაცხადნი, თუ ტვინნაღრძობი იდიოტები? უბოროტესი მტერი კარზე გადგას, არ იცი ხვალინდელი დღე გაგითენდება თუ არა, — ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე სდგას, შენ კი, მთავრობა რომ გქვია, არ აძლევ ფრონტზე მებრძოლ ჯარს საწყობებში უქმად არსებულ საბრძოლო მასალას. კავალერიისათვის საჭირო აღჭურვილობას, ხოლო ჯარისკაცს ტანსაცმელს და საჭმელს, ხელმომჭირნეობის იმ მოტივით, რომ „შემდეგისათვის დიდხანს გვყოფნოდაო?“ ანდა, რა პასუხია, „შემდეგში, როდესაც ისევ ხელისუფლებას დავიბრუნებთ, ამგვარი რამ აღარ განმეორდებაო“? მიკვირს, რატომ არ მიუგო მაზნიაშვილმა ოჩოპინტრე მოკამათეებს — ქვეყნის გამაუბედურებელო უბადრუკებო — ვინ დაგაბრუნებთ ხელისუფლებაში?!

აქვე მინდა მკითხველს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტზე მივუთითო იმ გასაგონადაც, ვინც თვლის, რომ მაინც არაფერი გამოვიდოდა რუსის ჯართან ბრძოლაში დიდი წინააღმდეგობის გაწევით, რადგან, კიდევაც რომ დაგვემარცხებინა მე-11 არმია, ახლა აგერ სხვა არმიები მოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობადო.

კი მაგრამ, რუსეთის მთავრობამ, იგივე საქართველოსოდენა ფინეთს, ანდა უფრო პატარა — ბალტიისპირა ქვეყნებს რატომ არ შეუსია რუსის ჯარი?! იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ლენინმა აღნიშნულ ქვეყნებში, არათუ ვერ იპოვა დასაყრდენი — მე-5 კოლონა, ბოლშევიკ-ნაძირალათა სახით, არამედ პირიქით, ლენინმა იქ ნახა ერთ მუშტად შეკრული ხალხი მტკიცე ხელისუფლებით და შესაფერისი თავდაცვისუნარიანობით, რის გამოც ლენინმა ვერ გაბედა მათ ქვეყნებში შეჭრა. ყველამ კარგად იცის, თუ რა

დღე აყარა რუსის ჯარს პილსუდსკის პოლონეთმა. ყველამ კარგად იცის ისიც, რომ ლენინი საქართველოსგანაც მსგავს წინააღმდეგობას მოელოდა და იმიტომ ვერ რისკავდა დიდხანს მასთან ომის წამოწყებას. იგი მას შემდეგაც ორჭოფობდა, როცა სტალინი და ორჯონიკიძე პირიქით, საქართველოს სისუსტეზე მიუთითებდნენ და მისი წრაფი მოხრჩობის იმედს აღუთქვამდნენ, თუკი მათ ნებას დართავდა იქ ჯარებით შესევაზე.

ამიტომ ლენინმა საქართველოს შინაგანი მდგომარეობის, უპირველეს ყოვლისა კი მისი საბრძოლო მზადყოფნის დეტალური ცნობების მიღების მიზნით, საქართველოსთან გააფორმა ფიქტიური სამშვიდობო ხელშეკრულება, საელჩო დააკომპლექტა 400-კაციანი მზვერავ-ჯაშუშებით, და როდესაც მათ მიერ მიღებული ცნობების საფუძველზე დარწმუნდა ჟორდანიას ხელისუფლების უსუსურობაში, საბრძოლო უუნარობაში და ქვეყანაში არსებულ ანარქიაში, მხოლოდ მას შემდეგ დართო ნება ქართველ გარეწრებს — სტალინსა და ორჯონიკიძეს, შესეოდნენ საქართველოს რუსული არმიებით.

ახლა მე გეკითხებით: საქართველოს რომ ჰყოლოდა ჯერ ის ორი რკინის დივიზია, რომლის შეიარაღებას უფასოდ სთავაზობდა ჯერ გერმანია და მერე ინგლისი, — ამასთან, რაც მთავარია, მთავრობას რომ შეექმნა 67000-იანი არმია, რომლისთვისაც საჭირო ბიუჯეტი 1919 წელს „დამფუძნებელმა კრებამ“ დაამტკიცა, მაგრამ ხელისუფლებამ სადღაც გააქრო, ლენინი ჩვენთან ომს გარისკავდა?

არა, ვერ გარისკავდა! მაგრამ, ვთქვათ და ეს ომი მაინც წამოეწყო — თუკი ცუდად შეიარაღებულმა, ხელისუფლების მიერ გერად მიჩნეულმა ერთმა მუჭა ჯარმა სოღანლუღის ფრონტზე, სადაც ამ ჯარის სარდალ მაზნიაშვილს არა თუ უსაჭიროესი კავალერია, არამედ ერთი ცხენიც არ ჰყავდა თავისთვის, და მაინც ჩვენმა გმირმა ჯარისკაცებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი და 1600 მათი ჯარისკაციც ტყვედ ჩაიგდეს, რა დღეს დააყენებდნენ, ამ ჩვენს შესანიშნავ სარდალს ზემოთხსენებული რაოდენობის ჯარი რომ ჰყოლოდა სათანადო შეიარაღებით?

აი, თვითონ გენერალი მაზნიაშვილის საწუხარი სიტყვები, რასაც გადმოგვცემს სოღანლუღის ფრონტზე ჩასული პარლამენტარი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან რ. გაბაშვილი თავის მემუარებში: „აი, ხომ ხედავთ, რა პირობებში გვიხდება ომი, ვეხვეწებით, ერთი ცხენი მაინც გამომიგზავნონ ასეთ საჭიროებისათვის (ლაპარაკია იმაზე, გვარდიელი ცხენს რომ არ ათხოვებდა ფრონტის სარდალს შიკრიკის გასაგზავნად), შემდეგ გამიყარა ხელი მაზნიაშვილმა და წამიყვანა იმ ადგილების საჩვენებლად, სადაც წინა დღეებში ქართველმა მებრძოლებმა სასტიკი მარცხი მიაყენეს რუსებს. აი, ამ სანგარში შემოიჭრა მტერი, მაგრამ დახოცეს, დასჭრეს, გაჰყარეს და ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. ორიოდე ცხენოსანი ესკადრონი რომ გვყოლოდა, გაქცეული მტრების სადევნელად, სულ გავანადგურებდით და ათასობით კიდევ მეტს ტყვეებს ჩავიგდებდით ხელშიო... შემდეგ მითხრა: გადაეცით თბილისში, რომ არაფერი საშიშო არ არის, ფრონტი მთლიანად გვიჭირავს, და თუ დაპირებულ ბატალიონს

დააჩქარებენ, კიდევ დიდხანს ვერას დაგვაკლებენ ეს უნიფხვო ბოლშევიკებიო.

ისე დამშვიდებული წამოვედი, რომ ნასადილევს, დაქანცულს, დამეძინა და მარტო საღამოს 9-საათზე მივედი „ფრასკატი“-ში, ახალი ამბების გასაგებად. ვლაპარაკობდით ომიანობაზე, რომ შემოვარდა ვეშაპელი და გამოგვიცხადა: „ბრძანებაა გაცემული, 12-საათზე ღამე იხსნება ფრონტი და თბილისსა ვტოვებთ!“-ო.

— როგორ, რათა, ვისი ბრძანებაა? დილას ფრონტზე მაზნიაშვილი მარწმუნებდა, არაფერი საშიშროება არ არისო და რა მოხდა ამის შემდეგ? — მთავრობის დადგენილებაა... და, ხეირიანადაც აღარ აგვიხსნა, ისევ გავარდა.

ისეთი თავზარ-დამცემი ამბავი იყო მორალურად, რომ არა გვჯეროდა, მაგრამ ჩაბნელებული, უკვე მიძინებული — მიწყნარებული თბილისი, საიდანაც მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალხის გაუფრთხილებლად, — მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა“ (იქვე, გვ. 307-309).

ახლა მოვუსმინოთ თვით გენერალ მაზნიაშვილს. თბილისის უბრძოლველად დატოვების „ამ ბრძანებამ ძალიან გამაკვირვა და გამაოცა. 12-საათამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წუთი. რამდენიმე წუთის შემდეგ გუდა-ნაბადი უნდა აგვეკრა და გავქცეულიყავით თბილისიდან.

ჯერ კიდევ 24 თებერვალს საინტენდანტო და საარტილერიო საწყობებმა მოზიდეს ჩემს რაიონში სანოვაგისა და ვაზნების უამრავი მარაგი და... უცბად უკან დახევა სატახტო ქალაქიდან! ეს საშინელება იყო. რა მოხდა? რაში იყო საქმე?

ყველაზე მეტად მე ერთი გარემოება მაოცებდა: თბილისის დაცლა ისეთი დიდი საკითხია, რომ მისი გადაწყვეტა ასე მოჩქარებით, ასე დაუფიქრებლად ვერაფრით ვერ ამეხსნა.

იმ კრებაზე, რომელზედაც ეს გადამწყვეტი დადგენილება მიიღეს, არამც თუ არ მიგვიწვიეს ჩვენ, ფრონტის უფროსები, რომლებიც ფრონტს თვალით დავყურებდით, რომლებმაც კარგად ვიცოდით მოწინააღმდეგისა და ჩვენი ძალები, მათი და ჩვენი სულიერი განწყობილება, არამედ არცკი შეგვეკითხნენ, ჩვენი აზრის მოსმენა არცკი ინებეს.

ქალაქიდან ოთხივე ფრონტი დაშორებული იყო, ზოგი ორ ვერსზე, ზოგი სამზე და ზოგი ხუთზე. ძნელი იყო ჩვენი დაბარება? ავტომობილებით ხომ ოთხივე ფრონტის უფროსი 5-წუთში მოვიდოდით შტაბში! “ (იქვე, გვ. 174-175).

ასე სამარცხვინოდ ომის დამთავრებას, არცთუ დაუძლეველ მტერთან და თბილისის უბრძოლველად დატოვებას, ნოე ჟორდანია თავის მემუარებში, მის მიერვე დანიშნულ მთავარსარდალს — გენერალ კვინიტაძეს აბრალებს, კვინიტაძე კი, ალბათ, ჟორდანიას (მე არ ვიცნობ მის მემუარებს), მაგრამ სინამდვილეში მთავარსარდალიც მთხლე აღმოჩნდა და ოჩოპინტრე ჟორდანიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თვით ცნობილი ისტორიკოსი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი,

რომელიც მენშევიკური ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომათა თუ აშკარა დანაშაულობათა სერიალების უშუალო მოწმე იყო, ამ მარცხისათვის პირდაპირ პასუხისმგებლობას აკისრებს მენშევიკურ ხელისუფლებას, არა მარტო ქვეყნის მართვის საქმეში სრული უნიათობისათვის, არამედ მარქსისტულ-კოსმოპოლიტური კურსისათვის, რითაც ამ ხელისუფლებამ ქართველობაში, ნაცვლად სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადებისა, მავნე ინდიფერენტიზმს მისცა გასაქანი.

აი, რას წერს ამის შესახებ ზ. ავალიშვილი: „მშობელი ერისა და შემოსეულ უცხოელის უკანასკნელ წამში დაპირისპირება, უეცრად გადასვლა საერთაშორისო სოციალისტური ყრილობების კილოდან მამულიშვილურ და ეროვნულ პათოსის ენაზე — უკვე დაგვიანებული და უიმედო საქმე იყო, 1918 წლიდან რომ მიეღოთ ამ მხრით სრულიად საშუალო სახელმწიფოებრივი ზრუნვა, ასეთი უეცარი და უშედეგო ფერისცვალება აღარ იქნებოდა საჭირო“ (ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა, გვ. 6).

რაღა შორს წავიდეთ, თვით ერთ-ერთმა ცნობილმა მენშევიკმა — პეტრე გელეიშვილმა აი, რა უპასუხა მტრის შემოსევითა და ქართველ ხელისუფალთა უცხოეთში გაქცევით შეცბუნებულ მუშებს, როცა მათ ჰკითხეს: „— ამხანაგო პეტრე, ეს რა ამბავია, რავა იქნება ეხლა საქმე? რა გვეშველება? „ამხანაგმა“ პეტრემ ნერვიული გაბრაზებით შეჰყვირა: — გამიჭირეთ საქმე, ყველგან მაგას მეკითხებიან: „რა მოხდა, რა მოხდა?!-ო, რა მოხდა? რაზე ღელავთ?: ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის, სხვა არაფერი, საღელავი რაა?“ (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები, გვ. 324).

ეხლა კვლავ ზ. ავალიშვილს მოვუსმინოთ. იმ ბოროტმოქმედების შესახებ, რაც ჩადენილი იქნა 1921 წელს საქართველოს მიმართ, ასეთ განმარტებას იძლევა ზ. ავალიშვილი: „როცა 1921 წელს, თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში, საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა — საბჭოთა ხელისუფლებამ — სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა, რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა მასზე არა ნაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ“ (იქვე. გვ. 7).

დაბოლოს, ზ. ავალიშვილი ასე აგვიწერს 25 თებერვლის დღეს, უბოროტესი მტრის ჯარების შემოსვლას თბილისში, რომელსაც არნახული სისხლისღვრა უნდა მოჰყოლოდა ქვეყანაში: „25- თებერვალს, 1921 წ., საბჭოთა ჯარები შედიოდნენ თბილისში; წინ მოუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ-კომისართაგანი. მას გვერდით უხილავათ მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი, და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი“ (იქვე, გვ. 243).

„1921 წლის 25-თებერვალი უმძიმესი დღეა ქართველი ხალხის მატიანეში. ამ დღიდან საქართველოს ისევ დაედგა კისერზე რუსეთის უღელი — ახალი, საბჭოთა, ანუ კომუნისტური, გაცილებით უფრო მძიმე,

სასტიკი და სისხლიანი, ვიდრე მანამდელი რუს-ხელმწიფის უღელი.

ამაოდ დაიქცა კოჯრის მთაზე და სხვაგან სისხლი ქართველი ახალგაზრდებისა, რომელთაგან ცამეტი გმირი თბილისში, ერთ საძმო საფლავში ჩააწვინა და დაიტირა ქართველმა ხალხმა“ (ლ. სანიკიძე). დარჩა მხოლოდ რუსეთის უღელი და უმწარესი ქართული სიმღერა:

სიზმრად ვნახე საქართველო, —
სისხლის ზღვაში ბანაობდა, —
დაფლეთილი მისი დროშა
კოჯრის მთაზე ქანაობდა...

საქართველო ბოლშევიკური ტირანიის უღელქვეშ (სტალინი და საქართველო)

ასე და ამგვარად, როგორც ვნახეთ, რუსული არმიების მეშვეობით საქართველოს დაპყრობისა და მოდერნიზებულ რუსულ იმპერიასთან იძულებითი გაერთიანების საქმე ითავეს და სისრულეში მოიყვანეს რუსეთში გახიზნულმა და იქ მოღვაწე გადარუსებულმა ქართველმა ემიგრანტებმა — სტალინმა და ორჯონიკიძემ. ისინი თავიდანვე მტრულად შეხვდნენ იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ამისი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ პირადად ლენინს და მის გარშემო შემოკრებილ კომუნისტებს მიზნად ჰქონდათ დასახული მთელი მსოფლიოს იძულებითი ბოლშევიზაცია, რაც უნდა განხორციელებულიყო რევოლუციური გადატრიალებების გზით, სადაც რუსეთის იმპერიას ენიჭებოდა დამრტყმელი ძალის როლი ისეთივე ჩარევებით, როგორადაც ეს განახორციელა ლენინმა ყოფილი კოლონიების იძულებითი შემოერთებით.

სინამდვილეში რუსის პირწავარდნილ შოვინისტსა და იმპერიალისტ ლენინს ამ გზით სურდა მსოფლიო რუსული იმპერიის შექმნა, რომლის პირველი იდეოლოგი გახლდათ, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის მოღვაწე სასულიერო პირი — ბერი ფილოფეი. ეს იდეოლოგია დაფიქსირებულია ამ წიგნის პირველ ნაწილში.

სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ სამშობლოს წინაშე ჩადენილი ღალატის მიზეზთა შორის არ შეიძლება გამოირიცხოს მათი კარიერისტული მისწრაფებებიც.

როგორც ცნობილია, სტალინი და ორჯონიკიძე რუსეთში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, როგორც უცხო ქვეყნის ემიგრანტები, და თუ ისინი კვლავაც ამ სტატუსით დარჩებოდნენ იქ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეუფლებოდნენ იმპერიის სამეთაურო პოსტებს. ხოლო რუსეთის კანონიერი მოქალაქის სტატუსს ისინი მხოლოდ მაშინ მიიღებდნენ, თუ საქართველო კვლავ რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდებოდა.

აი, რატომ ეჩქარებოდათ ორივეს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და რატომ ეხვეწებოდნენ ლენინს, ნება მიეცა რუსული არმიებით შესეოდნენ საკუთარ სამშობლოს.

რა თქმა უნდა, სტალინიც და ორჯონიკიძეც, საქართველოს ერთნაირი მოძულენი იყვნენ და ერთნაირად მტრობდნენ საკუთარ სამშობლოს, მაგრამ გადამწყვეტ როლს სტალინი ასრულებდა. ორჯონიკიძე, სტალინთან შედარებით, არარაობა გახლდათ, იგი სტალინის ნების უსიტყვო შემსრულებელი იყო.

სტალინის მტრობა საქართველოს მიმართ იქიდან დაიწყო, რომ ჩვენი ქვეყანა მისი ნების საწინააღმდეგოდ რუსეთს ჩამოსცილდა, ანუ, როცა საქართველომ სტალინის პირადი, კარიერისტული ვნებების

დასაკმაყოფილებლად არ გასწირა თავისი ეროვნული ინტერესები და არ თქვა უარი თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე.

რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ანექსიიდან, დაახლოებით სამი თვის შემდეგ, სტალინი საქართველოში ჩამოვიდა. თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა და ცნობილმა რევოლუციონერებმა მას საპროტესტო შეხვედრა მოუწყვეს ნაძალადევის კლუბში.

ამ შეხვედრის შესახებ მოგონება დაგვიტოვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილმა მოღვაწემ ვლასა მგელაძემ. იგი ასე მოგვითხრობს ამ შეხვედრის ამბავს: „საქართველოს დაპყრობის შემდეგ სტალინი პირველად ესტუმრა ტფილისს და ისურვა ტფილისის მუშებთან საუბარი. ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის მუშათა სასახლეში მთელი რევოლუციონური მუშათა კლასი შეიკრიბა. დარბაზში ტევა არ იყო. ეზო მშრომელი ხალხით აივსო. ჩეკისტები და გადაცმული ჯაშუშები ზღვა ხალხში დაძვრებოდნენ, მრისხანე მუშების სახეებს შემკრთალი შეპარვით აკვირდებოდნენ...

კრება გაიხსნა. სცენის კუნჭულები ჩეკისტებმა დაიკავეს... ნელის ნაბიჯით, მელურის შეპარვით სცენაზე სტალინი, თბილისის მუშების კარგა ნაცნობი სოსო ჯუღაშვილი — „კობა“ შემოიპარა, ფარდებიდან გამოძვრა... მთელი დარბაზი სამარისებური სიჩუმით, კრიჭაშეკრული ზიზღით შეხვდა... სტალინი აქ არ გავს მაღალი, საკაცობრიო იდეალით გატაცებულ მებრძოლს... იგი ნაძალადევათ იღიმება, გაუბედავათ ლაპარაკობს. მობოდიშებული კილო აქვს. ნახევრად თვალდახუჭული, შეპარვით ათვალიერებს თბილისის რევოლუციონერ მუშებს... აქ მას ყველა იცნობს, მათ ოჯახებში იმალებოდა, რამდენ დედას მისთვის საჭმელი უჭმევია, დაუმალავს, შვილივით მიუღია... დღეს კი თავისუფლება მოუსპო, სიცოცხლე გაუმწარა...

მიუხედავად ფრთხილი და მორიდებული მოხსენებისა, სტალინს სიტყვას აწყვეტინებენ. ყოველი მხრიდან უყვირიან, უსტვენენ — მოღალატევ! გამყიდველო! ამ შეძახილებით უმასპინძლდებიან მუშები. მამაკაცებს, არც ქალები ჩამორჩებიან — წყეულო! შეჩვენებულო! მელაკუდავ! — უძახიან მოხუცი დედები. სტალინი კი, ვითომც არაფერი, შეურაცხყოფას არ იმჩნევს, თავს იკატუნებს. შურისსაძიებლად სხვა დროს უცდის...“ ზოგიერთის თქმით, სტალინს აქვე განუცხადებია: „დარბაზში ვინ უსტვენდა, ძნელია მისი დადგენა, ამიტომ, დარბაზში მყოფი ყველა დაიხვრიტებაო!“

ისევ ვლასა მგელაძეს მოვუსმინოთ: „მეორე დღეს შურისძიებით შეპყრობილი, ღვარძლიანი სტალინი სასახლეში თავის ხელქვეითებს ეუბნებოდა: „თბილისს ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაესვასო“. და მაშინვე მის სისრულეში მოყვანას შეუდგნენ. მოულოდნელად ძველი მუშები დააპატიმრეს, ჩეკას სარდაფებში ჩაყარეს, პოლიტიკური მოღვაწეებით აავსეს მეტეხის საგუბერნიო ციხე. ყოველივე ქართული საქმე ეჭვის ქვეშ დააყენეს, ჯაშუშები მიუჩინეს ხალხს სამსახურში,

რკინისგზაზე, დეპო-სახელოსნოებში და თვით ოჯახებშიც-კი... მთელი ღამის განმავლობაში ჩეკის სარდაფებიდან, ციხეებიდან ტუსაღები გაყავდათ, ხელებგაკრულებს საბარგო ავტომობილებზე ყრიდნენ, ცხენოსანი რაზმით ალყაშემორტყმულებს ორთაჭალისა და საბურთალოს მინდვრებზე ხვრეტდნენ, ცოცხალ-მკვდარ დაჭრილებს ერთად მარხავდნენ...“ (გაზეთი „თბილისი“, 1990 წ. 17 ოქტომბერი, ღალატის შემდეგ... „ბელადი“ თანამედროვის თვალით). ამგვარად, სტალინმა ქართველი ხალხის ხოცვა-ჟლეტას 1921 წლიდანვე მისცა დასაბამი.

თბილისიდან მოსკოვში დაბრუნებული სტალინი ოფიციალურად აცხადებს: „სანამ საქართველო არსებობს, სოციალიმზი სასიკვდილო საფრთხეშია!“ და ამ „საფრთხის“ სალიკვიდაციოდ იგი იწყებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას — ქართული მიწა-წყლის გასხვისებას და დარჩენილის დაჩეხვას ავტონომიებად.

ამასთან, იგი ცდილობს თეორიულადაც დაასაბუთოს ქართველი ხალხის უღირსობა. აი, კერძოდ, რამხელა ღვარძლი დევს ქართველი ერის მისამართით სტალინის მიერ გამოთქმულ ცრუ ბრალდებებში და თვით ქართველი ერის უკიდურესად ყალბ და მტრულ განსაზღვრებაში: „ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან — ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“.

ჯერ ერთი, აიეტიდან და ფარნავაზიდან მოყოლებული, საუკუნეთა მანძილზე, როცა დედამიწის ზურგზე რუსის სახსენებელიც არ იყო, მაშ როგორ არსებობდა საქართველო?! ანდა, დავითისა და თამარის ეპოქაში, როგორ მიაღწია საქართველომ თავისი ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო და პოლიტიკური მასშტაბებით უმაღლეს მწვერვალს, რუსის ჩექმა რომ არ დაბრაგუნობდა ქართულ მიწაზე?!

უკიდურესი ცინიზმი, შხამი და ღვარძლია ჩაქსოვილი, აგრეთვე სტალინის იმ სიტყვებში, როცა იგი აჭარლებს აცალკევებს ქართველებისგან, არაქართველი მოსახლეობის მჩაგვრელებად გვაცხადებს ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი ტოლერანტობის მიუხედავად და შემთხვევით შეკოწიწებულ ხალხთა გროვას გვიწოდებს მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებულ სამიათასწლოვანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცივილიზაციის მქონე ქართველ ხალხს.

ამ ფაქტიდან გამომდინარე, სტალინის სიყვარული ქართველთა მხრიდან, ესაა პატრიოტიზმის მახინჯი გამოვლინება, რაც შინაარსს უკარგავს ნამდვილ, ეროვნულ პატრიოტიზმსა და თვით ერის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი თავდადებული, ნამდვილი ეროვნული მოღვაწეების მიმართ. სტალინს კი, არათუ არაფერი აკავშირებდა ეროვნულ სიყვარულთან, პირიქით, იგი ილაშქრებდა ერების არსებობის წინააღმდეგ და მოითხოვდა კაცობრიობის გაერთნაირებას ენით, ზნით, აზროვნებით, ხასიათითა და ა. შ., რაც სავსებით დაუკარგავდა ყოველ ერს საკუთარ სახეს და პირველყოფილ ჯოგად გადააქცევდა ხალხს, რომლის

დროსაც თითოეული ადამიანის საზრუნავი, ვითარცა ცხოველის, მარტოოდენ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება იქნებოდა. რა გამოლევს სათქმელს იმ ბოროტებისა და მტრობის შესახებ, რაც სტალინმა საქართველოს მიმართ ჩაიდინა, მაგრამ მოდით, მოვლენებს მივყვეთ თანმიმდევრობით.

რუსული წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობისა და მენშევიკური ხელისუფლების დამხობის შემდეგ კომუნისტები შეუდგნენ საქართველოში მანამდე არსებული დემოკრატიული სახელმწიფო აპარატის ნგრევასა და უნიტარულ-დიქტატორული სახელმწიფო აპარატის შექმნას.

მათ სავსებით მოშალეს არჩევითობაზე დამყარებული ერობები და საქალაქო თვითმმართველობები, სასამართლო ორგანოები მოსპეს, საქართველოს დამფუძნებელი კრება დაითხოვეს. ნაცვლად ამისა, შექმნეს ძალისმიერი სამმართველო აპარატი, რომელსაც „რევოლუციური კომიტეტები“ ანუ შემოკლებით „რევკომები“ ეწოდებოდათ. შეიქმნა სათემო, სამაზრო, საქალაქო და საგუბერნიო რევკომები. მის შექმნაში გამორიცხული იყო ხალხის მონაწილეობა, რევკომის თავმჯდომარეები ინიშნებოდნენ ზემოდან.

რევკომის იმდროინდელ წევრთა უმრავლესობა სრულიად შეუფერებლები იყვნენ დაკავებული თანამდებობისათვის. ბევრ მათგანს არ გააჩნდა ელემენტარული განათლებაც-კი. ისინი ინიშნებოდნენ ძირითაად კომუნისტური ხელისუფლებისადმი ერთგულების ნიშნით — ვინც ჯერ კიდევ რევოლუციამდე ცნობილი იყო ტერორისტული აქტებით, ხოლო ახლა თავს იჩენდნენ უკმაყოფილო ხალხის დაბეზღებებით. ამგვარად, რევკომებში აღმოჩნდნენ ყოფილი ბანდიტური დაჯგუფებების წევრები — კერძოდ, ისეთები, როგორიც იყო „წითელი რაზმელები“, „ტყის ძმები“ და სხვა. მაგალითად, ფილიპე მახარაძის რეკომენდაციით, მუხრანის რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნა იმ ხანად სპარსეთიდან დაბრუნებული აქტიური წითელრაზმელი, ილიას მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი, რომელიც შემდეგ, კვლავ ფილიპეს წარდგინებით ინიშნება თბილისის ღვინის ქარხნის დირექტორად.

საქართველოს რევკომი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ საქართველოს დაპყრობის წინა დღეებში — 1921 წ. 16 თებერვალს ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, შალვა ელიავას, ალექსანდრე გეგეჭკორის, ა. ნაზარეთიანის, ბესარიონ კვირკველიას და სხვათა შემადგენლობით. საქართველოში კომუნისტების გახელისუფლების შემდეგ რევკომების უმთავრეს მიზანს შეადგენდა დაეთრგუნათ რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალები და განემტკიცებინათ კომუნისტური წესწყობილება. რევკომების ხელში ერთიანდებოდა მმართველობის მთელი სისტემა — სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება.

რევკომები, როგორც ითქვა, შემოღებული იყო საგანგებო ღონისძიებისათვის, რომელსაც უნდა განემტკიცებინა ბოლშევიკთა ძალაუფლება და შეემზადებინა პირობები საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ერთი სიტყვით, ეს იყო გარდამავალი ღონისძიება. რევკომებმა ეს მისია წარმატებით შეასრულეს. დათრგუნეს, დაატერორეს, დაამონეს ხალხი და აი, უკვე საქართველოს დაპყრობის წლისთავზე 1922 წ. 25 თებერვალს შეიკრიბნენ საბჭოების ყრილობაზე, რომელსაც გზა დაუთმო რევკომებმა.

ყრილობამ მიიღო პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელშიც უშურველად იყო დახვავებული ადამიანის „დემოკრატიული უფლებები“ ყველაფრის ამტან ქაღალდზე. შეიქმნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი — „ცაკი“, ანუ უზენაესი საბჭო, რომლის პირველ თავმჯდომარედ დასვეს ერთ-ერთი ხანდაზმული რევოლუციონერი მიხა ცხაკაია. ეს ის მიხაა, რომელმაც ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე დიდის პათოსით განაცხადა: კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტებს სურთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის დამხობა, მაგრამ ვერ ეღირსებიან! პირიქით, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო გაძლიერდება და გაფართოვდება — თუ დღეს საბჭოთა კავშირი დედამიწის ერთ მეექვსედს მოიცავს, მალე ერთი მეათედი გავხდებითო! „ცაკი“, ანუ შემდეგ უზენაესი საბჭო იყო საკანონმდებლო ხელისუფლების კარიკატურა.

შეიქმნა აღმასრულებელი ხელისუფლებაც — სახალხო კომისართა საბჭოს სახელწოდებით. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ფილიპე მახარაძე, საგარეო საქმეთა კომისრად მ. ორახელაშვილი, შინაგან საქმეთა კომისრად ბ. კვირკველია და სხვ.

სინამდვილეში საქართველოს ეგრეთწოდებული ხელისუფლება იყო მოსკოვის მარიონეტი და მის დიქტატს ექვემდებარებოდა. კერძოდ და უშუალოდ საქართველოს კრემლიდან მეურვეობდა სტალინი, კვლავაც სერგო ორჯონიკიძეზე დაყრდნობით, რომელიც „კავბიუროს“ ედგა სათავეში. ამ ორმა კაცმა დაიწყო აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული ნგრევა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ლენინი მამა აბრამის ბატკანი იყო, მაგრამ ამ ბოროტულ საქმეში ეს ორი ქართველი „ინოროდცი“ ლენინზე უფრო მეტ რუსობას იჩენდა. მაგალითად, „ავტონომიზაციის“ ყბადაღებული იდეის ავტორი იყო არა ლენინი, არამედ სტალინი. მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოვახსენებ მკითხველს.

სტალინმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ნგრევა დაიწყო, პირველ რიგში, ქართული მიწა-წყლის გაჩუქებით. უნდა ვიცოდეთ, რომ თვით ლენინი ტერიტორიული მოწყობის საკითხს — ავტონომიების ჩამოყალიბებას და თვით ტერიტორიების ჩამოჭრას და ა. შ. სტალინთან ერთად წყვეტდა, რამეთუ იგი იყო ეროვნებათა საქმეების კომისარი.

აი, კერძოდ, როგორ გაიცა ლენინისა და სტალინის მიერ საქართველოს ძირძველი მიწა-წყალი: 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის ყარსის ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი), ასევე, ართვინის და არდაგანის ოლქები, რომელთა ტერიტორიული მოცულობა შეადგენდა 10-ათასამდე კვადრატულ კილომეტრს 160 ათასი მცხოვრებით.

რაც შეეხება შინაური მეზობლების — სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის დაჯილდოებას ქართული მიწა-წყლით, ეს უშუალოდ სტალინმა და ორჯონიკიძემ განახორციელეს. კერძოდ, იმავე 1921 წელს სომხეთს გადასცეს ლორე-ალავერდის მხარე, სულ 2367 კვადრატული კილომეტრი 38-ათასი მოსახლით. 1922 წელს აზერბაიჯანს გადასცეს ზაქათალის ოლქი (ისტორიული საინგლო), გარეჯის ველი და ყარაიაზის სექტორი, ელდარი — 4553 კვადრატული კილომეტრის ფართობი და 92600 მცხოვრებით. რუსეთს დაუმტკიცეს (ტერიტორიულ ნაკლებობას განიცდიდა და იმიტომ) არა მარტო ტუაფსეს აქეთ მდებარე სოჭის მხარე, არამედ აფხაზეთის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი (პილენკოვო). სულ, საქართველოს გასხვისებული ტერიტორიის ოდენობა 15 853 კვ. კილომეტრს აღემატებოდა, ხოლო მასზე მცხოვრებთა რიცხვი 292 257 სულს შეადგენდა (იხ. საქართველოს ისტორია, აკ. სურგულაძე, გვ. 245-246). აი, ვის სადღეგრძელოს ვსვამთ ქართველები ქორნილ-ქელეხებში ფეხზე ადგომით!

არაო, გვარწმუნებენ სტალინის ფანატიკოსი თაყვანისმცემლები — საქართველოსს მიწა-წყალი სტალინმა კი არა ორჯონიკიძემ გასცა ისე, რომ სტალინისათვის არაფერი უკითხავსო, ხოლო როცა ეს შეიტყო დიდმა ბელადმა, სასტიკად გაკიცხა ორჯონიკიძე, მას თითი დაუქნია ძალიან მაგრათ და თანაც დააყოლა — რატო შენი ღორეშა არ გაეციო?

პირდაპირ გეტყვით, ერი (ძირითადად სოფლის მოსახლეობა), რომელიც ასეთი ანეკდოტებით საზრდოობს, დასაღუპავადაა განწირული. არა, ბატონებო! ორივენი ერთნაირად მტრობდნენ საქართველოს, თუმცა გადამწყვეტ როლს მაინც სტალინი ასრულებდა.

სტალინმა და ორჯონიკიძემ მარტო მიწა-წყლის ჩამორთმევა როდი აკმარეს საქართველოს. ამ საქმეს რომ მორჩნენ, ანუ, უფრო სწორად, მის პარალელურად — დაიწყეს მისი ტერიტორიული დაჩეხვა.

მაგრამ ამ საკითხის განხილვამდე, მინდა ერთი ასეთი შენიშვნა გავაკეთო მკითხველის გასარკვევად. თვით ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსები, რომლებიც ადრინდელთან შედარებით რეალურად გადმოსცემენ მოვლენებს, ფაქტებს ასე აფიქსირებენ: „საქართველოს რევკომმა მიიღო!“, „საქართველოს რევკომმა გადაწყვიტა!“ და ა. შ. ვინ ჰკითხავდა საქართველოს რევკომს?! იგი საკითხებს წყვეტდა იმ დირექტივების მიხედვით, რასაც მოსკოვის ხელისუფლება, ანდა უშუალოდ სტალინი და ორჯონიკიძე კარნახობდნენ.

აი, ქართველი ხალხის როგორის აბუჩად აგდებით დაიწყეს ლენინმა, სტალინმა და ორჯონიკიძემ დანარჩენ საქართველოსთან დასაპირისპირებლად ავტონომიური ერთეულების ჩამოყალიბება.

მართალია, რუსი ბოლშევიკ-მარქსისტების განაყოფი ძმები — ქართველი მენშევიკი-მარქსისტებიც აღიარებდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ უფლებებს, ხოლო იმ დროს ჯავაში და მის შემოგარენში კომპაქტურად დასახლებული ოსებისათვის „კულტურული ავტონომიის“ უფლებებს, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით სავსებით კანონიერი იყო, რამეთუ ოსებს ჰქონდათ ჩრდილო კავკასიაში თავიანთი ისტორიული

სამშობლო და, უპირველეს ყოვლისა, იქ უნდა ეზრუნათ თავისი სახელმწიფოებრივი ერთეულის შესაქმნელად და არა საქარათველოს მიწა-წყალზე.

ლენინმა და მასთან ერთად, გადარუსებულმა ქართველმა ბოლშევიკებმა — სტალინმა და ორჯონიკიძემ კი აი, როგორის უკუღმართობით გადაწყვიტეს ეს საკითხი: 1921 წლის 21-მაისის დადგენილებით, აფხაზეთი სავსებით ჩამოაცილეს საქართველოს და იგი დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

ეს იყო გაუგონარი რამ ამ ძირძველი ქართული მიწა-წყლის მიმართ. ბოლოს, როგორც იქნა, შეიცვალა ეს გადაწყვეტილება და 1921 წლის 16-დეკემბრის ხელახალი განჩინებით, აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით კვლავ შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში. ასევე, აჭარასაც მიენიჭა ავტონომიის სტატუსი, რასაც საფუძვლად დაედო განსხვავებული სარწმუნოებრივი ფაქტორი, რაც ასევე ნაკარნახევი იყო მოსკოვ-ანკარის გარიგებით.

გაცილებით უფრო უსამართლო იყო ეგრეთწოდებული „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ერთეულის შექმნა ზემო ქართლის, ანუ ისტორიული დვალეთის მიწა-წყალზე, მაშინ, როცა იქ თითო-ოროლა ოსური ოჯახიღა თუ ბოგინობდა. საქმე ის გახლავთ, რომ 1920 წლის აჯანყების უსასტიკესი ჩახშობის შემდეგ, რასაც სავსებით იმსახურებდნენ ოსები მათი ავანტიურისტული მოთხოვნების — ამ მხარის საქართველოდან ჩამოცილებისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების საპასუხოდ. მათი უმრავლესობა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ ოსეთში გადაიხვეწნენ. ამის გამო იმ დროს არავითარი საფუძველი არ არსებობდა ამ ტერიტორიაზე ოსური პოლიტიკური ერთეულის შესაქმნელად. ამის მიუხედავად სტალინმა და ორჯონიკიძემ მაინც შექმნეს აქ „სამხრეთ ოსეთის რევკომი“.

კურიოზი ის იყო, რომ შეიქმნა ოსური ეროვნული ხელისუფლება, მაგრამ არ იყო იქ ოსური მოსახლეობა. ამ ვაკუუმის შესავსებად საბჭოთა რუსეთის მიერ ფინანსური და სხვა სახის დახმარებით უკან დააბრუნეს ერთის მხრივ დვალეთიდან გახიზნული ოსები, მაგრამ რამდენადაც ეს არ იყო საკმარისი რეგიონში ოსური უმრავლესობის შესაქმნელად, თვით ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი მოსახლეობაც ჩამოათესლეს სამაჩაბლოში. ამის გარდა, ოსებისათვის ფართო დასასახლებელი რეგიონის შექმნის მიზნით, „სამხრეთ ოსეთს“ მიაკუთვნეს გორის, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის მაზრების 40 ქართული სოფელი. ასევე უსაფუძვლოდ დაუდგინეს დედაქალაქად ქ. ცხინვალი, სადაც იმ დროს ოთხი თუ ხუთი ოსური ოჯახი ცხოვრობდა მხოლოდ.

და აი, უკვე 1921 წლის 6-8 სექტემბერს, ზემოდან მხარდაჭერით, სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნისა და მისი „კონსტიტუციის“ დამტკიცების შესახებ. გადაწყდა ისიც, რომ ამ ნიადაგზე შექმნილ „სამხრეთ ოსეთს“ და

საქართველოს ერთმანეთთან უნდა დაემყარებინათ „ფედერაციული“ ურთიერთობა.

ამრიგად, საქართველოს და მის ერთ-ერთ ნაწილს ფაქტობრივად ერთნაირი სტატუსი ენიჭებოდათ. ოსებს ამდენი თვითნებობის საფუძველს ის აძლევდა, რომ 1920 წლიდან მოყოლებული საბჭოთა რუსეთის დაკრულზე ცეკვავდა, მის წამქეზებლურ ნებას ასრულებდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც მათგან ყოველგვარ მხარდაჭერას ელოდა.

სწორედ ამ მხარდაჭერის იმედით იყო, რომ, როდესაც 1924 წელს „ჩრდილო ოსეთის“ ავტონომიური ოლქიც შეიქმნა, 1925 წლის იანვარში ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე დაისვა საკითხი ორი ოსური ერთეულის გაერთიანების შესახებ. ეს აზრი ერთხმად მოიწონეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, მაგრამ, რამდენადაც ეს გაერთიანება საქართველოს ფარგლებში უნდა მომხდარიყო, რის გამოც რუსეთი კარგავდა ჩრდილო ოსეთის ტერიტორიას, მოსკოვმა მას მხარი აღარ დაუჭირა და დაკმაყოფილდა მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნით, საქართველოს იურისდიქციაში (იხ. ფარნაოზ ლომაშვილი, საქართველოს ისტორია 1918-1991, გვ. 68-69).

საქართველოს ისედაც მცირე მიწა-წყალზე ავტონომიური ერთეულების შექმნა იყო იმპერიალისტური რუსეთის სამსახურში მყოფი სტალინ-ორჯონიკიძის „შორსგამიზნული აქცია, საქართველოს დამოუკიდებლობის მოსალოდნელი აღდგენის საპირისპიროდ და ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მას ხანგრძლივი მოქმედების ნაღმის დანიშნულება ჰქონდა“ (იხ. აკ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 246).

ახლა სტალინმა, როგორც ეროვნებათა საქმეების კომისარმა, რა თქმა უნდა, ლენინის მხარდაჭერით, ასევე, სერგო ორჯონიკიძის თანადგომით, წამოიწყო ავტონომიზაციის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პროცესი, რომელიც მიმართული იყო ძალით შემოერთებული არარუსი ხალხის სახელმწიფოებრივი უფლების მოსასპობად და რუსულ იმპერიულ წიაღში მათ გასათქვეფად.

ამ სამეულმა განსაკუთრებით შეუტიეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს საერთოდ, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ნიშანში ჰყავდათ საქართველო, რომლის მიმართაც სტალინს თბილისში მარცხიანი ვიზიტის შემდეგ უკვე ჰქონდა გამოტანილი ასეთი განაჩენი — „საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადაიხნასო“.

სტალინის ეს ყბადაღებული ავტონომიზაცია იმას ითვალისწინებდა, რომ მანამდე რუსეთთან „სამოკავშირეო ხელშეკრულებებით“ დაკავშირებული რესპუბლიკები ახლა უშუალოდ უნდა შესულიყვნენ რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით, და ამგვარად შექმნილიყო ერთიანი და განუყოფელი რუსეთის ფედერაციული სახელმწიფო.

უპირველეს ყოვლისა, ჯერ შექმნეს ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება, რომელშიც შეიყვანეს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, ხოლო შემდეგ ისინი ჯოგურად შერეკეს რუსეთის ფედერაციაში. ამ ვანდალისტური პოლიტიკით უაღრესად დაამცირეს თითოეული ქვეყნის ეროვნული თავმოყვარეობა და მისი არსი, რამეთუ ამ ფედერაციაში ჩაკარგეს თითოეულის ეროვნული სახელმწიფოებრიობა და მისი ეროვნული ვინაობა. ფედერაციის დედაქალაქად თბილისი გამოაცხადეს. აქ იყო თავმოყრილი ფედერაციის მმართველი ორგანოები, სადაც მართვა-გამგეობა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს კი ხელს უწყობდა საქართველოს ისტორიული დედაქალაქის გარუსება-გადაგვარებას.

სტალინის მიერ წამოწყებული ავტონომიზაციის პოლიტიკას წინ აღუდგნენ ქართველი ბოლშევიკები — ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვები, ანუ ისინი, ვინც ცოტა ხნის უკან წინ მოუძღოდნენ რუსის ოკუპანტებს. ამიტომ მათი მიჩნევა პატრიოტ-მამულიშვილებად ყოვლად გაუმართლებელია. ისინი, უბრალოდ, წინ აღუდგნენ ავტონომიზაციას იმ პრინციპით, რომ რამდენადაც ამის შედეგად იქმნებოდა რუსეთის უნიტარული სახელმწიფო, სადაც არარუსული რესპუბლიკები მისი უბრალო პროვინციების მდგომარეობაში ექცეოდნენ, ამ შემთხვევაში კარგავდნენ ისინი ადგილებზე ძალაუფლებას და ცენტრის ნება-სურვილის შემსრულებელ მარიონეტებად იქცეოდნენ.

ასე რომ, მათი გამოსვლები ავტონომიზაციის წინააღმდეგ გამოწვეული იყო არა მამულიშვილური გულშემატკივრობით, არამედ უფლებრივ-თანამდებობრივი ამბიციებით. ასე რომ არ ყოფილიყო, განა ისინი თავის დროზე ილიას და მის ეროვნულ კურსს დაუპირისპირდებოდნენ და რუსის ბოლშევიკებს დაუდგებოდნენ გვერდში?

მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცენტრმა თავისი გაიტანა, ხოლო სტალინმა ისინი ნაციონალ-უკლონისტებად მონათლა და შემდეგში ყველანი დახვრიტა.

აი, კონკრეტულად ვინ მოჰყვა სტალინის ხორცსაკეპ მანქანაში: მ. ორახელაშვილი და მისი ცოლი, ბუდუ მდივანი, მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე (1924 წლის „გმირი“), ს. მამულია, თ. ჟღენტი, მ. ტოროშელიძე, ვ. აღნიაშვილი, შ. მათიკაშვილი, გ. დევდარიანი, გიორგობიანი, გოგლიძე, კეკელია, ბედია, ალავერდაშვილი, ხანეიშვილი, ქართველიშვილი, ელიავა, კილაძე, ჟორჟიკაშვილი, ლორთქიფანიძე, ჟორჟოლაძე, კანდელაკი, კუჭაიძე; გენერლები — თუხარელი, ქუთათელაძე, ბუაჩიძე, მიროტაძე...

ლენინმა კი გაუმართლებლად ჩათვალა შემდგომისათვის რუსეთის სახელწოდების მქონე იმპერია, რამდენადაც მასში აშკარად ჩანდა რუსეთი, როგორც დანარჩენი რესპუბლიკების ზემდგომი, დამპყრობელი ძალა, რის გამოც შეუცვალა მას სახელი და ეს ახალი იმპერიული გაერთიანება შენიღბა „საბჭოთა კავშირის“ სახელწოდებით.

1924 წლის სახალხო აჯანყება

ვიდრე აჯანყების დეტალებზე ვისაუბრებდეთ, მინდა დავსვა კითხვა, რომელიც აუცილებლად აღეძვრება მკითხველს: რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკებს შორის, ან თუნდაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, რატომ მხოლოდ საქართველოში მოხდა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება და სხვაგან არსად?! მე პირადად, იმ აზრისა ვარ, რომ იგი წინასწარ, შეგნებულად შეამზადეს სტალინმა და ორჯონიკიძემ იმ მუქარის განსახორციელებლად, რომლის შესახებაც ღიად განაცხადა სტალინმა თბილისში მარცხიანი ვიზიტის შემდეგ — „საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადაიხნასო“.

ბუნებრივია, იგი საქართველოს ვერ გადაუვლიდა მშვიდობიან პირობებში. ამისათვის მას სჭირდებოდა ხელშესახები მიზეზი. საჭირო იყო საზოგადოების გამოწვევა. ეს კი შეიძლებოდა, უპირველეს ყოვლისა, გაუსაძლისი სოციალური პირობების შექმნით, ერის უფლებების შებღალვით, მისი სახელმწიფოებრივი ნგრევით და ყოვლად უსაფუძვლო რეპრესიებით.

ფაქტია, რომ რუსეთის განახლებულ იმპერიაში ძალით შეთრეულ რესპუბლიკებს შორის არც ერთს არ მოქცევიან ისე მტრულად ეს ორი გარეწარი, როგორც ისინი მოექცნენ საქართველოს. მათ მხოლოდ საქართველოს, და სხვას არავის, ჩამოაჭრეს ძირძველი ვეებერთელა მიწა-წყალი და მის მეზობლებს გადაუნაწილეს. ქვეყანას წაართვეს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება და მისი ვინაობა ამიერკავკასიის ფედერაციაში ჩაკარგეს. სტალინი ასე როდი მოექცა უკრაინას, ბელორუსიას და თვით პირველყოფილ დონეზე მყოფ შუა აზიის რესპუბლიკებს!

ხალხი დაბეგრეს უზარმაზარი გადასახადებით — იმას ვინ ჩივის, რომ თავადაზნაურობას და ბურჟუაზიას წაართვეს ყველაფერი, თვით გლეხობასაც ჩამოაჭრეს კუთვნილი მამულები და საკარმიდამო ნაკვეთების ამარა დატოვეს. ამის საკომპენსაციოდ, კომკავშირელ აქტივისტთა თაოსნობით, გაბოგანოებული გლეხობა მიუსიეს თავად-აზნაურობას და თვით გამრჯე გლეხთა ოჯახებს — სტაცებდნენ მათ ქონებას, ერეკებოდნენ სახლებიდან, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კლავდნენ.

საშინელ დღეში ჩააყენეს ინტელიგენცია, აუკრძალეს თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობა, მათ უნდა ეფიქრათ და ეაზროვნათ მხოლოდ საბჭოურ-კომუნისტურად. ციხეები გაავსეს პოლიტპატიმრებით, ხალხს აპატიმრებდნენ უმეტეს შემთხვევაში ეჭვის ნიადაგზე — სათანადოდ ვერ ერთგულობ საბჭოთა ხელისუფლებასო.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მოაქციეს ეკლესია, კულტის მსახურები და თვით მორწმუნე საზოგადოება. გაუქმდა 1500-ზე მეტი ეკლესია, ბევრი მათგანი საგანგებოდ, საქონლის გომურებად გადააქციეს, — საფლავებიდან ამოყარეს დიდი ეროვნული გმირების — წმინდანებად

შერაცხული ძმების — დავითისა და კონსტანტინეს ძვლები — პისტოლეტებს ესროდნენ პარტიულ-კომკავშირლები და თან ღრეჭით მიმართავდნენ იქ შეკრებილ ხალხს — აბა, ერთი რამე გვიყოსო?!

ციხეში ჩააგდეს საქართველოს დიდი პატრიოტი — ერის სულიერი მესაჭე — კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია. მას თავდაპირველად დახვრეტა მიუსაჯეს — 1922 წელს გამართული გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მიმართვისათვის, რომელშიც იგი ითხოვდა დახმარებოდნენ საქართველოს წართმეული სუვერენიტეტის აღდგენაში. მან, დასახვრეტად გამზადებულმა, ასე მიმართა კომუნისტ-ჯალათებს: „ჩემი გული ერს ეკუთვნის, სული ღმერთს, ხოლო ჩემს ხორცს რაც გინდათ ის უყავითო“.

აჯანყება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიწვიეს სტალინმა და ორჯონიკიძემ ქვეყნის უკიდურესი დამცირებით და ხალხის გაუსაძლის მდგომარეობაში ჩაყენებით. ერთსაც და მეორესაც ამოძრავებდათ ქართველი ერისადმი თითქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბიოლოგიური სიძულვილი და მზად იყვნენ მათი ნება-სურვილის დაუმორჩილებლობისათვის მოეწყოთ სისხლიანი ანგარიშსწორება და მოაწყვეს კიდევაც. როგორც ზემოთ ითქვა, მიზეზი ასეთი სიძულვილისა ის იყო, რომ ქართველობამ, არც მათი ჯოგური სოციალიზმის იდეოლოგია გაიზიარა და არც ეროვნულ დამოუკიდებლობაზე თქვა უარი რუსული ნეოკოლონიალიზმისა და მათი კარიერისტული მისწრაფებების სასარგებლოდ.

ანტიხალხური, ბარბაროსული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების დროშა პირველებმა — მთის ხალხმა — სვანებმა და ფშავ-ხევსურებმა ააფრიალეს. სვანეთში აჯანყებას სათავეში ედგნენ მოსესტრო დადეშქელიანი, ნესტორ გარდაფხაძე და ბიძინა პირველი. ფშავ-ხევსურეთში კი, რომელთაც კახეთიც მიემხრო, სათავეში ჩაუდგა განთქმული მებრძოლი და დიდი ეროვნული გმირი — ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი.

აჯანყებულებმა თავდაპირველად საგულისხმო წარმატებებს მიაღწიეს საქართველოში დაბანაკებულ რუსის ჯართან და რეჟიმის დამცველ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მაგრამ აჯანყება იმჯერად მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ გავრცელდა.

ამიტომ, როგორც საქართველოში, ასევე ემიგრანტული მთავრობის წინაშე დაისვა საკითხი, მთელი ქვეყნის მასშტაბით უფრო ორგანიზებული, საყოველთაო აჯანყების მოწყობის შესახებ. ამ მიზნით, აჯანყების სამეთაუროდ პარიზიდან საქართველოში ფარულად დაბრუნდნენ ყოფილი ხელისუფლების ცნობილი წარმომადგენლები — ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი, გ. წინამძღვრიშვილი, გ. ფაღავა, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვ.

შეიქმნა ხელმძღვანელი ცენტრი — „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ანუ „დამკომი“. ასევე, საბრძოლო ოპერაციების სახელმძღვანელოდ ჩამოყალიბდა „სამხედრო ცენტრი“ ცნობილი გენერალიტეტის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ედგა ილიას დისშვილი კოტე აფხაზი. აჯანყების მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ს. ჭავჭავაძე. პარტიზანულ რაზმებს სათავეში ჩაუდგნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და

მიხეილ ლაშქარაშვილი.

არ შეიძლება ემიგრანტულ ხელისუფლებას არ სცოდნოდა, რომ რაცარუნდა საყოველთაო ხასიათი მიეღო აჯანყებას, მაინც ვერ შესძლებდნენ საქართველოში დაბანაკებულ რუსის ჯართან გამკლავებას. მათ ისიც კარგად მოეხსენებოდათ, რომ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მრავალი ცდის მიუხედავად, ევროპა მათ თხოვნას — ეკისრათ საქართველოს მფარველობა, არ გამოეხმაურნენ — საქართველო არც ერთალიგაში მიიღეს, საბჭოთა რუსეთის ხათრით, და არც რომელიმე დიდმა ქვეყანამ იკისრა მისი დაცვა ბოლშევიკური აგრესიისაგან, კვლავ საბჭოთა რუსეთის მორიდებით. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს აგრესია განხორციელდა და ისინი უცხოეთში გაიხიზნენ, მრავალი ცდის მიუხედავად, ევროპამ, გარდა სიტყვიერი თანაგრძნობისა და რუსეთის მიმართ საპროტესტო განცხადებისა, არც ამჯერად არ გაუწევია საქართველოსთვის რეალური დახმარება. ის კი არა, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები გენუის კონფერენციაზეც-კი არ დაუშვეს.

მაშ, რას ეყრდნობოდნენ მენშევიკები, როცა ისინი ხალხს საყოველთაო აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ? როგორც ცნობილია, პარიზში გახიზნული საქართველოს ხელისუფლება ევროპას უმტკიცებდა, რომ რუსეთმა საქართველო დაიპყრო წითელარმიელთა შემოსევით! ლენინის ხელისუფლება კი ამას უარყოფდა და თავის მხრივ იმას ამტკიცებდა, რომ მენშევიკურ მთავრობას თვით საკუთარი მოსახლეობა აუჯანყდა, ხოლო ჩვენ, ქართველი ხალხის თხოვნით, ძმური დახმარება გავუწიეთ აჯანყებულებს წითელარმიელთა მცირე კონტინგენტითო.

ამ სიყალბის გასანეიტრალებლად, მენშევიკები ფიქრობდნენ: როგორც-კი საყოველთაო აჯანყებით დავანახებთ ევროპის ქვეყნებს ქართველი ხალხის ნამდვილ პოზიციას, ისინი დაუყოვნებლივ აისხავენ იარაღს და მოგვეშველებიან საქართველოდან რუსი ოკუპანტების გასარეკადო. ისინი ამაში არა მარტო თავად იყვნენ დარწმუნებულები, ხალხსაც არწმუნებდნენ — საცაა ევროპის სახელმწიფოთა ჯარები შემოვლენ ბათუმში ჩვენს დასახმარებლადო. ხალხის გასაბრიყვებლად სიცრუესაც არ თაკილობდნენ.

ასე მაგალითად, ხელისუფლების მენშევიკი წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ „რიზესა და ხოფას შუა სდგანან იარაღით, სურსათით და დესანტით დატვირთული გემები გენერალ მაზნიაშვილის და ნ. რამიშვილის მეთაურობით, რომლებიც ელიან მხოლოდ იმას, რომ ჩვენ დავიჭერთ ზღვის სანაპიროებს. მაშინ ისინი ჩაუდგებიან სათავეში აჯანყებულებს და თვითონ იციან, რასაც გააკეთებენო“ (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 527-528).

საერთოდ, გ. მაზნიაშვილი, ისე როგორც საზღვარგარეთ ემიგრირებული, აბსოლუტურად ყოველი პარტიის ლიდერი, გარდა მენშევიკი ლიდერებისა, სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ საქართველოში აჯანყების დაწყებისა. მენშევიკებმა ეს აჯანყება მოაწყვეს მათგან ფარულად. ძალიან საინტერესოა აზრი ამ აჯანყების კანონზომიერების

ირგვლივ, რომელსაც გადმოგვცემს თავის მოგონებებში, იმ დროს კომუნისტურ ხელისუფლებასთან ახლოს მდგომი და ბოლოს რეპრესირებული — ალექსანდრე (საშა) პაპავა. აი, რას წერს იგი: „ჰქონდა კი რაიმე გამართლება აჯანყებას? რა მიზანს ისახავდა იგი?

როგორც ჩანს, იყო ისეთი გონებადაკარგული ხალხი, რომელსაც სჯეროდა, ან იმედი ჰქონდა, რომ აჯანყების დაწყებისთანავე ინგლისი და საფრანგეთი არმიებს დაძრავდნენ შავი ზღვისაკენ და საქართველოს გაანთავისუფლებდნენ. ასეთი გონებრივი მონაცემების ხელმძღვანელები ნამდვილად ფსიქიატრიული საავადმყოფოს კანდიდატები არიან და, ჩვენდა საუბედუროდ, ერის მხსენელებად მოგვევლინენ. უნდა დაკარგო რეალობაში გარკვევის ელემენტარული უნარი, რომ ევროპის იმედით დაიწყო აჯანყება. არავითარი გამართლება არა აქვს აგვისტოს გამოსვლებს, ეს იყო ნამდვილი ავანტიურა და არსებითად მოღალატური აქტი. მას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, მსხვერპლი კი განუზომლად დიდი იყო“ (ალ. პაპავა, „სტალინი და საქართველო“, გაზეთი „მამული“, 1990 წ. №1, 29 ნოემბერი).

თუ ვისი ინიციატივით დაიღვარა მაშინ ათასობით შესანიშნავი ქართველის სისხლი, ამის შესახებაც უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის იგივე ბატონი ალექსანდრე: „იმ ზაფხულს სტალინი კისლოვოდსკში ისვენებდა. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ბ. კვირკველია... დაცვას ხელმღვანელობდა ლ. ბერია, რომელიც მაშინ საქართველოს პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე გახლდათ (ასე ერქვა მაშინ ჩეკას); უფროსი კი, ძველი ბოლშევიკი ეპიფანე კვანტალიანი იყო. სტალინი, გასაგები მიზეზების გამო, თვალყურს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

როცა ყველა სადავე ჩეკას ხელში იყო, კვანტალიანმა სტალინისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა წინაშე დასვა საკითხი პრევენტიული ზომების მიღების შესახებ, რაც აჯანყებას ჩაშლიდა. მისი წინადადება უარყვეს, გამოსვლები კი მოხდა. მაშინვე გავრცელდა ხმა, ასეთი იყო სტალინის ნებაო.

რამდენიმე წლის შემდეგ, ჯერ ბ. კვირკველიამ, შემდეგ მ. ორახელაშვილმა, აი, რა მიამბეს. ამასთან, მათი ნაამბობი სიტყვა-სიტყვით დაემთხვა ერთმანეთს: „კვანტალიანის ინფორმაციას ყველა სულგანაბული უსმენდა. მხოლოდ ორჯონიკიძე იჩენდა მოუსვენრობას. ინფორმაციის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ წინადადებამ, აჯანყების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ყველანი დუმდნენ და სტალინს მისჩერებოდნენ.

ბოლოს სტალინმა ამოიღო ენა და შეგვეკითხა, რა აზრისა ხართო. ყველამ თანხმობა განვაცხადეთ. სტალინი ადგა, გაიარ-გამოიარა, ჩიბუხი დატენა, ერთიც გააბოლა და სარკასტული ღიმილით მოგვმართა: „თქვენ თუ ასეთი ბრიყვები იყავით, ვერ წარმოვიდგენდი. როგორ შეიძლება ასეთი დიდებული შემთხვევის ხელიდან გაშვება. საქართველომ უსისხლოდ მიიღო

რევოლუცია. ახლა საბაბი გვეძლევა მას სისხლი ვადინოთ და თქვენ ასეთ სულმდაბლობას და ლაჩრობას იჩენთო. დაე, გამოვიდნენ, რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი, არავინ დაზოგოთო“. თანაც მოითხოვა, რომ გამოსვლის დღეებში არც ერთი ჩვენგანი საქართველოში არ ყოფილიყო. მან თვით დაასახელა ორი ახალგაზრდა ჯალათი, რომელთაც უნდა ეხელმძღვანელათ დამსჯელი ოპერაციისათვის. ერთი მათგანი ლ. ბერია იყო, მეორე სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღოღობერიძე. სტალინმა არჩევანი იმით ახსნა, რომ ისინი არავითარი ყალბი ტრადიციებით არ არიან დამძიმებული. უფროსებს ნახევრად მენშევიკები გვიწოდა...

ამას მოჰყვა შემზარავი ამბები: ზესტაფონის ჩიხში ყოვლად უდანაშაულო 600-800 ადამიანის ტყვიამფრქვევით დახვრეტა; ძირითადად ამოწყვიტეს დასავლეთ საქართველოს ინტელიგენცია, მრავალი ოჯახი ააწიოკეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავადაზნაურულ წოდებას ეკუთვნოდნენ. შემდეგ მასობრივი რეპრესიები, გადასახლებები და სხვადასხვა. ჯერაც დაუდგენელია მსხვერპლის საერთო რაოდენობა. ჩემი ვარაუდით, 15-ათასს აღწევს, აქედან დახვრეტილები არანაკლები 5-6 ათასისა (იხ. გაზეთი „მამული“, №1, 1990 წ. 29 ნოემბერი, ალ. პაპავა, სტალინი და საქართველო).

ბატონ ალექსანდრეს, ეტყობა, გამორჩა — იმ ორ ჯალათთან ერთად, ქართველთა ჟლეტაში ლომის წილი მიუძღვის აგრეთვე, საქართველოს იმდროინდელ პროკურორს — ტალახაძეს. კერძოდ, ის თაოსნობდა ზესტაფონის ჩიხში, ვაგონებში შემწყვდეული ხალხის ბარბაროსული მეთოდით ხოცვას. საქმე ის გახლავთ, რომ დახვრეტის მომლოდინე ხალხი ვაგონებიდან არ გამოდიოდა. მაშინ, ტალახაძემ ვაგონებს ტყვიამფრქვევები დაუდგა და ტყვიებით დაცხრილა. დახოცილთა სისხლი თურმე წკრიალით გასდიოდა ვაგონებს.

აჯანყების დაწყებამდე დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ მთელი შემადგენლობა და დახვრიტეს — მათ შორის ილიას დისშვილი, გენერალი კოტე აფხაზი. მიაგნეს და დახვრიტეს „დამკომის“ ძირითადი შემადგენლობაც — ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი და სხვები.

რადგან საბაბი მიეცათ, აჯანყებულებზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა ამოხოცეს მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე, ანუ როგორც ითქვა, იმ ბრალდებით, რომ იყო თავადი, აზნაური ანდა მღვდელი. საერთოდ, დახვრიტეს ანდა საქართველოდან ციმბირში გადაასახლეს და იქ დაასამარეს ძირითადად ელიტარული საზოგადოება.

მათ შორის აღმოჩნდა ვაჟა-ფშაველას უნიჭიერესი შვილი ლევან რაზიკაშვილიც. მისთვის სიცოცხლის შენარჩუნების თხოვნით მისულ დელეგაციას — ეგ, ვაჟა-ფშაველას შვილია და ნუ დახვრეტთო, ორჯონიკიძეს ასე უპასუხია — „ვაჟა ფშაველას შვილი კი არა, თვით ვაჟასაც დავხვრეტდით, ცოცხალი რომ იყოსო“.

დიახ, დახვრეტდნენ სტალინი, ორჯონიკიძე და სხვა მისთანა გარეწრები ვაჟა-ფშაველასაც, ილია ჭავჭავაძესაც (იგი რომ უფრო ადრე არ მოეკლათ სწორედ ამ ვანდალისტებს), აკაკი წერეთელსაც და ყველას, ვინც არ

იზიარებდა მათს მანქურთულ იდეებს, და მართლაც, განა სწორედ ამ ნიშნის მიხედვით არ ამოწყვიტეს სტალინმა და მისმა დამქაშებმა შემდეგშიც ცნობილი ქართველი მწერლები, მეცნიერები და კულტურის მუშაკები?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ აჯანყების მოწყობის ინიციატორები იყვნენ ემიგრაციაში გახიზნული მენშევიკური ხელისუფლება. მაგრამ მათ შორის უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრება ნოე ჟორდანიას. ნოე და მისი მთავრობის წევრები გემზე რომ სხდებოდნენ საფრანგეთში გასამგზავრებლად, ფიქრობდნენ, მალე უკან დავბრუნდებითო. მაგრამ მერე, საშინლად განიცდიდნენ, რომ ვერ დაბრუნდნენ. ამიტომ ავანტიურასაც არ მორიდნენ და ქართველთა სისხლით მოინდომეს დაკარგული სავარძლების დაბრუნება. თუმცა ისინი თავს როდი იმჟღავნებდნენ აჯანყებას რომ ამზადებდნენ. რის აჯანყება, რა აჯანყება, სულ არაფერი ვიცით საქართველოში აჯანყების შესახებო, აცხადებდნენ ისინი მეტოქე პარტიების წინაშე. ამგვარადვე, სირაქლემასებრ იმალავდა თავს ნოე ჟორდანიაც.

ასე მაგალითად, როცა პარიზში მოიტანეს გაზეთები „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“, სადაც დაბეჭდილი იყო ნოე ჟორდანიას მიერ ხალხისადმი აჯანყების მომწოდებელი მიმართვა, რომელიც დაპატიმრებული ბ. ჩხიკვიშვილისათვის ჩამოერთმია ჩეკას, — კურორტზე მყოფმა ჟორდანიამ, ოპოზიციონერთა მიერ დასმულ შეკითხვაზე — მართლა იგია თუ არა გაზეთში გამოქვეყნებული მიმართვის ავტორი, ასე უპასუხა ორჭოფულად: „საზოგადოდ მე ბევრ წერილებს ვწერ და არ მახსოვს ხსენებული წერილი ჩემი დაწერილია თუ არაო(?)“ (იხ. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 221).

ჟორდანიას უპასუხისმგებლობა აღნიშნული მოვლენის მიმართ თუნდა იქიდანაც სჩანს, რომ რა სისხლი დაიღვარა მისი ლოცვა-კურთხევით მოწყობილი აჯანყების გამო და ვითომ აქ არაფერიო, სიტყვასაც არ ძრავს ამის ირგვლივ, 1939 წელს დაწერილ თავის უმსგავს მემუარებში.

დაუკვირდით ჯერ გლეხური ენით დაწერილ მის გურულ კილოკავს, ორთოგრაფიულად გაუმართავ წინადადებებს და სხვა. კითხულობ მის აბდაუბდა მემუარებს და გაკვირვებას ვერ ფარავ არა მარტო იმის გამო, რომ თავისი უსუსური მმართველობის შედეგად საქართველოს დაღუპვას სხვებს აბრალებს, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი პროვინციული დონის კაცი, როგორ ბედავდა და ედავებოდა ისეთი ერუდიციის ადამიანს, როგორიც ილია იყო.

არ ვიცი, ვინ როგორ და მე კი, საერთოდ, იმ აზრის ვარ, რომ მენშევიკებს და პირადად ჟორდანიას, თავისი უნიათო და უმეცარი პოლიტიკით, არანაკლები ბრალი მიუძღვით საქართველოს დაღუპვაში, ვიდრე ბოლშევიკებს. რომ არა ეს უბადრუკი ხელისუფლება, საქართველოს ასე ადვილად ვერ მოინელებდა ის ძალა, რაც რუსეთმა 1921 წელს საქართველოს დაუპირისპირა.

აქ არ შეიძლება არ გაიზიაროს კაცმა რ. გაბაშვილის დასკვნა იმ ფაქტის ირგვლივ, რაც შესანიშნავი ლოგიკურობით ბათილდება ჯერ მენშევიკებისა

და მერე იმ ისტორიკოსების აზრი, ვინც ამტკიცებდა და ამტკიცებს — რუსეთი მინც დაიპყრობდა საქართველოსო. „თქმა იმისი, რომ „დიდი რუსეთი პატარა საქართველოს“ მაინც მოერეოდა, მეტ ჯარს მოიყვანდაო შემდეგ (?) — საწყალობელი თავის მართლებაა უვიცობისა. იმ დროს რომ გაგვემარჯვნა, პოლონეთ-ბალტიელებივით, 20-ს წელიწადს მაინც გაგრძელდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა, სამის მაგიერ და, იქნება, არც მთელი კავკასიის პლაცდარმი დაეთმოთ დღემდის ევროპიელებსა და ამერიკას, — რუსებისათვის.

მაგრამ მართალი გამოდგა ის ურია, რომელმაც დამოუკიდებლობის დროსვე გვითხრა: „ჩვენ ერთი ნოე გვყავდა და ღმერთმა წარღვნა მოიყვანაო, თქვენ ოთხი ნოე გყავთ და კარგი რა დაგემართებათო“-ო (იქვე, გვ. 333-334).

„ნებაყოფლობითი“ კოლექტივიზაცია სტალინური რეპრესიების თანხლებით

ოცდაათიან წლებში სტალინმა წამოიწყო გლეხებისათვის კერძო მიწა-წყლის ჩამორთმევისა და კოლმეურნეობებში იძულებითი გაწევრიანების აქცია. მაგრამ, რამდენადაც, გლეხობის უმრავლესობას არ სურდა კერძო საკუთრების დათმობა და, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სანახირეში“ შესვლა, მთავრობამ მიმართა მანამდე გაუგონარ მეთოდს ხალხის მოსათოკად. უპირველეს ყოვლისა, გამრჯე გლეხობას შეუტიეს, მათ „კულაკის“ დამღა დააკრეს და საკუთარი სახლ-კარიდან გამორეკეს. რა უნდა ექნათ, ჩარდახიან ურმებში ჩასხეს ცოლ-შვილი, დააწყვეს ქვაბ-ჯამ-ჭურჭელი საჭირო სანოვაგით და ზოგი სოფლის ბოლოს დამკვიდრდა, ზოგი კი მთის ხეობებში განლაგდა. ასე ამყოფეს მზე-წვიმაში კარგა ხანს და მხოლოდ იმ პირობით დააბრუნეს თავის კარ-მიდამოში, რომ კოლმეურნეობაში შესულიყვნენ. ხოლო ისინი, ანუ ურჩი „კულაკები“, ვინც კვლავ არ დაემორჩილა ხელისუფალთა მოთხოვნებს, მთელი რიგი ოჯახები დედაწულიანად ციმბირში გადაასახლეს.

ამ ვანდალიზმს სტალინმა უწოდა „კულაკური კლასის ლიკვიდაცია“. ერთი სიტყვით, „კულაკი“, ანუ გამრჯე გლეხი მოინათლა საზოგადოების მავნე ელემენტად. აქვე უნდა ითქვას, რომ ხალხის დათრგუნვის ეს ველური მეთოდი, რომელიც სტალინმა გამოიგონა, უფრო გვიან და უფრო მეტის შემოქმედებით განახორციელეს კამპუჩიელმა კომუნისტებმა პოლ-პოტის მეთაურობით.

ამ ფაქტის შესახებ აი, რას წერდა იმ დროს ალ. სოლჟენიცინი: „ადამიანთა ხოცვის ტექნიკის არასრულყოფილობის გამო კამბოჯაში სხვა მეთოდებია შემოღებული. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც არ მოსწონთ კომუნისტური რეჟიმი, ჯერ რამოდენიმე საათს ფეხზე აყენებენ (მათ შორის მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს), ხოლო შემდეგ ბარგისა და საკვების გარეშე უდაბური ადგილებისაკენ მიერეკებიან ამგვარი შეძახილებით: „წადით! მოკვდით!“ (ალ. სოლჟენიცინი, ამერიკის პროფკავშირების წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან).

სტალინის მიერ აღნიშნული დამაშინებელი ღონისძიების მიუხედავად, არც ღარიბი და არც უღარიბესი გლეხობა მაინც არ იჩენდა კოლმეურნეობაში შესვლის სურვილს. მაშინ, სტალინმა მიმართა ასეთ ვერაგულ ხერხს: იმ დროს, როცა, მაგალითად, ერთი ძროხის ღირებულება უდრიდა 100-თუმანს და მეტს, გლეხობა დაბეგრეს 300-დან 500-თუმნამდე გადასახადით. კოლმეურნეობაში მყოფ წევრებს კი 5-10 მანეთის გადასახადი შეაწერეს. რა თქმა უნდა, მთავრობამ კარგად იცოდა, რომ გლეხი იმ თანხას ვერ გადაიხდიდა. ამიტომ, დაბეგვრის ქვითრის მომტან მოხელეს დავალებული ჰქონდა გლეხისათვის ეცნობებინა, რომ კოლმეურნეობაში გაწევრიანების შემთხვევაში, 300-თუმნის ნაცვლად, 30-მანეთსღა გადაიხდიდა.

ეს ცნობა და, აი, უკვე კოლმეურნეობათა გამგეობებს აწყდება

განცხადებების ტალღა კოლმეურნეობის წევრად მიღების თხოვნით. ძალადობის ამ აქტს სტალინმა, ცხადია, სულ სხვა, დემაგოგიური ახსნა მისცა: ხალხი დარწმუნდაო კოლმეურნეობის სიკეთეში და ამიტომაც მიაწყდა მას გლეხობაო.

ეს ნათქვამი იყო მის მიერ გამოცემულ ბროშურაში, რომელიც ასე სათაურდებოდა — „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“. ამ საპროპაგანდო ბროშურაში იგი წერდა: საკოლმეურნეო შენების ამ წარმატებებმა ზოგ ხელმძღვანელს თავბრუ დაახვია და თურმე აქა-იქ ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევას ჰქონია ადგილიო, თუმცა საერთო „ენთუზიაზმმა“ აქ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო. ერთი სიტყვით, სტალინის დემაგოგიას თუ დავუჯერებთ, კოლმეურნეობები შექმნილია საზეიმო ვითარებაში, დოლ-გარმონის თანხლებით.

სინამდვილეში ეს იყო დიდი ტრაგედიის დასაწყისი, რაც ძალიან მალე გამოვლინდა. საქმე ის გახლავთ, რომ კომუნისტური დემაგოგიის თანახმად, კოლმეურნეობა არის „ნებაყოფლობის საფუძველზე შექმნილი გლეხთა ამხანაგური გაერთიანება“, რომლის მატერიალურ ბაზასაც თვითონვე ჰქმნიან საკუთარი სახსრებით და მიღებულ მოსავალსაც თვითონვე ინაწილებენ ურთიერთშორის, გაწეული შრომის მიხედვით.

მაგრამ ეს მხოლოდ საზეიმო სიტყვებია. ფაქტიურად კი, კოლექტიური ცხოვრების დაწყების პროცესს თან ახლავს უმძიმესი ტრაგედია, რომელიც ჯერ იმით იწყება, რომ კოლმეურნეობის მატერიალური ბაზის შესაქმნელად მთავრობა ავალდებულებს გლეხებს კოლმეურნეობაში გაათავსონ თავისი ხარ-ურემი, გუთანი, სათესლე ხორბალი, ქერი და ა. შ. ამასთან, მთავრობა აჭრის გლეხს მიწის უდიდეს ფართს და უტოვებს მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთს, რის შედეგადაც გლეხის ოჯახი სრულიად იძარცვება.

მაგრამ ეს არის ტრაგედიის მხოლოდ ერთი მხარე. მეორე და მუდმივი ტრაგედია გამოიხატება მთავრობის მიერ კოლმეურნეობაში გლეხთა შრომით შექმნილი დოვლათის მიტაცებაში. გლეხთა ეს ორგანიზებული ექსპლოატაცია, რომლის როლში აწ უკვე სახელმწიფო გვევლინება, უაღრესად შენიღბულ ხასიათს ატარებს. კომუნისტური დემაგოგიის მიხედვით, კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხები, როცა მოსავალს გაინაწილებენ რაღაც ასეულ გრამებში, საწყობებში დარჩენილი „ნამეტი პროდუქტი“ რომ არ გაუფუჭდეთ, მათ შეუძლიათ „ნებაყოფლობის“ საფუძველზე მიჰყიდონ იგი სახელმწიფოს.

ჯერ ერთი, საბაზრო ფასებთან შედარებით მთავრობის მიერ გადახდილი ფული იმდენად მცირე გახლდათ, რომ თავმოყვარე კაცი ძირს დაგდებულსაც არ აიღებდა. მეორეც, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან, ანუ „ემტეესებიდან“ ტექნიკით სარგებლობისა და სხვა საბაბით, კოლმეურნეობებში შექმნილი დოვლათი ფაქტიურად უფასოდ მიჰქონდა სახელმწიფოს, დარჩენილს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა იტაცებდა, გლეხებს კი დაახლოებით 300 გრამ ხორბალს, ან ტაროიან სიმინდს უნაწილებდნენ, რაც ბეღურა ჩიტსაც არ ეყოფოდა მთელ წელიწადს.

ამის გარდა, ხელისუფლებამ შემოიღო უამრავი სახის გადასახადები —

ხორცის, ყველის, კვერცხის, მატყლისა და სხვა, როცა გლეხი თავად იყო დანატრებული ხორცსაც და ყველსაც. ამიტომ იგი ყოველივე ამას ბაზარში ყიდულობდა და ისე აბარებდა მთავრობას.

მაგრამ ეს კიდევ რაა. გააწერეს იძულებითი ფულადი გადასახადი, რომელსაც „ობლიგაციები“ ეწოდებოდა, თანაც მას „ნებაყოფლობითი“ დაარქვეს. გლეხების შეკითხვაზე — რაა ობლიგაციაო?! ხელისუფლების მოხელე პასუხობდა: — ობლიგაცია, ამხანაგო, არის სესხი, რომელსაც შენ ასესხებ მთავრობას, ჰოდა, როცა შენი ნასესხები ფულით გამდიდრდება ჩვენი სახელმწიფო, ამ ფულს უკლებლივ დაგიბრუნებს უკანო. მეორე კითხვაზე: — თუ ნებაყოფლობითია, ძალით რატო გვახდევინებთო? ამაზედაც შესანიშნავი „ლოგიკურობით“ პასუხობდნენ: — ნებაყოფლობითია, ამხანაგო, მაგრამ სავალდებულოაო! ვინც მასზე უარს იტყოდა, ტროცკისტის იარლიყს აკერებდნენ და ციმბირში გადასახლებით ემუქრებოდნენ.

ამით დაშინებული გლეხობა თავის უკმაყოფილებას მხოლოდ ერთიმეორის წინაშე ჩუმი, ირონიული ღიღინით გამოთქვამდა:

კოლექტივიზაცია, შარვალი არ მაცვია,
უკან თავმჯდომარე მომდევს — აჰა, ობლიგაცია!

ასე რომ, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების პერიოდში, სტალინის ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად, შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა გლეხს აღარც ოჯახში შერჩა სარჩო-საბადებელი და ვეღარც კოლმეურნეობიდან ღებულობდა შრომის საფასურს.

ამგვარმა განუკითხაობამ 1933 წელს — კოლექტივიზაციის დასრულების წელს, — გამოიწვია მასობრივი შიმშილი, მთელი იმპერიის მასშტაბით, ანუ ეს იყო, სტალინის სიტყვებით — „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

მრავალდარგოვანი კულტურების მწარმოებელ რესპუბლიკებში, როგორიც მაგალითად, საქართველო იყო, ხალხი ნაწილობრივ მაინც შოულობდა საარსებო საღსარს საკარმიდამო ნაკვეთებიდან — ვენახებიდან, ციტრუსებიდან, ხეხილიდან. ამიტომ, ეს უბედურებანი, ყველაზე უფრო მარცვლეულის მწარმოებელ რეგიონს დაატყდათ თავს — უკრაინას, ყუბანს, ვოლგისპირეთს და სხვ. უკრაინაში, კერძოდ, 7 მილიონი კაცი გაწყდა შიმშილით. უკრაინის ამ უსაშინლესი ტრაგედიის 50 წლისთავი სამგლოვიარო მარშებით აღინიშნა ევროპის დედაქალაქებში 1983 წელს.

ყუბანის მოსახლეობის დიდი ნაწილი კი საქართველოში შემოიხიზნა. მაგრამ არანაკლებ გაჭირვებაში მყოფ ქართველ ხალხს არ შეეძლო მათი გამოკვება. ამიტომ ეს უბედურებიც კარი-კარ მათხოვრულ წანწალში ამოწყდნენ.

1937 წლის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა და ქართველთა ზღვა სისხლი ამ კაცთაკვლაში

1937 წლის კაცთაკვლა, რომელიც სტალინმა წამოიწყო მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით, ყველაზე ულმობელი და ყველაზე ბოროტული ქმედება იყო, რაც კი ჩაუდენია ნებისმიერ ტირანს კაცობრიობის ისტორიაში. სტალინისა და მის გარშემო შემოკრებილი ხროვის მიერ შეთითხნილი ბრალდებით, რომ თითქოს „მოღალატეთა და მავნებელთა“ დიდი წრე მოქმედებდა საბჭოთა სისტემის დასამხობად, გამოუძიებლად და გაუსამართლებლად იხვრიტებოდა, ანდა ციმბირის ყინულეთში სამარდებოდა მილიონობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი — განსაკუთრებით მაღალი დონის ინტელიგენცია და მათ შორის გამრჯე და გონიერი მუშა და გლეხი, ვინც ოდნავ ხმას იღებდა უსამართლო შრომითი ანაზღაურების გამო, უგასამრჯელო შრომით ბეგარაზე და უუფლებო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

მაგრამ, სტალინის მიერ წამოწყებული ეს ვანდალური აქცია მარტო იმ მხრივ როდი იყო უდიდესი ბოროტება, რომ ტყუილ-უბრალოდ ისპობოდა უამრავი ხალხი, არამედ იმ მხრივაც, რომ მას თან სდევდა საზოგადოების არნახული ზნეობრივი გახრწნა, რომლის თაოსანიც კვლავ სტალინი გახლდათ. აი, რითი: იმ დროს ხელისუფლებამ დაუშვა ასეთი ბრძანებულება — დაეპატიმრებინათ ყველა ეჭვმიტანილი, რითაც მთელი საზოგადოება გადაჰკიდა ერთიმეორეს, სარფი მიეცა მაბეზღრობას — განაწყენებულ მეზობელთა და თანამოსამსახურეთა შორის ურთიერთ ანგარიშსწორებას.

იმ დროს, როგორც ითქვა, ეჭვმიტანილის ბედს სწყვეტდა არა სასამართლო, არამედ ჯალათების „ტროიკა“. საკმარისი იყო მათთან მისულიყო მეზობელზე განაწყენებული მეზობელი და განეცხადებინა — ეს კაცი მთავრობას ლანძღავსო, ან თუნდაც მიეტანა თავის მიერვე ტუალეტში ნახმარი გაზეთის ნახევი, სადაც სტალინი იყო გამოსახული, ეს უკვე საკმარისი იყო, რომ წირვა გამოეტანათ იმ კაცის მიმართ.

ხელისუფლება ხელს უწყობდა მაბეზღრობას სხვა მხრივაც. ცეკას სხდომებზე და სხვა ფორუმებზე აი, ამგვარ ბრალდებას უყუენებდნენ და მაბეზღრობისაკენ მოუწოდებდნენ თავისთვის პატიოსნად მყოფ მუშაკებს — „თუ შენ პარტიისა და ხელისუფლების ერთგული ხარ, რატო ერთი „მავნებელი“ მაინც არ გიმხელიაო?!“ და ისიც იძულებული ხდებოდა „ჩაეშვა“ სრულიად უდანაშაულო კოლეგა. კერძოდ, ასე „ჩაუშვეს“ ცნობილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი მისივე კოლეგა მსახიობებმა და ასეთივე მაბეზღრობით ყრიდნენ ერთიმეორეს ციხეებში შიშით შეძრული ადამიანები სხვადასხვა ორგანიზაციებში, რათა ეხსნათ საკუთარი სიცოცხლე კომუნისტი-ჯალათებისაგან. და ეს, საზოგადოების გამხრწნელი პოლიტიკა, მომდინარეობდა სწორედ იმ კაცისაგან, ვისაც დღემდე ვერ შელევია ქართველი ხალხის ერთი ნაწილი.

დიახ, ყველა აღნიშნული ბოროტებანი რომ კრემლიდან მომდინარეობდა,

აი, თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი: სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1955 წელს თბილისში გამართულ სასამართლო პროცესზე საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკო ეკითხება საბრალდებო სკამზე მჯდომ რუხაძეს: რატომ ხვრეტდით უდანაშაულო ადამიანებს? რუხაძე მიუთითებს კრემლის ხელისუფლებაზე და პასუხობს: მიბრძანებდნენ და ვხვრეტდი, გიბრძანებენ და დამხვრეტთ, უბრძანებენ და დაგხვრეტენ! მართლაცდა, ხდებოდა რაღაც გაუგონარი საშინელებანი. მთავრობის მოხელენი ჯერ თავად აწამებდნენ და ხვრეტდნენ ეგრეთწოდებულ „მავნებლებს“, ხოლო შემდეგ, ზემდგომი ხელისუფლება თვით ამ დამხვრეტებს ხვრეტდა.

ამ ვითარებაში დაიხვრიტნენ არა მარტო საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია — მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, არამედ ისინიც, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ერთგულობდა და, კერძოდ, 1921 წელს წინ მოუძღოდა საქართველოში სტალინის მიერ შემოსეულ რუსულ არმიებს. რა მიზანს ისახავდა სტალინი მსოფლიო ისტორიაში ჯერ არნახული ასეთი მასობრივი რეპრესიებით?

1. მოესპო კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენცია და დაეთრგუნა მშრომელი ხალხი, რომ ხმის ამოღება ვეღარავის გაებედა მონურ ყოფა-ცხოვრებაზე;

2. რევოლუციაში მონაწილე და იმ დროს ხელისუფლებაში მყოფი დიდი ავტორიტეტების ჩამოცილებით ერთპიროვნული დიქტატორი გამხდარიყო, მთელი „რევოლუციური მონაპოვარი“ თავისი პერსონისათვის მიეწერა (ამ შემთხვევაში გამონაკლისი იყო ლენინი, იგი დასაყრდენად სჭირდებოდა), ხოლო მათ ადგილზე დაწინაურებული ზეინკლებისა და მეთუნუქეების წრეში დიდ გენიოსად წარმოჩენილიყო;

3. მასიური დაპატიმრება-გადასახლებების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ციმბირის მშენებლობათა უზრუნველყოფა უფასო მუშახელით.

სტალინი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ყოველგვარ ავანტიურაზე მიდიოდა. ასე მაგალითად, ჯერ თვითონ მოუღო ბოლო იმ დროს დიდი ავტორიტეტის მქონე კიროვს, როგორც სახელისუფლო მეტოქეს, ხოლო შემდეგ, ეს მკვლელობა ოპოზიციას — ბუხარინს, რიკოვს, ზინოვიევს, კამენევს... დააბრალა და ყველანი ამოხოცა. აქედანვე ჩაეყარა საფუძველი 1937 წლის გენოციდს.

მაგრამ არ იქნება სწორი, რომ სტალინის მიერ ადამიანთა ეს გრანდიოზული ხოცვა-ჟლეტა მარტო ხალხის დათრგუნვისა და ძალაუფლების მონოპოლიზაციის სურვილით ავხსნათ. ამას არანაკლებად განაპირობებდა მისი მიზანთროპულ-ვამპირული სულიც. მისთვის უცხო იყო სიყვარული, სიკეთე, შეცოდება, გულმოწყალება, ლმობიერება, დანდობა. სამაგიეროდ, მის სულში უხვად იყო ჩაბუდებული ღვარძლი, შური, სიძულვილი, ბოროტება, თვალთმაქცობა, ვერაგობა, ულმობელობა, სადიზმი, კარიერიზმი... იგი ტკბებოდა ოპონენტების მიმართ შურისძიებით, მათი წამებით და, საერთოდ, ადამიანების სისხლისღვრით. სტალინის იდეალი იყო ენახა მსოფლიო მის ფერხთა წინაშე გართხმული,

დაბეჩავებული, დაგლახაკავებული, ადამიანთა მთელი მოდგმა რობოტად ქცეული და თანაც მასზე მლოცველი.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: ვინ იყო სტალინი თავისი გვარ-ტომით, ასეთი მძულვარებით რომ იყო აღვსილი, ჯერ საერთოდ მთელი ადამიანთა მოდგმისა და განსაკუთრებით-კი საქართველოს წინააღმდეგ?

სტალინის გენეალოგიური ვინაობა ზუსტად წარმოაჩინა ორმა დიდმა ქართველმა მწერალმა — მიხეილ ჯავახიშვილმა და გრიგოლ რობაქიძემ. მიხეილ ჯავახიშვილმა ეს გააკეთა ლიტერატურული შეფარვით თავის შესანიშნავ რომანში — „ჯაყოს ხიზნები“, რასაც ჩემი აზრით, შეეწირა კიდეც (ანდრე ჟიდის საკითხი, აქ მხოლოდ დამატებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს). ამ რომანში წარმოდგენილი პერსონაჟები — ჯაყო, მარგო და თემური — ასე უნდა აღვიქვათ: ჯაყო ჯივაშვილი — ეს იგივე ჯაყო ჯუღაშვილია, რომელმაც გათელა უსუსურ მდგომარეობაში მყოფი — მარგოს სახით წარმოდგენილი საქართველო. ხოლო თემური, ესაა ენაბლუ და ოჩოპინტრე ჟორდანია, რომელმაც ვერ დაიცვა საქართველო ველური ძალისაგან და უცხოეთში გაძევებული კვლავ ელოდა, რომ დაიბრუნებდა საქართველოს პრემიერობას. ამას გულისხმობს რომანის ბოლო ფრაზაც: „ახლაც ელის ნაქმარევი ნაცოლარს“.

რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძეს — მან თავის რომანში — „ჩაკლული სული“ — პირდაპირ დაგვისახელა, რომ სტალინის მამა ბესო, ეროვნებით იყო ოსი, — უფრო ზუსტად — ლილოელი ოსი. აქედან მოსდგამდა სტალინს ოსური სიჯიუტე და ღრძო ბუნება. ახლა კი გავეცნოთ სტალინის რობაქიძისეულ დახასიათებას:

„ვიწრო, სუსტად განვითარებული შუბლი... ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა, ან ვინმეს შეუმჩნევლად თავს დასხმოდა... ულვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: მე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა. ამ მდუმარე განცხადებას მაღლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა... სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრევლად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს. აქეზებდა, დასცინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილისწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს. ამაში უმოწყალო და სასტიკი იყო. მისი ცივი ჭიხვინა ჩაცინება ხანდახან მკაცრ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილში გადადიოდა... მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა... ახლა არავისთან იყო. არ ჰყოლია არც ერთი მეგობარი, რადგან ასეთი ვინმე — მეგობარიც რომ ყოფილიყო — სამუდამოდ მის ქვეშევრდომად უნდა დარჩენილიყო... აშკარად სტანჯავდა სამყაროს მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მკრეხელურად ოცნებობდა ნგრევაზე, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა... ის დაშორდა ღმერთს და

თავაშვებულ მმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა, და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა. ცივსისხლიანი სასტიკად უმოწყალო გახდა. ერთხელ ერთ შუკაში წიწილას ფეხი დააბიჯაო, ჰყვებიან. წიწილას ცალი ფეხი მოსტყდა და წივილით გაფრთხიალდა. სტალინი დაეწია და მთლად გასრისა. „შენ მაინც აღარ ივარგებ“, დაიყვირა უცნაური მრისხანებით“ (იხ. გრ. რობაქიძე, ჩაკლული სული, სტალინის ჰოროსკოპი).

ვფიქრობ, არ იქნება მკითხველისათვის ინტერესმოკლებული ერთი დეტალიც სტალინის პიროვნების ირგვლივ, რომელიც პირადად მე მომისმენია სტალინის თანაკურსელისაგან გორის სასულიერო სასწავლებლიდან . ეს კაცი გახლდათ სოფ. ანაგაში მცხოვრები ახმეტელაშვილების (იგივე ახმეტელი) ერთ-ერთი ძმა, რომელიც ამ სოფლის მღვდელი იყო. იგი ყვებოდა: „თავისუფალ დროს მოსწავლეები ხშირად გავდიოდით მდინარე ლიახვის საპანიროზე. ზოგი ბანაობდა, ზოგი ლახტაობდა და ა. შ. სოსო კი მეტწილად კაკანათით ბეღურების ჭერით ერთობოდა. დაიჭერდა ბეღურას, დაპტკვნიდა ცოცხლებს, დასხამდა ამ დასისხლიანებულ ბეღურებს და მათი ცქერით ტკბებოდაო“.

სტალინი, როგორც ვიცით, ბავშვობის წლებიდან ქართველ კაცად მოევლინა საქართველოს სოსო ჯუღაშვილის გვარ-სახელით და როგორც ცნობილია (ამას მწერალი გრ. რობაქიძეც გვახსენებს), პატრიოტულ ლექსებსაც თხზავდა საქართველოს მიმართ. კერძოდ, ყოველმა ქართველმა იცის მისი ლექსი — “დილა“. მაგრამ, მას შემდეგ, რაც იგი რუსეთში გადასახლდა და იქ საკმაოდ პრესტიჟულ კარიერას მიაღწია, ახლა უკვე, რუსი ხალხის გულის მოგების მიზნით, თავი რუსეთის მოქალაქედ გამოაცხადა და მშობლიურ ენადაც რუსული აღიარა. მაშ, რა გამოდის? კაცი, ჯერ მამით ოსი, მერე ქართველი თავისი გვარ-სახელით, ბოლოს კი — რუსი. მაშ, ვინ იყო სტალინი თავისი გენეალოგიით? ყოველ შემთხვევაში, როგორც სავსებით მართებულად ასკვნის მწერალი გრიგოლ რობაქიძე — „სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა“ (იქვე, გვ. 94).

მართლაცდა, სტალინი არაფრით არ ჰგავდა ქართველს. მასში სავსებით გამორიცხული იყო ყველა ის თვისება, რაც ქართველს ახასიათებს: კეთილშობილება, მოყვასისადმი სიყვარული, მიმტევებლობა, სიბრალული, მტრისადმიც-კი რაინდული დამოკიდებულება და სხვ. იგი, როგორც ითქვა, თავისი ჯიუტი და ღრძო ხასიათით ოსებს მართლაც ჩამოგავდა, მაგრამ როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სტალინი ზუსტი ასლი და გაგრძელება იყო რუსეთის ტირანი მმართველებისა — ივანე მრისხანისა, პეტრე პირველისა, ნიკოლოზ პირველისა, არაკჩეევისა, ხოლო ნომერ პირველ ჯალათს — ვლადიმერ ლენინს ხომ სულიერ ძმად ერგებოდა. ამიტომ, სტალინი სავსებით მართალი იყო ბოლო დროს თავი რომ რუსად გამოაცხადა და მშობლიურ ენადაც რუსული ენა აღიარა. ამიტომ, „თუ ვინმეს მართებს სტალინი ადიდოს და მას თაყვანი სცეს — ეს რუსეთია. მან შექმნა უკიდეგანო რუსეთის იმპერია ბუდაპეშტიდან პეკინამდე და

ბერლინიდან ვიეტნამამდე.

მართალია, იმპერიულმა ამბიციამ რუსეთი დაამშია, გააღატაკა და დააქცია, მაგრამ ასეთ განდიდებას მსხვერპლი სჭირდებოდა“ (ალ. პაპავა, იქვე).

ვფიქრობ, არ იქნებოდა ინტერესმოკლებული ხალხთა ხოცვა-ჟლეტის იმ მასშტაბების დაფიქსირება, რაც ამ იმპერიის შექმნასა და განმტკიცებას დასჭირდა, ჯერ საერთოდ საბჭოთა იმპერიაში, და კერძოდ კი, საქართველოში.

აი, რა ცნობებს გვაწვდიან იმ ხანის მომსწრენი და საქმეში ჩახედული ცნობილი ადამიანები ამ ვანდალიზმის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ის პარალელები, რომელსაც გვთავაზობენ ისინი ერთის მხრივ წარსულში ჩადენილ დანაშაულებრივ სისხლისღვრასა და, მეორე მხრივ, საბჭოთა იმპერიაში და კერძოდ საქართველოში დატრიალებულ კაცთაკვლას შორის. ამისი ცოდნა საჭიროა განსაკუთრებით იმ ქართველი ფანატიკოსებისათვის, რომლებიც ჯერაც ვერ შელევიან საქართველოს უბოროტესი მტრის — სტალინის თაყვანისმცემლობას.

მოვუსმინოთ ჯერ რუსის ცნობილ მწერალს ალექსანდრე სოლჟენიცინს: „რევოლუციამდელ რუსეთში სიკვდილით ისჯებოდა დაახლოებით 17 კაცი წელიწადში“. ეხლა მოვუსმინოთ „ჩეკას“ ანგარიშს, რომელსაც აბარებს მთავრობას თავისი „რევოლუციური მუშაობის“ შესახებ 1918-1919 წლებში (ვ. ი. ლენინის მმართველობის წლებში). ისინი ბოდიშობენ, რომ გასამართლების გარეშე ყოველთვიურად მხოლოდ ათასზე მეტ კაცს ხვრეტდნენ. საანგარიშო მოხსენების სახით ეს წიგნი ჩეკამ გამოსცა 1920 წელს და ინახებოდა არქივში. ჩეკას ამ წიგნით თავისი ერთგულების გამოჩენა აინტერესებდა მთავრობის წინაშე. მაგრამ რა ძვირფას მასალას აწვდის იგი მომავალ ისტორიას თავისი მხეცობის შესახებ, ამაზე ალბათ არც დაფიქრებულა. რა თქმა უნდა, თვეში ათასი კაცის მოსპობა გაუგონარი ბარბაროსობაა, მაგრამ თუ ავიღებთ სტალინური ტერორის მძვინვარე წლებს (1937-1938 წწ.), ეს ციფრი უკვე ისეთ დონეს აღწევს, რომ მსოფლიო ისტორიაში ძნელია იპოვო მშვიდობიანი ხალხის ჟლეტის სხვა ამგვარი მაგალითი. აღნიშნულ ორ წელიწადში დახვრეტილთა რაოდენობა რომ გავყოთ თვეებზე, მივიღებთ 40-ათასზე მეტ დახვრეტილ კაცს ყოველ თვეში!!!

ამასთან დაკავშირებით მე გაგახსენებთ, რომ შუა საუკუნეების, ყველასათვის ცნობილი ინკვიზიცია, სიმკაცრის წლებში მხოლოდ ათამდე კაცს სპობდა თვეში. აბა დაუკვირდით, რამდენად გაუსწრეს წინ კომუნისტებმა ინკვიზიტორებს მშვიდობიანი ხალხის ხოცვა-ჟლეტაში. მაშასადამე, თუ ინკვიზიცია თვეში სპობდა 10-მდე კაცს, კომუნისტებმა ჯერ იგი 1000-მდე გაზარდეს, ხოლო შემდეგ თვეში 40-ათასს გადააჭარბეს. ამასთან, ინკვიზიცია სიკვდილით სჯიდა მხოლოდ იმ პირებს, ვინც ებრძოდა სახელმწიფოში გაბატონებულ კათოლიკურ სარწმუნოებას. კომუნისტები კი, ლენინურ-სტალინური ტირანიის წლებში, ადამიანებს იჭერდნენ, ხვრეტდნენ, ანდა ციმბირში ასახლებდნენ მარტო იმისათვის,

რომ იგი იყო ნათავადარი ან მღვდელი, ხოლო ხშირად უწიგნურ გლეხსაც არ ინდობდნენ შიმშილის გრძნობის გამომჟღავნებისათვისაც კი...“ (ალ. სოლჟენიცინი, ამერიკის პროფკავშირების წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან).

ახლა აი, რა ცნობებს გვაწვდის ალ. პაპავა იმ მსხვერპლის შესახებ, ასევე წარსულ ბოროტებასთან პარალელის გავლებით, რომელიც სტალინმა დაატეხა საქართველოს სამი წლის მანძილზე: „1936-37-38 წლებში 2,5 მილიონიანმა საქართველომ 268-ათასი ადამიანის მსხვერპლი გაიღო, ამასთან, დიდი ნაწილი საზოგადოების ნაღები იყო.

შეადარეთ: მთელ ევროპაში 400 წლის მანძილზე, როცა იქ ინკვიზიციის კოცონი გიზგიზებდა, მხოლოდ 80-ათასამდე ე. წ. ერეტიკოსი აწამეს. საქართველოში კი 2,5 მილიონმა მოსახლეობამ სამი წლის ანძილზე 268-ათასი ადამიანი დაკარგა.

სტალინის უგუნური თაყვანისმცემლები ასეთ სისულელესაც კი როშავენ, თითქოს სტალინმა ბევრი რამ არ იცოდა, მას იაგოდა, ეჟოვი და ბერია ატყუილებდნენო. ჭეშმარიტად რა უბადრუკი არგუმენტია! ჯერ ერთი, რა გენიალური ხელმძღვანელი ხარ, თუ მილიონებს გიხვრეტენ და შენ ეს არ იცი; მეორეც, რა ხელქვეითები გყავს ისეთები, რომლებიც არაფერს გეკითხებიან და თვითნებობენ.

არა, ბატონებო, სტალინმა ყველაფერი იცოდა, ყველაფერი მისგან მოდიოდა და, უწინარეს ყოვლისა, გლობალური ტერორის პირდაპირი და უშუალო ავტორი, ორგანიზატორი, გამტარებელიც და თეორეტიკოსი თვით იყო. რასაკვირველია, ყოველი ცალკეული პიროვნების დაპატიმრებისა და დახვრეტის სანქციას სტალინს არ თხოვდნენ, მაგრამ მასობრივი რეპრესიების აუცილებლობა მისი თეორიიდან მოდიოდა და მისი დირექტივებიდან გამომდინარეობდა, ხოლო ზოგიერთების დასჯის შესახებ განკარგულებას პირადად იძლეოდა. ასეთებს შორის იყვნენ ბ. მდვიანი და მ. ტოროშელიძეც სხვა მრავალ მოღვაწეებთან ერთად...“ (ალ. პაპავა, იქვე).

თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ტოროშელიძის მსგავსი პირები, რომლებიც სტალინურ ტირანიას ემსხვერპლნენ, როდი არიან ისტორიის მიერ შეწყალების ღირსნი. პირადად ტოროშელიძე ის კაცი იყო, სხვა დანარჩენ რეტროგრადებთან ერთად, ვინც ილიას საფლავშიც არ ასვენებდა და თვით კომუნისტი-რეაქციონერი, პირიქით, ილიას ნათლავდა რეაქციონერად წარსული დიდების „იდეალიზაციის“ ბრალდებით, რასაც თვითონ ხელაღებით უარყოფდა და ქართული ცივილიზაციის ბურჯებად „პროლეტკულტელებს“ მიიჩნევდა. ამიტომ, საქართველო უნდა მისტიროდეს სამშობლოსათვის წამებულ მამულიშვილებს და არა იმათ, მგლების ბუნებიდან გამომდინარე, კომუნისტებმა კომუნისტები რომ დაჭამეს.

ზემოთ ითქვა და კვლავაც ვიმეორებთ — უბედურება მარტო ის კი არ იყო, რომ 1924-1937 წლების ამბებმა უამრავი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. მთავარი ისაა, რომ სტალინმა მოუსპო საქართველოს უმთავრესად ნაღები ფენა — ზნემაღალი, ნიჭიერი, განათლებული და

სამშობლოსადმი პატრიოტულად განწყობილი ელიტა, რითაც საქართველოს, როგორც ერთიან ეროვნულ ორგანიზმს თავი წააცალა. ხოლო მათ ნაცვლად ქვეყანას მეთაურებად მოევლინენ სამშობლოს უარმყოფელი კოსმოპოლიტები, უპრინციპო და სინდისგარეცხილი კარიერისტები — ისეთები, რომლებიც სამშობლოს კი არა, საკუთარ დედასაც კი გაწირავდნენ პირადი ბედნიერებისათვის. მათი მიბაძვით ცხოვრების ნორმად იქცა — ურთიერთ მაბეზღარობა, ცილისმწამებლობა, ქურდობა, გამომძალველობა, მექრთამეობა, მომხვეჭელობა, ყალბისმქნელობა. ამან კი კატასტროფულად დასცა ერის ზნეობა. ცნობილი ამბავია — უზნეო კაცს, არც დედა სწამს, არც მამა, არც ერი, არც ბერი და არც სამშობლო. ისიც ცნობილია, რომ ზნემაღალი ერი კიდევაც რომ დაიმორჩილოს მტერმა, ვერ დაამონებს, ვერ გადააგვარებს.

ამიტომ იყო, რომ ყოველ დამპყრობელს შორის, ყველაზე ვერაგმა — მეფის რუსეთმა ჩვენი ქვეყნის დაპყრობისთანავე, ყველაზე მძაფრი იერიში ქართულ, ეროვნულ ზნეობაზე მოიტანა. იგივეს მიმართეს ამჯერადაც კომუნისტურმა ხელისუფლებამ. მათ ცხოვრებიდან გარიყეს პატიოსანი, ალალმართალი და სამშობლოს მოყვარული ადამიანები, ხოლო მათ ადგილზე წამოწიეს — გაიძვერა, თაღლითი და ეროვნების უარმყოფელი გარეწრები.

ეს მოხდა არა მარტო მმართველ ორგანოებში, არამედ ელიტარულ დაწესებულებებშიც — უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში და სხვაგან. უნივერსიტეტიდან გამოაძევეს მისი დამაარსებელი და დიდი მოამაგე ივანე ჯავახიშვილი. მწერალთა კავშირში ერთის მხრივ შეზღუდეს სახელოვანი მწერლები, ხოლო მეორეს მხრივ სარბიელი მისცეს ახლებურად მოაზროვნე მუშა პოეტებს, ანუ „პროლეტკულტელებს“. ესენი იყვნენ — სანდრო ეული, კალე ფედოსიშვილი, ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იაკინთე ლისაშვილი, ფ. ნაროუშვილი და სხვები.

აი კერძოდ, ის „ოქროს ფონდი“, რომელიც „პროლეტკულტელ“ პოეტთა შორის ზოგიერთმა მათგანმა დაგვიტოვა. აი, რას გვინერს მაგალითად კალე ფედოსიშვილი, რომელსაც არც პოეტი ეთქმოდა და არც ადამის მოდგმის შვილობა თავისი კანიბალისტური სულით:

„მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას,
თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას...“

ახლა მოვუსმინოთ მეორეს — კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, რომელიც დღესაც ამყრალებს დიდუბის პანთეონის წმინდა სავანეს. იგი ერთ ტაფაში აქცევს ერეკლე მეორეს და ქართველთა სისხლისმსმელს — აღა-მაჰმად-ხანს ასეთი სიტყვებით:

„რად მინდა სამშობლო; ჩემთვის ერთია ერეკლე მეფე და
აღა-მაჰმად-ხან“.

მაგრამ კიდევ უფრო ამაზრზენი ის არის, რომ ეს ბოროტი სული ერთ-ერთ თავის ლექსში, რომლის სათაურია „საბარგო ავტომობილი“, ქებ-დიდებას ასხამს და უმღერის მანქანას, რომელსაც 20-იან წლებში „რევოლუციისათვისს ღალატის“ ბრალდებით დასახვრეტად გადაჰყავდა სრულიად უდანაშაულო ხალხი და წინასწარ გამზადებულ თხრილში ჰყრიდნენ და მარხავდნენ ცოცხალ-მკვდარ დაჭრილებს. აი, ეს ლექსიც:

„... ახლაც გმირი ხარ, ტყვიით დატენილს
არ შეგიცვლია ნაბიჯი გზიდან,
რევოლუციის მოღალატენი
შენ დასახვრეტად გადაგიზიდავს.“
(იხ. ვახტანგ გურგენიძე, ჯვარს ვაცვით ილია, გვ. 32).

აი, რა ხალხი მოვიდა რუსთაველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, გოგებაშვილის და ვაჟას ადგილებზე, ქართული ეროვნული მრწამსისა და საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული უმაღლესი და უწმინდესი ზნეობის დასასამარებლად და ნაცვლად სამშობლოსა და თვით მშობლების უარმყოფელი, მანქურთული იდეოლოგიისა და საზოგადოების გამხრწნელი უზნეობის დასამკვიდრებლად.

როგორც ზემოთ ითქვა, მათ უპირველესად ილიაზე მიიტანეს იერიში, როგორც პატრიოტული იდეოლოგიისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თაოსანზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი სწორედ ამ მანქურთებმა მოკლეს, მკვდარსაც არ ანებებდნენ თავს, თვით მისი ეროვნული იდეოლოგიის აღმოსაფხვრელად. ჩვენი ქვეყნის სათავეში სისხლით მოსულმა და დამკვიდრებულმა მახარაძემ და მისმა ბანდამ ილიას ლამისაა საფლავიდან ამოგდება დაუპირეს. და, აი, ამ დროს, მას „მფარველად“ მოევლინა, ერთ დროს, ბახვის შეკრებაზე ილიას მოკვლის გადაწყვეტილებაზე ერთ-ერთი მომხრე და ხელის მომწერი — იოსებ სტალინი. რატომ, რა მოხდა?!

ზოგი მათგანი ამას სტალინის სამართლებრივი მიდგომით ხსნის, რისი მიხედვითაც ილია შესაფერისად უნდა დაფასებულიყო იმ დიდი ღვაწლის მიხედვით, რომელიც მას მიუძღოდა როგორც მწერლობაში, ასევე საზოგადოებრივ სარბიელზე. ეს ბავშვური გულუბრყვილობაა. სტალინი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. სტალინის მხრივ ილიას რეაბილიტაციის მოთხოვნა, რაც მან საქართველოს ცეკას წაუყენა, განპირობებული იყო ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორით. დავიწყოთ პირველიდან: როცა ოქტომბრის კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ დასავლეთ ევროპაში გახიზნულმა რუსის ინტელიგენციამ, ლენინის სიკვდილისა და სტალინის გაბელადების შემდეგ განგაში ატეხა ემიგრანტულ პრესაში, რომ ასმილიონიან რუსეთს კავკასიელი ველური დააჯდა თავზეო, სტალინი იძულებული გახდა უძველესი ქართული კულტურის წარმოჩენით ეს ბრალდება გაებათილებინა.

იძულებულიო, ვამბობთ, რადგან სტალინი, რომელიც მანამდე, ყოველი ქართველი კომუნისტის მსგავსად, „ფეოდალურისა“ და საერთოდ „კლასობრივის“ ნიშნით უგულებელყოფდა წარსული ხანის მწერლობას და კულტურას, რითაც, როგორც წარსული ხანის ცივილიზაციის არმქონე ერის შვილი, მართლაც, პირადად მისი ველურობაც დასტურდებოდა — აი, ამის გამო, და არა ილიას სიყვარულით, გადაწყვიტა სტალინმა მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოეჩინა ორიათასწლოვანი ქართული მწერლობა დიდი ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის თანჩათვლით. ეს კი შეიძლებოდა მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, რომელიც 1934 წელს გაიმართა, სადაც უცხო ქვეყნების დელეგაციებიც ესწრებოდნენ.

ოღონდ აქ ერთი გაუგებრობა მოხდა. სტალინმა ყრილობაზე მოხსენების გაკეთება მ. ტოროშელიძეს დაავალა. იგი, ყრილობის დაწყებამდე გაცილებით ადრე წავიდა მოსკოვში და მოხსენების ტექსტი სტალინს წარუდგინა. ამ ტექსტში, როგორც წესი, გალანძღული იყო წარსული მწერლობა ილიას ჩათვლით და მთელი ყურადღება გადატანილი იყო „პროლეტკულტელ“ მწერლობაზე. სტალინმა ტექსტი დაუწუნა და სასწრაფოდ უკან დააბრუნა დავალებით — ყრილობაზე წამოეწია მთელი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, ილია ჭავჭავაძის ჩათვლით. ეს დავალება შესრულდა. ყრილობაზე საქართველო წარმოჩენილი იქნა როგორც უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა. მოხსენების ეს ტექსტი, როგორც ამბობენ, პ. ინგოროყვას შეუდგენია.

ეს, რაც შეეხება რუსი ემიგრანტული ინტელიგენციის წინაამდეგ მიმართულ საპასუხო ღონისძიებას. მაგრამ ქართულ-ემიგრანტულმა ინტელიგენციამ კიდევ, იქაურ ქართულ პრესაში, ილიას მკვლელობის ირგვლივ დაიწყო მამხილებელი მასალების გამოქვეყნება. თვით საქართველოშიც ხომ არ წყდებოდა ამ თემაზე მითქმა-მოთქმა.

საქმის ნათელსაყოფად სტალინი საქართველოს ცეკას პირველ მდივანს, ლავრენტი ბერიას ავალებს, რომ სასწრაფოდ დაწერონ წიგნი ილიას მკვლელობის შესახებ და გაასამართლონ კიდეც დამნაშავე პირები. ბერია კი თავისთან იძახებს კოტე გორდელაძეს და ალექსანდრე სიგუას, ამცნობს მათ სტალინის დავალებას და თან დასძენს — წიგნს დაწერს კ. გორდელაძე, ხოლო ალ. სიგუა დაეხმარება მას საჭირო მასალების მიწვდითო. ამავე დროს საქმის კურსში შეჰყავს ისინი ასეთი განცხადებით — „მე მიკვირს, ძალიან მიკვირს, რად უნდა სტალინს ილიას მკვლელების აღმოჩენა და გასამართლება, როდესაც მთავარი მკვლელი ერთი ჩემთან პრეზიდენტის სავარძელში ზის — ფილიპე მახარაძე და მეორე კი მას გვერდით უზის — სერგო ორჯონიკიძეო“.

გორდელაძე დოყლაპია აღმოჩნდა. მან ვერ გაიგო, ვერც სტალინისა და ვერც ბერიას სურვილი, რაც ეგებ, ესეც გახდა შემდეგში მისი დახვრეტის მიზეზი. საქმე ის გახლავთ, რომ ალ. სიგუას, ბერიას დაალებისამებრ, გორდელაძისათვის კი გადაუცია საჭირო მასალები ილიას ნამდვილი მკვლელების შესახებ, მაგრამ მას მაინც შეუტრიალებია ფაქტები და

გამოსაცემად დაწერილ ტექსტში ილიას მკვლელებად კვლავაც მეფის „ოხრანკა“ დაუსახელებია. ამის გამო ბერიას ტექსტი დაუწუნებია და მისი აქ ყოფნის დროს გორდელაძის ეს წიგნი, არც დაბეჭდილა.

აი, რას გვაუწყებს ამის შესახებ თვით ბატონი ალექსანდრე თავის შესანიშნავ ნარკვევში — „ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე“. „კოტემ თავის კაბინეტში გამომიძახა და დაღონებულმა მითხრა: — მონოგრაფია ბერიამ დამიწუნა და მკაცრად მითხრა, რომ შენ რეაბილიტაციას უკეთებ ილია ჭავჭავაძის ნამდვილ მკვლელებს, ერის მოღალატეებს, ფილიპე მახარაძეს, სერგო ორჯონიკიძესა და სხვებს. მან პირდაპირ მითხრა: — ვინც ასეთ წიგნს დაწერს ილიას მკვლელობაზე, როგორც თქვენ დაგიწერიათ, — ის მონაწილეა ილიას მკვლელობაში, და განაგრძო: — ჩვენ ბევრ საბთუს ვიცნობთ ილიას მკვლელობის შესახებ, რომელიც სულ მალე ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდებაო.

ცხადზე უცხადესია ერთი რამ: ლავრენტი ბერიას რომ მოსწონებოდა კოტე გორდელაძის მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე და მასში გატარებული აზრები, წიგნი ერთ კვირაში დაიბეჭდებოდა. მაგრამ მან კარგად იცოდა, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელი და მკვლელობის ორგანიზატორი და ამიტომ მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ არ გამოაქვეყნა, დაიწუნა და საზოგადოებისათვის ცნობილი არ გახდა...

ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ორჯონიკიძესა და ბერიას შორის მწვავე ურთიერთდამოკიდებულებას ბევრი რამ ედო საფუძვლად, მაგრამ ვფიქრობ, პირველ იყო ორჯონიკიძის მონაწილეობა ილიას მკვლელობაში, რაც ბერიასათვის კარგად იყო ცნობილი, — უნდა მოისპოს ორჯონიკიძეთა გვარი, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა მან და ჩვენც შეშინებულნი გამოვედით მისი კაბინეტიდან“.

ბერიამ ფ. მახარაძის განთავისუფლებაც მოინდომა სამსახურიდან, როგორც ბატონი ალ. სიგუა გადმოგვცემს, მაგრამ სტალინმა ნება არ დართო (იხ. ალ. სიგუა, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე, გვ. 37-40).

ბერიას მოსკოვში გადასვლის შემდეგ შედგა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი 1941 წელს. იმის გამო, რომ პროცესზე გიგლა ბერბიჭაშვილი ხელს ადებდა ფილიპე მახარაძეს, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორს, ცეკამ გამოყო ერთი კაცი და ადვოკატ ხონელიძისა და პროკურორის შემადგენლობით ეახლნენ სახლში ფილიპე მახარაძეს საქმეში გასარკვევად. ფილიპე ავად იყო იმ დროს და ლოგინში იწვა. როდესაც მოახსენეს თუ რას ამბობდა გიგლა ბერბიჭაშვილი სასამართლო პროცესზე და ვის ასახელებდა მკვლელობის ორგანიზატორად, ფილიპეს ეს ფაქტი დაუდასტურებია და უთქვამს: „ჩვენ, მესამედასელებმა, კომუნისტებმა, დავადგინეთ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, ვინაიდან ილია იყო ერთადერთი დიდი პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას. როდესაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის მოკვლა დავადგინეთ, ფრაქციის ყველა წევრმა იცოდა და დადგენილებაზეც ხელი ჰქონდა მოწერილი. ეს იცოდა თვით სტალინმაც, რომელიც მაშინ არაფერს არ წარმოადგენდა. მან დადგენილებას ხელი

მოაწერა და ბაქოში წავიდა. ახლა კი, როდესაც ევროპაში ქართველმა ემიგრანტებმა წერილები დაწერეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ, სტალინს უნდა ამ საქმიდან სუფთად გამოვიდეს და ასე უბრძანებია: «Наказать не взирая на должность». მოგეხსენებათ, რომ ბერბიჭაშვილს არავითარი თანამდებობა არ უჭირავს, აქ ჩემზეა ლაპარაკი, მე მეხებაო“ (იქვე, გვ. 48).

სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს ფილიპე მახარაძის ბრალდება ილიას მკვლელობაში სტალინის თანადგომის შესახებ. სტალინმა, აი კიდევ რა სცენარი მოაწყო ამ ბრალდების გასაბათილებლად: მან კრემლში, თავის ბინაზე მიიწვია „ძველი მეგობრები: პეტრე კაპანაძე, სერგო ქავთარაძე (ამ მოგონების ავტორი), ვასო ეგნატაშვილი, და გიორგი ელისაბედაშვილი. მოპატიჟებულ სტუმრებს მან სადილი გაუმართა, რომლის დროსაც სრულიად მოულოდნელად დაუსვა მათ კითხვა: „თქვენი აზრით, ვინ უფრო დიდი პიროვნებაა — ილია თუ მეო?“ ვინ შებედავდა ილიაო, შენო — უთხრეს. „ეჰ, მე თქვენ მაინც უფრო პირამთქმელნი და გონიერად გამსჯელნი მეგულებოდითო, — ილია ჭავჭავაძეს სამოღვაწეო სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა პატარა, მისმა გონებრივმა შემართებამ საქართველოს ვიწრო ჩარჩოებში ფრთები სათანადოდ ვერ გაშალა, იგი არწივად იყო დაბადებული და საქართველოს ვიწრო შემოგარენში სული მოეხუთა, თორემ მსოფლიოს პრეზიდენტად გამოადგებოდაო“.

დიდებული შეფასებაა, ილიას რომ შეეფერება სწორედ ისეთი, უკეთესს ვერაფერს იტყვი. მაგრამ, ეს ხომ იუდას ამბორია, გამიზნული იმ აზრის შესაქმნელად, რომ ამ სიტყვების ავტორი როგორ იქნებოდა გარეული ილიას მკვლელობაშიო, თორემ აღნიშნულ დადგენილებაზე მის ხელმოწერას რომ თავი დავანებოთ, სად იყო სტალინი, ათეული წლების მანძილზე, ტალახში რომ სვრიდნენ ილიას სახელს და საფლავიდან ამოღებასაც რომ ლამობდნენ ქართველი ბოლშევიკები?

სტალინს თუ ასეთი სიმპათიები ამოძრავებდა ილიას მიმართ, და ასე აფასებდა მას, რატომ ხმა არ ამოიღო მახარაძისა და მის მსგავსთა გარეწართაგან ილიას დასაცავად, ვიდრე თვით არ დასჭირდა ქართული ეროვნული მწერლობის ეს უდიდესი ავტორიტეტი რუსი ოპონენტების იმ აზრის გასაბათილებლად, რომ იგი კავკასიის ველური ტომის ველური შთამომავალი კი არა, დიდი რუსთაველისა და დიდი ილიას „გვარ-ტომის“ წარმომადგენელი იყო?!

ასე რომ, სავსებით საფუძველმოკლებულია ილია ჭავჭავაძისადმი სტალინის გულშემატკივრობა. როგორც ზემოთ ითქვა, სტალინს პირადი „მეს“ იქით, არც სამშობლო სწამდა, არც ერი, არც ბერი და არც საკუთარი მშობელი. კაცი რომ საკუთარი დედის დასაფლავებას არ დაესწრება, აქედან განსაჯეთ, თუნდაც მისი ცივსისხლიანობა.

ველური კავკასიელის გვარტომის ბრალდება რომ თავიდან აეცილებინა, სტალინმა ახლა ის მოითხოვა, რომ თავისი გვარის ფუძე — ჯუღა-სათვის — ქართული ძირი გამოეძებნათ. ეს საქმე საქართველოს ცკ-მ ივანე ჯავახიშვილს დაავალა.

რა უნდა ექნა დასახვრეტად განწირულ დიდ მეცნიერს — იგი იძულებული გახდა ასეთი ვერსია შეეთითხნა, რომ თითქოს „ჯუღას“ ძირი კახეთის ერთ-ერთი სოფლის ჯუგაანის სახელწოდებიდანაა წარმომდგარი, — რაც, რა თქმა უნდა, სრული აბსურდი იყო.

სამწუხაროდ, 1937 წლის გენოციდით არ დასრულებულა სტალინის ანგარიშსწორება ქართველი ხალხის მიმართ. მან ასევე, რუსეთ-გერმანიის ომში, დანარჩენ რესპუბლიკებს შორის, ყველაზე მეტი სისხლი კვლავ საქართველოს გაადინა. რაღაც სამ მილიონიანი საქართველოდან საომრად გაიყვანა 700 000 ქართველი და მათი უმრავლესობა ქერჩის ყველაზე მძიმე და აშკარად მოღალატურ საომარ ფრონტს შეაჟლიტა. ეს მან წინასწარ, შეგნებულად გააკეთა აი, რა გზით: უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს სხვათა ომი ამდენი მსხვერპლის ფასად არ დაუჯდებოდა, ქართველი მეომრები, ჩვეულებრივად რუსულ სამხედრო ნაწილებში რომ ყოფილიყვნენ გაფანტულები. ამიტომ, სტალინმა სპეციალურად გამოაცალკევა ქართველი მეომრები, შექმნა მათგან ქართული დივიზიები და მათი უმეტესობა ქერჩში ჩახოცა — რაც ხმელეთზე უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, არანაკლები ზღვაში ჩაიხრჩო, გემებზე მყოფი მეომრებით.

ამ ომში, ქართველების მიმართ სტალინის დამოკიდებულების შესახებ, მკითხველს მინდა მოვუთხრო ერთ ეპიზოდზე, რომელიც ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა მოუთხრო მსმენელთ ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლისას სტალინის დესპოტობისა და მისი ქართველმოძულეობის საილუსტრაციოდ. როგორც ცნობილია, ჰიტლერმა ბოლო დროს დაშალა ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკები და მათგან შექმნა საბჭოთა კავშირთან მებრძოლი ბატალიონები. ერთ-ერთ ასეთ ქართულ ბატალიონს მეთაურად დაუნიშნეს ჩინით კაპიტანი, თუ არ ვცდები, გვარად ჭიჭინაძე. ეს კაცი თავის ხელქვეით ქართველებთან ერთად საბჭოთა კავშირის ერთგულები აღმოჩნდნენ. ამ კაპიტანმა როგორღაც მოახერხა და ფრონტისპირა საბჭოთა სარდლობას დაუკავშირდა, რის შემდეგადაც თავისი ბატალიონით საბჭოთა მხარეს გადმოვიდა და რამდენადაც კარგად იცოდა გერმანელთა ჯარის განლაგება, მათ მიერ დაგეგმილი ოპერაციები და საბჭოთა ჯარებთან ერთად გამანადგურებელი დარტყმა აგემეს გერმანელებს.

ქართული ბატალიონის ამ მამაცობის ამბავი საბჭოთა გენერალიტეტმა სტალინს აცნობა და მათი დაჯილდოება ითხოვა. სტალინმა კი საპასუხოდ, მათი დახვრეტა ბრძანა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ასე ძვირად დაუჯდათ ქართველ მეომრებს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ თავიანთი გმირობა, მხოლოდ და მხოლოდ, მათი ქართველობის გამო.

რუსის ერს, როგორც ცნობილია, შოვინისტურ-იმპერიალისტური განწყობა ქვეშევრდომი ერების მიმართ არათუ აკლდა ოდესმე, ჭარბადაც კი ჰქონდა, მაგრამ ამ მხრივ, თვით ლენინის განცხადებით, რუსზე უფრო მეტ რუსობას იჩენდნენ გარუსებული „ინოროდცები“ — სტალინი, ორჯონიკიძე, ძერჟინსკი. მაგალითად, ვის მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ ლენინი არ იყო რუსის შოვინისტიო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას

არასოდეს დასცდენია სხვა ერებთან მიმართებაში რუსი ერის უპირატესობაზე. ამაზე მხოლოდ სტალინი ალაპარაკდა. მისი მმართველობის დროს რუსული შოვინიზმი ისეთ კურიოზულ დონეზე ავიდა, რომ ის, რაც კაცობრიობამ მიაღწია თავისი არსებობის მანძილზე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, ყველაფერი რუსის ერს მიაწერეს. შეიქმნა სასკოლო სახელმძღვანელოები ისტორიაში, ლიტერატურაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში და სხვ., სადაც ამგვარი გაყალბებით მიეწოდებოდა ცოდნა ახალგაზრდობას.

სტალინმა პირველმა შემოიტანა, აგრეთვე ცნება „დიდი რუსი ხალხის“ შესახებ, რამაც კიდევ უფრო მეტი ბიძგი მისცა რუსულ შოვინიზმს. სტალინი, მართალია, განსაკუთრებული მძულვარებით საქართველოს ეპყრობოდა, მაგრამ საერთოდაც იგი მტრულად იყო განწყობილი იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხის მიმართ. მისი პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული ამ ხალხის გასარუსებლად. თანაც, გამარუსებელი პოლიტიკა ინტერნაციონალიზმად ცხადდებოდა, ხოლო პატარა ერების მხრივ თავისი ეროვნული მეობის დაცვა — ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად. მაშასადამე, სულ სხვა იყო სტალინის დამოკიდებულება რუსი ხალხის მიმართ და სულ სხვა, თუნდაც ისეთი მცირერიცხოვანი ნაციონალურ უმცირესობების მიმართ, როგორიც გახლავთ ჩრდილოკავკასიელი მთიელები.

აი, რა შესანიშნავ ანალიზს იძლევა ამ მხრივ ცნობილი ემიგრანტი და გულმხურვალე პატრიოტი ალექსანდრე ცომაია: „მოსკოვმა მოქმედების ორი მიმართულება აირჩია: ერთი — რუსების მიმართ და მეორე — არარუსი ეროვნების ხალხთა მიმართ.

პირველ შემთხვევაში, ეგრეთწოდებულ დამნაშავეებს სჯიდნენ, მაგრამ ხალხს ამისათვის ანგარიშს არ სთხოვდნენ; მეორე შემთხვევაში, ცალკეული ადამიანების დანაშაულისათვის მთელი მოსახლეობა სამართლდებოდა... ასე მაგალითად — 1944 წლის თებერვალში სტალინმა ჩაატარა კავკასიელი ტომების — ჩეჩნეთ-ინგუშეთის და ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობის გენოციდი იმ მოტივით, რომ თქვენი ზოგი წარმომადგენელი კავკასიის კალთებთან მოსულ გერმანელებთან თანამშრომლობდაო და ამასთან, ტყვედჩავარდნილი თქვენი ჯარისკაცებიც, სამშობლოს განთავისუფლების მოტივით, გერმანელების მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდნენო.

ბატონი ალექსანდრე, რუსული არმიის პოლკოვნიკის ტოკაევის მიერ მიწოდებული ცნობებზე დაყრდნობით, აი, რა შემზარავ ფაქტებს გვაცნობს ამ გენოციდის შესახებ: „მთელი მოსახლეობა უეჭველი სიკვდილისათვის იქნა აყრილი და გაგზავნილი ციმბირისა და შუა აზიის საკონცენტრაციო ბანაკებში: ჩეჩნეთ-ინგუშეთის 697 400, ყაბარდო-ბალყარეთის — 349 236 და ყარაჩაის — 129 925 ადამიანი... დეპორტაციამდე ენკავედეს ბანდიტებმა მამებისა და ქმრების თვალწინ გააუპატიურეს მათი ქალიშვილები და ცოლები... შემდეგ ჩვეულებრივი მატარებლების მიმოქცევა შეწყვიტეს. ბადრაგი აქვითვინებულ ხალხს მატარებლებთან ერეკებოდა და

უწესრიგოდ ყრიდა მათ პირუტყვის ვაგონებში. დედები და შვილები, ასევე, ცოლი და ქმარი ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ვაგონებში აღმოჩნდნენ. ციმბირის შორეულ გზაზე, პირუტყვის ვაგონებში, ზოგი შიმშილით დაიღუპა, ზოგი გაიყინა, ასობით ძუძუთა ბავშვი დედებს ხელში ჩააკვდა“ (იხ. ალ. ცომაია, რჩეული ნაწერები, გვ. 254-257).

ბატონი ალექსანდრე განაგრძობს: „სტალინმა ამ შემთხვევაში მხოლოდ კავკასიელებს და ყირიმელ თათრებს მოუწყო გენოციდი გერმანელებთან მიმხრობის მოტივით, თვარა იგივე საქმის ჩამდენ რუსებს როდი აკადრა ეს სასჯელი. არადა, იგივე არ გააკეთა ათასობით რუსმა? განა ვლასოვი და სხვა გენერლები თავიანთი არმიებით არ გადავიდნენ გერმანელთა მხარეზე და იქიდან არ ხელმძღვანელობდნენ „რუსეთის განმათავისუფლებელ არმიას?“ და განა მთელ რუსეთს აგებინეს ამისათვის პასუხი?“ (იქვე, გვ. 258).

სტალინმა მსგავსი გენოციდი მოუწყო საკუთარ სამშობლოს — საქართველოს, რაც მისი ღრძო ბუნების კიდევ ერთი გამოვლინება იყო. ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში, დასაბამიდან დღემდე, არცერთ კაცთამჟლეტ ტირანს არ დაუსჯია თავისი მეომარი ტყვედჩავარდნის გამო, რადგან ყველა მათგანს კარგად ესმოდა, რომ ტყვეობაში მოხვედრა თვით ომის კანონითაა განპირობებული — სადაც არის ომი, გინდა არ გინდა, არის ტყვეც. სტალინმა კი გერმანელთა ხელში ტყვედჩავარდნა სამშობლოს ღალატად გამოაცხადა. მან საბჭოთა ჯარისკაცს მიზნად დაუსახა — ტყვედჩავარდნის შემთხვევაში უკანასკნელი ტყვია შუბლში დაეხალა.

ჰოდა, იმ მოტივით, რომ ქართველ მეომართა შორის ეს არავინ გააკეთა, სტალინმა ყველა ისინი შუა აზიის უდაბნოში გადაასახლა. 1951 წლის 25 დეკემბრის ერთ ღამეს ლოგინებიდან წამოყარეს ტყვედნამყოფი მეომრები ცოლითა და ბავშვებით, ჩასხეს ვაგონებში და რამოდენიმე ათასი კაცი ყაზახეთისა და შუა აზიის გადახრუკულ უდაბნოში გადაასახლეს“ (იხ. ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 175).

ეს იყო გაუგონარი ჯალათობა და ამასთან ქართველი ერის მიმართ აშკარად გამოკვეთილი მტრობა, რადგან ეს ვანდალიზმი სტალინმა, სხვა რესპუბლიკებიდან გამორჩევით, მარტო ქართველ ხალხს დააწია. მეორე და მთავარი აი რა არის — მამამ რომ ფრონტზე ტყვედჩაარდნის დროს უკანასკნელი ტყვიით თავი არ მოიკლა, აქ ცოლი და შვილი რა შუაში იყვნენ?!

იმ თვალსაზრისით, რომ ეგებ გონზე მოვიდნენ სტალინის ფანატიკოსი მკითხველები, თავს ნებას მივცემ, ამ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით მკითხველს მოვუთხრო თუნდაც ერთ ასეთ გულშემძვრელ ეპიზოდზე: ჩვენი ოჯახის მეზობლად, სოფელ ანაგაში ცხოვრობდნენ გოშნიაშვილების დიდი სანათესაო. ამ ოჯახის შვილი — ალექსი გოშნიაშვილი გახლდათ ტექსელის ცნობილი აჯანყების მონაწილე. მაგრამ იმის გამო, რომ მანამდე ტყვედ რატომ ჩაუვარდი გერმანელებსო, არც ის დაინდეს ჩეკისტებმა და ისიც გადაასახლეს შუა აზიის უდაბნოში თავისი ოჯახით — 3-წლის გოგონას ჩათვლით. ნათესავები შეეხვეწნენ ჩეკისტებს — თუ შეიძლება, ეს ბავშვი

დაგვიტოვეთ, ჩვენ გავზრდითო. არაო, უთხრეს — ნაბრძანები გვაქვს, მთელი ოჯახი უნდა გადასახლდესო. გზაზე ბავშვს ტირილი დაუწყია, კუკლა დამავიწყდაო. ჩეკისტებმა გულმოწყალება გამოიჩინეს, უკან შემოაბრუნეს მანქანა, დედამ კუკლა გამოუტანა, დააწყნარეს ბავშვი და გაუყვნენ გზას.

1955 წელს, როცა ამნისტია გამოცხადდა, ეს ოჯახიც დაბრუნდა უკან იმ გოგონას გარეშე და აი, რა გვიამბეს: კონტინენტური ჰავის პირობებში, სადაც დღე გაუსაძლისი სიცხეა და ღამე კი ძლიერი სიცივე, ღია ცის ქვეშ დაგვყარეს ალყაშემორტყმულებიო. მიწაზე მწოლიარე ბავშვი გაგვიცივდა, ანთება დაემართა, უწამლობის გამო დაგვეღუპა და იქვე, უდაბნოში დავმარხეთო.

აი, ვის ეთაყვანებიან კვლავაც ზოგ-ზოგი ფანატიკოსები, და ჩვენდა სამარცვინოდ, აი, ვისი სახელობის პოლიტიკური ორგანიზაცია აქვთ შექმნილი ტვინნაღრძობ ქართველებს.

სტალინმა კი იძია შური სამშობლოში დაბრუნებულ ტყვეებზე და მათ ოჯახებზე, მაგრამ უფრო მეტად ბოღმავდა იმ ტყვეთა მიმართ შურისძიება, ვინც არ ისურვა ჯალათური რეჟიმის ქვეყანაში დაბრუნება და უცხოეთში — ინგლისში, საფრანგეთში დარჩა. ქართველ ტყვეთა გადმობირების მიზნით, დასავლეთ ევროპაში გაიგზავნენ ცნობილი ორატორები — პეტრე შარია, სერგო ქავთარაძე და სხვები. მათი შეხვედრა ტყვეებთან მოეწყო ხელებგაწვდილი მშობლებისა და ცოლ-შვილის ამსახველი პორტრეტებითა და ლოზუნგებით მორთულ სპეციალურად შერჩეულ კინო-თეატრების დარბაზებში. გაქნილი ორატორები გულისამაჩუყებელი სიტყვებით, ცრემლების ფრქვევით არწმუნებდნენ მათ, რომ არათუ პასუხს მოთხოვდნენ ტყვედჩავარდნის გამო, არამედ „მშობლიური საბჭოთა მთავრობა“ გულში ჩაიხუტებდა ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებში ნაწამებ ტყვეებს. სამწუხაროდ, დაგებულ ანკესს ბევრი წამოეგო. შემოვიდნენ თუ არა საბჭოთა კავშირის საზღვრებში, „მშობლიურმა სტალინმა“ ისინი ციმბირში გაამგზავრა.

ჯერი მიდგა ახლა პოლიტიკურ ემიგრანტებზე. სტალინმა ახლა მათი დასჯა გადაწყვიტა საბჭოთა რეჟიმის ზურგშექცევისათვის. მათ გადმოსაბირებლად კვლავ გაიგზავნენ სერგო ქავთარაძე, შალვა ნუცუბიძე და სხვები. მართალია, ქავთარაძემ ვერ დაიყოლია ნოე ჟორდანია საბჭოთა საქართველოში დაბრუნებაზე, ხოლო გრიგოლ რობაქიძემ ახლოსაც არ გაიკარა შალვა ნუცუბიძე (ეს მისი პირადი ნაამბობია), მაგრამ ზოგის მოტყუება მაინც შეძლეს. მშობლიურ მიწას დანატრებულებს, სტალინმა ციმბირში ამოხადა სული.

სტალინი მაინც ვერ გაძღა ქართველთა სისხლით. იმავე წელს, როცა მან ქართველ ტყვეთა ოჯახები შუა აზიაში გადაასახლა, ქართველი ინტელიგენციისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა გასაჟლეტად „მეგრელთა საქმე“ შეთითხნა. მეგრულ ელიტას ბრალი დასდო — თქვენ გინდოდათ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს ჩამოცილება და მისი თურქეთთან შეერთებაო. ამ ცრუ ბრალდებით უამრავი ხალხი ციხეში ჩაყარა. დაიწყო

მათი ბარბაროსული წამება „გამოსატეხად“. ეს ის დრო იყო, როცა სტალინი ბერიას ახლოს აღარ იკარებდა. როგორც სჩანს, მისი სურვილი იყო, წამებით გატანჯულ პატიმარ მეგრელობას ბრალდება დაედასტურებინა და თანაც თაოსნად ბერია დაესახელებინათ. მაგრამ მოწაფემ აჯობა მასწავლებელს და 1953 წლის 5-მარტს სტალინი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

ასე გასრულდა სიცოცხლე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტირანისა. უნდა ითქვას, რომ სტალინს, მსოფლიო ისტორიაში ცნობილ ტირანთა შორის არ ჰყავდა პროტოტიპი არა მარტო იმ მხრივ, რომ ადამიანთა ჟლეტაში ყველა ტირანს გადააჭარბა, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი სრულიად განსხვავდებოდა სხვათაგან საკუთარი სამშობლოსადმი დამოკიდებულების საკითხშიც.

მაგალითად, ნებისმიერი ტირანი — გნებავთ ჩინგის ყაენი, თემურ ლენგი, ივანე მრისხანე და თვით მისი თანამედროვე ჰიტლერი, მართალია (ისევე, როგორც სტალინი), სხვის ქვეყნებს ებრძოდნენ, იპყრობდნენ, ხალხს ხოცავდნენ, მაგრამ საკუთარ ქვეყანასა და ხალხს როდი მტრობდნენ! სტალინი კი, როგორც ულმობელი ჯალათი, პირველ რიგში, თავის მრავალტანჯულ სამშობლოს — საქართველოს დაუპირისპირდა და ყველაფერი გააკეთა არა მარტო მის დასანაწევრებლად, არამედ თვით ქართული, ეროვნული სახელმწიფოს მოსასპობად და ქართული გენის აღმოსაფხვრელადაც-კი. ამიტომ ქართველი ხალხისაგან მას მხოლოდ წყევლა-კრულვა ეკუთვნის და არა ფეხზე ადგომით სამადლობელი სადღეგრძელო, იმ აბსურდული მოტივით, რომ „სამამულო ომი“ მოიგოო.

აქვე ვიტყვით, რომ ის ომი არათუ საქართველოსათვის, თვით რუსეთისათვისაც კი არ იყო სამამულო ომი, რადგან ორივე — გერმანიაც და რუსეთიც იყვნენ კოლონიურ-იმპერიული სახელმწიფოები და იბრძოდნენ არა მხოლოდ თავიანთი იმპერიების შესანარჩუნებლად, არამედ მთელს მსოფლიოზე გასაბატონებლადაც. ასე რომ, 300 000 ქართველი სულ ტყუილუბრალოდ შეეწირა რუსეთ-გერმანიის ომს. ცხადია, არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ომის დასრულებისას კვლავ რუსეთი უბატონებდა საქართველოს, თუ მას გერმანია შეენაცვლებოდა.

უფრო მეტიც, თუ საქართველო სხვათა მონობას ვერ ასცდებოდა, სჯობდა მისი ბატონი ცივილიზებული გერმანია ყოფილიყო, ვიდრე ავ-კარგის დაუფასებელი სკვითი. ასე რომ, საქართველო მეორე მსოფლიო ომში აღმოჩნდა იმ ქათმის როლში, ძროხას რომ წააკლეს.

მაგრამ აი, მოკვდა ეს ქართველთმოძულე ტირანი და თითქოს ერთგვარი შვება უნდა ეგრძნო ჩვენს ქვეყანას, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, 1956 წელს, მკვდარი სტალინი კვლავ მოევლინა საიქიოდან ჩვენს ქვეყანას „მაოხარი გზირის“ როლში, რასაც უამრავი ახალგაზრდა შეეწირა. ამას ბიძგი მისცა ანტიქართულად განწყობილმა კრემლის ახალმა დიქტატორმა — ხრუშჩოვმა და მის გარშემო შემოკრებილმა რუსი შოვინისტების ბანდამ სტალინის ცალმხრივი კრიტიკით.

მართალია, თავად ის ფაქტი, რომ სტალინი იყო ულმობელი ტირანი, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რა თქმა უნდა, სწორი კრიტიკა იყო სტალინის პიროვნებისა, მაგრამ ყველა ბოროტების წაქცევა მხოლოდ მასზე და ნომერ პირველი ტირანის — ლენინის გამოყვანა კი უცოდველი კრავის როლში, რომელმაც დასაბამი მისცა გაუგონარ კაცთაკვლას, იყო რუსული შოვინიზმის აშკარა გამოხატულება.

რუსის შოვინისტებმა სტალინს სულ მალე ბერიაც მიაყოლეს, რითაც ბოლო მოეღო იმპერიის სათავეში არარუსთა პარპაშს. ახლა ორიოდე სიტყვა ჯერ იმ მიზეზებზე, კერძოდ, რამაც სტალინისა და ბერიას ტრაგიკული დასასრული გამოიწვია, ხოლო შემდეგ იმის განსაზღვრა, თუ რუსულ სარბიელზე მოღვაწე სამეულთაგან, ქართული გვარ-სახელების გარდა, რამდენად ჰქონდათ შემორჩენილი ეროვნული სული.

უპირველესად, უნდა ითქვას, რომ „გენიოსმა“ სტალინმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა იგი ბერიას დაუპირისპირდა. რუსულ გარემოცვაში ეს ორი მაღალჩინოსანი ერთიმეორის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ერთიმეორეს ამაგრებდნენ. იმის მიუხედავად, რომ სტალინი თავისი სულით იყო რუსზე უფრო რუსი და უმძლავრესი რუსული იმპერიის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა, რუსული შოვინისტური ბუნება მაინც ვერ იტანდა გენეალოგიით არარუსის ყოფნას იმპერიის სათავეში. მაგრამ მას ვერაფერს აკლებდნენ მანამ, ვიდრე დასაყრდენად ჰყავდა მსოფლიო დონის ისეთი მზვერავი-ჩეკისტი, როგორიც გახლდათ ბერია.

სტალინის ერთ-ერთი დიდი ნაკლი ის იყო, რომ იგი ვერ იტანდა, როცა მის გვერდით სხვა ჩინოსანიც აღზევდებოდა. მწერალს მარტო სტალინის დიდებაზე უნდა ეწერა, მუსიკოსს მხოლოდ სტალინზე უნდა ეწერა ნოტები, მომღერალს მასზე უნდა ემღერა, საზოგადოებას მხოლოდ სტალინის ქება-დიდებაზე უნდა ეყვირა და ტაშისცემით ხელის გულები მხოლოდ მისთვის უნდა გადაეტყავებინა. ხოლო, თუ ხალხში მის გარდა სხვისი ავტორიტეტიც ამაღლდებოდა და ზომას ასცდებოდა, მას დაუყოვნებლივ იცილებდა თავიდან.

ასე გაასაღა სტალინმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გიორგი დიმიტროვი, უფრო ადრე — ძალზე გათამამებული ორჯონიკიძე და სხვები და სხვები... ახლა კი, მთელს იმპერიაში ძალზედ გაიზარდა ბერიას სახელი. იგი თითქმის მეორე კაცად იქცა კრემლის იერარქიაში, რამაც განსაზღვრა ბერიას ბედიც. მაგრამ აქ უკვე დამარცხდა ბებერი ლომი. ბერია იძულებული გახდა საკუთარი ტყავის გადასარჩენად რუსულ გარემოცვას დაკავშირებოდა. ასე, ერთობლივი ძალისხმევით გაიწირა სტალინი.

ახლა ჯერი მიდგა ბერიაზე. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერია, ფაქტობრივად, პირველ კაცად იქცა იმპერიაში. თანამდებობრივად უფრო მაღლამდგომი მალენკოვი და მოლოტოვი მხოლოდ ფორმალურად პირველობდნენ. სინამდვილეში ისინი ბერიას ნების შემსრულებელ მარიონეტებად იქცნენ.

აი, ამ პირობებში ბერიამ ირწმუნა საკუთარი უძლეველობა, რამაც მისი მარცხიც განაპირობა. მან არარაობად ჩათვალა ცეკაში უფუნქციოდ მიგდებული, ნაცარქექიად მიჩნეული ხრუშჩოვი. აქ გამართლდა ლექსად თქმული ცნობილი ქართული ანდაზა: „ნუ იამაყებ თუნდ იყო ცხრათავა ბაყბაყ მდევია, ნუ იტყვი ის რას დამაკლებს, მე ვარო მძლეთა-მძლევია...“ ამგვარად, ბლაყვმა ხრუშჩოვმა აჯობა მსოფლიო დონის ჩეკისტს და სიცოცხლეს გამოასალმა. ასე დასრულდა ეგრეთწოდებულ ქართველთა კარიერა კრემლში.

ახლა მე მინდა იმ კურიოზულ ფაქტზეც მოვახსენო მკითხველს, რომელიც სუფევდა იმ დროს ქართველ ხალხში კრემლის სათავეში მოქცეული ამ სამეულის: სტალინ-ორჯონიკიძე-ბერიას მმართველობასთან დაკავშირებით. სტალინი — ჩვენი, ორჯონიკიძე — ჩვენი, ბერია — ჩვენი! ეს ფაქტი ისეთ ეიფორიას იწვევდა ღრმა ძილში მყოფ ქართველობაში, რომ ზოგ-ზოგნი თვით რუსერთის იმპერიასაც-კი ლამისაა ქართულ იმპერიად მიიჩნევდნენ.

არადა, საქართველო ყველაზე უფრო მაშინ და ყველაზე უფრო მეტად სწორედ მათგან იწიხლებოდა; ისინი რუსზე უფრო მეტად რუსობდნენ ერთის მხრივ, თავიანთი ანტიეროვნული ბუნებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, რუსთა გულის მოსაგებად. დიახ, საქართველოს უწინარესად მათ (სტალინმა და ორჯონიკიძემ) მოუსპეს ეროვნული სახელმწიფოებრიობა რუსულ იმპერიაში შეთრევით; მათ (სტალინმა და ორჯონიკიძემ) გააჩუქეს ქართული ეროვნული მიწა-წყალი, და ბოლოს, მათ წაიცალეს საქართველოს თავი უმაღლესი ქართული გენის მოსპობით...

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: ასეთ ქართველებს ეთქმით-კი ქართველობა? ასეთი ქართველებით შეიძლება ერი ამაყობდეს?!

როგორ არაო, გვამუნათებენ ეფემერული ილუზიებით მოწამლული სტალინელი ფანატიკოსები: პაწაწინა საქართველოსათვის როგორ არაა საამაყო ამ ვეებერთელა რუსულ იმპერიას 30-წელი ქართველები (უპირველესად ქართველი სტალინი) რომ მბრძანებლობდნენო?! მერე ჩვენ რა!

იმის სამაგიეროდ, რომ ამ მანქურთებს იქ, იმ იმპერიაში მაღალი სამეთაურო პოსტები მიეღოთ, საქართველო ქრთამად მიართვეს რუსეთს და თანაც მათთვის ერთგულების დასამტკიცებლად, უპირველესად ჩვენ, ქართველებს და ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს დაუპირისპირდნენ — დაგვამხეს, დაგვჩეხეს, გაგვანადგურეს და სწორედ კრემლში, ქართველთა ბატონობის ჟამს, ანუ იმ 30-წლის მანძილზე, საქართველოს თავზე ქართველთა სისხლის კალო ლეწეს. განა შეიძლება ასეთი შვილებით საქართველო ამაყობდეს მარტო იმ მოტივით, რომ მან ნომერ პირველი ჯალათის, კერძოდ — ლენინის პარალელურად, ნომერ მეორე ჯალათი — სტალინი მოუვლინა კაცობრიობას?!

საქართველო უნდა ამაყობდეს შოთა რუსთაველით, დავით აღმაშენებლით და სხვა უამრავი სახელოვანი მწერლებითა და პოლიტიკური მოღვაწეებით და არა გაურკვეველი ვინაობის სტალინით,

რომელიც უპირველესად თავს დაატყდა მრავალტანჯულ საქართველოს.

ამგვარად, იმ ბოროტების მიხედვით, რაც სტალინმა და ორჯონიკიძემ ჩაიდინეს ქართველი ერის მიმართ, მკრეხელობა იქნებოდა მათი ქართველებად მოხსენიება. ეგებ მეც მკრეხელობად ჩამითვალონ, მაგრამ, ოდნავ უფრო სხვა აზრის გახლავართ ბერიაზე, მიუხედავად იმისა რომ, როგორც სტალინის დავალებით, ასევე პირადი ინიციატივითაც უდიდესი ცოდვები ადევს მას კისერზე ქართველი ინტელიგენციისა და პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ, მაინც იგი, ჩემი აზრით, არ იყო მთლად გარეცხილი ეროვნული გრძნობისაგან, როგორც ეს ითქმის სტალინისა და ორჯონიკიძის მიმართ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფაქტები:

1. საინგილოს უკან დაბრუნების მცდელობა. 1954 წელს მე პირადად გახლდით საინგილოს სხვადასხვა მხარეში. აი, რა გადმომცეს ინგილო-ქართველებმა: მათი თქმით, 1936-წელს ბერია საინგილოში ჩასულა და ქართველი მოსახლეობისათვის საქართველოს მთავრობის სახელზე განცხადებები დაუწერინებია — საინგილოს კვლავ საქართველოსთან შეერთების მოთხოვნით. საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ აზერბაიჯანის ცეკას მდივანი ბაგიროვი სტალინთან გაქცეულა და უთქვამს მისთვის — ბერია საინგილოს გვართმევსო.

სტალინმა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც არ უღალატა თავის ანტიქართულ პოზიციას, რის შედეგადაც ეს დიდებული წამოწყება ჩაიშალა.

ამასთან, სტალინის ამ პოზიციით ისიც დამტკიცდა, სტალინის თაყვანისმცემელი ფანატიკოსების მიერ შეთითხნილი ანეკდოტის საწინააღმდეგოდ, რომ 1921 წელს საქართველოსთან საინგილოს ჩამოგლეჯის ინიციატორი იყო სტალინი, ხოლო ორჯონიკიძე მისი აქტიური მხარდამჭერი და შესრულებელი. არადა, თუკი სტალინი 1921 წელს მართლა წინააღმდეგი იყო საინგილოს გაცემისა, ახლა რატომ არ დაუჭირა მხარი ბერიას საინგილოს უკან დასაბრუნებლად?

2. ბერიას ეროვნულ საქმედ ეთვლება, აგრეთვე, აფხაზეთში ქართული ოჯახების ჩასახლება და ამ უძველეს ქართულ მიწაზე ქართული ეთნოსის აღზევება. და კიდევ ერთი მაგალითი: სტალინისა და ორჯონიკიძის გულუხვობით იმედმოცემული სომხეთის ცეკას მდივანი ხანჯიანი თბილისში ბერიას ეწვია თავის კაბინეტში იმ მოტივით, რომ ჯავახეთში სომხური მოსახლეობა ქართველებისას სჭარბობსო, მოითხოვა ამ მიწა-წყლის სომხეთისათვის გადაცემა. ბერიამ არც აცია, არც აცხელა, მას იქვე, კაბინეტში ტყვია დაახალა და სული გააფრთხობინა.

როგორც ზემოთ ითქვა, სტალინის სიკვდილის შემდეგ, კრემლში ბერია აშკარად პირველობდა. პოლიტბიუროს სხდომები ძირითადად მისი თაოსნობით იწვეოდა და მთელი რიგი კარდინალური საკითხების დამყენებელიც და გადამწყვეტიც ბერია იყო. კერძოდ, მან დააყენა საკითხი მთავრობის როლის ამაღლებისა და მისდამი პარტიის ცეკას დაქვემდებარების შესახებ, როგორც ეს იყო ლენინის დროს.

ასევე, მან დააყენა საკითხი — მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მეტი თვითმმართველობის მინიჭებისა და თითოეულ მათგანში მართვა-გამგეობისა და საქმის წარმოება საკუთარ, ეროვნულ ენაზე. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი სიცოცხლის შემთხვევაში აუცილებლად დაუბრუნებდა იგი საქართველოს 1921 წელს წართმეულ ტერიტორიებს. ასეა თუ ისე, იმ ეტაპზე ბერიას დამხობა ჩვენი ქვეყნისათვის სრულებითაც არ იყო სასიხარულო.

ახლა, მე მინდა ისევ სტალინის თემას დავუბრუნდე და მკითხველს შევთავაზო შედარებით უჩინარი პოეტის — გაბრიელ ჯაბუშანურის შესანიშნავი პოეტური ქმნილება —„ინვექტივა-მონუმენტი“, რომელიც სტალინის დეტალურ დახასიათებას შეეხება.

გაბრიელ ჯაბუშანური

ინვექტივა-მონუმენტი

I

სამყაროს რისხვა შენთვის ახია
და რისხვაც გითხარ მე, სიტყვის ლოთმა,
რამდენი ღერი თმისა გასხია,
იმდენი კაცის გამძიმებს ცოდვა.
წყეულო თავზე რამდენი თმა გაქვს,
იმდენი დედის გიღვრია ცრემლი,
შენი ქოჩორი ჩამოგავს ჯაგარს, —
შუბლს დასწოლია ვითარცა გველი.
შეკრული შუბლი შავი ხევია,
წარბნი გველნია, სავსე შხამითა,
ისინი არც კი შეირხევიან
გინდ გადაბრუნდეს ეს დედამიწა.
მილიონები მაგ შუბლს ჰმონებენ,
ხალხი მის რისხვას ვეღარ იცილებს,
ეგ ნაოჭები მე მაგონებენ:
წვრილად დახლართულ გველის ნაწილებს.
შუბლის ნაოჭნი გველის წიწილებს
ჰგვანან, — მათ წარბი — გველი ეთავსა
და მჯერა: — მალე ყველა იწივლებს:
ადამის ძეთა ამოწყვეტასა...

2

ჩაღრმავებული შენი თვალები
ვულკანებია ჯოჯოხეთისა,
უცხოა მათთვის რამ შებრალება,
უცხოა მათთვის ცრემლის წვეთიცა...

მშვიდად უმზერენ ხალხთა წამებას
თვალები შენი, — ჩვეულნი გარყვნას,
მათ შეუძლიათ შეუწყნარებლად
ასე უმზირონ სამყაროს წარღვნას.
მაგ თვალებს ძალუძს რომ გადიტანონ
სოდომის ჭვრეტა განუწყვეტელი;
ეგ მზერა მოჰგავს ასპიტ პიტალოს,
მისთვის უცხოა აზრი კეთილი.
თვალში გველები
შუბლზე გველები,
წარბნიც გველები — გველებს ეთვისა
შენი ყურები არის ხვრელები
იმ დამეხილი ჯოჯოხეთისა.
შენი ყურები სატანის მოდგმის, —
არის ხვრელები ლუციფერისა,
რომელთაც ძალუძთ შენივე ხოტბის
მშვიდად მოსმენა, — სხვა არაფერი.
ხოლო ტუჩები, შხამით ნაცვრევი,
უმალ მაგონებს ურჩხულის ტუჩებს,
რომ ღაღადებენ ხალხთა დაქცევის
და წყევლის სიტყვას არსმენილს, უჩვევს...

3

შენ დააბნელე მსოფლიო თალხით,
მზეს მოერკალე კუპრის ღრუბლებად,
თავისუფლება წაართვი ხალხებს
და თავისუფლად ფიქრის უფლებაც.
შენ ხალხი ისე მოაშთე ტანჯვით,
რომ თვით ხოტბასაც, შენს მიმართ, კრძალვით
გამოთქვამს იგი,
აჟრჟოლებს ტანში, —
უღვთოდ დამეხილს უხეში ძალით.
შენ ზეცის შვიდივ კარი დარაზე,
ხალხს ჯოჯოხეთის დაეცი მეხი,
რაც წმინდა იყო ამ ქვეყანაზე
შელახე უღვთოდ, გათელე ფეხით,
შენ უბოროტეს დემონის ჯუფთი
მკრეხელობ ურცხვად, ზვავად, თავნებად.
შენ უწმინდესი ტაძრები უფლის
გადაქციე ცხენის თავლებად.
კლდეც უგრძნობელი, შენ ააკვნესე
და შენმა შხამმა მთებიც მონავსა,
მიკვირს ვით იტანს პლანეტა ესე

მაგ სისაძაგლეს გაუგონარსა!
ბარი სისხლისგან მთლად იწრიტება,
მოლნიც მოცვარა სისხლისა მცვრევამ,
ჰაერი რად არ დაიშრიტება
ან ზეცა რად არ ჩამოიქცევა...
რად არ შეუდგა ქვეყანას ჟამი,
რად არ იქცევა ნეტავ ქედები —
შენგან დაღვრილი ამდენი შხამით,
რაც დააზღვავე შენივ ქმედებით...
მდინარეთ დარად უვრცეს ზღვებს ერთვის
ხალხთა სისხლისა და ცრემლის ჩქერი;
ადამის ძეთა სიცოცხლე შენთვის
არის უბრალო გაფრენა მწერის.
შენ ხალხებს ზაკვის აუცერ ხვითო
და ორპირობა საქვეყნოდ გათქვი,
ო, ნუ იფიქრებ გწყევლიდე ვითომ, —
შენ წყეული ხარ შენივე საქმით.
შენ წყეული ხარ შენივე აზრით,
შენ ბოროტების კიდემდე მიხვედ,
შენ ეს ქვეყანა მონების ბაზრად
შენ ეს ქვეყანა აქციე ციხედ.
აქციე ციხედ თუჯის თაღებით
და ადენ ტყვეთა სისხლის უხვ წყაროს,
შენ თავკაცების წმინდა წაღები
მოხადე ხალხებს, მხეცო უწყალოვ!
შენ თავკაცების მწვედ გამწირველი
ტანჯულ ხალხს ხდიდი მართალთა წაღებს,
რომ ყოფილიყავ თავად პირველი,
რომ დაგეოკა ეგ სიამაყე.
რა დაგაოკებს, რა შეგაჩერებს,
ხალხს ვით შეხორცდეს ჭრილობის შრენი...
ძარცვავ თვალდათვალ და თან გვაჯერებ,
რომ ხალხისათვის სიკეთეს შვრები.
და ხალხთა თავზე აწვდილ დიდ მახვილს
ვინ შეაგებოს ხმალი თუ ჩადრი...
ხოცავ თვალდათვალ და თან იძახი,
რომ ხალხისათვისს წყალობას სჩადი.
ძალა ხელთა გაქვს, ვის რასა ჰკითხავ, —
სიტყვას ჭეშმარიტს ხარჯავ თუ არა,
სტყუი თვალდათვალ, მაგრამ ვინ გითხრას,
რომ შენ წყეულო, ხარ მატყუარა.
დიახ, ხელთა გაქვს ყველა უფლება
და ვინც იშიშვლებს სიმართლის ხანჯალს,

მყის მოგუდავენ ჭორის ღრუბლებით,
თან მილიონებს მიცემენ ხანძარს.
ღაწვს არ დაგიწვავს შენა სიწითლის,
ცრუ არც ნამუსის ქენჯნას გრძნობ ოდნავ,
თუმცა რა უნდა შენთან სინიდისს, —
სიმართლედ გიჩანს თვით შენი ბოდვაც.
შენ ჯოჯოხეთის შავო ნაცარო, —
ნუთუ ვერასდროს მოგაშთონ წლებმაც,
მზად ხარ: სამყარო თავს ანაცვალო,
რომ მიაღწიო დიდების მწვერვალს.
ეს კიდეც შესძელ შენ უეჭველად
და ტირანთ ღმერთზე ხარ ასჯერ მეტი,
მაგ ბოროტებით ო, გველო ჭრელო,
თავად დაიდგი შენ მონუმენტი.
შენ მონუმენტი თვალმიუწვდენი
თავად დაიდგი სიავის შმორით
და იმავ ძეგლთან პლანეტა ჩვენი
ჩანს, როგორც მზესთან ვარსკვლავი შორი.

5

რამდენი ღერი თმისა გასხია,
იმდენი დედის გამძიმებს ცრემლი,
სამყაროს რისხვა შენთვის ახია
და ეს სამყაროც გრისხავს და გწყევლის.
შენ აქ მიწიერს იქმნი პარადიზმს,
ეგ შვება ფსკერზე შავ სისხლს ილექავს,
იყავ წყეული აწ და მარადის
ეგ მიწა გექცეს ტანჯვის დილეგად.
ხალხთა მძლე რისხვით აგევსოს ჯამი,
გაგიწყდეს ჟამი შერიგებისა,
ოდეს დადგება ჟამი განკითხვის,
როს წარუდგები უფალ-იესოს,
რათა სასჯელი ტანჯვის, განკითხვის
მოგეზღოს მხეცო უსაზიზღრესო!

6

შავ აეშაგთა, შავთა მსტოვართა
ხარ შავ ხროვაში გამოკიდული,
შენდა საქებრად ცრუ ხელოვანთა
შენ ააყეფე ხმა მოსყიდული.
ხოლო ნამდვილი მუზა ჩაჰკალი,
ციხეს მიეცი მგოსნები ხალხის,
რომ ვეღარ ეთქათ სიტყვა მართალი, —

თუ ვით წვავს ერებს სახმილი ალხი,
დაიცა შენი ჯერიც დადგება, —
აღიმაღლებენ დევნილნი სიტყვას
და მათი ლექსის მძლე აზათქება
არც შენ დაგინდობს, არ გაგიკითხავს.
ო, მათი რისხვის სიტყვამრავლობა
გულზე დაგასობს ფოლადის ფიწალს
და ლექსი ეტყვის შთამომავლობას
თუ რა არგუნე შენ დედამიწას.

7

შენ ყველა ყრმაში შენ მონას ეძებ
და ყოველ საღ აზრს ახშობ და სდევნი,
მაგრამ იცოდე: თაობა ესე
ხვალ მესაფლავე იქნება შენი.
შენ სიმართლისთვის ყველა მორკინალს
აწამებ, აშთობ, ატყვევებ, დევნი...
შენი მკლავები არის ბორკილი, —
ხუნდი ვეება თვალმიუწვდენი.
რაიცა გველი ამა პლანეტას,
შემოხვევია და ხარბად სალტავს,
თან მაინც კიდე ეცოტავება
ესე მსოფლიო სამეფო ტახტად.
გულხარბო შენთვის ცოტაა, ვერ გღლის
შენივე ცოდვა აზრმიუწვდენი,
შენ უდიდესი აიგე ძეგლი,
ძეგლი ცოდვისა, — ზღვა სისხლისმდენი.
ძეგლი სიმკაცრის, ძეგლი ვამპირის,
ძეგლი სიკვდილის თოვლად მთოველი,
სადაც ყოველი ნაკვთი გაჰყვირის: —
მხოლოდ მე! მხოლოდ ჩემთვის ყოველი!

8

შენ მიუჩინე ჯაშუშად ძმა ძმას,
უღვთოდ გაყიდა შვილი მშობელმა,
ქმარი ცოლს უწნავს სიკვდილის თასმას,
დამ და დაახრჩო დაუნდობელად —
და ისიც რისთვის? — ლუკმისთვის მარტო,
რადგან ხალხს პურად არგუნე ქატო.
არარს კალამი, არც სიტყვა სხარტი
მთელი სისრულით რომ გამოგხატოს.

9

შენ მხეცის მხრებით უკუნი მოგაქვს,
ჰკოცნი უკუნის შავ ხმალს ხეტარზე.
შენი ფეხები ორ ურჩხულს მოგავს,
რომ აბოტებენ ამ პლანეტაზე.
მათი ტვირთის ქვეშ მზის შუქი კვდება,
კლდე ვეღარ უძლებს ქუსლებს ტიტანურს.
მე მიკვირს მიწა როგორ არ სკდება,
რომ შენ ურჩხულო, თან ჩაგიტანოს.
ნაბანო ზაკვის ფოლორც ემბაზში,
ხარ ბელზებელი მწვედ შენიღბული
მთელი სამყაროს ბოროტებაზე
უბოროტეს არს ეგ შენი გული.
იგი ქვესკნელის მინოსს ეძმება
და არის მასზეც ათასჯერ მეტი,
აბა, მე სად მაქვს იმის შეძლება
ჩამოვქნა სიტყვით სატანის სვეტი.
შენ თვით დახატე შენი ხატება,
შენივე სიტყვით, შენივე საქმით,
რომ ძეგლი იგი, შემდეგ, ხალხებმა,
მოსრან, — მიწიდან ქვესკნელში დანთქმით.
შენ ჯოჯოხეთის ხარ ხელოვანი,
შენ მართლაც დიდი აიგე ძეგლი,
ცრემლით და სისხლით სახელოვანი
შენ ხალხთა ყოფას ქელავ და ჯექნი.

10

აწ ჟამმა დაჰკრა, დადექ, იუდავ,
იცან სიკვდილი სისხლის ბელადმა
და ხალხს, წარღვნას რომ მიჰქადდი მუდამ, —
დღეს თვით შენ მიხველ სახრჩობელასთან.
იცან სიკვდილი სისხლის ბელადმა,
ჩაჰკალ იმედი შველა-დახსნისა.
დღეს შენ თვით მიხველ სახრჩობელასთან
და უკან მოგყვა წყევლა ხალხისა.
შენთვის სამყაროს ახია რისხვა
და რისხვაც გითხარ მე — სიტყვის ლოთმა
რამდენი ღერი გასხია თმისა,
იმდენი დედის გამძიმებს ცოდვა,
სამყაროს რისხვა შენთვის ახია
და ეს სამყაროც გრისხავს და გწყევლის,
რამდენი ღერი თმისა გასხია,
იმდენი დედის გიღვრია ცრემლი.
დრო დადგა, აღსდგა ახლა სამყარო

და შენი ხუნდიც იხსნის ტვირთებსა,
ჩაძაღლდი მხეცო, გაუმაძღარო,
შენთვის არავინ არ ატირდება.

1950-53 წწ.

მაგრამ ვაი, რომ ატირდა ათეული წლების მანძილზე ნატანჯი, დაშინებული, დაგლახაკებული და უმძლავრესი სააგიტაციო მანქანით გამოთაყვანებული მასა, ვისაც დღედაღამ ჩასძახოდნენ იძულებითი რადიომაუწყებლობით, ტელევიზიით, პრესით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით, კინორეპერტუარებით — სკოლაში, სამსახურში, სახლში, ქუჩაში — პოლიტწრეებზე, კრებებზე, მიტინგებზე, კომუნისტურ დღესასწაულებზე..., რომ სტალინი ჩვენი მამა და მარჩენალია, იგი მზეა, ზეკაცია, მისგან გვიდგას სული, პურს ის გვაჭმევს, თვარა აგერ, ამერიკაში შიმშილით წყდება „ჩაგრულთა მასა“ — სტალინი გვიცავს ბურჟუაზიული ქვეყნების აგრესიიაგან, — სტალინით ვცოცლობთ, ვმოძრაობთ, ვსუნთქავთ! ჰოდა, ეს რობოტად ქცეული მასა იმიტომაც დასტიროდა სტალინს, რომ მის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა.

აი, თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი: მე პირადად, სტალინის გარდაცვალების ჟამს სოფელში გახლდით. უცებ მეზობელი ქალის ხმამაღალი ტირილი შემომესმა. მე, დედა და მამა სასწრაფოდ გავვარდით, ვიფიქრეთ, ბავშვი ხომ არ დაეღუპაო. ვნახეთ, ეს ქალი მუხლებზე დაცემული. რა იყო, რა დაგემართაო, ჰკითხა მამამ. რას ამბობ, რაღა უნდა დაგვემართოს უარესი, სტალინი მომკვადარა და რაღა გვეშველებაო! არადა, თვით მას მეტი უსაშველო სხვა რა უნდა დამართნოდა, სტალინური ყოფიდან გამომდინარე, მარტო იმის კაბისათვის რომ შეგეხედათ, ისე იყო საკერებლებით აჭრელებული, თავდაპირველად ვერ გაარჩევდით, რა მატერიით იყო შეკერილი.

მაგრამ ეს კიდევ რაა, გაცილებით უარესი, სენსაციური ამბავია მოთხრობილი, ცნობილი მწერლისა და კრიტიკოსის, აკაკი ბაქრაძის ერთ წერილში, რომელიც დაიბეჭდა 1988 წელს კინო-ჟურნალის პირველ ნომერში ასეთი სათაურით — „ცამეტი წელი კინოში“. ამ ამბის თხრობას აკ. ბაქრაძე ასე იწყებს: „მე იმ თაობას ვეკუთვნი, ვისაც სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს უფრო ადრე აზეპირებინებდნენ, ვიდრე დედა-ს ან მამა-ს წარმოთქმას ისწავლიდა. ნაირნაირი მილეთის, ნაირნაირ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ეთაყვანებოდა და ადიდებდა კრემლის ბინადარს. მისი სურათი ეკიდა ყოველ კედელზე. მისი ქანდაკი იდგა ყოველ ქალაქსა და ყოველ სოფელში. არ დარჩენილა კალამი, მისი სადიდებელი არ შეეთხზა. ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ იგი იყო უფრო დიდი, უფრო მიუწვდომელი, ვიდრე ღმერთი. პროპაგანდის მანქანა მუშაობდა დღედაღამ. ამ აზრს აჭედებდა, როგორც ლურსმანს, ყოველი მოქალაქის გონებაში. რომელიღაც მეცნიერს უთქვამს — გამუდმებულ პროპაგანდას ვერ უძლებს ყველაზე

გენიალური რუასიც კი. სწორედ ამის დასტურად გამოდგება ერთი შემთხვევა, რომელიც ყოფილმა პოლიტკატორღელმა მიამბო.

1953 წელს, მარტის პირველ რიცხვებში, საკონცენტრაციო ბანაკში უთავბოლო ფაციფუცი ატყდა. ადმინისტრაცია რეტდასხმული და შეშინებული დარბის წინ და უკან. რაღაც უსაშველოდ მნიშვნელოვანი მოხდა, მაგრამ რა?.. პატიმრები ვერაფერს ვხვდებით. ბოლოს ვიფიქრეთ, ალბათ, ისევ ომი დაიწყოო. მაშინაც ასე იყო, 1941 წლის 22 ივნისს. რამდენიმე დღის მერე ეზოში გამოგვრეკეს. არაჩვეულებრივის მოლოდინში გავინაბეთ. ცივი, სუსხიანი ჰაერი გრომკოგავარიტელის ხმამ გააპო. უცნობმა, სევდითა და ტკივილით გაბზარულმა ხმამ გვაუწყა: — მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენი ბელადი, მამა და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გარდაიცვალა...

და რაც მაშინ მოხდა, ამას არავინ მოელოდა. რამდენიმე ათასი კაცი, როგორც ერთი ადამიანი, გათოშილ-გაყინულ მიწაზე დაემხო და გულსაკლავად აზლუქუნდა. მათ შორის მეც. სადღაც, გონების კუნჭულში ჩარჩენილი საღი აზრი დაცინვით მეკითხებოდა: — ნუთუ შენც, სანდრო, სტირი? შენ, ვინც 17 წელიწადია იტანჯები. უპატრონოდ დაგატოვებინეს ცოლ-შვილი, სახლ-კარი. წაგართვეს ყველა უფლება, პირუტყვად გაქციეს, მაინც სტირი? შენ, ვინც ყოველ-წუთს მის სიკვდილზე ოცნებობდი, სტირი ახლა, როცა ოცნება ასრულდა?.. მაგრამ ჩემი არსება არ უგდებს ყურს ჩემ საღ გონებას. სხვებთან ერთად, დამხობილი ვქვითინებ. სხვებთან ერთად, სასოწარკვეთილი ვეკითხები ცას და ქვეყანას: — რა გვეშველება უსტალინოდ?

იმ წუთს ამ ნატანჯ, ნაგვემ, მშიერ-მწყურვალ, გაძვალტყავებულ ტუსაღთა შორის არ იყო კაცი, რომლის გონებას ანათებდა იმედის ნაპერწკალი: — დიქტატორი აღარ არის. მოვიდა თავისუფლება!.. არა, არ იყო. უზარმაზარი საკონცენტრაციო ბანაკი, ობლად დარჩენილი უსუსური ბალღივით გულამოფსკვნილი მდუღარედ, უნუგეშოდ შესტიროდა უსასრულო ტაიგას“. ასეთი იყო ლეგენდის ძალა, ასკვნის ბატონი აკ. ბაქრაძე. ერთ ფილოსოფოსს უთქვამს — მონობას მიჩვეული ხალხი უარს იტყვის განთავისუფლებაზეო. ასე იყო იმჯერადაც.

საქართველო კვლავ პროკრუსტეს ბუნაგში — ხრუშჩოვიდან გორბაჩოვამდე

მას შემდეგ, რაც სტალინი გარდაიცვალა, ხოლო სულ მალე ბერიაც ზედ მიაყოლეს, კრემლში ხრუშჩოვი გაბელადდა. მისი მმართველობა აღინიშნა რეჟიმის ერთგვარი შერბილებით. ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარად მოაზროვნეებს აღარ ხვრეტდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ სტალინი და ბერია ქართული გვარ-სახელებით მოევლინენ რუსეთის საბჭოთა იმპერიას, — და იმის მიუხედავად, რომ პირადად სტალინს საქართველოსათვის ბოროტების მეტი არაფერი გაუკეთებია, ხოლო რუსეთის იმპერია ძლიერების ზენიტში აიყვანა, ბატონი ნიკიტა მაინც, რუსული შოვინისტური ბუნებიდან გამომდინარე, უკიდურესი მტრობით განეწყო მთელი ქართველი ერის მიმართ. მისი მიბაძვით, რუსულ საზოგადოებაში გაჩაღდა არნახული ანტიქართული ისტერია. თუკი, ოდესმე (ძირითადად საბჭოთა პერიოდში) რაიმე უბედურება თავს დასტეხია რუსეთს, ყველაფერი დაბრალდა სტალინსა და ბერიას.

იმ აზრის შესაქმნელად, რომ თვით კომუნისტური სისტემა დიადი და საამურია, მაგრამ ყველაფერი სტალინმა გააფუჭაო, — ასევე, იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყნის სათავეში ეროვნებით რუსი რომ ყოფილიყო, ამდენი უსამართლობა არ დატრიალდებოდაო, დაიწყეს არა მარტო ლენინის, როგორც რუსის, უზომო ქება-დიდება, არამედ იმ აბსურდის მტკიცებაც, რომ თითქოს ლენინის მმართველობის დროს ჭიანჭველაც არ გასრესილა და რომ იგი იყო უდიდესი დემოკრატი, — და ეს მაშინ, როცა ფაქტობრივად ლენინი იყო ყველა ბოროტების სათავე — გაუსამართლებლად ასეულ ათასობით ადამიანის დამხვრეტიც (იგი მოითხოვდა საჩვენებელი დახვრეტების მოწყობას ხალხის დასაშინებლად) და მასიური საპატიმრო ბანაკების პირველი დამფუძნებელიც კაცობრიობის ისტორიაში. ამ მხრივ იგი წინ უსწრებს სტალინსაც და ჰიტლერსაც.

ერთი სიტყვით, ხრუშჩოვმა ისე გააშიშვლა რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი, რომ მან კურიოზული ხასიათი მიიღო — ერთის მხრივ ებრძოდნენ და ძირკვავდნენ სტალინს, როგორც არარუსს, პიროვნების კულტის ბრალდებით, ხოლო პარალელურად, ლენინი, როგორც რუსი, აჰყავდათ ღმერთის რანგში.

უფრო მეტიც, ხრუშჩოვი, რომელიც გმობდა სტალინის დიქტატორობას, თვით გადაიქცა იგივე დიქტატორად. ამასთან, ქვეყანა მან უარეს ჩიხში მოაქცია, ყოვლად გაუაზრებელი და ზედაპირული ხასიათის რეფორმების გატარებით. არც მას, არც მის წინამორბედებს, და არც მომდევნო ლიდერებს არ ესმოდათ, ან არ სურდათ გაგეოთ, რომ ქვეყანაში არსებული პერმანენტული კრიზისი გამოწვეული იყო ანტიხალხური წესწყობილებით, და თუ იგი არ შეიცვლებოდა, არაფერიც არ ეშველებოდა ქვეყანას.

მაგალითად, მალენკოვმა ეკონომიკური აღმავლობის საფუძვლად „კვადრატულ-ბუდობრივი“ თესვა მიიჩნია. ხრუშჩოვი კი იმდენად მოიხიბლა ამერიკაში მოგზაურობის დროს სიმინდის უხვმოსავლიანობითა და მისი მრავალმხრივი კულინარული პროდუქტიულობით, რომ საქართველოში ჩამოსული, კახელ გლეხებს ურჩევდა — გაკაფეთ ვენახები და მის ნაცვლად სიმინდი დათესეთო.

ბატონმა ნიკიტამ მოიარა თითქმის მთელი მსოფლიო. ბევრგან მისი ქუჩის ბიჭური ქმედებები (გაეროს ტრიბუნაზე მყოფმა ფეხსაცმელი გაიხადა და მაგიდაზე ურტყამდა — მომისმინეთო!) და ასევე, არასერიოზული სიტყვიერი გამოსვლები, სახელს უტეხდა მსოფლიოს თვალში რუსეთის საბჭოთა იმპერიას.

ასევე, აბსურდული იყო ბატონი ნიკიტას ქმედებები ქვეყნის შიგნითაც. მაგალითად, 1963 წლის მოუსავლიანობის დროს, როცა ქვეყანა ისეთ კრიზისში მოექცა, რომ ისტორიულად მარცვლეულის ექსპორტიორი რუსეთი იძულებული გახდა ეს აუცილებელი პროდუქტი ამერიკიდან შემოტანა და ხალხს „კორმის“ მაგვარ პურს აჭმევდნენ, ბატონმა ნიკიტამ მსოფლიოს ამცნო: 1980 წლისათვის საბჭოთა ხალხი კომუნიზმში იცხოვრებსო!

მეტის ატანა აღარ შეიძლებოდა. მომწიფდა შეთქმულება. იმ დროს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი ბიჭვინთის აგარაკზე ლაღობდა, მოსკოვში, მისგან დამოუკიდებლად, მოწვეულ იქნა ცეკას პლენუმი ბრეჟნევის თაოსნობით, ნიკიტას გადასაყენებლად. იგი აგარაკიდან გამოიძახეს და პლენუმის გადაწყვეტილება ამცნეს. გახელისუფლდა ლეონიდ ბრეჟნევი. ეს მოხდა 1964 წლის 14 ოქტომბერს.

ახლა გადავხედოთ, რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში. ჯერ კიდევ სტალინმა, სიცოცხლის ბოლო ჟამს, ასეთი სახის ორგანიზაციული ცვლილება მოახდინა საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში: ტახტიდან გადააყენა 1938-წლიდან ცეკას მდივნის სავარძელში დაობებული კ. ჩარკვიანი და მის ნაცვლად დასვა ნაპიონარ-ნაკომკავშირალი აქტივისტი ა. მგელაძე. ჩარკვიანი გახლდათ კომუნისტური სისტემისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატის კლასიკური განსახიერება. ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე მან თავი გაიპამპულა დიდი ქართველი პოეტის — ვაჟა-ფშაველას ყოვლად უსაფუძვლო კრიტიკით. მოგეხსენებათ, სტალინს ყველგან და ყველაფერში კლასები და კლასობრივი ჩაგვრა ელანდებოდა, — ადამიანთა ყოფის ყოველ კომპონენტს კლასობრივის მნიშვნელობას ანიჭებდა. მან თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც ენათმეცნიერებას შეეხებოდა, ენა მიიჩნია კლასობრივი ჩაგვრის იარაღად, რასაც მოჰყვა ენის სიწმინდისათვის ბრძოლის კამპანია.

ჰოდა, ნათქვამი რომაა — კუმ ფეხი გამოყო და მეც ნახირ-ნახირო, ბატონმა ჩარკვიანმა თავისი გამოჩენა მოინდომა ვაჟა-ფშაველას გაკრიტიკებით — მის ნაწარმოებებში ფშავური კილო-კავის ხმარებისათვის. კომუნისტ-ფუნქციონერს არ ესმოდა, რომ ვაჟას ნაწარმოებთა ფშავური კილო ისევე, როგორც ალექსანდრე ყაზბეგის მოხევური კილო და ეგნატე ნინოშვილის გურული კილო-კავი, არათუ აკნინებს რაიმეთი ნაწარმოებებს, პირიქით, იგი ანიჭებს უდიდეს სულიერ

შთამბეჭდაობას.

ახლა, რაც შეეხება ჩარკვიანის შემცვლელ მგელაძეს. ეს იყო კომკავშირული სტილის ურა-კომუნისტი, რომელსაც ფანატიკურად სწამდა კომუნისტური სისტემის სიკეთისა — და, თუ პირიქით, სიღარიბე, გამომძალველობა, სახელმწიფო ქონების დატაცება და მექრთამეობა სუფევდა ქვეყანაში, ამას იგი ცუდ ხელმძღვანელობას აბრალებდა, რომელიც არ იცავდა კომუნისტურ „მართლწესრიგს“. ხოლო, როგორც-კი მისი თაოსნობით აღდგებოდა ქვეყანაში კანონიერება და წესრიგი, თხა დ ამგელი ერთად მოძოვდა და ასევე, ადამიანებისათვის საჭირო ყველა სახის პროდუქტი ღვარივით დაიწყებდა დენას.

ამ იმედით, მგელაძემ დაიწყო მოხსნა-დანიშვნების და დაპატიმრებების ფართო კამპანია, მაგრამ არ დასცალდა, თავადვე ეხილა თავისივე ექსპერიმენტების აბსურდულობა — მოსკოვიდან ჩამოსულმა ბერიამ იგი მოხსნა და მის ადგილზე დანიშნა ალექსანდრე მირცხულავა. თუმცა, მისი დღე კიდევ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა. ბერიას დამხობის შემდეგ ბატონმა ნიკიტამ უკრაინის არმიაში გამოძებნა თავისი მახლობელი — გენერალი ვასილ მჟავანაძე და იგი დასვა საქართველოს ცეკას მდივნის პოსტზე.

შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ვასილი, სხვა ცეკას მდივნებთან შედარებით, არ იყო ბოროტი კაცი. ის, არც კარიერით ყოფილა დაავადებული, როგორც ეს ითქმის მის წინამორბედ მგელაძეზე და მითუმეტეს მომავალ მემკვიდრეზე — ედუარდ ამბროსევიჩზე. უყვარდა ქეიფი, ნადირობა, დროსტარება. ლუკმა-პურის ძიებაში, არც ხალხს ზღუდავდა. აძლევდა ხალხს გასაქანს — ეცხოვრათ, ვისაც როგორ შეეძლო.

სამწუხაროდ, ვასილ მჟავანაძის ცეკას მდივნობას დაემთხვა 1956 წლის 9-მარტის სისხლისღვრა. სამწუხაროდო ვამბობთ, რადგან იგი სულაც არ ყოფილა ამ ტრაგედიის თაოსანი. მანიფესტაციის დარბევა ხრუშჩოვის განკარგულებით მოაწყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ ისე, რომ მჟავანაძისათვის არც უკითხავთ.

მისი ცეკას მდივნობის ბოლო ჟამს, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დაწინაურდა ყოფილი კომკავშირელი ფუნქციონერი ედუარდ შევარდნაძე. იგი დაუახლოვდა მოსკოვში თავისივე კოლეგა-მინისტრს შჩოლოკოვს, რომელიც თავის მხრივ ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ბრეჟნევთან.

ბატონმა ედუარდმა — დღევანდელი ჟარგონით რომ ვთქვათ, დაიწყო ამ კაცთან მჟავანაძის „ჩაშვება“, ანუ იმის მტკიცება, რომ საქართველოში საკავშირო გეგმის შეუსრულებლობა და იქ გამეფებული კორუფცია და სხვა მანკიერებანი, რაც სავსებით უცხოა „დიადი საბჭოთა სისტემისათვის“, გამოწვეულია მჟავანაძის ბიუროკრატიული ხელმძღვანელობით, მისი უყურადღებობით, სამართალდარღვევებითა და ასე შემდეგო, რითაც იგი მიანიშნებდა მჟავანაძის გადაყენების აუცილებლობაზე და ამ პოსტზე თავის შესაძლო კანდიდატურაზე. ბატონი შჩოლოკოვი კი ყველაფერ ამას ბრეჟნევს ახსენებდა.

ასე მომზადდა მოსკოვში მჟავანაძის გადაყენებისა და მის ადგილზე

შევარდნაძის დანიშვნის აქტი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1972 წლის სექტემბერში.

ბატონი ედუარდი დაეუფლა თუ არა რესპუბლიკის მართვის საჭეს, მგელაძის მსგავსად გააჩაღა დაუნდობელი ბრძოლა აღნიშნულ მანკიერებათა აღმოსაფხვრელად, რაც მისი კომკავშირული ჭკუით წარმოადგენდა „კაპიტალიზმის მიერ დანატოვარ ნაშთებს“. ასეთ ნაშთებად ითვლებოდა, ფაქტობრივად, ბიუროკრატიული კომუნისტური რეჟიმის მიერ შობილი — ქურდობა-მექრთამეობა, ყალბისმქნელობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, ცრუ ციფრობრივი მაჩვენებლებით გეგმის შესრულება, ქვეყანაში შექმნილი განუკითხაობა და ყოველგვარი მანკიერება, რაც სენივით იყო მოდებული ცხოვრების ყოველ სფეროში.

ბატონი ედუარდი კი, მიამიტი მასის წინაშე, პირადი პოპულარობის მოსაპოვებლად, შეეცადა დაერწმუნებინა ისინი, რომ კომუნისტური რეჟიმი არის ყოველ წესწყობილებაზე უკეთესი ცხოვრების წესი, მაგრამ თუ იგი არ ხორციელდება პრაქტიკულად, ამის მიზეზი ადგილებზე კანონდარღვევა გახლავთო. ჰოდა, როგორც-კი დავიჭერთ და ციხეებში ჩავყრით რეჟიმის დამრღვევ დამნაშავეებს, არსებული საბჭოთა ხელფასიც გეყოფათ საცხოვრებლად და კაი სამართლებრივ სახელმწიფოსაც აგიშენებთო. ხალხსაც მეტი რა უნდოდა, იფიქრეს — ეგ არი და გვეშველაო — და ბევრს, ამ ცრუ დაპირებების ლოდინში ამოძვრათ სული.

ბატონმა ედუარდმა უპირველესი იერიში მიიტანა „კაპიტალიზმის ისეთ ნაშთზე“, თვით კაპიტალისტებს არასდროს წარმოდგენაც რომ არ ჰქონიათ, და არც არასდროს ექნებათ. ეს გახლდათ ეგრეთწოდებული „ყალბი გაწერები“, ანუ ქაღალდზე შესრულებული საწარმოო მაჩვენებლები, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს საბჭოთა იმპერიაში და რაც გამოწვეული იყო ობიექტურად შექმნილი მდგომარეობით.

აი, ფაქტობრივად, რა იყო ამ სიყალბის არსი: საკავშირო მთავრობა რესპუბლიკებს, ხოლო რესპუბლიკების ხელმძღვანელობა კი რაიონის ხელმძღვანელებს ავალდებულებდა დაემზადებინა იმ რაოდენობის ამა თუ იმ სახის პროდუქცია, რაც მის შესაძლებლობას დიდათ აღემატებოდა. უფრო მეტიც, რაიონებს აწერდნენ გადასახდელად ხორცისა და რძის პროდუქტებს, როცა სულაც არ გააჩნდათ ამ დარგის წარმოებისათვის საჭირო სავარგულები. ამიტომ, რაიონის ხელმძღვანელები, ზემდგომთა რისხვის თავიდან ასაცილებლად, ბაზრებში ყიდულობდნენ აღნიშნულ პროდუქტებს და ისე ასრულებდნენ გეგმებს, ანდა გეგმის შესრულების ყალბ მაჩვენებლებს უდგენდნენ.

აი, ასეთი ფაქტები წაუყენა დანაშაულებრივ ბრალდებად ბატონმა ედუარდმა რაიკომის მდივნებს და მთელს რესპუბლიკაში ყველა დახსნა თანამდებობებიდან. მათ ნაცვლად კი თავისი სანდო ძმაკაცები დააწინაურა, რითაც ცხადია, არც კორუფცია მომსპარა, არც სიყალბე, არც კანონ-სამართალი დამყარებულა ქვეყანაში და არც ხალხს მიუღია ცხოვრების რაიმე შეღავათი.

ბატონმა ედუარდმა კომუნისტური „წესრიგის“ დამრღვევებს მარტო

სამსახურიდან გაძევება როდი აკმარა. თავისი მოსკოველი შეფების საამებლად — იმის დასამტკიცებლად, რომ ჩემი ქვეყნის ხალხი ფეხებზე მკიდია და თქვენი ერთგული ყმა ვარო, ციხეები ქართველი „სამართალდამრღვევებით“ გაავსო. მოსკოვი საქართველოში მიმდინარე შევარდნაძის შოუ-რეპრესიებს დიდი რეკლამებით მიესალმებოდა.

როგორც აღინიშნა, ბატონი ედუარდი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, თავისი მოსკოველი შეფების წინაშე, მჟავანაძეს იმაში სდებდა ბრალს, რომ გეგმებს ვერ გისრულებთო. ჰოდა, ახლა, როცა თვითონ გახდა ცეკას მდივანი, ხომ უნდა შეესრულებინა იგი წარმატებით. ამ გზით იგი სახელს მოიხვეჭდა მოსკოველი პატრონების წინაშე, ეგ ხომ ერთი, — ამის გარდა, ისეთი მაღალი ჯილდოს მიღების სურვილიც უღრღნიდა გულს, როგორიც გახლდათ იმ დროს „სოციალისტური შრომის გმირის“ წოდება. მოგეხსენებათ, რუსებს იმაზე უფრო მეტად ვერაფრით ასიამოვნებ, ვიდრე გახლავთ ღვინო-არაყი.

ჰოდა, ბატონმა ედუარდმაც აქეთ აიღო კურსი. გადაწყვიტა, რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ღვინო-არაყი დაემზადებინა საქართველოში და გაეგზავნა იგი რუსეთისათვის. ამ მიზნით, მან პირდაპირ ვაგონებით შეაზიდვინა მარნებში შაქარი. უფრო მეტიც, სიღნაღის რაიონში ვეებერთელა ფართობებზე წითელი ჭარხალი დაათესვინა „საფერავი ღვინის“ დასამზადებლად. აი, ასე დაამზადეს „ქართული ღვინის“ რეკორდული რაოდენობა და გაგზავნეს რუსეთში. მათ კი ამ ღვინოების ნაწილი ევროპის ქვეყნებშიც გააგზავნეს, იქიდან ვალუტის მისაღებად. ამ გზით ბატონმა ედუარდმა ქებაც დაიმსახურა კრემლიდან და „სოციალისტური შრომის გმირის“ წოდებაც.

რაც შეეხება ღვინოს, რუსები კი აბა, რას დაიწუნებდნენ, მაგრამ ევროპელებმა იგი კარგად გასინჯეს, მისი ფალსიფიცირებაც დაადგინეს და უკანვე დაუბრუნეს რუსეთს. მოსკოვმა ეს სამწუხარო ფაქტი ამბროსევიჩს აცნობა, ხოლო მან, ვითომ მე არაფერი ვიცოდიო, ღვინის დამამზადებლები ციხეებში ჩაყარა — როგორ შემარცხვინეთ, ეს რა გიქნიათო! ჰო, მაგრამ სად ჰქონდათ მარნებს შაქარი, თუ მათ მთავრობა არ მოამარაგებდათ? მაშ რა გამოდის?

გამოდის ის, რომ ფალსიფიკაციის თაოსანიც ბატონი ედუარდი ბრძანდებოდა და ბოროტებისაც, ამდენი უდანაშაულო ხალხი რომ ციხეებში ჩაყარა თავისი კარიერისტული ვნებების დაკმაყოფილებისათვის.

ახლა, ვიდრე ჩვენს თემას გავაგრძელებდეთ, მინდა შევახსენო მკითხველს: მას შემდეგ, რაც რუსეთმა კომუნისტურ მოძღვრებაზე დაყრდნობით შექმნა განახლებული, რუსულ-საბჭოური იმპერია, ოდნავადაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მასში იძულებით შეყვანილი „მოკავშირე რესპუბლიკები“ და მათ შორის საქართველოც, სულ მუდამ მისი კუთვნილება იქნებოდა.

ამ მიზნით, ბოლო დროს ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეგრეთწოდებული „საბჭოთა კავშირი“ გარდაქმნილიყო რუსულ უნიტარულ სახელმწიფოდ, რუსული ენითა და ზნე-ხასიათით. აქედან გამომდინარე,

რამდენადაც კრემლის ლიდერობას ამ რესპუბლიკათა მიწა-წყალი მაინც თავისად მიაჩნდა, ფიქრადაც არ მოსდიოდა დაერღვია მისი ტერიტორიული მთლიანობა და ნაწილი მისი მიწა-წყლისა თავისი ქვეყნისათვის მიეერთებინა, ეთნოკომფლიქტები გაეჩაღებინა ან ეკონომიურად შეევიწროებინა ისინი.

ამისი აღნიშვნა იმისათვის დამჭირდა, რომ ბატონი ედუარდი, იმის მიუხედავად, რომ მაშინაც გამოირჩეოდა საქართველოს მიმართ თავისი ანტიქართული განწყობილებით, რაც რუსის შოვინისტებსაც აწყობდათ, იგი მაინც სხვა მხრივ ერთგვარად შეზღუდული იყო მოსკოვის ხელისუფლების მიერ აშკარად ეწარმოებინა ქართველთა სამტრო საქმე — ტერიტორიების გასხვისება და სხვა.

თუმცა, ბატონმა ედუარდმა, თავისი ცეკას მდივნობის დროს, მაინც შესძლო არცთუ ცოტა ანტიქართული საქმის კეთება კრემლის საამებლად, რათა თავისი ამ კურსის ჩვენებით უმაღლესი ნდობა მოეპოვებინა რუსი იმპერიალისტების წინაშე და ამ გზით ახლა თვით კრემლის მმართველ იერარქიაში შეეღწია.

ზემოთ, როცა სტალინის თემაზე გვქონდა საუბარი, აღვნიშნეთ, რომ სტალინს, როგორც ულმობელ ტირანს, კაცობრიობის ისტორიაში პროტოტიპი არ ჰყავდა, რადგან სხვა ტირანთაგან განსხვავებით, იგი უპირველესად თავის მრავალტანჯულ სამშობლოს აღუდგა მტრად და ყველაფერი გააკეთა მის დასასამარებლად.

და აი, ასეთი პროტოტიპი სტალინს ისევ საქართველოში გამოუჩნდა შევარდნაძის სახით, როგორც თავისი წარმომშობი ერის მოძულე და მტერი. მივყვეთ თემას თანმიმდევრობით და ეს ყოველივე დადასტურდება ფაქტების ჩვენებით. დავიწყოთ ცეკას მდივნობის დროს გამოვლენილი მისი ანტიქართველობით:

1. ბატონი ედუარდი ჩაჯდა თუ არა რესპუბლიკის დიქტატორის სავარძელში, რასაც მაშინ ცეკას მდივნის პოსტი შეიცავდა, თავისი მოსკოველი შეფების საამებლად, უპირველეს მიზნად დაისახა, იმპერიის მასშტაბით, საქართველო პირველი გადაექცია საექსპერიმენტო ბაზად, სადაც „ერების შერწყმის“ კომუნისტური თეორიის თანახმად, მიღებული იქნებოდა უეროვნებო ჰიბრიდი, რომელიც შემდგომში, მისი აზრით, მთელი არარუსი ხალხის ასიმილაციის სამოქმედო ნიმუშად უნდა გადაქცეულიყო.

ამ მიზნით, ბატონმა ედუარდმა გზა გაუხსნა საქართველოში ყველა ჯურის გადამთიელს, ხოლო პარალელურად, როგორც მმართველობის სისტემიდან, ასევე უკლებლივ, ყოველი წარმოება-დაწესებულებიდან გამოდევნა ქართული ენა და რუსული დაამკვიდრა.

მის დროსვე ჩაეყარა საფუძველი ეგრეთწოდებული „ინტერნაციონალისტური აღზრდის“ საბაბით „კადრების გაცვლის“ ექსპერიმენტსაც, რომლის მიხედვითაც უმაღლესდამთავრებული ქართველი ახალგაზრდობა სამუშაოდ ნაწილდებოდა რუსეთში და იქ ინთქმებოდა რუსულ უკიდეგანო მორევში, ხოლო აქაურ სამსახურებში რუსული კადრი შემოჰყავდათ, რაც ქართველთა გარუსების წყარო

ხდებოდა, რადგან ათასკაციან საწარმოში ორი რუსიც რომ ყოფილიყო, ლექცია-მოხსენებები და თვით მმართველობაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან იმ ორმა რუსმა ქართული ენა არ იცოდა.

ამ ექსპერიმენტების ავტორი ბატონი ედუარდი, ცხადია, უპირველესად, თავის კარიერისტული ვნებების დაკმაყოფილებაზე ოცნებობდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ თავისი ერისა და ქვეყნის გამწირველ კაცს დაუჯილდოებელს არ დატოვებდნენ რუსი ასიმილატორები და კრემლის მმართველ იერარქიაში საპატიო ადგილს მიუჩენდნენ.

2. ბატონმა ედუარდმა თავისი ანტიქართველობა იმითაც გამოავლინა, როცა ქართველთაგან დაგმობილი ორჯონიკიძის კვლავ აღზევებას შეეცადა და თავისი ამ სულიერი წინაპრის ძეგლი წამოგვიჭიმა დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრში.

ამას უნდა დაემატოს ბატონი ედუარდის თაოსნობით განხორციელებული კიდევ ერთი ასეთი მკრეხელური ფაქტი, რომლის მხილველი ადამიანები დღესაც ვერ მალავენ თავიანთ განცვიფრებას. მოგეხსენებათ, ყოველ რუსზე უფრო მეტი რუსი — პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ბრძოლას შეეწირა. შოვინისტმა რუსებმა კი ამაგი იმით გადაუხადეს, რომ მართალია პეტრე ბაგრატიონი სულით რუსი კი იყო, მაგრამ, რამდენადაც გვარი ქართველური ჰქონდა შერჩენილი, საფლავიდან ამოყარეს მისი ძვლები და ვითარცა ცრუ-დიმიტრი, იქიდან სადღაც მოისროლეს. ბატონმა ედუარდმა კი, რუსთა საამებლად, მისი ძეგლი დაამზადებინა მაშინდელ ლენინგრადში და რუსთაგან გამოძევებულ პეტრეს ძეგლი საქართველოში ჩამოგვიტანა და დაგვიდგა ერეკლეს ნაომარ კრწანისში.

მე პირადად, ბევრი ვიფიქრე ამ ანომალიაზე და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივედი: ზემოთ რომ აღვნიშნეთ, მასების ინტერნაციონალური აღზრდის მიზნით, ბატონი ედუარდი ქართველ კადრს რუსეთში აგზავნიდა სამუშაოდ, ხოლო აქ რუსები ჩამოჰყავდა-მეთქი, — ამას კადრების გაცვლა ეწოდებოდა. ჰოდა, ალბათ, იგივე ინტერნაციონალური გაგებით, ბატონი ედუარდი ძეგლების გაცვლასაც ითვალისწინებდა, ანუ ბოროდინოსთან მებრძოლი პეტრე ბაგრატიონის ძეგლი რომ კრწანისში დაგვიდგა, სამაგიეროდ, კრწანისში მებრძოლი ერეკლეს ძეგლის დადგმას, ალბათ, ბოროდინოს ველზე აპირებდა, მაგრამ ამ „დიდებული ჩანაფიქრის“ განხორციელება რატომღაც ვეღარ მოხერხდა. არადა, ამ ძეგლის შემხედვარე ხალხი გაკვირვებული კითხულობს: ბოროდინოსთან მეომარი პეტრე ბაგრატიონი, ნეტა აქ ხმალს ვის უღერებსო?!

3. ქართველთმოძულე, მაგრამ, სამაგიეროდ ოსთმოყვარე შევარდნაძემ, ასევე ცეკას მდივნობის დროს, საფუძველი ჩაუყარა ზემო ქართლის ანუ ისტორიული დვალეთის გასხვისებას — ჩრდილოელ ოსებთან აქ მოსახლე ოსების შემაერთებელი როკის გვირაბის გაყვანით. მათი კიდევ უფრო მჭიდრო ერთიანობისათვის მოსკოვიდან სარკინიგზო ხაზის გაყვანასაც შეეცადა, მაგრამ, უკვე დაწყებული მშენებლობა ზვიად გამსახურდიამ ჩაუშალა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით.

4. 1978 წელს, საბჭოთა კავშირის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ბატონმა ედუარდმა ყველაფერი გააკეთა კრემლის საამებლად, რათა ქართული ენისათვის ჩამოერთმია სახელმწიფო ენის ფუნქცია და ეს ენა გაეთანაბრებინა საქართველოში შემოხიზნულ ნაცუმცირესობათა ენებთან — თათრულთან, სომხურთან, ოსურთან, აფსუურთან და ასე შემდეგ.

მისივე ძალისხმევით, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამ ვანდალურ წინადადებას მხარი დაუჭირა ცეკას სხდომაზე მოწვეულმა ჩვენმა ლაქია მწერლობამაც, გარდა აკაკი ბაქრაძისა. სხდომის დამთავრებისას, შედეგით კმაყოფილმა შევარდნაძემ ასე მიმართა თავის ერთგულ „წითელ მწერლობს“: „აქედან რომ გახვალთ, ერთადერთ მოწინააღმდეგე ბაქრაძეს ქვები არ ესროლოთო!

თუმცა, ბატონმა ამბროსევიჩმა თავისას მაინც ვერ მიაღწია. სტუდენტმა ახალგაზრდობამ, პროფესორ-მასწავლებელთა თანხლებით გამართული გრანდიოზული საპროტესტო მანიფესტაციით აიძულა როგორც საქართველოს, ასევე იმპერიის ხელისუფლება ხელი აეღოთ ამ უბოროტეს გადაწყვეტილებაზე.

5. შევარდნაძის მიერ ჩადენილ ულმობელ ქმედებათა შორის ერთ-ერთ დიდ ცოდვათა რიგს განეკუთვნება — ბოროტების იმპერიიდან საზღვარგარეთ გაღწევის მიზნით თვითმფრინავის გატაცების მცდელობისათვის შესანიშნავი ახალგაზრდების დახვრეტა — მათ შორის ყოვლად უდანაშაულო მღვდელის — თეიმურაზ ჩიხლაძის, რომელიც სულაც არ მჯდარა თვითმფრინავში.

შევარდნაძის მიერ ეს უმოწყალო სისხლის დანთხევა იყო არნახული ბოროტება, რამეთუ უფრო გვიან ადგილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიიდან თვითმფრინავის, არათუ გატაცების მცდელობას, არამედ მის გატაცებას და ისრაელში დასმას, მაგრამ უკან გადმოცემულ ახალგაზრდებს რუსის ხელისუფლებამ მხოლოდ ციხე აკმარა სასჯელად. მაშ, რიღათი უნდა ავხსნათ შევარდნაძის ასეთი ულმობლობა, თუ არა უსულგულობითა და რუსი იმპერიალისტებისადმი მაამებლობით?

შევარდნაძე იმთავითვე იყო და დარჩა რუსეთის ერთგულ ყმად და მსახურად, რადგან სწორედ რუსის იმპერიალისტებმა აღამაღლეს იგი კარიერის უმაღლეს საფეხურებზე და შემდეგაც, ბოლო წუთებამდე რუსული ხიშტი იცავდა მის საპრეზიდენტო სავარძელს. ამიტომ, იგი, როგორც ღმერთისა და საკუთარი ერის უარმყოფელი კონდოტიერი, „ხელებდაკაპიწებული“ (ეს მისი ცნობილი გამოთქმაა) ებრძოდა ქართული ეროვნული ზნეობის დასაყრდენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, და ასევე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ყველგან, ეკლესია-მონასტრებში დაძრწოდნენ შევარდნაძის ჯაშუშები მორწმუნე ახალგაზრდობის გამოსავლინებლად, რასაც თან სდევდა მათ მიმართ მკაცრი რეპრესიები — სამსახურიდან მოხსნა, კომკავშირიდან და პარტიიდან გარიცხვა, საზოგადოებრივი გაკიცხვა და ა. შ.

მე თავად მახსოვს სოფლებში, შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს, საეკლესიო დღესასწაულების დღეებში ეკლესიასთან მისასვლელი გზა

როგორ ჰქონდათ გადაკეტილი სასოფლო საბჭოს მუშაკებს, რომლებიც ეკლესიაში არ უშვებდნენ მორწმუნე ხალხს და ურჩევდნენ, წაეყვანათ თავიანთი ცხვარი და ქათამი და სახლში დაეკლათ. ამგვარ მკრეხელობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ მისი დიქტატორობის წლებში, თუ რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით მისი სულიერი წინაპრის — ორჯონიკიძის მმართველობის კიდევ უფრო საშინელ ხანას, როცა ანგრევდნენ საკულტო ნაგებობას და ხატებს ნაგანის ტყვიებით ცხრილავდნენ შეძახილით — აბა, ერთი რამე გვიყოსო!

ბატონი ედუარდი განსაკუთრებული სისასტიკით სდევნიიდა ეროვნულ-პატრიოტულ გამოვლინებებს, მითუმეტეს, თუ იგი მიმართული იქნებოდა რუსულ-საბჭოური იმპერიიდან საქრთველოს გამოყოფისაკენ. საერთოდ, ბატონი ედუარდი ეროვნული ფენომენისადმი ინდიფერენტულად იყო განწყობილი და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ასეთივე განწყობილება დაეთესა ქართველ ხალხშიც. იგი ჯერ კიდევ ცეკას მდივნობის დროს გვიქადაგებდა, რომ ეროვნება „პატრიარქალურ-ტომობრივი“ ხანის გადმონაშთიაო. ბატონი ედუარდის ამ ფრაზაში ჩამალული იყო უდიდესი მზაკვრობა, რადგან მასში როდი იგულისხმებოდა რუსი ერიც, არა, ეს მხოლოდ იმპერიაში შემავალ არარუს ხალხს და მათ შორის ქართველ ერს ეხებოდა.

ბატონი ედუარდი ასეთივე გამონაკლისს უშვებდა რუსული ენის მიმართაც. იგი თავისი მოსკოველი შეფების საამებლად, რუსულ ენას განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებდა იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხის ენებთან მიმართებაში და მისთვის უფრო მეტი წონის მისანიჭებლად ამ ენას მოიხსენიებდა, როგორც „დიდი ლენინის ენას“, რისთვისაც მან რესპუბლიკის თითქმის ყველა რგოლიდან განდევნა ქართული ენა და მის ნაცვლად დაგვიკანონა რუსული ენა. მას „ავიწყდებოდა“, რომ ქართული ენა იყო უფრო მეტი ავტორიტეტის მქონე რუსთაველის ენა, რადგან რუსთაველი იყო მთელი კაცობრიობისათვის მისაღები ჰუმანისტური იდეების მქადაგებელი, ხოლო ლენინი ტირანიის დამფუძნებელი, დიქტატურის იდეოლოგი და საკაცობრიო ჯალათი.

ახლა იბადება კითხვა: ყოველივე, რაც ითქვა შევარდნაძის რუსოფილობაზე, ნიშნავს თუ არა, რომ იგი არის რუსთმოყვარე პატრიოტი? არა, არ ნიშნავს, რადგან ჩვენს სასიქადულო პოეტს — აკაკი წერეთელს რომ დავესესხოთ — ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის ვერც სხას შეიყვარებს, — ვინც პატივს არ სცემს თავის ერს, ის ვერც სხვა ხალხის პატივისმცემელი იქნება. ასე რომ, შევარდნაძე იმდენად „ესიყვარულებოდა“ რუსეთს, რამდენადაც მისი მეშვეობით იკმაყოფილებდა კარიერისტულ ამბიციებს, თორემ იგი სიამოვნებით დაიხურავდა მაჰმადიანის ჩალმასაც, თუკი იგივე თანამდებობრივ ვნებებს სპარსეთი ან თურქეთიც დაუკმაყოფილებდა.

თუმცა, შეიძლება ზოგ-ზოგს აღეძრას ასეთი კითხვა: საქართველო ხომ უკმაყოფილებს ბატონ ედუარდს კარიერისტულ სურვილებს — ჯერ ადრე პარტიული დიქტატორი გახლდათ, ახლა კი, აგერ, პრეზიდენტის პოსტზე

გვიზის. მაშ, რატომღა ეპყრობა ასე მტრულად თავის საკუთარ სამშობლოს?

რატომ და იმიტომ, რომ იგი ფართო მასშტაბის კარიერისტია, ხოლო საქართველო მისთვის ვიწრო შემოგარენია. ამიტომ იყო, რომ საქართველო მან მსოფლიოს საქელეხო სუფრად გადააქცია, საიდანაც თითოეულ ქვეყანას გემრიელი ნაჭერი ჩამოუთალა იმის სანაცვლოდ, რომ ამ სუფრაზე დანაყრებულმა ყოველი ქვეყნის მეთაურმა მთელს მსოფლიოში გაახმიანოს ედუარდ შევარდნაძის გვარ-სახელი, როგორც გულუხვი მასპინძლისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბატონი ედუარდიც თავისი ცეკას მდივნობის დროს განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი, როგორც თავისუფალი აზრისა და სიტყვის მიმართ, ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაიმე გამოვლინების მიმართაც. არადა, სწორედ მისი ცეკას მდივნობის ბოლო პერიოდში დაიწყო მთელს იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც ეს ორმხრივი მოძრაობა.

ამას ბიძგი მისცა საბჭოთა იმპერიაში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც საბჭოთა მთავრობა აიძულა დასავლეთისათვის მიემართა ფინანსური დახმარების თხოვნით. საპასუხოდ, ამ დახმარების სანაცვლოდ, დასავლეთის ქვეყნებმა (უპირველესად კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა) მას მოსთხოვეს ჰელსინკის გადაწყვეტილების შესრულება — ადამიანის უფლებების დაცვა, სხვაგვარად მოაზროვნეთა დაუსჯელობა და სხვა. საბჭოთა მთავრობა იძულებული შეიქნა ეს წინადადება მიეღო, რის შედეგადაც ოდნავ შერბილდა ადრე მიმდინარე რეპრესიები სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ. ამას კი მოჰყვა მანამდე დაგუბებული ფართო სახალხო მოძრაობა შემდეგი მოთხოვნებით: ერთპარტიული, კომუნისტური დიქტატურის დამხობა და დემოკრატიული არჩევნების გზით რესპუბლიკური მმართელობის შემოღება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოძრაობას განსხვავებული შინაარსიც ახლდა ერთის მხრივ, რუსეთში, ხოლო მეორეს მხრივ, მასზე დაქვემდებარებულ რესპუბლიკებში. კერძოდ, რუსი დისიდენტები — ა. სახაროვი და სხვები მოითხოვდნენ მხოლოდ დემოკრატიულ გარდაქმნებს იმპერიის შენარჩუნებით. ქართველი დისიდენტები კი — ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა და სხვები, დემოკრატიზაციის გარდა, იმპერიიდან საქართველოს გამოყოფასა და დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენასაც.

ვინაიდან, რუსი, რაც არ უნდა დემოკრატიული სულის მატარებელი იყოს, იგი მაინც შეპყრობილია იმპერიული ამბიციებითა და არარუსი ხალხისადმი შოვინისტური განწყობილებით, ადამიანის უფლებების (და არა ეროვნული უფლებების) ისეთმა დიდმა დამცველმა, როგორიც გახლდათ ანდრეი სახაროვი, ყოვლად აბსურდული ბრალდებები წაუყენა ქართველ ხალხს ამ სურვილების გამო. მან და მისმა მომხრეებმა საქართველო, თავისი კუთხური ნიშან-თვისებების განსხვავებულობის მოტივით — ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, აფხაზეთი — „მცირე იმპერიად“ მოგვინათლა და წამოგვიყენა პრეტენზია, რომ — თუკი დიდი რუსეთის იმპერია უნდა დაიშალოს ეროვნულ ერთეულებად, მაშინ,

საქართველოს „მცირე იმპერიაც“ უნდა დაიშალოს ეთნიკურ ერთეულებადო.

რუსი დისიდენტების ამ იმპერიალისტური დამოკიდებულების მიუხედავად, მეტროპოლიაში დაწყებული დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა ჰელსინკის გადაწყვეტილებებს, მაინც დიდი დასაყრდენი და სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსათვის. სწორედ რუსეთის წაბაძვით, სადაც ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების დაცვის „ჰელსინკის კავშირი“ ჟურნალ „გლასნოსტით“, პარალელურად საქართველოშიც ჩამოყალიბდა „ჰელსინკის ჯგუფი“ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვათა მონაწილეობით. დაიწყო გამოცემა დისიდენტური ჟურნალებისა — ჯერ „ოქროს საწმისის“, ხოლო შემდეგ „მოამბის“ სახელწოდებით.

სამწუხაროდ, ამ ჯგუფის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან ამ დროს საქართველოს სათავეში ედგა იმპერიის ისეთი ერთგული სატრაპი, როგორიც გახლავთ ედუარდ შევარდნაძე.

1977 წელს მან დააპატიმრა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ხოლო მესამე აქტივისტი ვიქტორ რცხილაძე გარეთ დატოვა, რათა ზვიადისა და მერაბის მიერ გაჩრეკამდე გადამალული საბეჭდი მანქანა და პოლიტიკური ლიტერატურა, მისი მეშვეობით მოეპოვებინა და უშიშროების კომიტეტისათვის ჩაებარებინა. ბატონმა ვიქტორმა იცოდა, რომ ეს ყოველივე ჩაბარებული ჰქონდა ცნობილ დისიდენტს — ნიკოლოზ სამხარაძეს. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ჯალათურ ხელისუფლებასთან შეურიგებელი მებრძოლი ნ. სამხარაძე ზვიადისა და მერაბის დანატოვარ საბეჭდ მანქანასა და ლიტერატურას ნებაყოფლობით არავის დაუთმობდა. ამიტომ, ბატონმა ვიქტორმა ბანდიტურ ხერხს მიმართა კგბ-ს დავალების შესასრულებლად.

აი, რა მომითხრო ამ ფაქტის შესახებ თვით ბატონმა ნიკოლოზმა იმ საღამოს მასთან მყოფსა და მეორე დილითაც მასთან მისულს: „თქვენი წასვლიდან, სულ რაღაც 10-წუთში (ალბათ, ბ-ნი ვიქტორი ჩასაფრებული იყო და უცდიდა ჩემს წასვლას) კნოპკიანი დანით თავს დამადგა ვიქტორ რცხილაძე და სიკვდილის მუქარით მომთხოვა მისთვის გადამეცა ზვიადისა და მერაბის დანატოვარი საბეჭდი მანქანა და პოლიტიკური ლიტერატურა და თან დასძინა — მე რომ არ დავთანხმებულიყავი, იგი ისე მომკლავდა, რომ კაციშვილი ვერ დაადგენდა (ეცოდინებოდა მხოლოდ რცხილაძის წარმომგზავნელ „კგბეს“) ჩემი მკვლელის ვინაობაო“.

იმის გამო, რომ საბეჭდი მანქანა მე მქონდა წამოღებული სახლში პროკლამაციების საბეჭდად, დანიშნეს დღე მის გადასაცემად პოლიტიკურ ლიტერატურასთან ერთად. დანიშნულ დღეს მივიტანე საბჭედი მანქანა ბატონ ნიკოლოზთან და ცოტა ხანში მოვიდა კიდეც რცხილაძის გამოგზავნილი ქალბატონი თამარ ჩხეიძე, ერთ ახალგაზრდა ბიჭთან ერთად, აღნიშნული ნივთების ჩასაბარებლად, რომ შემდეგ იგი რცხილაძისათვის გადაეცა. შედგა გადაბარების ოქმი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ — ნ. სამხარაძემ, მე და იმ ახალგაზრდა ბიჭმა. თ. ჩხეიძემ, არ

ვიცი რატომ, ოქმზე ხელი არ მოგვიწერა. ასე დასრულდა ეს ბინძური საქმე.

რაც შეეხება თვით ბატონ ვიქტორს, ცხადია, წარმატებით „მოპოვებული“ საბეჭდი მანქანაც და ანტისაბჭოთა ლიტერატურაც უშიშროების კომიტეტს ჩააბარა, ხოლო მათაც ღვაწლი იმით დაუფასეს, რომ სასამართლო ფარსი მოუწყვეს და მცირე ხნით ყაზახეთში გადაასახლეს, რათა როგორც კგბ-ს აგენტი, საზოგადოების თვალში არ გაშიფრულიყო.

ბატონმა ვიქტორმა ამ პროცესზე გულწრფელად დაგმო თავისი ანტისაბჭოური ქმედება შემდეგი სიტყვებით: „ჩემი წარსული სამარცხვინოა“-ო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგი გმობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებს და ერთგულებას უცხადებდა საბჭოთა სახელმწიფოს, რაც შემდგომში საქმითაც დაამტკიცა. გადასახლებიდან დაბრუნებული ვიქტორ რცხილაძე ერთხანს რელიგიურ ჟურნალში მოღვაწეობდა. ბოლოს კი, ბატონი ედუარდის საამებლად, საქართველოს სამთავრობო გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიწყო ზვიად გამსახურდიას მაკომპრომენტებელი წერილების ბეჭდვა, რაც ბატონმა ედუარდმაც სათანადოდ დაუფასა და იგი საკმაოდ პრესტიჟული გამომცემლობის თავმჯდომარედ აღაზევა.

თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ბატონი ვიქტორის საქციელი როდი იყო ერთადერთი გამონაკლისი. ფსევდო-დისიდენტური წრეებიდან, სხვაც ბევრი დაუდგა გვერდით საქართველოს დამანგრეველ ხელისუფლებას, თუმცა დღემდე თავს იწონებენ თავიანთი დისიდენტური წარსულით. არადა, ისინი, მართლაც რომ ჭეშმარიტი დისიდენტები ყოფილიყვნენ, განა დღეს, კომუნისტურზე უფრო უარეს ხელისუფლებას მხარში დაუდგებოდნენ?

აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვინც-კი დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას, ხოლო შემდეგ შევარდნაძის ანტიქართულ ხელისუფლებას დაუდგა მხარში, იყო ეროვნულ მოძრაობაში სუკის მიერ შეგზავნილი აგენტი.

ბატონი ვ. რცხილაძის საქციელთან დაკავშირებით, ალბათ, შეგვედავებიან — ზვიად გამსახურდიამაც ხომ მოინანიაო და რატომ უნდა ჩაუთვალოთ ნაკლად ეს ვ. რცხილაძესო, როცა ერთიც და მეორეც ამას სჩადიოდა იმიტომ, რომ ეხსნათ თავი კომუნისტი ჯალათებისგანო?! ეს, რა თქმა უნდა, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, სავსებით სწორია, რამეთუ განათლებული კაცობრიობის არც ერთ წარმომადგენელს ნაკლად არ ჩაუთვლია მონანიება ინკვიზიტორების წინაშე თვით მსოფლიო დონის ისეთი მეცნიერისათვის, როგორიც გახლდათ გალილეო გალილეი, და თუ პარალელს გავავლებთ შუასაუკუნეების ინკვიზატორებსა და კომუნისტ ჯალათებს შორის, არა მგონია თავისი მზაკვრობითა და დაუნდობლობით კომუნისტები უფრო ნაკლებ ჯალათებად წარმოგვიდგეს, ვიდრე იყვნენ თვით იეზუიტი-ინკვიზიტორები.

მაგრამ, სხვაობა ამ ორ მომნანიებელს შორის სულ სხვა რამეშია, რის გამოც არ შეიძლება ისინი ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ; ბატონმა ზვიადმა

იმ ეგრეთწოდებული მონანიებით საკუთარი თავიც იხსნა კომუნისტი ჯალათებისაგან და ბატონი მერაბის სიცოცხლეც მისი გახმაურებული მოწოდებებით მსოფლიოს წინაშე, ამასთან, გადასახლებიდან ბატონი მერაბის დაბრუნების შემდეგ, მათი ერთობლივი სახალხო ბრძოლის გაჩაღებით, ჩვენი ქვეყანა თავისუფლების კარიბჭემდეც მიიყვანა.

ბატონი ვიქტორის მონანიება კი იყო ეროვნულ მოძრაობაში თავისი მონაწილეობის დაგმობა და საბჭოთა სისტემისადმი ერთგულების გამოცხადება, რაც მან თავისი შემდგომი ცხოვრებითაც დაამტკიცა.

ეროვნული მოძრაობიდან საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში გადასული რცხილაძე სავსებით ჩამოიცილეს გადასახლებიდან დაბრუნებულმა ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ. მათ კვლავ აღადგინეს ჰელსინკის კავშირი. ეროვნული მოძრაობა გაფართოვდა. შეიქმნა ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველის საზოგადოებები. იმის გამო, რომ ამ საზოგადოებებში, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის საზოგადოებაში ლიდერობა ხელში ჩაუვარდათ გაურკვეველი მიმართულების პირებს — გ. მამულიას, ზ. ჭავჭავაძეს და სხვებს, მის საპირისპიროდ მ. კოსტავას თაოსნობით შეიქმნა „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოება, რომელსაც ბატონი მერაბის დაღუპვის შემდეგ, ჰელსინკის კავშირთან ერთად სათავეში ჩაუდგა ზ. გამსახურდია.

გამოჩნდნენ ახალი ლიდერებიც — გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვები, რომლებმაც ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გვერდში დგომით დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს, რამაც მათ შეუქმნა პირველკაცობის ილუზია. ამ ნიადაგზე ისინი ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდნენ, რამაც, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული მოძრაობის გათიშვა გამოიწვია.

ამის მიუხედავად, 1989 წლის 9 –აპრილის ტრაგედიამდე და მას შემდეგაც, გარკვეული დროის მანძილზე, ეროვნული მოძრაობა ასე თუ ისე მაინც ერთად ებრძოდა რუსულ საბჭოურ იმპერიას. ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ყოველი პარტიისა და საზოგადოების უპირველესი ლოზუნგი იყო — რუსეთის იმპერიიდან საქართველოს გამოყოფა, წართმეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს ფარგლებიდან რუსული საოკუპაციო ჯარების გაყვანა და დემოკრატიული არჩევნების გზით საკუთარი სამთავრობო ხელისუფლების შექმნა, რომელიც უნდა დაყრდნობოდა 1918 წელს აღდგენილი, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციას.

მაგრამ არც ხელისუფლებას ეძინა. კრემლის მმართველობამ ეროვნული მოძრაობის დასათრგუნავად ნაცად ხერხს მიმართა, რომელსაც ჯერ კიდევ რომაელები მიმართავდნენ. ეს იყო — გათიშე, დააპირისპირე და იბატონე. იმისათვის, რომ საქართველო ერთიანი ძალით ვერ აღმდგარიყო იმპერიიდან გასვლის მოთხოვნით, ადრევე იღონეს იმპერიის მესვეურებმა — ლენინმა და სტალინმა ქართველ ერთან, აქ მოსახლე ნაცუმცირესობების დასაპირისპირებლად: ქვეყნის შიგნით შექმნეს ავტონომიური ერთეულები.

და აი, ახლა, როცა დასჭირდათ რუს იმპერიალისტებს, ამ ავტონომიების სახით ჩადებულ დაყოვნებული მოქმედების ბომბს ახსნეს „კაფსული“ და აამოქმედეს საქართველოს წინააღმდეგ.

კრემლის წაქეზებით, 1989 წლის 18 მარტს სოფ. ლიხნში გაიმართა აფსუების მიტინგი, სადაც ორგანიზაცია „აიდგილარამ“ მიიღო მიმართვა აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ იგივე დაადგინა ოსურმა „ადამონ ნიხასმაც“. ერთგანაც და მეორეგანაც დაიწყო ქართველი მოსახლეობის დევნა.

კერძოდ, სოხუმში აფსუებმა მოაწყვეს ქართველთა დიდი ჟლეტა. აფსუებისა და ოსების ამ ავანტიურისტულმა მოთხოვნამ უკიდურესად აღაშფოთა მთელი ქართველი მოსახლეობა. საპროტესტო მიტინგებში წამყვანი როლი დაიკავა სტუდენტმა ახალგაზრდობამ. მიტინგებს მეთაურობდნენ ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი და სხვები. 4-აპრილს მომიტინგეებმა თავი მოიყარეს მთავრობის სახლის წინა მოედანზე. შემდეგ დღეებში დიდძალი ხალხი მოაწყდა თბილისს რაიონებიდანაც. გადაიჭედა რუსთაველის პროსპექტი, მიტინგი მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და გადაწყვეტილი იყო იგი 14-აპრილამდე გაგრძელებულიყო. ამის მიუხედავად რუსის იმპერიალისტებმა გადაწყვეტილება მიიღეს, მომიტინგეებს სამაგალითოდ გასწორებოდნენ, რათა იმპერიიდან საქართველოს გამოყოფის მოთხოვნები სხვა რესპუბლიკებსაც არ გადასდებოდათ.

აქ, ერთი მზაკვრობაც გათამაშდა: იმის გათვალისწინებით, რომ სისხლიანი ანგარიშსწორება კრემლს არ დაბრალებოდა და ინიციატორის როლში საქართველოს მარიონეტი ხელისუფლება გამოეყვანათ, საქართველოს ცეკას მდივანს ჯ. პატიაშვილს ზემოდან უკარნახეს, კრემლში გაეგზავნა შიფროგრამა — „მიტინგის ძალით აღკვეთის აუცილებლობის“ შესახებ. 7-8 აპრილს უკვე დაიწყო სპეცდანიშნულების ნაწილების გადმოყვანა მოსკოვიდან, გორკიდან, ვორონეჟიდან, პერმიდან. ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი იგორ როდიონოვი.

მომიტინგეთა დარბევის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, ტრიბუნაზე გამოჩნდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც, ცხადია, საქმის კურსში იყო — რა ცოდვის კალო უნდა დატრიალებულიყო იქ სულ ცოტა ხანში. საბჭოთა ტირანიის პირობებში აღზრდილი ახალგაზრდობა, რატომღაც არ ელოდა, თუ ხელისუფლება ასე ჯალათურად გაუსწორდებოდა მშვიდობიან მომიტინგეებს, როცა მათ იარაღის ნაცვლად სანთლები ეჭირათ ხელში, ლოცულობდნენ და პოეტ ლადო ასათიანის ტექსტზე შესრულებულ სიმღერას მღეროდნენ. პატრიარქმა მომიტინგეებს ურჩია — დაეტოვებინათ მოედანი და ქაშუეთის ტაძარში შესულიყვნენ სალოცავად.

ჯერ ერთი, ქაშუეთის ტაძარი, როგორ დაიტევდა ათასობით მომიტინგეს, და მეორეც, ერის მოძღვარი უნდა გასცლოდა თავის მრევლს აღნიშნული რჩევის შემდეგ, თუ ჯვრით ხელში თავად უნდა შეგებებობდა რუსის ჯალათებს?! იგი რომ ქართველი ერის ცრუ სულიერი მოძღვარია,

მან ეს შემდგომშიც დაამტკიცა, როცა ქვეყნის მოღალატე სიგუა-კიტოვან-იოსელიანის ბანდიტურ დაჯგუფებას სასროლ პოლიგონად უქცია ქაშუეთის წმინდა ტაძარი, ნაცვლად იმისა, რომ იგი აქაც, ამ ძმათამკვლელ ომში, ჯვრით ხელში ჩამდგარიყო დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

როგორც ზემოთ ვთქვით, 1989-წლის აპრილის აქციებზე საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო, იმპერიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქართველ „სეპარატისტებს“ საგანგებოდ გასწორებოდა. პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით ამ ოპერაციის ჩატარება დაევალა, იმ დროს, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მყოფ იმპერიის უერთგულეს ინოროდცს — ედუარდ შევარდნაძეს. 8 აპრილს თბილისის აეროპორტში მყოფი რუსი გენერალი ლებედი ამტკიცებს, რომ სწორედ ამ დღეს სპეცრეისით აეროპორტში დაფრინდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც 9 აპრილის სისხლიან ტრაგედიას უხელმძღვანელა.

ოპერაცია დაიწყო ღამის 4-საათზე. ადამიანურ გრძნობებს მოკლებული რუსული სპეცნაწილები ალესილი ნიჩბებით თავს დაესხნენ მშვიდობიან მომიტინგეებს. არ ინდობდნენ თვით უმწეო გოგონებს, უმოწყალოდ დაუჩეხეს მათ თავები, მომიტინგეების ამოსახოცად იხმარეს მომწამლავი გაზები, რაც ჰიტლერსაც-კი არ გამოუყენებია მეორე მსოფლიო ომში. ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 20-ზე მეტი ახალგაზრდა, უმრავლესობა კი გაზებით მოიწამლა.

მაგრამ მტრის მოლოდინი არ გამართლდა. ხალხი, არათუ ვერ დააშინეს ამ ბარბაროსული სადამსჯელო ოპერაციით, პირიქით, მთელი ქართველი ერი ერთ მუშტად შეიკრა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არნახული მასშტაბები მიიღო. ეს ჯერ კიდევ ცხადად გამოიკვეთა დაღუპულ მამულიშვილთა დაკრძალვის დღეებში, როცა თითოეული ცხედრის დაკრძალვის პროცესიამ გრანდიოზული მანიფესტაციის სახე მიიღო.

ხალხის დასაშოშმინებლად ედუარდ ამბროსევიჩმა მომხდარი სისხლისღვრისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს ცეკას მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს დააკისრა და იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. მაგრამ ვერც ამ კოსმეტიკურმა ღონისძიებამ გამოიღო შედეგი. აღმოჩნდა, რომ 9-აპრილის ტრაგედია ერთგვარ კატალიზატორად იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მან მთელი საქართველო მოიცვა. მანიფესტაციებში მონაწილეობის მისაღებად ქ. თბილისს უამრავი ხალხი მოაწყდა რაიონებიდან. ქართველი მამულიშვილების დანთხეულმა სისხლმა ერთ მუშტად შეაკავშირა ერი. თვით ეროვნული პარტიების ცალკეული ლიდერებიც ერთ ბირთვად შეიკრა. მასში შედიოდნენ — ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვები.

საქართველომ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში ყველა რესპუბლიკას გაასწრო. ასევე, ყველაზე ადრე მთელს იმპერიაში, ლენინის ძეგლი თბილისში, ქართველებმა დაამხეს. თუმცა არც კომუნისტურ ხელისფლებას ეძინა. 1989-წლის 13-ოქტომბერს ავტოავარია მოუწყვეს ქუთაისიდან

მომავალ მერაბ კოსტავას, რის შედეგადაც იგი დაიღუპა. ილია ჭავჭავაძის შემდეგ საქართველოს არ ახსოვს ისეთი ხალხმრავალი პროცესია, როგორიც მოეწყო ბატონი მერაბის დაკრძალვისას. ხელისუფლება იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ხალხის მოთხოვნა, რომ ეს სახელოვანი ეროვნული მოღვაწე სხვა დიდ მამულიშვილთა გვერდით, მთაწმინდის პანთეონში დაეკრძალათ.

სამწუხაროდ, მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდეგ ეროვნული მოძრაობა გაითიშა. 1990 წლის მარტში გაიმართა ოპოზიციური ძალების საგანგებო კონფერენცია, რომელიც შეეცადა პარიტეტულ საწყისებზე შეექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამაერთიანებელი ორგანო — ეროვნული ფორუმი. მაგრამ ეს დიდებული წამოწყება ჩაიშალა ჯაბა იოსელიანის „მხედრიონელთა“ პროვოკაციული სროლების შედეგად, რომელიც მოაწყვეს „იმელისა“ და საფოსტო შენობებს შორის.

ამ კონფერენციაზე ბატონმა ზ. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა მოითხოვეს პროვოკაციის მომწყობი ორგანიზაციის დაგმობა, რასაც სხვა ორგანიზაციებმა მხარი არ დაუჭირეს. აი, ამის გამო გამოეთიშნენ ფორუმს ზ. გამსახურდია და მისი მომხრეები და შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.

ამგვარად, ერთ მხარეს აღმოჩნდა ფორუმში დარჩენილი პარტიები, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ გ. ჭანტურია და ი. წერეთელი, ხოლო მეორე მხარეს, ზ. გამსახურდიას გარშემო შემოკრებილი „ჰელსინკის კავშირისა“ და „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების წევრები. ასე გაიყო ორ ბანაკად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელთაც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთიც დაღუპეს და, რაც მთავარია, დაღუპეს თვით საკუთარი სამშობლო.

ასე გაყოფილ, გათიშულ ამ ეროვნულ ძალებს შორის პირველი დიდი დაპირისპირება მოხდა მრავალპარტიულ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა 1990 წლის 28 ოქტომბერს ოფიციალური ხელისუფლების მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლით. ფორუმის წევრმა პარტიებმა, გ. ჭანტურიასა და ი. წერეთლის მეთაურობით, ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს შემდეგი მოტივით: როგორ შეიძლება მონაწილეობა მივიღოთ იმ ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში, რომელსაც ჩვენ ვებრძვითო.

ამ ყოვლად ულოგიკო თვალსაზრისიდან გამომდინარე, 1990 წლის 23-მაისს მათ მოიწვიეს ეგრეთწოდებული „ეროვნული ყრილობა“, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება „ეროვნული კონგრესის“ არჩევნების შესახებ. ეს არჩევნები ჩატარდა იმავე წლის სექტემბერში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ თითო-ოროლა კაცმა. და მაინც, მისმა ლიდერებმა კონგრესი არჩეულად გამოაცხადეს. სინამდვილეში კი ეს იყო თვითმარქვია ორგანო, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო ხალხთან. რეალური არჩევნები ჩატარდა მხოლოდ 1990 წლის 28-ოქტომბერს, კანონიერების სრული დაცვით, სადაც „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო ბლოკმა

დამაჯერებელ გამარჯვრებას მიაღწია — უზენაეს საბჭოში მან 155 დეპუტატი გაიყვანა, კომუნისტური პარტიის ბლოკმა კი მხოლოდ 64 დეპუტატის გაყვანა შეძლო.

პირველ სესიაზევე, რომელიც იმავე წლის 14-ნოემბერს გაიმართა, მიღებულ იქნა კანონი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი —თენგიზ სიგუა. ასევე, აღდგენილ იქნა ის ატრიბუტიკა (დროშა, გერბი, ჰიმნი), რომელიც თავის დროზე მიიღო მენშევიკურმა ხელისუფლებამ. გაუქმდა ქართველი ხალხისათვის ძალით თავსმოხვეული კომუნისტური დღესასწაულები, ნაცვლად, აღდგენილ იქნა ეროვნული და ქრისტიანული სახის დღესასწაულები. ჩვენს ქვეყანას დაერქვა საქართველოს რესპუბლიკა. უდიდესი მნიშვნელობის აქტი იყო 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის 99,08 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

სულ მალე, 1991 წლის 26 მაისს საქართველო გამოცხადდა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნად, პრეზიდენტად, ხმათა უმრავლესობით, აირჩიეს ზვიად გამსახურდია, ეზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აკაკი ასათიანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ თენგიზ სიგუა.

ეროვნული მოძრაობის ამ ფრთის ხელისუფლებაში მოსვლამ პირდაპირ შოკში ჩააგდო ხელისუფლებისათვის მებრძოლი — „კონგრესად“ წოდებული მეორე ფრთა. აქ განმეორდა იგივე, რაც ერთ დროს შესანიშნავად გამოხატა მეფე-პოეტმა არჩილმა:

„ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,
ა ზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა?..“

აი, ამჯერადაც, აზვავებულმა „კონგრესმენებმა“ იმ მოტივით, რომ თქვენ კი არა, ჩვენ უნდა ვიყოთ ხელისუფლებაშიო! — ნამდვილი ომი გამოუცხადეს 200-წლის ნანატრ ეროვნულ ხელისუფლებას, რითაც გზა გაუკაფეს ხელისუფლებაში მოსასვლელად საქართველოს დამანგრეველ შევარდნაძეს.

ერთი სიტყვით, განმეორდა იგივე, რაც თან სდევდა საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ქვეყანასა და ხალხს — შინაური ქიშპი და მტრობა, რაც საბოლოო ანგარიშით, იმით მთავრდებოდა, რომ გარეშე მტერთან მებრძოლი საქართველო თვით ქართველების ხელით მარცხდებოდა. აკი უთქვამს კიდეც შაჰ-აბასს: საქართველოს დამარცხება ისე კარგად არავის ეხერხება, როგორც თვით ქართველებსო.

რას არ კადრულობდნენ ეგრეთწოდებული კონგრესმენები და მათი ლიდერები, რა ცილს არ სწამებდნენ ქვეყნის პრეზიდენტს, ოღონდ მისთვის

ჩირქი მოეცხოთ. კაცი, რომელიც მთელი თვე ითმენდა პროვოკატორ-ოპონენტთაგან რუსთაველზე ბარიკადების სახით დაყრილ ნაგავს, — კაცი, რომელიც მთავრობის სახლთან მისეული კრიმინალების დანდობისაკენ მოუწოდებდა თავის მებრძოლებს — თავში არ ესროლოთ, ფეხებში ესროლეთ, რადგან ისინიც, მტრის მიერ შეცდენილი ჩვენივე მოძმე ქართველები არიანო! — აი, ასეთ კაცს ტირანს ეძახდნენ და რუმინელი დიქტატორის — ჩაუშესკოს სახელით მოიხსენიებდნენ. ეს იყო გაუგონარი მკრეხელობა, ღვარძლი და შური, რასაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ყველაზე უფრო ამაზრზენი ის იყო, რომ თავიანთი კარიერისტული მიზნების მისაღწევად, თვით საკუთარ სამშობლოსაც არ ზოგავდნენ. ასე მაგალითად, იმ დროს, როცა ოსებმა თვით გამოდევნეს ქართველობა სამაჩაბლოდან, გიორგი ჭანტურიამ პრაღაში გამართულ ნაცუმცირესობათა კონფერენციაზე, საქართველოს პრეზიდენტის სახელის გასატეხად, პირიქით, ქართველებსა და მის პრეზიდენტს — ზ. გამსახურდიას დასდო ბრალი „ოსების გენოციდში“, რისთვისაც მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს იგი იქ დამსწრე სომხურმა და აზერბაიჯანულმა დელეგაციებმა.

მართალია, ზ. გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ბევრი მტერი გამოუჩნდა თავისივე სამშობლოში, როგორც ძალაუფლების მოცილე „კონგრესმენთა“ სახით, ასევე კომუნისტურ-კოსმოპოლიტური სულისკვეთებით აღზრდილი წითელი ინტელიგენციის სახითაც, მაგრამ მათ შორის პიროვნულად, გია ჭანტურიას ბოროტული როლი თავის პარტიასთან (ედპ) ერთად, ბატონი ზვიადისა და მისი ხელისუფლების დისკრედიტაციაში, განუსაზღვრელია. კერძოდ, მან უხელმძღვანელა 1991 წლის 2-სექტემბრის ანტისახელმწიფოებრივ, პროვოკაციულ მიტინგს კინოს სახლთან, რომელიც მან სპეციალურად დაამთხვია საქართველოს პრეზიდენტთან ამერიკელი კონგრესმენების სტუმრობას.

დააკვირდით აბა, რამხელა მზაკვრობას ჰქონდა ადგილი მიტინგის დარბევის ინსცენირებით: მიტინგის მოთავეებმა — გ. ჭანტურიამ, გ. ლანჩავამ და მათმა დამქაშებმა თავად ატეხეს სროლა, წივილ-კივილი, ანუ თავად მოაწყვეს მიტინგის დარბევის ინსცენირება, ხოლო შემდეგ მომხდარ ფაქტში ბრალი ხელისუფლებას დასდეს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ღრმაშინაარსიანი პროვოკაციის მოწყობის ტვინი აქ არც ერთს არ ჰქონდა. იგი ნაკარნახევი იყო იმ კაცისაგან, ვისთანაც წამდაუწუმ დარბოდნენ მოსკოვში საკონსულტაციოდ — შევარდნაძესთან.

რა იყო პროვოკატორთა ჩანაფიქრი? დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს თვალში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისადმი სახელის გატეხვა, ანუ იმის ჩვენება, აი, როგორი დიქტატორი ჰყავს ჩვენს ქვეყანასო, — აი, როგორ ახშობს იგი თავისუფალი აზრის გამომხატველ მიტინგსო და ა. შ.

მართალია, მათ ამ პროვოკაციული მეთოდების გამოყენებით ლომის წილი ჩადეს ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, მაგრამ ვერც

თავად ეღირსნენ ძალუფლებას. მათ მხოლოდ ის გააკეთეს, რომ გზა გაუკაფეს საქართველოს დამანგრეველ, ანტიეროვნულ ძალებს, ანუ მოხდა ზუსტად ისე, როგორც ეს შესანიშნავად აქვს ნაჩვენები დ. გურამიშვილს თავის დიდებულ პოემაში — „ქართლის ჭირში“:

„ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს...“

ზუსტად ასევე, ორივე მებრძოლ მხარეს, პოლიტიკურად უფრო გამობრძმედილმა „თეთრმა მელამ“ სტაცათ პირი — ზოგს ტყვიით გაუმასპინძლდა, ზოგნი ციხეებში ჩაყარა, ზოგნი ქვეყნიდან გააძევა — ასევე, ბატონ გიასაც, რომელიც საპრეზიდენტო სავარძლისათვის ბრძოლაში ახლა თვით „თეთრ მელას“ დაუპირისპირდა, ტყვიები დაახალეს, ხოლო ამის საკომპენსაციოდ, სამარადჟამო განსასვენებლად ქაშუეთის ტაძრის ეზოში მიუჩინეს ადგილი.

ახლა, ორიოდ სიტყვა ეგრეთწოდებულ ქართულ ინტელიგენციაზე, რომელთა შორის უმრავლესობას დაკარგული ჰქონდა ეროვნულ-პატრიოტული სული და პირადი კეთილდღეობისა და კომფორტის იქით აღარაფერი ახსოვდათ. ისინი თავიანთი იდეოლოგიით იყვნენ ნამდვილი საბჭოთა მწერლები და კულტურის მუშაკნი და გულწრფელად ემსახურებოდნენ „საბჭოთა კავშირად“ წოდებულ რუსეთის იმპერიას „კომუნიზმის“ საქებარი პოეტური ქმნილებებითა და თეატრალური დადგმებით. ამიტომ, იმპერიის მესვეურნიც არ აკლებდნენ მათ მზრუნველობას. სახელმწიფო სახსრებით უბეჭდავდნენ ლიტერატურულად მდარე, მაგრამ, სამაგიეროდ, მარქსისტულად გამართულ ნაწარმოებებს, და თანაც, გასაღდებოდა თუ არა, სახელმწიფო მაინც უხდიდა კუთვნილ ჰონორარს... გარდა ამისა, მათ ეძლეოდათ ვიზები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გასასეირნებლად, ასევე, პრემიები და წოდებები — „სახალხო პოეტისა“ თუ „სახალხო არტისტისა“, იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა საერთო მათს ნაღვაწს ხალხის ინტერესებთან.

ამიტომაც, სულაც არაა გასაკვირი, რომ „წითელი ინტელიგენცია“ თავიდანვე განუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და კვლავინდებურად მყარად იდგა საბჭოურ-იმპერიულ პოზიციებზე, რათა არ დაეკარგათ კომუნისტური ხელისუფლების მიერ მინიჭებული მუქთა კომფორტი — მითუმეტეს, რომ ზვიად გამსახურდიამ, მთელს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის მიხედვით, ასე დაუყენა მათ საკითხი: გამოეცით თქვენი ნაშრომი თქვენივე ხარჯით და ჰონორარიც მიიღეთ იმის მიხედვით, როგორი მასშტაბითაც იგი გასაღდებაო.

მაგრამ ეს როდი აწყობდათ კომუნისტური ხელისუფლების მიერ გაზულუქებულ ჩვენს წითელ ინტელიგენციას. ამიტომ, იმით დაიმედებულნი, რომ დაგვიბრუნდება თუ არა ედუარდ შევარდნაძე, კვლავაც არ მოგვაკლებს ჩვეულ კომფორტსო, მხარში ამოუდგა მთავრობის

სახლზე მოიერიშე სიგუა-კიტოვან-იოსელიანის კრიმინალურ ბანდებს. რა დამავიწყებს, მე თვით ვარ მოწმე, როგორის ველური აღტკინებით ლოშნიდნენ ერთმანეთს ეს არაკაცები ასეთი შეძახილებით: — გავიმარჯვეთ! დავამარცხეთო!

უბადრუკთ, პირადი ამბიციებით შეპყრობილთ, ვგონებ, არც ესმოდათ, რომ ეროვნული მთავრობის დამარცხებით თვით საქართველო დაამარცხეს, რამეთუ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ამ ავანტიურისტული ძალების მიერ გაჩაღებული ბრძოლების შედეგად დაიღვარა თვით ქართველთა ზღვა სისხლი, — ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ერის მოძულე კოსმოპოლიტური ხელისუფლება, რომლის ანტიეროვნული და ანტიხალხური ქმედებების შედეგად გაიცა ქართველთა ისტორიული მიწა-წყალი — სამაჩაბლო და აფხაზეთი, — მტერთან შეკავშირებული იგივე ხელისუფლების მიერ მოღალატური ხელშეკრულებებისა და საომარი ოპერაციების იგივე მოღალატური გზით წარმართვის ნიადაგზე ამოიჟლიტა ათიათასობით ქართველი და ლტოლვილად იქცა 300-ათასი ქართველი თავისივე ქვეყნის მიწა-წყალზე, — დაინგრა, წინასწარ შემუშავებული ბოროტული გეგმით, ქართული ეროვნული ეკონომიკა, რის შედეგადაც სამუშაო დაკარგა და დაიმშა მთელი ქვეყნის უმეტესი მოსახლეობა, — ამასთან, იგივე მტრული ხელისუფლების მიერ, — აღნიშნულის პარალელურად, კვლავაც ქვეყნის დაქცევის მიზნით, გასაქანი მიეცა კორუფციად წოდებულ ქვეყნის მძარცველობას, თვით ხელისუფლებაში მოკალათებული ჩინოვნიკების მიერ, რათა პრეზიდენტს ამ კრიმინალთა მხრივ ჰქონოდა გარანტირებული დასაყრდენი, — წინასწარ დაგეგმილი, ამ გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობის შექმნის გამო, რასაც არასდროს არ მოსწრებია ჩვენი ქვეყანა; უცხოეთში გაიხიზნა მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ნაწილი... ყველა ბოროტების ჩამოთვლა, რაც ეროვნული ხელისუფლების შემცვლელმა ანტიქართულმა მთავრობამ დააწია საქართველოს, შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის, რაც ითქვა ბოროტებათა თვით ამ მოკლე ჩამონათვალზე, ვფიქრობ, საკმარისია იმის საჩვენებლად, რაც მიიღო საქართველომ ამ ავანტიურისტული გადატრიალების შედეგად.

ახლა მოდით, ეს ვიკითხოთ — რა მიიღეს თავისთვის წითელმა საბჭოთა მწერლობამ და კულტმუშაკებმა ეროვნული მთავრობის დამხობისა და მის მაგიერ შევარდნაძის კოსმოპოლიტური ხელისუფლების დამკვიდრების ფასად, რაშიც მათ ლომის წილი ჩადეს, და რასაც მოჰყვა საქართველოს ტოტალური ნგრევა, სისხლისღვრა, ლტოლვილობა და მასიური შიმშილობა?

გარდა იმისა, რომ ვერც თავიანთი ნაცოდვილარი წიგნების უფასოდ გამოცემას ვერ ეღირსნენ და ვერც უცხოეთში ვოიაჟებს, ბატონმა ედუარდმა ამ ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი დააპურა — უფრო ერთგული და გავლენიანი მლიქვნელები. მათი უმრავლესობა კი, მთელ მასასთან ერთად, მშივრები დაწანწალებენ. და მაინც, როდი იტეხენ ნირს — იმ დროს, როცა საკუთარი თვალით უყურებენ საქართველოს ნგრევას,

არათუ არ ინანიებენ თავიანთ ცოდვებს, არამედ პირიქით, კვლავაც შევარდნაძის ანტიქართულ ხელისუფლებას ერთგულობენ ბოლომდე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის თქმა, რომ ზვიად გამსახურდია ინტელიგენციას განუდგაო, ყოვლად უმართებულო ბრალდებაა. ეს პირიქით მოხდა — მუდამ საბჭოურ და იმპერიულ პოზიციებზე მდგომი წითელი ინტელიგენცია თავად განუდგა ჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხოლო შემდეგ ეროვნულ მთავრობასაც. მათი იდეალი ყოველთვის იყო შევარდნაძე და კვლავაც საბჭოური მუქთა ჰონორარები.

აი, რატომ იყო, რომ დიდი სახალხო მოძრაობის დროს, არცერთი მათგანი ახლოს არ გაკარებია ბატონ ზვიადს, ხოლო აეროპორტში ამ ინტელიგენტთა მთელი ხროვა დახვდა შევარდნაძეს. განა აქედან ცხადი არ არის, თუ ვინ ვის განუდგა და ვინ ვის დაუდგა მხარში?

ამასთან დაკავშირებით მე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო ეროვნული მთავრობის მიმართ კიდევ ერთ უმართებულო შენიშვნაზე. ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემა „სპექტრში“ ბატონმა ვალერი გელბახიანმა თემურ ქორიძესთან პაექრობაში, გულშემატკივრის პოზიციიდან ასე მიმართა მას: თქვენი მთავრობა რომ წასულიყო ხელისუფლებისათვის მებრძოლი მეორე ძალის მიმართ კომპრომისზე, ანუ თქვენ რომ დათანხმებულიყავით ხელახალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე, ეგებ ავცდებოდით იმ უბედურებას, რაც მოჰყვა სამთავრობო გადატრიალებასო?! თემურ ქორიძემ მას ასე უპასუხა: ჩვენ კი ვთავაზობდით კომპრომისებს, მაგრამ ისინი არ თანხმდებოდნენ ჩვენს მიერ შეთავაზებულ დათმობებს, — მათი მოთხოვნა იყო ერთადერთი და კატეგორიული — გადამდგარიყო მთავრობა!

ჩემი აზრით, ეს მართლაც ასე იყო. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რადგან ეს სიუჟეტი ტელევიზიით გადაიცა: ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე სიგუა-კიტოვანის ბანდიტური შენაერთები თავს დაესხმოდნენ მთავრობის სახლს, თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ ამ ვაჟბატონებს მოსალაპარაკებლად გაუგზავნა ვალტერ შურღაია წინადადებით — ურთიერთ მოლაპარაკებითა და ურთიერთ დათმობებით აეცილებინათ ქვეყნისათვის კატასტროფა. კიტოვანი სდუმდა, აქტიურობდა მხოლო სიგუა. მან ბატონ ვალტერს განუცხადა — არ ვენდობი ზვიად გამსახურდიას სიტყვას, იგი არ დაიცავს მოლაპარაკების პირობასო!

მაშინ ვ. შურღაიამ ასეთი წინადადება შესთავაზა: თუ ზვიადი გადაუხვევს მიცემულ პირობას, მე ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხსო, მაგრამ სიგუა არც ამ წინადადებას დაეთანხმა, და ეს მისი მხრივ, სავსებით ბუნებრივი იყო, რამეთუ კარგად იცოდა, რომ ხელახალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ქართველი ხალხის უმეტესობა მხარს კვლავ ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას დაუჭერდა. ამიტომ, ამ კაცუნათა ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი გზა იყო ძალისმიერი გზით ზვიად

გამსახურდიას გადაყენება და არა მასთან კომპრომისები.

აქ, ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი, თავიანთ წამქეზებლებთან, ვინც ისინი საბრძოლო ტექნიკით მოამარაგა, ბუნებრივია, მტკიცე ფიცით იქნებოდნენ შეკრულები, გარდა გადადგომისა, პრეზიდენტის წინაშე არავითარ დათმობაზე არ წასულიყვნენ.

ასე რომ, ზვიად გამსახურდიას დადანაშაულება, თითქოსდა იგი არ წავიდა მეამბოხეებთან კომპრომისებზეო, ყოვლად უსაფუძვლოა. პირიქით, იგი ამ შემთხვევაშიც სავსებით პირმართალი დარჩა თავისი ერისა და ქვეყნის წინაშე. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველო გადაერჩინა იმ უბედურებისაგან, რაც შემდეგში თავს დაატეხეს ჯერ სიგუა-კიტოვან-იოსელიანის ტრიუმვირატმა, ხოლო შემდეგ შევარდნაძის აშკარად გამოკვეთილმა ანტიქართულმა ხელისუფლებამ მთელი 12-წლის მანძილზე.

მაგრამ მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად — განვიხილოთ უფრო დაწვრილებით, თუ როგორ მომზადდა ჯერ ანტისამთავრობო შეთქმულება, ხოლო შემდეგ მისი დამხობა და ბოლოს პრეზიდენტის ფიზიკური განადგურება.

აქედანვე უნდა ითქვას, რომ ყოველი ანტიქართული საქმე მაშინაც და ახლაც იგეგმებოდა და იგეგმება კრემლში. ამდენად, ჩვენებური პუტჩისტებიც იქიდან იმართებოდნენ. ჯერ სიგუას გადადგომა პრემიერის პოსტიდან, რასაც თან მოჰყვა პრეზიდენტის წინააღმდეგ ღია ბრძოლის დაწყება, ხოლო შემდეგ კიტოვანის განდგომა და თავისი მხედრობით რკონში დაბანაკება, რაც ასევე პრეზიდენტთან დაპირისპირებას ნიშნავდა, სწორედაც რომ კრემლის წამქეზებლობით იყო ნაკარნახევი. ამის დასტურად მარტო კიტოვანის ეს ავანტიურაც კმარა.

ფორმალურად, კიტოვანმა ეს ნაბიჯი მოსკოველ პუტჩისტებთან ბატონი ზვიადის ძალაუნებურ დათმობას დაუკავშირა, თუმცა მალე გაირკვა, რომ ეს იყო მხოლოდ საბაბი პრეზიდენტისა და ქვეყნის წინაშე თავისი ღალატის დასაფარავად. მაშ, მივყვეთ მტყუანს ტყუილის კარამდე. 1991 წლის 19-აგვისტოს მოსკოვში მოხდა სამხედრო გადატრიალება. შედგა გენერლების ხელისუფლება. მასში შედიოდნენ: თავდაცვის მინისტრი იაზოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი პუგო, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლუკიანოვი და სხვები. პუტჩისტებს სათავეში ჩაუდგა ვიცე-პრეზიდენტი იანაევი. მათი მიზანი იყო, აწ უკვე დაშლის გზაზე დამდგარი, იმპერიის გამაგრება და შენარჩუნება. მალე მათი წარმომადგენელი გენერლების ერთი ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტს ეწვია და მოსთხოვეს მას ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების დაშლა.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველომ კი გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებელ ქვეყნად, მაგრამ რუსეთი (უპირველესად კი, მისი გენერალიტეტი) საქართველოს მაინც რუსეთის ხელდებულ რესპუბლიკად თვლიდა. ახლად ფეხადგმულ ქვეყანას კი ამხელა ვეშაპთან შეიარაღებული ბრძოლის გამართვა არ შეეძლო. თანაც, იმ ხანად გენერალთა ის ხელისუფლება დიდხანს გაძლებდა თუ მალე დაემხობოდა, ამის გამოცნობა,

არათუ ბატონ ზვიადს, თვით კიტოვან „ბრძენსაც“ არ შეეძლო.

ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნული გვარდიის შესანარჩუნებლად, ამ ჯარს სტატუსი შეუცვალა და მას შინაგანი ჯარის სტატუსი მიაკუთვნა. ვფიქრობთ, სხვა მის ადგილზე ამ რთულ სიტუაციაში, უფრო უკეთეს გამოსავალს ვერ მოძებნიდა.

მაშ, რამ გააგულისა კიტოვანი? როგორც ზემოთ ითქვა, ბატონი კიტოვანის რკონში გასვლა პრეზიდენტის მიერ ჯარისათვის სტატუსის შეცვლის მოტივით მხოლოდ საბაბი იყო საქართველოს პრეზიდენტთან დასაპირისპირებლად. ნამდვილი მოტივი კი ის გახლდათ, რომ ისიც და სიგუაც რუსის იმპერიალისტებთან — გრაჩოვთან და ბეპაევთან იყვნენ შეკრულნი და საქართველოს პრეზიდენტის დამხობის მათ მიერვე მიცემულ დავალებას ასრულებდნენ. არადა, მოსკოველი პუტჩისტების განეიტრალების შემდეგ, როცა პრეზიდენტმა კვლავ აღუდგინა ქართულ გვარდიას ეროვნული ჯარის სტატუსი, რაღა იყო მიზეზი, რომ იგი მაინც არ შეურიგდა პრეზიდენტს? რაღატომ დარჩა იგი პრეზიდენტთან კვლავაც საბრძოლო განწყობილებაში?

როგორც იტყვიან, აქ უკვე კომენტარი ზედმეტია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებაში კიტოვანისა და მისთანა ბედოვლათების მოყვანა თავად ბატონი ზვიადის მიერ დაშვებული შეცდომების ნაყოფია. არადა, დღესაც აუხსნელია, სად გამოძებნა, ანდა რა მონაცემების მიხედვით ჩაუყენა ბატონმა ზვიადმა ეს შემთხვევითი კაცი ეროვნულ გვარდიას?! და ეს მარტო კიტოვანზე ითქმის? ვთქვათ და, ირაკლი მენაღარიშვილი გადასაყენებელი იყო ჯანდაცვის მინისტრობიდან? სად გამოძებნა და რა მონაცემების მიხედვით დასვა მის ადგილზე კვლავაც ისეთი შემთხვევითი პირი, როგორიც გახლდათ ქალბატონი მანანა ძოძუაშვილი, როცა მას სახეზე ჰყავდა ისეთი სახელგანთქმული აკადემიკოსი, მსოფლიოს მასშტაბით, როგორიც იყო ვახტანგ ბოჭორიშვილი?! და ეს მარტო ამ ორ პიროვნებაზე ითქმის?

ფაქტია, რომ ბატონმა ზვიადმა ვინც-კი დასვა მინისტრის პოსტზე, თითქმის არც ერთი არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას არა მარტო თავისი პროფესიონალიზმით, არამედ, ასევე, პრეზიდენტისა და სამშობლოს წინაშე თავიანთი ერთგულებითაც. ჩასხდნენ თუ არა ისინი მინისტრების სავარძლებში, უმეტესი მათგანი ფულებს დაეტაკა საკუთარი ჯიბეების შესავსებად. ამიტომაც ხალხმა ასეთებს სამართლიანად შეარქვა დოლარიჩები. იგივე ითქმის მისივე ძალისხმევით დასმულ უზენაესი საბჭოს დეპუტატებზე, რომლებიც წინ აღუდგნენ მას იმ იმედით, რომ ბატონი ზვიადის შემცვლელი ედუარდი, რომელთანაც წინდაუკან დარბოდნენ მოსკოვში, მისგან უფრო პრესტიჟულ თანამდებობებს მიიღებდნენ.

მართალია, ბატონი ზვიადისათვის ძალზე რთული საქმე იყო ღირსეული კადრების მონახვა იმ ქვეყანაში, რომელიც 200 წლის მანძილზე ირყვნებოდა მორალურად ჯერ რუსული მონარქიისა, ხოლო განსაკუთრებით კი, კომუნისტური უზნეობის პერიოდში, — ქვეყანაში, სადაც ხალხს დავიწყებული ჰქონდა ეროვნებაც, მამულიც, სარწმუნოებაც

და ზნეობაც, მაგრამ, აი, სწორედ ასეთ ჟამს საჭირო იყო ამ გადაგვარებული ხალხის მიმართ არა ისეთი ლოზუნგებით მოქმედება, რომლითაც ბატონი ზვიადი მოქმედებდა — ისინი თუ ტყვიებს გვესვრიან, ჩვენ ვარდები ვესროლოთო! — არამედ, რკინის ხელი, რომელიც ერთის დარტყმით აღგვიდა ყოველ გარეწარს, როგორც ეს თავის დროზე დავით აღმაშენებელმა განახორციელა საყოველთაოდ მიღებული აქსიომა — ქვეყნის მართვის საჭეს რომ იღებ ხელში, თუ მისი გადარჩენა გინდა, რა დროს ღვთისმოსაობაზე და მოღალატეთა დანდობაზეა ლაპარაკი — ქვეყნის მტერი და მოღალატე უნდა მოსპო, მორჩა და გათავდა!

ვინ იტყვის, რომ დავით აღმაშენებელი უფრო ნაკლები ქრისტიანი იყო, ვიდრე ზვიად გამსახურდია, მაგრამ, როცა უსაშინლესი გარეშე მტრის პირისპირ მდგომი ქვეყნის წინაშე შინაგანი მტრის ალაგმვის საკითხი დადგა, მან ათასობით მოღალატე ძელზე გასვა და მხოლოდ ამის შემდეგ, შინაგანად განმტკიცებული დაუპირისპირდა გარეშე მტერს. ამის გარდა, დავით აღმაშენებელი გამეფებისთანავე როდი ეძგერა თურქ-სელჩუკთა უძლიერეს სასულთანოს. იგი 10-წელიწადს მორჩილებდა თურქთა სულთანს და 10-წელიწადს აძლევდა მას დამამცირებელ ხარკს, ვიდრე ერთის მხრივ, შინაგანად არ მოძლიერდა მისი ქვეყანა, ხოლო მეორეს მხრივ, თვით ეს ულმობელი დამპყრობელი არ ნახა ევროპელ ჯვაროსნებთან ბრძოლაში დასუსტებული.

ამის პარალელურად, როგორღა მოიქცა ჯერ კიდევ თიხის ფეხებზე მდგომი საქართველოს პრეზიდენტი, როცა მას შიგნიდან უტევდა მტრის მიერ იარაღასხმული კოლაბორაციონისტების უძლიერესი ბანდა? მახსოვს, ბატონმა პრეზიდენტმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: გორბაჩოვმა დამირეკა და მითხრა: თუკი თქვენ სავსებით არ ამოუკვეთავთ ფეხს რუსეთს საქართველოდან, მე სამაგიეროდ, მოგიხსნით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებსო. მე კი ასე ვუპასუხე: არავითარ შემთხვევაში არ გადმოვაბიჯებ კრემლის ზღურბლს, ვიდრე რუსეთი არ იცნობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასო.

კი, ბატონო, რა სჯობდა მართლაც, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღესვე რომ მიგვეღწია სრული დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ბატონ ზვიადს ისიც ხომ უნდა გაეთვალისწინებინა, ჩრდილოელი მეზობლის სახით რამხელა ვეშაპთან ჰქონდა საქმე და ამასთან რა მდგომარეობა ჰქონდა თვით ქვეყნის შიგნით?!

მას ხომ წინ ედო ისეთი დიდებული წინაპრების მაგალითები, როგორიც გახლავთ ჯერ დავით აღმაშენებელი, ხოლო შემდეგ გიორგი ბრწყინვალე, როცა ერთი, თურქ-სელჩუკებს, ხოლო მეორე — მონღოლებს მანამდე არ დაუპირისპირდნენ, ვიდრე შინაური მოწინააღმდეგენი არ ალაგმეს და საკმაოდ არ მომძლავრდნენ?! ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ მცირე დათმობებით რუსეთის თანადგომა მოგვეპოვებინა ოს-აფსუა სეპარატისტებისა და შინაგამცემი კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, პირიქით, ამ უძლიერეს ქვეყანას დავუპირისპირდით.

შეცდომა იყო ისიც, ხელი რომ არ მოვაწერეთ უდღეურ და

ფორმალურად შეკოწიწებულ „ესენგეს“ კავშირში შესვლაზე, რასაც მეორე დღესვე მოჰყვა რუსეთის ინსპირირებით ქართველი პუტჩისტების თავდასხმა საქართველოს ეროვნულ მთავრობაზე, და ბოლოს მისი დამხობაც. დიახ, რომ არა აღნიშნული შეცდომები რუსეთთან ურთიერთობაში, დღეს ეგებ კვლავაც ეროვნული მთავრობა გვყოლოდა და ავცდებოდით კლანურ-მაფიოზურ და აშკარად გამოკვეთილ ანტიეროვნულ ხელისუფლებას, რომელმაც საქართველო სრულ დანგრევამდე მიიყვანა.

მინდა აქვე აღვნიშნო — რა დაკარგეს თუნდაც შუა აზიის რესპუბლიკებმა, „ესენგეს“ რომ „დაუქვემდებარეს“ თავი? სამწუხაროდ, რუსულ-საბჭოურ იმპერიაში შემავალმა რესპუბლიკებმა, თუ არ ჩავთვლით ბელორუსიას და მოლდავეთს, ისე მოიპოვეს დამოუკიდებლობა, რომ წვეთი სისხლიც არ დაუღვრიათ. მარტო ჩვენ — ქართველები მოვყევით იმპერიის ნანგრევებში ჩვენი ექსტრემისტური პოლიტიკის გამო.

ალბათ, შემოგვედავებიან: აგერ, შევარდნაძემ ხომ შეგვათრია „ესენგეში“ აფხაზეთის ომის დღეებში, და განა შეიძლება ეს ნაბიჯი შევარდნაძეს პატრიოტულ ქმედებაში ჩავუთვალოთო? ასეთი პარალელი სრული აბსურდია. ბატონი გამსახურდიასადმი რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, ბატონ გორბაჩოვის აღნიშნული შემოთავაზება იმას გულისხმობდა, რომ რუსეთი საქართველოს, გარკვეული დათმობის საფასურად, არათუ გაურთულებდა, არამედ დაეხმარებოდა კიდეც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებაში.

რაც შეეხება „ესენგეში“ საქართველოს გაწევრიანებას, არც ეს იყო რაიმე უბედურება იმ პირობებში, როცა საქართველოს სათავეში ედგა ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლება. შევარდნაძე კი იყო საქართველოში რუსეთის ინტერესების დამცველი ხელისუფალი, რომელმაც იმიტომ წამოიწყო აფხაზეთში ავანტიურისტული ომი და იმიტომ შეათრია საქართველო „ესენგეში“, რომ აფხაზეთიც და „სამხრეთ ოსეთიც“ რუსებისათვის ეჩუქებინა, და ამის გარდა, მთელი დანარჩენი საქართველოც კვლავ რუსეთის მარიონეტ ქვეყნად გადაექცია. აქ, ერთი რამეცაა საგულისხმო: რუსეთის ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას აქეთ ეხვეწებოდა „ესენგეში“ გაწვერიანებაზე, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ რუსეთი ამის სანაცვლოდ მეტი პატივით მოეპყრობოდა საქართველოს. შევარდნაძემ კი იქით შესთავაზა საქართველო რუსეთს, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველო რუსეთის ნების შემსრულებელ ქვეყნად უნდა გადაქცეულიყო და გადააქცია კიდეც!

ამგვარად, ბატონი ზვიადის წადილს, ერთბაშად ეხსნა საქართველო იმპერიის უღელისგან, სამწუხაროდ, აღსრულება არ ეწერა. ეს უნდა მომხდარიყო ნაბიჯ-ნაბიჯ. თვით დიდი ილია სწორედ ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ ეტაპობრივად ითვალისწინებდა იმპერიის ტყვეობიდან საქართველოს გამოხსნას. პირველ ეტაპზე იგი რუსეთის ხელისუფლებისაგან ითხოვდა მხოლოდ საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებას — იმპერიიდან სულ გამოყოფას კი მეორე ეტაპისათვის იტოვებდა. ასევე, ამჟამადაც, გარკვეული კომპრომისებით უნდა მომხდარიყო იმპერიიდან საქართველოს

სრული გამოყოფა.

იმ დროს არსებულ სიტუაციაში ნაჩქარევი იყო, ასევე, ბატონი ზვიადის მიერ ისეთი დიდებული იდეის წამოყენება, როგორიც გახლდათ „კავკასიური სახლის შექმნა“. ამ იდეამ, როგორც იტყვიან, თავზარი დასცა რუსეთს. ეს ნიშნავდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მთელი ჩრდილო კავკასიის ჩამოცილებას რუსეთისაგან, რასაც არათუ რუსეთი, არამედ თვით ამერიკაც არ დაეთანხმებოდა. ცნობილია, რომ ამერიკის პრეზიდენტმა კიევში გამართულ შეკრებაზე მხარი დაუჭირა რუსეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას (ბალტიისპირეთის გამოკლებით).

ვფიქრობ, ესეც იყო, ალბათ, იმისი მიზეზი, ამერიკის პრეზიდენტმა ბატონ ზვიადს რომ შეჰკადრა — „საქართველოს პრეზიდენტი დინების წინააღმდეგ მიცურავსო“. ჩემი აზრით, ეს იდეა ბატონ ზვიადს ჯერ საიდუმლოდ უნდა შეენახა, ვიდრე მისი განხორციელების ჟამი არ დადგებოდა.

ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ ერის დიდმა ჭირისუფალმა ვერ იდავითა, ერთის მხრივ შინაური მტრებისადმი უზომო დამთომბლობით, ხოლო მეორეს მხრივ, უძლიერესი იმპერიის მიმართ ასევე აბსოლუტური დაუთმობლობით.

მაგრამ იმაში, რაც თავს დაატყდა საქართველოს ამის შემდეგ, უმთავრესი ბრალი მიუძღვის თვით ქართველთა არცთუ მცირე ჯგუფს, ასე ულმობლად და უგუნურად რომ დაუპირისპირდა თავისი ქვეყნის უერთგულეს პრეზიდენტს. ამის დასტურად ავიღოთ, თუნდაც, ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი. განა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის იმდროინდელი პრეზიდენტები უნაკლონი იყვნენ, მთელი მოსახლეობა რომ გვერდში დაუდგა მათ?! ამ თანადგომით ამ ქვეყნების მოსახლეობამ ხომ თავიდან ააცილეს თავიანთ ქვეყნებს შინაური ანარქია, უსისხლოდ მიაღწიეს დამოუკიდებლობას და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინეს ხელისუფლებაში საჭირო კარდინალური ცვლილებები.

ერთი სიტყვით, თავი რომ მოგვაქვს — „ვინც კარგები ვართ, ქართველები ვართო“ — სინამდვილეში, ყველაზე დაბალ დონეზე აღმოვჩნდით იმპერიაში შემავალ ყველა რესპუბლიკას შორის, თუნდაც იმით, რომ ჯვარს ვაცვით ქრისტესმიერი კაცი, ხოლო მის ნაცვლად მოვიწვიეთ ბარაბა, რომელსაც აგერ უკვე 11-წელია ვემონებით, ვითარცა პირუტყვები. ჰეგელს უთქვამს — ყოველ ხალხს ის ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებსო. ამისი ზუსტი მაგალითია ჩვენი ქვეყანა. ერი, რომელმაც ვერ შეიფერა სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ღირსია იმ ხელისუფლებისა, როგორიც ამჟამად ჰყავს!

მოსკოვიდან მართული კრიმინალურ-მაფიოზური ძალების მიერ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის დამხობა და მისი სამშობლოდან გაძევება

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეროვნული მთავრობის დამხობის გადაწყვეტილება იმ დღესვე მიიღო, როცა ქალაქ ალმაატაში ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების შეკრებაზე, მხოლოდ საქართველო აღუდგა წინ „ესენგეს“ კავშირში გაწევრიანებას.

ამასთან დაკავშირებით, რამდენადაც რუსეთის ხელისუფლებისათვის ადრევე იყო ცნობილი საქართველოს პოზიცია მისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის შესახებ, რომლის საპირისპიროდაც მას ადრევე ჰქონდა შექმნილი საქართველოში თავისი მე-5 კოლონა — სიგუა-კიტოვან-იოსელიანის თაოსნობით, რომლის განეიტრალებაზე არაფერი იღონა თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტმა, აი, ახლა, ალმა-ატაში თავისი უარყოფითი პოზიციის გამოვლინებისთანავე, აამოქმედა ეს კოლაბორაციონისტული ბანდა.

ცხადია, ეს ბანდა, რუსული ძალის კარნახით და მის მიერვე გულმოცემული, რომ რუსეთი კვლავაც დაეხმარებოდა საბრძოლო იარაღითა და, თუ გაჭირდებოდა, ცოცხალი ძალითაც, იმავე 21-დეკემბრის ღამით დაიძრა თბილისის ზღვიდან და უკვე 22-დეკემბრის გამთენიისას საომარი ოპერაციები დაიწყო საკუთარი ქვეყნის ეროვნული მთავრობის დასამხობად, თვით მთავრობის სახლის დაბომბვის გათვალისწინებით.

ამასთან, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, რაც შავ ლაქად გაჰყვება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, და უპირველესად კი, მის საპატრიარქოს, ამ უკანასკნელთა თანხმობით, პუტჩისტების მიერ შემდეგ საბრძოლო პოლოგინად იქცა ქაშუეთის წმინდა ტაძრის ეზო-გარემო. ნაცვლად იმისა, რომ პატრიარქი წინ აღდგომოდა პუტჩისტების ამ გაუგონარ ბარბაროსობას და ჯვრით ხელში შუაში ჩამდგარიყო „ძმათა“ ომის აღსაკვეთად, პირიქით, რუსეთის აგენტურული კოლონა სწორედ აქედან, ქაშუეთის ტაძრიდან უშენდა ზარბაზნებს საქართველოს ხელისუფლებას.

ამ დღიდან დაწყებული, ეს სამარცხვინო ომი ორ კვირას გაგრძელდა. ერთხანს მთავრობის სახლის დამცველმა მებრძოლებმა შესძლეს ბანდიტების მოგერიება, დაამარცხეს ისინი და განდევნეს სასტუმრო „ივერიამდე“. მაგრამ ამ დროს რუსეთი, რომელიც მანამდე სცენის მიღმა იდგა და ისე წარმართავდა მოვლენებს, რომ თითქოს საქართველოში ომი თვით ქართველთა შორის მიმდინარეობდა და თავის როლს კი ამ ომში საგულდაგულოდ ნიღბავდა, მაგრამ აი, უკვე, როცა ნახა, რომ მის მიერ შექმნილი და იარაღით მომარაგებული მე-5 კოლონა მარცხებოდა, ჩამოიხადა ნიღაბი და უკვე აშკარად ჩაერია საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში საბრძოლო ტექნიკითაც და ცოცხალი ძალითაც.

ვაზიანის სამხედრო ბაზიდან აფრენილმა თვითმფრინავებმა რამოდენიმეჯერ დაბომბეს მთავრობის სახლი. ოპერაციას უშუალოდ გენერალი ბეპაევი ედგა სათავეში.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, როცა ნათლად დაინახა საქართველოს პრეზიდენტმა, რომ მის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა არა მარტო ქართველთა კრიმინალური ძალა, არამედ რუსეთის უძლიერესი სამხედრო მანქანა, ზედმეტი მსხვერპლის გაღება უაზროდ ჩათვალა და გადაწყვიტა მთავრობის სახლის დატოვება. 1992 წლის 6-იანვარს, გამთენიისას, პრეზიდენტთან ერთად მთელმა მთავრობამ დატოვა სასახლე.

ამ დროს სიგუა-კიტოვან-იოსელიანის თვითმარქვია ხელისუფლებას თბილისის კომენდანტად უკვე დაყენებული ჰყავდა გენერალი გიორგი ყარყარაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მთავრობის სახლიდან გასვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის დატყვევება. ამ მიზნით შეკრული იყო თბილისიდან გასასვლელი ყველა გზა. ბატონი ზვიადი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ჯერ შეეცადა მეტეხის ხიდით გასულიყო, მაგრამ აქ ჩასაფრებული პუტჩისტი გვარდიელების სახით დიდ წინააღმდეგობას წააწყდა — მათი ერთი „იკარუსი“ ჩაცხრილეს კიდეც, და დევნილები იძულებულნი გახდნენ ორთაჭალის მიმართულებით აზერბაიჯანისაკენ აეღოთ კურსი. გადავიდნენ კიდეც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და თავშესაფარი სთხოვეს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ ისინი აქედან სომხეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ და მსგავსი წინადადებით სომხეთის ხელისუფლებას მიმართეს. სომხეთის მთავრობა დაეთანხმა თხოვნას და დროებით სამყოფლად მიუჩინა დაბა-ქალაქი იჯევანი.

როცა ეს ფაქტი ცნობილი გახდა უკვე ხელისუფლებაში მოსული სიგუა-კიტოვან-იოსელიანის ტრიუმვირატისათვის, მათ წინადადებით მიმართეს სომხეთის ხელისუფლებას — უკან გადმოეცათ დასასჯელად საქართველოდან განდევნილი მთავრობის წარმომადგენლები.

სამწუხაროდ, სომხეთის ხელისუფლება ამაზე დაეთანხმა ქართველ პუტჩისტებს და ეს ვერაგული შეთანხმება ალბათ ხორცს შეისხამდა კიდეც, რომ არა სომხეთის საწინააღმდეგო აქცია, რომელიც განხორციელდა სამეგრელოში. სამეგრელოს მოსახლეობამ თავის ტერიტორიაზე დააკავა სოჭიდან სომხეთს მიმავალი ორი იკარუსი, რომელშიც იმყოფებოდნენ სომეხი მოქალაქენი. სამეგრელოს მოსახლეობამ მტკიცე ულტიმატუმი წარუდგინა სომხეთის ხელისუფლებას, რომ თუ საქართველოს დევნილ ხელისუფლებას არ მისცემდნენ საშუალებას, რათა ისინი სომხეთიდან გროზნოში გადაადგილებულიყვნენ, მაშინ ისინი დაუყოვნებლივ მოსპობდნენ სამეგრელოში დაკავებულ სომეხ მოქალაქეებს.

სომხეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ამ მოთხოვნას დათანხმებოდა, რის შედეგადაც საქართველოს პრეზიდენტი მცირე ამალით სომხეთიდან გროზნოში გადაფრინდა და იქ მიიღო მყარი პოლიტიკური თავშესაფარი.

თემის დასასრულს, არ შემიძლია არ აღვნიშნო თენგიზ სიგუას ერთი

მეტად ულირსი საქციელის შესახებ, რომელიც მან სამშობლოს ღალატთან ერთად ჩაიდინა. მან მკრეხელურად ბრალი დასდო ბატონ ზვიად გამსახურდიას, თითქოს, საქართველოდან გასვლის ჟამს, მან ბანკიდან გაიტაცა 20-მილიონი მანეთი ფული და 22-კილოგრამი ოქრო.

ამ ყოვლად დაუსაბუთებელი და ყოვლად ულოგიკო ბრალდებით ამხანაგ სიგუას სურდა სახელი გაეტეხა ბატონი ზვიადისათვის ქართველი ხალხის თვალში.

ჯერ ერთი, ბატონ ზვიადს, რომელიც მთელი თავისი მთავრობით ორი კვირის მანძილზე პუტჩისტებით იყო ალყაშემორტყმული და ამის შედეგად მოწყვეტილი იყო მთელ გარესამყაროს, როგორ უნდა აეღო ბანკიდან ეს ამოდენა თანხა?!

მეორე, — კაცმა, რომელმაც ტყვიების ქარცეცხლში ძლივს გააღწია თავი სამშვიდობოს, სად ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ეს უზარმაზარი თანხა გაეტანა საქართველოდან?!.

გარეწართა და მძარცველთა ხროვა ქვეყნის სათავეში

„არავინ ისე არ მტრობს ქართველებს, როგორც ქართველები...“

გიორგი სააკაძე

ჩემი აზრით, სავსებით მართებული იქნება მოსკოვიდან შევარდნაძის მოვლინება, ანუ მისი „მეორედ მოსვლა“ საქართველოში — 1992 წლის 7 მარტი — გლოვის დღედ რომ გამოცხადდეს, რადგან ამ დღიდან მოყოლებული, მთელი 12-წლის მანძილზე მან, რომ იტყვიან, ჯოჯოხეთის კუპრში აბანავა ქართველი ხალხი.

დიახ, იგი უბოროტეს მტრად, ნამდვილ სატანად მოევლინა საქართველოს, ერთის მხრივ, რუსი იმპერიალისტებისათვის (ვინც მას კარიერისტულ ვნებებს უკმაყოფილებდა) თავისი ერთგულება რომ დაედასტურებინა, ხოლო მეორეს მხრივ, იგი პირადადაც ქართველთმოძულე გახლდათ, რაც მისი არაქართული წარმომავლობითაც შეიძლება აიხსნას. ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძე რომ იყო ეროვნებადაკარგული კოსმოპოლიტი, რომელსაც თავისი კარიერის მეტი სხვა არაფერი ამოძრავებდა, ეს ცხადზე-უცხადესია. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთ შემოქმედს — მირაბოს ტალეირანისათვის — მისი ნამუსგარეცხილობის გამო „ნეხვის გროვა“ უწოდებია. ამ ზედწოდებას სავსებით იმსახურებს ბატონი ედუარდიც. არადა, რომ უყურებ მის მიერ საქართველოზე თავსდატეხილ ტრაგედიას, და თანაც იხსენებ წარსულის ძნელბედობათა უამრავ ეპიზოდებს, აშკარად ხედავ, რომ მისი ამჟამინდელი ბოროტებანი არათუ ჩამოუვარდება რითიმე უცხოთა მიერ ჩადენილ ვანდალობებს, ზოგ შემთხვევაში აჭარბებს კიდევაც.

ერთიც მინდა ვთქვა ჩვენი ხალხის გულუბრყვილობაზე. ძალიან ხშირად, თვით კრიტიულ სტატიებში, რომელიც გამოითქმოდა პრესაში ჩვენი ქვეყნის დამანგრეველ პროცესებზე, ამის მიზეზად შევარდნაძის „სუსტი მმართველობა“ სახელდებოდა — „შევარდნაძე მოხუცდა“, „იგი უამრავ შეცდომას უშვებს ქყვენის მართვაშიო“ და ა. შ.

არა, ბატონებო, შევარდნაძე არ ცდებოდა. რასაც იგი სჩადიოდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სამტროდ, მის მიერ სავსებით გააზრებული ბოროტებანი იყო. როგორც ზემოთ ითქვა, იგი ამას სჩადიოდა ერთის მხრივ რუსი იმპერიალისტების საამებლად, ხოლო მეორეს მხრივ, ქართველი ხალხისადმი პირადი სიძულვილით. ამ მხრივ ბატონი ედუარდი გახლდათ ზუსტი პროტოტიპი ქართველი ერის ისეთი მოძულეებისა და მტრებისა, როგორებიც იყვნენ სტალინი და ორჯონიკიძე, ანუ მათი ბოროტი საქმის ბოროტი გამგრძელებელი და დამაგვირგვინებელი. პაპა და შვილიშვილი — ასე შეიძლება ეწოდოს, კერძოდ, სტალინისა და შევარდნაძის სულიერ კავშირს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა მოძულეობაში პოულობს მსგავსებას. შედარებისათვის ავიღოთ თუნდაც მტრული გამონათქვამები

ქართველების მიმართ, როგორც ერთისა, ისე მეორესი.

ჯერ სტალინს მოვუსმინოთ: „ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან — ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“ (იხ. სტალინის თხზულებები, ტ. 5, 195 წ. რუს. გამოცემა). იგივე აზრი გაატარა შევარდნაძემ, როცა უბოროტესი იმპერიიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის სურვილისათვის „პროვინციულ ფაშისტებად“ მონათლა ქართველი ხალხი.

ახლა მოდით, მოკლედ ვუპასუხოთ ერთსაც და მეორესაც. ჯერ სტალინს ვუპასუხოთ: უპირველესად, აბა დაუკვირდით, რამხელა მკრეხელობაა, როცა იგი აჭარლებს უცხო ტომების — სომხების, აზერბაიჯანელების, ოსებისა და აფსუა-აფხაზების გვერდით მოიხსენიებს. რაო, აჭარლები ისეთივე ქართველები არ არიან, როგორც ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, რაჭველები და მესხები? და თუ ასეა და ეს ნამდვილად ასეა, რაო, ქართველები თავის მშობლიურ აჭარელ ქართველებს ჩაგრავენ?! ეს ხომ აბსურდია!

მეორეც, „საქართველოს რუსეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიაო“, რომ გვმოძღვრავს სტალინი, მაშ, როგორ არსებობდა მანამდე ათასწლეულების მანძილზე, ანდა როგორ მიაღწია საქართველომ თავისი ძლიერების მწვერვალს დავითისა და თამარის დროს, მის მიწა-წყალზე რუსის ჩექმა რომ არ დაბრაგუნობდა?! და ბოლოს, იმის თქმა, რომ „ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატიაო“, ეს ხომ ყოვლად ურცხვი მკრეხელობაა იმ ერის მიმართ, რომელიც თვით უცხო მეისტორიეთა დამოწმებით, საქართველო არის უძველესი ცივილიზაციის მქონე ერი, რომლის სახელმწიფოებრივი არსებობა მოიცავს სამი ათას წელზე მეტ ხანს.

ახლა, რაც შეეხება სტალინის ანტიქართული პოლიტიკის გამგრძელებელს — ბატონი ედუარდის მიერ, ქართველი ხალხისადმი დაკრულ დამღას „ქართველთა ფაშისტობის“ შესახებ. ეს ხომ აღვირახსნილი ღვარძლით გამოწვეული ცილისწამებაა და სხვა არაფერი.

მოვიყვან თუნდ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც პირიქით, ქართველთა უსაზღვრო ტოლერანტობას ადასტურებს: ოთხი საუკუნეა, რაც საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობენ შაჰ-აბასის მიერ შემოთესლებული ბორჩალოელი თათრები; ასევე, 200 წელია, რაც პასკევიჩის მიერ თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები ცხოვრობენ ჯავახეთში. მაგრამ არც ერთნი და არც მეორენი დღემდე არ სწავლობენ ქართულ ენას, ერთის მხრივ იმიტომ, რომ თვით ქართველობა არ თხოვს მათ ამას, მეორეს მხრივ-კი, რაც არ უნდა უცნაურად გვეჩვენოს, სძულთ მათ ქართველობა. ის კი არადა, როცა დადგა სვანეთში და აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ჩასახლების საკითხი ჯაახეთის დაუსახლებელ მიწებზე, სასტიკი წინააღმდეგობა გასწიეს სომხებმა — ეს მიწა-წყალი ჩვენია და ჩვენ

გვჭირდება სამომავლოდო.

ახლა, მოდით ვიკითხოთ: ქართველი ხალხი მართლაც ფაშისტური სულის მქონე ერი რომ იყოს, ამ თავხედობას მოითმენდა?! რა თქმა უნდა, არა! მათ გზას უჩვენებდა იქით, საიდანაც ისინი საქართველოში შემოიხიზნენ. არადა, სად წავლენ, როცა აქ არავისგან არავითარ წინააღმდეგობას არ ხვდებიან აღნიშნულის გამო. პირიქით, ცხოვრობენ უზრუნველად საკუთარი ენით, სკოლებით, ტელე-რადიო გადაცემებით, ანუ ქართულ სახელმწიფოში შექმნილი აქვთ თავიანთი მინი-სახელმწიფოები, სომხებს — ჯავახეთში, თათრებს — ქვემო ქართლში, აფსუებს — აფხაზეთში, ოსებს — სამაჩაბლოში. აქედან გამომდინარე, ვის უფრო ეთქმის ფაშისტობა — ქართველებს თუ მის მიწა-წყალზე შემოხიზნულ ნაცუმცირესობებს? ცხადია, უმადურ ნაცუმცირესობებს, რომლებიც ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ და ნაცვლად მადლობებისა, კიდევ სიძულვილით გვეპყრობიან ქართველებს.

მაშ, რატომ დაგვაკრა შევარდნაძემ ფაშისტობის დამღა ქართველებს? იმიტომ, რომ იგი გახლავთ ეროვნებადაკარგული გარეწარი, ანუ, მირაბოს აღნიშნული ტერმინით — „ნეხვის გროვა“.

ახლა, მოდით ისევ დავუბრუნდეთ დასმულ კითხვას და ვიკითხოთ — რით იყო შევარდნაძის ოცდაათწლიანი დიქტატორული მმართველობა უფრო უარესი და უფრო საშიში ჩვენი ქვეყნისათვის, ვიდრე წარსულის ნებისმიერ ჟამს?

1. წარსულში, უმეტეს შემთხვევაში, ერთი რომელიმე მტერი უპირისპირდებოდა ხოლმე ჩვენს ქვეყანას — ხან სპარსელები, ხან არაბები, ხან თურქები, ხან მონღოლები და ასე შემდეგ. ხოლო ერთ მტერს, ასე თუ ისე, უმკლავდებოდა ქართველი ხალხი. შევარდნაძის მმართველობის ჟამს კი, მისივე კოსმოპოლიტური პოლიტიკის წყალობით, უამრავი მტერი დაუპირისპირდა საქართველოს — რუსი, ოსი, აფსუა და მათ შორის ჩვენივე გარეწარი ქართველობა.

2. უპირველესი და მთავარი ის გახლავთ, რომ წარსულში საქართველოს თავისი ერის გულშემატკივარი მთავრობა ჰყავდა ქართველ მეფეთა სახით, რის შედეგადაც ერი და მისი ხელისუფლება ერთ მუშტად შეკრული ებრძოდა გარეშე თუ შინაურ მტერს.

შევარდნაძის სახით კი საქართველოს სათავეში ედგა უცხო ქვეყნის მიერ ძალით თავსმოხვეული ხელისუფლება, რომელიც იმ ქვეყნის ბოროტულ მიზნებს ემსახურებოდა, რომელმაც იგი ხელისუფლების სათავეში მოიყვანა.

ამიტომ, ქართველ ერსა და იმ ხელისუფლებას შორის არათუ არ არსებობდა ინტერესთა თანხვედრა, პირიქით, ეს ეგრეთწოდებული საქართველოს მთავრობა თრგუნავდა და ახშობდა ეროვნულ მისწრაფებებს თავისი უცხოელი შეფების საამებლად. რაღა იყო თვით ამ სულგაყიდული და ეროვნებადაკარგული ხელისუფლების ინტერესები? ის რომ, უცხო ძალის მეშვეობით, რომელსაც იგი ემსახურებოდა, შეენარჩუნებინა და გაეხანგრძლივებინა ხელისუფლებაში თავისი ყოფნა, დაეგროვებინა

მილიარდობით ქონება ქვეყნისა და ხალხის ძარცვით, რომ ამ გზით მასაც და მის მრევლსაც მოეპოვებინა საუკუნოვანი უზრუნველი ცხოვრება მთელი თავისი მოდგმისათვის.

ახლა მოდით კონკრეტულად წარმოვუდგინოთ მკითხველს ბოროტებათა ის ნუსხა, რაც მან მიაყენა საქართველოს ჯერ ცეკას მდივნობის დროს, ხოლო უფრო მეტად კი, უკანასკნელი 12-წლის მანძილზე „მეორედ მოსვლის“ ჟამს, როცა იგი ერთპიროვნულ დიქტატორად მოევლინა საქართველოს, როგორც რუსეთის აგენტი. ჯერ მოდით, ცეკას მდივნობის დროს ჩადენილი ბოროტების ირგვლივ ვისაუბროთ:

1. შევარდნაძემ თავისი ანტიქართელობა ჯერ იმით დაამტკიცა, როცა თავისი სულიერი წინაპრის — ქართველთმოძულე ორჯონიკიძის ძეგლი დაგვიდგა დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრში.

2. მეორე დიდი ბოროტება გახლდათ ორი ოსური დიასპორის შემაერთებელი როკის გვირაბის გაყვანა, რაც იყო პირველი ნაბიჯი საქართველოს მიწა-წყლის ხარჯზე დიდი ოსური სახელმწიფოს შესაქმნელად.

3. ყალბი მიწერების ბრალდებით, რაც გამოწვეული იყო კომუნისტური სისტემის მანკით, მმართველი ქართველი ელიტის ციხეებში ჩაყრა, კრემლის შეფების წინაშე თავის გამოჩენის მიზნით. ამ ნიადაგზევე, ჯერ თავისივე თაოსნობით შაქარწყლიანი ღვინის დამზადება მარნებში, ხოლო მისი გამომზეურების შემდეგ, დამამზადებელთა ციხეებში ჩაყრა — ვაი სირცხვილო, ეს რა გიქნიათო?!

4. კომუნისტური ტირანიის დროს, თვითმფრინავით საზღვარგარეთ გაღწევის მცდელობისათვის შესანიშნავი ქართველი ახალგაზრდების დახვრეტა, — მათ შორის ყოვლად უდანაშაულო მღვდლის — თემურ ჩიხლაძისა, რომელიც სულაც არ მჯდარა იმ თვითმფრინავში. ეს იყო უბოროტესი აქტი, გამიზნული კრემლის საამებლად, რამეთუ თვით რუსეთში, უფრო უარესი ქმედებისათვის, როცა არათუ სცადეს, არამედ გაიტაცეს კიდეც თვითმფრინავი ისრაელში თავისი ეკიპაჟით, სიკვდილით არავინ დაუსჯიათ, მათ მხოლოდ ციხე აკმარეს.

5. 1958 წელს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის ფუნქციის ჩამორთმევის მცდელობა, რაც ასევე მიზნად ისახავდა კრემლის მაამებლობას, და რაც აღკვეთა უნივერსიტეტის სტუდენტობამ მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაციით.

ახლა კი, იმ ბოროტებთა შესახებ, რაც ბატონმა ედუარდმა ჩაიდინა „მეორედ მოსვლის“ ჟამს. როგორც ცნობილია, 7-მარტის იმ ავადმოსაგონარ დღეს ბატონ ედუარდს გარეწართა, კრიმინალთა და კარიერის მაძიებელთა საკმაოდ დიდი ხროვა დახვდა თბილისის აეროპორტში. ესენი გახლდნენ ის ადამიანები, ვინ თავის დროზე გვერდზე ედგნენ და ზურგს უმაგრებდნენ რუსულ-საბჭოურ იმპერიას თავიანთი მლიქვნელური შემოქმედებით, ანუ საკუთარ კუჭზე და კომფორტზე ჰყიდდნენ თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. ცხადია, არც

კომუნისტური ხელისუფლება რჩებოდა ვალში და ისინიც მუქთად უბეჭდავდნენ ხელისუფლებისადმი მიმართულ სახოტბო ლიტერატურასა და გულუხვად მუქთადვე უხდიდნენ ჰონორარებს იმის მიუხედავად, გაიყიდებოდა თუ არა მათი ეს მაკულატურა. ამის გარდა სხვაგვარ ჯილდოებსაც ღებულობდნენ მთავრობისაგან, კერძოდ, „სახალხო პოეტის“, „სახალხო არტისტის“ ტიტულებს...

და ეს მაშინ, როცა მთელი მათი შემოქმედება იყო მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური იდეების ქება-დიდება და არაფერი არ ჰქონდათ საერთო ხალხთან და მათ ჭირ-ვარამთან; ეს ხალხი უხვად მარაგდებოდა, ასევე, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გასასეირნებელი ვიზებით და ა. შ.

ზვიად გამსახურდიამ კი, აი როგორ დაუყენა საკითხი წითელ მწერლობას: ისე, როგორც მთელს მსოფლიოშია მიღებული, თქვენც, თქვენივე სახსრებით გამოეცით თქვენი წიგნები და ჰონორარიც მიიღეთ იმისდა მიხედვით, როგორადაც გაგეყიდებათო. ეს კი, რა თქმა უნდა, არ აწყობდათ მთავრობის ნასუფრალზე ნასაზრდოებ ინტელიგენტებს. აი, რატომ განუდგნენ ისინი ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მთავრობას და რატომ შეხვდნენ ტაშ-ფანდურით შევარდნაძის რუსულ-საბჭოურ მთავრობას. ისინი შევარდნაძისაგან კვლავაც მუქთა კომფორტს მოელოდნენ.

მოსკოვიდან ჩამოსულმა შევარდნაძემ აეროპორტში დამხვდურ პუტჩისტებს, უპირველესად, იარაღის ძალით კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობა მოუწონა. მერე ისიც ახარა რუსული საბჭოთა იმპერიის ერთგულ მსახურებს, რომ მოსკოვიდან წამოსვლის წინ პრეზიდენტ ელცინთან 2-საათიანი საუბარი მქონდაო.

მკითხველმა თავად განსაჯოს, როგორი შინაარსისა იქნებოდა მათი საუბარი. ელცინი იმას ეტყოდა შევარდნაძეს — წადი და ეროვნულ მოძრაობას ჩაუდექი სათავეში და შენი ქვეყნის დამოუკიდებლობა განამტკიცეო, თუ იმას, რომ გაუსწორდი მაგ აბეზარ ხალხს რუსეთიდან ჩამოცილების სურვილისათვის და საქართველო კვლავ იმპერიის წიაღში დააბრუნეო?

ძალზე ძნელი იყო შევარდნაძისათვის ამ მისიის შესრულება იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა ეროვნული იდეალებით იყო შეპყრობილი, — როცა ორასწლოვანი კოლონიური უღლიდან თავდახსნის სურვილი მთელ ერს სულიერ მოთხოვნილებად გადაქცეოდა. საჭირო იყო რაღაც ეშმაკური გზის გამონახვა, რათა ბატონ ედუარდს რუსი პატრონების ეს ურთულესი დავალება პირნათლად შეესრულებინა. და აი, ჩვენდა სამწუხაროდ, მან მონახა ეს გზა, გზა — სატანურ-ვანდალისტური.

შევარდნაძემ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეუტია, რასაც მკრეხელურად „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდა. დაიწყო მანიფესტანტთა დარბევა ცეცხლსასროლი იარაღით, რეზინის ხელკეტებით, გერმანული ნაგაზებით.

მაგრამ არ ვიქნებით მართლები, თუ ამ მხრივ „ამაგს“ დავუკარგავთ სიგუა-კიტოვან-იოსელიანის პუტჩისტებს. მათ, პირველებმა დაუდეს

სათავე ამ ბარბაროსულ ქმედებებს საკუთარი ხალხის მიმართ, რითაც გზა გაუწმინდეს ერის დათრგუნვა-დამონების იმ პროცესებს, რომელიც დიდის წარმატებით გააგრძელა კომუნისტურ-კოსმოპოლიტური იდეებით აღჭურვილმა ედუარდ დამანგრეველმა, წითელ ინტელიგენციაზე და ქურდულ-მაფიოზურ ბანდებზე დაყრდნობით.

დიახ, ამ ნაძირალათა კისერზე დევს ჯერ აღაიანში დატრიალებული სისხლისღვრა, იკარუსებში რომ ჩაცხრილეს სამხედრო გადატრიალების შემდეგ საკუთარი კერიისაკენ მიმავალი სამეგრელოს მოქალაქენი, ხოლო შემდეგ, ასევე, კანონიერი პრეზიდენტის მომხრე მანიფესტანტების სისხლის გუბეები რომ დააყენეს დიდუბის მეტროსთან, გმირთა მოედნის შესასვლელთან და მარჯანიშვილის მოედანზე. მათვე, პირველებმა გახსნეს საომარი ფრონტი გამსახურდიას მომხრე 87-პროცენტ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ, რაც ასევე აქტიურად გააგრძელა შევარდნაძემ საქართველოში ჩამოსვლის იმ ავადმოსაგონარი დღიდანვე. მანვე, ჰუმანური მოტივით, ციხის კარი გაუღო კაცის მკვლელებს და კრიმინალურ დამნაშავეებს და მათგან შექმნა მებრძოლი ბანდები. ისინი თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას არა მარტო ქუჩებში, იჭრებოდნენ ბინებშიც — ძარცვავდნენ ხალხს, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ადგილზევე ხვრეტდნენ. ისინი ძარცვავდნენ, აგრეთვე, წარმოება-დაწესებულებებს — დღისით, მზისით, თვით ქვეყნის დედაქალაქში ხსნიდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსების სპილენძის ელექტრო ხაზებს და გაჰქონდათ თურქეთში დოლარებზე გადასახურდავებლად.

არ წყდებოდა მოსახლეობის დამაშინებელი ზარბაზნების გრიალი და ავტომატების კაკანი. ხელისუფლების არაოფიციალური დავალებით ჯაბა იოსელიანის კრიმინალურმა ბანდებმა ხუთგზის დალაშქრეს, ჯალალედინისებური მხეცობით, სამეგრელოს მოსახლეობა კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერისათვის. დამსჯელი ბანდები არა მარტო ძარცვავდნენ თავისივე მოდგმის ქართულ ოჯახებს, არამედ მუხლებზე დაჩოქილ მოღაღადე მშობლებს — ეს ერთი შვილი გვყავს და ნუ მოგვიკლავთო, — თვალწინ უკლავდნენ იმ ერთადერთ შვილს. მხეცების დონეზე დაშვებული ბანდიტების ეს ხროვა, ასევე, მშობლებს თვალწინ უუპატიურებდნენ 10-12 წლის გოგონებს.

შევარდნაძისა და მისი სატელიტების მიერ ხალხის დამთრგუნველი ეს თარეში, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდებოდა, ორ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე არ ჩაკლეს მათში თავისუფლებისადმი შემართული საბრძოლო სული. და აი, ეს ჯალათი — ჯაბა იოსელიანი, დღეს დიდუბის პანთეონში განისვენებს, ჩვენდა სამარცხვინოდ.

ბატონი ედუარდის მეორე ბერკეტი, რომელიც არა მარტო ერის დათრგუნვას, არამედ თვით ამ ხალხის დედამიწის პირიდან აღგვის სატანურ მიზანს ემსახურებოდა, იყო ადამიანთათვის საარსებო საშუალებათა მოსპობა. ამ თვალსაზრისით, ბატონმა ედუარდმა ძირფესვიანად მოშალა და გააპარტახა ქართული ეროვნული ეკონომიკა — დააკონსერვა ფაბრიკა-ქარხნები, მოშალა, მანამდე მთელს საბჭოთა იმპერიაში ყველაზე ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რითაც საბოლოო ანგარიშით ულუკმაპუროდ დატოვა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობა.

მაგრამ მარტო ეს როდი აკმარა ბატონმა ედუარდმა ისედაც უკვე უსასოობაში მყოფ ქართველ ხალხს. მან თავისი ანტიხალხური მოქმედებით თვით სატანასაც-კი გადააჭარბა, როცა ადამიანები პირველყოფილ ბნელეთში დააბრუნა განათებისა და გათბობის მოსპობით. ეს ყოველივე, როგორც ზემოთ ითქვა, ერის გენოციდის სურვილით იყო ნაკარნახევი, რაც დიდის წარმატებით აღასრულა ბატონმა ედუარდმა. შიმშილით დაიღუპა დიდძალი ხალხი, რომელთაც ცელოფანებში გახვეულებს, ჯგუფურად მარხავდა დამკრძალავი ბიურო. ასევე, შეწყდა ერის მაარსებელი შობადობა, ხოლო მილიონზე მეტი კაცი, შიმშილისაგან თავის დასაღწევად, უცხოეთში გაიხიზნა.

ბატონი ედუარდის მესამე ბერკეტი, რომელიც ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაშლას ემსახურებოდა, გახლავთ ტერიტორიული მთლიანობის სავსებით მიზანმიმართული დაშლა-დარღვევა. ამ თვალსაზრისით, მან საქართველოს ჯერ სამაჩაბლო ჩამოგლიჯა, იქიდან ქართული საჯარისო შენაერთების გამოყვანით და ნაცვლად რუსულ-ოსური „სამშვიდობო ძალების“ ჩაყენებით, რომელზე დაყრდნობითაც ოსებს მისცა რეალური შესაძლებლობა ამ ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე შეექმნათ „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ოსური სახელმწიფო.

რამდენადაც ბატონი ედუარდი, როგორც ყოველ ანტიქართულ საქმეში, ამ მხრივაც მოსკოვიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებდა — თანაც, საქართველოდან ჩამოგლეჯილი ეს მიწა-წყალი რამდენადაც ფაქტობრივად რუსეთის გავლენის ქვეშ ექცეოდა, ეს აქტი რუსეთთან ხელმოწერით უნდა განმტკიცებულიო. მაგრამ ამას ერთი სირთულე ახლდა. იმის გამო, რომ ქართული ეროვნული სული ჯერ მთლად არ იყო ჩაკლული და შეიძლებოდა ქართველი ხალხი წინ აღდგომოდა საქართველოდან სამაჩაბლოს ჩამოცილებას, საჭირო იყო ამ ძალის განეიტრალება. ამიტომ, ბატონმა ედუარდმა გადაწყვიტა, იქით შეეტია პატრიოტულად განწყობილი ქართველობისათვის და მერე ხელგახსნილი შეგებებოდა თავის მოსკოველ შეფებს, ხელმოწერით დაედასტურებინა მათთვის საქართველოდან „სამხრეთ ოსეთის“ ჩამოცილების ფაქტი.

ამ თვალსაზრისით, ბატონმა ედუარდმა ასეთი პროვოკაცია მოუწყო რეპრესიებს გადარჩენილ ქართულ-ეროვნულ ძალებს: 1992 წლის 24-ივნისს, საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტში შეიტყუეს პოლიტიკურად დამუშავებული, ბატონი ზვიადის ახლო თანამებრძოლი ვალტერ შურღაია, რომელსაც გამთენიისას გამოაცხადებინეს რადიოთი, რომ „დაემხო უკანონო ხელისუფლებაო“. ამას მოჰყვა ხელისუფლების მხრივ სწრაფი რეაგირება — ტელევიზიასთან თავი მოუყარეს გენერალ ლანჩავას კრიმინალურ ბანდებს, რომელთაც გვერდში ამოუდგნენ გია ჭანტურიას „ედეპეელებიც“. დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღით შენობის

შტურმი. მთლიანად ჩაამსხვრიეს ფანჯრის მინები, ვითომც იქ ძალით შეჭრილი „პუტჩისტების“ გასანეიტრალებლად, რომელთა მიზანი იყო შევარდნაძის „კანონიერი ხელისუფლების“ დამხობა. ცოტა ხანში ბორკილდადებული შურღაიაც გამოიყვანეს და, როგორც „პუტჩის“ ორგანიზატორი, ციხეში ჩასვეს.

დაიწყო ექსპრეზიდენტის მომხრეთა გამკიცხავი პროპაგანდა, ვინც ხელისუფლების გადატრიალების მცდელობით „სტაბილურობა და სიმშვიდე დაურღვია ბატონი ედაურდის მიერ გაბედნიერებულ ხალხს“ — შიშის ზარი დასცეს, ვისაც კი ეროვნული სული შერჩენოდა, — თვით შევარდნაძის სატელიტების მიერ მოწყობილი ეს პროვოკაცია ეროვნულ ძალებს დააბრალეს. პარალელურად, საზოგადოებას ამცნეს შევარდნაძის გულისამაჩუყებელი გადაწყვეტილება: მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ედუარდი უაღრესად მძიმე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება მომხდარის გამო, ჩვეული ვაჟკაცობით სძლია საკუთარ თავს და გადაწყვიტა არ ჩაშალოს ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან, როგორიცაა ამ დღისათვის დაგეგმილი სოჭის მოლაპარაკებაო.

აი ასე, როცა ბატონმა ედუარდმა შესანიშნავად გათამაშებული პროვოკაციით ფეხქვეშ მოიქცია ერი, იგი უკვე ხელგახსნილი ეახლა სოჭში ელცინს თავისი ანტიქართული გეგმებით. მოლაპარაკება შედგა დაგომისში, სადაც ხელი მოეწერა „სამხრეთ ოსეთში“ რუსის ჯარის შეყვანისა და ამ მხარის საქართველოდან ჩამოცილების აქტს. აქვე გადაწყვიტეს ელცინმა და შევარდნაძემ საქართველოდან მეორე ძირძველი მხარის — აფხაზეთის ჩამოჭრის საკითხიც პროვოკაციული ომის გაჩაღების გზით.

მაგრამ, მანამდე, ვიდრე ამ ტრაგიკულ მომენტებზე ვისაუბრებდეთ, რაც რუსებმა, აფხაზებმა და სომხებმა დააწიეს იქ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას, მინდა ისევ ოსურ-ქართულ კონფლიქტს დავუბრუნდე და დავასრულო კიდეც ამ თემაზე საუბარი ერთი მეტად საგულისხმო ეპიზოდის წარმოჩენით, რომელიც თავიდან ფეხებამდე აშიშვლებს შევარდნაძის, როგორც ქართველთა მოდგმის უბოროტეს მოძულესა და მტერს.

იმ დროს, როცა რუსი იმპერიალისტების წაქეზებით, ოსებმა, ვითარცა 1920 წელს, ამჯერადაც თვით წამოიწყეს სეპარატისტული ჯანყი ავტონომიური ოლქის „ავტონომიურ რესპუბლიკად“ გადაკეთებითა და მისი ჩრდილო ოსეთთან გაერთიანების სურვილით, — როცა ისინი დევნიდნენ იქიდან ქართულ მოსახლეობას, — როცა ავტომატის ჯერით აკვანშივე ცხრილავდნენ ძუძუმწოვარა ქართველ ბავშვებს, — როცა ისინი ქართველ ბიჭებს ხეებზე აბამდნენ, ბენზინს ასხამდნენ და ცეცხლში ბუგავდნენ, ანდა ცხენის კუდებზე მობმულებს ნაწილ-ნაწილ ფლეთდნენ, — აი, რა განაცხადა შევარდნაძემ ოსების საამებლად ჯავაში გამართულ თავყრილობაზე, სადაც თვით შევარდნაძის მიერ ხელდასხმული პრეზიდენტი ჩიბიროვიც ესწრებოდა: „ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის

მანძილზე ვერ შეძლებს ამ სისხლიანი ლაქის ჩამორეცხვასო“. იგივე განაცხადა მან გორში გამართულ თათბირზე 1995 წელს: „ოსების წინააღმდეგ ასეთი უაზრო ომის დაწყება დანაშაული იყო... ისინი ამის საფუძველს არ იძლეოდნენო“.

ვაგლახ, რატომ არ იწვის ამგვარი უსირცხვილობა ჯოჯოხეთურ გეენიაში! ფაქტია, რომ ოსებმა გამოდევნეს ქართველობა თავისი ისტორიული მიწა-წყლიდან, მოახდინეს ამ მხარის ოკუპაცია, ჩამოგლიჯეს იგი საქართველოს და შეიქმნეს თავისთვის ქართულ მიწაზე ოსური სახელმწიფო, — შევარდნაძე კი მკრეხელურად აცხადებს — ოსები ამის საფუძველს არ იძლეოდნენო!

კი მაგრამ, რაღა უნდა ყოფილიყო ამაზე მეტი საფუძველი, რაც მათ ჩაიდინეს?! ამგვარ მკრეხელურ განცხადებას შევარდნაძე აკეთებს თავისი ერთგული კოსმოპოლიტებისაგან შემდგარი პარლამენტარების წინაშეც 1997 წლის 3-ივნისს: „ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით მინდა კარგად გამიგოთ: ეს სამარცხვინო ლაქაა, რომელიც ჩვენს სინდისზეაო!“ უფრო სწორი კი იქნებოდა, რომ ეთქვა: „ოსურ-ქართული კონფლიქტი სამარცხვინო ლაქაა, რომელიც ამ პროვოკაციის თაოსანი კრემლის სინდისზე, მის მიერ გაბრიყვებული ოსების სინდისზე და პირადად ჩემს სინდისზეაო“.

მაგრამ ქართველი ერის მიმართ სულში ჩაბუდებულმა ღვარძლმა, ხოლო ამასთან, ოსების ღრმა სიმპათიამ, რომელსაც ზოგი მისი ცოლის გენეალოგიით ხსნის (იგი ოსი ცაგალოვი გახლავთ), ასეთი შხამით სავსე სიტყვები წარმოათქმევინა ქართველი ხალხის დასადანაშაულებლად (დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მასალები იხილოს გაზეთ „ახალ თაობაში“, 1997 წ. 4-დეკემბერი, №334).

ჯერი ახლა აფხაზეთზე მიდგა. საომარი პროვოკაცია დაიწყო 1992 წლის 14-აგვისტოს. ამ დღეს, მძიმე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ქართული მხედრობა აფხაზეთში შეიჭრა ყოვლად აბსურდული მოტივით — ჯარს უნდა დაეცვა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ხაზი და ხიდები, რომელსაც, ხელისუფალთა თქმით, ექსპრეზიდენტის მომხრენი აფეთქებდნენ საბოტაჟის მიზნით. სინამდვილეში, დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ აფეთქებებს თავად შევარდნაძის ხელისუფლების სპეცსამსახურები აწყობდნენ, რათა ამ ობიექტების დაცვის საბაბით ჯარები შეეყვანათ აფხაზეთში, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქართულ-აფხაზური ომი, რომელშიც რუსებიც ჩაერთვებოდნენ. ამას ცხადად ადასტურებს ჯერ მათივე აბსურდული განცხადებები, რომელსაც მაშინ გვასმენინებდნენ: ჯერ გამოგვიცხადებდნენ — ააფეთქეს აფხაზეთში რკინიგზის ხიდიო! მერე იქვე დასძენდნენ: რამდენიმე საათში ხიდი აღადგინეს და მოძრაობა განახლდაო. როგორ შეიძლება რკინა-ბეტონის დანგრეული ხიდის აღდგენა რამდენიმე საათში? დალოცვილო, იმ ბეტონს გაშრობა მაინც არ უნდოდა?

მეორე და მთავარი აი, რა არის: თუ მხოლოდ რკინიგზის ხაზისა და ხიდების დაცვა იყო ხელისუფლების მიზანი და არა ომის გაჩაღების ავანტიურა, განა პოლიცია კი ვერ დაიცავდა რკინიგზის ხაზის

უსაფრთხოებას? რა საჭირო იყო ამისათვის ტანკებითა და ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარების შეყვანა?

ამგვარად, ცხადზე უცხადესია, რომ ეს იყო საომარი ვანტიურა, რომელიც მოაწყო ბატონმა ედუარდმა ელცინთან შეთანხმებით. ბატონი ედუარდის ეს ბოროტება კიდევ უფრო მეტად გამომჟღავნდა საომარ ოპერაციებში. ბატონმა ედუარდმა აფხაზეთში ჯარების შეყვანა ჯერ კიტოვანს დააბრალა, — კიტოვანი თვითნებურად შეიჭრა აფხაზეთშიო. მაგრამ ამას, აბა, ვინ დაუჯერებდა. ამიტომ, მერე იძულებული გახდა ეღიარებინა — ჩვენ ერთობლივად მივიღეთ დადგენილება აფხაზეთში ჯარის შეყვანის შესახებო, მშვიდობიანი აქცია გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ტრაგიკული შედეგი მივიღეთო. ეს იყო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების უსუსური მცდელობა.

სინამდვილეში ბატონი ედუარდი იმ ბოროტულ გეგმებს ახორციელებდა, ამჯერად უკვე აფხაზეთში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლისა და ერის გენოციდის სისრულეში მოსაყვანად, რომლის შესახებაც იგი ბატონ ელცინს ჯერ კიდევ დაგომისში შეუთანხმდა.

მე არ შევუდგები იმ ტრაგედიის დეტალურ აღწერას, რაც ბატონმა ედუარდმა აფხაზეთში ჩაიდინა რუს იმპერიალისტებთან კავშირში, იქ მცხოვრები ქართველი ხალხის ამოსაწყვეტად. ეს არნახული მხეცობით განხორციელებული გენოციდი, როცა ორსულ ქალებს მუცელს უფატრავდნენ და საშვილოსნოდან ამოყვანილ ბავშვებს იქვე თავებს უჩეჩქვავდნენ ქართველი ხალხის მიმართ ბოროტულად განწყობილი სომხები და ველურ დონეზე მყოფი აფსუები, — როცა ძუძუებს აჭრიდნენ ქართველ ქალებს, — როცა ქართველი პატრიოტების გადაჭრილი ვენიდან გამოწურულ სისხლს სვამდნენ ეს ველურები, — როცა იგივე სომხები და აფსუები ქართველი ბავშვების მოჭრილი თავებით გაგრის სტადიონზე ფეხბურთს თამაშობდნენ — ეს სულის შემძვრელი ფაქტები დეტალურადა აქვს აღწერილი ბატონ გივი ცქიტიშვილს თავის შესანიშნავ წიგნში — „საქართველოს შავი დღეების ქრონიკები“. და მინდა ვთხოვო ყოველ ქართველს, რომ ეს წიგნი ყველამ წაიკითხოს, რათა თუ აქამდე ეჭვი ეპარებოდა ბატონი ედუარდის ანტიქართულ ქმედებებში, რასაც იგი სჩადიოდა „მეორედ მოსვლის“ დღიდან, ვფიქრობ, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მაინც დარწმუნდება ამაში, იქ წარმოდგენილი მამხილებელი მასალების გაცნობით. მე კი შევეცდები, ზოგადად მაინც გავაცნო მკითხველს ბოროტმოქმედებათა ის ფაქტები, რაც ბატონმა ედუარდმა ჩაიდინა აფხაზეთში ბატონი ვახტანგ გოგუაძის თანადგომით: პირველი და უმთავრესი, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ ბატონი ედუარდის დანაშაულობათა შესახებ, ეს იყო რუსეთის პრეზიდენტთან შეთანხმებული, ავანტიურისტული ომის გაჩაღება აფხაზეთში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოდან რეგიონის მოწყვეტას იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ამოჟლეტითა და გადარჩენილთა გამოძევებით.

მეორე ფაქტი, რაც ედუარდ ამბროსევიჩის ანტიქართულ ქმედებებს ადასტურებს, ესაა ამ ომის მოღალატური გზით წარმართვა. საქართველოს

სახელით მომქმედი რუსეთის ემისრის უპირველესი ღალატი საქართველოს მიმართ გახლდათ აფხაზეთში შეყვანილი ქართული ჯარის შეჩერება გუმისთასთან, როცა მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა ჯარების წინსვლით გაეწმინდა აფხაზეთი არძინბას სეპარატისტებისაგან და გადაერეკა ისინი ადიღეის ძირძველ სამშობლოში. შემდეგში, ეს თავისი მოღალატური საქციელი საქართველოს ჯარების ეგრეთწოდებულმა მთავარსარდალმა რუსეთის პრეზიდენტის მკაცრი ულტიმატუმით ახსნა, რომელმაც თითქოს ქართული ჯარის წინსვლის შეჩერება და აფხაზეთიდან მისი გაყვანა მოითხოვა.

სინამდვილეში კი ეს იყო კარგად გათამაშებული სცენარი, რომელიც წინასწარვე იყო მოლაპარაკებული და დაგეგმილი, და სხვათაშორის ისიც, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა ცალკე შევარდნაძესა და ცალკე ელცინს ამ ტრაგედიის დადგმაში.

ვინ იცის, ბატონი ედუარდი იქნებ ასცდენოდა კიდეც სამშობლოს მოღალატის დამღას და შეცდომაში ჩათვლოდა აღნიშნული საქციელი, მარტო ამით რომ ამოწურულიყო მისი ქმედება, და წინ არ გვედოს ღალატის მთელი სერია, რომელიც მან ყოველივე ამის შემდეგ, მთელი ომის განმავლობაში ჩაიდინა., ვიდრე საბოლოოდ არ იხილა ქართველთა იავარქმნილი სოფლები, — ქართველთა სისხლით მორწყული აფხაზეთის მიწა და იქიდან ამოძირკვული ქართული მოსახლეობა.

დიახ, ბატონი ედუარდი, როგორც რუსეთის ერთგული მოხელე და იმ ქვეყნის ბოროტი მიზნების შემსრულებელი საქართველოში, კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა მომდევნო პერიოდში თავისი ანტიქართული ქმედებებით. აი, ამისი თუნდაც მოკლე ჩამონათვალი:

1. ქართველ მეომრებს დაკავებული აქვთ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი — ეშერის მაღლობები. ბატონი ედუარდი კი — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარსარდალი, ნაცვლად იმისა, რომ შემდგომი შეტევისათვის მოამზადოს ჯარი, ბრანებას იძლევა: დატოვონ ეშერის მაღლობი და დაიხიონ უკან სოხუმამდე. რატომ, რისთვის? იმისთვის, რომ აფსუებსა და მათ გვერდით მებრძოლ რუს მეომრებს საშუალება მისცეს დიდი შეტევა განახორციელონ სოხუმზე გუმისთის მხრიდან. იგივე მიზნებს ემსახურებოდა მის მიერ ელცინთან შეთანხმებით მძიმე საომარი ტექნიკის გამოყვანა სოხუმიდან და მისი გადაყვანა ფოთში.

2. გაგრა საშინელ განსაცდელშია. უმძლავრესი საომარი ტექნიკით აღჭურვილი რუს-აფსუათა მეომრები ქალაქს გარს მოსდგომიან. აქ ჩასულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ შევარდნაძეს ქალაქის დამცველი ქართველი მეომრები და თვით სამოქალაქო მოსახლეობა მას იარაღით მომარაგებას სთხოვს. ბატონი ამბროსევიჩი მტკიცე დაპირებას იძლევა, როგორც ეს „დიდ სარდალს“ შეშვენის — სასწრაფოდ გამოგიგზავნით საბრძოლო იარაღსო. მართლაც შემოდის გაგრაში ოთხი გემი, ოღონდ კონსერვის ცარიელი ქილებით დატვირთული. რა არის ეს?

როგორც ჩანს, იხუმრა ედუარდ ამბროსევიჩმა. არა, საბრძოლო ტექნიკა

მართლაც შემოვიდა. ეს გახლდათ ოთხი ჯავშნოსანი მანქანა და ოთხივე ტყვიამფრქვევის ლულების გარეშე. ოთხ ოქტომბერს სოხუმიდან გამოგზავნილ ტყვია-წამლის ყუთებში ვაზნების ნაცვლად ისევ კონსერვის ცარიელი ქილები აწყვია. ბატონ ედუარდს როცა ამის შესახებ მოახსენეს შემდეგში, ჯენტლმენური გულახდილობით განაცხადა — დიახ, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ღალატსო.

ჰო, მაგრამ, რატომ ერთხელაც არ დაინტერესდა ბატონი ედუარდი ამ გარეწართა მხილებით, ასე უნამუსოდ რომ ღალატობდნენ საკუთარ სამშობლოს? რატომ არ გამოიძია, ვინ იყვნენ ეს მოღალატეები და რატომ არ დასაჯა ამათგან ერთი მოღალატე მაინც?! ეს ხომ ჯარების მთავარსარდლის უპირველესი მოვალეობა გახლდათ! და თუ მან ეს არ გააკეთა, რა გამოდის აქედან?

გამოდის ის, რომ თავად ბატონი ედუარდი იყო ამ ომში ღალატის თაოსანი. ამის დასადასტურებლად ჩვენ ზემოთ ეშერის მაგალითი ვახსენეთ. მაგრამ ის, როგორც იტყვიან, ჟურნალი იყო იმასთან შედარებით, რაც ბატონმა ედუარდმა გაგრის დაცემასთან დაკავშირებით ჩაიდინა.

აი, კონკრეტულად, რას გვაუწყებს ამ გულისშემძვრელი ფაქტის შესახებ ბატონი გივი ცქიტიშვილი ზემოაღნიშნულ თავის წიგნში: „გაგრის იერიშის წინ პოლკოვნიკ მარინაშვილთან ორას ორმოცდარვა მებრძოლიღა დარჩა... წუთი-წუთზე მოსალოდნელი კატასტროფის წინ, ჯარის ზოგიერთ ნაწილს თბილისში აგზავნიან, ნაწილს — სოხუმში, ნაწილი კი გაგრაში ჩაუსვლელად ფოთიდან დააბრუნეს უკან — თბილისში.

ამ დროს, მარინაშვილი თბილისიდან ტელეფონით იღებს ბრძანებას, თანაც რუსულად, რომ რუსეთი დაზღვეული იყოს! იცოდეს, თუ რა ძალები იმოქმედებენ მის წინააღმდეგ. ტელეფონოგრამა ასეთია: «Гагру надо сдать без боя!!!» — «Как без боя?! —გაოცდა მიხეილ მარინაშვილი. — რაც არ უნდა იყოს, ის პროფესიონალი სამხედრო მოღვაწეა და ჩინებულად იცის ომის კანონები! ის, რომ ასეთი ბრძანება ერის ღალატია! —«Да так, просто! Будете отступать без боя!» — ისმის შეუვალი ხმა თბილისიდან...“ (იხ. დასახ. წიგნი, გვ. 57). ვინ იყო ამ მოღალატური ბრძანების ავტორი? ცხადია — შევარდნაძე! პოლკოვნიკ მარინაშვილის სიტყვებია — „ყველაფერს ვერ ვიტყვი! არ მინდა, სხვათა თამაშის და პოლიტიკური ავანტიურის მსხვერპლი გავხდე! ღალატი ყველგან იყო: გაგრაშიც, თბილისშიც, სამოქალაქო პირებშიც და სამხედრო ხელმძღვანელობაშიც!

ეს საუბარი 1994 წლის თოთხმეტ ივნისს საავადმყოფოში შედგა. მეორე დღეს მ. მარინაშვილი „გაურკვეველ“ ვითარებაში, იქვე, საავამდყოფოში მკვდარი იპოვეს — მოკლეს“ (იქვე, გვ. 133).

3. ბატონი ედუარდის ანტიქართული ქმედებებიდან მესამე და უმთავრესი იყო თვით ქართველთა მოდგმის გენოციდი. საქმე ის გახლავთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი იქ მოსახლე ქართველებით გადაეცემოდა რუსეთს, ეს დიდ პრობლემებს შეუქმნიდა რუსეთს ქართველთა მხრიდან, რადგან ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმებოდნენ ამ მიწა-წყლის საქართველოდან ჩამოცილებას და

რუსეთისათვის გადაცემას. ამიტომ, აუცილებელი იყო აფხაზეთის გაწმენდა ქართველებისაგან, ერთის მხრივ მათი გაჟლეტით და მეორეს მხრივ, მათი იქიდან გამოძევებით. ამას გარდა, ბატონ ედუარდს პირადი ანგარიშიც ამოძრავებდა საერთოდ მეგრული მოსახლეობის მიმართ, როგორც აფხაზეთში, ასევე სამეგრელოში, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიასადმი აქტიური მხარდაჭერის გამო.

ამ მოტივით, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელების ჟლეტას თვით უმეთაურა, ხოლო სამეგრელოს — ჯაბა იოსელიანის ბანდები შეუსია. ცოდვის ის კალო, რომელიც ბატონმა ედუარდმა დაატრიალა ჯერ გაგრაში და შემდეგ კი სოხუმში (განსაკუთრებით გაგრაში), ალბათ, ჯალალედინის ის ვანდალიზმი თუ შეედრება, რომელიც მან თბილისში მოაწყო 1225 წელს, იმ გასხვავებით, რომ მაშინ ქართველთა მეფეს უარი არ უთქვამს თავისი მოსახლეობისათვის, მტრისაგან თავდასაცავი იარაღის მიცემაზე. ედუარდ ამბროსევიჩს კი, გაგრელი მოსახლეობის თხოვნაზე — მოგვეცით იარაღი და ჩვენ თვითონ დავიცავთ მტრისაგან თავსო — ყურიც არ შეუბერტყავს, რადგან მისი მიზანი ქართველი მოსახლეობის დაცვა კი არა, მათი განადგურება იყო.

აი, ასე, როცა გაგრის მცხოვრებლები სავსებით უიარაღონი, ხოლო თვით ქალაქი, თითებზე ჩამოსათვლელი მეომრების ამარა იყო დარჩენილი, — ხოლო პარალელურად, კარიბჭესთანაა მომდგარი კბილებამდე შეიარაღებული ბანდები საიერიშოდ, — და როცა ამ ვითარებით შეშფოთებული მოსახლეობა ქალაქიდან ევაკუაციას ითხოვს, საქართველოს სატანისტური ხელისუფლება, ანუ იგივე მთავარსარდლობა, ამ ხალხის ადგილზე ჩახოცვის მიზნით, იძლევა ცრუ დაპირებებს: „დამშვიდდით, ფეხიც არ მოიცვალოთ ადგილიდან, ქალაქი ისეა გამაგრებული, რომ ჩიტიც ვერ გადმოფრინდებაო“. წარმოიდგინეთ, ამგვარად დაიმედებულმა მშობლებმა, იმ დილით, როცა საშინელი ტრაგედია ელოდა ქალაქს, თავიანთი შვილები სკოლებში გააგზავნეს, რომ სწავლას არ ჩამორჩენოდნენ. და აი, განხორციელდა ის, რაც ასე წარბშეუტოკებლად დაგეგმა ედუარდ ამბროსევიჩმა — გაგრაზე დაიწყო მძლავრი შტურმი და თითქმის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე რუსულ-აფსუურ-სომხური ბანდები, ჩრდილო კავკასიელი დაქირავებულების თანხლებით, ქალაქში შეიჭრნენ. დაიწყო მანამდე არნახული კაცთაკვლა, რომელსაც ვერც მხეცურს უწოდებ, ვერც სატანურს და ვერც ვანდალურს, რადგან მისი შესატყვისი ტერმინოლოგია ჯერ არ გამოუმუშავებია ცივილიზებულ კაცობრიობას.

აბა, ვის გაუგონია, რომ, რაც უნდა დაუნდობელი მტერი ყოფილიყო (მურვან-ყრუს არაბები, თურქები, მონღოლები, ყიზილბაშები...), რომ ფეხმძიმე ქალებს მუცლებს უფატრავდნენ და იქიდან ცოცხლად ამოყვანილი თოთო ბავშვების მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ. მაგრამ მარტო ამ ერთი მაგალითით როდი ამოიწურებოდა მათი ბარბაროსობა. ისინი ცოცხლად წვავდნენ საკუთარ, კარ-ფანჯრებდაგმანულ სახლებში შეყრილ პატარა ბავშვებს, მათ დედებს,

მოხუცებსა და ავადმყოფებს! ჯერ აუპატიურებდნენ პატარა გოგონებს, ხოლო შემდეგ მუცელს უფატრავდნენ, ძუძუებს აჭრიდნენ და ზღვაში ან მდინარეებში ყრიდნენ; უმწეო ადამიანებს ვენებს უჭრიდნენ და იქიდან გამოწურულ სისხლს სვამდნენ შეძახილებით — ასე დავლევთ ყველა ქართველის სისხლსო! გაგრის სტადიონზე, საგანგებოდ ამოთხრილ ვეებერთელა ორმოში ერთად ჩაყარეს დახოცილი ქართველები, საიდანაც (მსუბუქად წაყრილი მიწიდან) მთელი კვირის მანძილზე ირწეოდა მიწა ჯერ კიდევ მფეთქავი გულებიდან (იხ. გ. ცქიტიშვილის აღნიშნული წიგნი, გვ. 59-60). მაგრამ რა გინდა, უპრინციპო გაეროს, ედუარდის კარნახით, არ სურს აღიაროს იქ ქართველთა ეს გენოციდი.

მე დამავიწყდა ზემოთ მეთქვა, რომ აფხაზეთში, ამ ანტიქართულ ომს, ელცინთან და შევარდნაძესთან ერთად სათავეში ედგნენ, იმ დროს სპეციალური მისიით აფხაზეთში მჯდომი რუსეთის თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პასტუხოვი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ანტიქართული სამეული (შევარდნაძე, გრაჩოვი, პასტუხოვი) ადგილზე ყველანაირ ღონისძიებებს ატარებდნენ იმისათვის, რომ ქართული ჯარი საჭირო იარაღს მოკლებული და დეზორგანიზებული შეხვედროდა ქართულ მიწაზე შემოსეულ მტერს, რათა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად ჩაეგდოთ ხელში აფხაზეთი რუსეთთან მისაერთებლად, — მიუხედავად იმისა, რომ პირადად შევარდნაძე ყველანაირ ხელშემშლელ ბარიერს უქმნიდა ქართულ ჯარს (დაკავებული პოზიციებიდან უკან დახევის ბრძანებით და მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლის აკრძალვით) წარმატებული ბრძოლებისათვის, ამის მიუხედავად, ქართველი მეომრები „ქართველი მთავარსარდლის“ უნებართვოდ, ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ შემოსეული მტრის უკუგდებას, ეს ეგრეთწოდებული „საქართველოს ხელისუფალი და მთავარსარდალი“ არნახული აღშფოთებით ხვდებოდა მათ წარმატებულ ბრძოლებს. აი, ამისი ფაქტებიც:

როგორც ცნობილია, ამ კრიზისულ მომენტში, როცა შევარდნაძის ანტიქართულმა ხელისუფლებამ საშინელ კრიზისში ჩააგდო მთელი საქართველო, — როცა ასე უცერემონიოდ ჩამოაცილა სამაჩაბლო და ახლა კი ჯერი მიდგა აფხაზეთზე, — ერთის მხრივ, კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად, რომელიც გამოიხსნიდა ქვეყანას ამ კრიზისიდან, ხოლო მეორეს მხრივ, დაიცავდა აფხაზეთს რუსი იმპერიალისტების ხელყოფისაგან, გროზნოდან ზუგდიდში ჩამოვიდა ბატონი ზვიად გამსახურდია, საიდანაც ის გაემგზავრა აფხაზეთში, იქ მებრძოლი ძალების საკონსოლიდაციოდ.

გამსახურდიამ იქ საბრძოლველად შეიყვანა ერთის მხრივ თავისი ერთგული გვარდია ლოთი ქობალიას მეთაურობით, ხოლო მეორეს მხრივ, საშურველი კონტაქტი დაამყარა თვით შევარდნაძის ერთგულ მეომრებთან მოწოდებით: დროებით უკუვაგდოთ პოლიტიკური ამბიციები და ერთობლივად ვიბრძოლოთ აფხაზეთის გადასარჩენადო. წარმოიდგინეთ, ისინი ამ აზრს დაეთახმნენ. მართლაც, დაიწყო შეთანხმებული ბრძოლა

წმინდა ეროვნული სულისკვეთებით. კერძოდ, „ლოთი ქობალიას ეროვნულმა გვარდიამ სასტიკი ბრძოლა გაუმართა უახლესი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილ, რუსეთიდან შემოგზავნილ დაქირავებულ ათას რვაას ბანდიტს. მათი ნახევარზე მეტი ქართველმა მებრძოლება დახოცეს. ცოცხლად გადარჩენილებმა კი ტყეს შეაფარეს თავი, ნაწილი ტყვარჩელისაკენ გაიქცა.

ერთ დღე-ღამეში მთლიანად გაანადგურებდნენ თურმე მათ, თავიანთი სურვილით შემოსული ლოთი ქობალიას ბიჭები, მაგრამ ცნობა მოვიდა თბილისიდან: — ედუარდ ამბროსევიჩი ცოფსა ჰყრის, — როგორ დამიხოცეთ რუსებიო?! — და გვარდიელებმა უკან დაიხიეს — ზუგდიდისაკენ“ (იქვე, გვ. 62).

მეორე მაგალითი: თვით შევარდნაძის მოწვევით უკრაინიდან ჩამოვიდა აფხაზეთში საომარი ოპერაციის სახელმძღვანელოდ გენერალი ანატოლი კამკამიძე. როგორც ჩანს, ბატონ ედუარდს ეგონა, რომ იგი მასავით რუსოფილი იყო და იფიქრა, ანტიქართულ ბრძოლებში გამოვიყენებო, მაგრამ მოტყუვდა. „გენერალმა კამკამიძემ ედუარდ ამბროსევიჩს თავისი გეგმა გააცნო და სთხოვა: — ნება მომეცით, საზღვაო დესანტი გადავსხა გაგრასთან. ერთის მხრით ზღვიდან, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეითი ჯარით ხმელეთიდან შევუტევთ და ორ დღეში, როგორც გაგრასა და გუდაუთას, ისე მთლიანად აფხაზეთს გავათავისუფლებთ ყველა ჯურის დაქირავებული ბოევიკებისაგანო.

— არაო! — თავი მოიკლა აბროსევიჩმა, — თქვენ იქ აფხაზი ხალხის დახოცვა გინდათ! ეს დაუშვებელიაო! კი მაგრამ, აფსუებმა და რუსებმა ენის აუწერელი სადისტური ფორმით რომ ამოხოცეს ქართველები გაგრასა და გუდაუთაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში, რაო, ისინი ადამიანები არ იყვნენ? ქართველი რა, ხალხი არ არის?“ (იქვე, გვ. 80-81). არა, რუსოფილი კომუნისტის, მასონისა და ებრაელი სიონისტის რწმენით, ქართველი ერი გასაჟლეტია, ხოლო ველური აფსუა — ოქროს ფონდში შესატანი და შესანახი „ერი“ თავისი „ზოგადსაკაცობრიო კულტურით“.

გენერალი კამკამიძე მიხვდა რა, რომ ედუარდ ამბროსევიჩი რუსეთის კაცია, კრემლის დავალებით მოქმედებს და მას, არათუ არ სურს აფსუებთან და დაქირავებულებთან ნამდვილი ომის გამართვა, არამედ გადაწყვეტილი აქვს აფხაზეთის რუსეთისათვის ჩაბარებაო, ხელი ჩაიქნია და ისევ უკრაინაში დაბრუნდა.

ბარემ აქვე, მინდა ხაზი გავუსვა ბატონი ედუარდის მზაკვრულ განცხადებებსაც, რომლითაც იგი გვმოძღვრავდა მაშინ, თავისი რუსულ-იმპერიალისტური გეგმების შესანიღბავად. ჯერ იგი იმას გვიმტკიცებდა, რომ აფხაზეთში ადგილობრივი სეპარატისტები გვებრძვიანო. მერე კი, როცა აშკარად გამოიკვეთა რუსული რეგულარული ჯარის მონაწილეობა (თანაც, მძიმე ტექნიკით, თვითმფრინავებით) ამ ომში, ბატონმა ედუარდმა მაინც არ გაიტეხა ნირი და ახლა აი, რას გვიმტკიცებდა: ელცინი ჩვენი ქვეყნის კეთილი მეგობარიაო და ამდენად, ჩვენ ელცინის რუსები კი არა, სხვა რუსები გვებრძვიანო. სხვა რუსები კი, როგორც ჩანს, კოსმოსიდან

მოვლენილი რუსები იყვნენ. ცხადია, ეს იყო უტიფარი დემაგოგია, რამეთუ, ვინ იყვნენ აბა, გრაჩოვი და პასტუხოვი, თუ არა ელცინის რუსები, ამ ომს რომ წარმართავდნენ აფხაზეთში კრემლის ქართველ ემისართან ერთად?!

ახლა დადგა სოხუმისა და მთელი აფხაზეთის გაცემის საკითხი. მოგეხსენებათ, ბატონი ედუარდი საკმაოდ ჭკვიანი კაცია (მსოფლიო დონის პოლიტიკოსი) და იმის გათვალისწინებით, რომ ამ გადამწყვეტ ბრძოლას არ მოჰყოლოდა რუსებისა და აფსუების მხრივ თუნდაც უმნიშვნელო მსხვერპლი, მან და ელცინმა გაითამაშეს სამშვიდობო ხელშეკრულების ფარსი.

ამ დადგმული სცენარით, თითქოს ომი შეწყდა და მშვიდობა დამყარდაო, ქართული საჯარისო შენაერთები მძიმე საბრძოლო ტექნიკით დატოვებდნენ სოხუმს და ფოთში გადაადგილდებოდნენ, ხოლო დაუცველ სოხუმში თავისუფლად შეგრიალდებოდნენ რუსი და აფსუა მეომრები უსასოოდ დარჩენილი ქართული მოსახლეობის ამოსაჟლეტად. ვამბობ — ქართული მოსახლეობის-მეთქი, რადგან აფსუებიც, რუსებიც და სომხებიც აქედან ადრევე გახიზნა არძინბამ გასაგები მიზნით.

მე ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, რომ ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ქართველთა მიმართ ჩადენილ ყოველ მოღალატურ საქმეში გვერდში ედგა ბატონ ედუარდს და შესაბამისად რუსეთს, თვითაღიარებული „სერგო ორჯონიკიძე“ — ვახტანგ გოგუაძე, — კაცი, რომელიც დღესაც, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, აცხადებს — „დიახ, წინ მივუძღოდი ადმირალ ბალტინსო!“ დიახ, იმ ბალტინს მიუძღვებოდა წინ ვახტან გოგუაძე, რომელმაც ქართველი პატრიოტების სისხლის გუბეები დააყენა ქართულ მიწაზე.

სულმა სული იცნო და რუსთმოყვარე შევარდნაძემ სწორედაც რუსებზე უზომოდ შეყვარებული გოგუაძე გაგზავნა სოჭში მოღალატურ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. 27-ივლისის ამ ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც თითქოს ომი დამთავრდა და მშვიდობა აღსდგა — მარტო ის კი არ გაკეთდა რუს-აფსუათა სასარგებლოდ, რომ სოხუმიდან გაიყვანეს ქართველთა მძიმე საომარი ტექნიკა და ამით აფსუათა მოკავშირეებს მისი აღება გაუადვილეს, არამედ ამით იმასაც მიაღწიეს, რომ, როგორც გაგრაში, აქაც, სოხუმშიც, დედა-წულიანად ამოჟლიტეს ქართველობა.

აი, როგორ მოხდა ეს: ამ ხელშეკრულების დადებამდე, მოსალოდნელი ომის შიშით, ისე როგორც აფსუებმა და რუსებმა, ქართველებმაც დატოვეს სოხუმი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს „სამშვიდობო ხელშეკრულება“ დაიდო, მშვიდობის აღდგენის მოტივით, ქართველობას მშობლიურ ქალაქში დაბრუნება შესთავაზეს. ჰოდა, როგორც-კი ამას მიაღწიეს, დაიწყო ჯერ ქალაქის დაბომბვა ჰაერიდან, ხოლო შემდეგ ქალაქის ქუჩებშიც შეიჭრნენ რუს-აფსუათა ბანდები და იგივე ცოდვის კალო დაატრიალეს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, რაც ადრე, გაგრაში ჩაიდინეს.

რას აკეთებდა ამ დროს „საქართველოს მთავრობად“ წოდებული ედუარდ აბროსევიჩი? რას აკეთებდა და, როცა ქვეყნის ბედი აფხაზეთში

წყდებოდა, ხელისუფლების მეთაური და ჯარების მთავარსარდალი თბილისში ხომ ვერ დარჩებოდა, ან რა გული გაუძლებდა! იგი „თავის ჯარისკაცებთან ერთად“ სოხუმში „ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა“. ყოველ შემთხვევაში, იგი მეომარი მხედრის ფორმაში გამოწყობილი, ტელეეკრანიდან რომ გვეჩვენებოდა, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს კაცი აგერ-აგერ გამოსულა ფრონტის ხაზიდან, რათა ახლა აქ, სამოქალაქო მოსახლეობა დაამშვიდოს და ჩქარა ისევ ომში ჩაებასო. ბატონი ედუარდი, ქუჩაში მოღაღადე ხალხს, — გვიშველეთო! — რომ ეხვეწებოდნენ, თავზე ხელს უსვამდა ფარისევლურად და ისე, როგორც ერთ დროს სტალინი ჰიტლერთან ომში, შევარდნაძეც იგივე სიტყვებით ამშვიდებდა სასოწარკვეთილ ადამიანებს — „მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

განსხვავება სტალინის ამ დანაპირებსა და შევარდნაძის მიერ გამეორებულ იგივე დაპირებას შორის ის იყო, რომ სტალინი გულწრფელი იყო ამ დაპირებას რომ იძლეოდა, — შევარდნაძე კი აშკარად თვალთმაქცობდა და ფარისევლობდა, რადგან ამ დროს სოხუმიცა და მთელი აფხაზეთიც უკვე მოღალატურად იყო გაცემული მის მიერ და ომი მარტო იმისთვის სწარმოებდა, რომ იქ მყოფი ქართველობა ამოეხოცათ.

რაც შეეხება ჰიტლერთან ბატონი ედუარდის შედარებასაც თუ მოვახდენთ, არც ეს იქნება სწორი, რადგან ჰიტლერს ეყო ვაჟკაცობა და გერმანიის დამარცხებისათვის თავი მოიკლა. შევარდნაძემ კი, არათუ თავი არ მოიკლა აფხაზეთის ომში საქართველოს დამარცხებისათვის, არამედ მას შემდეგ საკმაო ხანს არხეინად იჯდა პრეზიდენტის სავარძელში, ვიდრე ძალით არ დაატოვებინეს იგი.

ამგვარად, ჩვენივე ხელისუფლების მიერ საშინელი ტრაგედია დატრიალდა სოხუმში. თვით მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელთაც არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ, გარდა იმისა, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ვითარცა მატლები ისე იჟლიტებოდნენ. ყველგან წინასწარდაგეგმილი ქაოსი და უპასუხისმგებლობა სუფევდა. სოხუმი ამ დროს სავსე იყო თავად ქართველი კრიმინალებით. ისინი, ვითომცდა იქ საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად ჩასულები, საშინელ ურჯულოებას სჩადიოდნენ, როგორც უსასოოდ დარჩენილი მოსახლეობის მიმართ, ასევე ფრონტზე მებრძოლი ჯარისკაცების წინაშეც. ისინი, არა მარტო ოჯახებს ძარცვავდნენ, არამედ ზურგიდან თავს ესხმოდნენ თავისივე მოძმე ქართველ მეომრებს და კლავდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ავტომატი აერთმიათ მათთვის, რომ შემდეგ სარფიან ფასში გაეყიდათ.

იგივე საშინელება ტრიალებდა სოხუმის ბომბორას აეროპორტშიც. მთელი მისი შემოგარენი სავსე იყო თბილისში გადასაყვანი დაჭრილ-დახოცილი მეომრებით. დაჭრილები სასწრაფო მკურნალობას საჭიროებდნენ. მაგრამ ვის ეცალა მათთვის. აეროპორტშიც კრიმინალ-მაროდიორები მბრძანებლობდნენ და თვითმფრინავებიც მარტო მათი ნაძარცვის გადმოზიდვით იყვნენ დაკავებულები. ისე რომ, აქაც, სულაც არ ჩანდა მთავარსარდლის ხელი წესრიგის დასამყარებლად.

აქედან გამომდინარე, დაისმის ბუნებრივი კითხვა: თუ საომარ ხაზზეც, ქალაქშიც, აეროპორტშიც და ყველგან ასეთი ქაოსი და უპასუხისმგებლობა სუფევდა, რაღას აკეთებდა იქ საქართველოს მთავარსარდალი? პასუხი ერთადერთი შეიძლება იყოს — ქაოსის, უპასუხისმგებლობის, განუკითხაობის და ღალატის თაოსანი თვით ბატონი ედუარდი გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამაზე ისიც მეტყველებს და მარტო იმისთვისაც ეკუთვნის უმაღლესი სასჯელი, რომ ომის დაწყების წინ მან არ მოახდინა ქალაქიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია და ეს ხალხი გასასრესად ულმობელ მტერს მიუგდო. ყველაფერი რომ საქართველოს სამტროდ კეთდებოდა, ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა.

იმის გამო, რომ მოსახლეობას ქომაგი არავინ ჰყავდა და ამ ჯოჯოხეთიდან მათი გამყვანი არავინ იყო, ქაოტურად გარბოდნენ ქალაქიდან თავის გადასარჩენად. მათ გეზი ენგურს აქეთ, სამეგრელოსაკენ აიღეს, მაგრამ, როგორც ჩანს, სიკვდილისაგან მათი თავის დაღწევა არ აწყობდათ იგივე ანტიქართულ ძალებს. ამიტომ, მათ შეგნებულად გაავრცელეს ასეთი სიცრუე, რომ ზუგდიდისაკენ მიმავალი გზა ლოთი ქობალიას გვარდიელებს აქვთ გადაკეტილიო და ეს უბედური ხალხი გაუყენეს ჭუბერის თოვლიან-ყინულიან გზას და თან კრიმინალები დაადევნეს. ქართველმა კრიმინალებმა (ჰოი, უსჯულოებავ!) თავისივე მოდგმის ქართველ თანამოძმეებს აართვეს თვით ის უმცირესი ძვირფასეული, რისი წამოღებაც-კი მოასწრეს გამოქცევისას. დევნილებს გზაში დაუღამდათ და მხოლოდ ტანსაცმლის ამარა დარჩენილებმა თოვლზე დაწოლილებმა გაათენეს. ამ სიცივე-ყინვაში არაერთი ბავშვი და მოხუცი გაითოშა და დაიღუპა. ეს ცოდვაც ამბროსევიჩის კისერზე წევს.

ასე და ამგვარად, კრემლის ემისარმა ედუარდ ამბროსევიჩმა თავისი მოსკოველი შეფების დავალება პირნათლად შეასრულა. ამ ომში მან ყველაფერი იღონა რუსებისა და აფსუების სიცოცხლის გადასარჩენად. სამაგიეროდ, ათეულ-ათასობით ქართველი გაამგზავრა საიქიოში, ხოლო ვინც სიკვდილს გადაურჩა, ენგურს აქეთ გადმორეკა. ასე ჩააბარა უქართველებო აფხაზეთი რუსეთს, — და უკან რომ ვეღარ გაბრუნებულიყვნენ იქიდან გამოძევებული ქართველები, მდინარე ენგურზე რუსი ოკუპანტები ჩაგვიყენა. თანაც (ჰოი, მკრეხელობავ, გაუგონარო!), ქართველთა ამ სისხლისმსმელ ჯარს „მშვიდობის დამცველები“ დაარქვა.

ეს იყო არნახული ცინიზმი — დაცინვა მთელი ქართველი ხალხისა და აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი მეომრების სულში ჩაფურთხება.

ბატონი ედუარდის მიერ აფხაზეთის ომის გაჩაღების მთავარი და ერთადერთი მიზანი რომ ამ მიწა-წყლის რუსეთისათვის გადაცემა და იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გენოციდი იყო, ნათლად გამოჩნდა როგორც ომის მიმდინარეობის პროცესში, ასევე, განსაკუთრებით ომის დასასრულს — იმ დროს, როცა ქართველთა სისხლი მდინარეებად მიდიოდა აფხაზეთში, ეგრეთწოდებული ქართველი ხელისუფალი და მისი გუნდი გართობისაკენ მოუწოდებდა ხალხს — დედაქალაქში შოუ-კონცერტებს

მართავდნენ და უცხოეთის პრესტიჟულ კურორტებზე დასასვენებელ საგზურებს სთავაზობდნენ ხალხს. ხოლო მას შემდეგ, როცა ბატონმა ედუარდმა ომი თავისი სატანური მიზნისათვის „ძლევამოსილად“ დაამთავრა, ამ დღის აღსანიშნავად დიდი ზეიმი გამართა თბილისში რესპუბლიკის მოედანზე. აფხაზეთიდან გამოქცეულ ჯარს ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო, დიდი მადლობა უძღვნა მათ „ვაჟკაცური დამარცხებისათვის“, მრავალი მათგანი ორდენებით შეამკო და გენერლების ხარისხამდე აღამაღლა.

ეს იყო პირველი შემთხვევა ომების ისტორიაში, როცა ქვეყნის ხელისუფალი თავის ჯარკაცებს მადლობას უძღვნის და ჯილდოებით ამკობს ომში გამოჩენლი ლაჩრობის, ღალატის, ფრონტიდან გამოქცევისა და დამარცხებისათვის.

ამ უჩვეულო ცერემონიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ბატონი ედუარდის მიერ წამოწყებული აფხაზეთის ომის მიზანი — ქართველების დამარცხება ამ ომში, ქართველი მოსახლეობის აღგვა ამ მიწა-წყლიდან და ამ მხარის რუსეთისათვის გადაცემა. აქ შეიძლება შეგვეკამათონ — თუ შევარდნაძის მიზანი აფხაზეთის გაცემა და იქიდან ქართველი მოსახლეობის გამოძევება იყო, მაშ რატომღა იბრძოდა იგი რამოდენიმე წლის განმავლობაში ამ მიწა-წყლის უკან დასაბრუნებლადო?

ჯერ ერთი, ეს ბრძოლა კი არა, ცუდად დადგმული სპექტაკლი იყო, რომლითაც ბატონი ედუარდი ცდილობდა პატრიოტი კაცის იმიჯი შეექმნა გულუბრყვილო ხალხში. მეორეც, ყოველი მოლაპარაკება ამ საკითხზე იყო მხოლოდ ფიქცია, რომელიც დროის უსასრულო გაწელვას ემსახურებოდა და სხვა არაფერს. როგორ შეიძლებოდა ფიქრიც-კი იმაზე, რომ აფხაზეთს დაგვიბრუნებდა ის კაცი, ვინც თავადვე გასცა იგი მოღალატურად?!

შევარდნაძის დიქტატორობის ხანა საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ქვეყნის არნახული ნგრევისა და დიდი უბედურების წლები. ამიტომ, მე მინდა არ გამოვტოვო არც ერთი დეტალი მისი „ღვაწლიდან“, რომელიც ყველგან და ყოველთვის თავისი კარიერის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, ანტიქართულ საქმეს ემსახურებოდა. მისი ერთ-ერთი დიდი დანაშაული, რომელიც შავ ლაქად გაჰყვება მთელ მის საგვარეულოსა და შთამომავლობას, ესაა მისი სულიერი წინაპრის — სერგო ორჯონიკიძის მოღალატური საქციელის განმეორება, როცა მან, პირადი კარიერის შენარჩუნების მიზნით, რუსეთის საზღვაო ფლოტი, ადმირალ ბალტინის მეთაურობით, შემოუსია ზვიად გამსახურდიას მიმხრობილ საქართველოს.

მაგრამ ისე, როგორც არ შეიძლება 1921 წლის ღალატში მარტო ორჯონიკიძეს დავდოთ ბრალი და სხვები კი — მახარაძე, ორახელაშვილი, გეგეჭკორი, ელიავა და სხვა გარეწრები კი გამოვთიშოთ, — ასევე, არ იქნება სწორი, თუ 1993 წლის ეროვნულ ღალატში მარტო ედუარდ ამბროსევიჩს დავდოთ ბრალი, ხოლო მის აქტიურ თანამებრძოლებსა და რუსი იმპერიალისტების ისეთ მეხოტბეებს კი, როგორებიც გახლავთ ვახტანგ გოგუაძე და ავთანდილ მარგიანი, ამაგი დავუკარგოთ. მითუმეტეს,

რომ ისინი თავიანთ როლს ამ საქმეში სრულებითაც არ უარყოფენ და, როგორც ერთ დროს ბერბიჭაშვილი აცხადებდა სიამაყით — აი, ამ მარჯვენით მოვუსწრაფე სიცოცხლე ილიასო, ასევე, ურცხვად იკვეხნის იუდა-გამცემი გოგუაძეც, რომ „დიახ, მე ტანკში ვეჯექი ადმირალ ბალტინს, მე შემოვუძეხი მას ჩვენს ქვეყანაში, და მე მისი მეშვეობით „საქართველო გადავარჩინეო“. ცხადია, საქართველოს გადარჩენაში იგი იმას მიიჩნევს, რომ დამხობისაგან გადაარჩინა ედუარდ დამანგრეველი, ხოლო თავად ამ გარეწრობით, პარლამენტის სპიკერობას გამოჰკრა ხელი.

ახლა, იმ ბრალდების შესახებ, რასაც გოგუაძე და მისი სულიერი მეგობარი მარგიანი გვიყენებენ ქართველობას იმ „ბრძოლისათვის“, რასაც თურმე ჩვენ ვეწევით ისტორიულად „ჩვენი კეთილი მეგობრისა“ და ამჟამადაც ჩვენს „კეთილდღეობაზე მაფიქრალი“ რუსეთის მიმართ.

ვინც ოდნავ მაინც გაცნობილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რეალურ ისტორიას და არა საბჭოურად გაყალბებულს, კარგად ეცოდინება, რომ რუსეთს საუკუნეების განმავლობაში ბოროტების მეტი არაფერი გაუკეთებია საქართველოსათვის. — ეცოდინება, რომ რუსეთი არის ის ქვეყანა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში მზაკვრულად ჩათრეული საქართველო, როგორ დაცალა სისხლისაგან, ჯერ ამ ქვეყნებთან მრავალგზისი დაპირისპირებით, და მერე ასევე მრავალგზისი ზურგშექცევით, — როგორ ურცხვად გათელა მის მიერვე ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი, — როგორ უღალატა საქართველოს თვით კრწანისის ომში, — როგორ უტიფრად დაიპყრო ჩვენი ქვეყანა, რომელსაც „ნებაყოფლობითი შეერთება“ უწოდა, — როგორი ვანდალისტობით განდევნა ქართული ენა ცხოვრებიდან ქართველი ერის გასარუსებლად, — მერე, როცა ძლივს თავი დავაღწიეთ რუსეთის დიქტატს 1918 წელს, სულიც არ მოგვათქმევინა, კვლავ შემოგვეჭრა ჯარებით 1921 წელს და იძულებით შეგვათრია კომუნისტურ ჯოჯოხეთში, — და როცა 70-წლიანი წამებისა და ასევე გამარუსებელი პოლიტიკის შემდეგ, აწ უკვე მეორედ დავაღწიეთ თავი იმპერიას და მოგვეცა შესაძლებლობა შეგვექმნა ჩვენი ეროვნული ხელისუფლება, არც ამჯერად გვაცალეს გოგუაძე-მარგიანთან ძმადშეფიცულმა რუსებმა, და სწორედ მათ მსგავს კოსმოპოლიტებზე დაყრდნობით, თავზე დაგვამხეს თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული ეროვნული ხელისუფლება და ნაცვლად თავისი აგენტურული ხელისფლება დაგვასვეს თავს საქართველოს დასანგრევად, — სწორედ ამ კოსმოპოლიტურ-კარიერისტულ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ჩამოგლიჯეს საქართველოს სამაჩაბლო და აფხაზეთი, ჩვენსავე მიწა-წყალზე ჩაგვიხოცეს ქართველობა და გამოგვაძევეს იქიდან.

აი, ის რეალობა, რაც საუკუნეთა მანძილზე დაგვაწია რუსეთმა, უკანასკნელი წლების ჩათვლით. ჩვენი ეროვნებადაკარგული ეს ვაი-ქართვლები კი, მგლისა და კრავის იგავისა არ იყოს, აქეთ გვდებენ ბრალს რუსების მიმართ წყლის ამღვრევაში — როგორ შეიძლება რუსეთს რომ ვებრძვით ქართველები, რუსები ხომ (ელცინი, პუტინი, გრაჩოვი, პასტუხოვი, ჟირინოვსკი) ჩვენი კეთილი ძმები არიანო?! რა შეიძლება

ითქვას ამ გადარჯულებულ გარეწრებზე? ვითომ მართლა ვერ ხედავენ ვინ ვის ებრძვის?

ხედავენ, როგორ ვერ ხედავენ, მაგრამ ისინი ხომ თავისი ხალხის ლანძღვისა და ღალატისათვის (ბალტინის წინამძღოლობისათვის) რაღაც საზღაურს იღებენ ჩრდილოელი დამკვეთებისაგან. აი, რისთვის ყიდიან საკუთარ სამშობლოს 30-ვერცხლად ჩვენი დროის იუდა-ისკარიოტელები.

ბატონი ედუარდის მიერ მიზანმიმართული, ქვეყნის დამანგრეველი პოლიტიკა მარტო ერთ ასპექტს როდი მოიცავდა. იგი ებრძოდა საქართველოს და ქართველ ხალხს მრავალმხრივი კუთხით. ესენია:

1. ზემოთ უკვე ნახსენები, ერის კუთვნილი, ისტორიული მიწა-წყლის გაცემა და დაქუცმაცება კუთხურ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით, — მათგან მინი-სახელმწიფოების შექმნა და ურთიერთდაპირისპირება, რასაც, საბოლოო ანგარიშით, საქართველო უნდა მიეყვანა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაქრობამდე.

2. ბრძოლის მეორე მხარე მოიცავდა ქართული ეროვნული ეკონომიკის (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის) დანგრევას. ეს ღონისძიება ორ ბოროტულ მიზანს ემსახურებოდა — ერთის მხრივ, ხალხის ჩამოცილებას პოლიტიკური და ეროვნული პრობლემებიდან და მათი ფიქრის გადატანას ლუკმაპურის მაძიებლობისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ ითვალისწინებდა ადამიანთა ზნეობრივ გახრწნასაც, რამდენადაც დამშეული ადამიანი ყოველგვარ უზნეობაზე მიდის არსებობის შესანარჩუნებლად.

3. ქვეყნის წამყვანი დარგების ჩალის ფასად გაყიდვა-გასხვისება.

4. მაცოცხლებელი ბუნების ნგრევა ხე-ტყის გაჩეხვით, რასაც უნდა გამოეწვია ბუნების ეკოლოგიური რღვევა.

5. ადამიანთათვის მინიმალური საარსებო პირობების მოსპობა, რასაც უნდა გამოეწვია ერის გენოფონდის მოსპობა — უდროო სიკვდილიანობა, შობადობის შეჩერება. იგივე მიზნებს ემსახურებოდა საფინანსო კრიზისის შექმნა, რასაც თან სდევდა მიზერული ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობაც — ასევე, უცხოეთიდან დახმარების სახით მიღებული გრანტების მოსახლეობისათვის გაუცემლობა და მისი გადანაწილება თავისი თანამებრძოლებისა და საკუთარი სანათესაოსთვის.

6. კიდევ უფრო უარესი გახლდათ შევარდნაძის მიერ კარგად დამუშავებული ბრძოლის ის გზა, რომელიც მიზნად ისახავდა ერის პოლიტიკურ და ზნეობრივ დეგრადირებას.

აი, კონკრეტულად, რა ღონისძიებები ხორციელდებოდა ამ მიმართულებით: ა) ეთნოსი „ქართველის“ აღმოსაფხვრელად პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ეროვნების მაუწყებელი რეკვიზიტის ამოგდება. აქვე უნდა აღინიშნოს, იგივე მიზნით ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისათვის ხელოვნური ბარიერის შექმნა. თავად ბატონი ედუარდი, აი როგორ თამაშს ეწოდა იმისათვის, რომ პირმართალი კაცის ამპლუაში წარდგენოდა ქართველ ხალხს. იგი ერთის მხრივ ხელს აწერდა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების კანონს, რომელიც შემდეგ პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა. მაგრამ ეს

ფორმალურად, ფაქტობრივად კი თვით იგი აფერხებდა ამ კანონის დამტკიცებას პარლამენტში ისეთი სატელიტების მეშვეობით, როგორიც გახლავთ მანანა გიგინეიშვილი და სხვა მისთანები, ამგვარი აბსურდული მოტივით: იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებმა ასიათასობით არაქართველმა არ იცის ქართული ენა, ჯერ ვაცალოთ, შეისწავლონ ქართული ენა და მერე მივიღოთ ეს კანონიო.

ერთი სიტყვით, ბატონი ედუარდი ამ შემთხვევაშიც გამოვიდა პილატესავით ხელდაბანილი. არადა, მას რომ სურვებოდა ამ კანონის მიღება, რა თქმა უნდა, კიტრადაც არ ჩააგდებდა ეროვნებადაკარგული გიგინეიშვილის აზრს, რომელიც თავად შევარდნაძისაგან მომდინარეობდა. და მე მაინც მინდა, კარგად ჩაუკვირდეს მკითხველი შევარდნაძე-გიგინეიშვილის ბოროტულ ჩანაფიქრს, რომლის მიხედვითაც ვერასოდეს ვერ მოხდება ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონება და აი, რატომ: თუკი ოთხი საუკუნის წინ შაჰ-აბასის მიერ ბორჩალოში ჩამოსახლებულმა თათრებმა, ხოლო 1829-წელს, პასკევიჩის მიერ ჯავახეთში ჩამოსახლებულმა სომხებმა დღემდე არ შეისწავლეს ქართული ენა ქართველების მიმართ თავიანთი შოვინისტური განწყობილების გამო, რა გარანტია არსებობს, რომ ახლა, უცებ შეიყვარებენ ქართველებსა და მათ ენას? ალბათ, კიდევ ორი საუკუნე მაინც დასჭირდება, ვიდრე ისინი ქართველებს შეიყვარებენ და მათი ენის შესწავლის ხალისი გაუჩნდებათ. ეს კი იმას ნიშნავს, შევარდნაძე-გიგინეიშვილის ჩანაფიქრით, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენად ვერასოდეს დაკანონდება.

და ბოლოს, საინტერესოა, როგორ შესძლო ბატონმა ედუარდმა ერის ასე დაგლახავება, რომ ასე მონურად ემორჩილებოდა თავისი ქვეყნის დამანგრეველს?! ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონი ედუარდის ნიჭიერება, რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ მის ბოროტ ნიჭიერებას, მაგრამ ბოროტების კეთებასაც (როცა შენგან გაუბედურებული ხალხის ნაწილი ტაშს გიკრავს — ეს კაცი რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდაო) ხომ ნიჭი უნდა!

გარდა ამ ღონისძიებებისა, რაც ზემოთ აღინიშნა, ხალხის ამ დონემდე მიყვანის საქმეში, ბატონმა ედუარდმა კიდევ ერთი ასეთი ხერხი იხმარა ხალხის დასამორჩილებლად და ქვეყნის სამართავად: მან ერი გაყო ორ ნაწილად — მმართველ ოლიგარქიად და უფლებააყრილ მასად. როგორც მმართველ აპარატში, ასევე პარლამენტში, აქ ჩატარებული გაყალბებული არჩევნებით, შემოიკრიბა ეროვნებადაკარგული და ზნეობადაკარგული მაფიოზების ხროვა.

აი, ამ ანტიეროვნულ-კრიმინალურ-მაფიოზურ ხალხზე დაყრდნობით დაიქვემდებარა დაბეჩავებული მასა თავისი უბოროტესი მაკიაველისტური მეთოდებით, რაც გამოიხატა ქვეყნის ნგრევასა და ძარცვაში, მისი მხარდამჭერთა გალაღებაში მილიონიანი მასების დამშევის ხარჯზე. ამ მხრივ შევარდნაძე მოქმედებდა ასეთი დევიზით: ძარცვეთ ქვეყანა, როგორც გენებოთ, ოღონდ მხარი დამიჭირეთ ხელისუფლების შენარჩუნებაშიო. და მძარცველთა ეს ხროვა მართლაც რომ კბილებით

იცავდა თავიანთ მამასა და მარჩენალს. მაგალითად, ცნობილია, რომ ერთ-ერთმა ამდაგვარად გამდიდრებულმა მაფიოზმა — თემურ ჭყონიამ საჯაროდ მოითხოვა — საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ კიდევ გავუხანგრძლივოთ ბატონ ედუარდს ორი წლით პრეზიდენტობის ვადაო.

ბატონი ედუარდის მაკიაველისტურ პოლიტიკაზე, რითაც იგი თრგუნავდა ქართველ ხალხს და, უფრო სწორად კი, ისევ ქართველებზე დაყრდნობით ანგრევდა საქართველოს, ალბათ, მომავალში ტომები დაიწერება. მაგრამ ამჯერად, რაც უკვე ითქვა ჩემს მიერ, მინდა კიდევ ხაზი გავუსვა ორ მომენტს, რასაც იგი მიმართავდა ერთის მხრივ, ოპონენტთა მიმართ ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, დემოკრატიის იმგვარი უგულებელყოფით, როცა კრიტიკა მისი ხელისუფლების მიერ ფეხზედაკიდებული იყო:

1. ბატონმა ედუარდმა ტრადიციად აქცია ტერაქტები, რომლებიც ვითომცდა მის წინააღმდეგ ეწყობოდა. ამ, ეგრეთწოდებულ, ტერაქტებზე დაყრდნობით იგი, ერთის მხრივ წამებული კაცის იმიჯს იქმნიდა, როგორც საკუთარი ხალხის, ასევე დანარჩენი მსოფლიოს წინაშეც. ხოლო, მეორეს მხრივ, მასზე დაყრდნობით კანონიერ საფუძველს იქმნიდა იმისათვის, რომ გასწორებოდა მისთვის არასასურველ, ყოვლად უდანაშაულო ადამიანებს.

სინამდვილეში კი, როგორც სამართლიანად ეჭვობს ხალხი დღესაც, შევარდნაძის მიმართ არც ერთი ტერაქტი არ განხორციელებულა მისი ოპონენტების მიერ. ამ ტერაქტების ინსპირატორი საკუთარი თავის მიმართ თავად შევარდნაძეაო, ვისმენთ ხალხისგან, რომლებიც ასევე დასძენენ: აბა, როგორ ხდება, რომ რაც კი ტერაქტები დაიგეგმა ხელისუფლების მხრიდან: ზ. გამსახურდიას, გ. ჭანტურიას, ს. ხაბეიშვილის და უამრავ სხვათა მიმართ, ყველა წარმატებით დასრულდა, ხოლო ბატონი ედუარდი ყოველთვის საღსალამათი გამოდის ამ ტერაქტებიდანო?! როგორც იტყვიან, ამ დასკვნას კომენტარები არ სჭირდება.

2. ახლა, რაც შეეხება სიტყვის, პრესისა და კრიტიკის იმ თავისუფლებას, რომელიც ციხიკურ დონემდე გახლდათ დაყვანილი თვით ქვეყნის უპირველესი პირის მიერ. კი ბატონო, გარედან ზეწოლის შედეგად და არა შევარდნაძის კეთილი სურვილი, საქართველოში უკანასკნელი 12-წლის მანძილზე არ იზღუდებოდა არც პრესა და არც ტელევიზია, — კერძოდ, შეუზღუდავად გადაიცემოდა ტელევიზიით ცნობილი ჟურნალისტის აკაკი გოგიჩაიშვილის მიერ ის აუარცხელი დანაშაულებრივი ფაქტები, რასაც თვით ხელისუფლება სჩადიოდა. ასევე, კრიტიკული წერილებით იყო სავსე პრესაც, მაგრამ ვის სჭირდება იმგვარი კრიტიკის თავისუფლება, თუ ყურადაც არ იღებს მას დამნაშავე ხელისუფლება?

მსოფლიოს ისტორიაში არ არსებობს იმგვარი პრეცედენტი, რომ ხალხი ადანაშაულებდეს ქვეყნის ხელისუფლებას, მის პირველ პირს ტერიტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ ზნეობრივ ნგრევაში, უკანონობა-უსამართლობაში და ის კი ამაზე არათუ პასუხს არ იძლეოდეს, პირიქით, იგი კვლავ განაგრძობდეს ქვეყნის დამანგრეველი გზით მართვას. ამგვარი „დემოკრატიული უფლებები“ ხალხის მასხრად აგდებაა და სხვა

არაფერი.

ასევე ღიმილს იწვევდა ადამიანებში შევარდნაძის თამაში, რომელსაც იგი ეწეოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში“. მოსაჩვენებლად იქმნებოდა „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები“, რომელიც კომპლექტდებოდა შევარდნაძის მომხრე ლაქიებისაგან და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა კორუფციის უმთავრესი წყარო თვით შევარდნაძის სანათესაო და მისივე სამთავრობო ხროვა იყო. საინტერესოა, ამდაგვარი „კომისიის“ რომელი წევრი გაბედავდა მათთვის ხელის ხლებას? ამიტომაც, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამ კომისიას თუნდაც ერთი მაღალჩინოსანი კორუმპირებულიც კი გამოემჟღავნებინოს.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს აქედან? ის, რომ კორუფციას თვით შევარდნაძე თაოსნობდა და მფარველობდა, რადგან მძარცველთა ეს წრე მისთვის იყო სახელისუფლო დასაყრდენი.

დიახ, ეს ყველაფერი გასაგებია — ყოველი ბოროტება რომ უმაღლესი ხელისუფლებიდან მომდინარეობდა, ეს ცნობილი ფაქტია. მაგრამ ამ ბოროტებას ასე ფართო ასპარეზი რომ ჰქონდა მიცემული და არსაიდან არ იზღუდებოდა, რაო, ეს მხოლოდ შევარდნაძის ბოროტების შედეგი გახლდათ?

არა, რა თქმა უნდა! ამისი მიზეზი იყო ის, რომ ერი ამ ბოროტებას შეხვდა გათითოკაცებული და დეზორგანიზებული. უფრო მეტიც, ხალხი თითქმის შეეგუა კიდეც ამ ბოროტებას.

ამის დასამტკიცებლად ავიღოთ თუნდაც რამოდენიმე მაგალითი. ყველა ჩვენგანი მოწმეა იმისა, თუ როგორ ჩამოგლიჯა შევარდნაძემ საქართველოს ისტორიული დვალეთი (დღევანდელი სამაჩაბლო) და ასევე საქართველოს ძირძველი მხარე — აფხაზეთი. ასეთი რამ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში რომ მომხდარიყო, მთელი ერი ფეხზე დადგებოდა და ასეთ პრეზიდენტს ნიკაპით ჩანგალზე ჩამოკიდებდა. ქართველობა კი ისე შეხვდა ამ ტრაგედიას, ვითომც არაფერი.

ანდა რომელი ერი აიტანდა იმ ძაღლურს გადაცილებულ ყოფას, როცა პრეზიდენტის გარშემო შემოკრებილი კოსმოპოლიტთა და ქურდბაცაცათა ხროვა დოლარებში იხრჩობოდა, ხოლო 8-ლარზე მყოფი პენსიონერი — ბედს შეგუებული, შიმშილით კვდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუჩაში გაყრილ ასიათასობით უმუშევარზე და 30-ლარზე მყოფ მოსამსახურეებზე.

უფრო მეტიც, იმ დროს, როცა სატანური ხელისუფლება თავზე გვანგრევდა საქართველოს, მთელი ერი, თითო-ოროლა მებრძოლის გამოკლებით, ისე ინდეფერენტულად შეჰყურებდა ამ ტრაგედიას, თითქოს ეს უბედურება მის ქვეყანას კი არ ეხებოდა, არამედ სადღაც, რომელიმე აფრიკულ სახელმწიფოს. ზოგნი კი შველას უცხოთაგან ელოდნენ და საყვედურსაც გამოთქვამდნენ მათ მიმართ — ნუთუ, ვერ ხედავენ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, რა დღეში ვართ, ხმას რომ არ იღებენ ამ ანტიხალხური ხელისუფლების წინააღმდეგო?

არა, ბატონებო, ყოველი უცხო ქვეყანა იმ შემთხვევაში ამოიღებს ხმას შენს დასაცავად, თუ, პირველ რიგში, შენ თავად აღუდგები წინ შენს

ქვეყანაში არსებულ ბოროტებას. ხომ გახსოვთ, რა უთხრა ღმერთმა წყალწაღებულ კაცს — ხელი გაანძრიე და მეც გიშველიო!

ერთი სიტყვით, იმ ავადმოსაგონარ დროს ქართველი ხალხი — მისი ძირითადი მასა, თავისი პოლიტიკური შეგნებით არნახულად დაეცა, დაკარგა განსჯის უნარი და ბრძოლისუნარიანობა, შეეგუა თავსდატეხილ უბედურებას. უფრო მეტიც, სატანა მარჩენალ მამად მიიჩნია.

მაგალითად, იმ დროს, როცა ადამიანები პურის რიგებში იჭყლიტებოდნენ, იცით რას გაიძახოდა ეს გზააბნეული ხალხი? ამ პურსაც შევარდნაძე გვაძლევს თავისი ძალისხმევით, მას თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით შემოაქვს ეს პური უცხო ქვეყნებიდან, თორემ ის რომ არ იყოს, არც ეს გვექნებოდაო!

უბედურებს, არ ესმოდათ, რომ პირიქით იყო ყველაფერი — უპურობაც, უშუქობაც, უგაზობაც, მიზერული, გაუცემელი პენსიებიც, უმუშევრობაც, ოჯახებში შექმნილი გამყინვარებაც, აღვირახსნილი ძარცვა-რბევაც და ყველა სხვა სახის ბოროტებაც შევარდნაძის მიერ შექმნილი რეჟიმით იყო გამოწვეული. იგი ამ გაუსაძლის ყოფას იმიტომ ქმნიდა, რომ ხალხს თავადვე ეთქვა უარი დამოუკიდებლობაზე და კვლავ რუსულ იმპერიაში დაბრუნება მოეთხოვა. და რა გგონიათ, აღწევდა კიდეც იგი ამას.

გაუკუღმართებულმა ცხოვრებამ აზრებიც გაუუკუღმართა ხალხს. ყველაფერი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დააბრალეს. ეგეც შენი თავისუფლებაო, აი, რა მოგვიტანა მიტინგებმაო, დამოუკიდებლობამო; რა გვიშავდაო, ძალიან კარგად ვცხოვრობდით კომუნისტების დროს საბჭოთა კავშირშიო და ასე შემდეგ.

ჯერ ერთი, როგორ შეიძლება კარგი ეთქვას იმ რეჟიმს, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანებს ხვრეტდა გაუსამართლებლად, ანდა ციმბირის ყინულეთში ასამარებდა მათ?! გაიხსენეთ, რაოდენი უბედურება დააწიეს საქართველოს სწორედაც ამ რეჟიმის მესვეურებმა 1924, 1929-33, 1937 წლებში და ბოლოს 1951 წელს, როცა ტყვედნამყოფობის ბრალდებით ათეულ-ათასობით ოჯახი — ყოვლად უდანაშაულო ცოლ-შვილით გადაასახლეს შუა აზიის უდაბნოში.

ანდა, კარგი ცხოვრება ეთქმოდა იმისთანა სოციალურ ყოფას, როცა კომუნისტური რეჟიმი კოლმეურნე გლეხს შრომადღეზე ბეღურა ჩიტის სამყოფ ხორბალს უნაწილებდა? ამიტომ, ის კი არ უნდა ითქვას დღესაც ასეთი ფანატიკოსების მისამართით, რომ კომუნისტური რეჟიმი რა კარგი იყო და შევარდნაძის რეჟიმი რა ცუდიაო, არამედ ისიც დიდი ბოროტება იყო და ესეცო. თანაც, უნდა გვახსოვდეს — ორივე ბოროტების შემოქმედები იყვნენ კომუნისტები.

აქედან გამომდინარე, უკანასკნელი თორმეტწლიანი უბედურება ზვიადისტურმა მიტინგებმა კი არ გამოიწვია, პირიქით, ეროვნული ხელისუფლების დამხობამ და მის ადგილზე შევარდნაძის მძარცველურ-ყაჩაღური ხელისუფლების მოსვლამ.

ახლა ისმის კითხვა: ქვეყნის დაღუპვის იმ უბედურების ჟამს, როცა დაბნეული იყო მასა და არ იცოდა რა ექნა, როგორ აეცილებინა

თავსდატეხილი საშინელებანი, რას აკეთებდა იმ დროს შედარებით უფრო გათვითცნობიერებული პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები, რომლებიც თავს სდებდნენ სამშობლოს პატრიოტობაზე?

ნაცვლად იმისა, რომ ერთ ძალად შეკრულიყვნენ და საქართველოს დამანგრეველ ხელისუფლებას ერთად შებრძოლებოდნენ, პირიქით, ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ იმ დათვის ტყავის ხელში ჩასაგდებად, რომელიც ჯერ არ მოუკლავთ, რითაც კიდევ უფრო ამყარებდნენ შევარდნაძის ანტიხალხურ და ანტიეროვნულ ხელისუფლებას.

ამგვარად, უპირველესი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა ეროვნულ პოზიციებზე მდგომი პარტიების გაერთიანებას, იყო მათი ლიდერების ამბიციურობა. არც ერთს არ უნდოდა ხელი აეღო ლიდერობაზე, რამეთუ ყოველ მათგანს თავად უნდოდა დაუფლებოდა პრეზიდენტის სავარძელს, — ყოველი მათგანი თავს წარმოიდგენდა პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატად.

აი, რატომ თიშავდა ასე იოლად და ერთმანეთს აპირისპირებდა პოლიტიკაში გამობრძმედილი, „თეთრ მელად“ წოდებული ედუარდ ამბროსევიჩი ქართველ ხალხსაც და პარტიულ ლიდერებსაც, — აი, რატომ გვანგრევდა თავზე, ასე, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, საქართველოს ეს ქვესკნელიდან მოვლენილი სატანა.

დაბოლოს, ბოროტებასთან თორმეტწლიანი შემგუებლური დუმილის შემდეგ, მართალია, ხალხი გამოერკვა და დაინახა, რომ ყველა უბედურება, რაც-კი ქვეყანას სჭირდა, შევარდნაძისა და მისი კლანისაგან მომდინარეობდა, მაგრამ გათითოკაცებულნი საქმეს ვერაფერს შველოდნენ, ვიდრე არ გამოჩნდა ერის დამრაზმავი ძალა. საერთო-სახალხო მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ნაციონალური პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მანამდე გახლდათ შევარდნაძის ერთგული და მისი დასაყრდენი პარტიის — მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი აქტივისტი, ხოლო ბოლოს, ასევე აქტიური ოპონენტი.

აი, ამ კაცის დიდი ძალისხმევით ქართველმა ხალხმა დაამხო შევარდნაძის ანტიხალხური, ანტიეროვნული და მძარცველურ-ყაჩაღური ხელისუფლება. ეს დიდებული აქტი განხორციელდა 2003 წლის 23-ნოემბერს — გიორგობა დღეს. ამის შემდეგ, მოკლე ხანში, ჩატარდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგადაც, ხმათა დიდი უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა მიხეილ სააკაშვილი. თუ როგორ დაიცავს დიდი ილიას ნაანდერძევ — ერის მაარსებელ სამ ძირითად კომპონენტს — ენას, მამულსა და სარწმუნოებას — მასონურ-კოსმოპოლიტურ ამერიკაში განსწავლული სააკაშვილი, ამას მომავალი გვიჩვენებს. და მაინც, მინდა ჩემი წიგნი აკაკი წერეთლის ოპტიმისტური სიტყვებით დავამთავრო:

არ მოკვდება საქართველო,
აყვავდება ერთხელ კიდე,
და გაისმის იმისი ხმა

ძველებურად კიდით-კიდე.

ქ. თბილისი, 2004 წელი, 25-იანვარი.

სარჩევი

1. ქართული ქეიფი და დროსტარება რუსთაგან
   საქართველოს დასამარების ჟამს
2. რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა საქართველოში
3. ილია ჭავჭავაძისა და მის გარშემო შემოკრებილი
   თერგდალეულთა დასის მამულიშვილური ბრძოლა
   ქართული ეროვნული მეობის გადასარჩენად
4. ოჩოპინტრე მენშევიკები ხელისუფლების სათავეში
5. სქართველო ბოლშევიკური ტირანიის უღელქვეშ
   (სტალინი და საქართველო)
6. 1924 წლის სახალხო აჯანყება
7. „ნებაყოფლობითი“ კოლექტივიზაცია
   სტალინური რეპრესიების თანხლებით
8. 1937 წლის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა
   და ქართველთა ზღვა სისხლი ამ კაცთაკვლაში
9. საქართველო კვლავ პროკრუსტეს ბუნაგში —
   ხრუშჩოვიდან გორბაჩოვამდე
10. მოსკოვიდან მართული კრიმინალურ-მაფიოზური ძალების მიერ
    საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის დამხობა და მისი
    სამშობლოდან გაძევება
11. გარეწართა და მძარცველთა ხროვა ქვეყნის სათავეში